Հովհաննես
Թումանյան

Ինչպես
Պոմիտը
երգեցողություն

«Գրական»
1971

თარგმანი გერმანულიდან, წინასიტყვაობა და
შენიშვნები ოთარ ხუციშვილისა

И (Нем)
83-32
Ш. 91
Z—3—4

თეოდორ შტორმი

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი გერმანელი პოეტი და ნოველისტი ჰანს თეოდორ ვოლდზენ-შტორმი დაიბადა ჩრდილოეთ ფრიზლანდიის პატარა ქალაქ ჰუზუმში, რომელიც ერთ დროს ამ მხარის კულტურული და სავაჭრო ცენტრი იყო.

თ. შტორმის დედა, ქალაქის დიდვაჭრის, გემთმფლობელისა და სენატორის შთამომავალი ლუცია ვოლდზენი, ცოლად გაჰყვა მდიდარი მეწისქვილის ვაჟს, ადვოკატ იოჰან კაზიმირ შტორმს, რომელიც ამ ქორწინებით პატრიციულ წრეში აღმოჩნდა. მათი შეუღლება ბედნიერი გამოდგა — ცოლ-ქმარს 13 შვილი შეეძინა. უფროსი თეოდორი იყო.

თეოდორს მამისაგან შრომისმოყვარეობა, გულღიაობა და მგრძნობიარობა გამოჰყვა, დედისაგან კი — სიხალისე.

შტორმების ოჯახში ბიურგერული წესრიგი და ტრადიციების სიყვარულის ატმოსფერო სუფევდა. პატარა თეოდორს მშობლები არ ზღუდავდნენ, პატრიცის შვილი თავისუფლად დადიოდა სხვადასხვა წრის ხალხთან, მეგობრობდა „დაბალი ფენის" ბავშვებთან. მისი ბავშვობის საუკეთესო მეგობარი გახლდათ მეპურის შვილი, ხანდაზმული მაგდალენა იურგენსი. ამ უბირმა ქალმა თ. შტორმი ხალხის ფანტაზიის ჯადოქრულ სამყაროში შეიყვანა და თავისი მშობლიური მხარის თქმულებებსა და გადმოცემებს აზიარა. შეჰერაზადას მსგავსად მაგდალენა იურგენსსაც

ზღაპრებითა და თქმულებებით სავსე ამოურწყავი ქისა ჰქონდა და მიმზიდველად თხრობის უნარით იყო დაჯილდოებული. მისი დახმარებით გაიცნო პატარა შტორმმა შლეზვიგ-ჰოლშტაინის ზღაპრები, ფრიზლანდიური საგმირო ლეგენდები და გაბედულ მეზღვაურთა და ჯებირების მშენებელთა თაობაზე არსებული თქმულებანი. და ყველაფერი ის, რაც ბავშვობისა და ჭაბუკობის ასაკიდან მეხსიერებაში ჩარჩა, შემდგომში თ. შტორმის შემოქმედების მხატვრული წარმოსახვის წყაროდ იქცა. ამიტომ ამბობდა იგი — ჩემი ნაწარმოებები ჩემი ცხოვრების მოწმეებს წარმოადგენენო.

ოთხი წლის შტორმი დაწყებით სკოლაში იწყებს სიარულს, ცხრა წლისა კი — მეორე საფეხურის სკოლაში.

შტორმის გონებრივი ჰორიზონტი გაფართოვდა ლიუბეკის გიმნაზიაში სწავლის ორი წლის მანძილზე. იმ დროის კვალობაზე აქ საკმაოდ განვითარებული მასწავლებლები მოღვაწეობდნენ, მოსწავლეთა კონტიგენტიც გონებაგახსნილი ახალგაზრდებისაგან შედგებოდა. მათი წყალობით ეცნობა იგი თავისი დროის ცნობილ მწერალთა შემოქმედებას.

„მე არ მყავდა პოეტური ხატება, რომლისთვისაც უნდა მიმეგაძა. ლიუბეკის სკოლაში კი ჩემი საყვარელი წიგნები იყო უმეტესად ჰაინეს „სიმღერათა წიგნი“ და გოეთეს „ფაუსტი“, რომლებმაც ჩემზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინეს. აგრეთვე აიხენდორფისა და მორიკეს ნაწარმოებები“ — იხსენებს თ. შტორმი.

1837 წელს შტორმი, მამის სურვილით, კილის უნივერსიტეტში შევიდა სამართლისმცოდნეობის ფაკულტეტზე. მას მედიცინა უფრო იზიდავდა, აინტერესებდა მუსიკა და ფერწერაც და ამის გამო რვა სემესტრის ნაცვლად უნივერსიტეტებში თორ-

მეტი სემესტრი დაპყო — ორი კილში, სამი ბერლინსა და შვიდი კვლავ კილში.

პირველი სიყვარული ალტონაში გაცნობილმა თერთმეტი წლის ვოგონამ, ბერტა ფონ ბუხანმა, გაუღვიძა ცხრამეტი წლის შტორმს. ხუთ წელს ელაციებოდა მის სიყვარულს შორიდან შტორმი, მაგრამ ქალიშვილის აღმზრდელმა ფრაუ როვოლტმა მათ შეუღლებას დასტური არ მისცა. ამ ახალგაზრდული სიყვარულის გამოძახილს ვხვდებით მოგვიანებით მის ნოველებში — „იმენზეე", და „ზღვის გაღმა ქვეყნიდან".

სტუდენტობის ბოლო წლებში იგი უახლოვდება ძმებს — თეოდორ და ტიხო მომზენებს, გონებაგახსნილ, ენერგიულ ახალგაზრდებს, რომლებიც გატაცებულნი იყვნენ პოეზიითა და ხალხური შემოქმედებით (ერთი შემდგომ ცნობილი ისტორიკოსი გახდა, მეორე — გამოჩენილი ფილოლოგი). მათთან ერთად მოგზაურობს ახალგაზრდა შტორმი შლეზვიგ-ჰოლშტაინის სოფლებში და ზღაპრებსა და ლეგენდებს აგროვებს. მაშინ ჩაწერილი მასალები 1845 წელს კარლ მიულენჰოფმა გამოსცა კრებულში — „შლეზვიგ-ჰოლშტაინ-ლაუენბურგის საჰერცოგოების საგები, ლეგენდები და ზღაპრები".

1843 წელს შტორმი ამთავრებს უნივერსიტეტს და ჰუზუმში ვექილად იწყებს მოღვაწეობას. ოჯახური მდგომარეობის წყალობით მას კარგი იურიდიული პრაქტიკა და გვარიანი მატერიალური შემოსავალი ჰქონდა.

ამავე წელს გაიცნო ზეგებერგელი ბურგომისტრის ქალიშვილი, მეტად ლამაზი, მხიარული და დიდი ადამიანური გულის კონსტანცა ესმარში, რომელზეც სამი წლის შემდეგ იქორწინა კიდეც. ცოლ-ქმარი ბედნიერად შეეთვისა ერთმანეთს. აქედან მოკიდებული დანიელთა ოკუპაციამდე შტორმი გარეგნულად შეძლებუ-

ლი ბიურგერის მშვიდ ცხოვრებას ეძლევა. მაგრამ სხვა იყო ამ კეთილსინდისიერი ვექილის შინაგანი სამყარო. ამ პერიოდში შტორმი ეცნობა რომანტიკოსთა (ჰოფმანი, ტიკი) შემოქმედებას, ჰაინეს ახალ ლექსებს, გოეთეს „ვილჰელმ მაისტერს", იმერმანის „მიუნხჰაუზენს" და სხვ. ამასთან ერთად კვლავ ამუშავებს და ბეჭდავს ხალხურ ზღაპრებს.

პირველი გალექსილი სტროფები თორმეტი წლის შტორმმა საყვარელი დის, ექვსი წლის ლუციას გარდაცვალებით გულშეძრულმა დაწერა. ხოლო მისი ლექსები პირველად დაისტამბა უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, 1843 წელს, კრებულში — „სამი მეგობრის სიმღერათა წიგნი", სადაც ძმებ მომზენების ლექსებიც იყო დაბეჭდილი. კრებულში წარმოდგენილი შტორმის ლექსების თემატიკა ჯერ კიდევ ვიწროა. იგი ძირითადად სიყვარულს უგალობს. ლექსები მხატვრული ღირებულებით არ გამოირჩევა.

შტორმი, როგორც პოეტი და ნოველისტი ძირითადად ჰუზუმში ჩამოყალიბდა. მისი სულიერი სამყარო პირველად ლირიკულ ლექსებში გახდა საცნაური. ამ პერიოდში იგი ინტიმურ გრძნობებს უგალობს. ახალგაზრდული წლების რომანტიკულმა განცდებმა განაპირობა თ. შტორმის გულშიჩამწვდომი ლექსების შექმნა. სიყვარულის თემასთან ერთად მის ლექსებში აისახა მშობლიური ფრიზლანდიის ბუნება და პეიზაჟები — ნისლიანი შემოდგომა, აბობოქრებული ზღვა, გაძარცული ბაღი, განშორებით გამოწვეული კაეშანი და სხვა რთული ადამიანური გრძნობები.

შტორმი მუდამ მოხდენილი და ნატიფი ფრაზის ძიებაშია. უყვარს ბუნების ხმა, სძულს და აშინებს მჭახე ხმები, მყვირალა ფერები, ელვარე სიტყვები, ღვლარჭნილი სახეები და რაიმე რითმები. სიტყვათა მარაგი მდიდარი აქვს, გამოთქმები მოკლე და უბრალო. საყურადღებოა თ. მანის აზრი შტორმის პოეზიის თა-

ობაზე, გამოთქმული საგანგებოდ ამ პოეტ-ნოველისტის შესახებ დაწერილ ესეში:[1]

„შტორმის ლირიკაში, რომელსაც იგი დაუსრულებლად წმენდავს და ცხრილავს, მხოლოდღა მარგალიტებია დარჩენილი და ყოველ ნაბიჯზე გრძნობებისა და განცდების ისეთ მთრთოლვარე კონცენტრირებას, უბრალოების ისეთ ხელოვნებას ხვდები, რომ რაც უნდა წლები გემატებოდეს... ისევ და ისევ გრძნობ ყელში იმ გუნდას, იმ მღელვარებას, რასაც ცხოვრების შეუბრალებლად ტკბილი, მტანჯველი განცდა იწვევს, რომლის მეოხებითაც ეს ხმა ასე ძალუმად გაჯადოებს თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ასაკში" და შემდეგ: „...სულ ცოტა, მისი ლირიკის ხუთი-ექვსი ნიმუში მაინც შეიძლება დავაყენოთ ადამიანის სულის ყველაზე უფრო წმინდა და ყველაზე უფრო უზენაეს ქმნილებათა გვერდით, რომელთაც გრძნობის სიღრმე და ენის სრულყოფილება უკვდავების უფლებას აძლევს".[2]

შემდგომში მხოლოდ ლირიკული ლექსები შტორმს აღარ აკმაყოფილებს, თანდათან გრძნობს სათქმელის ეპიკური ფორმით გამოხატვის მოთხოვნილებას და ორმოციანი წლებიდან კალამს პროზაშიც ცდის. იწყებს თავის ირგვლივ არსებული ბიურგერული ყოფის მოთხრობებში ასახვას, რომელიც ჯერჯერობით ესკიზები და პროზაული ჩანახატები უფროა. აქ ჭარბობს ბიურგერის იდილიური უშფოთველობა. პატარა ქალაქის განკერძოებული სამყა-

[1] Th Mann — Gesammelte Werke. Zehnter Band. Aufbau—Verlag. Berlin 1955, S. 454.

[2] იქვე, გვ. 455. ვფიქრობთ, საყურადღებოა შევნიშნოთ, რომ თ. მანის ადრეულ შემოქმედებაში მკაფიოდ შეინიშნება თ. შტორმის ზეგავლენა, ამ საკითხს ეხება პროფ. ნ. კაკაბაძე თავის შრომაში „თომას მანი", თბილისი, 1967. გვ. 153—154.

რო ზღუდავს ახალგაზრდა მწერლის თვალთახედვის არეს და სიმართლეს არ არის მოკლებული შტორმის შემოქმედების ერთი მკვლევარის შენიშვნა, — 1848 წლის ქარიშხლიანი ამბები რომ არა, ადვილად შეიძლებოდა იგი რუტინაში ჩაფლულიყოო.

თ. შტორმის ადრინდელი ნოველები განუყოფელია მისი ლირიკისაგან. ერთშიც და მეორეშიც ერთი და იგივე გრძნობები და განწყობილებანია საცნაური. აკი თავადვე ამბობდა — ჩემი ნოველები ჩემივე ლირიკიდან ამოიზარდნენო. ამით იგი გულისხმობდა მათ შორის არსებულ შინაგან კავშირს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ეპიურად ასახული სიტუაცია ისევე, როგორც ლირიკულად გამოკვეთილი მოვლენა, ყოველდღიურობის პროზაული შსვლელობის ერთ მონაკვეთს გამოხატავს, ორივეს ერთნაირად გაუდგამს ფესვი გრძნობად სამყაროში. შტორმის ნოველისტიკისათვის დამახასიათებელია ის, რომ, რომანისაგან განსხვავებით, ადამიანურ ყოფას მთელი სისრულით კი არ ხატავს, არამედ მხოლოდ რომელიმე მომენტს, სიტუაციას იღებს და იმით კმაყოფილდება, რასაც მისი აზრით, შეუძლია თვით უბადრუკ ყოველდღიურობას პოეტური შინაარსი მისცეს.

მისი პირველი პროზაული ნაწარმოებები თავისებური ლექსებია პროზად. მწერალი შორს დგას სინამდვილის მხატვრული ასახვისაგან, გმირთა ხასიათებს აკლიათ გამოკვეთა, მოქმედება არ ვითარდება.

ლ ი რ ი კ უ ლ ი ჩ ა ნ ა ხ ა ტ ებ ი დ ა ნ ნ ო ვ ე ლ ა ზ ე გადასვლა შეინიშნება შტორმის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებში „იმენზეე", რომელმაც მწერალს საყოველთაო აღიარება მოუტანა და მის სიცოცხლეში ოცდაათჯერ გამოიცა.

ამ ნოველაში მნიშვნელოვანია არა იმდენად სიუჟეტი (ქალიშვილის ბედზე მზრუნველი დედა წინ უდგება შეყვარებულ წყვილ-

თა მომავალ ბედნიერებას), არამედ ის მხატვრული საშულება, რომლის დახმარებითაც ავტორი თავის ჩანაფიქრს ახორციელებს. მთავარი ყურადღება აქ მოქმედების განვითარებას კი არ ეხება, არამედ ლირიკული განწყობილების შექმნას — რაინჰარდი ვერ ახერხებს ტბაში გედივით შეცურებულ თეთრ შროშანასთან მიახლოებას. ეს პოეტური სიმბოლიკა რეალური შინაარსის შემცველია — პოეტური სულის რაინჰარდს შეყვარებული ქალის ხელს სტაცებს პრაქტიკოსი საქმოსანი ერიხი და თეთრი შროშანი — ელიზაბეტი — რაინჰარდისათვის მიუღწეველი რჩება.

ნოველაში ჭარბად იგრძნობა ავტორის ფოლკლორული გატაცებანი და ავტობიოგრაფიული მომენტები.

საყურადღებოა ნოველის თავისებური ფორმა, რომელსაც ხშირად მოგონებათა ან განწყობილებათა სურათებს უწოდებენ. ცალკეული ლირიკული ეპიზოდები აღადგენენ მთელი ცხოვრების განვლილ გზას.

1848 წელს დანიის სამეფომ შლეზვიგ-ჰოლშტაინის საჰერცოგოს დანიასთან შეერთება გამოაცხადა. 1850 წელს დანიელებმა ჰუზუმიც დაიკავეს. მოძალადეთა ოკუპაციამ შტორმი მრისხანებით აღავსო. იგი აქვეყნებს პატრიოტული სულით გაჟღენთილი პოლიტიკური ხასიათის ლექსებს და პროკლამაციებს. ამის გამო დანიელებმა 1852 წელს მას ვექილის უფლებები აჰყარეს.

გულდამძიმებული პოეტი იძულებული გახდა გამოსთხოვებოდა მშობლიურ ქალაქს და პოტსდამში გადასულიყო სამეფო სასამართლოს ასესორად. ამ დროს შტორმი უკვე ცნობილი მწერალი იყო.

პოტსდამში ყოფნისას შტორმი უკავშირდება ლიტერატურული გაერთიანების „შპრეეს გვირაბის“ წევრებს, ეცნობა ბერლინის იმდროინდელ ლიტერატორებსა და ხელოვნების მოღვაწეებს.

გაწამებულ იურისტს შემოქმედებითი შრომისათვის პოტსდამში მცირე დროღა რჩებოდა. პრუსიული სამართლის სამყარო ჩემსა და პოეზიას შორის არის გაჩხერილიო, — აღნიშნავდა შტორმი. ამიტომ იძულებულია გადავიდეს ჰუზუმივით პატარა და მყუდრო ქალაქ ჰაილიგენშტატში, სადაც გატარებული რვა წელიწადი ოჯახური ბედნიერებისა და შემოქმედებითი გეგმების განხორციელების თვალსაზრისით, შტორმის ცხოვრების საუკეთესო პერიოდია.

ემიგრაციის წლებში ხდება შტორმის მსოფლგაგების საბოლოო ჩამოყალიბება -ფორმირება. იგი მტკიცედ დგება მხატვრული შემოქმედების რეალისტურ გზაზე. ახალ ლექსებსა და ნოველებს მისთვის ფართო აღიარება მოაქვს. აქ შექმნა მან რამდენიმე რეალისტური ნოველა, სადაც ადრინდელი იდილიური განწყობილების ნაცვლად ნათლად გამოხატული კრიტიკული საწყისი ჭარბობს.

რომანტული ბუნდოვანება, ლირიკული წიაღსვლები ადგილს უთმობს მშვიდ აღწერას მოვლენებისას, რომლებიც თანმიმდევრულად ვითარდება და ერთი კონფლიქტის ირგვლივ იყრის თავს. მოქმედ პერსონაჟებს ახლა მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ხასიათებიც აქვთ. გმირების მოქმედება და ხასიათები განპირობებულია საზოგადოებრივი წინააღმდეგობებით, წოდებრივი დაყოფითა და ეკონომიური მდგომარეობით. ზოგ ნოველაში უკვე ვხვდებით ქალთა უუფლებო მდგომარეობით განპირობებულ ტრაგიკულ კონფლიქტებს („უნივესიტეტში“ და „ზღვის გაღმა ქვეყნიდან“). მკერავი ქალიშვილი ლორა ელტვის ლამაზ ცხოვრებას, უახლოვდება უსულგულო გრაფს და ამით საკუთარ არსებას დასაღუპავად სწირავს.. წინდაუხედაობის გარდა ქალიშვილი საზოგადოებრივი უთანასწორობის მსხვერპლიც ხდება. ასევე იტან-

ჯება გერმანელი პლანტატორისა და ლამაზი კრეოლი ქალის შვილი ჯენიც. გერმანიაში ფუფუნებით გაზრდილი ქალიშვილი შორეულ კუნძულზე დარჩენილი დედის ხატებას ელოლიავება და თავის მორალურ მოვალეობად მიაჩნია მიტოვებულ დედასთან გაიქცეს. გარბის კიდეც, მაგრამ ცივილიზებულ ევროპაში აღზრდილი ქალიშვილი დედის გარემოში თავს უცხოდ გრძნობს და საქმროსთან შემხვედრის სიხარულს ამ გარემოდან თავისდაღწევის იმედი უფრო უძლიერებს.

1866 წელს ი. ტურგენევი ამ ნაწარმოების თაობაზე თ. შტორმს სწერდა „თქვენი მოთხრობა მეტისმეტად ფაქიზია და მშვენიერი. განსაკუთრებული პოეტური სურნელება ასდის ჯენის პიროვნებას; ღამე „მარმარილოს ქანდაკებასთან“ პატარა შედევრია. დღევანდელი ლიტერატურის ტრივიალურობასა და მანჭვა-გრეხას შორის ასეთი ნამუშევარი დიდი სიხარულის მომნიჭებელია“, და იქვე დასძენს: თქვენი მოთხრობისთვის ტრაგიკულ დაბოლოებას ვისურვებდი — სახელდობრ ესთეტურ-მიზანთროპული თვალსაზრისითო.

როგორც ჩანს, ი. ტურგენევმა სწორად შენიშნა ნოველის მთავარი ნაკლი — კონფლიქტის ლოგიკურ ბოლომდე მიუყვანლობა, რაც თვით ავტორსაც არ გამორჩენია მხედველობიდან, და ამის გაგო ნოველის დაბოლოების შეცვლასაც აპირებდა.

1863 წელს, დანიის მეფის სიკვდილის შემდეგ, შტორმს სამშობლოში დაბრუნების იმედი დაესახა. დანიამ დათმო საჰერცოგო და ჰუზუმის მოსახლეობამ ჯერაც ჰაილინგენშტატში მყოფი შტორმი დაუსწრებლად აირჩია ლანდფოგტად, კაიზერის უმაღლეს მოადგილედ. მაგრამ შტორმს ამ მოვალეობის ასრულება დიდხანს არ დასცალდა — შლეზვიგ-ჰოლშტაინი ახლა ბისმარკის

პრუსიამ გამოაცხადა თავის პროვინციად და შტორმი ოლქის მოსამართლის თანამდებობით უნდა დაკმაყოფილებულიყო. დანიელი ოკუპანტები პრუსიელებმა შეცვალეს. შტორმი, როგორც თავისი ქვეყნის უერთგულესი შვილი, პოლიტიკურ ამბებში ცხოველ მონაწილეობას იღებს და საერთო საქმის მხარდასაჭერად გამოდის, ლექსით „შლეზვიგის სანგრები".

დროის მოწოდება, რომელმაც გამოაფხიზლა შტორმის მამულიშვილური შეგრძნება, ყველაზე მეტად მოჩანს დანიელთა ოკუპაციის დროის შექმნილ რამდენიმე გვერდიან ნაწარმოებში — „მწვანე ფოთოლში", რომელიც უფრო იდილიაა, ვიდრე ნოველა. საომრად გამზადებული ჯარისკაცი გაბრიელი ბრძოლის ადგილებიდან მოშორებით მოულოდნელად ხვდება მოხუც პაპასა და ნორჩ გოგონას, რომელიც ზღაპრული ფერია უფროა. ირგვლივ მყუდროება გამეფებულა, მაგრამ ტყის სიმშვიდეს არღვევს ქვემეხების შორეული გუგუნი. გაბრიელი განუმარტავს გულუბრყვილო გოგონას, თუ რატომ არის საჭირო ომში წასვლა: „აი ამ მიწის გამო..."

სამშობლოს უბედობით გულშეძრული შტორმი საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ თანდათან კარგავს ინტერესს. 1865 წელს ამას ემატება დიდი პირადი მწუხარება — უერთგულესი მეუღლის სიკვდილი. „სიყვარული მოკვდავი ადამიანის შიშია მარტო დარჩენის მიმართ", — ამბობს ერთგან შტორმი, და ამჟამად იგი მართლაც ისეთ სიმარტოვეს განიცდის, რომ ცხოვრების ყოველივარი ხალისი ეკარგება. სულიერი კრიზისი დაეუფლა მის შემოქმედებით საქმიანობასაც და წლების მანძილზე აღარაფერს ქმნის.

მეუღლის სიკვდილის შემდეგ შტორმი ხანგრძლივ მოგზაურობას შეუდგა. მოინახულა მრავალი თანამოკალმე. იმავე წლის

სექტემბერში კი დათანხმდა ტურგენევის მიწვევას და ბადენ-ბადენში სამკურნალოდ ჩასული რუსი მწერალი მოინახულა. თავაზიან მასპინძელთან ცხრა დღე დაჰყო, შემდეგ კი მათ შორის წერილობით ურთიერთობა 12 წელიწადს არ შემწყდარა (შემორჩენილია ტურგენევის 7 და შტორმის ერთი წერილი).

შტორმის სულიერი წონასწორობის აღდგენაში დიდი როლი ითამაშა კონსტანცას მეგობარმა დორის იენსენმა, რომელიც შტორმს ახალგაზრდობიდანვე აღმერთებდა. ფიზიკურად უნაკლო სილამაზის, სულიერად სათნო და ფაქიზი იენსენი მტკივნეულად განიცდიდა შტორმის მწუხარებას. იგი მზად იყო მხარში ამოსდგომოდა დამწუხრებულ პოეტს და ეტვირთა მისი შვიდი შვილის აღზრდის სიმძიმე. მეორე მეუღლე მართლაც შტორმის საუკეთესო მეგობარი აღმოჩნდა. შემდგომში შტორმმა აღიარა, — ეს ორივე ქალი მხოლოდ ჩემი ცხოვრების თანაზიარები კი არ იყვნენ, არამედ ჩემი პოეზიის შთაგონების წყაროსაც წარმოადგენდნენო.

თავის ყველაზე სრულყოფილ ნაწარმოებებს შტორმი საბოცდაათ-ოთხმოციან წლებში ქმნის. იგი იწყებს ისტორიული ანალების შესწავლას, თუმცა იმდენად ისტორიული მოვლენები კი არ აინტერესებს, რამდენადაც ამ მოვლენებთან დაკავშირებული ადამიანების ბედ-იღბალი. მის შემოქმედებაში თანდათან მთავარ ადგილს იჭერს საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობრიობანი, კასტობრივი დაყოფა და სოციალური უთანასწორობა. თავად-აზნაურობა და ეკლესია დახატულია, როგორც კულტურისა და პროგრესის წინააღმდეგ მიმართული ძალები. ამ მხრივ საინტერესოა მისი ისტორიული ქრონიკები. „თავადაზნაურობა, ისევე როგორც ეკლესია ენის ძარღვებში ჩაღვრილ შხამს წარმოადგენს... დამპალი იუნკრობა გზას უხშობს ერის სულიერ და მორალურ განვითარებას", — აღნიშ-

ნავდა თ. შტორმი თავის კერძო წერილებში. სწორედ ამიტომ იყო, რომ „ძველსა და ახალს შორის სოციალურ ბრძოლაზე“ ლაპარაკის დროს თვითონაც სურდა „დემოკრატიის ტირტეოსის“ მსგავსად მიეღო მონაწილეობა და იმედოვნებდა, რომ თავისი დროის „მოძალადეებზე“ კალმით მოახდენდა ზეგავლენას.

პატრიარქალურ-ბიურგერული ყოფა, ძველი ტრადიციები ვეღარ უქმნის მწერალს ილუზიას, მისთვის იგი განიძარცვა და ფასი დაკარგა.

შტორმის ნოველებში განსაკუთრებული ადგილი უკავია და მისი ფსიქოლოგიური ნოველებისაგან არსებითად განსხვავდება მოთხრობა „თოჯინების ოსტატი პოლე“, რომლის ცენტრშიც სოციალური პრობლემა დგას. სათაურივე გვამცნობს, რომ ადამიანური გულის მქონე და ცრურწმენებისაგან თავისუფალი ხელოსანი, რომელსაც აგდებით პაულის ნაცვლად პოლედ იხსენიებენ, შერისხულია საზოგადოების მიერ მხოლოდ იმიტომ, რომ მას აღმოაჩნდა გაბედულება და „მოხეტიალე ხალხის“ ქალიშვილი შეირთო ცოლად.

თოჯინების სპექტაკლებისა და მოხეტიალე აქტიორთა მოხდენილი აღწერა, გმირთა ხასიათების მოქმედებაში ჩვენება, სამხრეთ გერმანული დიალექტიზმებით აღსავსე ენა, ძალდაუტანებელი იუმორი წარმოადგენს ამ რეალისტური ნოველის თავისებურებას. უკანა პლანზე გადაწეულია დაძაბული ურთიერთობა ჯერაც ისევ წოდებრივი წარმოდგენების ტყვეობაში მყოფ მეშჩანებსა და საზოგადოებისაგან გარიყულ მეთოჯინეთა შორის. ეს არის ნოველის ძირითადი ნერვი. ამის გარეშე არ იქნებოდა ნოველისათვის საჭირო ნიადაგი, რომელიც იქმნება ორი ბავშვის — ხელოსნის ვაჟიშვილისა და მოხუცი მეთოჯინეს გოგონას განსხვავებულ პირობებში აღზრდით და შემდეგ მძაფრდება მოვლენათა განვითარებით, თოჯი-

ნების სპექტაკლის დროს მომხდარი სკანდალითა და მოხუცი მე-თოჯინეს დაღუპვით.

ორი ბავშვის წარმტაცად აღწერილი ურთიერთობა, ახალგაზ-რდა შეყვარებულთა ბედნიერების ტრიუმფი — შტორმის ოპტი-მიზმია, რომელსაც სწამს, რომ კეთილმა უნდა სძლიოს ბოროტს, რომ მომავალი სოციალური ურთიერთობა ჰარმონიული იქნება, თუმცაღა ამისათვის საკმაო სიძნელეთა გადალასვაა საჭირო.

ნოველაში მწერლის მთელი სიმპათიები მშრომელი ხალხის მხარეზეა. მოხუცი ტენდლერის სულიერი ბუნების ჩვენებით შტო-რმი გვეუბნება, სწორედ ეს უბრალო, არაფრის მქონე ადამი-ანები არიან ერის სულიერი სიმდიდრის მატარებლები, რადგან მათში გაუდგამს ფესვი ხელოვნების სიყვარულს, მათ უცემთ მოყვასისადმი თავდადებული გულიო.

ნოველა ახალგაზრდული ჟურნალის დაკვეთით დაიწერა, მაგ-რამ მას ზრდადასრულებულნიც სიამოვნებით კითხულობენ, შტორ-მი არ იზიარებდა იმ აზრს, საჭიროა მწერალი მკითხველის ასა-კობრივ მოთხოვნილებას შეეგუოსო. იგი ამბობდა: „თუ გინდა წერო ახალგაზრდობისთვის, ახალგაზრდობისთვის არ უნდა წერო! ხელოვნებასთან შეუთავსებელია, მასალა იმისდა მიხედ-ვით დაამუშაო, თუ ვინ იქნება შენი მკითხველი — დიდი პეტერი, თუ პატარა ჰანსი“.

რესტავრაციის ეპოქის ბიურგერს მტკიცედ სჯეროდა, რომ ცხოვრებისაგან გაწამებული ადამიანი სიმშვიდეს ბუნების წიაღში ჰპოვებდა. ეს სოციალური ილუზია გაანადგურა თ. შტორმმა ნო-ველებში — „ტყის ყურე“.

რიჰარდმა სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეი ობისათვის რამდენიმე წელიწადი ციხეში გაატარა, ამას ზედ დაერ-

თო ოჯახური უსიამოვნებაც.. მას ვერ უპოვნია ცხოვრებაში თავისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა. იმედგაცრუებული რიჰარდი ხალხს ზურგს აქცევს და ტყეში განმარტოებული ცხოვრების სიცარიელეს ბოტანიკოსის საქმიანობით ავსებს. მაგრამ მისი ცდა — ჩაიკეტოს ხელოვნურად შექმნილ იდილიურ სამყაროში, მარცხით მთავრდება: ცხოვრებისაგან გამდგარი, ხანდაზმული ადამიანის მიერ ახალგაზრდა გოგონას მფარველობა, რათა იგი მატერიალური გაჭირვებისა და მორალური გახრწნისაგან იხსნას, საყვარულო ურთიერთობის ხელშემწყობი ნიადაგი აღმოჩნდება. მაგრამ ნოველის ორივე ძირითადი პერსონაჟი ურთიერთისათვის უცხონი რჩებიან — ჩვიდმეტი წლის გოგონას სურვილები სრულიად სხვაა, ორმოცდაათს მიღწეული მამაკაცისა კი — სხვა. ეს არის კონფლიქტის დედააზრი. ფრანცისკა ფედერსის ბუნებრივი მისწრაფებანი, რაც მისი ასაკით არის განპირობებული, წარმოაჩენს რიჰარდის ილუზიების გაქარწყლების აუცილებელ წინაპირობას.

თავისი ბერძნულ-ანტიკური აქცენტით „ფსიქეა" შტორმის ნოველათაგან ერთგვარად განკერძოებით დგას. შტორმს სხვა ნოველებში არასდროს მიუმართავს ანტიკური თემისა და ფორმისათვის, რადგან ფიქრობდა, მწერალი რეალურ ყოფას არ უნდა გაურბოდესო.. მაგრამ ეროვნული სიამაყის გამო შტორმს სურდა თავისი დროის კლასიცისტთა მიმდევრებისათვის დაემტკიცებინა, რომ მრავალთა მიერ ნაგალობები ბერძნული მშვენიერება ყველგან იყო, რომ ხელუხლებელი, პირველყოფილი პოეზიითა და მშვენიერებით აღსავსე ბუნება მარტო სამხრეთის, ძველი ელადის უპირატესობას კი არ წამოადგენდა, არამედ გერმანიის უკიდურესი დილოეთის ყოველდღიურობაშიც მოიძებნებოდა. ამ აზრის და-

დასტურებას წარმოადგენს ნოველა „ფსიქეა", რომელსაც თ. მანი „ანტიკურად წარმტაც, თავისუფალ და სიხარულის აღმძვრელ მოთხრობას" უწოდებს.

ნოველაში კარგად მოჩანს ხელოვნების ცნების შტორმისეული გაგება. ჯერ კიდევ მის დაწერამდე ორი ათეული წლით ადრე შტორმმა ერთ რეცენზიაში გამოთქვა აზრი, — რომ „...როგორც საერთოდ პოეზიაში, ლირიკულ ლექსშიც მხოლოდ სინამდვილე კი არ უნდა ქმნიდეს მის საძირკველს, არამედ განცდაც".

რასაც შტორმი „განცდას" უწოდებს, ნოველაში სიყვარულის ფორმას იძენს. ამიტომ ხელოვნებაზე შექმნილი ეს ნოველა სიყვარულის ისტორიაც არის. ნოველის მეორე ნაწილში ავტორი ხელოვანს საქმეს მიუჩენს — მას სურს სინამდვილეში განცდილს ხელოვნების ქმნილებაში შეასხას ხორცი და ამით გვიჩვენოს, თუ როგორ იძენს ეს „განცდა" კონკრეტულ სახეს ხელოვნების ზეშთაგონებული ხელის შეხებით.

ჯერ კიდევ კილში ყოფნის დროს უახლოესი მეგობრების როზესა და მომზენების მეშვეობით, რომლებიც მისი ნაწერების უშეღავათო კრიტიკოსები იყვნენ, შტორმი მიეჩვია საკუთარი შემოქმედების კრიტიკულად შეფასებას. აქედან მოკიდებული მუდამ კრიტიკული თვალით წონიდა თავის ნამუშევარს და მადლობით იღებდა სხვათა მიერ გამოთქმულ შენიშვნებსაც. მას მეტად განვითარებული ჰქონდა სიტყვის სილამაზის შეგრძნება. განსაკუთრებით ზრუნავდა იმაზე, რომ ნოველას არ მოჰკლებოდა მთლიანობა და ფსიქოლოგიური დამაჯერებლობა. ნაწარმოებში იგი კმაყოფილდება მცირე მოქმედი პირებით, უარს ამბობს ფართოპლანიან მოქმედებაზე, ამბავს ისე აღწერს, თითქოს სცენაზე წარმოდგენას ვუყურებთო. ეს არც არის გასაკვირველი — შტორმი

ნოველას „დრამის დას“ უწოდებდა. „დრამის მსგავსად, ნოველაც ადამიანური ყოფის ღრმა პრობლემებს ეხება. იმისათვის, რომ სრულყოფას მიაღწიოს, იგიც, დრამის მსგავსად, საჭიროებს მაორგანიზებელ მთლიანობას და ამის შედეგად უფრო შეკუმშულ ფორმასა და ყოველგვარი არაარსებითის ჩამოშორებას“.

მისი ენა, რომელსაც თავიდან მკვეთრად გამოხატული ლირიკული შეფერილობა ემჩნეოდა, თანდათან საქმიან ხასიათს იძენს, მკაფიო და მარტივი სდება. დაუღალავად ხვეწს და აშალაშინებს ყოველ ფრაზას, ხშირად მიმართავს ნაწერების გადაკეთებას. „ერთ ყალბ და უფერულ გამოთქმასაც კი შეუძლია დაარღვიოს მთლიანობის შთაბეჭდილება“, — ამბობდა შტორმი. ამის გამო მართებულად შენიშნავს გოტფრიდ კელერი, — შტორმი მოკრძალებული ოქრომჭედელი და ვერცხლის ფილიგრანულად დამმუშავებელი იყოო.

მწერლის შემოქმედებითი დიაპაზონი თანდათან იზრდება და ზენიტს აღწევს სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში, როცა ქმნის თავის ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებებს. ამ პერიოდში საგრძნობი ხდება მისი კრიტიკული დამოკიდებულება სინამდვილისადმი, აღარ ცდილობს ცხოვრებისეული წინააღმდეგობების შელამაზებას.

შტორმის მოთხრობებში, საერთოდ, დიდი ადგილი ეთმობა იდუმალისა და საშინელის აღწერა-გადმოცემას, მას საერთოდ ახასიათებს აჩრდილთა და მოჩვენებათა სამყაროსაკენ სწრაფვა. ხალხურ ცრურწმენებზე დაფუძნებული გადმოცემებისადმი მიდრეკილება შტორმ-ნოველისტს ბოლომდე მიჰყვება. იგი ამას გვერდს ვერ უვლის ვერც ბოლო დასრულებულ ნაწარმოებში — „თეთრცხენიანი მხედარი“ და ვერც დაუსრულებლად

დარჩენილ ნოველაში — „მონანიე ცოდვილის ზარი". მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ნოველათა უმრავლესობაში მოჩვენებანი, წინათგრძნობა, სიზმარი ირეალობისაკენ კი არ გვიბიძგებს, არამედ უკავშირდებიან რეალურ სამყაროს, ჩვეულებრივ საგნებსა და მოვლენებს, რომლის შეცნობაც გონებით შეიძლება. ირეალური მოვლენის ახსნას ჩვეულებრივით ცდილობს, სიზმრისეულ აჩრდილებს ფსიქოლოგიურ საფუძველს უქმნის, ხოლო მოჩვენებებზე შექმნილ ამბებსა და ცრუმორწმუნეობრივ გადმოცემებს ნიადაგს აცლის.

„თეთრცხენიან მხედარში" მკითხველი ერთმანეთის გვერდით ხედავს მართალსა და არარეალურს; აქ რომ ჯებირის ზედამხედველის ჰაუკე ჰაიენის ცხოვრების ამბებს გადმოგვცემს, იქვე ამავე პერსონაჟის მოჩვენებადქცეული არსების შესახებ მოგვითხრობს. თეთრცხენიანი მხედარი მის ნაწარმოებში ისტორიული რეალობაც არის და მოჩვენებადქცეული არსებაც. მაგრამ ორივე ერთმანეთს ერწყმის და ურთიერთს ავსებს — თუ აჩრდილადქცეული მხედარი უფსკრულში ვარდება, ამავეს სჩადის ჯებირის ზედამხედველიც. ნაწარმოებში მისტიკური მოტივის შემოტანით იგი ქმნის თავისებურ ფრიზლანდიურ კოლორიტს და გვიჩვენებს იმას, თუ ნამდვილი ამბავი, ხალხის შეგნებაში, როგორ გადაიქცევა მითად. ამით არის განპირობებული ნაწარმოებში ყოფით-ეთნოგრაფიული წვრილმანების, მეტყველებაში ქვემოგერმანული დიალექტის შემოტანა, ფრიზლანდიური წეს-ჩვეულებებისა და ხალხური თამაშების აღწერა და სხვანი.

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟი ჯებირების ზედამხედველი ჰაუკე ჰაიენია. თქმულების მიხედვით, იგი თავისი მხარის ღირსეული, ღვიძლი შვილია, მისი სისხლი და ხორცი. ავტორი თან-

მიმდევრობთ გადმოგვცემს მისი ცხოვრების გზას — ბავშვობიდან სიკვდილამდე და იგი ჩვენს თვალწინ ყალიბდება, როგორც ძლიერი პიროვნება, როგორც ნამდვილი სახალხო გმირი, რომლისთვისაც უცხოა ვიწრო პირადი ინტერესები და მხოლოდ მთელი თემის სიკეთისათვის ზრუნვა გაუხდია თავისი საქმიანობის დედააზრად.

ჯერ კიდევ ბავშვი იყო ჰაუკე, როცა დარწმუნდა, რომ არსებული ჯებირებით აბობოქრებული ჩრდილოეთის ზღვისაგან მიწების დაცვა არასაიმედო იყო. უკვე ზედამხედველად არჩეული ჰაუკე შეუდგა საკუთარი გეგმის მიხედვით ჩაფიქრებული ჯებირის მშენებლობას. მაგრამ თავისი მოღვაწეობის გზაზე ჰაუკე აწყდება თემის წინააღმდეგობას, ხალხის სულმდაბლობასა და უმეცრებას, რადგან თანასოფლელებს მისი მტკიცე ნებისყოფა და დაუშრეტელი ენერგია ცრუმორწმუნეობრივ შიშს უნერგავს, მასში თავიანთ მტერს ხედავენ და ბოროტ ზრახვებს აწერენ. მაგრამ თანამედროვეთა მიერ შეუცნობ ჰაუკეს მომავალი თაობები აღიარებენ.

ამ ვრცელ მოთხრობას განსაკუთრებული ადგილი უკავია თ. შტორმის შემოქმედებაში. თ. მანი ზემოხსენებულ ესეიში „თეთრცხენიან მხედარს" უმაღლეს და უგაბედულეს ნაწარმოებს უწოდებს და აღნიშნავს რომ, ამ მონუმენტური ნაწარმოებით მან ნოველა სხვათა მიერ ჯერაც მიუღწეველ სიმაღლეზე აიყვანაო.

1180 წელს თ. შტორმმა სამსახურს თავი დაანება და მამისეულ სოფელ ჰადემარშენში დასახლდა. ექვსი წლის შემდეგ ავად გახდა კუჭის კიბოთი და 1888 წლის 4 ივლისს გარდაიცვალა.

ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე შტორმმა სამოცამდე ნოველა და რამდენიმე ასეული ლირიკული ლექსი დაწერა. აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის გერმანული ლიტერატურის რეალისტ მწერალთა დიდ წარმომადგენლებს ქართველი მკითხველი დღემდე არ იცნობდა. ამ თარგმანით ეს ხარვეზი ერთგვარად ივსება.

ოთარ ხუციშვილი

ი ე მ ე ნ ზ ე

ბ ე რ ი კ ა ც ი

გვიანი შემოდგომის ერთ საღამოს კარგად ჩაცმული ხანშიშესული მამაკაცი ქუჩას მიუყვებოდა. ეტყობოდა, სეირნობიდან შინ ბრუნდებოდა. მოდაგადასული აბზინდიანი ფეხსაცმელები საკმაოდ გამტვრიანებოდა. იღლიაში ოქროსბუნიკიანი ლერწმის გრძელი საბიჯგი ჯოხი ამოეჩარა. შავი თვალებით, რომლებშიც კვლავ კიაფობდა აწ გარდასული სიჭაბუკე და თოვლივით თეთრი თმის ფონზე მკვეთრად გამოკრთოდა, ხან ახლომახლო მიდამოს ათვალიერებდა მშვიდად, ხან წინ გაშლილ დაისის მზით განათებულ ქალაქს გადახედავდა ხოლმე. ადგილობრივი არ უნდა ყოფილიყო, რაღგან გამვლელთაგან მხოლოდ ცოტანი ესალმებოდნენ, თუმცა ზოგი მის დინჯ მზერას უნებლიეთ ყურადღებას აქცევდა. ბოლოს მა-

მაკაცი ერთ მაღალფრონტონიან სახლთან შედგა, ერთხელ კიდევ გადახედა ქალაქს და წინკარში შევიდა. ზარის წკარუნზე სარკმელზე მწვანე ფარდა აიწია და მოხუცი ქალის სახე გამოჩნდა. მამაკაცმა მას ლერწმის ჯოხი დაუქნია და სამხრეთული კილოთი უთხრა:

— შუქი არ არის საჭირო.

დიასახლისმა ფარდა ისევ დაუშვა. მოხუცმა მამაკაცმა ვრცელი წინკარი გაიარა, შემდეგ ოთახი, სადაც კედლებთან ფაიფურისლარნაკებიანი მუხის კარადები იდგა და მოპირდაპირე კარით პატარა ტალანში გავიდა. აქედან, სახლის უკანა მხარეს, მეორე სართულისაკენ ვიწრო კიბე მიემართებოდა. კიბეს ნელა აუყვა, კარი შეაღო და საშუალო ზომის ოთახში შევიდა. ოთახში სიჩუმე და იდუმალება სუფევდა. ერთი კედელი თითქმის მთლიანად წიგნის კარადებსა და თაროებს ეკავა.

მეორე მხარეს პორტრეტები და პეიზაჟები ეკიდა. მწვანესუფრიან მაგიდაზე რამდენიმე გადაშლილი წიგნი იდო, მაგიდის წინ წითელ ხავერდისბალიშიანი მძიმე სავარძელი იდგა. მოხუცმა ქუდი და ხელჯოხი კუთხეში დადო, გულხელი დაიკრიფა და დასასვენებლად სავარძელში ჩაეშვა. კარგა ხანს იჯდა ასე. თანდათან ბინდდებოდა, ბოლოს კედელზე გაკრულ სურათებს ფანჯარაში შემოპარული მთვარის სხივი დაეცა. სხივის ნელ გადანაცვლებას უნებლიეთ კაცის მზერაც თან მიჰყვებოდა. აი, სინათლე უბრალო შავ ჩარჩოში ჩასმულ პატარა სურათს დაეცა.

— ელიზაბეტ!—წარმოთქვა მოხუცმა წყნარად. ამ სიტყვის წარმოთქმაზე თითქოს დრომ უკან დაიხია და მოხუცი სიჭაბუკის მოგონებებში ჩაიძირა.

უმალ თვალწინ დაუდგა პატარა კოპწია გოგონა. მას ელიზაბეტი ერქვა და ხუთი წლის თუ იქნებოდა. თვითონ კი ორი იმხელა იყო. ყელზე ელიზაბეტს აბრეშუმის წითელი ყელსახვევი ეკეთა, რომელიც მის მუქ თაფლისფერ თვალებს ძალზე შვენოდა.

— რაინჰარდ! — შესძახა მან, — თავისუფლები ვართ! დღეს სწავლა არა გვაქვს, არც ხვალ.

რაინჰარდმა გრიფელის დაფა მაშინვე კარს ამოაფარა და ორივენი ბაღში გაცვივდნენ, აქედან კი ველზე გაინავარდეს. მოულოდნელმა არდადეგებმა სწორედ დროზე მოუსწრო მათ. ელიზაბეტის დახმარებით რაინჰარდს აქ ბელტებით სახლი აეშენებინა და იქ აპირებდნენ ზაფხულის საღამოების გატარებას. მაგრამ სკამი არ ჰქონდათ. რაინჰარდი მაშინვე საქმეს შეუდგა; ლურსმანი, ჩაქუჩი და საჭირო ფიცრები იქვე ელაგა. ელიზაბეტი მიწაყრილზე გავიდა და წინსაფარში გარეული ბალბის ბეჭდისებური თესლის შეგროვებას შეუდგა, რომ შემდეგ ძეწკვი და სამაჯურები გაეკეთებინა. როცა რაინჰარდმა, ბოლოს და ბოლოს, სკამი გააკეთა, თუმც ბევრი ლურსმანი წაღმა-უკუღმა დააჭედა, და მზეზე გამოვიდა, ელიზაბეტი უკვე შორს, მინდვრის ბოლოს იყო.

— ელიზაბეტ! ელიზაბეტ! — გასძახა რაინჰარდმა და ელიზაბეტიც კულულების რხევით მისკენ გამოიქცა.

— წამო, ჩვენი სახლი მზად არის. ო, როგორ გახურებულხარ, მოდი, ახალ სკამზე ჩამოვსხდეთ. გიამბობ რამეს.

ბავშვები სახლში შევიდნენ და სკამზე დასხდნენ. ელიზაბეტმა წინსაფრიდან ბალბის რგოლები ამოალაგა და ძაფზე ასხმა დაუწყო. რაინჰარდი თხრობას შეუდგა.

— იყო და არა იყო რა, იყო სამი მრთველი ქალი.

— ოჰ, ეს ზღაპარი ზეპირად ვიცი, რაღა ხულ ერთხა და იმავეს მიყვები! — წამოიძახა ელიზაბეტმა.

რაინჰარდი იძულებული გახდა ამ ზღაპრისათვის თავი დაენებებინა და ამის ნაცვლად ეამბნა ზღაპარი საწყალი კაცისა, რომელიც ლომს ბუნაგში შეუგდეს.

— ჰოდა დაღამდა, — განაგრძო რაინჰარდმა. — ისე დაბნელდა, რომ აღარაფერი ჩანდა. ლომებმა დაიძინეს. ძილში ხანდახან ამთქნარებდნენ და წითელ ენას ყოფდნენ. ამის დანახვაზე კაცი შიშით ცახცახებდა. მალე მოეჩვენა, თენდებაო. უცბად ბუნაგი განათდა. ზემოთ რომ აიხედა, ანგელოზი დაინახა: ანგელოზმა კაცს ხელი დაუქნია და წინ აღმართულ კლდეზე გადაიარა.

ელიზაბეტი ყურადღებით უსმენდა.

— ანგელოზი? მერე ფრთები ჰქონდა? — იკითხა მან.

— ეს ხომ ზღაპარია, — უპასუხა რაინჰარდმა, — ანგელოზები მართლა კი არ არიან.

— ოჰ, რაინჰარდ! — წამოიძახა ელიზაბეტმა და ბიჭს დაჟინებით შეაცქერდა სახეში, მაგრამ რაკი რაინჰარდი მოიღუშა, ელიზაბეტმა ყოყმანით ჰკითხა:—რატომ ლაპარაკობენ სულ ანგელოზებზე? შინ — დედა და დეიდა, სკოლაში—მასწავლებლები?

— აბა, მე რა ვიცი, — მიუგო რაინჰარდმა.

— არც ლომები არსებობენ?

— ლომებიო? ლომებით ინდოეთი სავსეა. ჭურუმები ლომებს ურემში აბამენ და უდაბნოში ისე მიემგზავრებიან. მე რომ გავიზრდები, ინდოეთში წავალ. იქ ათასჯერ ჯობეთესია, ვიდრე ჩვენთან. ინდოეთში ზამთარიც არ იცის. წამოხვალ ჩემთან?

— კი, წამოვალ, მაგრამ ჩემი დედიკოც წამოვიდეს და შენი დედიკოც.

— არა, ისინი მაშინ მოხუცები იქნებიან და ჩვენთან ვერ წამოელენ.

— მარტო ჩემი წამოსვლა რომ არ შეიძლება?

— უნდა შეიძლო! მაშინ შენ ჩემი ნამდვილი ცოლი იქნები და სხვები ვერაფერს გიბრძანებენ.

— დედაჩემი რომ იტირებს?

— ჩვენ ხომ ისევ დავბრუნდებით, — გაბრაზებით წამოიძახა რაინჰარდმა და უცბად შეუტია: — ახლავე მითხარი, წამოხვალ თუ არა? თუ არ წამოხვალ, მარტო წავალ და აღარც დავბრუნდები.

ელიზაბეტს ცრემლი მოერია:

— ეგრე ნუ მიბრაზდები, მეც მინდა ინდოეთში წამოსვლა.

გახარებულმა რაინჰარდმა გოგოს ორივე ხელი ჩაჰკიდა და მინდორში გაიქცნენ.

— ინდოეთისკენ! ინდოეთისკენ! — ამღერდა რაინჰარდი და ელიზაბეტი ისე დაატრიალა, რომ წითელი ყელსახვევი შემოეხვია. მერე უცბად ხელი გაუშვა და სერიოზულად უთხრა: — არაფერი არ გამოვა, გამბედაობა არ გეყოფა.

— ელიზაბეტ! რაინჰარდ! — გაისმა ბაღიდან.

— აქა ვართ! — გასძახეს ბავშვებმა და ხელიხელჩაკიდებულნი სახლისკენ გაიქცნენ.

ტყეში

ასე ცხოვრობდნენ ბავშვები ერთად. ელიზაბეტი რაინჰარდს ხშირად თვინიერი ეჩვენებოდა, რაინჰარდი კი ელიზა-

ბეტს გულფიცხი, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდათ ისევ ერთად ყოფილიყვნენ. თითქმის ყოველ თავისუფალ საათს ერთად ატარებდნენ, ზამთარში — დედების მყუდრო ოთახებში, ზაფხულობით—ტყესა და მინდორში.

ერთხელ, როცა მასწავლებელმა ელიზაბეტი რაღაცაზე გაკიცხა, რაინჰარდმა ბრიფელის დაფა მაგიდაზე დაახეთქა, რომ მასწავლებლის რისხვა თავისკენ მიეპყრო. მაგრამ მასწავლებელმა ეს ვერ შეამჩნია. ამის შემდეგ რაინჰარდს გეოგრაფია აღარ აინტერესებდა, მის ნაცვლად ლექსის თხზვა დაიწყო. ლექსში თავის თავს ახალგაზრდა არწივს ადარებდა, გეოგრაფიის მასწავლებელს კი—რუხ ყვავს, ხოლო ელიზაბეტი თეთრი მტრედი იყო. არწივი საზეიმოდ ფიცს სდებდა, როგორც კი ფრთები წამომეზრდება, რუხ ყვავზე შურს ვიძიებო. ახალგაზრდა პოეტს თვალები ცრემლით ავსებოდა —თავი ნამდვილ რაინდად წარმოედგინა. სახლში რომ დაბრუნდა, სადღაც პერგამენტის თეთრფურცლებიანი პატარა რვეული იშოვა და პირველ გვერდზე ლამაზი ხელით თავისი პირველი ლექსი ჩაწერა.

ამ ამბის შემდეგ რაინჰარდი მალე სხვა სკოლაში გადავიდა. იქ თავის ტოლ ბიჭებს დაუამხანაგდა, მაგრამ ელიზაბეტთან ურთიერთობა მაინც არ შეუწყვეტია. რაინჰარდმა დაიწყო იმ ზღაპრების ჩაწერა, რომლებიც ელიზაბეტს განსაკუთრებით მოსწონდა. როცა უამბობდა, ხანდახან საკუთარი გამონაგონის დამატებაც მოუნდებოდა ხოლმე, მაგრამ ამას ყოველთვის ვერ ახერხებდა. უმეტესად ისე იწერდა, როგორც მოესმინა. ჩანაწერებს შემდეგ ელიზაბეტს აძლევდა, ის კი ზარდახშაში ინახავდა. რაინჰარდი უჩვეულო სიამოვნებას განიცდიდა, რო-

ცა ზოგჯერ საღამოობით ელიზაბეტი მისი თანდასწრებით ამ ზღაპრებს დედას წაუკითხავდა ხოლმე.

გაიარა შვიდმა წელმა. სწავლის გასაგრძელებლად რაინჰარდი მშობლიური ქალაქიდან უნდა გამგზავრებულიყო. ელიზაბეტს ვერ წარმოედგინა, როგორ უნდა გაეძლო რამდენიმე წელიწადს ურაინჰარდოდ. გოგოს ძალზე გაეხარდა, როცა რაინჰარდმა ერთხელ უთხრა, ზღაპრებს წინანდებურად დავწერ შენთვის და დედაჩემის წერილთან ერთად გამოვგზავნი, შენ კი მომწერე, მოგეწონება თუ არაო.

ახლოვდებოდა გამგზავრების დღე. პერგამენტის რვეული კიდევ რამდენიმე ლექსით შეივსო. ამ ლექსების შთაგონების წყარო ელიზაბეტი იყო, მაგრამ ავტორი მათ ელიზაბეტს არ აკითხებდა.

ივნისი დადგა. რაინჰარდი მეორე დღეს უნდა გამგზავრებულიყო. შინაურებს სურდათ მისი გამგზავრების წინა დღე ერთად გაეტარებინათ. მახლობელთა დიდმა ჯგუფმა თავი მოიყარა და ქალაქგარეთ ტყეში გაისეირნა. ტყის პირამდე ერთი საათი ეტლებით იარეს, სანოვაგით სავსე კალათები ჩამოიღეს და გზა ფეხით განაგრძეს. ჯერ ნაძვნარი უნდა გაევლოთ. ნაძვნარი დაბინდული და გრილი იყო, მიწა კი წიწვნარის ფაქიზი ნემსებით მოფენილი. ნახევარსაათიანი სიარულის შემდეგ ჩაბნელებული ნაძვნარიდან ნორჩ წიფლნარში შევიდნენ. იქაურობა მწვანეში ჩაფლულიყო, ხშირ ფოთლებში აქა-იქ მზის სხივები იჭრებოდა. ზემოთ ტოტიდან ტოტზე ციყვი დახტოდა.

მინდორზე შეისვენეს, სადაც ასწლოვან წიფლებს ტოტები ერთმანეთისათვის გადაეჭდოთ და გამჭვირვალე თაღი შეეკრათ. ელიზაბეტის დედამ ერთ-ერთ კალათას თავი გადახსნა. ერთმა ხანშიშესულმა მამაკაცმა თავი მომარაგების უფროსად გამოაცხადა.

— აბა, ჩემთან, ჩიტუნებო! — დაიძახა მან. — კარგად დაიხსომეთ, რასაც გეტყვით. საუზმედ ყოველი თქვენგანი ამჯერად მხოლოდ ორ ფუნთუშას მიიღებს. კარაქი შინ დაგვრჩა და მისატანებელი თქვენ თვითონ მოძებნეთ. მარწყვი ტყეში ბლომადაა ყველასათვის, ვინც კი პოვნას შეიძლებს. ხოლო ვინც უშნოა, დაე ცარიელი ფუნთუშა ჭამოს. ცხოვრებაშიც ასეა საერთოდ. გაიგეთ ჩემი ნათქვამის აზრი?

— რასაკვირველია, გავიგეთ! — დაიძახეს ახალგაზრდებმა.

— მოითმინეთ, ჯერ არ დამიმთავრებია, — განაგრძო მოხუცმა. — ჩვენ, მოხუცებმა ამქვეყნად საკმაოდ ვიხეტიალეთ. ამიტომ ამ ფართო ხეებქვეშ დავრჩებით, კარტოფილს გავფცქვნით, ცეცხლს დავანთებთ, მაგიდებს გავმართავთ და, როგორც კი თორმეტი გახდება, კვერცხებსაც მოვხარშავთ. ამდენი მუშაობისთვის მარწყვის ნახევარი ჩვენთვის უნდა გადაინახოთ, თუ გინდათ, რომ ვახშამიც გაგიწყოთ. აბა, ახლა კი დასავლეთ-აღმოსავლეთით მიმოიფანტენით და, იცოდეთ, არ იცუღლუტოთ!

ახალგაზრდებს სახეზე ეშმაკური ღიმილი აუთამაშდათ.

— სდექ! — კვლავ ბრძანა მოხუცმა. — მე მგონი, ამის თქმა აღარ დამჭირდება, რომ, ვინც ვერაფერს იპოვის, ის ვერც ვერაფერს ჩაგვაბარებს. მაგრამ ისიც კარგად დაიწერეთ გულის ფიცარზე, რომ ვერც ჩვენგან მიიღებს რამეს. ახლა კი სადღეისოდ საკმარისია კეთილი შეგონებანი. ამას თუ მარწყვსაც დაუმატებთ, შეიძლება მიიჩნიოთ, რომ დღეს ცხოვრებაში რაღაცას უკვე მიაღწიეთ.

ახალგაზრდებიც ამ აზრს იზიარებდნენ და აქეთ-იქით წყვილ-წყვილად მიმოიფანტნენ.

— წამო, ელიზაბეტ, მარწყვით სავსე ადგილი ვიცი. რატომ უნდა ჭამო ცარიელი პური! — მიმართა რაინჰარდმა გოგოს.

ელიზაბეტმა ჭილის ქუდის მწვანე ბაბთები გამონასკვა და მკლავზე ჩამოიკიდა.

— წავიდეთ, აგერ კალათაც მზადა მაქვს.

ისინი თანდათან ტყის სიღრმეში შევიდნენ. ხეების ნოტიო ჩრდილებში მზის ჭიატი ვერ ატანდა; ირგვლივ ყველაფერი მდუმარებას მოეცვა. მხოლოდ მაღლა, ზეცის თაღქვეშ, ნავარდობდნენ შევარდნები. რაინჰარდი და ელიზაბეტი გაბარდულ ბუჩქნარში მოხვდნენ, ისე გაბარდულში, რომ ვაჟი იძულებული გახდა გზის გასაკაფავად წინ წასულიყო, აქ ტოტებს ამტვრევდა, იქ წამონაზარდებს გვერდზე გრეხდა. უცბად ელიზაბეტის ძახილი მოესმა.

— რაინჰარდ, დამიცადე, რაინჰარდ!

რაინჰარდმა მოიხედა, მაგრამ ელიზაბეტი ვერ დაინახა. ბოლოს, როგორც იქნა, თვალი მოჰკრა საკმაო მანძილზე ჩამორჩენილ გოგოს, რომელიც ბუჩქნარს ებრძოდა. ტანაყრილ ჩადუნებში გოგოს პატარა თავი ძლივსღა მოჩანდა. რაინჰარდი უკან დარბუნდა და ელიზაბეტი ბუჩქნარიდან თავისუფალ ადგილზე გაიყვანა. ყვავილთა შორის ცისფერი პეპლები დაფარფატებდნენ.

რაინჰარდმა გოგოს ალეწილი სახიდან გაოფლილი თმა გადაუწია, მერე თავზე ჩალის ქუდი დაახურა, მაგრამ ელიზაბეტს არ უნდოდა, და რაინჰარდმა თხოვა — დაიხურეო.

ელიზაბეტი შეჩერდა, სული მოითქვა და ჰკითხა:—აბა სად არის მარწყვი?

— აქ იყო, მაგრამ, ეტყობა, გომბეშოებმა მოგვასწრეს, ან კვერნებმა, ვინ იცის, ეგებ ელფებიც* იყვნენ.

— მართალია, აი ფოთლები ისევ აქაა, — თქვა ელიზაბეტმა, — მაგრამ ელფებზე ნუ ლაპარაკობ. წავიდეთ რა, ვეძებოთ, სულაც არ დავღლილვარ.

გზა პატარა ნაკადულმა გადაუღობა, იქით ისევ ტყე იწყებოდა. რაინჰარდმა გოგო ხელში აიყვანა და მეორე ნაპირზე გადაიყვანა. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ ტყიდან ვრცელ მინდორზე გავიდნენ.

— ო, რა კარგი სუნი დგას! აქ მარწყვიც იქნება! — დაიძახა გოგომ.

ძებნა-ძებნით გაუყვნენ მზით გაბრწყინებულ მინდორს, მაგრამ მარწყვის ნასახსაც ვერსად მიაგნეს.

— არა, ეს მანანას სუნია, — უთხრა რაინჰარდმა.

მიდამოს ჟოლოს და ეკლიანი მოცხარის გადაბარდული ბუჩქები მოსდებოდა. ველზე მოფენილი მანანას და ქორფა ბალახის მომძლავრებული სურნელი ჰაერს ავსებდა.

— რა სიმარტოვეა, ნეტავ სხვები სადღა არიან? — იკითხა ელიზაბეტმა.

უკან დასაბრუნებელ გზაზე რაინჰარდს აქამდე არ უფიქრია.

— მოიცა, მოიცა, აბა ქარი საიდან უბერავს? — თქვა მან და ხელი მაღლა ასწია, მაგრამ ქარი არ ქროდა.

— გაჩუმდი! — წამოიძახა ელიზაბეტმა, —თითქოს ლაპარაკის ხმა გავიგონე. აბა ერთი გასძახე!

რაინჰარდმა ხელი რუპორივით მოიმარჯვა და გასძახა:

— აქეთ წამოდით, აქეთ!

— აქეთ!.. — გაიხმიანა ექომ.

— გვპასუხობენ! — წამოიძახა ელიზაბეტმა და ტაში შემოკრა.

— არა, ეს მხოლოდ გამოძახილი იყო.

ელიზაბეტი რაინჰარდის მკლავს ჩაეჭიდა:

— მეშინია, — წარმოთქვა გოგომ.

— აბა, რისი გეშინია? შეხედე, აქაურობა როგორი მშვე-

ნიერია. აი, იმ ჩრდილს შეეფარე. ცოტა ხანს დავისვენოთ, მერე კი სხვებსაც მივაგნებთ.

ელიზაბეტი ლაღად გაშლილი წიფლის ჩრდილში დაჯდა და ამენადაძაბულმა მიდამოს გაჰხედა, რაინჰარდი მისგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ხის კუნძზე ჩამოჯდა და გოგოს შეაცქერდა. მზე ზედ თავზე წამოსდგომოდათ. შუადღის უმოწყალო სიცხე იდგა. ოქროსავით მოლაპლაპე პატარა ფოლადისფერი ბუზები ფრთების რხევით ჰაერში დაკიდებულიყვნენ. ირგვლივ წყნარი ბზუილი და ზუზუნი ისმოდა, ზოგჯერ ტყის სიღრმიდან კოდალების კაკუნსა და ფრინველების ჩხავილს თუ მოჰკრავდნენ ყურს.

— ყური დაუგდე! — წამოიძახა ელიზაბეტმა. — ზარის ხმა ისმის.

— საიდან?

— ჩვენ უკან. გესმის? შუადღის ზარია.

— აბა ქალაქი ჩვენ უკან ყოფილა, და თუ პირდაპირ იქით წავალთ, სხვებსაც შევხვდებით.

ელიზაბეტი ძალიან დაიღალა. მარწყვის ძებნას თავი დაანებეს და უკან დაბრუნდნენ. ბოლოს ხეებს შორის დანარჩენი ახალგაზრდების სიცილი გაიგონეს. მერე მიწაზე გაშლილი მარწყვით ავსებული სუფრა დაინახეს. ბებერ მზარეულთუხუცესს ხელსაწმენდი ღილკილოში გაეკეთებინა და ახალგაზრდებთან თავის წეღანდელი ლექციის კითხვას განაგრძობდა მორალის საკითხებზე, თან შემწვარ ხორცეულს გამალებით ჭრიდა.

— აი, დაგვიანებულებიც მოვიდნენ! — დაიძახეს ახალგაზრდებმა, როგორც კი ხეებშორის მომავალ რაინჰარდსა და ელიზაბეტს მოჰკრეს თვალი.

— აქეთ მობრძანდით, — დაიძახა მზარეულთუხუცესმა.— ხელსახოცები დააცარიელეთ, ქუდები გადმოაბრუნეთ და მაჩვენეთ, რა მოიპოვეთ.

— შიმშილი და წყურვილი! — უპასუხა რაინჰარდმა.

— თუ მარტო ეგ მოიტანეთ, ეგრეევე დარჩებით. ჩვენი პირობა ხომ იცოდით: უქნარებს ლუკმასაც არ მივცემთ.

ბოლოს მოხუცმა ახალგაზრდების თხოვნა შეისმინა და ყველანი ჭამას შეუდგნენ. ღვიის ბუჩქნარიდან ჭახჭახი ისმოდა.

ასე გავიდა ეს დღე. რაინჰარდმა მარწყვი ვერ დაკრიფა, მაგრამ სხვა რამ მაინც იპოვა, და როგორც კი შინ დაბრუნდა, თავის ძველ პერგამენტის რვეულში ჩაწერა:

აქ, მთის ფერდობზე
არა ქრის ქარი.
ხეების დახრილ ტოტების ძირში
ზის ბავშვი წყნარი.
ირგვლივ ქონდარის სურნელება
ჰაერს აზავებს
და მოელვარე ლურჯი ბუზნი
სივრცეს ხაზავენ.
უცქერს ტყის დუმილს
წყნარი ბავშვი ჭკვიანი თვალით,
მის ქერა კულულს მზე ეღვრება
თბილი და მთვრალი.
შორიდან ისმის გუგულის გუგუ...
მე ვფიქრობ ჩემთვის, მე ვასკვნი ბოლოს,
ამ ტყის დედოფლის მზიურნი თვალნი
ოქროსფერია მხოლოდ და მხოლოდ.[1]

ახლა ელიზაბეტი არა მარტო ის გოგონა იყო, ვისაც მფარველობდა, არამედ განსახიერებაც ყოველგვარი წარმტაცისა

[1] ლექსები თარგმნა ანზორ აბულაშვილმა.

და მომხიბვლელისა, .რაც რაინჰარდის ჰაბუკურ სიცოცხლეს სრულყოფილად ავსებდა.

გზაზე გავშვი იდგა

შობა დადგა. სამხრობისას რაინჰარდი სხვა სტუდენტებთან ერთად რატუშის ღვინის სარდაფში მუხის ძველ მაგიდას უჯდა. კედლებზე დაკიდებული ლამპები აენთოთ, რადგან სარდაფში უკვე ბნელოდა. სტუმრები ნელ-ნელა იკრიბებოდნენ, კელნერები უსაქმოდ აყუდებულიყვნენ კედელთან. თაღის ერთ-ერთ კუთხეში მევიოლინე და ფაქიზნაკვთებიანი ციტრის დამკვრელი გოგო ისხდნენ. გოგო ბოშას წააგავდა. საკრავები მუხლებზე დაეწყოთ და იქ მყოფთ გულგრილად უმზერდნენ.

სტუდენტების მაგიდაზე შამპანურის საცობმა გაიტკაცუნა.

— შესვი, ჩემო ლამაზო ბოჰემიელო! — შესძახა ერთმა ყმაწვილმა, რომელსაც იუნკერის გარეგნობა ჰქონდა, და გოგოს სავსე ჭიქა გაუწოდა.

— არ შემიძლია, — მიუგო გოგომ და ადგილიდან არ განძრეულა.

— მაშ იმღერე! — მიმართა იუნკერმა და კალთაში ვერცხლის ფული ჩაუგდო.

გოგომ შავ თმაზე ხელი ნელა გადაისვა. მევიოლინემ ყურში რაღაც ჩასჩურჩულა. მაგრამ გოგონამ ენერგიული მოძრაობით თავი უკან გადასწია, ნიკაპი ციტრას დააყრდნო და თქვა:

— მაგისთვის არ დავუკრავ.

რაინჰარდი წამოხტა და მის წინ გაჩერდა. ხელში სავსე ჭიქა ეჭირა.

— რა გნებავს? — ჯიუტად ჰკითხა გოგომ.

— შენს თვალებს მინდა ვუმზირო.

— რა საქმე გაქვს ჩემ თვალებთან?

რაინჰარდი გაბრწყინებული სახით დასცქეროდა.

— მშვენივრად ვიცი, რომ ყალბია შენი თვალები.

გოგო ხელს ლოყით დაეყრდნო და რაინჰარდს მოლოდინით შეაცქერდა — აბა, კიდევ რას იტყვისო.

ვაჟმა ჭიქა პირთან მიიტანა:

— „ენი მშვენიერი, ცოდვილი თვალების სადღეგრძელო იყოს! — უთხრა მან და სასმელი მოსვა.

გოგომ გაიცინა და თავი კეკლუცად შეარხია.

— მომეცი! — უთხრა მან, შავი თვალებით რაინჰარდს დაჟინებით შეაცქერდა და ჭიქაში ჩარჩენილი ღვინო ნელ-ნელა გამოსცალა. შემდეგ სამხმიან საკრავს ხელი წავლო და გულში ჩამწვდომი ვნებიანი ხმით დაამღერა:

დღეს ნაზი გაზაფხულივით
ვიღიმი, ვარ მშვენიერი,
ხვალ კი სხვა ჟამი დადგება,
გამიხუნდება იერი.
ამ წუთში შენ მე მეკუთვნი,
მხოლოდ ამ წუთში ხარ ჩემი,
მაგრამ სიკვდილთან, ვით ყველა,
ძეირფასო, მარტო დავრჩები

სანამ მევიოლინე სწრაფი ტემპით აყოლებდა აკომპანიმენტს, მათ ჯგუფს ერთი ახალგაზრდა შეუერთდა.

— სახლში გამოგიარე, — უთხრა ახალმოსულმა რაინჰარდს. — შინ არ დამიხვდი, მაგრამ, ეტყობა, ყრმა იესოს შემოუვლია შენთან.

— ყრმა იესოს? ის რომ აღარ დადის ჩემთან! — გაიკვირვა რაინჰარდმა.

— ე, რას ამბობ! მთელი ოთახი ნაძვისა და ნამცხვრის სუნით არის ავსებული.

რაინჰარდმა ჭიქა დადგა და ხელი ქუდს წამოავლო.

— რას აპირებ? — ჰკითხა გოგომ.

— მალე დავბრუნდები.

— დარჩი, — უთხარ ხმადაბლა და რაინჰარდს ნდობით შეხედა.

— არ შემიძლია, — შეყოყმანდა ვაჟი.

— წადი! — უთხრა სიცილით გოგომ რაინჰარდს და ფეხის წვერი გაჰკრა. — არაფრად ვარგიხარ, არც ერთი არ ღირხართ. კაპიკად.

გოგო გვერდით მიბრუნდა. რაინჰარდმა სარდაფის კიბე ნელა აიარა.

ქუჩაში კარგად დაბნელებულიყო. რაინჰარდმა გახურებულ შუბლზე ზამთრის ცივი ჰაერი იგრძნო. აქა-იქ ფანჯრებში საშობაოდ გაბრწყინებული ნაძვის ხეები მოჩანდა. დროდადრო სახლებიდან ისმოდა სტვირისა და საყვირების ხმა, მას უერთდებოდა მოზეიმე ბავშვების ყრიამული. მათხოვარი ბავშვები გუნდ-გუნდად დადიოდნენ კარდაკარ და ცდილობდნენ მათთვის აკრძალული ზეიმისათვის მოაჯირიდან მაინც მოეკრათ თვალი. ხანდახან გაიღებოდა კარი და განათებული შესასვლელიდან პატარა მათხოვრებს ბნელ ქუჩაბანდებში ერეკებოდნენ ლანძღვით. რომელიღაც პარმაღიდან ისმოდა ძველი საშობაო სიმღერა. სიმღერაში გოგოების წკრიალა ხმები ჭარბობდა. რაინჰარდს არაფერი ესმოდა, ყველაფერს გვერდს უვლიდა და აჩქარებით ერთი ქუჩიდან მეორეზე გადადიოდა. სახლს რომ მიაღწია, მთლად დაბნელებულიყო, კიბე ბორძიკით აიარა და ოთახში შევიდა. საამო სურნელება შეიგრძნო. ამან შინაურე-

ბი, სახლი და საშობაო მზადება გაახსენა. ათრთოლებული ხელით შუქი აანთო. მაგიდაზე რაღაც დიდი შეკვრა იდო. რაინჰარდმა შეკვრა გახსნა და. მაგიდაზე ნამცხვარი გადმოცვივდა. რაინჰარდმა ნახელავი იცნო. ზოგ მათგანზე შაქრით მისი სახელის საწყისი ასო გამოეყვანათ. ამის ოსტატი ელიზაბეტის გარდა არავინ ეგულებოდა. შემდეგ ფაქიზად მოქარგული თეთრეულის, ცხვირსახოცებისა და მანჟეტების შეკვრა გამოჩნდა, ბოლოს დედისა და ელიზაბეტის წერილები. რაინჰარდმა ჯერ ელიზაბეტის წერილი გახსნა. ელიზაბეტი წერდა:

„შაქრით გამოყვანილი მშვენიერი ასოები, ალბათ, მიგახვედრებს, ვისი ხელიც ურევია მის გამოცხობაში. იმავე ხელმა მოგიქარგა მანჟეტებიც. საშობაო ღამეს ამჯერად უხმაუროდ ვატარებთ. დედაჩემი ათის ნახევარზე მისდგამს ხოლმე კუთხეში თავის საქსოვ ჯარას. ძალზე მიყრუებულია ეს ზამთარი, შენ რომ აქ არ ხარ. ამას გარდა, წინა კვირას შენი ნაჩუქარი ჭვინტაც მოგვიკვდა. ძალიან ბევრი ვიტირე. მერე როგორი ფხრუნველობით ვუვლიდი.

ჭვინტა ყოველთვის ნაშუადღევს ამღერდებოდა ხოლმე, როცა მზე მის გალიას მიადგებოდა. გახსოვს, დედაჩემი ტილოს რომ დააფარებდა, როცა ჭვინტა მთელი ხმით გალობდა? ახლა ჩვენთან სრული სიწყნარეა, ხანდახან მხოლოდ შენი ძველი მეგობარი ერიხი თუ გვინახულებს. შენ ერთხელ მასზე თქვი—თავის ყავისფერ პალტოს ჰგავსო. ეს ნათქვამი მახსენდება ხოლმე, როგორც კი იგი კარს შემოგვიღებს. მართლაც ძალიან სასაცილოა, მაგრამ დედას არაფერი უთხრა, გული ადვილად ეტკინება ხოლმე. თუ მიხვდები, რას ვაჩუქებ დედაშენს საშობაოდ? ვერ გამოიცანი? ჩემს თავს მივუტან. ერიხი ნახშირით მხატავს. მე უკვე სამჯერ ვიჯექი ნატურიდან გადა-

საღებად, სამივეჯერ მთელი საათი. არ მსიამოვნებს, უცხო ადამიანი ასე დაეინებით რომ მოჰჩერებია. არ მინდოდა, მაგრამ დედამ დამიყინა და მითხრა—კეთილ ფრაუ ვერნერს ამით ძალიან გაახარებო.

შენ კი დაპირებას არ ასრულებ. არც ერთი ზღაპარი ჩემთვის არ გამოგიგზავნია. ამაზე ხშირად ვწუწუნებ დედაშენთან. ის ყოველთვის მეუბნება, ამჟამად მას უფრო მეტი საქმე აქვს, ვიდრე ეს ბავშვური გასართობი იყოო. მაგრამ მე არ მჯერა, საქმე, ალბათ, სხვაგვარადაა"

რაინჰარდმა მერე დედის წერილი წაიკითხა. შემდეგ ორივე წერილი ნელა დაკეცა, გვერდით გადადო და მშობლიური სახლის გახსენებაზე ენით უთქმელმა სევდამ შეიპყრო. რამდენიმე ხანს ოთახში წინ და უკან დადიოდა და თავისთვის ჩუმად დუდუნებდა:

ვაჟმა გზა ვეღარ გაიგნო,
დაიბნა, იდგა უხმოდა.
(მაგრამ გოგონა გზად იდგა
და იგი ვაჟს შინ უხმობდა.

შემდეგ საწერ მაგიდასთან მივიდა, რამდენიმე მონეტა ამოიღო და ისევ ქუჩაში გავიდა. ახლა იქ ყველაფერი მიწყნარებულიყო. საშობაო ხეებზე სანთლები ჩამწვარიყო, კარიდან კარამდე აღარ დაეხეტებოდნენ ბავშვთა გუნდები. დაკარიელებულ ქუჩებს ქარი გვიდა. მოხუცი და ახალგაზრდა თავ-თავიანთ ოჯახებს შეფარებოდა. შობის ღამის ნახევარი გადასულიყო.

როცა რაინჰარდი რატუშის სარდაფს მიუახლოვდა, ქვევიდან ვიოლინოს ხმა და ციტრაზე დამკვრელი გოგონას სიმღერა მოესმა. დაბლა სარდაფის კარის ზარმა გაიწკარუნა და ოდნავ

განათებული ფართო კიბე ვიღაც შავოსანმა ტორტმანით ამოიარა. რაინჰარდი სახლების ჩრდილს მოეფარა და შემდეგ სწრაფად წავიდა წინ. ცოტა ხნის შემდეგ განათებულ ოქროულობის სავაჭროს მიადგა. აქ წითელი მარჯნის პატარა ჯვარი იყიდა და იმავე გზით უკან გამობრუნდა.

თავის ბინის ახლოს დაინახა პატარა, ძონძებში გახვეული გოგონა, რომელიც სახლის კართან ატუზულიყო და მის გაღებას ამაოდ ცდილობდა.

— გიშველო? — ჰკითხა რაინჰარდმა.

ბავშვმა არაფერი უპასუხა, მხოლოდ მძიმე კარის სახელური ჩამოსწია. რაინჰარდმა კარი გაუღო.

— არა, — უთხრა გოგონას, — აქედან გაგაგდებენ, ჩემთან წამოდი, საშობაო ნამცხვარს მოგცემ. — რაინჰარდმა კარი ისევ მიხურა და ხელი ჩაკიდა პატარა გოგონას, რომელიც ოთახში ჩუმად შეჰყვა.

სახლიდან გასვლისას რაინჰარდს შუქი ანთებული დაეტოვებინა.

— აჰა, ნამცხვარი, — უთხრა მან და თავისი ქონების ნახევარი გოგონას წინსაფარში ჩაუდო, შაქრის ასოებით მოხატული ნამცხვრის ნაწილი კი თავისთვის დაიტოვა.

— აბა, ახლა შინ წაცუნცულდი და დედაშენსაც აჭამე.

ბავშვმა შეშინებული თვალებით ახედა რაინჰარდს. ჩანდა, შეჩვეული არ იყო მეგობრულ მოპყრობას და ახლა სიტყვის თქმა ვერ მოეხერხებინა. რაინჰარდმა კარი გამოაღო და გზა გაუნათა. ახლა კი ჩიტივით გაფრინდა გოგონა. კიბე ჩაირბინა და შინისკენ მოკურცხლა.

რაინჰარდმა ღუმელში ცეცხლი გააჩაღა და დამტვერილი სამელნე მაგიდაზე დადგა. შემდეგ მაგიდას მიუჯდა და მთელი ღამე დედასთან და ელიზაბეტთან წერილების წერაში გაატარა.

საშობაო ნამცხვრის ნაწილი ხელუხლებლად იქვე იდო, ელიზაბეტისეული მანქეტები კი გაიკეთა, რაც მის თეთრ თივთიკის სერთუკს გასაოცრად მოუხდა. ასე იჯდა რაინჰარდი, სანამ ზამთრის მზის სხივი ფანჯრის გაყინულ მინას დაეცემოდა და წინდადგმულ სარკეში მისი ფერგამკრთალი სერიოზული სახე გამოჩნდებოდა.

მუსიკალიური კერა

როგორც კი აღდგომა დადგა, რაინჰარდი სამშობლოში გაემგზავრა. მეორე დილასვე ელიზაბეტი ინახულა.

— რამხელა გაზრდილხარ! — უთხრა რაინჰარდმა, როცა მშვენიერი ტანკენარი ელიზაბეტი მისკენ ღიმილით გამოემართა.

ელიზაბეტი გაწითლდა და არაფერი უთქვამს, მაგრამ შეეცადა ფრთხილად გამოერთმია რაინჰარდისათვის ხელი, რომელიც მისალმების შემდეგ ვაჟს კვლავ ხელში ეჭირა. რაინჰარდმა შეცბუნებით შეხედა: ისეთი რამ მას წინათ არ შეუნიშნავს— —თითქოს ვიღაც უცნობი ჩამდგარიყოს მათ შორის. ეს უხერხული განწყობილება ახალგაზდრებს შორის შემდეგაც გაგრძელდა, თუმცა რაინჰარდი უკვე დიდი ხნის ჩამოსული იყო და ელიზაბეტს ყოველდღიურად ხვდებოდა. მარტო დარჩენისას ხმას ვერ იღებდა. ეს რაინჰარდისათვის თანდათან აუტანელი ხდებოდა და ყოველი შეხვედრისას ცდილობდა უხერხულობისათვის როგორმე დაეღწია თავი.

არდადეგების განმავლობაში ელიზაბეტთან სასაუბრო თემის გამოსაძებნად რაინჰარდმა გადაწყვიტა, გოგონას ბოტანიკაში მოგამზადებო. უნივერსიტეტში ყოფნის პირველ თვეებში ამ საგანს რაინჰარდი თავგამოდებით სწავლობდა. ელიზაბეტი

მიჩვეული იყო ყველაფერში რაინჰარდის ნებას დაჰყოლოდა, ამას გარდა, სწავლაში ბეჯითიც იყო და სიამოვნებით დაეთანხმა. კვირაში რამდენჯერმე მინდორში და ველზე აწყობდნენ ექსკურსიას, შუადღისას შინ ყვავილებითა და ბალახით სავსე მცენარეების შესანახი მუყაოს ყდა მოჰქონდათ, შემდეგ მოგროვილი მცენარეების დასაჯგუფებლად რაინჰარდი კვლავ მოდიოდა ელიზაბეტთან.

ერთხელ ამ მიზნით რაინჰარდი შუადღისას ელიზაბეტის ოთახში შევიდა. გოგონა ფანჯარასთან მიმდგარიყო მოოქრულ გალიასთან, რომელიც ადრე არ შეუმჩნევია. გალიაში იადონი იჯდა, ფრთებს აფართხალებდა და ელიზაბეტს ყივ-ყივით თითს უკენკავდა. ამ ადგილას წინათ რაინჰარდისეული ჭვინტა ეკიდა.

— ჩემი საწყალი ჭვინტა სიკვდილის შემდეგ სკვინჩად გადაქცეულა, არა? — მხიარულად იკითხა რაინჰარდმა.

— ჭვინტები სკვინჩებად ვერ გადაიქცევიან, — უპასუხა ელიზაბეტის დედამ, რომელიც სავარძელში იჯდა და თითისტარს ატრიალებდა. — ეს გალია თქვენმა მეგობარმა ერიხმა თავის მამულიდან დღეს გამოუგზავნა ელიზაბეტს.

— რომელი მამულიდან?

— არ იცით?

— რა უნდა ვიცოდე?

— რომ ერიხმა უკვე ერთი თვეა მამისაგან მეორე კარმიდამო მიიღო, იმენზეეზე?

— თქვენ რომ არაფერი გითქვამთ ამის თაობაზე?

— მაგრამ თქვენც ხომ არ გიკითხავთ თქვენი მეგობრის ამბავი? ერიხი ძალზე საამო და გონიერი ყმაწვილია, — მიუგო ელიზაბეტის დედამ.

შემდეგ დედა ყავის მოსამზადებლად გავიდა. ელიზაბეტმა რაინჰარდს ზურგი შეაქცია და ჩიტის საზაფხულო გალიის კეთება განაგრძო.

— ერთი წუთით, რაინჰარდ, — უთხრა მან, — ახლავე დავამთავრებ.

რადგან რაინჰარდმა ჩვეულებისამებრ არაფერი უპასუხა, ელიზაბეტი შემობრუნდა. ვაჟის თვალებში გულისტკივილი ამოიკითხა, რაც გოგონას აქამდე არასოდეს შეუმჩნევია.

— რა დაგემართა, რაინჰარდ? — ჰკითხა ელიზაბეტმა და ვაჟს მიუახლოვდა.

— მე? — უაზროდ იკითხა რაინჰარდმა და ოცნებიანი თვალები გოგონას მიაპყრო.

— რატომ ხარ ასე სევდიანი?

— ყვითელ ფრინველებს ვერ ვიტან, ელიზაბეტ.

გოგონამ გაოცებით შეხედა რაინჰარდს. ვერ გაეგო, რა ემართებოდა.

— რა უცნაური ხარ, რაინჰარდ, — უთხრა ბოლოს.

რაინჰარდმა გოგონას ხელები დაუჭირა, ელიზაბეტს წინააღმდეგობა არ გაუწევია. მალე ელიზაბეტის დედა შემობრუნდა.

როგორც კი ყავა დალიეს, ოჯახის დიასახლისი რთვას შეუდგა. რაინჰარდი და ელიზაბეტი შეგროვილი მცენარეულობის სისტემაში მოსაყვანად მეორე ოთახში გავიდნენ. მტერიანები დაითვალეს, ფოთლები და ყვავილები გულმოდგინედ გაასწორეს და თითოეული სახეობის ორ-ორი ეგზემპლარი დიდი ფოლიანტის ფურცლებში გასახმობად შესდეს.

მზიანი შუადღის მდუმარება გამეფებულიყო. გვერდით ოთახში დედა ჯარას ატრიალებდა. ხანდახან ისმოდა რაინჰარდის დახშული ხმა, რომელიც მცენარეების კლასსა და ოჯახს

განსაზღვრავდა, ანდა ელიზაბეტს მცდარად წარმოთქმულ ლა-თინურ სახელწოდებას უსწორებდა.

— ამას წინათ მოწყვეტილი შროშანა მაკლია, — თქვა ელიზაბეტმა, როცა მთელი მოგროვილი მცენარეულობა მოაწესრიგეს.

რაინჰარდმა ჯიბიდან ამოიღო პატარა თეთრი პერგამენტის რვეული, გადაშალა, ნახევრად შემხმარი შროშანა ამოიღო და გოგონას უთხრა:

— აგერ, შენი შროშანა.

ელიზაბეტმა რაინჰარდის ხელნაწერს მოკრა თვალი და ჰკითხა:

— კიდევ წერ ზღაპრებს?

— ეს ზღაპრები არ არის, — უთხრა მან და ელიზაბეტს რვეული გაუწოდა.

ეს იყო გულწრფელი სტროფები. თითოეულ ლექსს თითო გვერდი თუ ეჭირა. ელიზაბეტი ფურცვლას შეუდგა. ეტყობოდა, მხოლოდ სათაურებს კითხულობდა: „როცა მას მასწავლებელი წაეკიდა," „როცა ის ტყეში დაიბნა", „სააღდგომო ზღაპარი", „როცა მან პირველად მომწერა". ასეთ თემაზე იყო აგებული თითქმის ყველა ლექსი.

რაინჰარდი გამომცდელად შეჰყურებდა ელიზაბეტს. შეამჩნია, ფურცვლის დროს როგორ ფაქიზად შეეფაკლა გოგონას ღაწვები, მერე კი სიწითლე თანდათან მთელ სახეს მოედო. რაინჰარდს უნდოდა ელიზაბეტისათვის თვალებში ჩაეხედა, მაგრამ გოგონა თავს მაღლა არ სწევდა, ბოლოს სიტყვის უთქმელად რვეული რაინჰარდის წინ დასდო.

— ნუ მიბრუნებ რვეულს ასეთი სახით! — უთხრა რაინჰარდმა.

ელიზაბეტმა თუნუქის კოლოფიდან ყავისფერი ყლორტი ამოიღო.

— შიგ შენს საყვარელ მცენარეს ჩავდებ! — თქვა ელიზაბეტმა და რაინჰარდს რვეული გაუწოდა...

დადგა არდადეგების ბოლო დღე და გამგზავრების დილა.

დედამ შეისმინა ელიზაბეტის თხოვნა და ნება დართო რაინჰარდი საფოსტო ეტლამდე გაეცილებინა. სადგური მათი ბინიდან რამდენიმე ქუჩის იქით იყო. სახლიდან გამოსვლისას რაინჰარდმა გოგონას მკლავი შესთავაზა. ასე, ხმისამოუღებლად, გაუყვა გზას რაინჰარდი ტანკენარი გოგონას გვერდით. რაც უფრო უახლოვდებოდნენ საფოსტო სადგურს, მით უფრო მკაფიოდ გრძნობდა რაინჰარდი, რომ სანამ ასე დიდი ხნით გამოემშვიდობებოდა, რაღაც აუცილებლად უნდა ეთქვა ელიზაბეტისათვის, რაზეც დამოკიდებული იყო მისი მომავალი ბედნიერება და სიხარული, მაგრამ საჭირო სიტყვისათვის ვერ მიეგნო. ეს აკრთობდა ვაჟს და ნაბიჯს თანდათან ანელებდა.

— დაგვიგვიანდება, — უთხრა ელიზაბეტმა, — წმინდა მარიამზე უკვე ათმა დარეკა.

რაინჰარდს ფეხი მაინც არ აუჩქარებია. ბოლოს ენის ბორძიკით ძლივს წარმოთქვა:

— ელიზაბეტ, შენ ორი წლის მანძილზე ვეღარ მნახავ. გეყვარები თუ არა ისე, როგორც ახლა გიყვარვარ, როცა დავბრუნდები?

ელიზაბეტმა თავი დაუქნია და სახეში სიყვარულით შესციცინა.

— მე შენ გამოგექომაგე კიდევაც, — უთხრა მცირეოდენი პაუზის შემდეგ.

— გამომექომაგე? ვისთან გახდა საჭირო ჩემი დაცვა?

— დედაჩემთან! გუშინ რომ წახვედი, შენზე დიდხანს ვილაპარაკეთ. დედაჩემის აზრით, შენ ისეთი კარგი აღარ ხარ, წინათ რომ იყავი.

რაინჰარდი ცოტა ხანს დუმდა. მერე ელიზაბეტს ხელი გამოართვა, ბავშვურად გულუბრყვილო თვალებში დაკვირვებით ჩახედა და უთხრა:

— ახლაც ისეთივე ვარ, როგორიც ვიყავი. მტკიცედ გჯეროდეს ეს. ხომ გჯერა, ელიზაბეტ?

— მჯერა! — უპასუხა ქალმა.

რაინჰარდმა მის ხელს ხელი გაუწოდა და ორივემ ქუჩა სწრაფად გადაიარა. რაც მეტად ახლოვდებოდა გამოთხოვების წუთი, მით უფრო მეტად უწყნარდებოდა სახე რაინჰარდს: ისე ჩქარა მიდიოდა, ელიზაბეტი ძლივს ეწეოდა.

— რა დაგემართა, რაინჰარდ? — ჰკითხა ელიზაბეტმა.

— ერთი საიდუმლო მაქვს, ძალიან კარგი საიდუმლო, — უთხრა რაინჰარდმა და ელიზაბეტს გაბრწყინებული თვალებით შეხედა. — ორი წლის შემდეგ რომ დავბრუნდები, მაშინ გაიგებ

ამასობაში საფოსტო ეტლს მიაღწიეს. დროზე მიუსწრეს. რაინჰარდმა გოგონას ხელი ჩამოართვა:

— ნახვამდის, ნახვამდის, ელიზაბეტ, არ დაივიწყო, რაც გითხარი.

— ნახვამდის! — თავი დაუქნია ელიზაბეტმა.

რაინჰარდი ეტლში ჩაჯდა და ცხენებმაც გასწიეს.

მოსახვევში რაინჰარდმა მოიხედა და ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ძვირფას არსებას, რომელიც ნელა ბრუნდებოდა უკან.

წერილი

იმ დღის შემდეგ თითქმის ორი წელი გავიდა. რაინჰარდი ლაპპის შუქზე წიგნებსა და ქაღალდებს მიჯდომოდა და ელოდა მეგობარს, რომელთანაც მეცადინეობდა ხოლმე.

ვიღაცამ კიბე ამოიარა.

— მობრძანდით! — გასძახა რაინჰარდმა.

შემოვიდა დიასახლისი.

— თქვენთან წერილია, ბატონო ვერნერ! — უთხრა ქალმა და ოთახიდან გავიდა.

სამშობლოდან დაბრუნების შემდეგ რაინჰარდს ელიზაბეტისათვის წერილი აღარ მიუწერია, არც მისგან მიუღია ბარათი. არც ეს წერილი იყო ელიზაბეტისაგან. რაინჰარდს დედამისი სწერდა. ბარათი გახსნა და კითხვას შეუდგა. მალე ასეთი სტრიქონები ამოიკითხა:

„შენს ასაკში, ჩემო საყვარელო შვილო, ყოველ წელს სიახლე მოაქვს, რადგან ახალგაზრდობა მდიდარია განცდილნანახით. აქაც შეიცვალა ზოგი რამ, ვიცი, ეს ცვლილება გულს გატკენს, თუ კი კარგად მესმოდა შენი. უკანასკნელი სამი თვის მანძილზე ერიხმა ორჯერ სცადა ელიზაბეტისაგან თანხმობა მიეღო, მაგრამ ქალიშვილი მუდამ თავს იკავებდა, გუშინ კი. როგორც იქნა, საწადელს მიაღწია, ელიზაბეტი დაითანხმა. ის კი ჯერ სულ ნორჩია. ქორწილი მალე იქნება და შემდეგ დედამისიც მასთან ერთად გაემგზავრება“.

იმენზეე

ისევ გავიდა რამდენიმე წელიწადი.

გაზაფხულის თბილი შუადღე იდგა. ტყის ჩრდილიან ბი-

ლიკზე ჩასკვნილი, მზემოკიდებული ყმაწვილი კაცი ჩამოდიოდა. სერიოზული ნაცრისფერი თვალებით მიდამოს ყურადღებით ათვალიერებდა, თითქოს გზის ერთფეროვნების შეცვლას ელისო. ბოლოს აღმართში ნელა ამომავალი ფორანი დაინახა.

— ჰეი, მეგობარო! — შესძახა მგზავრმა გლეხს, — ეს გზა იმენზეესკენ მიემართება?

— სწორედ იქითკენ, — მიუგო გლეხმა და ჭილის ქუდი შეისწორა.

— შორსაა კიდევ?

— თითქმის მისული ხართ. მამაოჩვენოს თქმას ვერ მოასწრებთ, რომ იქ იქნებით. ბატონის სახლიც იქვეა.

ფორანი იქაურობას გასცილდა, მგზავრმაც უფრო აუჩქარა ფეხს, თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მარცხენა მხარეს ტყე ერთბაშად შეწყდა. გზა ახლა ხრამის პირას მიემართებოდა, საიდანაც ასწლოვანი მუხის წვეროები ფლატის ნაპირს ძლივს სწვდებოდა. მათ იქით მოჩანდა ვრცელი, მზით გაბანთებული მიდამო. დაბლა კი მშვიდი, თითქმის მთლად ტყეებით გარშემორტყმული მზეზე მოლაპლაპე მუქლურჯი ტბა გარინდულიყო. ტყე მხოლოდ ერთ ადგილას იხევდა უკან და იქიდან ლურჯი მთებით შემოზღუდული ვრცელი თვალსაწიერი მოჩანდა. მეორე მხარეს, ტყის მწვანე ხეივნებს შორის, მიდამო თითქოს თოვლს გადაეთეთრებინა. ეს იყო თეთრად გადაპენტილი აყვავებული ხეხილი. მის შუაში კი ტბის შემაღლებულ ნაპირზე მებატონის წითელი კრამიტით დახურული თეთრი სახლი აღმართულიყო. ბუხრის თავიდან ყანჩა წამოფრინდა და წყლის ზემოთ ნელა დაიწყო ტრიალი.

— იმენზეე! — წამოიძახა მგზავრმა.

თითქოს მიზანთან მივიდაო, კაცი შედგა და ხის კენწეროთა

მიღმა ტბის მეორე ნაპირს გახედა, სადაც ნელა ტორტმანებდა ბებატონის სახლის ანარეკლი. შემდეგ ერთბაშად ადგილს მოსწყდა და გზას გაუდგა.

ახლა იგი ციცაბო დაღმართს მიჰყვებოდა, გზაზე გარიგებულმა ხეებმა მზე კი მიუჩრდილა, მაგრამ ტბის დანახვასაც უშლიდა, იგი ახლა ხანდახან თუ გამოჩნდებოდა ტოტებს შორის. გზა მალე ისევ აღმართს შეუყვა და ხეებიც გაჰქრა. მათ მაგიერ გზის გაყოლებით ვენახებით შეფენილი გორაკები გადაიჭიმა. გზის ორივე მხარეს მოჩანდა აყვავებული ხეხილი, რომელსაც თავს დასტრიალებდნენ ნექტარს დაწაფებული მოზუზუნე ფუტკრები. ყავისფერ სერთუკში გამოწყობილი წარმოსადეგი მამაკაცი მგზავრისაკენ წამოვიდა, ცოტა რომ ძიუახლოვდა, ქუდი დაუქნია და მხიარული ხმით შესძახა:

— კეთილი იყოს შენი მობრძანება, ძმაო რაინჰარდ! კეთილი იყოს შენი ფეხი იმენზეეს მამულში.

— ღმერთი იყოს შენი შემწე, ერიხ! სალმისათვის მადლობა ბომიხსენებია! — გასძახა მოსულმა.

შემდეგ ურთიერთს მიეახლნენ და ხელი გაუწოდეს.

— ნუთუ ეს მართლა შენა ხარ? — იკითხა ერიხმა, როგორც კი თავისი სკოლის მეგობრის სერიოზული სახე ახლოს იხილა.

— რასაკვირველია, მე ვარ და შენც ისევ ის ერიხი ხარ, თუმცა ამჟამად ადრინდელზე მხნედ გამოიყურები.

ამ სიტყვებით გამოწვეულმა ღიმილმა ერიხის ულამაზო სახის ნაკვთებს სასიამოვნო იერი მოჰფინა.

— რასაკვირველია, ძმაო რაინჰარდ, — უთხრა ერიხმა და ხელი ერთხელ კიდევ ჩამოართვა. — შენ უკვე იცი, რომ მას შემდეგ დიდი ამბები გადამხდა, — განაგრძო მან ხელების

ფშვნეტით და კმაყოფილი სახით დაუმატა: — აი სიურპრიზი ეს იქნება. ამას თავის სიცოცხლეში ვერ მოიფიქრებდა.

— სიურპრიზი? ვისთვის იქნება ეს სიურპრიზი?

— ელიზაბეტისთვის!

— ელიზაბეტისთვის? არაფერი გითქვამს ჩემი ჩამოსვლის თაობაზე?

— არც ერთი სიტყვა, ძმაო რაინჰარდ. არც ის, არც დედამისი არ მოგელიან. მათ ჩუმად მოგწერე, რომ შენი ჩამოსვლა უფრო სასიხარულო ყოფილიყო. კარგად იცი, მე ყოველთვის მქონდა ჩემი პატარა გეგმები.

რაინჰარდი ჩაფიქრდა. სახლს რომ უახლოვდებოდნენ, სუნთქვა თანდათან უძნელდებოდა. გზის მარცხნივ ვენახებმა ადგილი ვრცელ ბოსტანს დაუთმო, რომელიც თითქმის ზედ ტბას მისდგომოდა. ამასობაში ყანჩა ძირს ჩამოფრენილიყო და ბოსტნის კვლებში ამაყად დაბრძანდებოდა.

— ჰაუ! ჰაუ! — დაიძახა ერიხმა და ტაში შემოჰკრა, — ეს კანჭმაღალი ეგვიპტელი ისევ ცერცვს მპარავს.

ფრინველი ნელა აფრინდა და ახლადაშენებული შენობის სახურავისაკენ გაემართა. შენობა ბოსტნის ბოლოს იდგა. მისი კედლები ურთიერთს გადაჭდობილი ატმისა და ჭერმის ტოტებით დაფარულიყო.

— ეს სპირტის ქარხანაა,—უთხრა ერიხმა.—სულ ორი წლის აგებულია. განსვენებულმა მამაჩემმა სამეურნეო შენობები მე დამიტოვა ასაშენებლად. საცხოვრებელი სახლი კი პაპაჩემის აშენებულია. ასე, ნელ-ნელა მიდის საქმე წინ.

საუბარში ვრცელ მოედნამდე მიაღწიეს, რომელსაც აქეთ-იქიდან დამხმარე შენობები ამოსდგომოდა, ხოლო უკანა მხრიდან საცხოვრებელი სახლი. მისი ორივე ფლიგელი ბაღის მა-

ღალ კედელს მიბჯენოდა. უკან მოჩანდა ურთხელის ხშირი ბუჩქნარი, ეზოში აქა-იქ აყვავებული იასამნის ტოტები გადმოკიდებულიყო ღობეზე. მოედანზე გამოივლიდნენ მზისა და შრომისაგან სახეანთებული მამაკაცები და ორივე მეგობარს ესალმებოდნენ. ერიხი ზოგ მათგანს დავალებას აძლევდა, ზოგს კი საქმეზე რაღაცას ეკითხებოდა. ბოლოს სახლს მიადგნენ. მაღალჭერიან, გრილ წინკარში შევიდნენ, საიდანაც მარცხნივ შეუხვიეს და ბნელ გვერდით ტალანში აღმოჩნდნენ. ერიხმა კარი შეაღო და ბაღის ფართო ფანჩატურში გავიდნენ. ერთმანეთში გადახლართული მცენარეულობა, რომელიც პირდაპირმდებარე ფანჯარას მთლიანად ფარავდა, ფანჩატურის ორივე მხარეს მწვანე კედლად აპყოლოდა და იქაურობას მწვანე ბინდით ავსებდა. მაგრამ ფლიგელის ყურთამდე გაღებული ბაღალი კარიდან ჭარბად იფრქვეოდა გაზაფხულის მზის ბრწყინვალება, მოჩანდა წინ გადაშლილი მაღალი, დაქანებული მწვანე კედლებით შემოზღუდული და ყვავილთა გაზონებით დამშვენებული ბაღი, რომელსაც პირდაპირი ფართო ხეივანი ჰყოფდა. აქედან თვალწინ იშლებოდა ტბა, ხოლო მის უკან—გაფენილი ტყე. ფანჩატურში შესულ მეგობრებს ნიავმა ყვავილთა სურნელება შეაგება.

ბაღის კარის წინ ერთ-ერთ ტერასაზე სრულიად ახალგაზრდა, თეთრებში გამოწყობილი ქალი იჯდა. იგი ფეხზე წამოდგა და მამაკაცებისაკენ გაემართა. მაგრამ ნახევარ გზაზე ერთბაშად შედგა და უცხო სტუმარს დაჟინებით დააცქერდა. რაინჰარდმა მას ღიმილით ხელი გაუწოდა.

— რაინჰარდ! — შესძახა ქალმა — რაინჰარდ! ღმერთო ჩემო, ნუთუ შენა ხარ! რამდენი ხანია ერთმანეთი აღარ გვინახავს.

— დიდი ხანია, — დაუდასტურა რაინჰარდმა და სიტყვის დაძვრა ვეღარ შეძლო, რადგან ქალის ხმის გაგონებაზე გული საამო ტკივილმა დაუსერა. სიტყვის უთქმელად შესცქეროდა ძველებურად წარმტაც ელიზაბეტს, რომელსაც წლების წინ თავის მშობლიურ ქალაქში დაემშვიდობა.

სიხარულით სახეატკრეცილი ერიხი კართან გაჩერებულიყო.

— აბა, ელიზაბეტ, გამოტყდი ,რომ ამას შენს სიცოცხლეში არ მოელოდი, — უთხრა ერიხმა.

ელიზაბეტმა ერიხს ისე შეხედა, თითქოს და ყოფილიყო მისი, და უთხრა:

— რა კეთილი ხარ, ერიხ!

ერიხი ქალის პატარა ხელს მოეფერა:

— და აი, რაინჰარდი ჩვენთანაა. ახლა კი დიდხანს აღარ გავუშვებთ. ისედაც რამდენი ხანია არ მოგვკარებია. ისევ გავიშინაუროთ. შეხედე ერთი, რა ოფიციალური და მედიდური სახე აქვს!

ელიზაბეტმა კრძალვით მოავლო თვალი რაინჰარდს.

— მართლაც, კარგა ხანია, ერთმანეთი აღარ გვინახავს, — წარმოთქვა რაინჰარდმა.

ამ დროს კარს ელიზაბეტის დედა მოადგა, მკლავზე თავსახურიანი კალათა გადაეკიდა.

— ბატონი ვერნერი!—შესძახა მან, როგორც კი რაინჰარდს თვალი მოჰკრა. —.აი, სასურველი და მოულოდნელი სტუმარი.

და გაიბა საუბარი. მრავალ შეკითხვას გაეცა იმ დღეს პასუხი. შემდეგ ქალები თავიანთ საქმეს შეუდგნენ. სტუმარი მორთმეულ საუზმეს მიუჯდა, ერიხმა კი თავის ჩიბუხს ჩაუკიდა და ბოლში გახვეულმა რაინჰარდს საუბარი გაუბა.

მეორე დღეს რაინჰარდმა მასპინძელთან ერთად დაათვალიერა სახნავ-სათესი, ვენახები, სვიის ნათესები და სპირტის ქარხანა. ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობოდა. მინდორში და სპირტის სახდელ ქვაბებთან მომუშავეებს ჯანსაღი და კმაყოფილი იერი ჰქონდათ. შუადღის პირზე ოჯახი ფანჩატურში იკრიბებოდა, და თუკი მოცალეობა ამის საშუალებას აძლევდა, დროს ერთად ატარებდა. ნასაუზმევს და ვახშმის წინ რაინჰარდი თავის ოთახში განმარტოვდებოდა ხოლმე და რამდენიმე საათს მუშაობდა. წლების მანძილზე კრებდა იგი ხალხურ სიმღერებსა და ლექსებს და ახლა ამ საუნჯის მოწესრიგებასა და, როცა ამის საშუალება მიეცემოდა, ადგილობრივი ვარიანტების ჩანიშვნას აწარმოებდა.

ელიზაბეტი სტუმარს გულთბილად და მეგობრულად ეჭცეოდა. ერიხის მუდამ თანაბარ ყურადღებას ქალი თვინიერი ბადლობით ღებულობდა; ამის გამო რაინჰარდი ზოგჯერ ფიქრობდა: ადრინდელი მხიარული ბავშვი ფრიად მშვიდი ცოლი დამდგარაო.

მოსვლის მეორე დღიდანვე რაინჰარდმა საღამოობით ტბის პირად გასეირნება შემოიღო წესად. გზა ბაღის ქვემოთ გადიოდა. ბაღის ბოლოში წინწაწეულ ბასტიონზე მაღალი არყის ხის ქვეშ გრძელი სკამი იდგა. ელიზაბეტის დედამ იგი საღამოს სკამად მონათლა, რადგან მას უმეტესად საღამოობით აკითხავდნენ და მზის ჩასვლას აქედან ადევნებდნენ თვალს.

ერთ საღამოს, გასეირნებიდან დაბრუნებისას, რაინჰარდს გზაში წვიმამ მოუსწრო. თავი წყლის პირას მდგარ ცაცხვს შეაფარა. მაგრამ მსხვილმა წვეთებმა ფოთლებში მალე გააღწია. რაინჰარდი ბედს დამორჩილდა და ისევ გზა განაგრძო, თითქმის სრულიად ჩამობნელდა. წვიმა თანდათან გამეტებით

ასხამდა. საღამოს სკამს რომ მიუახლოვდა, მოელვარე არყის ხეთა შორის ქალის თეთრი სილუეტი გაარჩია. სილუეტი უძრავად იდგა და ახლო მისელისას რაინჰარდს მოეჩვენა, რომ ქალი მისკენ იყო შებრუნებული და თითქოს ვიღაცას ელოდა. ეგონა, ელიზაბეტიაო. რაინჰარდმა იფიქრა, — მივალ და ბაღზე გადავლით შინ ერთად დავბრუნდებითო, და მისკენ სწრაფად გაეშურა, მაგრამ ქალი ნელა შებრუნდა და ბნელი ბილიკით გაუჩინარდა. კაცმა ვერ გაიგო, რა მოხდა, და ელიზაბეტზე გული მოუვიდა, თუმცა დაეჭვდა კიდეც, — ეგებ ის არ იყოო, კითხვისა კი მოერიდა და შინდაბრუნებული ფანჩატურში აღარ შევიდა, რომ ბაღიდან შემოსული ელიზაბეტი არ დაენახა.

ლედაჩემს სურდა ასე

რამდენიმე დღის შემდეგ, საღამო პირს, მთელმა ოჯახმა, ჩვეულების მიხედვით, თავი ფანჩატურში მოიყარა. ყველა კარი ღია იყო. მზე უკვე ტყისკენ გადახრილიყო, ტბის იქითა მხარეს.

რაინჰარდს სთხოვეს, ზოგიერთი ხალხური სიმღერა გაგვაცანი, რომელიც საღამოს ფოსტით სოფელში მცხოვრები მეგობრისაგან მოგვიდაო. რაინჰარდი თავის ოთახში წავიდა და მალე სუფთად გადაწერილი ქაღალდების გრაგნილით დაბრუნდა. მაგიდას მიუსხდნენ. რაინჰარდის გვერდით ელიზაბეტი მოთავსდა.

— სწორედ კარგ დროს ვკითხულობთ, — თქვა რაინჰარდმა. — ჯერ მე თავადაც არ გადამითვალიერებია.

ელიზაბეტმა ხელნაწერი გაშალა.

— აქ ნოტებია და ალბათ იმღერებ კიდეც, რაინჰარდ, არა?—ჰკითხა ელიზაბეტმა.

რაინჰარდმა ჯერ რამდენიმე ტიროლური* საცეკვაო სიმღერა წაიკითხა, თან ალაგ-ალაგ მხიარულ მელოდიას ჩაიღიღინებდა ხოლმე. პატარა საზოგადოებას საერთო მხიარულება დაეუფლა.

— ნეტავ ვინ შეთხზა ეს მშვენიერი სიმღერები? — დაინტერესდა ელიზაბეტი.

— ერთი შენც! მაშინვე ეტყობა, რომ მაგათ დალაქები, მკერავები და მათი მსგავსი თავქეიფა ხალხი თხზავს, —უთხრა ერიხმა.

— არა, ეს სიმღერები შეთხზული არ არის, — თქვა რაინჰარდმა. — ისინი მიწიდან ამოიზარდნენ, ზეციდან ჩამოფრინდნენ, ისინი დაფრინავენ ხმელეთზე ზიზილების ბუმბულის მსგავსად ხან აქ, ხან იქ, და ერთდროულად ათას ადგილას მღერიან. მათში ვნახულობთ ჩვენს საკუთარ ტანჯვას და სიხარულს, თითქოს ყველას ერთად შეგვიქმნიაო ეს სიმღერები.

შემდეგ რაინჰარდმა მეორე ფურცელი აიღო. „მაღალსა მთასა ვიდექი“, — ეწერა ლექსს სათაურად.

— ეს მეც ვიცი! — წამოიძახა ელიზაბეტმა, — ოღონდ წამოიწყე და მეც აგყვები.

მათ იმღერეს ეს მელოდია, რომელიც ისეთი განსაცვიფრებელი რამ იყო, რომ კაცი იფიქრებდა, ადამიანმა როგორ შეძლო მისი შეთხზვაო. ელიზაბეტი თავის ოდნავ დაგუდული ალტით მისდევდა რაინჰარდის ტენორს. ელიზაბეტის დედა საკერავს გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა. ერიხს გულხელი დაეკრიფა და დაფიქრებით უგდებდა ყურს. სიმღერა რომ დაამთავრეს, რაინჰარდმა ფურცელი ხმისამოუღებლად გვერდზე გადასდო... ტბის ნაპირიდან საღამოს სიჩუმეში ნახირის ზანზალაკების რეკვა გაისმა. ფანჩატურში თავშეყრილებმა უნებ-

ლიეთ ყური მიუგდეს ზარების ხმას. მალე ბიჭის წკრიალა ხმაც მოჰყვა:

მაღალსა ძთასა ვიდეკი მე
და დავყურებდი გადაშლილ ვაკეს...

რაინჰარდს გაეღიმა.

— გესმით? აი ასე ვრცელდება ეს სიმღერები.

— ამ მხარეში ხშირად მღერიან, — თქვა ელიზაბეტმა.

— დიახ, — დაადასტურა ერიხმა,—ეგ მწყემსია, საქონელს მიერეკება.

კიდევ უსმინეს მცირე ხანს, სანამ ხმა ზემოთ, შენობებს უკან არ მიწყდა.

— ესენი უძველესი მელოდიებია,—თქვა რაინჰარდმა. — ისინი ტყის წიაღში თვლემენ. ღმერთმა იცის, ვინ გამოიტანა პირველად ეს სიმღერები დღის სინათლეზე.

შემდეგ ახალი ფურცელი გადაშალა.

ბინდი ჩამოწვა. ტბის მეორე მხარეს დაისი წითელი ნისლივით დასდგომოდა ტყეს. რაინჰარდმა ფურცლები გაშალა, ელიზაბეტმა ერთ მათგანს ხელი დაადო და თვალი გადაავლო. რაინჰარდმა წაიკითხა:

დედაჩემს სურდა ასე,—
კავთხოვილიყავ სხვაზე.
მაშინ ვრჩებოდი ქვეყნად
უნუგეშოდ და კენტად.
დაივიწყო ის, ვინც
გიყვარსო თავზე მეტად...
გულს კი არ სურდა ასე.
ახლა ვემდური დედას,
კარგს ვერ ვეწიე, ვხედავ, —
რაც ითვლებოდა წმინდად,
დღეს ყოველივე იგი
მხოლოდ ცოდვაა დიდი,

რა გზას დავადგე, ნეტავ.
იმ სიამაყის ნაცვლად —
იმ სიხარულის ნაცვლად.
ტანჯვა მოვიმკე ძნელოდ,
ბედი მომექცა მკაცრად.
ვეჭვრეტ წარსულს,—
ნათელ სივრცეს,
მიჯობს, მათხოვრად ვიქცე
დამწვარ, გატრუსულ ველის,
და ის არ ვიყო, რაც ვარ.

კითხვის დროს რაინჰარდმა შეამჩნია, როგორ ათრთოლდა ქაღალდი. კითხვა რომ დაამთავრა, ელიზაბეტმა სკამი ნელა გასწია და ჩუმად გავიდა ბაღში. დედამისმა თვალი გააყოლა. ერიხს უნდოდა გაჰყოლოდა, მაგრამ დედამ შეაჩერა:

— ელიზაბეტს იქ საქმე აქვს.

გარეთ ბინდმა იმძლავრა და თანდათან ხვევდა სიბნელეში ბაღსა და ტბას: ღამის მწერები ზუსუნით ჩაუქროლებდნენ ღია კარს, საიდანაც ბუჩქნარისა და ყვავილების მოჭარბებული სურნელება იფრქვეოდა. წყლიდან ბაყაყების ყიყინი ისმოდა, ფანჯრის ახლოს ერთი ბულბული სტვენდა, ბაღის სიღრმიდან კი დანარჩენები აყოლებდნენ ხმას. ხეთა კენწეროებს მთვარე დაჰნათოდა. რაინჰარდმა ცოტა ხანს კიდევ უმზირა იმ ადგილს, სადაც ელიზაბეტის კენარი ტანი გაუჩინარდა. შემდეგ ხელნაწერი დაახვია, იქ მყოფთ თავი დაუკრა და ტბისკენ გაემართა.

ტყეში მდუმარება სუფევდა. ტბას ხეთა ჩრდილები გადასწოლოდა, შუაგული კი მთვარის შუქს გაენათებინა. ყამიდან— ყამზე ხეებში წყნარი ფაჩუნი ისმოდა. მაგრამ ნიავი არ იყო ეს—ზაფხულის ღამე სუნთქავდა ასე. რაინჰარდი ტბის პირას მიდიოდა. ნაპირიდან ქვის გასროლაზე წყლის თეთრი შრიშა-

ნა შენიშნა*. უცბად მისი ახლო ხილვის სურვილმა აიტანა. სამოსი გაიძრო და წყალში ჩავიდა. წყალი ღრმა არ იყო, წვეტიანი ქვები და მცენარეულობა ფეხებს უსერავდა, გასაცურად კი საჭირო სიღრმეს ვერსად მიაგნო. ერთბაშად ღრმაში შეტოპა, წყალი თავს გადაევლო და რამდენიმე წამმა გაიარა, სანამ წყლის ზედაპირზე მოექცეოდა, აქ კი მკლავი და ფეხი გაშალა, წრე შემოავლო და მიმოიხედა, რომ ადგილმდებარეობაში გარკვეულიყო. მალე შროშანა კვლავ დაინახა. იგი დიდ მოლაპლაპე ფოთოლთა შორის მოქცეულიყო ობლად. მისკენ ნელ-ნელა გასცურა, მკლავებს წამდაუწუმ უსვამდა წყალზე და მთვარის შუქზე წინწკლები ელავდნენ. მანძილი რაინჰარდსა და შროშანას შორის თითქოს არ მცირდებოდა, ხოლო უკან ნისლში გახვეული ნაპირი თანდათან ბუნდოვანდებოდა. რაინჰარდმა განზრახვაზე ხელი მაინც არ აიღო და შროშანასაკენ მხნედ მიცურავდა. ბოლოს ყვავილს ისე მიუახლოვდა, რომ მისი მოვერცხლისფერო ფურცლები მთვარის შუქზე მკაფიოდ გაარჩია. მაგრამ უცბად ისე მოეჩვენა, თითქოს ბადეში მოხვედრილიყოს. ფსკერიდან ამოსული წყალმცენარეების სლიპინა ღეროები შიშველ კიდურებზე ეხვეოდა. ირგვლივ ჩაშავებული წყლის მეტი არაფერი ჩანდა, ზურგს უკან თევზმა დაიტლაშუნა. უცნობმა გარემომ რაინჰარდი ერთბაშად ისე შეზარა, რომ ფეხზე შემოხვეული წყალმცენარეები დაწყვიტა და სუნთქვაშეკრულმა აჩქარებით გასცურა ნაპირისაკენ. ხმელეთიდან ტბას გახედა: მიუწვდომელი შროშანა წელანდელივით მარტოდმარტო იდგა ჩაბნელებულ წყალში.

რაინჰარდმა ნელა ჩაიცვა და შინისაკენ გასწია. როცა ბაღიდან დარბაზში შევიდა, ნახა, რომ ერიხი და ელიზაბეტის დედა სახვალიო მგზავრობის სამზადისში იყვნენ.

— სად იყავით ამ შუადღამისას? — შესძახა ელიზაბეტის დედამ.

— მე? წყლის შროშანა ძიძდოდა ბებიასა, მაგრამ ვერაფერი გავაწყე.

— კაცი ვერ გაიგებს! — უთხრა ერიხმა, — რისთვის ვინდოდა, ბევრიც რომ გქონოდა?

— წინათ მინახავს იგი, — უპასუხა რაინჰარდმა, — მაგრამ მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო.

ELIZABETH

შუადღე გადასული იყო, როცა მეორე ღღეს რაინჰარდი და ელიზაბეტი ტბის მეორე მხარეს წავიდნენ სასეირნოდ. გზა ხან ტყიანზე გადიოდა, ხან ტბაში შეჭრილ მაღალ ნაპირებზე. ელიზაბეტმა ქვრისგან დავალება მიიღო, — ჩემი და დედაშენის აქ არყოფნის დროს რაინჰარდს ჩვენი მამულის, განსაკუთრებით კი ტბის მეორე ნაპირი და ეზო-მიდამოს ლამაზი სანახები აჩვენეო. ახლა ისინი ხან ერთ ადგილს ათვალიერებდნენ, ხან მეორეს. ბოლოს ელიზაბეტი დაიქანცა და ჩრდილში ერთ ტოტზე ჩამოჯდა. ხის ძირზე დაყრდნობილი რაინჰარდი მის წინ იდგა. უცბად ტყეში გუგულის ძახილი გაისმა. რაინჰარდს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ადრეგანცდილი მეორდებოდა. ელიზაბეტს უცნაური ღიმილით შეხედა და ჰკითხა.

—წავიდეთ მარწყვის საკრეფად?

— მარწყვობა ჯერ არ დამდგარა, — უპასუხა ელიზაბეტმა.

— მალე დადგება.

ელიზაბეტმა უსიტყვოდ დააქნია თავი, მერე ფეხზე წამოდგა და ისევ გზას გაუდგნენ. რაინჰარდი მალიმალ გადახედავდა ელიზაბეტს, რომელიც მის მხარდამხარ ისე მსუბუქად მიირ-

ხეოდა, თითქოს ტანისამოსს მიჰყავსო. ვაჟი თავისდაუნებურად უკან რჩებოდა, რომ ქალის მოხდენილობა სრულყოფილად შეეცნო. ასე მიადგნენ ისინი მანანამოდებულ ადგილს, საიდანაც თვალწინ მთელი მიდამო იშლებოდა. რაინჰარდი ძირს დაიხარა და ბალახებში რაღაც დაკრიფა. სახეზე მწვავე ტკივილი აღბეჭდოდა.

— ამ ყვავილს თუ იცნობ? — ჰკითხა ელიზაბეტს.

ქალმა გაკვირვებით შეხედა და უთხრა:

— ეს ხომ მანანაა, ტყეში ხშირად მიკრეფია.

— შინ ერთი ძველი წიგნი მაქვს, — უთხრა რაინჰარდმა,— წინათ ამ წიგნში ვწერდი ლექსებსა და ყოველ გარითმულ სტროფს. კარგა ხანია შიგ აღარაფერი ჩამიწერია. ამ წიგნშიც დევს მანანა, ოღონდ გამხმარი. ხომ არ იცი, ვინ მომცა?

ელიზაბეტმა ჩუმად დაუქნია თავი, თვალები დაბლა დახარა და მანანას დააცქერდა, რაინჰარდს ხელში რომ ეჭირა. დიდხანს იდგნენ ასე. ბოლოს, როცა მაღლა აიხედა, ვაჟმა შეამჩნია ელიზაბეტს თვალები ცრემლით ავსებოდა.

— ცისფერ მთებს იქით დარჩა, ელიზაბეტ, ჩვენი ახალგაზრდობა, — უთხრა რაინჰარდმა.

შემდეგ ხმა აღარ ამოუღიათ. მდუმარედ ჩაიარეს გზა ტბისკენ. ჰაერი შეხუთულიყო, დასავლეთით ცას შავი ღრუბლები მოსდებოდა.

— წვიმას დაუშვებს, — თქვა ელიზაბეტმა და ფეხი ააჩქარა, რაინჰარდმა თავი ჩუმად დაუქნია და ორივენი ტბის ნაპირს აჩქარებით გაუყვნენ. მალე ნავსაც მიაღწიეს.

ნავი ტბის ზედაპირზე მისრიალებდა. ელიზაბეტს ხელი ნავის კიდეზე დაედო. რაინჰარდი ქალს შეჰყურებდა, ელიზაბეტს კი რაინჰარდისთვის თვალი აერიდებინა და სივრცეს გაჰყუ-

რებდა. ვაჟმა თვალები დახარა და ელიზაბეტის ხელს დააცქერდა. ამ ფერდაკარგულმა ხელმა ვაჟს გაუმჟღავნა ის განცდები, რაც ქალის სახეზე არ იგრძნობოდა. ამ ხელზე შენიშნა მან ფაქიზი ხაზები იმ იდუმალი ტკივილისა, რომელიც თავის ანაბეჭდს ადებს ქალის მშვენიერ ხელებს, ღამით რომ დაწყლულებულ გულზე განისვენებენ. როგორც კი ელიზაბეტმა იგრძნო — რაინჰარდი ჩემს ხელს უყურებსო, ნავის კიდიდან წყლისკენ ნელა ჩააცურა.

ეზოს რომ მიაღწიეს, სახლის წინ დანების მლესავის ორთვალა შეამჩნიეს. შავკულულებიანი მამაკაცი ბორბალს ბეჯითად ატრიალებდა, თან ბოშების მელოდიას ღიღინებდა. ორთვალაში შებმული ძაღლი იქვე ჩაწოლილიყო და მძიმედ სუნთქავდა. წინკარში შემოხვდათ ძონძებში გახვეული ლამაზი გოგონა, რომელსაც სახეზე დაბნეულობა ეტყობოდა. მან ელიზაბეტს მოწყალება სთხოვა. რაინჰარდმა ხელი ჯიბისაკენ წაიღო, მაგრამ ელიზაბეტმა დაასწრო და მთელი ქისა მათხოვრის გამოწვდილ ხელის გულზე გადმოაპირქვავა. მერე უცბად ადგილს მოწყდა და კიბე აჩქარებით აიარა. რაინჰარდს მისი დახშული ქვითინის ხმა მისწვდა. ერთხანს იფიქრა. — შევაჩერებო, მაგრამ გადაიფიქრა და კიბესთან შეჩერდა. გოგონა ისევ წინკარში იდგა. ხელში ნაწყალობევი ფული ეჭირა.

— გინდა კიდევ რამე? — ჰკითხა რაინჰარდმა.

გოგონა შეკრთა.

— აღარაფერი აღარ მინდა! — თქვა გოგონამ, რაინჰარდს დაბნეული თვალი შეავლო და კარისკენ ნელ-ნელა წავიდა. რაინჰარდმა რაღაც სახელი დაუძახა, მაგრამ გოგონას აღარ

გაუგონია, ხელები გულზე დაიკრიფა, თავი დაბლა ჩაჰკიდა და ეზოდან გავიდა.

მაგრამ სიკვდილთან, ვით ყველა,
ძვირფასო, მარტო დავრჩები.

გაუხმიანა ყურებში ძველმა სიმღერამ და სუნთქვა შეეკრა. ერთ წამს ასე იდგა, შემდეგ შებრუნდა და თავის ოთახისაკენ გაეშურა. დაჯდა და მუშაობა სცადა, მაგრამ აზრს თავი ვერ მოუყარა. ერთი საათი იჯახირა, შემდეგ სასტუმრო ოთახში ჩავიდა. იქ არავინ დახვედრია. მომწვანო, გრილი ბინდი ჩამდგარიყო ოთახში. ელიზაბეტის საკერავ მაგიდაზე იდო წითელი ბაბთა, რომელიც წეღან ყელზე ეხვია, რაინჰარდმა ბაბთა ხელში აიღო, მაგრამ გულში ტკივილი იგრძნო და ისევ ძველ ადგილზე დადო.

რაინჰარდმა ვერსად მოისვენა, ჩავიდა და ნავი აუშვა. ტბის მეორე ნაპირს მიადგა და თავიდან მოიარა ყველა ადგილი, რომელიც წეღან ელიზაბეტთან ერთად მოინახულა. შინ რომ დაბრუნდა, უკვე ბნელოდა. ეზოში შეხვდა მეეტლეს. მას ცხენები გამოეშვა და საბალახოდ მიერეკებოდა. ელიზაბეტის მეუღლე და დედა დაბრუნებულიყვნენ. წინკარში შესულმა რაინჰარდმა ყური მოკრა ერიხის ფეხის ხმას, იგი ფანჩატურში ბოლთას სცემდა. რაინჰარდი მასთან არ შესულა. რამდენსამე წუთს მდუმარედ იდგა, მერე კიბე ნელა აიარა და თავის ოთახისაკენ გაემართა. ფანჯარასთან სავარძელი მიიდგა. თავს ირწმუნებდა, დაბლა, ურთხელებში განაბული ბულბულის სტვენის მოსმენა მინდაო, სინამდვილეში საკუთარი გულის ძგერას უფრო უსმენდა. დაბლა სართულში ყველაფერი მიყუჩებულიყო. ღამე ძალაში შედიოდა, ის კი არაფერს გრძნობდა. ასე იჯდა რამდენიმე საათს. ბოლოს წამოდგა და ღია ფანჯარას გადაეყრდნო. ფოთლებიდან ღამის ნამი წვეთავდა. ბულბული

აღარ სტვენდა. შავ-ლურჯი ფერი ცაზე თანდათან განდევნა აღმოსავლეთის ფერმკრთალმა ნათელმა. გრილმა სიომ დაუბერა და რაინჰარდის ცხელ შუბლს მიეალმუნა. აღტყინებული ტოროლა ჰაერში ჟივილით აიჭრა... რაინჰარდი ერთბაშად შებრუნდა და მაგიდასთან მივიდა. ხელის ფათურით ფანქარი მოძებნა, დაჯდა და სუფთა ქაღალდზე რაღაც დაწერა, წერას რომ მორჩა, ფეხზე წამოდგა, ქუდსა და ხელჯოხს მისწვდა, ნაწერი მაგიდაზე დატოვა, კარი ფრთხილად გამოაღო და წინკარში ჩავიდა. სახლის კუნჭულებში ჯერ ისევ დილის ბინდბუნდი იდგა. ჭილობიდან ტანსრული კატა წამოიმართა და რაინჰარდის ხელს ყალყზე შემდგარი ბეწვი შეაგება. გარეთ კი, ბაღში, ხის ტოტებიდან ბეღურები ქადაგებას შესდგომოდნენ და ყველას ამცნობდნენ — დღემ სიბნელე განდევნაო. უცბად რაინჰარდის სმენას ზემოდან კარის გაღების ხმა მისწვდა. ფეხის ხმა კიბეზე დაეშვა და სანამ რაინჰარდი მიხედვას მოასწრებდა, ელიზაბეტი მის წინ იდგა. ქალმა მკლავში ხელი ჩასჭიდა და ბაგეები აამოძრავა, მაგრამ ხმა ვერ ამოიღო.

— შენ აღარასოდეს არ მოხვალ ჩვენთან, — როგორც იქნა მოახერხა ელიზაბეტმა სიტყვის თქმა, — ვიცი, აღარ მოხვალ. ნუ მომატყუებ.

— არა, არ მოვალ, აღარასოდეს, — უთხრა ვაჟმა.

ქალს ხელი ჩამოუვარდა და აღარაფერი უთქვამს. რაინჰარდმა წინკარი გაიარა და გასასვლელისაკენ გაემართა. კართან შედგა და კიდევ ერთხელ მოიხედა უკან. ქალი იმავე ადგილას იდგა და ვაჟს ჩამქრალი თვალებით შეჰყურებდა. რაინჰარდმა მისკენ მკლავები გაიშვირა და წინ ერთი ნაბიჯი წარსდგა, მაგრამ უდიდესი ძალდატანების ფასად ქალს კვლავ ზურგი შეაქცია და კარისაკენ გაემართა.

დილის რიჟრაჟში ჩაძირულიყო მთელი სამყარო, ობობა-ქსელში ჩაკიდული ცვრის წვეთები მარგალიტის ელვარებით ესალმებოდნენ მზის პირველ სხივებს. რაინჰარდს უკან აღარ მოუხედავს, გზა სწრაფი ნაბიჯით განაგრძო. წყნარი მამული თანდათან უკან რჩებოდა და მის წინ იშლებოდა ვრცელი, თვალუწვდენი სამყარო.

ბერიკაცი

ფანჯარაში მთვარე აღარ იხედებოდა, ირგვლივ სიბნელე გამეფებულიყო. ბერიკაცი გულხელდაკრეფილი განაგრძობდა სავარძელში ჯდომას და ერთ წერტილს შესცქეროდა. მის წინ განფენილი შავი სიბნელე თანდათან ვრცელ და ჩაბნელებულ ტბად გადაიქცა. შავი წყალი ჩადგა მასა და მეორე სულიერს შორის, თანდათან ღრმავდებოდა და იზრდებოდა ეს წყალი და ქალის სახე ისე შორს დარჩა მეორე მხარეს, რომ ბერიკაცი თვალს ძლივს უწვდენდა, დიდ-დიდ ფოთოლთა შორის კი წყლის თეთრი შროშანა დატორტმანებდა.

კარი გაიღო და ოთახში სინათლის სხივი შემოიჭრა.

— კარგია, რომ მოხვედით, ბრიგიტა; ლამპა მაგიდაზე დადგით, — თქვა მოხუცმა.

შემდეგ სკამი მაგიდასთან მიდგა, გაშლილ წიგნთაგან ხელში ერთ-ერთი აიღო. შიგ თავი ჩარგო და შეუდგა საყვარელ საქმეს, რომელსაც მთელი თავისი ახალგაზრდობა მიუძღვნა.

თოჯინების ოსტატი პოლე

სიჭაბუკისას ხარატობაში კარგად გაეიწაფე. ამ საქმეს გაცილებით მეტ დროს ვანდომებდი, ვიდრე ეს მეცნიერების შესწავლას გამოადგებოდა; ყოველ შემთხვევაში, როცა ერთხელ სუბრექტორმა* შეცდომებიანი წერითი ნაშრომი დამიბრუნა, გესლიანად შემნიშვნა, შენს დას დაბადების დღისათვის ისევ ქარგის ხრახნს ხომ არ უჩარხავდიო. სამაგიეროდ, ჩემმაშინდელი ჩხირკედელობის შედეგად მიღებული წვრილმანი უსიამოვნებანი შემდგომში ჭარბად აანაზღაურა ერთი ჩინებული ადამიანის გაცნობამ; ეს კაცი გახლდათ დახელოვნებული ხარატი და მექანიკოსი პაულ პაულსენი, რომელიც ჩვენი ქალაქის გამგებლობის დეპუტატიც იყო. მამაჩემის თხოვნაზე, რომელიც ყველა საქმის საგულდაგულოდ კეთებას მასწავლიდა, პაულსენი დათანხმდა, ჩემთვის ხარატის ზოგიერთი აუცილებელი ხერხი ესწავლებინა.

პაულსენს მრავალმხრივი ცოდნა ჰქონდა. ამასთანავე,

მხოლოდ თავის ხელობას კი არ იყო სრულყოფილად დაუფლებული, არამედ წინასწარ ჭვრეტდა საერთოდ ხელობის განვითარების გზებს, და ახლა რომ ზოგიერთ რამეს სიახლედ მიიჩნევენ, ამის თაობაზე ჩემი მოხუცი პაულსენი ორმოცი წლით ადრე ლაპარაკობდა.

მალე მისი კეთილი განწყობა დავიმსახურე და იგი სიამოვნებით მიმიღებდა ხოლმე, როცა მეცადინეობის შემდეგ საღამოობითაც მოვინახულებდი. ჩვენი ურთიერთობა წლობით გრძელდებოდა. დავსხდებოდით სახელოსნოში, ზაფხულობით კი—მის ბაღში, დიდი ცაცხვის ქვეშ, მერხზე და ვსაუბრობდით. ამ საუბრებით, უფრო სწორად, ჩემი უფროსი მეგობრის საუბრით, ვიმდიდრებდი ცოდნას და ვეცნობოდი ისეთ საგნებს, რომელთა შესახებ შემდგომ, უფროსი კლასების სახელმძღვანელოებშიც, ერთი სიტყვა არ შემხვედრია, თუმცა ეს ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანია.

წარმოშობით პაულსენი ფრიზლანდიელი* იყო და ამ ხალხისათვის დამახასიათებელი გარეგნობა ჰქონდა: ქერა თმა, შუბლი — ფართო, თვალები — დაფიქრებული, ლაპარაკის დროს მშობლიურ კილოზე ისე უქცევდა, გეგონებოდათ, საამოდ მღერისო. ამით იგი მამას დამსგავსებოდა.

ჩრდილოელ პაულსენს ცოლი სამხრეთ გერმანიიდან ჰყავდა, რასაც მეტყველებაზე უცბად შეატყობდით. იგი მოხდენილი ტანადობის, მშვენიერი ქალი გახლდათ. დედაჩემი ხშირად იტყოდა: „მაგის შავი თვალების ცეცხლი ტბას ამოაშრობს. ახალგაზრდობაში უჩვეულოდ ლამაზი იყოო“ მართალია, მის შავ თმას ახლა ვერცხლი შერეოდა, მაგრამ სახეს ადრინდელი მომხიბვლელობა არ დაჰკლებოდა, და ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი სილამაზისადმი თაყვანისცემა მაიძულებდა,

როგორც კი საამისო მიზეზი მომეცემოდა, მისთვის რაიმე მესიამოვნებინა.

„ერთი ამ ყმაწვილს დამიხედეთ!“ — ეტყოდა ხოლმე იგი, ასეთ დროს ქმარს — ხომ არ იეჭვიანებ, პაულ?“—პაული გაიღიმებდა. ქალის სახუმარო სიტყვებსა და პაულის ღიმილში გამოსჭვიოდა მეუღლეთა ურთიერთსიყვარული და პატივისცემა,

ერთადერთი ვაჟი ჰყავდათ; ისიც იმჟამად უცხოეთში იყო და ნაწილობრივ, ალბათ, ამიტომაც ვიყავი მათთვის სასურველი. ფრაუ პაულსენი ხშირად მარწმუნებდა, რომ მე ისეთივე სასაცილო ცხვირი მქონდა, როგორც მათ იოზეფს. არ შემიძლია ისიც არ ვთქვა, რომ ფრაუ პაულსენი ძალიან გემრიელი, ჩვენს ქალაქში სრულიად უცნობი ნამცხვრის ოსტატი იყო და ზოგჯერ სტუმრად მეც მიმიწვევდა ხოლმე.

ასე და ამგვარად ამ ოჯახს ბევრი რამ ჰქონდა ისეთი, რითაც მე მიზიდავდა. მამაჩემიც იწონებდა ჩემს ურთიერთობას ამ პატივცემულ ცოლ-ქმართან. „აბა შენ იცი, ვინძლო თავი არ მოაბეზრო“, მეტყოდა ხოლმე მამაჩემი. მე მგონია, ხშირი სტუმრობით მათთვის თავი არასოდეს არ მომიბეზრებია.

ერთ დღეს, ჩვენს ოჯახში, ქალაქის ერთ-ერთ ძველ მკვიდრს ჩემი ახლახან დამთავრებული ნახელავი უჩვენეს, რომელიც საკმაოდ მოხდენილი გამომივიდა.

როცა მან გაოცება გამოთქვა, მამაჩემმა უთხრა, თითქმის ერთი წელია, ოსტატ პაულსენთან სწავლობსო.

— ჰოო, — შენიშნა მოხუცმა ბატონმა, — თოჯინების ოსტატ პოლესთან?

მე მანამდე არ გამეგონა, თუ ჩემს მეგობარს ასეთი მეტსახელი ჰქონდა, და, შესაძლოა, ზედმეტი სითამამით ვიკითხე, ეს რას ნიშნავს-მეთქი.

მოხუცმა ბატონმა მხოლოდ ეშმაკურად გაიღიმა და პასუ-ხის მოცემა არ ·ინება.

შემდგომ კვირა საღამოს ცოლ-ქმარმა პაულსენებმა ქორ-წინების დღის აღსანიშნავ სამზადისში დასახმარებლად მიმიხ-მეს. ზაფხულის მიწურული იყო. რადგან ადრე მივედი, ხო-ლო დიასახლისს სამზარეულოში საქმიანობა არ დაემთავრები-ნა, მე და პაულსენი ბაღში გამოვედით და დიდი ცაცხვის ქვეშ, მერხზე ჩამოვსხედით. მე ისევ „თოჯინების ოსტატი პოლე" გამახსენდა და თავში ისე ჩამეჭედა, რომ მის კითხვებზე ძლივს-ღა ვპასუხობდი. როცა დაბნეულობის გამო მან ცოტა არ იყოს მკაცრად მისაყვედურა, პირდაპირ ვკითხე, რას ნიშნავს ეს ზედმეტი სახელი-მეთქი.

ოსტატი ძალიან გაბრაზდა.

— ვინ გასწავლა ეგ სისულელე? — წამოიძახა მან და ზეზე წამოიჭრა. მაგრამ სანამ პასუხს გავცემდი, ისევ გვერდით მო-მიჯდა. — კარგი, კარგი, — თქვა დაფიქრებით, — ეს ნიშნავს ყველაზე საუკეთესოს, რაც კი ცხოვრებაში მინახავს. დრო საკ-მაოდ გვაქვს და ყველაფერს გიამბობ.

ამ სახლსა და ბაღში გავიზარდე, აქ ცხოვრობდნენ ჩემი კე-თილი მშობლები, ვიმედოვნებ, ჩემი ვაჟიც აქვე იცხოვრებს. კარგა ხანია განვლო იმ დრომ, ბავშვი რომ ვიყავი, მაგრამ ბავშვობისდროინდელი ზოგიერთი სურათი ისევ ფერადი ფანქ-რით დახატულივით მიდგას თვალწინ.

მაშინ ჩემი სახლის კართან ერთი პატარა თეთრი მერხი იდ-გა. საზურგე და სახელური მწვანე თამასებისა ჰქონდა. იქიდან ერთ მხარეს, ქვემოთ დაქანებული ქუჩა მოჩანდა, მის ბოლო-ში კი ეკლესია, მეორე მხარეს—გადაჭიმული მინდვრები. შრომით დაღლილ ჩემს მშობლებს ზაფხულზე აქ უყვარდათ ხოლმე საღამოობით დასვენება. მანამდე კი ამ ადგილს მე ვი-

კავებდი, გაკვეთილებს ვამზადებდი სუფთა ჰაერზე, თან აღ-მოსავლეთისა და დასავლეთის ხედით ვტკბებოდი.

ერთხელ, ნასამხრევს, ასე ვიჯექი და გრიფელის პატარა დაფაზე ალგებრის ამოცანას ვიყვანდი. ახლაც კარგად მახსოვს, სექტემბერი იყო, წმინდა მიხეილის დღის ბაზრობა ჩათავებული გვქონდა. უცბად, ქუჩის ბოლოში, გამოჩნდა ჩვენსკენ მომავალი უცნაური ეტლი. ორთვალა იყო, შიგ ერთი პატარა უშნო ცხენი ება. ორთვალაზე ორ მაღალ ყუთს შორის იჯდა ქერა ზორზოხა ქალი, რომლის არაფრისმთქმელი სახე ხისგან გამოკვეთილი გეგონებოდა, და ასე ცხრა წლის გოგონა, შავთმიან თავს ცქვიტად რომ ატრიალებდა აქეთ-იქით. ეტლს, აღვირით ხელში, გვერდით მოჰყვებოდა მხიარული გამომეტყველების ტანმორჩილი კაცი. მას მწვანე წინაფრიანი ქუდიდან ზღარბის ეკლებისმაგვარი მოკლე შავი თმა მოუჩანდა.

ასე მიიწევდნენ ისინი ზემოთ, ცხენის ყელზე შებმული ზანზალაკის წკრიალით. ეტლი ჩვენს სახლს რომ გაუსწორდა, შეჩერდა.

— ეი, შენ, ბიჭო! — გადმომძახა ეტლიდან ქალმა, — საღ არის აქ ფუნდუკი?

ჩემი გრიფელი კარგა ხანია გვერდით მქონდა გადადებული, ახლა, როგორც კი ქალმა დამიძახა, მისკენ გავიქეცი და ეტლთან მივედი.

— სწორედ იქა ხართ, — მივუგე მე და ხელით ძველ სახლზე მივუთითე, რომლის წინ ოთხკუთხედად შეკრეჭილი ცაცხვი იდგა. ეს ცაცხვი, შენ კარგად იცი, ახლაც იქვე დგას, ჩვენი ქუჩის მეორე მხარეს.

ყუთებშუა მოქცეული კოპწია გოგონა ფეხზე წამოდგა,

გახუნებული პალტოს კაპიშონიდან პატარა თავი გამოჰყო დ-
დიდი თვალებით შემომაცქერდა. მაგრამ კაცმა გოგოს შესძა-
ხა „წყნარად დაჯექი, ნუ ყელყელაობო“, მე—„დიდი მადლო-
ბა, ბიჭიკოო“, გალეულ ცხენს შოლტი გადასცხო და ეტლ-
მითითებული სახლის წინ გააჩერა, საიდანაც მის შესაგებ-
ლად უკვე გამოვიდა მწვანეწინსაფრიანი მეფუნდუკე.

ის ამბავი, რომ ასეთი სტუმრები ჩვენს ფუნდუკში დიდ-
პატივით არ სარგებლობდნენ, რომ დავფიქრდები, ჩემთვის ახ-
ლა გასაგებია, მაგრამ მაშინ ვერაფრით ვერ ამეხსნა—როგორ-
შეიძლებოდა, ასეთი ადამიანები პატივისცემით არ მიეღოთ
ამ ფუნდუკში ხშირად ჩერდებოდა მათი მსგავსი და ჩემთვის
მეტად სასიამოვნო ხელობის ხალხი. ზემოთ, მეორე სართულ-
ზე, სადაც დღესაც ფანჯრების ნაცვლად უბრალო ხვრელები
დატანებული, ყოველგვარი მოხეტიალე მუსიკოსები, მუშაი-
თები და მხეცების მომთვინიერებლები ათევდნენ ღამეს, რომ-
ლებიც თავიანთი ხელოვნებით უმასპინძლდებოდნენ ჩვენს
ქალაქს.

მართლაც, მეორე დღეს დილით, როცა ჩემს სენაკში ფანჯ-
რის წინ სასკოლო ჩანთას ვკრავდი, ქუჩის იქით, ფუნდუკის
ზემო სართულში სარკმელი გაიღო, ზღარბისთავიანმა კაცუნამ
გარეთ გამოიხედა, გაიზმორა და სუფთა ჰაერი ჩაყლაპა. მერე
უკან, ჩაბნელებულ ოთახში მიიხედა და შემომესმა მისი ძა-
ხილი: „ლიზაი, ლიზაი!“ მაშინვე მის მკლავებქვეშ გამოჩნდა
პატარა ვარდისფერი სახე, რომელსაც შავი თმა ფაფარივით
ჩამოშლოდა. მამამ გოგონას თითით ჩემზე ანიშნა, გაიცინა და
აბრეშუმივით ნაზი თმის ნაწნავი რამდენჯერმე მოსწია. ის
ვეღარ გავიგონე, რა უთხრა გოგონას, მაგრამ, ალბათ, ასეთი
რამ თქვა: „შეხედე, ლიზაი! გახსოვს, ეს ის ბიჭია, გუშინ რომ
ვნახეთ. ეგ საწყალი ახლა სკოლაში უნდა წავიდეს. შენ კი რა

ბედნიერი ხარ. დასეირნობ ჩვენი ქურანათი ქვეყნის კიდით-კიდე". ყოველ შემთხვევაში, გოგონა თანაგრძნობით შემომყურებდა და, როცა გამბედაობა მოვიკრიბე და მეგობრულად თავი დავუქნიე, მან ძალიან სერიოზული სახით მიპასუხა.

შემდეგ მამამისმა თავი უკან მიაბრუნა და ოთახში მიიმალა. მის მაგივრად ბავშვთან ახლა ზორზოხა ქერა ქალი მივიდა და მაშინვე თმის ვარცხნა დაუწყო. ეს საქმე ალიაქოთის გარეშე უნდა შესრულებულიყო და ლიზაის არ უნდა ეფშლუკუნა, თუმცა რამდენჯერმე სავარცხელი თმაში გაეჩხირა და ვარდისფერი პირისახე საწყალობლად დაღმიჭა. მხოლოდ ერთხელ ასწია ხელი და თავისი გრძელი თმა დილის ნიავს მიანება, რომელმაც იგი ცაცხვის ტოტებს შემოახვია. ჩემი ფანჯრიდან კარგად დავინახე, როგორ გაბრწყინდა იგი შემოდგომის მზის სხივებზე, რომელიც ის-ის იყო გაუსხლტდა ნისლს და ფუნდუკის ზემო სართულში შეანათა.

ახლა შემეძლო აქამდე ჩაბნელებული ოთახის შიგნითაც შემეხედა. ერთ ბნელ კუთხეში მაგიდას ჩია კაცი მისჯდომოდა. ხელში რაღაც ოქროს თუ ვერცხლის საგანი უბრწყინავდა. მერე უზარმაზარცხვირიანი სახე შევამჩნიე და, თუმცა მხედველობა ძალიან დავძაბე, მაინც ვერ გავარჩიე, რა იყო. უცბად ისეთი ხმა შემომესმა, თითქოს ყუთში რაღაც ხის საგანი ჩავარდაო, კაცი ზეზე წამოდგა და მეორე სარკმელიდან ქუჩაში გაპოიბედა.

ამასობაში ქალმა შავგვრემან გოგონას გახუნებული წითელი ქაბა ჩააცვა და მრგვალ თავზე ნაწნავები ჯვარედინად დაუმაგრა.

მე ისევ ზემოთ ვიყურებოდი. ვფიქრობდი, იქნებ კიდევ დამიქნიოს-მეთქი თავი.

— პაულ, პაულ! — შემოშესძა ამ დროს ქვემოდან დედის ძახილი.

— რა იყო, დედა! — გავეპასუხე გვარიანად შეშინებულმა.

— ახლა კი კარგ დღეს დაგაყრის მათემატიკის მასწავლებელი! — ისევ ამომძახა დედამ. — ვერ გაიგე, რამდენი ხანია შვიდი რომ დარეკა?

ჯიბე თავპირისმტვრევით ჩავირბინე.

შაგრამ ბედმა გამიღიმა: მათემატიკის მასწავლებელი იმ დღეს თავის ბერგამოტს* კრეფდა და ნახევარი სკოლა მის ბაღში იყო, რათა ამ საქმეში ხელებითა და პირით მიხმარებოდნენ. ლოყებაწითლებული და სახეგაბრწყინებული ბავშვები ცხრა საათზეღა მივუსხედით მერხებს და დაფები და არითმეტიკის წიგნები მოვიმარჯვეთ.

როცა მე თერთმეტის ნახევარზე მსხლით გატენილი ჯიბეებით სკოლის ეზოდან გამოვედი, ჩვენი ქალაქის ჩასუქებული მაცნე-მებუკე უკვე ქუჩაში გამოსულიყო, ალაპლაპებულ თითბრის ტაშტს გასაღებს ურტყამდა და ლუდისაგან ჩახლეჩილი ხმით გაჰკიოდა:

— გუშინ სარეზიდენციო ქალაქ მიუნხენიდან ჩამოვიდა და დღეს საღამოს შუტცენჰოფის დარბაზში პირველ წარმოდგენას გამართავს მექანიკოსი და თოჯინების თეატრის მსახიობი ბატონი იოზეფ ტენდლერი! წარმოდგენილ იქნება: თოჯინების კომედია სიმღერით ოთხ მოქმედებად „პფალცგრაფი ზიგფრიდი და წმინდა ჟენევიევა“.*

შემდეგ მაცნემ ჩაახველა და ზვიადი გამომეტყველებით გაემართა ჩვენი სახლის მეორე მხარეს. ქუჩა-ქუჩა ავედევნე, რომ ეს აღმაფრთოვანებელი ამბავი ისევ და ისევ მონესმინა, რადგან თოჯინების თამაშზე რომ აღარაფერი ვთქვა, კომედია არასოდეს არ მენახა. როცა, ბოლოს და ბოლოს, უკან მოვბ-

რუნდი, დავინახე, რომ ჩემსკენ ვარდისფერსახიანი გოგონა მოემართებოდა. ეს თოჯინების თეატრის ის პატარა მსახიობი გოგონა გახლდათ. გახუნებული სამოსის მიუხედავად, იგი ჩემს თვალში ზღაპრული შარავანდედით იყო მოსილი.

გამბედაობა მოვიკრიბე და გოგონას ვკითხე:

— გასეირნება გსურს, ლიზაი?

ლიზაიმ შავი თვალები უნდობლად შემომანათა.

— გასეირნება? — გაჭიანურებით გაიმეორა მან. — ო, რა მიხვედრილი ვინმე ხართ!

— საით გინდა გაისეირნო?

— მედუქნესთან.

— ახალი კაბა უნდა იყიდო? — ვკითხე შე სულელური ღრეჭით.

გოგონამ გადაიკისკისა.

— დამეხსენ! არა. მხოლოდ ნაკუწები!

— ნაკუწებიო, ლიზაი?

— ჰო. თოჯინებისათვის. ნაჭრის ნარჩენებს ყოველთვის იაფს აფასებენ.

თავში ბედნიერმა აზრმა გამიელვა. მაშინ ბიძაჩემს ბაზართან ფართლეულის სავაჭრო ჰქონდა, მისი მოხუცი ნოქარი ჩემი კარგი მეგობარი იყო.

—წამომყევი, ლიზაი, — გაბედულად ვუთხარი მას, — ქსოვილის ნაკუწები არაფერი არ დაგიჯდება.

—ჰოო? — გაოცებით მკითხა გოგონამ. მერე ორივენი ბაზრის მხარეს, ბიძაჩემის სახლისკენ გავიქეცით. როგორც ყოველთვის, მოხუცი გაბრიელი ახლაც რუხ სერთუკში გამოწყობილი, დახლში იდგა. როგორც კი ჩვენი მისვლის მიზანი გავაცანი, გაბრიელმა დახლზე „ნარჩენები“ გულუხვად დაახვავა,

— შეხე, რა ლამაზი წითელია! — დაიძახა ლიზაიმ და ხარბად შეაცქერდა ფრანგული ჩითის პატარა ნაჭერს.

— გინდა? — შეეკითხა გოგონას გაბრიელი.

გინდაო? რაღა საკითხავი იყო! რაინდ ზიგფრიდს ხომ ამ სალამოს ახალი ყილეტი უნდა ცმოდა.

— ყილეტს რომ სირმებიც სჭირდება, — მოგვმართა მოხუცმა და მთელი იღლია ოქროსა და ვერცხლის ყაითანი მოიტანა. შემდეგ მწვანე და ყვითელი ნაჭრები და ბაბთები, და ბოლოს საკმაოდ მოზრდილი პლუშის წანაჭერიც დაგვიმატა.

— წაიღე, გოგონი! — მიმართა გაბრიელმა. — პლუშიდან შენი ყენევიევასთვის, ალბათ, კარგი ქურქი გამოვა, ძველი, ალბათ, გაუცვდა კიდეც. — გაბრიელმა მთელი სიმდიდრე ერთად შეკრა და გოგონას ხელში მისცა.

— მერე ამას ფული არ უნდა? — იკითხა შემკრთალმა ლიზაიმ.

არა, ფული არ უნდოდა. გოგონას თვალები გაუბრწყინდა,

— დიდი მადლობა, კეთილო ადამიანო! ო, მამაჩემს როგორ გაეხარდება!

ლიზაიმ შეკვრას ხელი დაავლო, მერე ხელი ჩამკიდა და ასე ხელიხელჩაკიდებულები გამოვედით დუქნიდან. ჩვენს სახლს რომ მივუახლოვდით, ხელი გამიშვა და ფუნდუკისკენ ისე მოჰკურცხლა, ნაწნავები ჰაერში აუფრიალდა.

ნასადილევს გარეთ გამოვედი და სახლის კართან ატუზული ვფიქრობდი, დღესვე მეთხოვა თუ არა მამაჩემისათვის წარმოდგენაზე წასასვლელი ფული. ეს ფიქრი მოსვენებას არ მაძლევდა. მე ხომ ქანდარითაც კმაყოფილი ვიქნებოდი, ეს კი, როგორც გავიგე, ჩვენთვის, ბავშვებისთვის ნახევარი შილინგი

ღირდა. ის იყო მამისათვის უნდა მეკითხა, მომცემდა თუ არა ფულს, რომ ქუჩაში დავინახე, ლიზაი ჩემსკენ გამორბოდა.

— ეს მამამ გამოგიგზავნა! — მითხრა მან და სანამ რამეს მოვისაზრებდი, გოგონა უკანვე გაიქცა, მე კი ხელში შემრჩა წითელი ბილეთი, რომელზედაც დიდი ასოებით ეწერა: „პირველი რიგი“.

ზემოთ რომ ავიხედე, დავინახე, პატარა შავი კაცი სხვენის სარკმლიდან ორივე ხელს მიქნევდა. მეც გავეპასუხე. ეს რა კარგი ხალხი ყოფილა-მეთქი, გავიფიქრე.

„მაშასადამე, დღეს საღამოს თოჯინების თეატრში ვიქნები და ისიც პირველ რიგზე გამოვიჭიმები“, ვუთხარი საკუთარ თავს ხმამაღლა.

შენ კარგად იცი, ზიუდერშტრასეზე რომ მონადირეთა სახლია. მაშინ აქ კარზე დახატული იყო ლამაზი მონადირე მთელი ტანით, თავზე ფრთიანი შლაპა ეხურა, ხელში კი თოფი ეჭირა. ამ ძველ შენობას მაშინ უფრო ჯაბახანა შეხედულება ჰქონდა, ვიდრე დღესა აქვს. მის საზოგადოებას სამი წევრიღა წარმოადგენდა. საუკუნეთა წინ ძველი ჰერცოგების მიერ ნაჩუქარი ვერცხლის სასმისები, თოფისწამლის ჩასაყრელი რქები და საპატიო საჩუქრები თანდათან გაიფანტა, დიდი პარკი კი, რომელიც შენც კარგად იცი, ქუჩამდე გამოდის, იჯარით გასცეს და თხა-ცხვრის საძოვრად აქციეს. თვითონ ამ ორსართულიან სახლს უკვე აღარავინ იყენებდა. დაფხავებული და ჩამონგრეული, კოპწია სახლებს შორის საცოდავად გამოიყურებოდა. თითქმის მთელი ზემო სართული თეთრად შეფეთქილ დარბაზს ეჭირა. აი, ამ დარბაზს თუ გამოიყენებდა ხანდახან ზოგიერთი გოლიათი და მოხეტიალე თავიანთი ხელოვნების საჩვენებლად. მხოლოდ ასეთ დროს გაიღებოდა ჭრიალით მონადირის გამოსახულებიანი კარი.

ძლივს მოსაღამოვდა. ბოლო საათი მთლად სატანჯველად მექცა, რადგან მამაჩემს უნდოდა დაწყების ზარის მიცემამდე ხუთი წუთით ადრე გავეგზავნე. მისი აზრით, ჯერ შინ უნდა მომეკრიბა მოთმინება, რომ შემდეგ თეატრში წყნარად ვმჯდარიყავი.

ბოლოს, როგორც იქნა, მიზანს მივაღწიე. დიდი კარი ღია იყო და ხალხი ზედ აწყდებოდა. მაშინ ასეთ სანახაობას სიამოვნებით ნახულობდნენ. ჰამბურგამდე დიდი მანძილი იყო და ათასნაირი საშინაო საქმით დატვირთულ ადამიანთაგან მხოლოდ თითო-ოროლა ახერხებდა ამ დიდი ქალაქის სანახაობებით დატკბობას.

მუხის ხვეული კიბე რომ ავიარე, ლიზაის დედა დარბაზის შესასვლელში სალაროსთან დავინახე. მას ნდობით მივუახლოვდი, მეგონა, ქალი ძველი ნაცნობივით მომესალმებოდა, მაგრამ იგი გაშეშებული იჯდა, ხმის ამოუღებლად ხელიდან ბილეთი ისე გამომართვა, თითქოს მათი ოჯახისათვის არაფერი გამეკეთებინოს. ცოტა არ იყოს, ნირწამხდარი შევედი დარბაზში. სანახაობის მომლოდინე მაყურებლები ერთმანეთს დაბალი ხმით ელაპარაკებოდნენ. ამას ემატებოდა ჩვენი ქალაქის სამი მუსიკოსის საკრავთა წრიპინი. პირველი, რაც თვალში ჰომხვდა, ეს იყო დარბაზის სიღრმეში, მუსიკოსთა ზემოთ, დაკიდებული წითელი ფარდა. ფარდის შუაში გამოსახული იყო ორი გრძელი საყვირი, რომლებიც ოქროს ჩანგზე იყვნენ გადაჯვარედინებულნი, და, რაც მაშინ ყველაზე მეტად გამიკვირდა, ეს იყო საყვირთა სატუჩეებზე ჩამოკიდებული ნიღბები, ერთი მხიარული, მეორე პირდაღმეჭილი, ორივე ცარიელი თვალის ფოსოებით.

პირველი სამი რიგი უკვე დაეკავებინათ. მე მეოთხე რიგ-

ზე დავჯექი. აქ შევამჩნიე ჩემი სკოლის ამხანაგი, რომელიც მშობლებთან ერთად მოსულიყო. ჩვენს უკან რიგები თანდათან მაღლა-მაღლა იწევდა და მთავრდებოდა იატაკიდან კაცის სიმაღლეზე აწეული ეგრეთწოდებული ქანდარით, სადაც დასაჯდომი მერხები არ ელაგა. ქანდარაც გავსებული ჩანდა. კარგად კი ვერ გავარჩიე, რადგან გვერდით კედლებზე მიმაგრებული თუნუქის შანდლებში ჩადებული რამდენიმე ქონის სანთელი მკრთალ შუქს ჰფენდა. დარბაზს ჩაქამული კოპებიც საკმაოდ აბნელებდა. ჩემი მეზობელი სკოლაში ჩადენილ რაღაც ამბავს მიყვებოდა. გაოცებული ვიყავი მისი დაუდევრობით, როგორ შეიძლებოდა ახლა სხვა რამეზე ფიქრი. თვალებგაფაციცებით შევყურებდი სცენის ლამპებითა და მუსიკოსთა მერხზე ანთებული სანთლების შუქით განათებულ ფარდას. უცბად ფარდის ზედაპირი შეირხა, მის უკან დაფარული იდუმალი სამყარო ამოძრავდა. გავიდა კიდევ ერთი წუთი და პატარა ზარი აწკარუნდა, მაყურებელთა გაბმული ბუბუნი ერთბაშად შეწყდა და ფარდა მაღლა აიჭრა.

სცენას რომ შევხედე, თითქოს ათასი წლის წინანდელ ცხოვრებაში მოვხვდიო: თვალწინ წარმომიდგა შუასაუკუნეობრივი ციხე-დარბაზი კოშკებითა და ასაწევი ხიდით. შუა ეზოში ორი პატარა, თითო წყრთის სიმაღლე კაცი დამდგარიყო და რაღაცას გაცხარებით საუბრობდნენ. მათგან ერთი, შავწვეროსანი, რომელსაც წითელ კამზოლზე ოქროსყაითნიანი წამოსასხამი მოეხურა და თავზე მოვერცხლილი და ფრთით შემკული მუზარადი დაეხურა, პფალცის გრაფი ზიგფრიდი გახლდათ. იგი წარმართი მავრების წინააღმდეგ საბრძოლველად მიემართებოდა და ვერცხლით მოქარგულ ცისფერ ქურთუკში გამოწყობილ თავის ახალგაზრდა კარისკაცს, გოლოს,

განკარგულება მისცა—შენ სასახლეში დარჩები და გრაფინია ჟენევი

აღარ შეუძლიაო. თანაც უზარმაზარ ხახას დააფჩენდა და ბებერი ბუკნაჭოტივით მოჰყვებოდა ყბების ტკაპუნს.

— ლაწუნ! — დაიყვირებდა ხოლმე, როგორც კი სცენაზე გამოხტებოდა, მერე გვერდით მიდგებოდა და თავის ცერს საუბარს გაუბამდა. ხოლო ცერი ისე მოხდენილად ტრიალებდა აქეთ-იქით, გეგონებოდა, მართლა ის პასუხობდა: „არც აქ, არც იქ. თუ ვერაფერს იშოვნი, არც არაფერი გექნება“. ახლა თვალებს როგორ იელამებდა! ეს იმდენად გადამდები იყო, რომ იმავე წუთში მთელ დარბაზს ებრიცებოდა თვალები. ეს ბიჭუკელა პირდაპირ გაგიჟებით შემიყვარდა.

ბოლოს წარმოდგენა დასრულდა. შინ დავბრუნდი და შემწვარ კერძს შევექეცი, ჩემ კარგ დედას რომ შემოენახა ჩემთვის თბილად. მამაჩემი სავარძელში იჯდა და ჩიბუხს აბოლებდა.

— რას იტყვი, ბიჭო, — მომმართა მამამ,—თოჯინები ცოცხლებივით თამაშობდნენ?

— რა ვიცი, მამა, — მივუგე და ჭამა განვაგრძე. ჯერ ისევ გონებაზე ვერ მოვსულიყავი.

ერთხანს მამამ კეთილი ღიმილით მიყურა. მერე მითხრა.

— მომისმინე, პაულ! არ შეიძლება მაგ თოჯინებს ხშირად, უყურო, თორემ ბოლოს, ალბათ, სკოლაშიც თან გაგყვებიან.

მამაჩემს ტყუილი არ უთქვამს. ორი დღის მანძილზე ალგებრის ამოცანებს ისე უღიმღამოდ ვაკეთებდი, რომ მასწავლებელი დამემუქრა, უკანა მერხზე გადაგსვამო. როგორც კი ალგებრული განტოლების ამოხსნას შევეცდებოდი, ყურებში მშვენიერი ჟენევიევას ჩიტივით ნაზი ხმა ჩამესმოდა: „ო, ჩემო უსაყვარლესო ზიგფრიდ, გული შემომკვნესის, ვაითუ იმ საშინელმა წარმართებმა რაიმე გავნონ“. ერთხელ—ეს არავის არ

დაუნახავს—დაფაზე ასეთი რამ დავწერე: X+ჟენევიევა. ერთ-ხელ კი ღამით ჩემს საძინებელ ოთახში ხმამაღლა დაიყვირა „ლაწუნ“ და ყვითელხიფთანიანი კასპერლი ერთი ნახტომით გაჩნდა ჩემს საწოლთან, ჩემ თავთან ორივე ხელით ბალიშს დაეყრდნო, ჩაიცინა და დაიძახა: „ო, ჩემო საყვარელო ძამიკო! ო, ჩემო გულითადო, საყვარელო ძამიკო!“ მერე თავისი გრძელი ცხვირი ჩემსას ისე ატაკა, რომ თვალები ვეჭყიტე. მაშინღა მივხვდი, რომ სიზმარში ვიყავი.

ეს ყველაფერი გულში დავიმარხე და სახლში თოჯინების თეატრზე ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი. მაგრამ, როცა მეორე კვირადღეს მაცნემ ტაშტის ბრახუნით ქუჩები კიდევ ჩამოიარა და ყვირილით გვამცნო: „დღეს საღამოს მონადირეთა სახლში გაიმართება თოჯინების წარმოდგენა ოთხ მოქმედებად—„დოქტორი ფაუსტის ჯოჯოხეთში შთასვლაო“*, მე ვეღარ მოვითმინე. მამაჩემს ისე ფეხაკრეფით ვუვლიდი ირგვლივ, როგორც კატა ეპარება ცხელ ფაფას. ბოლოს მამამ გაიგო ჩემი უტყვი თხოვნა.

— პოლე, — მომმართა მან, — ვხედავ, რომ მეტის ატანა აღარ შეგიძლია და გული სისხლისაგან გეწურება. იქნებ მაგ ავადმყოფობას ეშველოს, თუ იმ თოჯინების ცქერით გაძღები,—ეს მითხრა, ჟილეტის ჯიბეში ხელი ჩაიყო და ორშილინგიანი მომაწოდა.

მაშინვე სახლიდან გამოვვარდი. ქუჩაშიღა მომაგონდა, რომ კომედიის დაწყებამდე კიდევ რვა გრძელი საათი უნდა მეცადა. ამიტომ ბაღებს უკან, გზისკენ გავიქეცი. მონადირის სახლის მოლით მოფენილ შემოუღობავ ბაღს რომ გავუსწორდი, გულმა იქით გამიწია, ერთიც ვნახოთ და იქნებ ზემოდან რომელიმე თოჯინამ გამოიხედოს-მეთქი, ვიფიქრე,—სცენა ხომ

შენობის უკანა მხარეს იყო. მაგრამ თუ რამის დანახვა მინდოდა, მაშინ ბაღის ზემოთა მხარეს უნდა გავსულიყავი, სადაც იქაურობა ცაცხვებსა და წაბლის ხეებს ჩაებნელებინათ. ცოტა არ იყოს, შემეშინდა და გზა ვეღარ განვაგრძე. უცბად ზურგიდან პალოზე გამობმული უზარმაზარი თხა ისე დამეჯახა, რომ ოც ნაბიჯზე გამისროლა. ამან მიშველა. ირგვლივ რომ მიმოვიხედე, უკვე ხეების ქვეშ ვიდექი.

შემოდგომის მოღრუბლული დღე იყო. ყვითელი ფოთლები მიწას დაჰფენოდა. ჩემს ზემოთ დაიჩხავლა რამდენიმე ზღვის ფრინველმა, ფრინველები ეტყობოდა, უბისკენ მიფრინავდნენ. ირგვლივ კაცისშვილი არ ჭაჭანებდა. ეკალბარდაში ნელა მივიკაფავდი გზას, სანამ ქვით მოგებულ ვიწრო ეზოში გავიდოდი. სწორედ რომ სასურველ ადგილზე აღმოვჩნდი: ზემო სართულიდან ეზოსკენ ორი დიდი ფანჯარა გამოდიოდა. მაგრამ ტყვიის ჩარჩოში ჩასმული პატარა შუშები ჩაშავებულიყო და მის იქით თოჯინა არ ჩანდა. ცოტა ხანს ასე ვიდექი, ირგვლივ გამეფებულმა დუმილმა ტანში შემზარა. უცბად დავინახე, რომ ქვემოთ ეზოში გამომავალი კარი ხელის სიფართეზე ნელა გაიღო და პატარა თავმა გამოიხედა:

— ლიზაი! — დავუძახე მე.

გოგონამ ფართოდგახელილი შავი თვალები მომაპყრო.

— ღმერთო მიშველე! — წამოიძახა მან. — არ ვიცოდი, თუ შენ მანდ დაეხეტებოდი. საიდან მოხვდი აქ?

— მე? სასეირნოდ მივდივარ, ლიზაი. მაგრამ შენ ეს მითხარი, კომედიის თამაში ხომ არ დაიწყეთ?

გოგონამ გაიღიმა და თავი გააქნია.

— მაშ აქ რას აკეთებ? — ისევ ვკითხე და მივუახლოვდი.

— მამას ველოდები. ოთახში შევიდა ყაითნისა და ლურსმ-

ნის მოსატანად. დღეს საღამოსათვის ყველაფერი მზად უნდა იყოს.

— აქ სულ მარტო ხარ, ლიზაი?

— ო, არა, მარტო რატომ ვარ, შენც ხომ აქ ხარ!

— მე მინდოდა მეკითხა, განა დედაშენი ზემოთ, დარბაზში არ არის-მეთქი?

არა, დედამისი თურმე ფუნდუკში ყოფილა და თოჯინების სამოსს აკერებდა. ლიზაი კი აქ სულ მარტო ყოფილა.

— მისმინე, რა გითხრა, — დავიწყე მე ისევ. — თქვენ თოჯინებში არის ერთი, რომელსაც კასპერლეს ეძახით. მინდოდა იგი ახლოს მენახა. გთხოვ, უარს ნუ მეტყვი.

— ჩვენ ძეხვისცხვირაზე ამბობ? — მკითხა ლიზაიმ და ერთ-ხანს ჩაფიქრდა. — კარგი, ასე იყოს. მაგრამ ჩქარა, სანამ მამა მოვიდოდეს.

სახლში შევცვივდით და აყუდებული ხვეული კიბე აჩქარებით ავირბინეთ, დიდი დარბაზი თითქმის მთლად ჩაბნელებულიყო, რადგან ეზოსკენ მიქცეული ყველა ფანჯარა სცენით იყო დაფარული. ფარდიდან შუქის მკრთალი ანარეკლი ძლივს შემოდიოდა.

— აქეთ მოდი! — მითხრა ლიზაიმ და გვერდით კედელზე ჩამოფარებული ხალიჩა გადასწია. აქ გადავძვერით და მე საოცრებათა ტაძარში მოვხვდი. მაგრამ დღის შუქზე იგი უბადრუკად გამოიყურებოდა. თამასებისა და ფიცრებისაგან მოჩოხმარიკებულ ფიცარნაგზე რამდენიმე ჭრელჭრულად მოჩითული ტილოს ნაჭერი ჩამოეფარებინათ. ეს იყო არენა, სადაც გაირბინა წმინდა ჟენევიევას ცხოვრებამ, რომელიც ესოდენ მაცთუნებლად წარმომიდგა.

მაგრამ ჩემი გულგატეხა ნაადრევი აღმოჩნდა. იქით მხარეს

დავინახე კედლიდან კულისებამდე გაბმული მავთული, რომელზეც ორი საოცარი თოჯინა ეკიდა, მაგრამ იმის გამო, რომ ზურგი ჩემსკენ ჰქონდათ მოქცეული, ვერ ვიცანი რომლები იყვნენ.

— სხვები სადღა არიან, ლიზაი? — ვკითხე გოგონას. — მინდოდა თოჯინების მთელი საზოგადოება ერთად მენახა.

— აი, აქ, — მომიგო ლიზაიმ და პაწაწინა მუქი კუთხეში მიდგმულ ყუთს დაჰკრა. — გამოსასვლელად ორი უკვე მზად არის. აბა აქ მო და შეხე! აი, შენი მეგობარი კასპერლეც აქ არის!

მართლაც, ეს კასპერლე იყო.

— დღეს ეგეც ითამაშებს? — ვკითხე ლიზაის.

— აბა რა! ის ყოველთვის თამაშობს.

გულხელდაკრეფილი ვიდექი და შევყურებდი უსაყვარლეს მხიარულ ბიჭუნას, ის კი შვიდბაწარგამობმული ეკიდა მავთულზე, თავი ჩაეკიდა, დიდრონი თვალებით იატაკს ჩაშტერებოდა და წითელი ნისკარტივით ცხვირი მკერდზე დაედო.

— კასპერლე, კასპერლე, — ჩავილაპარაკე ჩემთვის, — როგორ კონწიალებ, შე საწყალო!

იმან მიპასუხა:

— მოიცა, ძამიკო, საღამომდე მაცალე!

ნეტა მომეჩვენა, თუ მართლა იმან მიპასუხა?

ირგვლივ მიმოვიხედე. ლიზაი აღარსად ჩანდა, კართან დამდგარიყო სადარაჯოდ, რომ მამის დაბრუნება ეცნობებინა. უცებ დარბაზის გასასვლელიდან მისი ხმა შემომესმა:

— ოღოდ თოჯინებს ხელი არ ახლო!

ადვილი სათქმელია, მაგრამ თავის შეკავება რომ არ შემეძლო! ფეხაკრეფით ავძვერი იქვე დადგმულ მერხზე და ჯერ

ერთი ბაწარი მოვწიე, მერე მეორე. თოჯინამ ყბები აამოძრავა, ხელები ასწია, მერე კი მისმა უცნაურმა ცერმაც აქეთ-იქით დაიწყო ხტუნვა. ამის გაკეთება სრულიად იოლი აღმოჩნდა. ვერ ვიფიქრებდი, თუ თოჯინების ათამაშება ასე ადვილი იქნებოდა. მაგრამ კასპერლეს ხელები წინ და უკან მოძრაობდა, ამასწინანდელ წარმოდგენაში კი ის გვერდზეც სწევდა ხელებს და თავს ზემოთაც ურტყამდა ერთმანეთს. ყველა ბაწარი მოვეპიმე, შევეცადე ხელები მომეხრევინებინა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. უცბად თოჯინას შიგნით რაღაცამ გაიტკაცუნა. „შეჩერდი!" გამიელვა თავში, „თორემ ვინ იცის, გააფუჭე კიდეც".

მერხიდან ნელა ჩამოვედი და იმავე წუთას დარბაზში ლიზაიც შემოვიდა.

— ჩქარა, ჩქარა! — დამიძახა მან, ხელი ჩამავლო და ხვეული კიბისკენ წამიყვანა. — გამიჯავრდებიან, მათთან მისვლის ნება რომ მოგეცი. მაგრამ, ალბათ, ძალიან გასიამოვნე, არა?

მე კი იმაზე ვფიქრობდი, თოჯინას რომ რაღაცამ გაუტკაცუნა მუცელში. „არაფერიც არ უშავს", დავიმშვიდე თავი, კიბე ჩავირბინე და უკანა კარით გარეთ გავედი.

ახლა მე ვიცოდი, რომ კასპერლე ხის ჩვეულებრივი თოჯინა იყო, მაგრამ ეს ლიზაი საუცხოო გოგონა აღმოჩნდა, მაშინვე თავაზიანად შემეგება და თოჯინების სანახავად წამიყვანა. მართალია, და თვითონაც მითხრა, რომ ეს მამის ჩუმად გააკეთა და არც თუ სწორად მოიქცა, მაგრამ, ჩემდა სამარცხვინოდ, უნდა ვაღიარო, რომ ასეთი საქციელი საძრახისად არ მივიჩნიე. პირიქით, თოჯინების ასე ქურდულად ნახვა ჩემთვის უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა. ალბათ, ჩემს სახეზე აღბეჭდილიყო თვითკმაყოფილების ღიმილი, როცა ცაცხვებისა და წაბლის ხეების გავლით კვლავ გზისაკენ გავემართე.

მაგრამ, ასეთი სიხარულის მიუხედავად, დროდადრო თითქოს კვლავ ჩამესმოდა ხოლმე ტკაცანი, თოჯინის მუცლიდან რომ შემომესმა. ხან რას მოვკიდე ხელი, ხან რას, მაგრამ მთელი დღის მანძილზე ამ უსიამოვნო ხმის ჩახშობა ვერაფრით ვერ შევძელი.

საათმა შვიდი დარეკა. იმ კვირა საღამოს მონადირის სახლში ყველა ადგილი დაკავებული იყო. ამჯერად უკან ვიჯექი, პარტერიდან ხუთი ფუტით ამაღლებულ ქანდარაზე. ეს იყო ორშილინგიანი ადგილი. ქონის სანთლები თუნუქის შანდლებში ენთო. ქალაქის მუსიკოსები და მათი დამხმარენი საკრავებს აჭრიჭინებდნენ. ფარდა აიხადა.

სცენაზე გამოჩნდა მაღალთაღიანი გუთური ოთახი. დიდ გადაშლილ წიგნს მისჯდომოდა შავ, გრძელ მანტიაში გახვეული დოქტორი ფაუსტი და მწარედ მოთქვამდა იმის გამო, რომ, დიდი ცოდნის მიუხედავად, ცუდად ცხოვრობს, ამ გახეხილ მანტიის მეტი ჩასაცმელი არაფერი აქვს და ვერც ვალებისგან დაუღწევია თავი. რაღა დამრჩენია, ჯოჯოხეთის მოციქულს უნდა დავუკავშირდეო.

— ეს ვინ მიხმობს? — გაისმა მარცხენა მხრიდან საშინელი ხმა.

— ფაუსტ, ფაუსტ, ნუ გაჰყვები მას! — ისმის მარჯვნიდან სხვა, საამო ხმა.

მაგრამ ფაუსტმა სული მაინც ჯოჯოხეთის მოციქულს მიჰყიდა.

— ვაი შენს უბედურ სულს! — გაიხმიანა ანგელოსთა, ქარის ნაზ სუნთქვასავით ფაქიზმა, ოხვრამ. მარცხნიდან წამოსულმა ავსულის ხარხარმა კი დარბაზის თაღები შესძრა.

კარზე კაკუნი გაისმა:

— ბოდიშს ვიხდი, თქვენო უბრძენესობავ!

შემოდის ფაუსტის თანაშემწე და მოწაფე ვაგნერი. იგი სთხოვს ფაუსტს, ყოველდღიური საშინაო საქმეების საკეთებლად მოსამსახურის აყვანის ნება მისცეს, რათა თვითონ სწავლას უკეთ დაუდოს გული.

— ჩემთან მოვიდა ერთი ახალგაზრდა კაცი, — დაიწყო ვაგნერმა, — სახელად კასპერლე, რომელიც ამ საქმისათვის სრულიად შესაფერი ჩანს.

ფაუსტი მას მოწყალედ უკრავს თავს და ეუბნება:

— კეთილი, საყვარელო ვაგნერ, ამ თხოვნაზე უარს არ გეტყვით.

ამის შემდეგ ორივენი გავიდნენ.

— ლაწუნ, — გაისმა ჩემთვის კარგად ნაცნობი ხმა და კასპერლემ სცენაზე ისე ისკუპა, რომ ზურგზე შულდაკი აუფრიალდა.

„მადლობა ღმერთს, არაფერი დაშავებია, — გავიფიქრე სიხარულით. — ისევე ხტუნავს, როგორც წინა კვირას მშვენიერი ჟენევიევას კოშკში ხტუნავდა“.

და ჩემდა გასაოცრად, მიუხედავად იმისა, რომ ნახვის შემდეგ იგი ერთ უბადრუკ ხის თოჯინად წარმომიდგა, ახლა როგორც კი ხმა ამოიღო, ისევ იმავე მომხიბვლელ არსებად იქცა.

იგი ოთახში მიდი-მოდის და თან ლაპარაკობს:

— ახლა რომ ჩემმა მამიკომ დამინახოს, რა ძალიან გაუხარდება! მუდამ ასე მეუბნება: „კასპერლ, ისე მოიქეცი, რომ შენი საქმე ყოველთვის რიგზე გქონდესო“. მე ყველაფერიც რიგზე მაქვს, შემიძლია აი ეს შულდაკი სახლის სიმაღლეზე ავისროლო.

ეს რომ თქვა, შულდაკის ასასროლად მოემზადა, შულდაკი მართლაც მაღლა აფრინდა ზედ თაღებამდე, რადგან მავთული ჰქონდა გამობმული, მაგრამ კასპერლეს ხელები ძირს დარჩა ჩამოყრილი და მაღლა ვერ აეწია. მოსწიეს და მოსწიეს, მაგრამ ხელები ოდნავადაც ვერ ააწევინეს.

კასპერლე გაჩერდა და აღარც ხმას იღებდა. სცენის უკან შეჩოჩქოლდნენ, მოისმა ხმადაბალი, მაგრამ ცხარე ლაპარაკი, როგორც ჩანდა, წარმოდგენა ჩაიშალა.

გული გამიჩერდა. აი, ესეც შედეგი! ძალიან მინდოდა გავქცეულიყავი, მაგრამ სირცხვილი მწვავდა. მეშინოდა, ვაითუ ჩემი გულისთვის ლიზაის რაიმე უსიამოვნება შეხვედროდა.

უცბად კასპერლემ საწყალობელი ქვითინი მორთო და თავი და ხელები მძიმედ ჩაჰკიდა. სცენაზე გამოვიდა ვაგნერი და ჰკითხა, რად ჰგოდებო.

— ვაი კბილი, კბილი! — ღმუოდა კასპერლე.

— ჩემო მეგობარო! — მიმართა მას ვაგნერმა, — მოდი, ერთი პირში ჩაგხედო!

ვაგნერმა მას უშველებელ ცხვირზე ხელი წაავლო და პირში ჩახედა. ამ დროს დოქტორი ფაუსტიც ოთახში შემოვიდა.

— ბოდიშს ვიხდი, ყოვლად უბრძენესო, — მიმართა ვაგნერმა ფაუსტს, — ასეთ ყმაწვილს მსახურად ვერ ავიყვან. ამ წუთსავე ლაზარეთში უნდა გავგზავნო.

— ესე იგი ტრაქტირში, არა? — იკითხა კასპერლემ.

— არა, მეგობარო, სასაკლაოზე, — მიუგო ვაგნერმა. — იქ სიბრძნის კბილს ამოგიღებენ და მეტად აღარ გეტკინება.

— შენ მიშველე, მოწყალეო ღმერთო, — ისევ დაიწყო წუწკუნი კასპერლემ. — ეს რა უბედურებაა ჩემს თავს. სიბრძნის კბილიო, ასე თქვით, ბატონო ფამულუს*, არა? ასეთი რამ ჩვენს ოჯახში ჯერ არავის არ ჰქონია! ჩემი საქმე წასულია.

— სწორედ ეგრეა, ჩემო მეგობარო, — მიუგო ვაგნერმა.— რაში მჭირდება სიბრძნის კპილიანი მსახური. ასეთი რამ მხოლოდ ჩვენთვის, სწავლულთათვის არის გამოსადეგი. მაგრამ შენმა ძმისშვილმაც მთხოვა, მსახურად ამიყვანეო. ალბათ თქვენი ყოვლად უბრძნესობა მისი მსახურად აყვანის ნებას დამრთავს, — მიუბრუნდა ვაგნერი დოქტორ ფაუსტს.

დოქტორმა ფაუსტმა თანხმობის ნიშნად მედიდურად დაუკრა თავი: — ისე მოიქეცით, როგორც გსურთ, — მიუგო მან, — მაგრამ იცოდეთ, შემდგომში თქვენი უმნიშვნელო საქმეებით მაგიის შესწავლაში ხელი არ შემიშალოთ.

— ე, ჩემო ძმობილო, — მიმართა ჩემს წინ მოაჯირზე დაყრდნობილმა შეგირდმა თავის მეზობელს. — ამას რას ჩმახავენ, ცოტა ხნის წინ ზაიფერდორფში ვნახე ეს წარმოდგენა, მაგრამ ასეთი სცენა იქ არ უჩვენებიათ.

მეზობელმა კი შეუტია მოკეტე, ლაიფციგელოო, და გვერდში იდაყვი გაჰკრა.

ამ ხნის მანძილზე სცენაზე კასპერლე მეორე გამოვიდა. იგი შუაზე გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა თავის ავადმყოფ ბიძას და ზუსტად იმავე ხმაზეც ლაპარაკობდა, ოღონდ მარდად მოძრავი ცერი აკლდა და არც ცხვირი ჰქონდა ისეთი სახსრებიანი.

გულიდან თითქოს ლოდი მომაცილესო, როცა პიესის მსვლელობა ძველ კალაპოტში ჩადგა, გარესამყარო მალე სრულიად მიმავიწყდა. სცენაზე გამოვიდა ავსული მეფისტოფელი, ტანზე ცეცხლისფერი მოსასხამი შემოეხვია, შუბლზე რქები ედგა, ფაუსტმა საკუთარი სისხლით მოაწერა ხელი სატანასთან დადებულ ხელშეკრულებას.

— ოცდაოთხ წელიწადს უნდა მემსახურო, მერე კი ჩემი სულიცა და ხორციც შენი იქნება.

ამის შემდეგ ორივენი სატანის ჯადო-მოსასხამში გაეხვივნენ და გაფრინდნენ, მეორე კასპერლესათვის კი ზეციდან ღამურისფრთებიანი უზარმაზარი გომბეშო დაეშვა.

—ბეღურათი უნდა გავემგზავრო პარმაში?—იკითხა კასპერლემ და რაკიღა გომბეშომ თავი დაუქნია, შეახტა და ისინიც დოქტორ ფაუსტსა და მეფისტოფელს გაედევნენ. უკეთ რომ დამენახა, მთლად უკან დავიწიე და კედელთან მივდექი. ფარდა ზემოთ აიჭრა და ბოლო მოქმედება დაიწყო.

გავიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადა. ფაუსტი და კასპერლე კვლავ მშობლიურ ქალაქში არიან. კასპერლე ღამის გუშაგად გაამწესეს, ქუჩებში დადის და საათს აცხადებს:

> გთხოვთ, მათქმევინოთ, ბატონებო, მისმინოთ კარგად:
> მეუღლემ ჩემმა დამიზილა გვერდები მაგრად.
> ერიდეთ ქალის ტანისამოსს,—კ..ბა თუ ხალათია,
> თორმეტი საათია, თორმეტი საათია!

შორიდან მოისმის თორმეტის მაუწყებელი ზარის რეკვა. სცენაზე შემოდის ფაუსტი, ფეხებს ძლივს მოათრევს; ცდილობს ილოცოს, მაგრამ პირიდან ქვითინი და კბილების ღრჭიალი ამოდის:

„ფაუსტ, ფაუსტ, in aeternum damnatus es“

იმავე წუთას ცეცხლის წვიმაში მაღლიდან სამი შავთმიანი სატანა დაეშვა საწყალი ფაუსტის წასათრევად. უცბად ჩემ ფეხქვეშ ფიცრები შეირხა. ფიცრის გასასწორებლად რომ დავიღუნე, დაბლიდან რაღაც ხმაური შემომესმა. ყური მივუგდე და გავარჩიე, რომ ვიღაც ბავშვური ხმით ტიროდა.. „ლიზაი“— გამიელვა თავში. „ნუთუ ეს ლიზაია?“ გულზე ისევ მაჯლაჯუნასავით დამაწვა ორიოდ საათის წინ ჩადენილი საქმე. რაში მეპრიანებოდა ფაუსტი და მისი ქვესკნელში ჩასვლის ამბები!

გულაძგერებული გავძვერი ხალხში, ქანდარიდან ძირს ჩამოვედი, აჩქარებით ჩავძვერი დაბლა და კედელ-კედელ წავედი. ირგვლივ თითქმის უკუნეთი იდგა და წარამარა კოჭებსა და ქვემოდან შეყენებულ ბოძებს ვეჯახებოდი. „ლიზაი“, გავძახე მეტირილი უცბად შეწყდა. მოშორებით კუთხეში რაღაც შეინძრა. გზა ისევ განვაგრძე და, როცა ბოლომდე გავაღწიე, დავინახე კალთაში თავჩარგული გოგონა.

— ლიზაი! — დავუძახე მას და კაბა მოვწიე. — ეს შენა ხარ? აქ რას აკეთებ?

მან არაფერი მიპასუხა და ტირილი განაგრძო.

— ლიზაი, რა დაგემართა? ერთი სიტყვა მაინც მითხარი?

მან თავი ოდნავ წამოსწია.

— აბა მე რა გითხრა, — მომიგო მან, — შენც კარგად იცი, რომ იმ თოჯინას ხელი მოსტეხე.

— ჰო, ლიზაი, — წავიჩურჩულე — ვიცი, რომ ხელი მე მოვტეხე.

— ჰო, შენ მოსტეხე. მერე ხომ გაგაფრთხილე, ხელი არ ახლო-მ̇ეთქი!

— ახლა რა ვქნა, ლიზაი?

— არაფერი.

— ამის შემდეგ რა მოხდება?

— შენთვის არაფერი, — მითხრა მან და ისევ ხმამაღლა ტირილი გააბა.

— მე კი სახლში რომ მივალ... კარგად გავიჯოხები.

— გაიჯოხები, ლიზაი? — ასე მეგონა, მეხი დამეცა-მეთქი, —ნუთუ ასეთი გულქვაა მამაშენი?

— არა, მამაჩემი გულკეთილია, — ამოიქვითინა ლიზაიმ.

მაშასადამე, დედისა ეშინოდა. ო, რრგორ მძულდა ჩემდა

უნებურად ეს საზიზღარი ქალი, სალაროში მუდამ სახეგაქვავებული რომ იჯდა! სცენიდან კასპერლე მეორის ძახილი შემოესმა: „წარმოდგენა დამთავრდა! ახლა კი მე და გრეტჰენი ვიცეკვებთო“. მაშინვე ჩვენს თავს ზემოთ დაიწყო ფეხების ტყაპუნი, ეტყობოდა, მაყურებლები წამოიშალნენ და გასასვლელს Ძიაშურეს. ბოლოს მუსიკოსები და მათი დამხმარენიც წამოდგნენ, ეს მე დავასკვენი კედელზე კონტრაბასის მიჯახებისაგან გამოღებული ხმით. მერე იქაურობა თანდათან სიჩუმემ მოიცვა, მხოლოდ სცენის შიგნიდან მოისმოდა ცოლ-ქმარ ტენდლერების საუბარი და ფათური. რამდენიმე ხნის შემდეგ ისინიც მაყურებელთა დარბაზში გამოვიდნენ და შუქის ჩაქრობა დაიწყეს. ჯერ პიუპიტრებთან გააქრეს, შემდეგ კედლებზე. ჩვენთან, დაბლა, იქაურობა თანდათან უკუნმა მოიცვა.

— ნეტა ლიზაი სად დაიკარგა?! — გასძახა ბატონმა ტენდლერმა მეორე მხარეზე მდგომ ცოლს.

— მართლა და სად დაიკარგა?! — გაიმეორა იმანაც თავის მხრივ.

— რა კერპი ბავშვია! შინ თუ გაიქცა.

— შენც ძალიან მკაცრად ექცევი, — გაეპასუხა კაცი,— ის კი გულჩვილია.

— მაგრად დასჯის ღირსი ბრძანდება ის ქალბატონი. კარგად იცი, რომ ეს მშვენიერი მარიონეტი განსვენებული მამაჩემის ნაჩუქარია. შენ მისი გამკეთებელი არა ხარ, მეორე კასპერლე კი გაჭირვებაში თუ გამოდგება.

მათი ხმა დარბაზში გუგუნებდა. მე ლიზაის გვერდით ჩავცუცქდი, ხელები ერთმანეთს ჩავჭიდეთ და თაგვებივით გავისუსეთ

— ახია ᲩემᲖე, — ისევ წამოიწყო ზედ ჩვენს Ზემოთ ᲨეᲩე-

რებულმა ქალმა. — რატომ მოგეცი იმის ნება, რომ ეს ღვთის-მგმობელი პიესა ისევ დაგედგა. განსვენებულ მამაჩემს, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, იგი ერთხელაც არ დაუდგამს.

— კარგი, კარგი რეზელ! —გამოსძახა ბატონმა ტენდლერმა მეორე მხრიდან.—მამაშენი განსაკუთრებული ყალიბის კაცი იყო. ეს პიესა ყოველთვის კარგ შემოსავალს იძლეოდა. თან ისიც ვიფიქრე, ეს კარგი ნიმუში და მაგალითი იქნება ბევრი ულმერთოსთვის-მეთქი.

— უკანასკნელი იყოს მაგის დადგმა. ახლა ამაზე სიტყვა აღარ გამაგონო, — უბრძანა ქალმა.

ბატონ ტენდლერს ხმა აღარ ამოუღია. როგორც ჩანდა, დარბაზში ერთი სანთელიღა ენთო და ცოლ-ქმარი გასასვლელისაკენ გაემართა.

— ლიზაი, — ჩავჩურჩულე მე, — ამ შენობაში გამოგვკეტავენ.

— გამოგვკეტონ რა, — თქვა მან. — არ მინდა, მე შინ ახ წავალ.

— მაშ მეც დავრჩები.

— მერე დედაშენი და მამაშენი რას იზამენ?

— მე მაინც დავრჩები.

მოისმა დარბაზის კარის ხმა. მერე კიბეზე აბრაგუნდნენ და შემდეგ გავიგონეთ, როგორ დაკეტეს დიდი კარი.

თითქმის თხუთმეტ წუთს ისე ვისხედით, ხმა არ ამოგვიღია. საბედნიეროდ, გამახსენდა, რომ ჯიბეში ორი ფუნთუშა მედო, რომელიც დედისგან დიდი მუდარით გამორთმეული შილინგით ვიყიდე, აქეთ რომ მოვდიოდი, მაგრამ მერე წარმოდგენის ცქერაში სულ დამავიწყდა. ერთი ფუნთუშა ლიზაის ჩავუდე პატარა ხელში. მან ფუნთუშა გამომართვა და არაფერი უთ-

ქვამს, თითქოს თავისთავად ცხადი იყო, რომ საჭმელზე მე უნდა მეზრუნა. ერთხანს ეს ვღეჭეთ, მერე კი ესეც გათავდა. მე წამოვდექი და ვუთხარი:

— მოდი, სცენის უკან გავიდეთ, იქ მეტი შუქი იქნება, მგონი გარეთ მთვარე ანათებს.

ლიზაი წამომყვა და დარბაზში ასვლამდე დიდხანს ვიარეთ ბოძებს შორის. როცა ხალიჩის უკან სცენაზე გავედით, ბალის მხრიდან ფანჯარაში შემოჭრილი მთვარის შუქი დავინახეთ.

დილას მავთულზე მარტო ორი თოჯინა ეკიდა, ახლა კი აქ იყო ყველა, რომლებიც წარმოდგენაში მონაწილეობდნენ: აი მკვეთრნაკვთებიანი და ფერმკრთალი დოქტორი ფაუსტი, რქიანი მეფისტოფელი, სამი შავთმიანი მოცუცქნული სატანა, იქით კი ფრთებასხმულ გომბეშოს გვერდით ორივე კასპერლე ეკიდა, უნძრევლად ეკიდნენ ისინი მთვარის შუქზე. ისიც კი ვიფიქრე, ხომ არ დაიხოცნენ-მეთქი. კასპერლე პირველს საბედნიეროდ ისევ მკერდზე ედო თავისი ნისკარტივით გრძელი ცხვირი, თორემ ასე მეგონა, მისი საყვედურით სავსე თვალების შემოხედვას ვერ გავუძლებ-მეთქი.

ერთხანს მე და ლიზაიმ არ ვიცოდით, რა გვექნა და სცენას რამდენჯერმე გარს შემოვურბინეთ, მერე ფანჯრის რაფას ჩამოვეყრდენით.

ამინდი შეიცვალა. ცაზე შავი ღრუბლები მთვარისკენ გაემართა. ბაღში ქარმა დაჰქროლა და ხეებიდან ფოთლები ჩამოჰკრიფა.

— შეხე, — ჩაფიქრებით მითხრა ლიზაიმ, — როგორ მირბიან მთვარისკენ ღრუბლები. ეს ჩემი ბებერი კეთილი ნათლია, ალბათ, მალე სულ დაიფარება.

— რომელი ბებერი ნათლია? — ვკითხე მე ლიზაის.

— ჩემი ნათლია, რომელთანაც ვცხოვრობდი, სანამ გარდაიცვლებოდა.

მერე ისევ ღამეს გავყურებდით. შემდეგ, როცა ქარმა სახლს დაჰბერა და ფანჯრის პატარა, გაუმაგრებელ შუშებს დაეჯახა, მავთულზე დაკიდებულმა ხისკიდურებიანმა საზოგადოებამ რაკა-რუკი დაიწყო. ჩემდაუნებურად უკან მივიხედე და დავინახე ორპირი ქარისაგან თოჯინები თავებს აქნევდნენ და გახევებულ ხელ-ფეხს ერთმანეთს ურტყამდნენ. უცბად დასახიჩრებულმა კასპერლემ თავი უკან გადააგდო და ამოთეთრებული თვალები მე მომაპყრო. ამის შეხედვაზე ვიფიქრე, უკეთესი იქნება ცოტა გვერდით გავიდეთ-მეთქი.

ფანჯარასთან ახლოს, სადაც მე შევეფარე, რომ ამ მავთულზე გამოკიდებულ მოცეკვავეთა მზერას მოვრიდებოდი, იდგა ერთი დიდი ყუთი. ყუთი ღია იყო. ორი შალის საბანი, რომელიც, ალბათ, თოჯინების შესაფუთად იყო განკუთვნილი, დაუდევრად იქვე მიეყარათ.

ის იყო ყუთთან მივედი და ლიზაის მთქნარებაც შემომესმა.

— დაიღალე, ლიზაი?

— ო, არა, — მომიგო მან და გულხელი დაიკრიფა, — მაგრამ ძალიან მცივა.

მართლაც ცარიელ დარბაზში საკმაოდ ციოდა, მეც შემცივნოდა.

— მოდი აქ! — დავუძახე ლიზაის. — ამ საბნებში გავეხვიოთ.

ლიზაი მოვიდა. მე იგი საბანში გავახვიე, ლიზაი თვინიერად დამემორჩილა. ახლა იგი პეპელა-თოჯინას დაემსგავსა, მაღლა მხოლოდ პატარა ნაზი სახე უჩანდა.

— მოდი ყუთში ჩავძვრები, იქ უფრო თბილა, — მითხრა ლიზაიმ და დიდი დაღლილი თვალები მომაპყრო.

ეს აზრი მეც ჭკუაში დამიჯდა. ამ ფარღალალა დარბაზთან შედარებით ყუთი მოხერხებულ საწოლად მეჩვენა, პატარა ოთახივით იყო. მალე ორივე სულელი ბავშვი კარგად შეფუთნულები მაღალ ყუთში ვიწექით და ერთმანეთს ვეხუტებოდით. ზურგი და ფეხები ყუთის კედლებს მივაბჯინეთ. შორიდან ისმოდა, როგორ აჯახუნებდა ქარი დარბაზის მძიმე კარს, ჩვენ კი მოხერხებულად მოვეწყვეთ და თავს კარგად ვგრძნობდით.

— კიდევ გცივა, ლიზაი? — ვკითხე მას.

— სულაც აღარ მცივა.

თავი მხარზე ჩამომადო და თვალები მილულა.

— ნეტა ჩემი კარგი მამიკო რას შვრება... — წაილულღლულა ძილმოკიდებულმა. მალე მისი თანაბარი სუნთქვა შემომესმა. ლიზაის უკვე ეძინა.

იმ ადგილიდან, სადაც მე ვიწექი, მოჩანდა ერთი ფანჯრის ზემო ნაწილი. ერთხანს მთვარე მიმალული იყო, მერე ღრუბლებიდან ისევ გამოცურდა. მოხუც ნათლიას ახლა შეეძლო კვლავ ქვემოთ ჩამოეხედა და გავიფიქრე, რომ თუ ასე იზამს, ძალიან კარგიც იქნება-მეთქი. მართლაც მთვარის შუქი დაეცა ჩემს გვერდით მიწოლილი გოგონას ნამცეცა სახეს. შავი წამწამები ლოყებზე აბრეშუმის ფოჩებივით ეფინა, პაწაწა ვარდისფერი პირით მშვიდად სუნთქავდა, მხოლოდ ხანდახან ამოისუნთქავდა ხოლმე. მალე ამანაც გაუარა — მოხუცი ნათლია მეტისმეტი სასოებით დაჰყურებდა ზეციდან. განძრევას ვერ ვბედავდი. „რა კარგი იქნებოდა, — ვფიქრობდი მე, — რომ ლიზაი ჩემი და იყოს და სულ ჩვენთან ცხოვრობდეს.“ მე და-ძმა

არ მყავდა, ძმა არც არასოდეს მსურვებია მყოლოდა, მაგრამ როცა ჩემს ამხანაგებს ვუყურებდი, ისე კი ხშირად მიფიქრია, ნეტა და მყავდეს-მეთქი, და ვერაფერი ვერ გამეგო, როგორ შეიძლებოდა, რომ ჩემი ამხანაგები თავიანთ დებს ეჩხუბებოდნენ და ცემა-ტყეპასაც არ აკლებდნენ.

ალბათ, ასეთი ფიქრებით ჩამეძინა, რადგან სიზმრად ათასი უცნაური რამ ვნახე. ვითომ მაყურებელთა შუა დარბაზში ვიჯექი, კედლებზე სანთლები ენთო, მაგრამ დაცარიელებულ მერხებზე ჩემს გარდა არავინ იჯდა. ზედ ჩემს თავს ზემოთ, დარბაზის ჭერქვეშ კასპერლე ჯოჯოხეთის ბეღურას დააჭენებდა და ყვიროდა „უვარგისი ვინმე ხარ, უვარგისი ვინმე ხარ!" ხან კი საწყალობელი ხმით გოდებდა: ვაი ხელი, ვაი ხელი!"

უცბად ხმამაღალმა სიცილმა გამაღვიძა, ჩემს თავს ზემოთ რომ, გაისმა: ეგებ იმ შუქმაც იმოქმედა, ზედ თვალებზე რომ მანათებდა.

— ერთი ამ ბუდეს დამიხედეთ! — შემომესმა მამაჩემის ხმა. მერე უფრო მკაცრად ნათქვამი გავიგონე:—აბა ამობრძანდი მანდედან, ყმაწვილო!

ასეთი კილოს გაგონებაზე მუდამ ფეხზე წამოვხტებოდი ხოლმე. თვალები დავაჭყიტე და ყუთის გვერდით მამაჩემი და ცოლ-ქმარი ტენდლერები დავინახე. ბატონ ტენდლერს ხელში ანთებული ფარანი ეჭირა. მე წამოწევა ვერ შევძელი, რადგან ლიზაის ისევ ეძინა და მთელი ტანით გულზე დამწოლოდა. მაგრამ როგორც კი ყუთისკენ გამოწვდილი ორი გაძვალტყავებული ხელი დავინახე, რომელსაც ლიზაის ყუთიდან ამოყვანა უნდოდა, და ფრაუ ტენდლერის გაქვავებული სახე შევამჩნიე, ჩემს პატარა მეგობარს ხელი ისე გაშმაგებით შემოვხვიე, რომ ქალს ძველი იტალიური ჩალის ქუდი თავიდან კინაღამ გადავაძრე.

— ნელა, ბიჭო, ნელა! — შემომძახა მან და ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

მე ყუთიდან ამოუსვლელად ძოვუყევი დილახდელი ამბავი, თან ჩემი თავიც არ დამიზოგავს.

— ამრიგად, ქალბატონო ტენდლერ, — წარმოთქვა მამაჩემმა, როცა მე ამბის თხრობა დავამთავრე, და ხელით იოლად მისახვედრი მოძრაობა გააკეთა, — ახლა თქვენ, ალბათ, კეთილს ინებებთ და ნებას დამრთავთ, რომ ეს საქმე ჩემს ვაჟიშვილთან მე დავასრულო.

— დიახ, დიახ, — ისე ენერგიულად წამოვიძახე მე, თითქოს მამაჩემი კარგ დროსტარებას დამპირებოდეს.

ამასობაში ლიზაიმაც გაიღვიძა და მამამ ხელში აიყვანა. მე შევცქეროდი, როგორ შემოხვია ლიზაიმ მამას კისერზე პაწაწინა ხელები და ხან ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა, ხან კი თვალებში სიყვარულით შეესცქეროდა, ანდა დინჯად უქნევდა თავს. ბატონმა ტენდლერმა მამაჩემს ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— პატივცემულო ბატონო, აი ბავშვები როგორ ეკომაგებიან ერთმანეთს. დედავ, არც შენა ხარ მაინცდამაინც გაბრაზებული. მოდი, ამჯერად ყველაფერი ვაპატიოთ!

მაგრამ ქალბატონი ტენდლერი ჩალის ქუდის ქვემოდან მაინც დაბღვერილი იყურებოდა.

— მალე გაიგებ, კასპერლეს გარეშე თავს როგორც გაიტანს! — მკაცრად უთხრა ქალმა ქმარს.

მამაჩემის თვალებში მხიარული გამომეტყველება შევნიშნე, რამაც გულში იმედი გამიღვიძა, რომ ამჯერად ჭექა-ქუხილი გვერდით ჩამივლიდა. მერე, როცა მამამ მათ აღუთქვა, ხვალ დაზიანებული თოჯინას შეკეთებაში მთელ ჩემს ცოდნასა და

ხელოვნებას მოვუხმობო, და ფრაუ ტენდლერმა იტალიური ჩალის ქუდი მოხდენილად შეათამაშა, დავასკვენი, რომ ამჯერად ჩვენ ორივენი მშრალზე უვნებლად გავედით.

მალე ყველანი ბნელ ქუჩაბანდებში მივდიოდით, ბატონი ტენდლერი წინ მიგვიძღოდა და ფარნით გზას გვინათებდა, ჩვენ კი, ბავშვები, ხელიხელჩაკიდებულნი, მოხუცს უკან მივდევდით. უცებ შემომესმა: „ღამე მშვიდობისა, პაულ! ო, რა ძალიან მეძინება!“ და ლიზაი წავიდა. ახლაღა შევამჩნიე, რომ ჩვენს სახლთან მივსულიყავით.

მეორე დღეს, სკოლიდან რომ დავბრუნდი, ბატონი ტენდლერი და მისი გოგონა უკვე ჩვენს სახელოსნოში ისხდნენ.

— მაშ, ასე, ბატონო კოლეგავ, — შემომესმა მამაჩემის ხმა, რომელიც უკვე თოჯინას შიგნითა ნაწილს ათვალიერებდა, — ჩვენი საქმე ცუდად იქნებოდა, თუ ჩვენ, ორი მექანიკოსი ამ ყმაწვილის ფეხზე დაყენებას ვერ შევძლებდით.

— მერე დედაც აღარ იბუზღუნებს არა, მამა? — წამოიძახა გახარებულმა ლიზაიმ.

ბატონმა ტენდლერმა შვილს ნაზად გადაუსვა ხელი შავ თმაზე, მერე მამაჩემს მიუბრუნდა, რომელიც მას უხსნიდა, როგორ აპირებდა თოჯინის შეკეთებას.

— ო, საყვარელო ბატონო, — მიუგო მან, — მე სულაც არ გახლავარ მექანიკოსი, ეს ტიტული თოჯინებთან ერთად ვიმემკვიდრე. ერთი ბერხტესგადენელი ხეზე ჭრის ოსტატი ვარ. ჩემი სიმამრი კი—თქვენ, ალბათ, გაგეგონებათ — ცნობილი მექანიკოსი იყო, ჩემი რეზელი ახლაც ძალიან ამაყობს იმით, რომ თოჯინების სახელგანთქმულ ოსტატ გაისელბრეხტის* ქალიშვილია. სწორედ იმან გაუკეთა მექანიზმი ამ კასპერლესაც, მე კი მხოლოდ სახე გამოვუკოპიტე.

— ამისთვისაც, ბატონო ტენდლერ, — მიუგო მამაჩემმა,— ხელოვნებაა საჭირო. თქვენ კი ერთი ეს მითხარით, როგორ მოახერხეთ, რომ ჩემი ბიჭის მიერ ჩაღენილი საქმე თუმცა შუა წარმოდგენისას გაიგეთ, მაგრამ არ შეიმჩნიეთ?

საუბარმა ცოტა არ იყოს ჩემთვის უსიამოვნო სახე მიიღო, მაგრამ უცბად ბატონი ტენდლერის სახეზე მეთოჯინეს ეშმაკურმა. ღიმილმა გადაირბინა.

— ასეთ შემთხვევებში ყოველთვის მზად გვაქვს სხვა რამ სახუმარო ამბავი. ესეც არ იყოს, გვყავს მისი შემცვლელი ნომერი მეორე თოჯინა, რომელსაც ზუსტად ისეთივე ხმა აქვს.

ამასობაში მე ლიზაის კაბა ჩამოვწიე და უფროსების შეუმჩნეველად ბაღში გავიპარეთ. აი, სწორედ ამ ცაცხვის ქვეშ დავსხედით, ახლაც რომ მწვანე ტოტები გადაუშლია. ოღონდ ეს არის, კვლებში მაშინ ეს წითელი მიხაკები არა ჰყვაოდა. ახლაც კარგად მახსოვს, მზიანი სექტემბრის დღე იყო, სამხროების ჟამი. სამზარეულოდან დედაჩემი გამოვიდა და მეთოჯინეს გოგოს საუბარი გაუბა. ეტყობა, ეს ხალხი მასაც აინტერესებდა, გამოჰკითხა, რა ერქვა, თუმცა მე ხშირად მითქვამს მისთვის გოგონას სახელი,— და ყოველთვის თუ ასე მოგზაურობდა ქალაქიდან ქალაქში. მანაც უპასუხა, ლიზაი მქვიაო, ეს ჩემი პირველი მოგზაურობაა დ ზემო გერმანული ამიტომ ჯერ კარგად ვერ ვისწავლეო. სკოლაში თუ დადიხარო? რასაკვირველია, სკოლაში უკვე დავდივარ, კერვა და ქსოვა კი მოხუცი ნათლიისაგან ვისწავლეო. ნათლიაჩემსაც ასეთი ბაღჩა ჰქონდა და იქ მერხზე ერთად ვისხედით ხოლმეო, ახლა დედაჩემისგან ვსწავლობ, მაგრამ ის ძალიან მკაცრი ქალიაო.

დედაჩემმა თანაგრძნობით დაუკრა თავი და ისევ ჰკითხა, რამდენ ხანს აპირებენ შენი მშობლები აქ დარჩენასო. ეს მე

არ ვიცი, რამდენ ხანსაც დედა მოისურვებსო, ჩვეულებრივად კი ერთ ადგილზე ოთხ კვირას ვრჩებითო, მიუგო ლიზაიმ. „საზამთროდ თბილი პალტო თუ გაქვსო?“ დაინტერესდა დედაჩემი, ოქტომბერში თავლია ორთვალაზე საკმაოდ ეციებაო. პალტო კი მაქვს, მაგრამ საზამთროდ თხელია და, აქეთ რომ მოვდიოდით, საკმაოდ მციოდაო“.

ახლა, როგორც მე შევიტყვე, დედაჩემი უკვე მივიდა მისთვის საინტერესო მთავარ საკითხთან.

— მომისმინე, პატარა ლიზაი,—დაიწყო დედამ, — კარგა ხანია კარადაში მიკიდია ჩემი ბავშვობის დროინდელი გვარიანი პალტო. დიდი ხანია ეს პალტო აღარ მრგებს და არც გოგო მყავს, რომ იმისთვის გადამეკეთებინა. მოდი, ხვალ, ლიზაი, და ეს თბილი პალტო შენთვის გადავაკეთოთ.

სიხარულისაგან ლიზაი ერთიანად გაწითლდა და უცბად დედაჩემს ხელები დაუკოცნა, რის გამოც იგი უხერხულად შეიშმუშნა.

მოგეხსენება, ჩვენს მხარეში ასეთ ანცობას არ მივჩვევივართ. საბედნიეროდ ამ დროს სახელოსნოდან კაცები გამოვიდნენ.

— ამჯერად კასპერლე გადავარჩინეთ, — თქვა მამაჩემმა,— მაგრამ...—მამაჩემი მე მომიბრუნდა, თითი დამიქნია, რაც ჩემი ხიფათის დასასრულად მივიჩნიე.

გახარებულმა, დედაჩემის ბრძანების შესასრულებლად ოთახში შევირბინე და დიდი შალი გამოვიტანე, რომ ეს-ესაა მორჩენილი კასპერლე სათუთად შეგვეხვია. ეს აუცილებელი აღმოჩნდა, რათა იგი ჩვენი ქუჩის ბავშვებისაგან დაგვეფარა, რომლებმაც აქეთობისას მართალია, თოჯინა გულწრფელად მაგრამ, ცოტა არ იყოს, უხერხული აღფრთოვანებით გამოაცილეს. შემდეგ იგი ლიზაიმ აიყვანა, ლიზაის კი მამამისმა ჩაჰ-

კიდა ხელი და მადლობის მრავალგზის გადახდის შემდეგ მონადირის სახლისაკენ კმაყოფილი გაემართნენ.

დაიწყო ბავშვური ბედნიერების ულამაზესი ხანა. ლიზაი ვოვიდა მეორე დღეს, შემდეგაც ყოველდღე დადიოდა. მან იმდენჯერ სთხოვა დედაჩემს პალტოს გადაკეთებაში მომიხმარეთო, რომ დედამაც უარი ვეღარ უთხრა. თუმცა ლიზაი მხოლოდ უბრალო საქმეში ეხმარებოდა, დედაჩემის აზრით გოგონას კერვის კარგი ნიჭი ჰქონდა. ხანდახან მეც მათ ახლოს დავჯდებოდი და ხმამაღლა ვკითხულობდი მამაჩემის მიერ აუქციონზე ნაყიდ ვაისეს „ბავშვების მეგობარს“*. მსგავსი გასართობი წიგნები ლიზაისთვის ჯერჯერობით უცნობი იყო და ჩემი წანაკითხით მეტისმეტად აღტაცებული რჩებოდა.

„უ, რა ეშმაკური რამეა“, „ო, რა უცნაურ ამბავს არ გაიგონებ“, — ხშირად წამოიძახებდა ხოლმე ლიზაი და საკერავს კალთაში ჩაიდებდა. ზოგჯერ ჭკვიანი თვალებით ამომხედავდა და მეკითხებოდა: „ეს ყველაფერი რომ მხოლოდ ტყუილი ამბები იყოს?“

ასე მგონია, ახლაც მესმის ეს სიტყვები.

...ჩემი ოსტატი დადუმდა. შევამჩნიე, როგორ გაუბრწყინა მშვენიერი ვაჟკაცური სახე უთქმელმა ბედნიერებამ, თითქოს ეს ყველაფერი, რაც ეს-ესაა მიამბო, მართალია წარსულს ჩაბარდა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დაკარგულ-დავიწყებული არ არისო. ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მან ისევ დაიწყო:

— გაკვეთილებს მაშინ რომ ვსწავლობდი, იმაზე უკეთ არასოდეს დამიმზადებია, რადგან ვგრძნობდი, მამაჩემი ჩვეულებრივზე ფხიზლად მადევნებდა თვალს და მეთოჯინეთა ოჯახთან ურთიერთობის უფლება ჩემი გაორკეცებული სიბეჯითით უნდა მომეპოვებინა.

— ეს ტენდლერები სახელოვანი ხალხია,—თქვა ერთხელ მამაჩემმა.—მეფუნდუკემ მითხრა, დღეს მათ უკეთესი ოთახი გამოვუყავიო. ნახარჯს ყოველ დილით ზუსტად იხდიან, მაგრამ ეს კია, სამწუხაროდ თავს ზედმეტი ნებივრობის უფლებას არ აძლევენო. ეს ამბავი,—ჩაურთო მამაჩემმა თავისი აზრი,—მე უფრო მომწონს, ვიდრე მეფუნდუკეს.- ეტყობა, ისინი შავი დღისთვის ორიოდ კაპიკს ინახავენ, რაც ამგვარი ადამიანებისაგან მოსალოდნელი არ არის.

ოჰ, რა სასიამოვნო იყო ჩემი მეგობრების ქების მოსმენა. დიახ, ახლა ისინი ჩემს მეგობრებად მიმაჩნდა. როცა საღამოთი წარმოდგენის სანახავად დარბაზში შევიდოდი,—ახლა ბილეთი უკვე აღარ მჭირდებოდა,—თვით ქალბატონი ტენდლერიც კი ალერსით მიქნევდა თავს. ახლა იმას არ იკითხავ, სკოლიდან რა თავ-კისრის მტვრევით გამოვრბოდი? ვიცოდი, რომ ლიზაი ჩვენსას იყო, ან სამზარეულოში შველოდა დედაჩემს, ხან ბაღში იჯდა მერხზე და წიგნს კითხულობდა, ანდა ხელში საკერავი ეჭირა. მალე მოვიფიქრე, თუ როგორ გამომეყენებინა იგი ჩემი საქმისთვისაც. გადავწყვიტე, რომ თოჯინების თეატრის ხელოვნება უკვე კარგად ვიცოდი და განვიზრახე შემექმნა მარიონეტების საკუთარი თეატრი. საქმე თოჯინების კეთებით დავიწყე. ბატონი ტენდლერი მეხმარებოდა თოჯინის გამოსაჭრელად გამოსადეგი ხისა და ამოსაჭრელი დანის შერჩევაში, თან პატარა თვალები ეშმაკურად უციმციმებდა. ერთ დღეს ხის უბრალო პალოდან ქვეყანას მოევლინა კასპერლის უზარმაზარი ცხვირი. მაგრამ რადგან ჩემი თოჯინისათვის ნაშურის სამოსი ნაკლებ საინტერესოდ მივიჩნიე, გაბრიელის ნაჩუქარი ქსოვილების ჩამონაჭრებისგან ლიზაიმ ჩემი მომავალი თოჯინების შესამოსავად ვერცხლითა და ოქროთი ამოქარგული

წამოსასხამები და კამზოლები შეკერა. ხანდახან სახელოსნოდან თავის განუყრელი მოკლე ჩიბუხით ჩვენთან გამოვიდოდა ხოლმე მამაჩემის ქარგალი მოხუცი ჰაინრიხი. რამდენადაც მახსოვს, ჰაინრიხი მუდამ ჩვენი ოჯახის წევრად ითვლებოდა, გამომართმევდა დანას და ორიოდ ნაჭდევით ჩემს ნაკეთებს ერთბაშად დასრულებულ სახეს აძლევდა. მაგრამ ჩემს ფანტაზიას უკვე აღარ აკმაყოფილებდა ტენდლერებისეული მთავარი თოჯინის სახე, სხვაგვარი მინდოდა გამეკეთებინა. ჩემი თოჯინისთვის მოვიგონე აქამდე არნახული და მეტისმეტად მოქნილი სამგვარი სახსარი: მას უნდა ემოძრავებინა ქვედა უბა, ექნია უურები და ეტკაცუნებინა ქვედა ტუჩი. და ფიქრი არ არის, ჩემი თოჯინა უჩვეულოდ მოხდენილი ყმაწვილი დადგებოდა, რომ ბოლოს ამდენი ჩხიკინის შემდეგ დაბადებამდე შენი ჭირი არ მოეჭამა. სამწუხაროდ ბე ვერც იმას მივაღწიე, რომ ჩემი თოჯინასათვის პფალცგრაფ ზიგფრიდის ან თოჯინების კომედიის რომელიმე სხვა გმირის მხიარული სიცოცხლე შთამებერა. სამაგიეროდ, კარგი მიწისქვეშა მღვიმე გავაკეთე, როცა ზემოთ ციოდა, მე და ლიზაი იქ ჩავიდოდით, დავსხდებოდით პატარა მერხზე და ზემო სარკმლიდან ჩამოსული სინათლის შუქზე ვუკითხავდი ვაისეს „ბავშვების მეგობარს“, რომელიც ამას არა და არ სწყინდებოდა. ამხანაგები დამცინოდნენ, ქალაჩუნას მეძახდნენ, რადგან უწინდებურად მათთან თამაშს მეთოჯინეების გოგოსთან გართობა მერჩია. მათი დაცინვა სულაც არ მაწუხებდა. კარგად ვიცოდი, რომ ამას ისინი შურის გამო ჩადიოდნენ, ხოლო თუ ძალიან გამაბრაზებდნენ, მაშინ საქმეს მუშტი აწესრიგებდა.

...მაგრამ ამქვეყნად ღმერთს დაუსრულებელი რა გაუჩენია. ტენდლერებმაც ჩაათავეს ყველა პიესა. მონადირის სახლში სცენა დაშალეს და წასასვლელად გაემზადნენ.

.და აი ოქტომბრის ერთ ქარიშხლიან დღეს ქალაქის განაპირას ბორცვზე ვიდექი და ხან აღმოსავლეთით მოტიტვლებულ მინდორზე გაჭიმულ ფართო სილიან გზას გავყურებდი დამწუხრებული, ხან კი დაბლობში გაფენილ, ნისლსა და ბურუსში ჩაყვინთულ ქალაქს მოვავლებდი თვალს სევდიანად. აი გამოჩნდა პატარა ორთვალა, ზედ ორი მაღალი ყუთი დგას. ორთვალას ყოჩაღად მოაჩაქჩაქებს ხელებშუა გაბმული პატარა ქურანა. ბატონი ტენდლერი ახლა ორთვალას წინა კოფოზე იჯდა, უკან თბილ პალტოში გახვეული ლიზაი და დედამისი ისხდნენ. ფუნდუკის წინ მათ უკვე გამოვემშვიდობე, მერე კი წინ გამოვიქეცი, რომ ყველანი ერთხელ კიდევ დამენახა და მამაჩემის ნებართვით ლიზაისთვის სამახსოვროდ ვაისეს „ბავშვების მეგობარი“ გადამეცა. თან მქონდა დაზოგილი კაპიკებით ნაყიდი ერთი შეკვრა ნამცხვარიც.

— გაჩერდით! გაჩერდით! — გავძახე გორაკიდან ორთვალაში მსხდომთ.

ბატონმა ტენდლერმა აღვირს მოსწია, ქურანა შედგა და ლიზაის ჩემი საჩუქრები გადავეცი, რომელიც მან გვერდით დაიწყო. ჩვენ სიტყვის უთქმელად ერთმანეთს ხელი ჩავჭიდეთ და საბრალო ბავშვები ავქვითინდით. ბატონმა ტენდლერმა მაშინვე ქურანას მათრახი გადაუჭირა.

— მშვიდობით, ჩემო ბიჭიკო! კარგად იყავი და დედასა და მამას ჩვენი მადლობა გადაეცი! — გადმომძახა ორთვალადან.

— მშვიდობით! მშვიდობით! — გადმომძახა ლიზაიმაც.

ცხენი წაჩაქჩაქდა, მის კისერზე შებმულმა ზანზალაკმა წკარუნი დაიწყო. ვიგრძენი, როგორ გამიცურდა ხელებიდან ლიზაის პაწაწა ხელები და ტენდლერები გზას გაუდგნენ.

მე კვლავ ბორცვზე შევდექი და თვალმოუშორებლად გავ-

ცქეროდი ორთვალას, რომელიც მტვერში გახვეულიყო. ზინ-ზალაკის ხმა თანდათან სუსტდებოდა. ერთხელ აფრიალებული თეთრი ხელსახოციც დავინახე და შემოდგომის ნისლში ორთვალა თანდათან ჩაიკარგა. ერთბაშად საშინელმა შიშმა მომიცვა: შენ მათ ვეღარასოდეს ვეღარ ნახავ, ვეღარასოდეს! — შემომკვნესა გულმა.

— ლიზაი, ლიზაი! — გავძახე გზას.

მიუხედავად ამისა, ალბათ, იმიტომ, რომ გზა უხვევდა, ნისლში ჯერაც მოცახცახე წერტილი სულ გაქრა და მეც გადარეულივით ორთვალას დავედევნე. ქარმა თავიდან ქუდი გადამაძრო, ფეხსაცმელები სილით ამივსო ... ბევრი ვირბინე, მაგრამ გახრიოკებული და უკაცური მინდვრისა და ზედდამხობილი ცივი, რუხი ზეცის მეტი არაფერი ჩანდა. როცა ბოლოს, შებინდებისას, სახლს მივაღწიე, გულში ისეთი გრძნობა მქონდა,თითქოს მთელი ქალაქი ჩამკვდარიყო. ეს იყო ცხოვრებაში ჩემი პირველი გამომშვიდობება.

როცა შემდგომ წლებში შემოდგომა ისევ გვესტუმრებოდა ხოლმე, როცა ბაღებში შაშვები დაბინავდებოდნენ და შნაიდერის ფუნდუკის წინ ცაცხვებს პირველი ყვითელი ფოთლები ჩამოსცვივოდა, ხშირად ვიჯექი ჩვენს ბაღში მერხზე და ვფიქრობდი, ნუთუ როდისმე, ერთხელ მაინც, აღარ გამოჩნდებოდა ქურანაშებმული პატარა ორთვალა ქუჩის ბოლოში.

მაგრამ ამაოდ ველოდი. ლიზაი აღარ გამოჩენილა.

ეს მოხდა თორმეტი წლის შემდეგ, როცა საავტო სკოლა დავამთავრე, ხელოსანთა სხვა შვილების მსგავსად მეც გავიარე გიმნაზიის მეოთხე კლასი და მერე მამაჩემთან შევუდექი ხელობის შესწავლას. გავიდა ის დრო, როცა ხელობის შესწავლას-

თან ერთად წიგნების კითხვასაც ვახერხებდი. სამი წლის ხეტიალის შემდეგ შუაგერმანიის ქალაქში მოვხვდი. იქაურები თავგადაგებული კათოლიკები იყვნენ და ამ საკითხში ვერავითარ შეკამათებას ვერ იტანდნენ. თუ ვინმე გაბედავდა და ქუჩაში სიმღერით და წმინდანებით მიმავალ პროცესიას ქუდს არ მოუხდიდა, იმას იქვე მიასიკვდილებდნენ. სხვა მხრივ კი კეთილი ხალხი იყო. სახლის პატრონი, ვისთანაც მე ვმუშაობდი, ქვრივი ქალი იყო. მისი ვაჟიშვილი ჩემსავით სხვა ქალაქში მუშაობდა, რათა შემდეგ, ოსტატის უფლების მიღების დროს, საამქრო წესდებით გათვალისწინებული მოგზაურობის წლების დამოწმება შესძლებოდა.* ამ ოჯახში თავს კარგად ვგრძნობდი. დიასახლისი ისე მექცეოდა, როგორც მას სურდა, რომ მის სხვაგან წასულ შვილს მოქცეოდნენ და მალე იმდენად მენდო, მთელი საქმიანობის გაძღოლა და წარმოება მე გადმომაბარა. ახლა ჩვენი იოსები მუშაობს მის შვილთან. ჩემი ვაჟი ხშირად მწერს, მოხუცი დიასახლისი საკუთარი შვილიშვილივით მათამამებსო.

...ერთხელ, კვირა საღამოს, მე და ჩემი დიასახლისი იმ ოთახში ვისხედით, რომლის ფანჯრები დიდ საპყრობილეს გასცქეროდა.

იანვარი იდგა, თერმომეტრი ნულს ქვემოთ ოც გრადუსს უჩვენებდა. ქუჩაში კაცისშვილი არ ჩანდა. ახლომდებარე მთებიდან ქარი ღმუილით შემოიჭრებოდა ხოლმე და მოკირწყლულ ქუჩაზე ყინულის ლოლუებს წკრიალი გაუდიოდა.

— ასეთ დროს კარგია თბილ ოთახში კაცი ფინჯან ცხელ ყავას უჯდეს, — მომმართა დიასახლისმა და ფინჯანი მესამედ შემივსო.

ფანჯარასთან ვიდექი. ჩემი ფიქრები მშობლიურ ქალაქს

დასტრიალებდა. თუმცაღა იქ მახლობლები აღარავინ დამრჩენოდა — გამომშვიდობების მთელი სიმწარე ახლა უკვე ნაწვნევი მქონდა. მართალია, ბედმა წილად ის მაინც მარგუნა, რომ დედაჩემისათვის თვალები მე დამეხუჭა, მაგრამ რაჰდენიმე კვირის წინ გარდაცვლილი მამა, მაშინდელი ცუდი გზების გაბო, უკანასკნელ სამყოფელომდე ვერც კი გავაცილე. ბამისეული სახელოსნო ოსტატადქცეული შვილის შინ დაბრუნებას ელოდა. მოხუცი ჰაინრიხი ჯერაც ადგილზე იყო და ამქრის ოსტატის ნებართვით სახელოსნოს საქმეს დროებით ის აწესრიგებდა. ამიტომ ჩემს კეთილ დიასახლისს აღვუთქვი. ორი ოდ კვირას, შენი ვაჟიშვილის დაბრუნებამდე, აქ დავრჩებიმეთქი. ეს კი იყო, სიმშვიდე ველარსად მეპოვა: მამაჩემის ახლადგათხრილი სამარე ჩემს სხვაგან ყოფნას ველარ ითმენდა.

ამ ფიქრებში ვიყავი, როცა ქუჩის იქითა მხრიდან ვიღაცის უშვერი გინება მომესმა. ზემოთ რომ ავიხედე, დავინახე ჭლექიანი სახე საპყრობილის ზედამხედველისა, რომელიც საპატიმროს ნახევრად გაღებული კარიდან გამოდიოდა. აწეული მუშტით ვიღაც ქალს ემუქრებოდა, რომელიც ძალით ცდილობდა შესულიყო სხვებისთვის საშიშ შენობაში.

— ალბათ, ვიღაც გულის საყვარელი ჰყავს შიგ. — წარმოთქვა სავარძელში მჯდომმა დიასახლისმა, რომელიც ჩემსავით ამ ამბავს შეჰყურებდა, — მაგრამ მაგ ბებერმა ცოდვილმა ხომ ადამიანების შეცოდება არ იცის.

— ეგ კაცი თავის მოვალეობას ასრულებს, — მივუგე ჯერაც ფიქრებიდან გამოურკვევმა.

— არ ვისურვებდი ასეთი მოვალეობის ასრულებას, — ჩაილაპარაკა ქალმა და გაბრაზებული სავარძელს მიეყრდნო.

ამასობაში საპატიმროს კარი მიხურეს. ქალს მხრებზე მოკ-

ლე პალტო წამოესხა და თმა შავი თავშლით გაეკრა. იგი უკან გამობრუნდა და თავქვე ნელა დაუყვა მოყინულ ქუჩას. დიასახლისი და მე ხმას არ ვიღებდით. გულში ვგრძნობდი მოზღვავებულ თანაგრძნობას ამ ქალისადმი, ვიცოდი, რომ ორივე ჩვენგანს მისი დახმარება გვწყუროდა, მაგრამ არ ვიცოდით, რით დავხმარებოდით.

ის იყო დავაპირე ფანჯარას მოვცილებოდი, რომ ქალი ისევ უკან მობრუნდა, საპატიმროს კართან მივიდა და ცალი ფეხი კიბის საფეხურზე გაუბედავად შედგა. შემდეგ ქალმა თავი უკან შეაბრუნა და როცა დაცარიელებულ ქუჩას გახედა, დავინახე მისი ახალგაზრდული სახე და შავ თვალებში ჩამდგარი უსასო განწირულება. როგორც ჩანდა, ვეღარ გაებედა, რომ გულქვა ზედამხედველის მუშტს წინ აღდგომოდა. გზა ისევ ნელა განაგრძო, თან მალი-მალ მოკეტილ კარს გახედავდა ხოლმე. აშკარად ჩანდა, თვითონაც არ იცოდა, სად წასულიყო. მაგრამ როცა ქალმა საპატიმროს კუთხეში ეკლესიისკენ მიმავალ ვიწრო ქუჩაზე გაუხვია, ჩემდა უნებურად კარზე მიმაგრებული საკიდიდან ქუდი ავიტაცე, რომ ქალს დავწეოდი.

— ასე, პაულსენ, სწორად იქცევი! — მითხრა კეთილმა დიასახლისმა. — წადი, მოუხმე; მე კი მანამდე ყავას გავაცხელებ!

გარეთ რომ გავედი, სახეში სუსხიანი ყინვა მეძგერა. ირგვლივ ყველაფერი ჩამკვდარიყო. ქალაქის ნაპირას წამომმართულ მთაზე შეფენილი ჩაშავებული ნაძვნარი რისხვით იმზირებოდა. სახლების ფანჯრებზე უმეტესად ყინულის თეთრი ფარდები აკრულიყო, რადგან ჩემი დიასახლისივით ყველას ხუთი საჟენი შეშა არ ჰქონდა მომარაგებული. ვიწრო ქუჩით

ეკლესიის მოედნისკენ გავემართე. მალე დავინახე გაყინულ ბიწაზე დამხობილი, ხის დიდი ჯვარცმის წინ დაჩოქილი ახალგაზრდა ქალი. ხმის ამოუღებლად მივუახლოვდი. როცა ქალმა თვალები ჯვარზე გაკრულ სისხლიან სახეს მიაპყრო, ხმადაბლა წარმოვთქვი:

— მაპატიეთ, რომ ლოცვას გაწყვეტინებთ. გეტყობათ, აქაური არ უნდა ბრძანდებოდეთ!

ქალმა თავი დამიქნია, მაგრამ არ წამომდგარა.

— მინდოდა დაგხმარებოდით, — დავიწყე ისევ, — ოღონდ მითხარით, საით მიდიხართ?

— ახლა მე თვითონაც აღარ ვიცი, სად წამესვლება, — მიპასუხა მან და კვლავ თავი ჩაჰკიდა.

— ერთ საათში მთლად დაბნელდება, ამ უღმერთო ყინვაში გარეთ ხომ ვერ დარჩებით?

— ღმერთი მიშველის რამეს, — მომესმა მშვიდი პასუხი.

— ჰო, რასაკვირველია. მეც ასე მჯერა, რომ თავად ღმერთმა გამომგზავნა თქვენს საშველად.

თითქოს ჩემს ხმას გამოეფხიზლებინოს, ქალი ფეხზე წამოდგა და გაუბედავად მომიახლოვდა, კისერი წაიგრძელა და სულ ახლოს მოვიდა, თან ისე მიმზერდა, თითქოს სულში უნდა ჩამხედოსო.

— პაულ! — შესძახა უცბად სიხარულით აღტაცებულმა ქალმა. — ჰო, პაულ, სწორედ რომ ღმერთმა გამოგგზავნა.

სად მქონდა აქამდე თვალები! ეს ხომ ჩემი ბავშვობის მეგობარი, პატარა ლიზაი იყო! ჰო, ის იყო, ოღონდ ახლა მოხდენილი ქალიშვილი დამდგარიყო, მის ჩვეულებრივად მოღიმარ სახეს ამ შეხვედრით გამოწვეული სიხარულის სხივი ჩამოსცილდა და ღრმა მწუხარების ანაბეჭდი დაეუფლა.

— საიდან მოხვდი აქ, ლიზაი, ასე მარტოდმარტო? — ვკითხე მე. — რა გადაგხდა თავს? მამაშენი სად არის?

— საპატიმროშია, პაულ.

— საპატიმროშია?! იქ არის შენი კეთილი მამა?... მაგრამ აქ რას ვუდგევართ, წამო ჩემთან. აქ ერთ გულკეთილ ქალთან ვმუშაობ. ის გიცნობს, ხშირად მოვყოლივარ მასთან შენს ამბებს.

ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩავკიდეთ, როგორც ეს ბავშვობისას ვიცოდით ხოლმე, და სახლისკენ გავემართეთ, საიდანაც ჩემი დიასახლისი გვიმზერდა.

— ეს ლიზაია! — ოთახში შესვლისთანავე შევძახე დიასახლისს, — წარმოგიდგენიათ, ის ლიზაია, რომ გიამბობდით ხოლმე.

დიასახლისმა გაოცებით ხელი ხელს შემოჰკრა:

— შენ გვიშველე, ღვთისმშობელო დედაო მარიამ! მაშ ეს არის ლიზაი? მაშ ასეთია იგი? მერე და შენ რა საქმე გქონდა იმ ბებერ ცოდვილთან? — ჰკითხა დიასახლისმა ქალს და თითი საპატიმროსკენ გაიშვირა. — პაულისგან ვიცი, რომ პატიოსანი მშობლების შვილი ხარ.

მერე ჩემმა დიასახლისმა ლიზაი ოთახში შეიყვანა და თავის საკარძელზე დასვა. სანამ ლიზაი მის კითხვაზე პასუხს გასცემდა, დიასახლისმა ფინჯანი ცხელი ყავაც მოუტანა.

— ჯერ ეს დალიე და ცოტა შეთბი, ხელები სულ მთლად გაგყინვია.

ლიზაი სმას შეუდგა. თვალთაგან ორი ცრემლი ჩამოუგორდა და ფინჯანში ჩავარდა. მერე თხრობა დაიწყო.

ლიზაი ახლა აღარ ლაპარაკობდა მშობლიურ დიალექტზე, როგორც ბავშვობაში ანდა წელან რომ მოუქცია ეკლესიის

მოედანზე. მის ლაპარაკში ოდნავღა იგრძნობოდა სამხრეთული კილოს ანარეკლი. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ თუმცა მისი მშობლები ჩვენს სანაპირომდე არ მოსულან, მაგრამ უმეტესად შუა გერმანიაში მოგზაურობდნენ. დედა რამდენიმე წლის წინ გარდაცვლოდა. „მამაშენს ნუ მიატოვებ, — ჩურჩულით უთხრა სიკვდილის წინ დედამ ლიზაის, — მას ბავშვის გული აქვს და შეუფერებლად კეთილია ამა ქვეყნისათვის“.

ამის გახსენებაზე ლიზაი აქვითინდა. გასამხნევებლად ჩემმა დიასახლისმა მას მეორე ფინჯანი ყავა მიუტანა, მაგრამ ლიზაიმ პირი აღარ დააკარა. კარგა დრო გავიდა, სანამ იგი დამშვიდდებოდა. ბოლოს ისევ თხრობა განაგრძო.

დედის სიკვდილის შემდეგ მისი პირველი საზრუნავი იყო, რომ მამის ხელმძღვანელობით ესწავლა ქალი თოჯინების როლები, რასაც მანამდე გარდაცვლილი ასრულებდა.

მიცვალებული დაასაფლავეს, მისი სულის საცხონებლად წირვა გადაიხადეს, ახლად - ახალი ბორცვი მიატოვეს და მამა და ქალიშვილი კვლავ გზას გაუდგნენ. ძველებურად დგამდნენ „გზადაკარგულ ვაჟიშვილს“, „წმინდა ჟენევიევას“ და სხვა პიესებს.

წინა დღეს ისინი ერთ დიდ სოფელში მივიდნენ, სადაც სადილად შეისვენეს. ღარიბულად ისადილეს და იქვე მერხზე, მაგიდასთან მამა ტენდლერმა ნახევარი საათით წაუძინა, ხოლო ლიზაი ცხენის მისახედად გარეთ გამოვიდა. მალე ამის შემდეგ შალის საბნებში გაეხვივნენ და უწყალო ყინვას თავი მისცეს.

— მაგრამ შორს წასვლა ვერ მოვასწარით, — განაგრძობდა ლიზაი, — სოფლის ბოლოში ცხენოსანმა ჩაფარმა ცხენი

ზედ მოგვაგდო და ღრიალსა და ლანძღვა-მუქარას მოჰყვა. თურმე მაგიდის უჯრიდან მედუქნეს ფულის ქისა დაჰკარგვოდა, ხოლო ოთახში მხოლოდ ჩემი უდანაშაულო მამა იყო. ვაი ჩვენ, რომ არც სამშობლო გვაქვს, არც მეგობრები გვყავს და პატივსაც არავინ გვცემს. არავის ხალხად არ მივაჩნივართ.

— რას ამბობ, ბავშვო, — შესძახა ჩემმა დიასახლისმა და ჩემსკენ გამოიხედა, — ნუ სცოდავ ასეთი ლაპარაკით.

მე ხმა ვერ ამომეღო, რადგან ლიზაის საყვედური სიმართლეს მოკლებული არ იყო. ისინი იძულებული გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ სოფელში. ორთვალა და მთელი მათი ავლადიდება სოფლის მამასახლისმა ჩამოართვა. მოხუც ტენდლერს კი უბრძანეს, ცხენზე ამხედრებულ ჩაფარს ქალაქისკენ ფეხით გაჰყოლოდა. ჩაფარი ლიზაის მამასთან ახლოს არ უშვებდა და იგი იძულებული იყო შორიახლო ასდევნებოდა იმ იმედით, რომ სანამ ღვთის შემწეობით რაიმე გაირკვევა, იმასაც მამასთან ამყოფებდნენ ციხეში. მაგრამ ეჭვი მასზე არ მიუტანიათ და ინსპექტორი მართალი იყო, როცა აბეზარს კარი ცხვირწინ მოუკეტა, რადგან ფიქრობდა, რომ მას ამ შენობაში შესვლის პრეტენზია არ უნდა ჰქონოდა.

ინსპექტორის საქციელი ლიზაის ვერაფრით ვერ გაეგო და ეს ყოველგვარ სასჯელზე მეტ დასჯად მიაჩნდა, რომელიც, რასაკვირველია, თავის დროზე ნამდვილად დამნაშავეს უნდა ეწვნია.

— მაგრამ ასეთ სასტიკ სასჯელს დამნაშავესაც არ ვუსურვებ, თუკი შესაძლებელი გახდება, რომ ჩემი კარგი მამიკოს უდანაშაულობა დამტკიცდეს. — აჩქარებით დაუმატა ლიზაიმ. — ო, საბრალო მამაჩემი. ტყუილია, ის ამ სირცხვილს ვერ გადაიტანს.

უცბად გამახსენდა, რომ მე საპატიმროს მოხუცი კაპრალია და ბატონ კრიმინალური კომისრისათვის მეტად საჭირო კაცი ვიყავი: ერთს სართავ მანქანებს ვურემონტებდი, მეორეს კი — ძვირფას ჯაყვებს ვულესავდი. პირველისაგან, თუ სხვა არაფერი საპატიმროში შესვლის ნებას მაინც მივიღებდი, ხოლო მეორესთან შემეძლო ბატონი ტენდლერის კარგი რეპუტაცია დამედასტურებინა და ამით მისი საქმის გადასინჯვა დამეჩქარებინა. ლიზაის ვთხოვე, მოთმინებას მოუხმეთქი, და მაშინვე საპატიმროსაკენ გავეშურე.

ჭლექიანი ინსპექტორი ისევ უსირცხვილო ქალების ლანძღვას მოჰყვა, ისინი მუდამ თავიანთი ავაზაკი ქმრებისა და მამების საკანში შესვლას ითხოვენო.

მე მას ავუკრძალე ჩემი ძველი მეგობრის ამ სახელით მოხსენიება, სანამ სასამართლო „სამართლის სახელით" არ დაადასტურებდა მის ავაზაკობას, რაც არასოდეს არ მოხდებოდა — ამაში მე მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული. ბოლოს, ცოტაოდენი წაკამათების შემდეგ, ფართო კიბე ავიარეთ და მეორე სართულზე ავედით.

დახავსებულ საპატიმროში ჰაერიც დაპატიმრებული იყო: როგორც კი გრძელ ტალანში შევედით, საშინელი სუნისაგან სუნთქვა შეგვეკრა. ტალანის ორივე მხარეს ერთკაციანი საკნები იყო ჩამწკრივებული. ტალანის ბოლოში ერთ ასეთ საკანთან შევჩერდით. ინსპექტორმა გასაღებების ასხმა შეარხია და საჭირო გასაღები მოძებნა. კარმა გაიჭრიალა და საკანში შევედით.

შუა საკანში ჩვენსკენ ზურგშექცევით იდგა ტანმორჩილი, გამხდარი კაცი, რომელიც, ეტყობოდა, სქელ კედელში ზემოთდატანებული ფანჯრიდან ჩაჟამული ცის პატარა ნაგლეჯს

შეჰყურებდა. მის თავზე უმალ შევამჩნიე ზღარბივით გაბურძგვნილი თმა, ისიც ისევე, როგორც ზამთარში ბუნება თეთრად შემოსილიყო. ჩვენს შესვლაზე პატიმარი შემობრუნდა.

— ვეღარ მიცანით, ბატონო ტენდლერ? — ვკითხე მე.

მან აჩქარებით შემავლო თვალი და მიპასუხა:

— არა, ბატონო, პატივი არ მაქვს, გიცნობდეთ!

მე ჩემი მშობლიური ქალაქის სახელი წარმოვთქვი და ვუთხარი:

— ის უმაქნისი ყმაწვილი გახლავართ, ერთხელ რომ თქვენი მარჯვე კასპერლე გაგიფუჭეთ.

— არა უშავს რა! — მომიგო მან დარცხვენით და მდაბლად დამიკრა თავი. — ეგ ამბავი კარგა ხანია დამავიწყდა კიდეც.

როგორც ჩანდა, პატიმარი არ მისმენდა, რადგან ტუჩებს შეუჩერებლად ამოძრავებდა, თითქოს საკუთარ თავს სულ სხვა ამბებზე ელაპარაკებაო.

ახლა ის მოვუყევი, როგორ ვიპოვე ლიზაი ამ ცოტა ხნის წინათ. მოხუცმა ახლაღა შემომხედა დაკვირვებით.

— მადლობა უფალს! მადლობა უფალს! — წარმოთქვა მან და ხელები მაღლა შემართა. — დიახ, დიახ! პატარა ლიზაი და პატარა პაული ოდესღაც ერთად თამაშობდნენ... პატარა პაული! პატარა პაული ხართ თქვენ? ო, ახლა კი მჯერა! კარგად ვიცანი მაშინდელი მხიარული ბიჭის სახე. — მოხუცმა ტენდლერმა თავი ისე დამიქნია, რომ თეთრი ზღარბულა თმა აუთამაშდა. — ჰო, გამახსენდა თქვენი ზღვისპირა ქალაქი. მას შემდეგ იქ აღარ ვყოფილვართ. კარგი დრო იყო მაშინ. ჩემი ცოლიც, დიდი გაისელბრეხტის ქალიშვილიც ჩვენთან იყო. „იოსებ, — მეტყოდა ხოლმე იგი, — ხალხიც რომ მავ-

თულებზე გამობმული იყოს, იმათაც შენს ნებაზე ათამაშებო“. ახლა რომ ის ცოცხალი მყავდეს, ესენი აქ ვერ გამომამწყვდევდნენ. ღმერთო, შენ მისმინე, მე ხომ ქურდი არა ვარ, ბატონო პაულსენ.

ინსპექტორმა, რომელიც ტალანში წინ და უკან მომოდიოდა, უკვე რამდენჯერმე შეაჟღარუნა გასაღებების შეკვრა. შევეცადე მოხუცი დამემშვიდებინა და ვთხოვე, რომ პირველი დაკითხვის დროს თავისი კეთილსინდისიერების დასადასტურებლად მოწმედ მე დავესახელებინე, რადგან ამ ქალაქში კარგად მიცნობდნენ და პატივსაც მცემდნენ.

სახლში გამოვბრუნდი. შინ რომ შევედი, დიასახლისმა შემომძახა:

— ეს რა ჯიუტი ქალიშვილი ყოფილა, პაულსენ! ვერაფრით ვერ გადავათქმევინე! ღამის გასათევად პატარა ოთახი მივუჩინე, იმას კი მათხოვართა თავშესაფარში ანდა სადღაც სხვაგან უნდა თავის შეფარება.

ლიზაის ვკითხე, პასპორტი თუ გაქვს-მეთქი თან.

— ღმერთო ჩემო, პასპორტები სოფლის მამასახლისმა ჩამოგვართვა.

— მაშ კარს არავინ არ გაგიღებს, — ვუთხარი მე. — ეს ხომ თავადაც კარგად იცი.

ეს, რასაკვირველია, იმანაც იცოდა და კმაყოფილმა დიასახლისმა ლიზაის ხელი გაუწოდა:

— ძალიან კარგია, რომ სხვის ნებაზე არ დადიხარ. პაულისგან დაწვრილებით ვიცი, როგორ გაატარეთ ერთხელ ყუთში ერთად ღამე. მაგრამ ჩემგან ასე იოლად თავს ვერ დაიძვრენდი.

ლიზაიმ დაიმორცხვა და იატაკს დააჩერდა. მერე მოუთ-

მენლად გამომკითხა მამის ამბავი. ლიზაის ყველაფერი ვუამბე, შემდეგ დიასახლისს ქვეშაგები ვთხოვე, ზოგი რამ ჩემი ლოგინისაც დავუმატე და ჰატიმარს წავუღე საკანში. საამისო ნებართვა ინსპექტორს ადრევე ვთხოვე. დაღამებისას უკვე გულდაიმედებულები ვიყავით, რომ ჩვენი ძველი მეგობარი შიშველ საკანში თბილ ლოგინს და საუკეთესო ბალიშზე დაუმძიმებელი სინდისის მეოხებით კარგ ძილს მიეცემოდა.

მეორე დილას, ის იყო ბატონ კრიმინალურ კომისართან წასასვლელად გავემზადე და ქუჩაში გამოვედი, რომ საპატიმროდან ჩემსკენ გამოემართა საშინაო ფეხსაცმელებში ფეხებწაყრილი ინსპექტორი.

— თქვენ მართალი აღმოჩნდით, პაულსენ, — მომმართა მან ხრინწიანი ხმით. — ის კაცი ავაზაკი მართლა არ ყოფილა. ნამდვილი ქურდი ახლახან მომიყვანეს. თქვენს მოხუცს დღესვე გაუშვებენ.

მართლაც რამდენიმე საათის შემდეგ საპატიმროს კარი გაიღო და მოხუც ტენდლერს ინსპექტორმა, ბრძანებას, მიჩვეული ხმით, გზა ჩვენსკენ მოასწავლა. უკვე სადილობის დრო იყო და ჩემმა დიასახლისმა მანამდე ვერ მოისვენა, სანამ ბატონი ტენდლერიც სუფრას არ მიუსვა თავის ქალიშვილის გვერდით. დიასახლისის მრავალგზის შეპატიჟების მიუხედავად, მოხუცს საგანგებოდ გაკეთებული საჭმლისათვის ხელი თითქმის არ დაუკარებია, ჩუმად იჯდა და თავის საფიქრალს მისცემოდა. შევამჩნიე, რომ დროიდადრო თავის ქალიშვილის ხელს აიღებდა და ნაზად ეალერსებოდა, უცბად გარეთ ზარის წკარუნი გაისმა. რასაკვირველია, კარგად ვიცოდი, რაც იყო,

მაგრამ ისე მომეჩვენა, თითქოს იგი ჩემი შორეული ბავშვობის დროიდან მოისმოდა.

— ლიზაი! — ჩურჩულით წარმოვთქვი მე.

— ჰო, პაულ, მეც მესმის.

ორივენი წამოვიჭერით და კართან მივედით, გამოვაღე და რას ვხედავ: ქუჩას დაღმართში მოუყვება ისევ ის ორთვალა, ზედ ისევ ორი მაღალი ყუთი დევს! რა ხშირად მინატრია მათი ნახვა!.. ორთვალას გვერდით გლეხის ბიჭი მოსდევს, ხელში მათრახი და აღვირი უჭირავს. მაგრამ ზანზალაკი ახლა ორთვალაში გაბმულ სისვ ცხენს ჰკიდია ყელზე.

— ის ქურანა რა უყავით? — ვკითხე ლიზაის.

— ქურანა? ერთ დღეს გზად მივდიოდით და ორთვალაში გაბმულმა დალია სული. მამამ მაშინვე სოფლიდან ვეტერინარი ექიმი მოიყვანა, მაგრამ საბრალოს სიცოცხლე აღარ ეწერა.

ამ სიტყვებზე ლიზაის თვალთაგან ცრემლი წასკდა.

— რა დაგემართა, ლიზაი? — ავღელდი მე. — ახლა ხომ ყველაფერი კარგად არის.

უარყოფის ნიშნად ლიზაიმ თავი გაიქნია:

— მამაჩემის მდგომარეობა მაფიქრებს. რაღაც უცნაურად დუმს... ამ სირცხვილს ეგ ვერ გადაიტანს.

და მართლაც აღმოჩნდა, რომ ლიზაის მოსიყვარულე თვალითა და გულით დანახული მართალი იყო. როცა მამა-შვილი ერთ პატარა სასტუმროში დავაბინავე და მოხუცი გეგმებს აწყობდა, თუ საით გამგზავრებულიყვნენ, — ამ ქალაქში ივი ხალხს ვეღარ ენახვებოდა, — უცბად შეამცივნა და იძულებული გახდა ლოგინში ჩაწოლილიყო. მალე ექიმი მოვიყვანეთ. აღმოჩნდა, რომ მოხუცი სერიოზულად იყო ავად. მეში-

ნოდა ავადმყოფობის გამო გაჭირვებაში არ ჩავარდნილიყვნენ და ლიზაის ფული შევთავაზე. მაგრამ ლიზაიმ მიპასუხა:

— შენგან, რასაკვირველია, ფულს სიხარულით მივიღებდი, მაგრამ ამჯერად ნუ შეწუხდები, არცთუ ეგრე უქონლები ვართ.

სხვა რაღა დამრჩენოდა იმის მეტი, რომ ავადმყოფის სარეცელთან ღამის თენებაში შევშველებოდი ლიზაის, ანდა, როცა ავადმყოფი გამომჯობინდა, საღამოობით მივსულიყავი და ერთი-ორი საათი საუბრით გამერთო.

ამასობაში ჩემი შინდაბრუნების დროც ახლოვდებოდა და გული თანდათან მიმძიმდებოდა. ლიზაის ყოველი ნახვა თითქოს გულს მიკოდავდა, რადგან მალე, ალბათ, ისიც წავიდოდა აქედან და მამასთან ერთად ისევ ხეტიალს მოჰყვებოდა. ნეტავ იმასაც ჰქონოდა მუდმივი ბინა? სად უნდა მიმეწვდინა ხმა, როცა მათთვის ჩემი ამბის ცნობება და სალმის შეთვლა მომინდებოდა? გამახსენდა და თვალი გადავავლე იმ თორმეტ წელს, რაც ჩვენი პირველი გამომშვიდობებიდან გასულიყო. ნუთუ კიდევ ამდენივე დრო უნდა გამპარვოდა თვალსა და ხელს შუა, ანდა მთელი სიცოცხლეც, მის მოლოდინში?

— შინ რომ დაბრუნდები, შენს სახლსა და ეზო-ყურეს ჩემი სალამი გადაეცი, — მითხრა ლიზაიმ წასვლის წინ, როცა კართან მომაცილა. — ახლაც ცხადად ვხედავ იმ მერხს, ცაცხვის ქვეშ რომ დგას ბაღში. ოჰ, ვერც ვერასოდეს დავივიწყებ. არსად ისე კარგად არ მიგრძვნია თავი, როგორც იქ.

ის რომ ამას მელაპარაკებოდა, ასე მეგონა უკუნეთ ბნელში ჩემი მზით გაბრწყინებული ქალაქი ამოტივტივდა-მეთქი. ვხედავდი დედაჩემის მოალერსე თვალებს, მამაჩემის მტკიცე და პატიოსან სახეს.

— ეჰ, ლიზაი, — მივუგე მე, — სადღა არის ჩემი სახლი და ეზო-ყურე. ახლა ყველაფერი დაცარიელდა და გაუდაბურდა.

ლიზაიმ არაფერი თქვა, ხელი გამომიწოდა და თავისი კეთილი თვალები შემომანათა.

ერთბაშად თითქოს დედის ხმა შემომესმა: „მტკიცედ ჩაჰკიდე ხელი ამ ხელს, მასთან ერთად დაბრუნდი შინ და შენს ძველ ბუდეს ისევ მოიპოვებ“.

მეც მტკიცედ ჩავჭიდე ხელი მის ხელს და ვუთხარი:

— ლიზაი, მოდი ერთად დავბრუნდეთ იქ და ერთად ვცადოთ დაცარიელებულ სახლ-კარში ახალი ცხოვრების აღორძინება, ისევე კარგი ცხოვრებისა, როგორიც ძველებმა გაატარეს. შენ ხომ ოდესღაც გიყვარდა ისინი.

— პაულ! — შესძახა მან. — მაგას რას მეუბნები? არ მესმის შენი!

ვისი ხელი თრთოდა ჩემს ხელში, ცახცახებდა და შეჩერება არ წეეძლო. მე მხოლოდ ეს ვუთხარი:

— შეეცადე, ეკვე როგორმე გამიგო!

ერთხანს ლიზაიმ იყუჩა, შემდეგ ესღა სთქვა:

— არ შემიძლია, პაულ, მამაჩემის მიტოვება!

— არც არის საჭირო, ლიზაი! ისიც ჩვენთან წამოვიდეს. უკანა ფლიგელში ორი ოთახია, ახლა ორივე ცარიელია. მამაშენმა იქ იცხოვროს და იჩუჩუნოს მისთვის. მოხუცი ჰაინრიხის სენაკიც ზედვეა.

ლიზაიმ თავი დაიქნია და თავისი აზრი გამოთქვა:

— მერე, პაულ, ჩვენ რომ მოხეტიალე ხალხი ვართ! შენი მეზობლები რას იტყვიან?

— სალაპარაკო გაუჩნდებათ და გაკილვას არ დაგვაკლებენ.

— ძერედა, შენ არ გეშინია?

ამაზე მე სიცილით ვუპასუხე.

— მაშ კარგი, — ზარივით გაიწკრიალა მისმა ხმამ. — თუ შენ არ გეშინია, მე მით უფრო არ მეშინია.

— სიამოვნებით თუ ეთანხმები ჩემს წინადადებას?

— რასაკვირველია, პაულ! სიამოვნებით რომ არ დაგთანხმებოდი, — ლიზაიმ თავი ჩემსკენ გადმოიქნია, — მაშინ არც წამოგყვებოდი...

— შენ კი, ჩემო ბიჭიკო, — შეწყვიტა ამბის თხრობა ჩემმა უფროსმა მეგობარმა, — შემდეგში გაიგებ, თუ როგორია ქალიშვილის შავი თვალები იმ დროს, როცა იგი ასეთ სიტყვებს წარმოთქვამს. მანამდე კი წლობით ცდა კიდევ მოგიწევს.

„ჰო, ქალიშვილის შავი თვალები“, — გავიფიქრე მე, — „განსაკუთრებით ისეთი, რომლებსაც მთელი ტბის ამოშრობა შეუძლიათ“.

— ამგვარად, შენ, ალბათ, უკვე იცი, — განაგრძო ისევ პაულსენმა. — ვინც არის ეს ლიზაი, არა?

— ეს ხომ ფრაუ პაულსენია, — ვუპასუხე მე. — ამას მე ადრევე მივხვდი! იგი ამჟამადაც თავის კილოზე მოუქცევს ხოლმე, ამას გარდა მის წვრილ წარბებს დღესაც შავი თვალები შეჰფარებია.

ჩემმა მეგობარმა გაიცინა, მე კი ჩუმად გადავწყვიტე, სახლში რომ შევალთ. ფრაუ პაულსენს ერთხელ კიდევ შევათვალიერებ, თუ კიდევ ვიცნობ მის გარეგნობაში მეთოჯინე ლიზაის - მეთქი.

— მოხუცი ბატონი ტენდლერი რაღა იქნა? — ხმამაღლა ვიკითხე მე.

— იქ წავიდა, სადაც ყველა ჩვენგანი წავა, ჩემო პატარა მეგობარო, — მიპასუხა პაულსენმა. — ჩვენი სასაფლაოს მწვანე ველზე განისვენებს, მოხუცი ჰაინრიხის გვერდით. მაგრამ სამარეში განისვენებს ჩემი ბავშვობის მეორე მეგობარიც. ამასაც სიამოვნებით მოგიყვები, ოღონდ ცოტა ქვემოთ ჩავიაროთ. ვაითუ ჩემმა ცოლმა გამოგვხედოს, და არ მინდა ეს ამბავი კვლავ გაიხსენოს.

პაულსენი წამოდგა და ჩვენ ბაღის უკან მიმავალ ბილიკს დავადექით. გზად ორიოდ გამელელი თუ ჩანდა, რადგან უკვე საღამოს ლოცვის ზარი დარეკეს.

— მომისმინე, — კვლავ დაიწყო პაულსენმა ამბის თხრობა. — მოხუც ტენდლერს მაშინ ძალზე გაუხარდა ჩვენი ნიშნობა. მან გაიხსენა ჩემი მშობლები, რომლებსაც ერთ დროს იცნობდა. ამას გარდა, მუდმივი ხეტიალით დაქანცულიყო კიდეც. მას შემდეგ, რაც იგი ხელიდან წასულ მაწანწალად მიიჩნიეს, ერთი სული ჰქონდა, მუდმივი სამყოფელი გაეჩინა. ისიც უნდა გითხრა, რომ ჩემი კეთილი დიასახლისი ამ გადაწყვეტილებით მაინცდამაინც კმაყოფილი არ ჩანდა. იგი შიშობდა, ვაი თუ მოხეტიალე მეთოჯინეს ქალიშვილმა მყარ ცხოვრებას მიჩვეულ ხელოსანს შესაფერი ცოლობა ვერ გაუწიოსო. რასაკვირველია, იგი უკვე კარგა ხანია დარწმუნდა საწინააღმდეგო ამბავში.

ასე და ამრიგად ერთი კვირაც არ გასულიყო, რომ მე უკვე აქ ვიყავი, მთებიდან ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროსკენ დავეშვი და ჩემს ძველ მშობლიურ ქალაქში ჩამოვედი. მე და ჰაინრიხმა საქმეს ფიცხლად მოვკიდეთ ხელი, ამასთანავე მამა იო-

სებისათვის განკუთვნილი უკანა ფლიგელის ორი თავისუფალი ოთახიც წესრიგში მოვიყვანე. გავიდა კიდევ ორი კვირა, — ჰაერი უკვე გაზაფხულის პირველი ყვავილების ნაზმა სურნელმა აავსო, — და ჩვენი ქუჩის ბოლოდან შემომესმა ნაცნობი ზანზალაკის წკარუნი.

—ოსტატო, ოსტატო!—შემომძახა მოხუცმა ჰაინრიხმა,— მოდიან, ისინი მოდიან!

მალე ჩვენი სახლის წინ პატარა ორთვალა შედგა. ზედ ორი მაღალი ყუთი იდო. მოვიდა ჩემი ლიზაი, მოვიდა მამამისი იოსები, ორივეს ლოყები ასტკრეცოდა და სიხარულისაგან თვალები უელავდათ. მოვიდნენ და თან მოიყვანეს თოჯინების მთელი თეატრი. პირობის თანახმად თოჯინები მთელი სიცოცხლის მანძილზე მამა იოსებთან უნდა დარჩენილიყო, ორთვალა კი მეორე დღესვე გაყიდა.

გადავიხადეთ ქორწილი. ბევრი არავინ მოგვიპატიჟნია, რადგან ნათესავები ქალაქში თითქმის არავინ გვყავდა. გარეშეთაგან მხოლოდ ნავსადგურის უფროსი, ჩემი სკოლის ამხანაგი, გვესწრებოდა, ისიც ჩვენი ეჯიბი იყო. ლიზაიც თავის მშობლებივით, კათოლიკე გახლდათ. მაგრამ არასოდეს გვიფიქრია, რომ ეს ჩვენი ქორწინების ხელშემშლელი მიზეზი იქნებოდა. პირველ ხანებში ლიზაი დიდმარხვის ზიარებაზე მეზობელ ქალაქში მიდიოდა, სადაც კათოლიკური თემია, შემდეგ კი ყოველ ცოდვაზე აღსარებას ჩემთან ამბობდა.

ქორწილის მეორე დილას მამა იოსებმა მაგიდაზე ორი ქისა დამიდო. ერთში, უფრო მოზრდილში, ჰარცული მესამედი*, უფრო მომცროში — კრემნიცული დუკატები* იყო.

— თუმცა შენ ამაზე სიტყვა არ გითქვამს, პაულ, — დაიწყო მოხუცმა, — მაგრამ ჩემი ლიზაი შენთან მთლად გა-

ფხეკილი არ მოსულა. აპა, აიღე. მე იგი აღარ მჭირდება.

ეს იყო დაზოგილი ფენიგები, რომელთა შესახებ მამაჩემმა ერთხელ სიტყვა ჩამოაგდო. ახლა ამ ფულმა მის ეაჟიშვილს სულზე მიუსწრო. იგი მაშინვე ახალ წამოწყებაში დავაბანდე. მართალია, ლიზაის მამამ მთელი თავისი დანაზოგის მოცემით ჩვენ, მის შვილებს, თავის თავზე ზრუნვაც ჩვენ დაგვაკისრა, მაგრამ იგი ზარმაცი არ იყო და გულხელდაკრეფილი არასოდეს მჯდარა, კვლავ გამოძებნა თავისი ძველი საჭრეთელი და სახელოსნოში მუშაობისას ყოველნაირად ცდილობდა რაიმეთი დაგვხმარებოდა.

თოჯინები და მთელი თეატრის ავლადიდება სხვენზე ავიტანეთ. მამა იოსები კვირადღეობით ხან ერთს ჩამოიყვანდა და ხან მეორეს, უმოწმებდა მავთულებსა და სახსრებს, წმენდდა და არემონტებდა, თუ რამე გასაკეთებელი ჰქონდათ, ამ დროს მას გვერდით მოხუცი ჰაინრიხი ამოუდგებოდა თავის განუყრელი მოკლე ჩიბუხით და სთხოვდა, თითოეული თოჯინის თავგადასავალი მიამბეო. მამა იოსებიც მორიგეობით უყვებოდა. ყველა თოჯინას თავისი ცხოვრების გზა ჰქონდა გავლილი. როგორც ახლა გამოირკვა, ასეთი ხელოვნებით გამოთლილ კასპერლეს თურმე თავისი ახალგაზრდა პატრონი ლიზაის დედასთან დაექორწინებინა. საუბართან ერთად უკეთესი თვალსაჩინოებისათვის მამა იოსები ზოგჯერ ბაწარს ხელს გამოჰკრავდა და ამა თუ იმ სცენასაც წარმოადგენდა. ამ დროს მე და ლიზაი გარედან ვაზშემოხვეულ ფანჯარასთან მივდგებოდით, ეზოს ვათვალიერებდით და მათ ვუსმენდით. მაგრამ ეს მოხუცი ბავშვები ისე იყვნენ თავიანთ საქმეში გართულები, რომ მაყურებლებს მხოლოდ მაშინ შეამჩნევდნენ, როცა ტაშს დავცხებდით... როცა რამდენიმე თვემ განვლო,

მამა იოსებმა სხვა საქმე გაიჩინა — თავი მებაღედ გამოაცხადა. რგავდა, მარგლავდა, მოსავალს იღებდა, ხოლო კვირადღეობით სუფთად ჩაიცვამდა, ყვავილების კვლებს შორის მიმოდიოდა, ვარდის ბუჩქებს ხმელ ტოტებს აცლიდა, ან მიხაკებსა და მათიოლებს აკრავდა თავის გათლილ ჩხირებზე.

ასე ვცხოვრობდით ერთ ოჯახად შეთანხმებულნი და კმაყოფილნი. ჩემი საქმეც კარგად მიდიოდა. ჩვენი ქორწინების თაობაზე ჩვენმა კეთილმა ქალაქელებმა ორიოდ კვირას გვარიანად მოიქავლეს ენა, მაგრამ რადგან ყველა მალე შეთანხდა, რომ ჩემი მხრივ ამ ნაბიჯის გადადგმა უგუნურება იყო, ხოლო საწინააღმდეგო მოსაზრებას არავინ გამოთქვამდა, რაც ესოდენ საჭიროა მითქმა-მოთქმის გასაზვიადებლად, სალაპარაკო ყველას მალე შემოელია.

როცა ისევ თოვლი ჩამოყარა, მამა იოსებმა კვირადღეობით კვლავ დაიწყო სხვენიდან თოჯინების ჩამოყვანა და მე ვიფიქრე, რომ ბერიკაცი ზაფხულ-ზამთრის საქმიანობის ასეული მშვიდი მონაცვლეობით გაატარებს - მეთქი დარჩენილ წლებს. მაგრამ ერთ დღეს იგი სერიოზული სახით შემოვიდა ჩემს ოთახში, სადაც მარტო ვსაუზმობდი.

— ჩემო სიძევ! — მომმართა მან და თითქოს დარცხვენით გადაისვა ხელი ზღარბივით აბურძგვნილ თმაზე. — აღარ შემიძლია ასე ვიჯდე და მოწყალების ლუკმას თქვენი სუფრიდან ვიღებდე.

ვერ გავიგე, გულში რა ედო, მაგრამ მაინც ვკითხე, ეგ რა გიფიქრია - მეთქი. მერე ისიც ვუთხარი, რომ სახელოსნოში ისიც შრომობდა და თუ ჩემი საქმე ამჟამად ასე კარგად აეწყო და მოგებას მოგებაზე ვიღებდი, ეს სხვა არაფერი იყო,

თუ არა. პროცენტები იმ ქონებისა, რომელიც მან ქორწინების მეორე დღეს გადმომცა.

მამა იოსებმა თავი გაიქნია, ეს თახხა დიდი არაფერია და არც სახელოსნოში ჩხირკედელობას მოაქვს რამე მნიშვნელოვანი სარგებელი. მაგრამ საქმე ის არის, რომ სწორედ ამ ქალაქში ვიშოვე ამ ფულის ერთი ნაწილი, თოჯინების თეატრი ახლაც სრულ წესრიგშია, ხოლო პიესები ახლაც ზეპირად მახსოვს.

ახლა კი მივხვდი, რომ მასში ისევ ძველი მეთოჯინე ალაპარაკდა და მოსვენებას არ აძლევდა. აღარ აკმაყოფილებდა მხოლოდ ერთი მაყურებელი — ბებერი ჰაინრიხი, უნდოდა თავისი ხელოვნება ხალხისათვის კვლავ ეჩვენებინა.

შევეცადე მისთვის ეს აზრი გადამეთქმევინებინა, მაგრამ არა და არ იქნა. ამის თაობაზე ლიზაისაც მოველაპარაკე და ბოლოს გადავწყვიტეთ, მისთვის ხელი არ შეგვეშალა. მას, რასაკვირველია, ძალზე სურდა, რომ ქალის როლები ისევე ლიზაის შეესრულებინა, როგორც ეს ჩვენს ქორწინებამდე ხდებოდა, მაგრამ მე და ლიზაი შევთანხმდით, რომ მისი ნართაულები ამის თაობაზე აინუნში არ ჩაგვეგდო: შეძლებული მოქალაქისა და ოსტატის ცოლს ეს ამბავი არამც და არამც არ შეეფერებოდა.

საბედნიეროდ, და, შეიძლება, საუბედუროდაც, ამ დროისათვის ქალაქში ცხოვრობდა ერთი წესიერი ქალი, რომელსაც უწინ თეატრალურ დასში მოკარნახედ ემუშავა და ასეთ საქმეში არც თუ გამოუცდელი გახლდათ. ლიზა-დაფეხვილი — ასე უწოდებდნენ მას იმის გამო, რომ ორივე ფეხით კოჭლობდა, — ჩვენს წინადადებას სიამოვნებით დათანხმდა და ხალამოობით, კვირა დღეს კი ნასადილევსაც, მამა იოსების

ოთახში გაცხარებული შრომობდნენ. ერთი ფანჯრიდან შეგეძლოთ დაგენახათ მოხუცი ჰაინრიხი, რომელიც თეატრისათვის ფიცრებსა და თამასებს ამზადებდა, მეორე ფანჯრიდან კი ჭერზე მიმაგრებულ ახლადშეღებილ კულისებს შორის მოხუცი მეთოჯინე და ლიზა-დაფეხვილი, რომლებიც ხან ერთ სცენას იმეორებდნენ, ხან მეორეს. ძალზე ყოჩაღი ქალიაო,— გვარწმუნებდა ყოველი რეპეტიციის შემდეგ მამა იოსები, — ლიზაისაც კი ასე სწრაფად არასოდეს არ აუთვისებია როლიო. აი, სიმღერა კი კარგად არ გამოუდის, რაღაც რუხრუხა ხმა აქვს, რაც მშვენიერ სუსანას არ შეფერისო.

ბოლოს, წარმოდგენის დღეც დაინიშნა. ყველაფერი რაც შეიძლებოდა მართებულად უნდა წარმართულიყო. ახლა წარმოდგენები მონადირის სახლში კი არ გაიმართებოდა, არამედ რატუშის დარბაზში, სადაც წმიდა მიხეილის დღესასწაულზე გიმნაზიის უფროსკლასელები ვარჯიშობდნენ დეკლამაციაში. და როცა ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებმა ახლადგამოსული ყოველკვირეული გაზეთი გადაშალეს, თვალში მოხვდათ მსხვილი ასოებით დაბეჭდილი განცხადება:

„ხვალ, კვირა საღამოს, შვიდ საათზე, რატუშის დარბაზში მექანიკოს იოსებ ტენდლერის მარიონეტების თეატრი წარმოადგენს პიესას: „მშვენიერი სუსანა“, სიმღერით, ოთხ მოქმედებად“.

მაგრამ ამ დროისათვის ჩვენს ქალაქში უკვე აღარ იყო ისეთი უწყინარი და სანახაობას დანატრულებული ახალგაზრდობა, ჩემი ბავშვობისას რომ მახსოვს. ამ დროს დაემთხვა ეგრეთწოდებული „კაზაკური ზამთარი“ და იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც ხელობას სწავლობდნენ, ფეხი მოიკიდა მეტად ცუდმა აღვირახსნილობამ. ადგილობრივი დიდებულე-

ბი, რომლებსაც უწინ ასეთი სანახაობანი იტაცებდა, ახლა სხვა რამეებისაკენ მიილტვოდნენ. მიუხედავად ამისა, ყველაფერი, ალბათ, მაინც კარგად დამთავრდებოდა, რომ შავი შმიტი და მისი ყმაწვილები არ გამოჩენილიყვნენ.

პაულსენს ვკითხე, ეგ ვიღა არის-მეთქი, რადგან ასეთი კაცი აქამდე ჩვენს ქალაქში არ გამეგონა.

— მჯერა, რომ არ გაგიგონია, — მიპასუხა ოსტატმა. — შავი შმიტი კარგა ხნის წინ გარდაიცვალა ღარიბთა თავშესაფარში. მაშინ კი ისიც ჩემნაირი ოსტატი იყო. ცუდი ხელი არ ჰქონდა, მაგრამ უპატიოსნო კაცი იყო შრომაშიცა და ცხოვრებაშიც. მთელი დღის ნაშრომს საღამოთი ლოთობასა და ბანქოს თამაშში ანიავებდა, მას ჯერ მამაჩემი სძულდა. სძულდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ მასზე გაცილებით ბევრი შემკვეთი ჰყავდა, არამედ იმიტომაც, რომ ჯერ კიდევ ერთად სწავლის დროს მამაჩემის წინააღმდეგ უშნო გამოხდომის გამო ოსტატმა დაითხოვა. იმ ზაფხულზე შმიტს სიძულვილი გაუთკეცდა და მთელი ძალებით ჩემს წინააღმდეგ მომართა. საქმე ის იყო, რომ მაშინ ჩვენს ქალაქში ახლადგახსნილი ჩითის ფაბრიკის მანქანების მოვლა და რემონტი, შმიტის თავგადაკლული ცდის მიუხედავად, მე მომანდვეს. ამის გამო ისა და მისი ორივე ვაჟი, რომლებიც მამის სახელოსნოში მუშაობდნენ და უწესო საქციელში მამას კიდევაც აჭარბებდნენ, შემთხვევას ხელიდან არ უშვებდნენ, რომ როგორმე ჩემთვის ხასიათი მოეწამლათ. მე კი მაშინ ისინი არც მახსენდებოდა.

ამრიგად, დადგა წარმოდგენის საღამო. მე ჩემს დავთრებს ვაწესრიგებდი, და რაც მოხდა, ცოლმა და ჰაინრიხმა მერეღა შემატყობინეს. ისინი მამა იოსებთან იყვნენ რატუშის დარბაზში.

წინა ადგილებზე თითქმის არავინ იჯდა, უკანა რიგებშიც ყველა ადგილი არ იყო დაკავებული. ქანდარები კი გაჭედილი იყო. სპექტაკლი დაიწყო. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. მოხუც ლიზხენს მთელი როლი ზეპირად და შეუცდომლად მიჰყავდა. შემდეგ ეს ავბედითი სიმღერები მოდიოდა. ლიზა-დაფეხვილი ამაოდ ცდილობდა ხმისთვის ნაზი ჟღერა მიეცა. როგორც მამა იოსები ამბობდა. მისი ხმა რუხრუხებდა. უცებ ქანდარიდან ყვირილი მოისმა:

— ცოტა კიდევ ხმამაღლა, ლიზა-დაგვაჯულო, ცოტა ხმამაღლა!

როცა მოხუცი ამ მოწოდების შესრულებას შეეცადა და მოინდომა მისთვის მიუღწეველი დისკანტი აეღო, მთელი დარბაზი ხარხარმა შეაზანზარა.

პიესის მსვლელობა შეყოვნდა და კულისებიდან მოხუცი მეთოჯინეს აცახცახებული ხმა გაისმა: „გთხოვთ, ბატონებო, სიწყნარე იყოს!“ ამ დროს კასპერლე, რომელიც მას ბაწრებით ეპირა და მშვენიერ სუსანასთან როლი უნდა გაეთამაშნა, ცხვირს ნერვულად გრეხდა და მანჭავდა.

ამის დანახვაზე ხალხმა ხელახლა იფეთქა:

„კასპერლემ იმღეროს!“

„რუსულად იმღეროს „მშვენიერო მინკა, გემშვიდობები!“

„ვაშა კასპერლეს!“

„არა, არა, კასპერლეს ქალიშვილმა იმღეროს!“

„აუცილებლად, პირსაც მოგწმენდავთ! ის უკვე ოსტატის ცოლი გახდა, სიმღერა რაღაში სჭირდება!“ — გაჰკიოდა ქანდარა.

ამ ყვირილსა და ალიაქოთში სცენაზე უცბად მარჯვედ ნა-

სროლი რიყის ქვა დაეცა. ქვა კასპერლეს ბაწრებს მოხვდა, შეთოჯინეს მარიონეტი ხელიდან გაუვარდა და ძირს დაეცა.

მამა ოოსების შეჩერება ახლა კი შეუძლებელი გახდა. ლიზაის მუდარას ყური აღარ უგდო და სცენაზე გაიჭრა. მაყურებელი მას ხარხარითა და ფეხების ბრაგუნით შეხვდა. საკმაოდ უცნაური სანახავი იყო, როგორ ცდილობდა მოხუცი ჩამოვარდნილი ზემო კულისი თავით შეეჩერებინა, ხელებს გაცხარებით იქნევდა და თავისი სამართლიანი განრისხების გამოთქმას ცდილობდა. უცბად ამ ალიაქოთში ფარდა დაეშვა— ეს მოხუცმა ჰაინრიხმა მოიფიქრა.

ამ დროს, ჩემს დავთრებში ჩამჯდარს, რაღაც მოუსვენრობა დამეუფლა. არა, რაღაც უბედურებას კი არ ვგრძნობდი, მაგრამ ვეღარ გავჩერდი და ჩემიანებისაკენ გავეშურე. ის იყო რატუშის დარბაზისაკენ ამავალ კიბეზე ფეხი შევდგი, რომ ზემოდან გამოცვენილი ხალხი ჩემსკენ დაეშვა. იდგა ერთი ღრიანცელი და სიცილ-ხარხარი. „ვაშაა! კასპერლე ჩაკვდა, მაწანწალა ჩაკვდა! ტაკიმასხარობას ბოლო მოეღო!“ — ისმოდა აქეთ-იქიდან. მაღლა რომ ავიხედე, შმიტის ვაჟების ჩაშავებული სახეები დავინახე. ჩემს შეხედვაზე მაშინვე გაჩუმდნენ, გვერდით ჩამიქროლეს და გარეთ გავარდნენ. მე კი უმალ მივხვდი, თუ საიდან მომდინარეობდა ეს უწესრიგობა.

ზემოთ რომ ავედი, დარბაზი თითქმის დაცარიელებული დამიხვდა. ჩემი სიმამრი სცენის უკან მიმჯდარიყო და სახეზე ხელები აეფარებინა. ეტყობოდა, ამ ამბავს სრულიად ჩაეთუთქა. ლიზაი მამის წინ ჩაჩოქილიყო. მე რომ დამინახა, ფეხზე ნელა წამოდგა.

— აბა, პაულ, ახლაც არ გეშინია, — მკითხა დამწუხრებულმა.

ეტყობა, ლიზაიმ თვალებში შემატყო, რომ არაფრისაც არ მეშინოდა, რადგან სანამ მე რამეს ვუპასუხებდი, ყელზე ჩამომეკიდა.

— დაე, პაულ, მტკიცედ ვუდგეთ ერთმანეთს მხარში! — მშვიდად ჩამჩურჩულა ყურში მეუღლემ.

— ჰო, შენც ხომ ხედავ. რომ სწორედ ერთგულებითა და პატიოსანი შრომით გავიკაფეთ გზა ცხოვრებაში.

...დილით რომ ავდექით, ვნახეთ, კარზე გარედან ცარცით წაეწერათ შეურაცხმყოფელი მეტსახელი „მეთოჯინე პოლე". ეს მე მშვიდად წავშალე. მაგრამ, როცა ხალხის თავშეყრის ადგილას ერთი-ორჯერ კიდევ გამაგონეს, უტიფარს მკაცრად გავუსწორდი. ჩვენთან კარგად იციან, რომ ასეთ ამბებში ხუმრობა არ მიყვარს და „მეთოჯინეს" წამოძახება შემდეგ აღარავის გაუბედია. ახლა კი, ვინც შენ ეს გაგაგონა, ეტყობა, ავი ზრახვით არ უთქვამს და მისი სახელის გაგებაც არ მსურს.

მაგრამ იმ საღამოს შემდეგ ჩვენი მამა იოსები ის აღარ იყო, რაც ადრე გვენახა. ამაოდ ვცდილობდი ამეხსნა მისთვის ამ გამოხდომის ნამდვილი მიზეზი და დამერწმუნებინა, რომ ამით ჩემი შეურაცხოფა უფრო უნდოდათ, ვიდრე მისი. მალე ამ ამბის შემდეგ მოხუცმა მთელი თავისი მარიონეტები ჩვენს უჩუმრად საჯარო ვაჭრობაზე გააყიდვინა. იქ დამსწრე ბიჭ-ბუჭებისა და მეძველმანე დედაკაცების სასიხარულოდ ფასსაც აღარ გამოჰკიდებია და ჩალის ფასად გადაყარა. გადაწყვიტა, თოჯინები თვალით აღარ დაენახა. მაგრამ ამის განსახორციელებლად უმართებულო გზა აირჩია, რადგან, როგორც კი კვლავ გაზაფხულდა და ქუჩებს მზე მოეფინა, ახალ მფლობელებს ხან ერთი თოჯინა გამოჰყავდათ მზის სინათ-

ლეზე, ხან მეორე. აქეთ კარიბჭეზე ჩამომჯდარ გოგონას გვერ-
დით წმიდა ევენევიევა მოესვა, იქით ვიღაც ბიჭი დოქტორ
ფაუსტს ასეირნებდა, შავ კატაზე გადასმულს. ერთ დღეს
მონადირის სახლის აწლომდებარე ბაღში ალუბლის ხეზე სა-
ფრთხობელად ჰფალცგრაფი ზიგფრიდი და ჯოჯოხეთის ბე-
ღურა ჩამოეკიდათ. ჩვენი მოხუცი ისე მტკივნეულად განიც-
დიდა თავისი საყვარელი თოჯინების შარავანდედის ფეხქვეშ
გათელვას, რომ ბოლოს სახლსა და ბაღჩას აღარ შორდებო-
და. აშკარად ვხედავდი, რომ თოჯინების აჩქარებულმა გაყიდ-
ვამ გული ჩაუკლა და შევეცადე რამდენიმე თოჯინა მაინც
გამომესყიდა. მაგრამ, როცა მას ორიოდ გამოსყიდული თო-
ჯინა მივუტანე, მოხუცს არც კი გახარებია, რადგან უმეტესო-
ბა დამტვრეული იყო. გასაოცარი ის იყო, რომ, ბევრი ცდისა
და ძებნის მიუხედავად, ვერსად მივაკვლიე ყველაზე უფრო
ძვირფას ფიგურას, დიდი ხელოვნებით გამოთლილ კასპერ-
ლეს, უამისოდ ხომ თოჯინების მთელი სამყაროც კაპიკად არ
ღირდა!

მაგრამ, როგორც ჩანდა, მეორე, ყველაზე სერიოზულ
სცენასაც მალე უნდა ჩამოჰფარებოდა ფარდა. ჩვენს მოხუცს
გულის ტკივილი განუახლდა, აშკარად ეტყობოდა, რომ მისი
სიცოცხლე დასასრულს უახლოვდებოდა. ბედშერიგებული
და ოდნავი ყურადღების გამოჩენით აღტაცებული, დამშვიდე-
ბული იწვა ლოგინში.

— ჰო, ჰო, — იტყოდა ხოლმე იგი ღიმილით და თვალებ-
გაბრწყინებული შეაცქერდებოდა ჭერს, თითქოს იმის იქით
ქვეყნის მარადიულ სამყაროს ხედავდა. — ჭეშმარიტად, ადა-
მიანების გული მე ვერასოდეს მოვიგე. შეიძლება იქ, ზეცაში,

ანგელოზებთან ყოფნა უფრო იოლი იყოს. ყოველ შემოხვევაში, ლიზაი, იქ დედაშენს მაინც ვნახავ.

...ბავშვივით ალალი მოხუცი მიიცვალა. მე და ლიზაიმ მტკივნეულად განვიცადეთ მისი დაკლება. მოხუცი ჰაინრიხიც, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ მამა იოსებს მიჰყვა, ადგილს ვერსად პოულობდა, საღამოობით ხან იქ მივიდოდა, ხან აქ, თითქოს რაღაცას ეძებს და ვერ უპოვიაო.

ჩვენი მამის კუბო მის მიერ მოვლილ-გაზრდილი ყვავილებით შევმოსეთ და გვირგვინებით დამძიმებული წავასვენეთ სასაფლაოსკენ, სადაც ქვის გალავნის გვერდით სამარე იყო გაჭრილი. კუბო სამარეში ჩავუშვით, ჩვენი მოხუცი მღვდელი საფლავის პირას დადგა, ნუგეში გვცა და სასოება შთაგვინერგა. იგი მუდამ ჩემი ცხონებული მშობლების ერთგული მეგობარი და კეთილისმსურველი იყო, მან მომნათლა და მანვე დამწერა ჯვარი ჩემს ლიზაისთან მთელი სასაფლაო ხალხით იყო სავსე, გეგონებოდათ, ჰოხუცი მეთოჯინეს დასაფლავებაზეც რაღაც წარმოდგენა გაიმართებოდა... და რაღაც უცნაური რამ მართლაც მოხდა, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენ შევამჩნიეთ, ვინც საფლავთან ახლოს ვიდექით. როცა ჩვეულების თანახმად მოხუცმა მღვდელმა იქვე გამზადებულ ბარს ხელი დაავლო და კუბოს პირველი ბელტი მიაგდო, აცახცახებული ლიზაი ჩემს ხელს მოეკრო. ბელტის დაცემაზე კუბოს ყრუ ხმა გაიღო. „მიწა იყავ...!“ — გაისმა მოძღვრის ხმა. მღვდელს სათქმელი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ გალავანს იქიდან ხალხის თავს ზემოთ გადმოფრენილი რაღაც მომხვდა თვალში. ჯერ ვიფიქრე, ფრინველი არის-მეთქი, იგი პირდაპირ საფლავში ჩავარდა. უცებ გალავნის მხარეს მივიხედე, — მე ამოყრილი მიწის თავზე ვიდექი, — და დავინახე,

როგორ გაიქცა შმიტის ერთ-ერთი ვაჟიშვილი. ახლა კი მივხვდი, რაც მოხდა. ლიზაი მე მომეკრო და ხმამაღლა შეჰკივლა, შეშკრთალმა მღვდელმა ბარი შეაჩერა. სამარეში რომ ჩავიხედე, ჩემი ვარაუდი გამართლდა: კუბოს თავზე ყვავილებსა და მიწაზე ეგდო ჩემი ბავშვობის მეგობარი, კასპერლე, პატარა, მხიარული ვაჟკაცი. მაგრამ კასპერლე ახლა მხიარული აღარ ჩანდა, ძეხვივით ცხვირი მკერდზე ჩამოვარდნოდა, ხოლო სწრაფი და მოძრავი ცერი ზეცისკენ აეშვირა, თითქოს იმაზე მიანიშნებდა, რომ თოჯინების ყველა პიესის გათამაშების შემდეგ იქ, ზეცაში ახალი სპექტაკლი დაიწყებაო.

ეს ყველაფერი თვალის ერთი გადავლებით შევიცანი, რადგან მღვდელმა მიწის მიყრა და სათქმელი განაგრძო: „...და მიწად იქეცი!“ და კუბოზე დაყრილი მიწით, ყვავილებთან ერთად, კასპერლეც მიწის სიღრმეში ჩაიმარხა.

როცა სამარეს უკანასკნელი ბარისპირი მიწაც მიაყარეს, გაისმა დამწუხრებულთა სანუგეშო „მიწიდან ისევ აღსდგები შენ“. მოძღვარმა „მამაო ჩვენო“ წაიკითხა და, როცა ხალხი დაიშალა, ჩვენთან მოვიდა. ჩვენ ისევ ფეხმოუცველელად ვიდექით და ამოვსებულ სამარეს დავცქეროდით.

— სიბილწეა, — წარმოთქვა მღვდელმა და თანაგრძნობით მოგვიჭირა ხელზე ხელი. — მაგრამ, მოდი, ამ საქმეს სხვაგვარად შევხედოთ! როგორც ცხონებული მომიყვა, ეს მოხდენილი ფიგურა ახალგაზრდობაში მას თვითონ გამოუთლია და თოჯინა დახმარებია ბედნიერი ოჯახის შექმნაში. შემდეგ, მთელი ცხოვრების მანძილზე ამ თოჯინით მრავალი, შრომით დაღლილი, კაცის გული გაუმხიარულებია, ამ პატარა მასხარას პირით ღვთისა და კაცის საამები მრავალი ჭეშმარიტი სიტყვა წარმოუთქვამს. თქვენ ჯერ კიდევ ბავშვები იყავით, როცა ერ-

თი ასეთი წარმოდგენა მე თავად ვნახე. დაე, ეს პატარა ქმნილებაც თავის შემქმნელის კვალს წაჰყვეს! ეს არც საღმრთო წერილს ეწინააღმდეგება და თქვენც ინუგეშეთ, რამეთუ დაშავრალნი ჰპოვებენ განსვენებას.

მართლაც ასე მოხდა. სულიერად დამშვიდებულნი და დაწყნარებულნი დავბრუნდით შინ. მაგრამ მხიარული კასპერლე, მსგავსად ჩვენი კეთილი მამა იოსებისა, შემდეგ აღარასოდეს აღარ გვინახავს.

... — ყველაფერმა ამან, — დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ ჩემმა უფროსმა მეგობარმა, — საკმაო უსიამოვნება მოგვაყენა, მაგრამ ამით მაინცდამაინც არაფერი გვევნო. ამის შემდეგ მალე დაიბადა ჩვენი იოსები. ყველაფერი გვქონდა, რომ თავი ბედნიერად გვეგრძნო. იმ ამბებს ახლა ყოველთვის მახსენებს შავი შმიტის უფროსი ვაჟიშვილი, რომელიც მოხეტიალე შეგირდად იქცა. გაქუცული და დაცემული შმიტი თავის საბრალო არსებობას იმ შეწირულებით იხანგრძლივებს, რომელსაც ჩვენ ოსტატები ვაძლევთ ამქრის კანონის თანახმად. ის არც ჩემს სახლს ჩაუვლის ისე, რომ არ დამიკაკუნოს.

ჩემი მეგობარი დადუმდა და ერთ ხანს, ხეებს იქით ჩამავალი მზით განათებულ სასაფლაოს უმზირა. ცოტა ხნის შემდეგ სახლისკენ გავემართეთ. მე შორიდანვე შევამჩნიე ბაღის კიდეზე დაყრდნობილი ფრაუ პაულსენი, რომელიც ჩვენსკენ იმზირებოდა და გვიღიმოდა.

— ვერ მივმხვდარვარ, რაზე ლაპარაკობთ ამდენ ხანს, — შემოგვძახა ფრაუ პაულსენმა, როგორც კი მას მივუახლოვდით. — ახლა კი შემოდით სახლში! ღვთის მოცემული, რაც გაგვაჩნია, ყველაფერი მაგიდაზეა. ნავსადგურის უფროსიც მოვიდა, მივიღეთ აგრეთვე ჩვენი იოსებისა და მოხუცი დიასახ-

ლისის წერილიც... შენ რაღა მოგვივიდა, ბიჭო, რა გაოცებით მიყურებ?

ჩემმა ოსტატმა გაიცინა.

— მას ზოგიერთი რამ ვუამბე, დედა. ახლა იმიტომ გიყურებს, რომ გაიგოს, ისევ ის მეთოჯინე ლიზაი ხარ თუ არა.

— ისა ვარ, მაშ რა! — წარმოთქვა ლიზაიმ და ქმარს სიყვარულით შეხედა. — აბა კარგად შემომხედე, ბიჭიკო! შენ თუ ისევ ის ლიზაი არა გგონივარ, მაგისთვის მაინც ისევ ისა ვარ.

ოსტატმა სიტყვის უთქმელად ცოლს მხარზე ხელი გადახვია, სამივენი ოთახში შევედით და ქორწინების წლისთავის აღსანიშნავ სუფრას შემოვუსხედით.

ჩინებული ადამიანები იყვნენ ოსტატი პაულსენი და მისი მეთოჯინე ლიზაი.

ზღვის გალმა ქვეყნიდან

სამგზავროდ ჩალაგებული ჩემოდნებისაგან სასტუმროს ოთახს სიმყუდროვე დაჰკარგოდა. ჩემი ბიძაშვილი — ახალგაზრდა არქიტექტორი, — რომელიც უკვე ორი დღეა აქ ცხოვრობდა, სიგარას ეწეოდა და ოთახში ბოლთას სცემდა.. ერთი სული ჰქონდა, დრო მალე გასულიყო. სექტემბრის საამო ღამე იყო, ღია ფანჯარაში ვარსკვლავები იმზირებოდნენ. დაბლა, დიდი ქალაქის ქუჩებში, ხმაური და ეტლთა რახრახი თანდათან მიწყნარდა და ახლა ნავსადგურიდან ღამის ნიავით ატოკებული ვიმპელებისა და ნავსაბმელების ხმაური მოისმოდა.

— როდის მიდიხარ, ალფრედ? — ვკითხე მე.

— სამ საათზე მიდის ნავი, რომელიც ხომალდზე აგვიყვანს.

— რამდენიმე საათს ხომ არ დაისვენებდი?

უარის ნიშნად ალფრედმა თავი გააქნია.

— მაშ მეც შენთან დავრჩები. ძილს ხვალაც დაკისრულებ ეტლში, შინისაკენ რომ გავემგზავრები. თუ გინდა, მოამბე რაიმე იმის შესახებ. მე ხომ ჯერ არ ვიცნობ და გამაგებინე, როგორ მოხდა ეს ყველაფერი.

ალფრედმა ფანჯარა დახურა და ლამპას ისე აუწია, რომ ოთახი კარგად განათდა.

— დაჯექი და მოთმინებას უხმე. ყველაფერს გეტყვი თორმეტი წლისა ვიყავი მაშინ, — დაიწყო მან, როცა ერთმანეთის პირდაპირ ჩამოვსხედით, — ეს გოგონა ჩვენს ოჯახში რომ მოიყვანეს საცხოვრებლად. იგი რამდენიმე წლით ჩემზე უმცროსი იყო. მამამისი მაშინ ჯერაც ვესტინდოეთის ერთ-ერთ პატარა კუნძულზე ცხოვრობდა, სადაც ბედისა და მოხერხების წყალობით შედარებით მოკლე ხანში ღარიბი ვაჭრიდან მდიდარ პლანტატორად გადაიქცა. გოგონა რამდენიმე წლის წინ გამოგზავნა გერმანიაში, რომ თავისი სამშობლოს სულიერთა და ადათ-წესებით აღზრდილიყო. მაგრამ ის პანსიონი, სადაც ბავშვი აქამდე იმყოფებოდა, დირექტორი ქალის გარდაცვალების გამო დაიხურა, და ვიდრე სხვას გამონახავდნენ, გოგონაზე ჩემს მშობლებს უნდა ეზრუნათ.

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ მას ვნახავდი, ხშირად ვფიქრობდი, ნეტა როგორია-მეთქი ეს გოგონა. ასეთი ფიქრი განსაკუთრებით მას შემდეგ მომეძალა, რაც დედაჩემმა თავისი საძილე ოთახის გვერდით მისთვის პატარა ოთახი გაამზადა. საქმე ის იყო, რომ ეს ბავშვი რაღაც იდუმალების ბურუსით იყო მოცული. არა მარტო იმიტომ, რომ სხვა ქვეყნიდან ჩამოვიდა და თანაც შვილი იყო პლანტატორისა, რომელიც ჩემი ნახატებიანი წიგნის მეოხებით ზღაპრულად მდიდარი და უკიდურესად გულქვა ბატონად წარმომეიგინა. არა, ამას

გარდა ისიც ვიცოდი, რომ ამ გოგოს დედა მისი მამის ცოლი არ იყო. დედამისის თაობაზე სხვა რამ ვერაფერი შევიტყვე, ამის გამო იგი აბანოზის ხესავით შავ, მშვენიერ ზანგად წარმოეედგინა, რომელსაც თმაში მარგალიტები ჰქონდა გაბნეული, ხოლო მკლავებზე ბრეკვიალა ლითონის რგოლები ეკეთა.

ბოლოს, თებერვლის ერთ საღამოს, ჩვენი კიბის წინ ეტლი გაჩერდა. იქიდან ჯერ ტანმორჩილი თეთრთმიანი მოხუცი ჩამოხტა. ეს გახლდათ პლანტატორთან მეგობრულად განწყობილი სავაჭრო სახლის კომივოიაჟერი, რომელსაც გოგონა ახალი მზრუნველებისათვის უნდა ჩაებარებინა. მან ეტლიდან გადმოიყვანა პატარა, პალტოსა და მოსასხამებში შეფუთვნილი გოგონა, სახლში ერთგვარი მოკრძალებით შემოიყვანა და, მოკლე, პათოსით წარმოთქმული სიტყვის შემდეგ, მასზე ზრუნვა ბატონ სენატორსა და მის მეუღლეს გადააბარა. როგორ გავოცდი, როცა გოგონამ თავსაფარი მოიძრო — მისი პირისახე შავი კი არა, ოდნავ ყავისფერიც არ იყო. ყველა ჩემ ნაცნობ გოგოზე თეთრიც კი მეჩვენა. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ათვალიერებდა ოთახს დიდრონი თვალებით, სანამ დედაჩემი ბეწვმოვლებულ სამგზავრო პალტოს ხდიდა. როცა შლაპა მოხადეს, ხელთათმანები გააძრეს და მისი მოხდენილი ფიგურა თბილი მოსასხამებიდან გაათავისუფლეს, გოგონამ დედაჩემს ხელი გაუწოდა და, ცოტა არ იყოს, შემკრთალმა ჰკითხა:

— შენა ხარ ჩემი მამიდა?

როცა დედაჩემმა მას ნახშირივით შავი თმის კულული შუბლიდან გადაუწია, მკლავები მოხვია და აკოცა, გამიკვირ-

და, რომ ბავშვმა დედაჩემის ალერსს გულწრფელი სიყვარულით უპასუხა. დედამ მალე ვეც მიმიხმო:

— ეს ჩემი ბიჭია. აბა შეხედე, ჯენი, როგორი კეთილი სახე აქვს, — მიმართა მას. — მეტისმეტად ცელქია და კარგია, რომ ავხანაგად გოგონა ეყოლება.

ჯენიმ ვოიხედა და ხელი გამომიწოდა. მაგრამ ამ დროს ისე ეშმაკურად შემომხედა, თითქოს უნდოდა ეთქვა: „გამარჯობა, მეგობარო, ჩვენ ერთმანეთს კარგად გავუგებთ“.

ეს მართლაც მეორე დღიდანვე დადასტურდა. ამ ნაზ ბავშვისათვის არ არსებობდა ხე, რომელზედაც ასვლა გასჭირვებოდა, მაღლიდან ისე გადმოხტებოდა, ერთ თვალს არ დაახამხამებდა. თითქმის ყოველთვის ბიჭების თამაშში ებმებოდა და უფრო სილამაზის წყალობით, ვიდრე გამბედაობით ისე გეეუფროსებოდა, ჩვენ აზრზედაც ვერ მოვდიოდით ხოგ ჯერ ისეთ თავზეხელაღებულ თამაშს მოიგონებდა, ჩვენი ყიჟინით შემკრთალი მამა სამუშაო ოთახიდან გამოვიდოდა და ისე დაგვტუქსავდა, ყოველგვარ ხალისს გვიკარგავდა. ჯენი დედაჩემს თანდათან დაუახლოვდა, მამაჩემს ვერ შეეჩვია. მამაჩემს ბავშვებთან ურთიერთობა არ ეხერხებოდა, ამ თავისებურ გოგოს კი. ეტყობოდა, რაღაც სიფრთხილით ეყურებდა. ჯენი განსაკუთრებით ვერ შეეთვისა მამიდა ეოზეფინას, ამ პატივცემულ, მაგრამ მკაცრ შინაბერას, რომელსაც, ჩვენდა საბედისწეროდ, მეცადინეობის დროს ჩვენი თვალყურის დევნება ჰქონდა დავალებული. ჯენი არ გრძნობდა მისდამი განსაკუთრებულ პატივისცემას, რომელიც მას შებოჭავდა და ამიტომ მათ შორის ხანგრძლივი, ჩუმი ომი გაჩაღდა. ამ საპა-

ტიო მანდილოსანს ერთი ნაბიჯიც ვერ გადაეედგა, რომ თავის-და შესაშფოთებლად რამე იონს არ გადაჰყროდა.

მაგრამ ჯენის მხოლოდ გართობაზე კი არ ეჭირა თვალი, ვსაუბრობდით კიდეც. მან აუარებელი ამბავი და ზღაპარი იცოდა, რომლებსაც თვალებგაბრწყინებული და ხელების ქნევით ყვებოდა. მათი უმეტესობა პანსიონატში გაეგონა, ზოგიერთი რამ კი, როგორც ახლა ვასკვნი, თავის სამშობლოში. შებინდებისას ხშირად ვისხედით სხვენის კიბეზე ანდა დიდ საგზაო სკივრში. რაც უფრო იდუმალი იყო ის ადგილი, სადაც ზღაპარს ვყვებოდით, მით უფრო ცოცხლად წარმოვიდგენდით ყველა ამ უცნაურ და საინტერესო პერსონაჟებს — თილისმით შეკრულ ურჩხულებს, თოვლიებს, ქალბატონ ჰოლეს*. გვიყვარდა ზღაპრების სხვის თვალთაგან მიფარებულ ადგილას მოყოლა, ამიტომ სულ უფრო მივარდნილ ადგილებს ვეძებდით. ახლაც მახსენდება, რომ ბოლოს ერთი დიდი, ცარიელი კასრი ავირჩიეთ, რომელიც საკუჭნაოში იდგა, მამაჩემის სამუშაო ოთახის ახლოს. საღამოთი, როცა კერძო გაკვეთილებიდან შინ ვბრუნდებოდი, ჩავსხდებოდით ამ წმიდათა წმიდა კასრში და მოხერხებულად ჩავცუცქდებოდით. წინასწარ მოვიმარაგებდით სანთლის ნამწვებს. ჩემს პატარა ფარანს მუხლებზე დავიდებდით, შემდეგ კასრის თავზე დადებულ ფიცარს შიგნიდან ისევ ზედ, წავიფარებდით და კარგამოკეტილ პატარა ოთახში აღმოვჩნდებოდით. როცა საღამოობით მამაჩემთან საქმეზე მოსულნი კასრიდან ჩურჩულის ხმას გაიგონებდნენ, ზოგჯერ კი სინათლის სხივსაც მოკრავდნენ თვალს, ამ უცნაური ამბის გამო ჩვენი კანცელარიის მწერალს ეკითხებოდნენ — კასრი სწორედ მისი კარის წინ იდგა, — საწყალი მოხუცი მათ ცნობისმოყვარეობას ვერ აკ-

მაყოფილებდა. მერე, როცა ჩვენი სანთლის ნამწვების მარაგი გამოილეოდა, ანდა ჭიშკარში ჩამდგარი მსახური გოგონა ახილს გავიგონებდით, კასრიდან თრითინებივით უჩუმრად ამოვძვრებოდით და სანამ მამაჩემი სამუშაო ოთახიდან გამოვიდოდა, ჩვენ ჩვენს ოთახებში მივიმალებოდით.

მისი მშობლების შესახებ კი, განსაკუთრებით დედაზე, არასოდეს არ ვლაპარაკობდით. მაგრამ ერთხელ, ერთ კვირა დილას, სიტყვა ამ თემაზეც ჩამოვარდა. მე ჩემს ამაანაგებთან „ყაჩაღებსა და ჯარისკაცებს“ ვთამაშობდი. ეზოს იქით, ბაღის უკან იყო ჯერ კიდევ პაპიჩემისდროინდელი და ახლა უკვე აღარაფრის მაქნისი ფაბრიკის ცარიელი შენობები, ბნელი სარდაფებითა და სენაკებით, რომელთა სახურავები ერთიერთმანეთზე შეხორხლილიყო. ყველა ყაჩაღი ამ ლაბირინთებში მიიმალ-მოიმალა. მხოლოდ მე—ბუნებრივია, მეც ყაჩაღებს ვეკუთვნოდი, — ვერ გადამეწყვიტა, სად დავმალულიყავი და ისევ ბაღში ვიდექი. ვფიქრობდი ჯენიზე, რომელიც სხვა დროს ყოველთვის ჩვენთან თამაშობდა და სახურავებზე ძრომასა თუ ზემოდან ხტომაში არც ერთ თავზეხელაღებულ ყაჩაღს არ ჩამორჩებოდა. ახლა იგი მამიდა ელიზეფინას გაკვეთილების მოსამზადებლად დაესვა. ვიცოდი, ჯენი შიგნითა ოთახში იყო, რომლის ფანჯრები ბაღში გადიოდა. როგორც კი ეზოდან მეთაურის ხმა გავიგონე, თავისი ჯარისკაცები აქეთ რომ მოჰყავდა, ბაღის ყორეს მოფარებით გავუყევი, სახლთან მივედი და ჟასმინის ბუჩქს ამოფარებულმა ოთახში შევიხედე.

ჯენი იდაყვებით მაგიდას დაყრდნობოდა, წინ რვეული ედო, მაგრამ, როგორც ჩანდა, მისი ფიქრი წერითი სამუშაოდან შორს იყო. ცალი ხელი შავ ხუჭუჭ თმაში შეეყო, მეო-

რით კი საცოდავ ბატის ფრთას ურტყამდა მაგიდას. რვეულთან ახლოს იდო ჩემთვის კარგად ცნობილი მამიდა ეოზეფინას ვერცხლის სანემსე კოლოფი და მის გვერდით ჩემი ძლიერი მაგნიტი. ეტყობოდა, სანემსესა და მაგნიტს ჯენი დიდი ხანია შეჰყურებდა, უცბად მის შავ თვალებში კვიმატმა ნაპერწკალმა გაიელვა, როგორც ჩანდა, თავში გაუელვა ამ ორი საგნის ერთდროულად გამოყენების იდეამ. უხალისო გულგრილობა უეცარმა გაფიცხებამ შეცვალა. მამიდა ეოზეფინას საგანძური მაგიდაზე მოაპირქვავა და ყველა ნემსს სათითაოდ დაუწყო დამაგნიტება. იმ წუთში ჯენი პატარა შავთვალა ჭინკას ჰგავდა. ეტყობოდა, გოგო წინასწარ ტკბებოდა მოხუცი შინაბერას გაოცებითა და აღშფოთებით, როცა იგი კოლოფიდან ამოიღებდა თავისი ინგლისური ნემსების ერთად შეკრულ გროვას. სანამ იგი მუყაოთად ახორციელებდა ვერაგულ განზრახვას, სახეზე ნაძალადევად შეკავებული ღიმილი დასთამაშებდა და ოდნავ გაპობილ წითელ ბაგეთაგან ქათქათა კბილები მოუჩანდა.

ფანჯარაზე ნელა დავაკაკუნე, რადგან ეზოში ჯარისკაცების იერიშზე გადასვლის ნიშანი გაისმა. ჯენი კაკუნმა შეაკრთო, მაგრამ როგორც კი მეგობარი შეიცნო, თავი დამიქნია და, ვითომ აქ არაფერიაო, ყველაფერი მამიდა ეოზეფინას ნემსების კოლოფში ჩაყარა სასწრაფოდ. მერე შავი თმა ყურებს უკან გადაიწია და, ფეხის წვერებზე შემდგარი, ჩემთან მოვიდა.

— ჯენი, ჩვენ ყაჩაღობანას ვთამაშობთ, — ჩავჩურჩულე მას.

მან ფრთხილად გააღო ფანჯარა.

— ყაჩაღი ვინ არის, ალფრედ?

— უაჩაღები ჩვენა ვართ, მე და შენ. დანარჩენები უკვე დაიმალნენ.

— მოიცა ცოტა ხანს! — შემომძახა მან, უკან მიბრუნდა და მეორე ოთახში გამავალ კარს უჩუმრად გაუყარა ურდული. — ნახვამდის, მამიდა ჟოზეფინა! — მერე ისევ ფანჯარასთან მოვიდა და ბაღში მსუბუქად გადმოხტა.

გაზაფხულის საამო დღე იდგა. ბაღსა და ეზოს მზე უხვად აფენდა სხივებს, ბებერი მსხლის ხეები, ტოტები რომ სახურავებზე გადაეფინა, ერთიანად თეთრ ყვავილებში გახვეულიყო, ყვავილთა შორის ლორთქო ფოთლების სიმწვანე გამოსჭვიოდა, დაბლა ტოტებზე კი ფოთლები ჯერ აქა-იქ მოჩანდა. ჯენის თეთრ კაბას შეეძლო ჩვენი გაცემა. მე ხელი წავავლე, ბაღის ყორეს თან ბუჩქებში გავატარე და, როცა ჯარისკაცების ფეხის ხმა ფაბრიკის წინა შენობის შესავალს იქით მიიკარგა, ბაღიდან გამავალი კარით ყველაზე მოშორებულ მინაშენზე ავიპარენით, სადაც მე სამტრედე მქონდა მოწყობილი. თავი რომ ბნელ კიბეზე დავიგულეთ, ცოტა სული მოვითქვით. მტერს მოხერხებულად დავუძვერით და თანდათან მაღლა-მაღლა შეეუდექით ასვლას, ჯერ პირველ სხვენზე, მერე ზემოთ — მეორეზე. ჯენი წინ მიდიოდა და მე ძლივს ვეწეოდი. აღფრთოვანებული ვიყავი, — ჰო, ახლაც კარგად მახსოვს, ჯენის პაწაწინა მარჯვე ფეხები, რომლებიც კიბის საფეხურებზე თითქმის უჩქამოდ არბოდნენ. ბოლოს სხვენს რომ მივაღწიეთ, ასაძერომი კარი ფრთხილად დავუშვით და ზედ მოზრდილი ხის ნამორი მივაგორეთ, რომელიც ღმერთმა უწყოდა, ამ მიგდებულ სხვენზე საიდან მოხვედრილიყო. ერთ ხანს მტრედების ფრთების ტყაპუნს ვუსმენდი, ისინი ხან შემოფრინდებოდნენ, ხან ისევ გაფრინდებოდნენ, მერე ნა-

მორზე ჩამოვსხედით, ჯენიმ თავი ხელებზე დააყრდნო და შავი კულულები სახეზე ჩამოეშალა.

— დაიღალე, ჯენი? — ვკითხე მე.

მან ხელი გამომართვა და გულზე მიიდო.

— ნახე, როგორ მიცემს! — მიპასუხა.

როცა მე უნებლიეთ მის წვრილ თეთრ თითებს დავხედე, ახლა ჩემი ხელი რომ ჩაეშვიდა, არ ვიცი რად, მაგრამ ისე მომეჩვენა, რომ ამგვარი თითები აქამდე არ მენახა. სანამ ამაზე ვფიქრობდი, მივხვდი კიდევაც, რატომ იყო ეს თითები სხვანაირი. ფრჩხილის ძირებთან ნახევარმთვარის ფორმის ლაქა ჩვენსავით ღია ფერისა კი არ ჰქონდა, არამედ რაღაც მოლურჯო და ფრჩხილზე მუქი. მაშინ ჯერ კიდევ არ წამეკითხა, რომ ეს იყო ის ნიშანი, რომლის მიხედვითაც ამერიკის შტატებში ანსხვავებდნენ მშვენიერ პარიებს*, რომელთა ძარღვებში შავი მონების სასხლი სდიოდა. მე გავოცდი და ვერ შევძელი ამ თითებისთვის თვალი მომეწყვიტა.

ჩემი დაჟინებული მზერა ჯენიმ შეამჩნია და მკითხა.

— რას დამჩერებიხარ ხელებზე?

მახსენდება, როგორ შემრცხვა ამ კითხვის გამო.

— შეხედე! — მივუგე მე და მისი თითები ისე შევაერთე, რომ ვარდისფერი ფრჩხილები მარგალიტის ბაფთას დაემგვანა.

ჯენიმ ვერ გამიგო, რაც ვუთხარი.

— რატომ ეგეთი მუქი ლაქები გაქვს ფრჩხილის ძირებთან? — ვკითხე ჯენის.

ის თავის ფრჩხილებს დააკვირდა და მერე ჩემსას შეადარა.

— აბა, მე რა ვიცი, — მიპასუხა. — სენ-კრუას* კუნძუ-

ლზე ყველას ასეთი აქვს. მე მგონი დედაჩემს კიდევაც უფრო მუქი ჰქონდა.

შორიდან, რომელიღაც ღრმა სარდაფიდან ჩვენამდე მოაღწია ჯარისკაცებსა და ყაჩაღებს შორის ატეხილმა ღრიანცელმა. ეტყობოდა, ისინი ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ, მაგრამ ეს ხმაური ჩვენი თავშესაფრიდან ჯერ კიდევ შორს იყო. ამიტომ მე ისევ ჩემს საფიქრალს გავუყევი და ჯენის ვკითხე:

— რატომ დედასთან არ დარჩი?

მან თავი კვლავ ხელებზე დააბჯინა.

— ალბათ იმიტომ, რომ უნდა მესწავლა, — გულგრილად მიპასუხა ჯენიმ.

— იქ არ შეგეძლო სწავლა?

გოგონამ თავი გააქნია:

— მამამ თქვა, იქ ყველა ცუდად ლაპარაკობსო.

სხვენზე სიჩუმე იყო, თითქოს ბნელოდა კიდეც, რადგან პატარა სარკმელები ობობას ქსელით მოფენილიყო. მხოლოდ სახურავზე ერთი ახდილი კრამიტიდან შემოდიოდა მზის მკრთალი სხივი, რომელიც დიდი მსხლის აყვავებულ ტოტებს დასხლტომოდა. ჯენი ჩუმად იჯდა ჩემს გვერდით. დაკვირვებით შევცქეროდი მის პატარა სახეს, ფერი მთლად დაჰკარგვოდა, თვალებში კი უცნაურად ღრმა ჩრდილები ჩასწოლოდა.

უცბად ტუჩები ააცმაცუნა და ხმამაღლა გადაიხარხარა. მეც ავყევი, ცოტა ხნის შემდეგ კი ვკითხე:

— ნეტა რა გაცინებს?

— როგორ სძულდა მამა! — მითხრა ჯენიმ.

— ვის?

— მაიმუნს.

— ცუდად ეპყრობოდა მამაშენი?

— არა!.. რა ვიცი... როცა მამა ჩვენსა მოვიდოდა, ბრილიანტის ქინძისთავს აცლიდა ხოლმე გულისპირიდან.

— განა მამაშენი თქვენთან არ ცხოვრობდა?

ჯენიმ თავი გააქნია.

— არა, უმეტესად საღამოობით მოდიოდა ხოლმე. ქალაქში ცხოვრობდა, ერთ დიდ სახლში. ეს დედამ მითხრა, მე თვითონ იქ არ ვყოფილვარ.

— რას ამბობ! მაშ თქვენ სადღა ცხოვრობდით?

— ჩვენც მდიდრულად ვცხოვრობდით, ქალაქგარეთ. ჩვენი სახლი ბაღში იდგა, მაღლა, დიდი ყურეს ზემოთ. წინ სვეტებიანი ტერასა ჰქონდა. მე იქ დედასთან ერთად ვიჯექი ხოლმე. აქედან შეიძლებოდა ჩვენ ყურეში შემომავალი გემების დანახვა. — ჯენიმ ერთხანს იყუჩა. — ო, ძალიან ლამაზია დედაჩემი! — ამაყად თქვა მან უცბად, მერე ხმას დაუწია და თითქმის დანაღვლიანებულმა დაუმატა: — შუბლზე ძალიან ლამაზი შავი კულულები ეყარა! — და ცრემლები წასკდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქვემოდან აურზაური და ჯარისკაცთა საყვირების ხმა მოგვესმა. როგორც ჩანდა, ისინი პირველი სხვენის კიბესთან იდგნენ და ერთმანეთს შემდგომი მოქმედების გეგმას უზიარებდნენ. ფეხზე წამოვიჭერი და ირგვლივ მიმოვიხედე, ამაზე ადრე არ გვიფიქრია, ახლა კი მივხვდი, რომ თავის დასაღწევი გზა არსაით გვქონდა.

— თავდაცვა უნდა მოვაწყოთ, — ჩავჩურჩულე, — ეტყობა, ტყვედ ჩავცვივდით.

ჯენიმ სწრაფად მოიწმინდა თვალები.

— ჯერ არა, ალფრედ! — მან სახურავზე დარჩენილ ხვრელ-

ზე მიმითითა. — აი იქიდან გაძვრები, მერე კი მსხლის ხეზე გადახვალ და ბაღში დაეშვები.

— არა, ასე არ ივარგებს. შენ ვერ მიგატოვებ.

— ო! —წამოიძახა მან, — ისინი მე რას დამიშვერენ! — და სახურავის ჩაბნელებული კუთხისკენ გაიხედა. — აბა, ჩქარა, მომეხმარე! აი, იქ კოპზე ავძვრები და იმათ ხუსხუსს ზემოდან ვუყურებ.

კარგად მოიფიქრა, ორიოდე წუთის შემდეგ ჩემი დახმარებით ჯენი ნივნივებსა და კადონებზე აფორთხდა და ყველაზე მაღალ სახურავქვეშ პატარა კოპზე ჩამოსკუპდა.

— მხედავ? — ჩამომძახა მან, როცა მე ისევ ქვემოთ ჩამოვხტი.

— ჰო, შენ თეთრ ხელს ვხედავ.

— ახლაც ხედავ?

— ახლა სულ ვეღარ გხედავ.

— აბა შენც გადაძვერი!

მაგრამ სახურავში დარჩენილი ხვრელი ვიწრო იყო. ამიტომ მეორე კრამიტიც ავაცალე და ძალისძალად გავძვერი: მდევარი უკვე სხვენის კარს წასეოდა და ერთი ღრიანცელი იდგა. ვხედავდი, როგორ იწევდა ნელ-ნელა კარზე მიგდებული ნამორი.

მერე როგორ მოხდა, აღარ მახსოვს, მაგრამ სახურავზე გადავძვერი თუ არა, კრამიტებზე დავცურდი. მსხლის ტოტები სახეში მცემდა და ლაწალუწი გაჰქონდა. იღბლად, სანამ ქვემოთ მივგორავდი, ერთ ტოტს წავაწყდი ხელი და მასთან ერთად ძირს დავქანდი. ჩემს გვერდით რამდენიმე კრამიტმა ჩაიქროლა და ბაღში დაეცა. ბოლოს მეც ისეთი ძალით დავე-

ნარცხე მიწას, რომ ლამის გონება დავკარგე და ვეღარ წამოვდექი.

ზემოთ რომ ავიხედე, მსხლის აყვავებულ ტოტებს შორის დავინახე შეშინებული დიდი თვალები და წინ გადმოყრილი შავი კულულები ჩემი ლამაზი მეგობრისა, რომელიც დანგრეულ სახურავზე ძელს ზემოთ გადმოხრილიყო. მისთვის რომ მენიშნებინა, ცოცხალი გადავრჩი-მეთქი, უფრო მეტად კი იმის გამო, რომ ჩემი მამაცობა მეჩვენებინა, ძალა მოვიკრიბე და ხმამაღლა გავიცინე. როგორც კი თავი მოვაბრუნე, მამაჩემის მკაცრი სახე მომხვდა თვალში. იგი უფრო წყენით მიყურებდა, ვიდრე თანაგრძნობით. შორს შევამჩნიე მამიდა ჟოზეფინაც. მამიდას განუყრელი საქსოვი შიშით ხელებში შეჰყინოდა. ახლაც ვერ გამიგია, ისე ერთ წამში ჯენი როგორ გაჩნდა ჩვენთან. ჩემსკენ დაიხარა და სახიდან და საფეთქლებიდან თმა გულმოდგინედ გადამიწია. როცა შეამჩნია, მამაჩემმა ხელი როგორ გამომიწოდა, რომ გაბრაზებულს ზეზე წამოვეყენებინე, ჯენი გაცხარებით წამოიჭრა ფეხზე.

— ჰეი! ხელი არ ახლო! — შეესძახა მან, მთელი სხეული დაძაბა და მამისკენ პატარა მუჭებით წაიწია. თვალებში ისეთი ცეცხლი უელავდა, თითქოს იმ წუთში მტვრად აქცევსო.

მამაჩემმა რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, თავისებურად ტუჩები მოკუმა და ხელები ზურგზე დაიწყო, შემდეგ შებრუნდა და ბუტბუტ-ბუტბუტით თავის კაბინეტისკენ გასწია. მომესმა, თითქოს თქვა: ამას ბოლო უნდა მოეღოსო. ბაღში ახლა დედაჩემი გამოჩნდა და ჯენი მისკენ გაიქცა. მე შევამჩნიე, როგორ ჩაიხუტა ჩემმა კეთილმა დედამ საშინლად შეშფოთებული ბავშვის ერთიანად აცახცახებული სხეული და მის დამშვიდებას შეუდგა.

ვფიქრობ, იმ დღიდან ორივე ჩვენთაგანის გულში აღმოცენდა გაგება ურთიერთერთგულებისა და პასუხისმგებლობისა. მაშინ წარმოიშვა ის გრნობა, რომელიც მრავალ წელიწადს ჩანასახის მდგომარეობაში თვლემდა, მაგრამ შემდეგ ერთ მთვარიან ღამეს იმ ლურჯ, ზღაპრულ ყვავილად გადაიქცა, რომლის სურნელება დღესაც მათრობს.

აბა, როგორ აგიწერო ყველა უმცირესი წვრილმანი? ამის შემდეგ, პირველ ხანებში, როცა მამაჩემი სადილობისას მეტყოდა, ზარით შინამსახური მოიხმეო, სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ზონარს მაშინვე ჯენი მივარდებოდა, რომ ჩემ კოჭლობას მამისთვის ის უსიამოვნო შემთხვევა არ გაეხსენებინა.

მაგრამ ის მშვენიერი დღეები მიილია. მოვიდა საშინელი ამბავი — ჯენისთვის ახალი პანსიონი აღმოაჩინეს და მალე მისი გამგზავრების დღეც დადგა... ახლაც კარგად მახსოვს, რაღაც გაურკვეველი გულისტკივილითა და სევდით გათანგული ჩვენს დიდ მსხლის ხეზე ვიჯექი, მკვახე ნაყოფს ვწყვეტდი და მეზობლის სხვენის ფანჯარას ვესროდი, რომელიც არაფერ შუაში არ იყო. უცებ ჩემი ყურადღება ხის ქვეშ რაღაც ხმაურმა მიიპყრო. ქვემოთ რომ ჩავიხედე, დავინახე ნაშურის სამგზავრო პალტოში გამოწყობილი ჯენი, რომელიც ტოტიდან ტოტზე მოცოცავდა. ზემოთ რომ ამოვიდა, ერთ ტოტს შემოეხვია, ჯიბიდან პატარა ბეჭედი ამოიღო და თითზე გამიკეთა. სიტყვა არ უთქვამს, ოღონდ მეტისმეტად სევდიანად შემომხედა. მე, მოზრდილი ბიჭი, უგერგილო მოკრძალებით დავმორჩილდი და, სანამ ბეჭდიან თითს დავყურებდი, ჯენი ისევ ისე სიტყვის უთქმელად გაქრა, როგორც ამოვიდა. მაშინ კი ისეთი აჩქარებით დავეშვი ხიდან, რომ კინა-

ლამ ისევ ჩამოვვარდი. ის იყო ქუჩაში გავიჭერი, რომ ეტლიც დაიძრა და მე მხოლოდ თეთრი ცხვირსახოცილა დავინახე. რომელსაც ჯენი გვიქნევდა.

მწუხარებით გულდასერილი უცბად შევდექი და პატარა საჩუქარს დავაცქერდი. ეს იყო ოქროსჩარჩოიანი კუს ჯავშნის ბეჭედი. მაშინ, აბა, რა ვიცოდი, რომ ჯენიმ მისთვის ყველაზე ძვირფასი ნივთი მისახსოვრა.

თხრობის დროს ალფრედს სიგარა გვერდზე გადაედო.

— შენ არ ეწევი, — მითხრა მან, — მაგრამ არ მინდა, ასე გულხელდაკრეფილი იჯდე, საქმეს გაგიჩენ, რომ არ მოგეწყინოს.—ამ სიტყვებით მან თავი ახადა პატარა ყუთს, რომელიც ჩემოდნის გვერდით იდო და მალე ხელში მეჭირა სურნელოვანი ღვინით სავსე წახნაგოვანი ჭიქა.

— ალიკანტეს ღვინოა! — მითხრა ალფრედმა. — აი ესეც გარეული ბეგქონდარას ფოთლებში გახვეული ლეღვი! ვიცი, რომ უძველესი ექიმობის ფუძემდებლის მსგავსად შენც ტკბილი და გემრიელი საჭმელი გიყვარს. ესენი ჯენის მამამ მომართვა საჩუქრად. თავის ხელით შემოხვია, როცა ამ რამდენიმე დღის წინ გამოვემშვიდობე.

— შენს უფროს ძმაზე არაფერი გითქვამს, — შევნიშნე მე ალფრედს, როცა იგი გვერდით მომიჯდა.

— ჩემი ძმა ჰანსი მაშინ სახლიდან შორს იყო, სასოფლო-სამეურნეო სკოლაში სწავლობდა. მოგვიანებით ჯენი იმანაც გაიცნო — ჰანსის ცოლი და ჯენი ერთ პანსიონში იყვნენ, სადაც დამთავრების შემდეგ კიდევ რამდენიმე ხანს დარჩა. თავად მე იგი ხელმეორედ ათი წლის შემდეგღა ვნახე.

ეს მოხდა წლეულს, ივნისში, როგორც იცი, მე ერთ მდი-

დარ გრაფინიას სოფელში პატარა ბაზილიკას ვუშენებდი, და როცა დავამთავრე, ტიფი დამემართა, რომელიც იმ მიდამოებში მძვინვარებდა. კარგად მივლიდნენ, მაგრამ მშობლიური ოჯახიდან შორს ვიყავი და ცელიანი კაცი შეუბრალებლად იწევდა ჩემსკენ დაჩონჩხილ ხელებს, იმ ხანებში დედაჩემმა მამაზე ზრუნვა მამიდა ჟოზეფინას გადააბარა და თვითონ ჩემი ძმის მამულში გაემგზავრა. იქ თვითონ დედაჩემიც ავად გახდა და თავისდა სამწუხაროდ იძულებული გახდა საკუთარი ვაჟიშვილი სხვის იმედად დაეტოვებინა. მაგრამ ორივენი თითქმის ისევ გამოვკეთდით. და უახლოეს დღეებში შინ ვაპირებდი გამგზავრებას. ჩემი ძმის მამული ჯერ არ მენახა. ეს მამული ქორწინებამდე ცოტა ხნით ადრე შეიძინა. აწ გარდაცვლილი პატრონის წინაპარს, მდიდარ ფრანგ ემიგრანტს, აქ თავადური სასახლე აეშენებინა და, რაც მთავარია, მის ირგვლივ ლენოტრეს სტილზე* დიდებული პარკიც მოეწყო. დედაჩემი მწერდა, პარკის ნაწილი, ეგრეთწოდებული ჰაეროვანი ქალა, ჯერაც კარგად არის შემონახული. აქ გასინჯე, ზოგ გუბურასთან და მყუდრო ადგილებში, მაღალ ფოთლოვან ხეთა შორის, შემორჩენილა განმარტოებით მდგომი მომაჯადოებელი სილამაზის ქანდაკებები, რომელთა მოდელებად ლუი მეთხუთმეტის სასახლის კარის წარმტაცი სეფექალები გამოეყენებინათ.

ზედ გამომგზავრების წინ მივიღე ჩემი მოსიყვარულე რძლის წერილი: „მალე თუ ჩამოხვალ, — მწერდა იგი, — საბავშვო ზღაპრებს ერთად წავიკითხავთ. საამისოდ მე ცოცხალი სახეები მყავს, აი, მაგალითად, ყაჩაღის საცოლე. მას მეტად მოხდენილი ფერმკრთალი სახე და გიშერივით შავი თმა აქვს. თავი ჩაუქინდრავს და არათითზე იყურება. რადგან ამ

თითზე ერთ დროს ეკეთა ბეჭედი, რომელიც ორგულ ყაჩაღს მისცა ოდესღაც“. წერილი ისევ ხელში მეჭირა, რომ ფეხზე წამოვიჭერი და ჩემ ნივთებში ამოვქექე სპილოს ძვლის ზარდახში, სადაც ჩვეულებრივ ძვირფას ნივთებს ვინახავდი. ჯენის ბეჭედიც აქ მედო. ბეჭედში შავი ბაბთა იყო გაყრილი. ჩვენი განშორების პირველ ხანებში ამ ბეჭედს, ბუნებრივია, ფარულად გულზე ვატარებდი. მერე სხვა ძვირფასეულობასთან ერთად იმ ზარდახშაში შევინახე, რომელიც კარგა ხანია ჩემი კუთვნილება გახდა. ახლა, თითქოს სხვაგვარად არც შეიძლებოდა, ისევე მოვიქეცი, როგორც მაშინ, ბავშვობისას: ავდექი და ღიმილით ისევ გულზე ჩამოვიკიდე, თან საკუთარ თავს დავცინოდი, თითქოს ამით ბოდიშს ვიხდიდი.

— უკან რომ დაბრუნდები,—შეწყვიტა ალფრედმა თხრობა, — ნუ დაგეზარება და გზიდან ცოტა გადაუხვიე. ეს მამული აქედან მხოლოდ ერთი მილით თუ არის დაშორებული როგორც ჰანსისაგან ვიცი, შენ კარგა ხანია მათ სტუმრობას შეპირებიხარ. იქ თავად ნახავ ყველაფერს ისე, როგორც დედაჩემი მწერდა...

ივნისის ცხელი დღე იდგა, ნაშუადღევს მზისგან გახუნებული გზა უკან მოვიტოვე და თავი წაბლის ხეივნის ჩრდილს შევაფარე. წაბლნარი სასახლისაკენ მიემართებოდა. მალე ჩემი ეტლი შეჩერდა შენობის წინ, რომელიც ეგრეთწოდებული „კამოდის“ სტილზე იყო ნაგები. შენობა დაგრაგნილი ორნამენტებით იყო გადატვირთული, მაგრამ წინწამოწეულ პროფილითა და რელიეფებით, რომლებიც ღრმა ჩრდილებს ქმნიდნენ, მან ჩემზე მაინც გარდასული დიდების წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

კიბეზე ჰანსი და მისი გრეტა შემეგებნენ. ვრცელ წინკარ-

ში რომ შევედით, გამაფრთხილეს, ხმადაბლა ილაპარაკე, საღილობის შემდეგ დედა ისვენებსო.

სადარბაზო კარით დიდ, ნათელ დარბაზში შევედით. ორსაგდულიანი კარი ტერასაზე გადიოდა. კარი ამჟამად ღია იყო, ტერასის ქვემოთ ისეთი ფართო მოლი გაშლილიყო, რომ თუ არ დაიყვირებდი, ერთი ნაპირიდან მეორემდე ხმას ვერ გაუწვდენდი. გადამწვანებული გაზონები ზოგან მაღალტოტებიანი, ზოგან დაბლა გართხმული ჯიშის ვარდებით იყო მოფენილი. უხვად გაშლილი ვარდები ჰაერს დამათრობელი სურნელებით ავსებდა. იქით ბუჩქნარი მიუყვებოდა, რომელიც ვარდნარისა არ იყოს, შედარებით ახალი გაშენებული უნდა ყოფილიყო. ბუჩქნარს იქით კი, გვარიან მანძილზე, ბაღის მთელ სიგანეზე გაჭიმულიყო „ჰაეროვანი ჭალა“, რომელიც მამულის ადრინდელ მფლობელს გაეშენებინა და ისე გაეზარდა, რომ ვერტიკალურ მწვანე კედელს ქმნიდა. მთელი ეს სანახაობა ჩემს თვალწინ გადაიშალა, სამხრობისაკენ გადასული მზით გაბრწყინებული.

— რას იტყვი ჩვენს სამოთხეზე? — მკითხა ახალგაზრდა დიასახლისმა.

— რას ვიტყვი, გრეტა? რამდენი ხანია, რაც ეს მამული შენს ქმარს ეკუთვნის?

— მგონი, მაისში ორი წელიწადი გახდა.

— მერე და ეგეთი პრაქტიკოსი მეუღნე როგორ ითმენს, რომ ამდენი ფართობი გამოუყენებლად აქვს მიტოვებული?

— ოჰ, თავს ისე ნუ იჭერ, თითქოს პოეზიას შენს მეტი დამფასებელი არავინ ჰყავდეს.

ჩემმა ძმამ გაიცინა:

— მართლაც რომ სწორს ამბობს, გრეტა. საქმე ის არის,

ალფრედ, რომ ამ დიდებულებას ხელს ვერ შევახებ. ნასყიდობის ხელშეკრულებაში ეს საგანგებოდ გაითვალისწინეს.

— მადლობა ღმერთს!

— მე კი ვერ შევწირავდი ღმერთს მადლობას. პატარა ტბორის შუაში დგას ნამდვილი ლუი ვეთხუთმეტის სტილით ნაქანდაკები ვენერა. შემეძლო იგი დიდძალ თანხად გამეყიდა. მაგრამ ვინ გაგაყიდინებს!

ამ დროს გრეტამ ხელი წამავლო და შემომძახა:

— აბა მოიხედე!

ჩემს ზურგს უკან კარის ზღურბლზე იდგა თეთრ საზაფხულო კაბაში გამოწყობილი ქალიშვილი. შევხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი. ვესტინდოელი პლანტატორის ქალიშვილის უცნაური თვალები ისევ ისეთი დარჩენილიყო, ოღონდ ერთ დროს ჯიუტი თმა ახლა შავ ნაწნავად კეფაზე მოეხვია. მისი მაღალი ყელ-კისრისათვის ეს ნაწნავი მეტისმეტად მძიმე მოჩანდა.

მისკენ გავეშურე. მაგრამ სანამ პირს გავაღებდი და რამეს ვიტყოდი, ჩემი მკვირცხლი რძალი ჩვენს შუა ჩადგა.

— ერთ წუთს შეჩერდით! — შესძახა მან. — მე უკვე ვატყობ, ორივეს პირზე „თქვენა“, „ფროილაინ ჯენი“ და ამგვარი უაზრო მიმართვანი მოგდგომიათ. ეს არღვევს ჩემს ოჯახურ მყუდროებას. ამიტომ, ჯობს ახლავე მსახლის ხე გაიხსენოთ!

ჯენიმ ერთი ხელი მეგობარს ააფარა პირზე, მეორე მე გამომიწოდა.

— კეთილი იყოს შენი მოსვლა, ალფრედ!

მრავალი წელი გასულიყო, მისი ხმა აღარ გამეგონა, ამიტომ მით უფრო ღრმად ჩამწვდა გულში ის თავისებური აქცენტი, რომლითაც მან ჩემი სახელი წარმოთქვა.

— მადლობელი ვარ, ჯენი! — მივუგე მე. — შენმა სიტყვებმა ისევე გაიხმიანეს, ბავშვობისას რომ მახსოვს. მაგრამ, ალბათ, დიდი ხანია ეს სახელი აღარ წარმოგითქვამს, არა?

— ეს სახელი მას შემდეგ აღარ წარმომითქვამს, — მიპასუხა ჯენიმ — შენ ხომ ყოველთვის გაურბოდი ჩემთან შეხვედრას.

ამ საუვედურზე მე პასუხის გაცემაც ვერ მოვასწარი, რომ გრეტამ ერთმანეთს დაგვაცილა.

— ეგრე ‘ოგიხდება! — წამოიძახა მან. — ახლა კი, ჯენი; წამო, ყავა გავამზადოთ, ალფრედმა კარგა დიდი გზა გამოიარა და დედაც სადაცაა გაიღვიძებს.

მალე დედაც შემოვიდა. ჩვენი შეხვედრა ძალზე ამაღელვებელი იყო. დედაჩემი მე მკვდრად მთვლიდა, ახლა კი საღსალამათი გულში ჩამიკრა და ისე მეფერებოდა და მისვამდა ლოყებზე ხელს, თითქოს ისევ ბავშვი ვყოფილიყავ. როცა გავსწორდი, რომ დედაჩემი სავარძელთან მიმეყვანა, დავინახე კარადას მიყრდნობილი ჯენი, მას სახეზე ქაღალდის ფერი დასდებოდა და თვალები ცრემლით ავსებოდა. გვერდით რომ გავუარეთ, ჯენი შეკრთა, ფაიფურის ფინჯანი ხელიდან გაუვარდა და დაემსხვრა.

— ო, მაპატიე, მაპატიე, საყვარელო გრეტა! — მიმართა ბეგობარს და ხელები მოხვია.

გრეტამ ალერსით გაიყვანა იგი ოთახიდან.

ჩემ ძმას გაეცინა:

— რა სწრაფად ეცვლებათ გუნება.

— ძალიან მგრძნობიარე გული აქვს, ჰანს!—შენიშნა დედამ და თვალი ალერსით გააყოლა.

გრეტა მალე შემობრუნდა.

— დაე, ცოტა ხანს მარტო იყოს! — განაცხადა მან.

— საწყალი ბავშვი უამისოდაც აღელვებული იყო: მამისაგან წერილი მიიღო. წერს, მალე ჩამოვალ და პირმონტში წაგიყვანო.

მე ახლაღა გავიგე, რომ ეს მდიდარი ვაჭარი, რომელმაც აქამდე დაუოჯახებლად იცხოვრა, სამკურნალო წყლებზე ყოფნის შემდეგ ახლახან აშენებულ სახლში აპირებდა გადასვლას და იქ თავისი ქალიშვილის წაყვანაც უნდოდა, რომ მისთვის ოჯახის დიასახლისობა დაეკისრებინა. ეტყობოდა, გრეტა ამ კაცის მიმართ მეგობრულად არ იყო განწყობილი.

— თუმცა იგი ჯენის მამაა, — თქვა მან, — მაგრამ მზადა ვარ შევიძულო მამაკაცი, რომელიც ქალიშვილს დაუნანებლად აძლევს ათასებს, მაგრამ არ შეუძლია თავისი ძვირფასი პიროვნების, თავისი სულის ერთი უმცირესი, მეათასედი ნაწილი მაინც უწილადოს. დიახ, ჰანს, — მიმართა მან ქმარს, რომელმაც თითქოს მის გასაჯავრებლად და ამავე დროს დასამშვიდებლად ცოლს ქერა თმაზე ხელი გადაუსვა, — ნეტა ერთი წერილი მაინც განახვა, რომელსაც იგი ჯენის უგზავნის პასუხად. ყოველ შემთხვევაში მე მათ ჩვეულებრივი ქვითარისაგან ვერაფრით ვანსხვავებ.

დედაჩემმა ახალგაზრდა ქალს ორივე ხელი დაუჭირა.

— ახლა კი ჩვენს გრეტასაც ამოუდუღდა გული, — თქვა მან. — მე უწინ ვიცნობდი მაგ ადამიანს. გაჭირვებით ცხოვრობდა და იძულებული იყო სიღარიბესთან ებრძოლა. ამის გამო ულმობელი გახდა, ჩვენ კი, ვისაც ასეთი რამ არ გადაგვხდენია, ისევ გულჩვილნი დავრჩით. ისე, მისი სიმკაცრე მხოლოდ გარეგნულად მოჩანს ასეთი.

შემდეგ კარგა ხანს ვისხიოდით და ჩემიანების კითხვებზე

პასუხის გასაცემად კიდევ ერთხელ მომიხდა იმ ამბების თხრობა, რაც ადრე წერილობით უკვე იცოდნენ. ამასობაში ჯენიც შემოვიდა და გრეტას ჩუმად მიუჯდა გვერდით.

საღამოთი, გულთბილი შინაურული საუბრის შემდეგ, ჰანსმა ზემოსართულში ამიყვანა, ჩემთვის განკუთვნილ საძილე ოთახში მისი წასვლის შემდეგ კიდევ დიდხანს არ დამძინებია. ვიწექი ასე და რეტარებით ვუსმენდი ბაღიდან ფანჯრებში შემოჭრილ ბულბულების სტვენას, რომელიც მთელ მიდამოს ეფინებოდა.

თვალი რომ გავახილე, ოთახი ზაფხულის დილის მზეს გაენათებინა. ავადმყოფობის შემდეგ გაჯანსაღების გზაზე დამდგარი ადამიანის ისეთ სიხალისესა და ცხოვრების სიყვარულს განვიცდიდი, წინათ რომ არასდროს მიგრძვნია. ტანთ ჩავიცვი და ფანჯარა გამოვაღე. დაბლა გაშლილ ნამიან გაზონებიდან ოთახში დილის სიგრილე და ვარდების სურნელება შემოიჭრა. საათი ექვსს უჩვენებდა. საუზმემდე ერთი საათი რჩებოდა. მე კიდევ ერთხელ მოვაელე თვალი ოთახს, რომელიც, როგორც გრეტამ მითხრა გამოჯავრებით, ჩემს მოსვლამდე ყაჩაღის საპატარძლოს ოთახი ყოფილა. მართლაც, ტუალეტის მაგიდის ერთ-ერთ უჯრაში აღმოვაჩინე ვარდისფერი აბრეშუმის ბაბთა, რომელშიც შავად მბრწყინავი გრძელი თმის ბეწვი ისე ჩაწნულიყო, რომ დიდი წვალებით გამოვხსენი. ბოლოს, როცა ამ საქმეს მოვრჩი, საწოლს ზემოთ გაკეთებულ თაროებზე შევნიშნე რამდენიმე წიგნი, რომლებზეც ჯენის სახელი და გვარი ეწერა. მე წიგნების გადათვალიერებას შევუდექი. პირველად ხელში ალბომი მომხვდა, ისეთი, ახალგაზრდა გოგონებს რომ აქვთ ხოლმე. ალბომი სავსე იყო ნაკლებშთამბეჭდავი ლექსებით, მაგრამ მათ შორის ზოგიერთი ლექ-

სი ისე გამოირჩეოდა, როგორც სამყურაში ნარშავი. აი პირველი, რომელიც თვალში მომხვდა.

დროზე მომწყვიტე ვარდი მაისის,
თორემ ქარ-წვიმის ავი ხმა ისმის,
არა, დამტოვე, შენი გზით წადი!
აყვავებული არა ვარ ვარდი.
შემომეხვევა კაბა ამ ქარში,
ვარ უსამშობლო, უდედო ბავშვი.

ბოლო სტრიქონი ორჯერ იყო გახაზული. ამგვარი ლექსი რამდენიმე შემხვდა.

ალბომი გვერდით გადავდე და ერთ წიგნს წავაწყდი. ყდა რომ გადავშალე, თითქმის შეეშინდი. ეს გახლდათ ზილსფელდის „პლანტატორის ცხოვრება"*, მისი ის ნაწილი, რომელიც შეიცავს ფერადკანიანთა, ამ გრაციოზულ არსებათა ყოფის ცოცხალ აღწერას, თუმცაღა ისინი ძლივს მიაჩნია ნამდვილ ადამიანებად. ესენი ავტორს, როგორც თვითონ წერს, მიმზიდველი სილამაზის გამო ზღვებს იქით გადასახლებულ ევროპელთა უბოროტეს გენიებად მიაჩნია. ამ წიგნშიც ზოგიერთი ადგილი იყო გახაზული. ფანქარი ზოგან ისე უდიერად დაეჭირათ. რომ ფურცელი გახეულიყო.

მე გამახსენდა ამ თემაზე მრავალი წლის წინ ჯენისთან საუბარი. ყველაფერი, რაც მაშინ მის ფანტაზიაში უწყინრად შემონახულიყო, ახლა როგორც ჩანდა, მწვავე ტკივილს აყენებდა.

როცა წამოვდექი და ფანჯარაში გავიხედე, ბაღის ფართო მოხრეშილ გზაზე ჯენი დავინახე. გუშინდელივით ახლაც თეთრი კაბა ეცვა. იმ დღეებში მას სულ თეთრ კაბაში ვხედავდი

ერთი წუთის შემდეგ მეც ბაღში ვიყავი. ჯენი ჩემს წინ მიდიოდა ფართო ბილიკზე, რომელიც ტერასიდან მოკიდებული გაზონს გარშემო უვლიდა. თითქოს აღელვებული ჩანდა, სწრაფად მიაბიჯებდა და აბრეშუმის ბაფთით ჩალის ქუდს მიაფრიალებდა. მე შევჩერდი და თვალი გავადევნე. მალე სახლისკენ გამოუხვია (და მეც მისკენ გავემართე.

— მაპატიე, თუ შეგაწუხე, — მივმართე მას, — პატარა ჯენი არ დამვიწყებია, მაგრამ მოთმინება აღარ მყოფნის, სანამ დიდ ჯენისაც არ გავიცნობ.

ქალიშვილმა შავი თვალები მომაპყრო.

— დიდი ჯენი ისე კარგი აღარ არის, ალფრედ, პატარა რომ გახსოვს, — მიპასუხა მან.

— მე კი მგონია, ასე არ არის. გუშინ უკვე დაამტკიცე, რომ ისევ ის ჯენი ხარ, ადრე რომ იყავი, ფიცხი და გულწრფელი. ასე მგონია, ეგ შავი ნაწნავებიც ჩამოგეშლება და ისევ პატარ-პატარა ჯიუტ კულულებად შემოგეხვევა შუბლის გარშემო. ამას გარდა, — განვაგრძე მე, — ნება მომეცი ისიც გითხრა, რომ გუშინ შენმა უნებურმა თანაგრძნობამ გულის შორეულ კუნჭულამდე შემძრა.

— არ მესმის შენი?!

— მაშ რის გამო იყო, ჯენი, რომ გუშინ დედა-შვილის შეხვედრის დანახვაზე ხელიდან ფინჯანი გაგივარდა?

— არა, ალფრედ, ეს თანაგრძნობა არ ყოფილა. შენ აჭარბებ ჩემს შეფასებაში, მე ასეთი არ ვარ.

— მაშ რა იყო, თუ არა თანაგრნობა?

— შური! — კუშტად თქვა ჯენიმ.

— რას ამბობ, ჯენი?!

არაფერი მიპასუხა. გზა ერთად განვაგრძეთ და შევამჩნიე,

როგორ დაეჭდო წითელ ბაგეებს მისი კრიალა კბილები. შემდეგ უცბად ამოხეთქა:

— აჰ! შენ რას გაიგებ ამ გრძნობას, შენ ხომ დედა არ დაგიკარგავს! ისიც იმ დროს, როცა იგი ცოცხალია!.. მე ხომ შვილი ვარ მისი. თავბრუ მესხმის, ეს რომ მახსენდება, რადგან ის დრო ღრმა უფსკრულში ჩაკარგულა. მუდამ ვცდილობ, როგორმე გადავაცალო დავიწყების ნისლი მის მშვენიერ სახეს, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ ამასღა ვახერხებ გავიხსენო: აი ჩემ საწოლთან ჩაიჩოქა მისმა კენარმა სხეულმა, რაღაც უცნაურ სიმღერას მიგალობს და შემომცქერის ალერსიანი შავი, ხავერდოვანი თვალები, სანამ ღრმა ძილს არ მივეცემი.

ჯენი გაჩუმდა. როცა ისევ სახლისკენ მოვბრუნდით, ჩემი რძალი ტერასაზე იდგა და ცხვირსახოცს გვიქნევდა. მე ჯენის მოვკიდე ხელი და ვკითხე:

— რას ფიქრობ, ჯენი, ისევ ძველებურად მიცნობ?

— ჰო, ალფრედ. და ეს ჩემთვის ბედნიერებაა.

ტერასაზე რომ ავედით, გრეტა ორივეს თითით დაკვემუქრა და გაგვიღიმა.

— თუ კი მიწიერი საგძალი კიდევ გჭირდებათ, ჩაიზე გეესტუმრეთ, — გვითხრა გრეტამ და ორივენი დარბაზში შეგვიყვანა, სადაც დედაჩემი და ჩემი ძმა საუბარში გართულიყვნენ. ასეთ მეგობრულ გარემოში ჯენის ქორფა სახიდან მწუხარების ჩრდილი თანდათან გადაიწმინდა. ვინ იცის, იქნებ სახიდან გულის ღრმა კუნჭულებისკენ გადაინაცვლა.

ნაშუადღევს მე და ჯენის საშუალება მოგვეცა ბავშვობის დროინდელი ამბები გაგვეხსენებინა. ჯენიმ დიდხანს და გულწრფელად იცინა. რამდენჯერმე, როცა სიტყვა დედაჩემზე ჩამოვარდა, შევეცადე, ლაპარაკი დედამისზე გადამეტანა,

მაგრამ ჯენი ან უცბად ჩუმდებოდა, ანდა სხვა თემაზე გადაიტანდა ხოლმე საუბარს. სამხრობისას, როცა სიცხემ ცოტა დაიკლო, ჩემმა ძმამ ჩვენ და თავისი ცოლი ვრცელ მოლზე ვოლანის* სათამაშოდ მიგვიწვია. მას უყვარდა ამ თამაშით გართობა და არც ერთ კვირადღეს არ აცდენდა. დედაჩემისთვის კი ტერასაზე რბილი სავარძელი გაატანინა, საიდანაც იგი ჩვენს თამაშს თვალს ადევნებდა.

აქ ჯენი თავს თავის სტიქიაში გრძნობდა. მისი დიდი, სწრაფად მოძრავი თვალები დაკვირვებით უმზერდა თამაშს და ფეხებიც ასევე სწრაფად დახტოდნენ მოლზე ხან ერთ, ხან მეორე მხარეს. იგი ყოველთვის საჭირო ადგილას იყო და პატარა ხელში ჩაბღუჯული ჩოგანით დაბლა წამოსულ ვოლანს ისე დასცხებდა, რომ კვლავ ფრთაშესხმულივით აფრინდებოდა ჰაერში. ერთხელ თამაშით გატაცებულმა ჩოგანი იქით გადაისროლა და ხმამაღალი ძახილით: „ო, როგორ მიფრინავს! დავეწიოთ, დავეწიოთ!“ და თითების ტკაცუნით, თვითონაც მისკენ გაეშურა. როცა ჯენი ბურთის ასაღებად დაიხრებოდა, ანდა ჩემი ძმის ძლიერი დარტყმით ბურთი თავზე გადაუფრენდა, უნდა გენახათ, როგორ გადაიქნევდა უკან სქელი ბრწყინავი თმით მოსილ თავს და როგორ მსუბუქად და მკვირცხლად აჰყვებოდა მოქნილი სხეულიც. მისთვის თვალი ვერ მომეწყვიტა. ნარნარ მოძრაობაში, რომელშიც ამავე დროს ძალაც ირეკლებოდა, იყო რაღაც ისეთი, რაც ველურობის პირველყოფილებას მაგონებდა. ჩემი გულკეთილი რძალიც მოხიბლული ჩანდა. სანამ ჯენი ჰაერში გაფრენილ ბურთს მისდევდა, მან ჩემთან მოირბინა და ყურში ჩამჩურჩულა:

— ერთი ჯენის შეხედე, ალფრედ! ნუთუ თვალები არა გაქვს?

ჩემი პასუხი რომ გაიგონა: „ოჰ, დიახაც რომ მაქვს და მერე, როგორი გახეხილი-მეთქი“, გრეტამ დასავით გამიღიმა და იდუმლად მითხრა:

— იგი მხოლოდ ერთი ადამიანისათვის არ მშურს, გესმის, მხოლოდ ერთისთვის მთელ ქვეყანაზე.

მალე დედამ დაგვიძახა და გვითხრა:

— გეყოფათ, ბავშვებო!

ჯენი დედაჩემს მიეახლა და მის წინ ჩაიჩოქა. მოხუცმა ფრაუმ მის აგზნებულ ღაწვებს ხელი გადაუსვა და „ოქროს გული გაქვსო,“ — უთხრა.

საღამოს, როცა ნავახშმევს დიდი ლამპა აანთეს და დედაჩემი დასასვენებლად წავიდა, მე და ორივე ახალგაზრდა ქალი დარბაზის ბნელ კუთხეში მიდგმულ დივანზე დავსხედით. ჩემი სახლიკაცი საქმეების მოსაწესრიგებლად თავის ოთახში შევიდა. ტერასასკენ გამავალი კარი ღია იყო და იქიდან დარბაზში ღამის სიგრილე იჭრებოდა. ჩვენ გავყურებდით ბინდისაგან ჩამუქებულ ლურჯ ზეცაში აკიაფებულ ვარსკვლავებს, რომლებიც ჩაღამებულ ხეთა კენწეროებზე ჩამომსხდარიყვნენ.

გრეტა და ჯენი თავიანთი პანსიონის თავგადასავლებს იხსენებდნენ, გაცხარებით ლაპარაკობდნენ, მე კი ვუსმენდი. ასე ვისხედით დიდხანს. მაგრამ, როცა გრეტამ წამოიძახა: ეს დრო უბედნიერესი იყოო, დადუმებულმა ჯენიმ თავი ისე დაბლა ჩაჰკიდა, რომ მე მის ბზინვარე თმაზე თეთრი გამყოფი ხაზი შევამჩნიე.

ჯენი ფეხზე წამოდგა და ბაღის ღია კარის ზღურბლზე შედგა. ამ დროს ჩემმა ძმამ გვერდით ოთახიდან თავის მეუღლეს მიუხმო და მე ჯენისთან მივედი. ამასობაში მთვარეც

ამოვიდა და ბაღი ნაზ ნისლში გაახვია. ბინდში გაზონებიდან ხან აქ, ხან იქ გამოანათებდნენ თეთრი ვარდები, რომელთა ფურცლებს ეს-ესაა ამოსული ღამის მნათობის შარავანდედი თავს დასდგომოდა. ბოსკეტის* მხარეს მოჩანდა ჰაეროვანი ჭალის მაღალი შეკრეჭილი ხეების ერთი ნაწილი, რომელიც ნაზ მოლურჯო სინათლეში გახვეულიყო, მათ შუა გამავალი ხეივნები კი ჩაბნელებულიყო და იდუმლად გამოიყურებოდა. ხმას არც მე ვიღებდი, არც ჯენი, ნეტარებას განვიცდიდი იმით, რომ ვიდექი მის გვერდით ასე გარინდებული და წინათგრძნობით აღვსილ ღამეს გავყურებდი.

— ერთ რამეს ვეღარ გაჩნევ, — მივმართე ბოლოს ჯენის, — რა იქნა შენი მომხიბვლელი ეშმაკობა?

— ჰო, ალფრედ, — გამეპასუხა იგი და ხმაზე ვივრძენი, რომ იღიმებოდა, — ნეტავ კი მამიდა ეოზეფინა გვყავდეს აქ! — მერე სერიოზული კილოთი დაუმატა: — ჩემს გონებას ახლა სხვა საფიქრელი გასჩენია.

ამაზე მე არაფერი მითქვამს. გუშინდელივით მთელი მიდამო ბულბულებს დაეპყროთ. როცა მათი სტვენა წამით მიყუჩდებოდა, ირგვლივ ისეთი მდუმარება ისადგურებდა, ასე ნევონა, ვარსკვლავებიდან ვარდზე დაპკურებული ნამის ხმასაც ვავიგონებდი. არ მახსოვს რამდენ ხანს ვიდექი ასე. ჯენი ერთბაშად გასწორდა და მითხრა:

— ღამე მშვიდობისა, ალფრედ! — და ხელი გამომიწოდა.

არ მეთმობოდა, მაგრამ ესღა ვუთხარი:

— მარცხენა ხელი გამომიწოდე! აი, ჩემი მარცხენა ხელი!

— აჰა, მარცხენაც, მაგრამ რატომ მარცხენა?

— რატომ, ჯენი? მარცხენას მე არავის ვუწვდი!

ჯენი წავიდა. ბუჩქნარებში განაბული ბულბულები დაუღ-ლელად განაგრძობდნენ სიყვარულის საგალობელს.

მაგრამ ერთხელ მძივებივით ასხმულ დღეთა კრიალოსანი გაწყდა. ის დღე ჩემთვის განსაკუთრებით უღიმღამო იყო, რადგან ჯენი გაემგზავრა მეზობელ მამულში თავის ნაცნობის მოსანახულებლად. ჯენი დიდი ხნის წინათ დაჰპირებოდა მას — გინახულებო. დილაადრიან ჩაჯდა საფოსტო ეტლში, რომელიც ჩემი ძმის მამულზე გავლით დადიოდა და ამბავი დატოვა, საღამოს შეგვიანებით დავბრუნდებიო.

დღის პირველი ნახევარი დედასთან გავატარე, ვისხედით წყნარად და ვუზიარებდი ჩემ საფიქრალსა და მომავლის გეგ-მებს. ნაშუადღევს მე და ჩემმა ძმამ მისი ველ-მინდვრები, საძოვრები და მერგელის* მაღაროები მოვინახულეთ. შემდეგ გრეტა თავისი დანიშვნის სასაცილო ამბავს მომიყვა, მერე კი, როცა თანდათან მოსაღამოვდა, მოსვენება დავკარგე და ში-ნაურების ლაპარაკს გულს ვეღარ ვუდებდი. როგორც კი დე-დაჩემი თავისი საძინებელი ოთახისკენ გაემართა, მე ბაღის გაღებულ კარის წირთხლს მივეყრდენი, სადაც გუშინ ჯენის-თან ერთად ვიდექი. ბოსკეტის მხარეს კორდს იქით მთვარიანი ღამის მოლურჯო ნისლში კვლავ დავინახე ჰაეროვანი ჭალის შეკრეჭილი წიფლის ხეები. დღემდე, რაღაც შემთხვევის წყა-ლობით, იქით არ გამევლო. ახლა კი გუშინდელზე მეტად მი-მიზიდა დაბურულმა ტევრმა, რომლის ჩრდილებში აქა-იქ ხე-ივნები მოჩანდა. ასე მეგონა, ფოთლებისა და ჩრდილების ამ ლაბირინთში ზაფხულის ღამის ყველაზე ამო რამ იყო დაფა-რული. დარბაზი მოვათვალიერე, ხომ არავინ მიყურებს-მეთქი, და ტერასიდან უხმაუროდ დავეშვი ბაღისკენ. ის-ის იყო მთვარე ბაღის აღმოსავლეთიდან შემორტყმულ წიფლი-

სა და წაბლის ხეთა კენწეროებს ამოსცილდა. ჩრდილ-ჩრდილ შემოვუარე კორდს. გზად უკვე დანამული ვარდი მოვწყვიტე და სახლის გადასწვრივ ბოსკეტს შევერიე. ბუჩქნარებსა და პატარა გაზონებს შორის გამავალი ფართო ბილიკები ერთიმეორეს უწესრიგოდ ჩახლართოდნენ. სიბნელეში ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ გამოჩნდებოდა ჟასმინის თეთრყვავილასხმული ტოტები. ცოტა ხნის შემდეგ მცირე ხანს შევჩერდი გაკრეჭილ ხეებთან, რომელთა ფოთლებით შეკრულ მთლიან კედელს მთვარის ნაზი სხივები დაჰნათოდა, და ამ დიდებული სურათით ვტკბებოდი. მკაფიოდ ჩანდა ყოველი ფოთოლი. დროდადრო ფოთოლთა ტევრიდან ჩემს ზემოთ მთვარის ჩახჩახა შუქზე, მოზრდილი ხოჭო ან ღამის პეპელა გამოფრინდებოდა და ჰაერში ბზუილით დატრიალდებოდა. წინ გაშლილი ხეივანი ტევრის სიღრმეში იკარგებოდა. ვერ გამეგო, ეს იყო თუ არა ის ხეივანი, რომლის ჩრდილებმა ტერასიდან აქეთ მიმიზიდეს: აქედან ბატონების სახლი აღარ მოჩანდა, სამზერი ბუჩქნარს დაეფარა.

აქ დაკვალული ბილიკები უკაცრიელი იყო და წამიერად რაღაც ბუნდოვანმა შიშმა მომიცვა, ვაითუ უკან დასაბრუნებელი გზა ვეღარ ვიპოვო-მეთქი. ბილიკის ორივე მხარეს ფოთოლთა ისეთი გაუვალი და მაღალი კედელი გასდევდა, რომ მხოლოდ ზემოთ ვხედავდი ცის პატარა ნაჭერს. ყოველთვის, როცა გზაჯვარედინზე გავიდოდი და წინ ცოტა მოზრდილი ადგილი გამოჩნდებოდა, ასე მეგონა, სადაცაა ჩრდილიდან მთვარის შუქზე 1750 წლის მოდაზე ჩაცმული ფრანტის ხელზე დაყრდნობილი, ხაბარდიან კაბაში გამოწყობილი, გაპუდრული ლამაზმანი გამოგოგდება-მეთქი. მაგრამ ყველაფერი

ულველად რჩებოდა, მხოლოდ ღამის სიო თუ გაიხმიანებდა ხანდახან ფოთლებში.

რამდენიმე გზაჯვარედინი რომ გადავიარე, გუბურის პირას აღმოვჩნდი, რომელიც ასიოდე ნაბიჯის სიგრძისა და ამის ნახევარი სიგანისა თუ იქნებოდა. გარშემორტყმული ტევრიდან და ნაპირზე მდგარი ხიდან გუბურას ფართო ბილიკი აშორებდა. ჩაბნელებული წყლის სიღრმეში თეთრი დუმფარები კიაფობდნენ. მათ შორის კი, გუბურის წყლიდან ამოზიდულ კვარცხლბეკზე მდუმარედ და განმარტოებით იდგა ვენერას მარმარილოს ქანდაკება. ირგვლივ სიჩუმე გამეფებულიყო. ნაპირს გავუყევი და იმ ადგილას შევჩერდი, საიდანაც ხელოვნების ამ ქმნილებასთან ყველაზე ახლოს აღმოვჩნდი. როგორც ეტყობოდა, იგი ლუი მეთხუთმეტის დროის ერთ-ერთი უმშვენიერესი ქანდაკება უნდა ყოფილიყო. ვენერას ცალი ფეხი წინ გაეშვირა, თითქოს ეს-ეს არის წყალში აპირებს ჩასვლასო. ცალი ხელით კლდეს ჩასჭიდებოდა, მეორეთი კი გახდილი კაბა მკერდთან მიეტანა. ამ ადგილიდან მის სახეს ვერ ვხედავდი, რადგან თავი უკან მიებრუნებინა, თითქოს, ვიღრე შიშველ სხეულს წყალს მიანდობდა, სურდა დარწმუნებულიყო, ხომ არავინ მიყურებსო.

მოძრაობის შთაბეჭდილება ისეთი ბუნებრივი იყო, თანაც მთვარე მის მარმარილოს ზურგს ისე ნაზად აფენდა სხივებს, რომ თუმცა ქანდაკების ქვედა ნაწილი ჩრდილს დაეფარა, მომეჩვენა, თითქოს მართლაც წმიდანის აკრძალულ, იდუმალებით მოცულ სამყაროში შევიჭერი-მეთქი. ჩემს ზურგს უკან ხის ქვეშ გრძელი სკამი იდგა. აქედან კიდევ დიდხანს ვუმზერდი ამ მომხიბვლელ სანახაობას. და მე არ ვიცი, იქნებ ეს

ამ სილამაზით შექმნილი განწყობილების ბრალიც იყო, მაგრამ მისი მზერისას თვალწინ ჯენი მიდგა.

ბოლოს წამოვდექი და ერთხანს უმიზნოდ ვიხეტიალე ჩაბნელებულ ხეივნებში. იმ გუბურის ახლოს, დაბალი ბუჩქნარით შემორგულ მოედანზე, აღმოვაჩინე მარმარილოს კვარცხლბეკი, კიდევ ერთი ქანდაკების ნამტვრევით. ეს გახლდათ მამაკაცის დაკუნთული ფეხი, რომელიც, ადვილი შესაძლებელია, პოლიფემს* ეკუთვნოდა. და ალბათ, რომელიმე ფილოლოგი მთლად უმართებულო არ იქნებოდა, თუ შეუდგებოდა იმის მტკიცებას, რომ ეს იყო გალათეას* მარმარილოს ქანდაკება, რომელიც ეჭვიანი და აღვირახსნილი ღმერთებას ვაჟიშვილისაგან თავის დაღწევას ზღვაში ცდილობსო.

ჩემში ხელოვანმა გაიღვიძა. დამაინტერესა, თვითონ ამომეცნო — გალათეა იყო იგი თუ ვენერა. ამიტომ ისევ უკან უნდა მივბრუნებულიყავი, უფრო ყურადღებით რომ დავკვირვებოდი ქანდაკებას, მაგრამ რომელ ხეივანშიც არ შევუხვიე, იმ გუბურას ვერა და ვეღარ მივაღწიე. ბოლოს, როცა გვერდითი ბილიკიდან ფართო ხეივანში გავედი, მის ბოლოში ალაპლაპებულ წყალს მოვკარი თვალი. მივიჩნიე, რომ ისევ იმ ადგილას ვიდექი, საიდანაც პირველად გავედი გუბურას პირას. უცნაური მხოლოდ ის იყო, ამდენ ხანს როგორ ვერ მოვაგენი აქაურობას. მაგრამ თვალებს ვერ დავუჯერე: მართალია, გუბურას შუაში კვარცხლბეკი ისევ ამოშვერილიყო წყლიდან, მისი ჩაბნელებული სიღრმიდან კვლავაც კიაფობდა თეთრი შროშანები, მაგრამ მარმარილოს ქანდაკება აღარსად ჩანდა. ვერ გამეგო, რა მოხდა და კარგა ხანს ცარიელ ადგილს ვაკვირდებოდი. როცა ბოლოს გუბურას იქითა ნაპირისაკენ გავიხედე, დავინახე მაღალი ხეების ჩრდილს შეფარებული

ქალის თეთრი სხეული. იგი ნაპირზე მდგარ ხეს მიჰყუდებოდა და წყალში იყურებოდა. აი თითქოს შეინძრა კიდეც, რადგან მართალია ისევ ჩრდილში იდგა, მაგრამ ერთბაშად მის თეთრ კაბაზე მთვარის სხივი ათამაშდა... ნეტა რა იყო? ნუთუ ძველი ღმერთები ღამით შემოივლიდნენ? საამისოდ სწორედ რომ შესაფერი ღამე იყო. თეთრ ყვავილებს შორის წყალში ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ხეთა ტევრში ერთი ფოთლიდან დაქანებული ნამის წვეთი მეორეს ეცემოდა. ხანდახან ნაპირზე მდგარი ხიდან მომწყდარი წვეთი ნელი წკაპანით ვარდებოდა გუბურაში. ბაღის შორეული კუთხიდან ბულბულის სტვენა აქამდე აღწევდა. გუბურის დაჩრდილულ ნაპირს გავუყევი. ახლო რომ მივედი, ქალმა თავი ასწია და მე დავინახე ჩემსკენ მოპყრობილი ჯენის ფერგამკრთალი წარმტაცი სახე. მთვარე ისე ანათებდა მის სახეს, რომ ვარდისფერ ბაგეებს შორის კბილთა მოცისფრო მანანქარიც თვალნათლივ შევნიშნე.

— ეს შენ ხარ, ჯენი? — შევძახე მე.

— მე ვარ, ალფრედ! — გამეპასუხა იგი და ჩემსკენ წამოვიდა.

— აქ როგორ მოხვედი?

— ეტლიდან პარკის მეორე შემოსასვლელთან ჩამოვხტი.

— მე კი მეგონა, კვარცხლბეკიდან ქალღმერთი ძირს გადმოვიდა-მეთქი.

— ქალღმერთი კარგა ხანია კვარცხლბეკიდან ძირს გადმოსულა თუ გადმოუგდიათ. მაგ კვარცხლბეკზე იგი არასოდეს არ მინახავს.

— რას ამბობ, მე კი ამ თხუთმეტიოდე წუთის წინ ვნახე!

ჯენიმ უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— შენ ალბათ იქით იყავი, მეორე გუბურასთან. მარმარი-

ლოს ქანდაკება იქ ახლაც დგას. აქ კი ღმერთები არ არიან, არის მხოლოდ ადამიანის საბრალო ნაშიერი, რომელსაც დახმარება სჭირდება.

— შენ გჭირდება, ჯენი, დახმარება?

ჯენიმ ბეჯითად დაიქნია თავი.

— თუკი შენ მართლაც ისე კარგად მიცნობ, გუშინ რომ ეარწმუნებდი, მითხარი რა გაგიჭირდა?

— ფული! — მომიგო მან.

— შენ გჭირდება ფული! — გაოცებით შევხედე ამ მდიდრის ქალიშვილს.

— ნუ მკითხავ, რად მჭირდება, — მიპასუხა ჯენიმ. — მალე გაიგებ: — შემდეგ მან ჯიბიდან ამოიღო ცხვირსახოცი და ეთვარის შუქზე გამომიწოდა ზედ დაწყობილი ოსტატურად ნაჭედ ბუდეებში ჩასმული მწვანე ქვებიანი სამკაული. — მე თვითონ ვერ გავყიდი ამ ნივთს, — დაიწყო მან.—შენ ხომ ვერ გამიყიდი ხვალ?—და რაკიღა ჭოჭმანი შემატყო, სწრაფად დაუმატა:—ეს არც ნაჩუქარია და არც საგვარეულო განძი. თვითონ ვიყიდე ერთხელ ჯიბის ფულით.

— მაგრამ რატომ მამაშენს არ შეატყობინებ ამ ამბავს?— ალმომხდა მე.

ჯენიმ თავი გაიქნია.

— მე კი მეგონა, მამაშენი უარს არაფერზე არ გეუბნებოდა, — დავასრულე ჩემი ნათქვამი.

— მართალია, ალფრედ, მამაჩემი უარს არაფერზე არ მეუბნება! — ჯენის ხმაში მწვავე გულისტკივილი გამოკრთა,— მაგრამ არ მინდა ამ კაცს რაიმე ვთხოვო.

ჯენიმ ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხია, ჩვენს უკან ჩრდილში მიდგმულ სკამზე ჩამოჯდა და თავი ხელებს დააყრდნო.

— ნუთუ ასე აუცილებელია მისი გაყიდვა?—ვკითხე მას.

ჯენიმ ამომხედა და თითქმის მოკრძალებით მითხრა:

— იმ ფულით ჩემი ერთი წმინდა ვალი უნდა მოვიხადო.

— ნუთუ სხვა რამ გამოსავალი არ არის?

— სხვას ვერ ვხედავ.

— კარგი, მაშ მომეცი ეგ სამკაული.

მან გამომიწოდა, და, თუმცა გული მეწინააღმდეგებოდა, ძვირფასი ნივთი გამოვართვი. ჯენი ხმის ამოუღებლად მიეყრდნო სკამის საზურგეს. მთვარის სხივი ანათებდა კალთაზე დადებულ მის პატარა ხელს და, როგორც მრავალი წლის წინათ, მის ფრჩხილებზე ახლაც შევამჩნიე ნახევარმთვარის ფორმის პატარა მუქი რკალები. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამის დანახვამ შემაკრთო და მათ თვალი ვეღარ მოვწყვიტე. ჯენიმ რომ ეს შეამჩნია, ხელი ჩრდილისკენ წაიღო.

— ერთი სათხოვარიც მაქვს, ალფრედ! — მითხრა მან.

— მითხარი, ჯენი!

მან ოდნავ დახარა თავი.

— მრავალი წლის წინათ, — დაიწყო მან, — როცა ბავშვობისას ერთმანეთს დავემშვიდობეთ, მე ერთი პატარა ბეჭედი მოგეცი. გახსოვს?

— რატომ ეჭვობ, რომ მახსოვს?

— თუ ამ პატარა ძვირფას ნივთს ისე აფასებდი, რომ აქამდე შემოინახე, — განაგრძო ჯენიმ, — ძალიან გთხოვ, დამიბრუნო!

— თუკი უკანვე მთხოვ, — წყენით მივუგე, — რა უფლება მაქვს, არ დაგიბრუნო.

— ვერ გამიგე, ალფრედ! — შესძახა ჯენიმ. — ო, ეგ ხომ ერთადერთი ნივთია, დედას რომ მაგონებს!

მე უკვე ამოვაძვრე ყელსახვევიდან ზონარგაყრილი ბეჭედი.

— აჰა, ჯენი. მაგრამ, მაპატიე, თუ გეტყვი, რომ მაინც მეწყინა.

ქალიშვილი ფეხზე წამოდგა. შევამჩნიე, როგორ გადაუარა სიწითლემ მის სახეს, მაგრამ ხელი უნებლიეთ ბეჭდისკენ გამოიწვდინა და მოუთმენლად წაეტანა. თავს დავძლიე, რომ ბეჭედს ასე იოლად შევლეოდი და ისევ ხელში მეჭირა.

— ამ ცოტა ხნის წინათ, — დავიწყე მე, — ეს ბეჭედი ჩემთვის ჩემი ბავშვობის მშვენიერი მეგობრის გასახსენებელ სამახსოვროს წარმოადგენდა. ახლა კი იმ დღეთა მანძილზე, რაც აქ გავატარე, სხვა რამედ იქცა.

უცბად გავჩუმდი, რადგან ჯენიმ ისე შემომხედა, თითქოს რაღაც დიდი ტკივილი მიმეყენებინოს.

— ასე ნუ მელაპარაკები, ალფრედ! — შემეხვეწა იგი.

ამ სიტყვებს ყურადღება არ მივაქციე და ჯენის ორივე ხელი დავუჭირე. ქალიშვილს წინააღმდეგობა არ გაუწევია.

— წაიღე, ჯენი, ეს ბეჭედი, — შევძახე მე, — ოღონდ სამაგიეროდ შენი ხელი მომეცი!

მან ნელა გააქნია თითი.

— ფერადკანიანის ხელი, — ყრუდ თქვა ჯენიმ.

— შენი ხელი, ჯენი! სხვა რამ რა ჩვენი საქმეა!

ჯენი ისე წამოდგა, რომ არ შერხეულა. მხოლოდ მისი ხელის ცახცახზე ვატყობდი, რომ ცოცხალი იყო.

— ვიცი, ალფრედ, რომ ჩვენ ორივე მშვენიერნი ვართ, როგორც ის ცოდვა, რომელმაც დასაბამი მისცა ჩვენს არსებობას, — თქვა მან ბოლოს, — მაგრამ მე არ მინდა გაცდუნო.

მაგრამ, როცა უსიტყვოდ გავიწოდე მისკენ ხელები, იგი ერთბაშად გულში ჩამეკრა, მკლავები მაგრად მომხვია კისერზე,

თვალები მომაპყრო და მე ჩავხედე მის უძირო, ანთებულ შავ თვალებს.

— დიახ, ჯენი, — ასე მეგონა, თრთოლვამ, რომელმაც ხეებს დაუარა, ახლა მეც მომიცვა-მეთქი, — შენ მაცდუნებლად წარმტაცი ხარ. ის დემონური ქალღმერთიც კი არ იქნებოდა შენზე წარმტაცი, ვინაც ერთ დროს ადამიანებს გონება აურია და დაავიწყა ყოველივე, რაც კი ოდესღაც უყვარდათ! იქნებ თავად შენა ხარ იგი და ამ ნეტარ ღამით იმიტომ დადიხარ, რომ გააბედნიერო ისინი, ვისაც ჯერ კიდევ შემორჩათ შენი რწმენა?.. არა, თავს ნუ დაისხლეტ, მე ხომ ვიცი, რომ შენც მიწიერი არსება ხარ ჩემსავით, რომელიც შენი მომხიბვლელობის მსხვერპლი შეიქმნა. შენც ისე უკვალოდ გაქრები, როგორც აი ეს ღამის სიო, ხეთა ფოთლებში რომ დაციგლიგობს. მაგრამ ნუ დასწყევლი იმ იდუმალ ძალას, რომელმაც თავდავიწყება ერთურთის მკერდზე გვაპოვნინა. შესაძლოა, ჩვენს მომავალს აქ ჩვენდა უნებურად ჩავუყაროთ საძირკველი, მაგრამ იმ შენობას, რომელიც მასზე უნდა დაშენდეს, ჩვენ საკუთარი ხელებით ავაგებთ.

ჯენის ნაზად გავაშვებინე კისერზე შემოხვეული ხელები და ხელი წელზე შემოვხვიე. შემდეგ ზონარიდან ბეჭედი მოვიგლიჯე და თითზე გავუკეთე. იგი დამშვიდებული ბავშვივით მომეყრდნო და ჩემს ნაბიჯს ფეხი ნელა ააყოლა. როცა, რამდენიმე ხნის შემდეგ მეორე გუბურას პირას აღმოვჩნდით, ვენერას ქანდაკება მართლაც ისევე თეთრ შროშანთა შორის აღმართულიყო, ხე კი ახლა მტკიცედ ვიცოდი, რომ მკერდზე მიწიერი არსება მყავდა მიხუტებული.

ტაატით ვვიდოდით, მაგრამ შორეული დაჩრდილულ ხეივნებიდან ბოლოს მაინც ბოსკეტში გავედით, ხოლო ბოს-

კეტიდან სახლის წინ, მოედანზე. კორდს იქით ღია კარიდან დავინახეთ, როგორ მიმოდიოდნენ დარბაზში ჩემი ძმა და მისი ცოლი და მეგობრულად საუბრობდნენ.

ჯენი დაიხარა და გონს მოგებაც ვერ მოვასწარი, მკლავებიდან გამისსლტა, მერე ისევ სწრაფად ჩამკიდა ხელი

— ამისრულე, რასაც დამპირდი, ალფრედ, — მითხრა მან, — ხოლო დანარჩენი ყველაფერი, — ძლივს გასაგონად დაუმატა ჯენიმ, — დაივიწყე!

და როცა ღია კარებში გრეტა გამოვიდა და გამოგვძახა: „ჯენი, ალფრედ, ეს თქვენა ხართ?“ — ჯენიმ დაბეჯითებით მთხოვა:

— დღევანდელ ამბავზე სიტყვას ნურავის ეტყვი, ნურც დედაშენს. არ შეიძლება გული ვატკინოთ.

— შენი არა მესმის რა, ჯენი!

მან ხელი მგზნებარედ მომიჭირა და ერთი წამის შემდეგ ტერასაზე იდგა გრეტას გვერდით. განათებულ დარბაზში რომ შეეედით, გრეტამ თავი გადაიქნია, და ჯერ ერთს დაგვაშტერდა, მერე მეორეს.

დაპირების შესასრულებლად დილაადრიან ქალაქში ცხენით გავეშურე. ორ სხვადასხვა ოქრომჭედელს შევაფასებინე სამკაული. მისი ღირებულება დიდი აღმოჩნდა. იმჟამად ფული საკმაოდ მქონდა და სამკაული შემეძლო ჯენისათვის შემენახა. სამკაულის ფასის შესატყვისი თანხა ოქროზე გადავცვალე და ერთმანეთზე დაწყობილი მონეტები ერთად შევახვიე. ამ საქმეს რომ მოვრჩი, ერთხანს თვალწარმტაც ნავსადურში გავიარ-გამოვიარე. შორს, რეიდზე, იდგა

შზით გაბრწყინებული დიდი ხომალდი. როგორც ერთმა მეზღვაურმა მაცნობა, ეს იყო ვესტ-ინდოეთში მიმავალი ბრიგი.* იგი აფრების ასაშვებად მზად იყო.

„ჯენის სამშობლოში“, გავიფიქრე მე და მასზე ფიქრი ისე დამეუფლა, რომ იქ გაჩერება აღარ შემეძლო და შინისაკენ გამოვეშურე.

სადილობამდე ტერასაზე ავედი. აქ არავინ დამხვედრია, მაგრამ ღია კარიდან ბაღში საკმაოდ მოშორებით დავინახე ჯენი და ვიღაც გამხდარი ხანდაზმული ბატონი. ბატონმა ჯენის ხაზგასმული თავაზიანობით მკლავი გაუწოდა და სახლისაკენ წამოიყვანა. ახლოს რომ მოვიდნენ, შევამჩნიე, მამაკაცს თმა თითქმის მთლად თეთრი ჰქონდა, სახის კანი კი მეტისმეტად მუქი. მახვილი თვალები მბრძანებლურად გამოიყურებოდა, ხოლო თავის სწრაფი მოძრაობა იმას გაგრძნობინებდათ, რომ ეს კაცი უფროსობას იყო ჩვეული. მის გარეგნობას სათანადო იერს აძლევდა თეთრი ყელსახვევი და დახუჭუჭებულ ჟაბოში გარჭობილი დიდი ბრილიანტისთვლიანი ქინძისთავი. მაშინვე მივხვდი, ეს ჯენის მამა იქნებოდა, მდიდარი პლანტატორი და ბიძაჩემი, რომელიც აქამდე არასოდეს მენახა. იგი სწორედ ისეთი აღმოჩნდა, როგორც ბავშვობისას ფანტაზიით წარმომედგინა. გავიგონე უცხო აქცენტით წარმოთქმული სიტყვები. იგი ქალიშვილს ელაპარაკებოდა, სიტყვებს რაღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა და ვერ ვგებულობდი. ჯენი მხოლოდ უსმენდა.

მასთან შესახვედრად მზად არ ვიყავი, ამიტომ სანამ მამაშვილი ტერასაზე ამოვიდოდნენ, დარბაზი მივატოვე და ზემო სართულში ავედი. ჯენის ოთახის კარი ღია დამხვდა, შიგ შევედი და ჩვენი შეთანხმებისამებრ სამკაულის საფასური კარს

ზემოთ განჯინაში შევდეევი. აქედან ჩემს ოთახში გავედი და დაღლილი და აღელვებული დივანზე მივეგდე.

ალბათ, ორიოდ წუთი თუ გავიდა, რომ კიბეზე ფეხის ხმა გავიგონე. მალე ჩემი ოთახის გვერდით მდებარე დიდ ოთახში ორნი შევიდნენ. იმ ოთახში გამავალი კარი დივანის პირდაპირ იყო. ამჟამად კარი დახურული იყო, ფანჯარას კი იქითა მხრიდან თეთრი ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული.

ხმით გავიგე, რომ ჯენი და მამამისი ამ ოთახში შევიდნენ, მაგრამ ბოლოში იყვნენ და მათი საუბარი არ მესმოდა. მერე კი, როცა თანდათან მოახლოვდნენ, ჩემი ოთახიდან გამოსვლა მოვინდომე, მაგრამ პირველსავე სიტყვებმა მაიძულეს ადგილზე დავრჩენილიყავ და სუნთქვაშეკრულს ამქვეყნად ყველაფრის არსებობა დამევიწყებინა, გარდა მათი საუბრისა.

— შენი იქ დარჩენა არ შეიძლებოდა! — მომესმა მამის ხმა, რომელიც ისევ ისე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა სიტყვებს.

— რატომ არ შეიძლებოდა? — იკითხა ჯენიმ.

გავიგონე, როგორ გაიარ-გამოიარა ოთახში მამამისმა რამდენჯერმე, მერე გაჩერდა და დაიწყო:

— რაკიღა მაიძულებ, გითხრა, მისმინე კიდეც: დედაშენის წარმოშობის გამო შენ ვერასოდეს შედგამდი ფეხს იმ საზოგადოებაში, რომელსაც მამაშენი ეკუთვნის.

— და ჩემი საკუთარი წარმოშობის გამოც, — დაუმატა მამის ნათქვამს ჯენიმ. — ეს მე კარგად ვიცი.

— კარგად იცი? მერე და ვინ გელაპარაკა ამ საკითხზე?

— არავინ. თავად წავიკითხე.

— რაკიღა ასეა, მაშ ისიც გეცოდინება, თუ რად გამოგა-

გზავნე ევროპაში. მგონი, ამის გამო შენგან მადლობა მეკუთვნის.

— დიახ, ისევე, როგორც იმის გამო, რომ ამქვეყნად მოვლენასაც შენ უნდა გიმადლოდე.

მამას ამაზე არაფერი არ უთქვამს. მაგრამ ფანჯარა გაიღო და მოძრაობაზე მივხვდი, როგორ გადაეყუდა კაცი ფახჯარაში და აღელვებულმა ხველება დაიწყო. ჯენი ზურგით იმ კარს მიყრდნობოდა, რომელიც ორივე ოთახს ჰყოფდა. ჩამოფარებულ ფარდაზე ვხედავდი მისი თავის ჩრდილს და მესმოდა მისი კაბის შრიალი.

რამდენიმე ხნის შემდეგ მამამისი უკანვე მობრუნდა.

— შენთვის ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, — დაიწყო მან. — მართალია, ჩემთვის არაფერი გითხოვნია, მაგრამ არ ვიცი, კიდევ რა სურვილი შეიძლებოდა გქონოდა.

ჯენი ნელა დაიძრა და მამისკენ წავიდა.

— სად არის დედაჩემი? — იკითხა მან.

— დედაშენი, ჯენი! — ისე წამოიძახა კაცმა, თითქოს ყველაფრის თქმას აიტანდა ქალიშვილისაგან, ოღონდ ეს კითხვა არ დაესვა. — შენც კარგად იცი, იგი ცოცხალია და ყველაფრით უზრუნველყოფილი.

— და ახლა, როცა შენი ახალი სახლი მზადაა და ავეჯით გაწყობილი, — ულმობლად განაგრძო ჯენიმ, — იმედია, შენ ყველაფერი იღონე, რომ იგი აქ ჩამოვიდეს და ჩვენთან ერთად იცხოვროს, არა?

გავიგონე, როგორ გაიარ-გამოიარა დიდ ოთახში მამამისმა მტკიცე ნაბიჯით, მერე ისევ შვილთან მივიდა:

— ჯერაც ბავშვი ხარ, ჯენი, — ხმადაბლა წარმოთქვა მან მკვეთრი აქცენტით, — შენ არ იცი, როგორია ცხოვრება იმ

ქვეყანაში, სადაც დაიბადე, არც უნდა იცოდე. — და თითქოს ეს მოხუცი ვაჭარი მოგონებებმა მოაჯადავესო, ისე განაგრძო: — წარმოუდგენლად მომხიბვლელი იყო ეს ქალი, ზღაპრულად მშვენიერი, როცა თეთრ სამოსელში გამოწყობილი მანგოს* ფართო მწვანე ფოთლების ფონზე ქანაობდა ჰამაკში გადაწოლილი, მის ქვემოთ მზით ალაპლაპებული ზღვის უბე გაშლილიყო, ზემოდან კი მოლურჯო-ფოლადისფერი ტროპიკული ზეცა დაჰნათოდა, როცა იგი თავის ჩიტუნებთან ერთობოდა ანდა ოქროსფერი ბურთით თამაშობდა! ოღონდ მისი ლაპარაკი არ უნდა გაგეგონა. მისი მშვენიერი ბაგეები ჯახირითა და ტანჯვით ამოისროდა ზანგების ენაზე დამტვრეულ სიტყვებს. ეს იყო ბავშვური რატრატი... მას არ შეეძლო, ჯენი, შენ ისე გაეზარდე და ჩამოეყალიბებინე, როგორიც ახლა ხარ.

ჯენი ისევ კარზე იყო აყუდებული.

— და ამიტომ წაართვი დედას შვილი? ის ყვიროდა, ო, როგორ ყვიროდა, როცა მას ბავშვი გამოჰგლიჯე და ტრაპით გემზე გადაიყვანე. ეს იყო უკანასკნელი, რაც დედისგან გავიგონე... მე მალე დამავიწყდა ეს ხმა, რადგან მაშინ პატარა ვიყავი და დახსომება არ შემეძლო. ღმერთმა შემინდოს ამის გამო... მაგრამ ახლა კი ყოველღამ მისი ძახილი მიდგას ყურში. ვინ მოგცა შენ იმის უფლება, რომ ჩემი მომავლის საზღაურად დედაჩემი გაგეუბედურებინა?!

ფარდიდან შევამჩნიე, ამ სიტყვების თქმაზე, როგორ ამაყად გასწორდა წელში ჯენი.

მამამ, როგორც ჩანდა, ხელი ჩაჰკიდა ჯენის.

— გონს მოდი, ჯენი, — წარმოთქვა მან. — იძულებულ

ვიყავ თქვენ ორს შორის არჩევანი გამეკეთებინა... შენ კი შვილი ხარ ჩემი.

იმ გულთბილმა, თითქოს ნაზმა კილომ, მამამ რომ ეს სიტყვები წარმოთქვა, ჯენიზე, როგორც ჩანდა, არავითარი გავლენა არ მოახდინა.

— შენ ჩემს კითხვაზე არ გიპასუხნია, — მიუგო მამას. — საზღაური, რომელიც შენ ჩემს აღზრდას შესწირე, არც შენ გეკუთვნოდა და არც მე, იგი კუთვნილებისამებრ უნდა დააბრუნო, სანამ დრო არის. მიპასუხე, იცხოვრებს თუ არა დედაჩემი ჩვენთან ერთად შენს ახალ სახლში?

— არა, ჯენი. ეს შეუძლებელია!

ამ სიტყვებს დუმილი მოჰყვა. რას განიცდიდა ჯენი ამ წუთში ან როგორ აისახა იგი მის სახეზე, მე ვერ გავიგე.

— კიდევ ერთი სათხოვარი მაქვს შენთან, — მიმართა ბოლოს მამას.

— მითხარი, ჯენი,—აჩქარებით გაეპასუხა მამა — მითხარი, რა გსურს და თუკი ჩემს ძალ-ღონეს არ აღემატება...

— გთხოვთ, იმ ხნის მანძილზე, შენ რომ პირმონტში იქნები, მე აქვე ვიყო, ჩვენს მეგობრებთან.

ჯენის მამა ერთხანს დუმდა. ბოლოს მიუგო:

— თუ კი მამასთან ყოფნას აქ გირჩევნია, რაღა მეთქმის.

ჯენის აღარაფერი უთქვამს, ოღონდ ეს ჰკითხა, თუ შეიძლება ახლა მიგატოვოო?

— თუკი აღარაფერი გინდა მითხრა, მაშინ მეც დაბლა ჩამოვალ, — მიუგო მამამ.

ამის შემდეგ კარი გაიღო და გავიგონე, ტალანზე გავლილთ, როგორ დაეშვნენ ისინი კიბეზე. მე ისევ ოთახში დავრჩი, სანამ სადილად არ დამიძახეს.

როცა ძმამ ჯენის მამასთან წარმადგინა, მან თვალი სწრაფად ამავლ-ჩამავლო, თითქოს ჩემს პიროვნებას აფასებსო, შემდეგ სწავლისა და მოგზაურობის ამბები გამომკითხა და ამით დაინტერესდა, შემეძლო თუ არა მიღებული ცოდნის სამშობლოში გამოყენება. ეს ყველაფერი თითქოს გამოცდას წააგავდა. ბოლოს თავაზიანად მთხოვა, როგორც კი სამკურნალო წყლებიდან დავბრუნდები, მეწვიეთ და ახლადნაგები სახლის თაობაზე თქვენი ავტორიტეტული აზრი გამიზიარეთო. ამ მამაკაცის თავაზიან თავდაჭერაში ვერ იგრძნობდით ვერაფერს იმ ამბისას, რაც იმ ცოტა ხნის წინ მასა და ქალიშვილს შორის მოხდა.

მაგიდასთან იგი დედაჩემის გვერდით იჯდა და თავაზიანი საუბრით ართობდა. როცა დედამ საუბარი ერთად გატარებულ ახალგაზრდობაზე ჩამოაგდო, ჯენის მამამ ხუმრობის უნარ კი გამოამჟღავნა. სტუმარმა თავის მეზობელს გაახსენა მშილიურ ქალაქში მოწყობილი მეჯლისები, დარბაზი „ჰარმნია“, სადაც ისინი ერთად ცეკვავდნენ ხოლმე, კედლის შპალერზე მთელი ტანით გამოსახული მსუქანი ამური.

—ახალგაზრდა ქალებს ამ ამურისა ისე ეშინოდათ, — განაცხადა ჯენის მამამ, — რომ მოცეკვავენი იმ მხარეს თითქმის არ ეკარებოდნენ.

— თქვენ კი, ბიძაშვილო, — მიუგო დედაჩემმა, — სულ იმას ცდილობდით, რომ თქვენი მეწყვილე მაინცდამაინც იმ ნახატისკენ წაგეყვანათ, — ჯენის მამამ დედაჩემს გალანტურად დაუკრა თავი:

— მე ხომ ვიცოდი, ბიძაშვილო, — შენიშნა მან, — რომ ჩემთან ყოფნისას ამურისა არ გეშინოდათ.

მე შევამჩნიე, ამ სიტყვებზე როგორ გადაურბინა დედა-

ჩემის ჯერაც მიმზიდველ სახეს ოდნავმა სიწითლემ. და ჩემდა უნებურად გამეღვა, ვინ იცის, იქნებ ერთ დროს ისინიც ისე მიისწრაფოდნენ ურთიერთისაკენ, როგორც ახლა ჩვენ, მათი შვილები. ამ სიტყვებზე მაღლა აიხედა ჯენიმაც, რომელიც აქამდე სრულიად გულგრილად იჯდა და საჭმელსაც თითქმის არ მიჰკარებია, იქნებ მამისაგან მას არასოდეს გაეგონა ასეთ სამხიარულო ამბებზე საუბარი. სუფრასთან ყოფნისას ჯენისთვის მამას ერთხელაც არ მიუმართავს, მიმოსვლის სხვადასხვა საშუალებებზე საუბრობდა ჩემ ძმასთან.

შემდეგ, როცა მოგვიანებით ყავა შემოიტანეს, დედაჩემს მიმართა:

— თქვენი შვილების კეთილი მასპინძლობის გამო ჯენის სურს, რომ ერთხანს ისევ აქ დარჩეს. ხვალ მარტო გავემგზავრები. კარგა ხანია ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ, ჩემო ბიძაშვილო. როცა ამის საშუალება მოგეცემათ, მოუყევით მას ჩვენი ახალგაზრდობის ამბები. მალე მოხუც მამასთან ერთად მოუწევს ცხოვრება და, ვგონებ, ცუდი არ იქნება, რომ მისი ახალგაზრდობის ამბებიც შეიტყოს. — ჯენის მამამ თავისი ახალგაზრდობის მეგობარს ხელი ჩამოართვა, ფეხზე წამოდგა და დაუმატა: — ამით კარგ სამსახურს გამიწევთ, ბიძაშვილო.

დღე ისე იწურებოდა, რომ ჯენის ცალკე ვერ შევხვდი. აშკარად ეტყობოდა, ჩემთან შეხვედრას გაურბოდა.

გრეტაც მთელ დღეს საოჯახო საქმეებში იყო გართული. მეორე დღეს, როგორც კი სტუმარი გაემგზავრა, გრეტა ჩემთან ბაღში მოვიდა. გულხელი დაიკრიფა, მძიმედ ამოიოხრა და ღიმილით მითხრა:

— როგორც იქნა, ისევ დავრჩით მახლობლებს შორის.

ჩემდა სამწუხაროდ, გავიგე, რომ ჯენი სადილობამდე აპი-

რებდა წასვლას ქალაქში რამდენიმე დღით, რომ იქ ეკონომ ქალთან ერთად მამამისის ახალი სახლისთვის რაღაც ავეჯეულობა შეეძინა.

როცა სამგზავროდ ჩაცმული ჯენი ტერასაზე გამოვიდა, იქ მარტო მე ვიყავი. ჯენიმ ხელი გამომიწოდა, მაგრამ მე შემოვწყერი, მარტო რად მტოვებ-მეთქი.

— რატომ მიკოდავ გულს, ჯენი, ნუთუ ასე საჭიროა მაგ ავეჯის შეძენა?

ჯენიმ თავი გაიქნია და მშვიდად და დაკვირვებით შემომხედა. მის თვალებში — სხვა რამ ვერ დამირქმევია — რაღაც ამაღლებული ოცნების ანარეკლი ჩამდგარიყო.

— მაინც მიდიხარ და ისიც ახლავე? — კვლავ ვკითხე ჯენის.

— არ შემიძლია, ტყუილი გითხრა, ალფრედ, მეც არ მინდა, მაგრამ მოვალე ვარ. სხვაგვარად არ შემიძლია.

— მაშ მეც ყოველდღე ჩამოვალ ხოლმე და წაგეხმარები ჯენი შეკრთა.

— არა, არა! — შესძახა მან. — რა საჭიროა!

— რატომ არა?

— რა ვიცი, ნუ მეკითხები! გამიგონე, არ ჩამოხვიდე!

— ნუთუ არ მენდობი, რომ გული გამიხსნა, ჯენი?

მან ისე შესაბრალისად ამოიოხრა, რომ ამის მსგავსი არასოდეს არაფერი მომისმენია. მერე ხელები ჩემკენ გამოიწვდინა, აღარავისი არ მოერიდა და ისევე, როგორც იმ იდუმალ ღამეს, გულში ჩამეკრა, თუმცა ამჟამად მზე ჩახჩახებდა.

— მაშ, კარგი, წადი, ოღონდ დიდხანს არ დარჩე — ვთხოვე მე. — ჩემი აქ ყოფნის დროც იწურება, მამაჩემი შინ მიმელის.

ჯენის ხმა არ ამოუღია და მე შევხედე მის მშვენიერ, ფერმკრთალ სახეს. თვალები მიელულა, თითქოს სამარადისოდ სურდა აქ, ჩემს მკერდზე დარჩენილიყო.

ეს მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა. უცბად ხელიდან დამისხლტა და ჩვენ გავემართეთ კარისაკენ, სადაც ეტლი უკვე უცდიდა. შიგ რომ ჩაჯდა, დედაჩემმა ხელი დაუჭირა და უთხრა:

— ნუ ტირი, ჩემო გოგონი! ისე ტირიხარ, გეგონება, გული რაღაც ავს შემოგკვნესისო.

მზიანი ამინდები გრძელდებოდა, ჩემთვის კი ყოველი დღე დაბინდული იყო. კიდევ კარგი, რომ ძმამ ახალი სამეურნეო შენობების დაპროექტება დამავალა და ამოსუნთქვის საშუალებას აღარ მაძლევდა. ადვილი არ იყო მისი პრაქტიკული მოთხოვნების შერწყმა ჩემს მხატვრულ გემოვნებასთან, რომელზეც უარის თქმა არ შემეძლო. ხშირად შეუბრალებლად გადამიხაზავდა ზოგიერთ მონახაზს, ამა თუ იმ საკითხზე ზოგჯერ დიდხანს ვკინკლაობდით და ბოლოს უკეთესი ვარიანტის შესარჩევად ქალებს ვუხმობდით ხოლმე.

ჯენის წასვლიდან მეოთხე დღე იყო. ჩემს ოთახში ვიჯექი და ვმუშაობდი, მაგრამ საქმე რაღაც ისე აღარ გამომდიოდა. ვიფიქრე, რაისფედერია-მეთქი უვარგისი, და ახლის ამოსაღებად ჩემოდანი გავხსენი. შინ ჩალაგებული თეთრეული რომ ამოვქექე, ხელში დაკეცილი ფურცელი მომხვდა: „ჯენისაგან“ — ეწერა ფურცელს, შიგ კი ის კუს ჯავშნის ბეჭედი იდო, მე რომ ამასწინათ თითზე გავუკეთე. ბეჭედში აბრეშუმის ძაფისებრ ნაზი შავი თმის გრძელი დალალი იყო გაყრილი.

პირველად აღტაცების თრთოლვამ მომიცვა, რადგან უსაყვარლესი ადამიანის უშუალო სიახლოვე ვიგრძენი. შემდეგ რაღაც გაურკვეველი შეშფოთება დამეუფლა. ქალალდი ყოველ მხრიდან შევათვალიერე, მაგრამ ზედ არც ერთი ასო, არავითარი ნიშანი არ იყო.

ერთხანს მუშაობის განგრძობა ვცადე, მაგრამ ვეღარ შევიძელ. დარბაზში ჩავედი, სადაც ჩემი ძმა და რძალი ჯენიზე ლაპარაკობდნენ.

— მაგრამ ასეთი თვალები! — წარმოთქვა გრეტამ, როცა დარბაზში შევედი.

ქმარს ეტყობოდა, გახუმრება უნდოდა, რადგან უპასუხა:

— ნუთუ ასეთი ველური თვალები მშვენივრად ვიგაჩნია?

— ველურიო, ჰანს? თანაც მშვენიერი არ არისო? ...თუმცა შენ მართალი ხარ, ეს თვალები იმდენად მშვენიერია, რომ ძალაუნებურად ეწინააღმდეგები მათ მომხიბვლელობას, ხოლო შემდეგ... — გრეტა გაჩუმდა და შემწყალებელი ღიმილით ახედა თავის ახოვან ქმარს.

— რა, შემდეგ, გრეტა?

— ეს ყველაფერი სხვა არა არის რა, თუ არა თავდაცვის ცდა. გულახდილად მითხარი, ჰანს, უკვე იგრძენი, რომ ივი შენთვის საშიში ხდებოდა?

— ასე იქნებოდა, შენ რომ არ მყოლოდი!

— არა, მაინც, მიუხედავად იმისა, რომ მე გყავარ.

ძმამ ცოლს სიცილით გაუწოდა ხელები.

— აჰა ეს ხელები, მტკიცედ გეჭიროს, — უთხრა მან გრეტას, — და ყველაზე მომხიბვლელი ეშმაკიც კი ვერ შემაცდენს.

მისმა ცოლმა ეს სიტყვები აინუნში არ ჩააგდო.

— ეშმაკები თქვენს სულში, მამაკაცების სულში სხვადან! — შესძახა გრეტამ. — ისე კი, კაცმა რომ თქვას, აქ ბოლო ხანს რას ჩასციებიხარ მაგ საწყალ გოგოს, წინათ ხომ მუდამ რაინდულად ეპყრობოდი?

— წინათ კი ვეპყრობოდი, გრეტა, მაგრამ ახლა შეიცვალა. — ჰანსი ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე განაგრძო: — ამის თქმა ლამის მერიდება, მაგრამ ნამდვილად ასეა: მასში თავი იჩინა ვაჭრის ქალიშვილის ბუნებამ — ხარბი გახდა.

— ხარბიო! — შესძახა გრეტამ. — ეს კი უკვე მეტისმეტია! ეს ის ჯენია ხარბი, რომელიც პანსიონში, სასტიკი აკრძალვის მიუხედავად, მზად იყო საკუთარი კაბა გაეძრო და სხვისთვის მიეცა?

— ამჟამად იგი კაბას აღარავის მისცემს,— მიუგო ჩემმა ძმამ. — ძველმანებით მოვაჭრეს მისცემს და, ისიც უნდა მოგახსენო, რომ საკმაო ფასსაც გამოართმევს.

საუბარში არ ჩავრეულვარ, მათ ბაასს კი ყურადღებით ვისმენდი. ამ ბოლო სიტყვებმა უცბად საშინელი წინათგრძნობა გამიღვიძა. გადაწყვეტილება სწრაფად მივიღე.

— ცხენს არ მათხოვებ, ჰანს? — მივმართე ძმას.

— რასაკვირველია, მაგრამ საით აპირებ?

— ქალაქში მინდა წავიდე.

ძმის ცოლი მომიახლოვდა და თვალებში ჩამხედა.

— მეტი მოთმენა აღარ შეგიძლია, ალფრედ?

— არა, გრეტა.

— მაშ ჯენის ჩემი სალამი გადაეცი, ანდა, უკეთესი იქნება თუ აქ მოიყვან.

არაფერი მიპასუხნია. მალე ცხენს მივაგელვებდი. ერთ სა-

ათში ქალაქში ჩავედი, ჩემთვის კარგად ცნობილ ქუჩაზე გავედი, სადაც ჯენის მამის ახალი სახლი უნდა ყოფილიყო. სახლს ადვილად მივაგენი. რამდენჯერმე რომ დავრეკე, დიდი სახლის კარი ხანდაზმულმა ქალმა გამიღო. როცა ჯენი ვიკითხე, ქალმა გულგრილად მიპასუხა:

— აქ არ არის.

— აქ არ არის? — გავიმეორე მე და, ალბათ, ჩემს სახეზე ამ პასუხის გამო უკიდურესი შეშფოთება გამოისახა, რადგან მოხუცმა სახელი მკითხა.

როცა მას სახელი ვუთხარი და ისიც გავაგებინე, თუ საიდან მოვდიოდი, მოხუცმა გაჯავრებით მითხრა:

— მაშ რაღას მეკითხებით? ფროლაინი ხომ მეორე დღესვე უკან დაბრუნდა თქვენთან.

მოხუცს თავი მივანებე, ქუჩები უკან მოვიტოვე და ნავსადგურში სასწრაფოდ გავჩნდი. მზე უკვე დაბლა ეშვებოდა და დაისის მეწამული სხივები ზღვის ვრცელ ზედაპირს მოჰფენოდა. წინა დღეებში რეიდზე მდგარი ბრიგი* აღარსად ჩანდა. იქვე, მუშებისაგან, შევიტყვე ბრიგისა და მისი მფლობელის სახელი, მათ ისიც მითხრეს, რომ ხომალდი სამი დღის წინ გავიდაო. სხვა არა იცოდნენ რა, მხოლოდ ის მაცნობეს, თუ სად ათენებდა კაპიტანი ღამეს. მაშინვე იქით გავეშურე. მალე გავიგე, რომ ხომალდზე შავთმიანი ლამაზი ახალგაზრდა ქალიც ყოფილიყო. გემთმფლობელის კანტორაში შემთხვევით შოხუც ბუღალტერს მივასწარი, მაგრამ ვან არაფერი იცოდა, შეზავრების საქმეს მხოლოდ და მხოლოდ კაპიტანი განაგებდა.

სასტუმროში დავბრუნდი და ცხენი შევაკაზმვინე. შინისკენ შავრას ისე მივაჭენებდი, ჩემ ძმას რომ დავენახე, დაუზო-

გაობისათვის, ალბათ, რიგიანად მისაყვედურებდა. უკვე გვი
ანი იყო და ცაც ერთიანად ღრუბლებით გადაგრავნილი. ქარ
მკერდზე მეხლებოდა და თან მიჰქონდა ჩემი ფიქრები. მოჩ
ვენებასავით თვალწინ მედგა ის ხომალდი; ჯენი რომ მიჰყავ
და; ერთი ნაჭეცა წერტილი, გარშემოხვეული უკუნეთი ღა
მითა და ზღვის უდაბნოთი, გაუბედავად მიტორტმანებდ
წყლის სტიქიის თვალუწიერი უფსკრულის თავზე. ბოლო
ხეთა შორის ჩემი ძმის ეზო-მიდამოს შუქი გამოჩნდა.

აქ ყველა აღელვებული და დამწუხრებული დამხვდა
ბრიგ „ელიზაბეტიდან“ გამოგზავნილი ჯენის წერილი მოსუ
ლიყო. ზღვის გადაღმა, დედისკენ გავეშურეო, იტყობინებოდ
იგი, როგორც მე მითხრა, და აქაც წერდა, — წმინდა მოვალე
ობის შესასრულებლადო. მეტისმეტად გულითადი, სიყვარუ
ლით აღვსილი სიტყვებით გვთხოვდა, რომ გვეპატიებინა. წე
რილში ჩემი სახელი არ იყო ნახსენები, მაგრამ ჩემდამი მო
ძღვნილი მისი უტყვი სალამი მაინც ვიგრძენი. არც მამაზ
იწერებოდა რამეს.

მეორე დღეს მე და ჩემი ძმა ქალაქში წავედით, მაგრა
მხოლოდ იმაში დავრწმუნდით, რომ ბრიგ „ელიზაბეტს“ ვე
ღარ დავეწეოდით.

ჰანსთან ერთად შინ არ დაბრუნებულვარ და პირდაპი
პირმონტს წავედი. იქ ჩასვლის შემდეგ რამდენიმე წუთში უკ
ვე ჯენის მამის პირისპირ ვიდექი და ჯენის გაქცევის ამბავ
ვუყვებოდი. ვეგონა, ეს ამბავი მოხუცს გასტეხდა, მაგრამ მ
თვალებში ტკივილის ნაცვლად გაცოფება ამოვიკითხე. მაგი
დაზე დაწყობილი ხელები ისე დამუშტა, რომ ძვლები ზემო
ამოასხდა და ქალიშვილის წყევლა-კრულვას მოჰყვა.

— ჯანდაბამდეც გზა ჰქონია! — წამოიყვირა მან. — მაგა

ჯიშის ხალხს ვერ გაასწორებ. წყეულიმც იყოს ის დღე, როცა ამის შესაძლებლობა ვირწმუნე. — მერე უცბად გაჩუმდა, იქვე ჩაჯდა, თავზე ხელები შემოიწყო და თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო, ჩუმად წამოიწყო: — ამას რას ვამბობ! ეს ხომ ჩემი საკუთარი სისხლი და ხორცია. რაც მოხდა, ჩემი ბრალია. იმას რა ექნა, ჯერაც ბავშვია და დედა უნდოდა! — მერე ხელები გაშალა, თვალი ერთ წერტილს გაუშტერა და ხმამაღლა შესძახა: — ო, ჯენი, ჩემო შვილო, ჩემო ბავშვო, ეს რა ვქენი! — ჩემი იქ ყოფნა მოხუცს თითქოს დავიწყებოდა და მეც თავს არაფრით ვახსენებდი. — ჩვენ ხომ ყველანი ადამიანები ვართ, — განაგრძო ისევ მან, გეპატიებინა ჩემთვის, მაგრამ შენთან სალაპარაკო ენა ვერ გამოვძებნე და ერთმანეთს ვერაფერი გავუგეთ.

მე დრო ვიხელთე, მისი ყურადღება მივიპყარი და ვუთხარი, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდა-მეთქი. სასოწარკვეთილი კაცი ისე ჩამეჭიდა, როგორც წყალწაღებული ხავსს და შემეკედრა, შვილი დამიბრუნეო.

რაღა ბევრი გავაჭიანურო! მეორე დღეს კვლავ გზას გავუდექი. წინა ღამით მოხუცმა ჯენის წერილი მისწერა. ახლა კი, შერწმუნე, ეს წერილი ქვითარს აღარ ჰგავს. მთელი ის გახელება და სიყვარული, ბრალდებები და ხვეწნა-მუდარა, რაც იმ საღამოს ჩვენი ხანგრძლივი ერთად ყოფნის დროს გადშოაფრქვია მოხუცმა, ამ წერილში მოექცა ერთად.

— სხვა დანარჩენი ამბავი შენთვის უკვე ცნობილია, — დაასრულა ალფრედმა თავისი თხრობა. — და აი ვდგევარ ახლა აღფურვილი ყოველგვარი რწმუნებულებითა და მამის თანხმობით და მოუთმენლად ველი იმ საათს, როცა საცოლისკენ გზას გავუგდები...

დაახლოებით ერთი საათი კიდევ ვიყავით ერთად. მერე სამრეკლოზე სამი დარეკეს. მუშა მოვიდა და ალფრედის ჩემოდნები ნავსადგურში წაიღო.

მე გავაცილე ჩემი ახალგაზრდა მეგობარი. გრილი ღამე იყო. აღმოსავლეთიდან მონაბერი გამჭვალავი ქარი ტალღებს ნაპირისკენ მიაქანებდა და კანჯოს ნავსადგურის კიბეზე აჯახებდა. ალფრედი შიგ ჩაჯდა და ხელი გამომიწოდა.

— ან ჯენისთან ერთად დაბრუნდები, ან სულაც აღარ, ხომ ალფრედ? — შევეცადე განშორებით გამოწვეული აღელვება ხუმრობით შემენიღბა.

— არა, არა! — შემომძახა მან, როცა კანჯო უკვე ნაპირს გაშორდა. — აუცილებლად დაბრუნდები და ისიც ჯენისთან ერთად.

იმ ღამის შემდეგ ნახევარ წელიწადზე მეტმა განვლო. ჩემი მეგობრის მაჰულში აღარ მოვხვედრილვარ, მაგრამ ამჟამად, როცა ჩემს ფანჯარაში ბაისის პირველი სუნთქვა შემოიჭრა, იქიდან კვლავ მომივიდა მიპატიჟების ბარათი. ახლა კი აღარ ვალოდინებ. ჩემს წინ ორი წერილი დევს. ორივენი ქრისტიანშტატიდანაა გამოგზავნილი, კუნძულ სენ-კრუადან. პირველი ჯენის წერილია ალფრედისადმი გაგზავნილი, რომელიც ადრესატის არ ყოფნის გამო მისმა რძალმა გახსნა. აი, რა წერია ამ წერილში:

„დედაჩემი იოლად ვიპოვე, რადგან მას ნავსადგურთან ახლოს დიდი სასტუმრო აქვს. იგი ჯერაც ლამაზია და ჯანმრთელი. მაგრამ მის სახეზე, რომლის ნაკვთებს კარგად ვიცნობ. ველარ მიპოვია ის, რაც ამდენი წლის მანძილზე ასე მსურდა... ყველაფერს გულახდილად გეტყვი, ალფრედ. სხვა რამეს ვე-

ლოდი აქ და სხვა რამ კი დამხვდა. ამ ქალთან ყოფნა მაშინებს. ახლაც ეზარავს, როცა წარმოვიდგენ, როგორ გააცნო ნან ჩემი თავი პირველ დღესვე სადილობისას გარშემოკრებილ მამაკაცებს. იქვე ყველა ენის ნარევ ყარგონზე ხმამაღლა და ტრაბახით მოჰყვა თავისი ახალგაზრდობის ამბებს — ყველაფერს, რაც მე იდუმლად მქენჯნის და მტანჯავს და რაც უკუნეთ ბნელში მსურდა ყოფილიყო გადამალული.

მისი მდგმურებისა და სტუმართა უმეტესობა ფერადკანიანია. ერთ-ერთი მათგანი მდიდარი მულატი, მთელ სახლს თავის ნებაზე ატრიალებს. დედაჩემს იგი შინაურულად ეკცევა, რის გამოც თავში სისხლი მივარდება. ეს მამაკაცი, ალფრედ, — მას კბილები ძაღლივით აქვს დაკრეჭილი, — მოითხოვს, რომ მისი ცოლი გავხდე. დედაჩემიც ამასვე მაიძულებს და ხან ლამის ალერსით მახრჩობს, ხან კი მუქარითა და საყვედურებით მავსებს სხვების თანდასწრებით. ზოგჯერ შეშლილივით შევყურებ ამ ქალის სახეს და ასე მგონია, ჩემს წინ არის ნიღაბი, როშელიც უნდა ჩამოვგლიჯო, რათა ძის იქით კვლავ დავინახო ის მიმზიდველი ადამიანი, ბავშვობაში რომ ჩამრჩა გულში, რათა კვლავ გავიგონო ის ტკბილი ხმა, ძილის წინ ფუტკრის ზუზუნივით რომ მიგალობდა ნანას... ო, რა საშინელია ყველაფერი, რაც ჩემს გარშემოა! ჩემი ოთახის ფანჯრები ნავსადგურისაკენ არის მიქცეული და დილაადრიან შავკანიანი მუშებისა და მტვირთავთა ხმაური მაღვიძებს. ასეთ ხმებს მანდ ვერსად გაიგონებ. ესაა რაღაც ღმუილი, მხეცური ყავყავი. მის გაგონებაზე შიში მეუფლება და თავს ბალიშებში ღრმად ვრგავ, რადგან აქ, ამ ქვეყანაში მეც მათ ვეკუთვნი, მათი სისხლი მაქვს, მათი ჯაჭვის ერთი რგოლი ვარ, მართალი ყოფილა მამაჩემი. თავბრუ მესხმის, როცა ამ

ფუფსკრულში ვიყურები. შენს მკერდს ვემხობი, ალფრედ! გამომიწოდე საშველად ხელი, დამიხსენი ამ ადგილიდან!"

საშველი ხელიც შორს აღარ იყო. მეორე წერილი რამდენიმე დღის შემდეგ ალფრედს მიეწერა რძლისათვის. იმ ხალისიანმა რწმენამ, გამგზავრების დროს რომ ჰქონდა ალფრედს, იქ ჩასვლისაცა გამარჯვება მოაპოვებინა.

„გემიდანვე დამანახვეს ჯენის დედის სამყოფელი, — იწერებოდა იგი. — წინკარში შესვლისთანავე პირველად ჯენის შევეყარე. აღტაცების შეძახილით გამოიქცა და გულში ჩამეკრა. მას შემდეგ დედამისიც კარგად გავიცანი. იგი წარმოსადეგი და ჯერაც მიმზიდველი ქალია, ჭრელ-ჭრული აბრეშუმის კაბით დაშრიალებს და სრულიად გაუგებარ ენაზე მეტყველებს. იმის მიხედვით, სტუმრებს ელაპარაკება თუ შსახურებს, მისი კილო ხან ნაზია, ხან კი მწივანა. ჯენის მამაზე მადლიერებითა და პატივისცემით ლაპარაკობს და მას კარგ „კეთილშობილ ბატონს" უწოდებს, რომლის გულუხვობასაც უმადლის თავის უზრუნველ ყოფას. მას აზრადაც არ მოსდის მშობლიური კუნძულის მიტოვება, მით უფრო თავისი ქალიშვილის კეთილშობილ მამასთან კანონიერი ქორწინება. ეს ქალი აქ თავის ადგილზეა და თავს კარგად გრძნობს. ამის გამო ჯენის მწარედ გაუცრუვდა მოლოდინი. ნაცვლად წარმოდგენილი გულის ტკივილისა, რომლის განსაკურნებლადაც მან ძველ სამყაროსთან ყოველგვარი კავშირი გასწყვიტა, აქ ასეთი მდაბალი გრძნობების სამყარო ნახა, სადაც ესოდენ ამაღლებულ ვნებათა აღმოსაცენებლად ნიადაგი სრულიად გამოუსადეგარია. მიუხედავად ამისა, ქალიშვილის ჩამოსვლამ ამ მკვირცხლ ქალს დიდი სიხარული მოჰგვარა. ხშირად ჩემს თვალწინ იგი გაშმაგებით, მე ვიტყოდი, ცხოვე-

ლურადაც კი ეფერება თავის ქალიშვილს. სტუმრების წინაშე ჯენის დედას სურს ლამაზი ქალიშვილით თავი მოიწონოს და დაუსრულებლად ცდილობს მისი კოპწიაფ გამოწყობას. ჯენის დიდ ძალღონედ უჯდება, რომ როგორმე თავი დააღწიოს დედის მიერ შერჩეულ ჭყეტელა ფერის კაბებს. მაგრამ ესეც არ ეოფნის: სტუმართა შორის ჯენის ერთი მდიდარი საქმროც შეურჩია, რომლის ძარღვებშიც, როგორც მე მგონია, საკმაო რაოდენობით დის ის სისხლი, აქაურებს რომ სძულთ, და მიზნის მისაღწევად ყოველი საშუალება გამოიყენა. ამ დროს სწორედ მეც ჩამოვუსწარი. „კარგი, კეთილშობილი ბატონის“ სურვილმა და უფლებამოსილებამ ყველაფერი იოლად მოაგვარა.

კარგად ვგრძნობ, რომ ჩემ დანახვაზე ჯენის აღტაცების შეძახილი მხოლოდ სიხარულით კი არ იყო გამოწვეული, არამედ განთავისუფლებითაც. ეს კარგიც არის: საჭირო იყო ჯენის ყველაფერი გამოეცადა, რადგან მხოლოდ ახლა გახდა ნამდვილად ჩემი. და თუ აქამდე ჯენის არ ჰქონდა ოჯახი, ახლა ეყოლება ისეთი ქმარი, რომელიც ბედნიერია და ამაყი იმით, რომ მასთან ერთად შექმნის ოჯახს და მისგან თავისი გვარის ჯანმრთელ გამგრძელებლებს მიიღებს — ამას დაიმედებით იმიტომ მწერ, რომ დღეს ჩვენი ქორწინების დღეა. ნეტამც გენახათ, როგორ ხასხასა მწვანე ფარჩაში გამოწყობილი იჯდა ეს ომახიანი ცქვიტი ქალი თავის მუდმივ სტუმართა შორის საქორწინო სუფრის თავში, როგორ ამაყობდა თავისი წარმტაცი ქალიშვილითა და — ტყუილს ვერ გეტყვით — სიძითაც, და ახალჯვარდაწერილებს დაუჯერებლად მოხდენილ სადღეგრძელოებს ეუბნებოდა ერთდროულად სამ ენაზე. იმედია თქვენ-

თან გაზაფხულის პირველ დღეებში ვიქნებით. და შენ, გრეტა, ეპვი ნუ აგავსებს მეგობრის მიმართ თუ გეტყვი, რაც ჯენიმ აი ამ წუთას ჩამჩურჩულა. „ალფრედ, ახლა დამეხმარე, რომ მამაჩემს შევურიგდეო“.

ორივე ეს წერილი ჰანსისა და გრეტას მიწვევასთან ერთად მომივიდა. „ამრიგად, ჩამოდით, — მწერდა ფრაუ გრეტა საკუთარი ხელით. — ჯენის მამა უკვე აქ არის. ალფრედიც მშობლებს დღეს მოველით. მამიდა ჟოზეფინაც კი ჩამოვა, თუმცაღა იგი ზოგჯერ ახლაც გამოთქვამს ეპვებს იმ პიროვნების მიმართ, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობისას უღმერთოდ ეპყრობოდა მის ინგლისურ ნემსებს... საზამთრო სამყოფიდან ჩვენ უკვე ვერანდაზე გადავედით. ღია კარებში გაზონებიდან შროშანთა სურნელება იჭრება, ჰაეროვან ჭალაში, აი იქ, სადაც კენერას ქანდაკება დგას, გუბურას ნაპირები იებითაა გადალურჯებული“.

ქვემოთ ჩემი მეგობარი ჰანსის მსხვილი ხელით ნაწერი მოსდევდა: „ბრიგი „ელიზაბეტი“ წარსულ კვირას ლისაბონს გაძოსცილდა. ჯენი და ალფრედი მის ქიმზე არიან. რამდენიმე დღეში ჩვენთან იქნებიან. ზურგის ქარი მალე მოგვგვრის ბედნიერ ცოლ-ქმარს“.

ტყის ყურე

ბატუშის თავზე, რომელიც იმავე დროს ქალაქის ბურგომისტრის საცხოვრებელ ბინასაც წარმოადგენდა, გაზაფხულის მზის სხივებზე ახლადმოფრენილი მერცხლები დანავარდობდნენ. შენობის წინ, ქუჩაში „ბურგომისტრის ბავშვები“ იდგნენ და ამაოდ ცდილობდნენ შურდულით ჰაერის დედოფლეპის ჩამოგდებას. თვით ქალაქის რისხვა სამუშაო კაბინეტში იჯდა. ქალაქისთავის გარდა იგი სასამართლოს თავმჯდომარე და პოლიციმაისტერიც იყო. სქელი საქაღალდეების თვალიერებით გართული ყურადღებას არ აქცევდა მზის ხალისიან სხივებს, მის ოთახში რომ იღვრებოდა ფანჯრიდან. უცბად კარზე ძლივს გასაგონად დააკაკუნეს და ბურგომისტრის უკმაყოფილო მოპატიჟებაზე ოთახში შემოვიდა ორმოცდახუთიოდე წლის შავგვრემანი, ბრგე ვაჟკაცი.

სასიამოვნო, წითური სახის ბურგომისტრმა საქაღალდეს

თვალი მოაცილა, თავი ასწია, შემოსული შეათვალიერა, და რაკი თავის წინ მოხდენილად ჩაცმული კაცი დაინახა, ხელით სკამზე ანიშნა:

— დაბრძანდით, გეთაყვა, ახლავე გავთავისუფლდები და მიმსახურეთ. — და ისევ საქმეს მიუბრუნდა.

ახლადმოსულმა მისკენ ნაბიჯი წადგა.

— რა ბეჯითი გამხდარხარ, ფრიც! — წარმოთქვა მან. — წინათ სიბეჯითით დაავადებული არ მახსოვხარ.

ბურგომისტრი ზეზე წამოიჭრა, ცხვირიდან სათვალე აიგლიჯა და მომსვლელს წვრილი, კეთილი თვალები მიაპყრო.

— ეს შენ ხარ რიჰარდ? — წამოიძახა მან. — ღმერთო ჩემო, რა მალე მიცანი, თუმცაღა გვარიანად გავმელოტდი და რაც თმა შემრჩა, ისიც მთლიანად გამითეთრდა! აბა, აბა, ასე იცის ბურგომისტრობამ!

ტანმორჩილი მსუქანი ბურგომისტრი საწერ მაგიდას მოშორდა და გაკვირვებით შეაცქერდა თითქმის მთელი თავით მაღალ მეგობარს.

— აი ეს, — წარმოთქვა მან და მოკლე ხელი მეგობარს მბრწყინავ წაბლისფერ თმაზე დაადო, — ეს, რასაკვირველია, პარიკია, მაგრამ თვალები, ეს უჩვეულოდ ჭაბუკური თვალები კი ისევ ისეთია, ჩვენი უდარდელი ახალგაზრდობისას რომ მახსოვს.

სტუმარმა ნათქვამი ღიმილით მოისმინა. ბურგომისტრმა იგი დივანზე მოისვა გვერდით.

— აბა მომიყევი, საიდან მოდიხარ, რას აკეთებ? — იკითხა მასპინძელმა.

— მე, ფრიც? — ქილიკით შეუბრუნა კითხვა სტუმარმა. — ვეძებ ისეთ რაიმეს, რაც აზრს მისცემდა ჩემს აქამდე უშინა-

არსო ცხოვრებას. მერე სერიოზული კილოთი დაუმატა: — არა, კი არ ვეძებ, ცოტა არ იყოს, მაწუხებს ასეთი უაზრო ყოფა.

ბურგომისტრმა თანაგრძნობით შეხედა მეგობარს.

— შენა. რიჰარდ? ამას ამბობ შენ, რომელმაც უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტი მოილიე? როგორც გავიგე, ერთმა ძველმა ამხანაგმა ბოტანიკური ჟურნალის ერთ ანონიმურ წერილში შენი კალამი იცნო.

— მართლა ფრიც? არც შემცდარა.

ბურგომისტრი ჩაფიქრდა.

— ხომ არ დაოჯახებულხარ?—იკითხა მან.—ჯერაც არა? ჰმ! თავიდანვე მეოცნებე იყავი, რიჰარდ. გახსოვს სტუდენტობისას დორნბურგში* როგორ ვცეკვავდით? მაშინ შენ სადედოფლო შინ გიჯდა, არ გინდოდა გეცეკვნა. უჯექი კუთხეში აყლაყუდა ვასერმანს, — დიდი ჩექმების გადამკიდე ვერც ის ცეკვავდა, — და სვამდი ღვინოს, — ძალიან სვამდი. არ გინდოდა წაგებილწა საცოლესთან გატარებულ დღეთა სანეტარო მოგონება.

რიჰარდი ჩაფიქრებულიყო. ბურგომისტრი ერთბაშად შეშფოთდა და თითქოს უძირო ჯიბიდან ოქროს საათი ამოაძვრინა.

— მითხარი, მეგობარო, დღევანდელ დღეს ხომ ჩემთან გაატარებ?

— ნასამხრეეს ისევ გზას უნდა გავუდგე.

— ისევ ძველებურად დაუდეგარი ხარ?

— გთხოვ, მომიტევო, მაგრამ საფოსტო ეტლი უკვე შევუკვეთე. აქ თქვენთან, ჩრდილოეთით, აქედან რამდენიმე მილის

მანძილზე ჭაობსა და ტყეს შორის ცოტაოდენი ნაკლებცხობილი ფლორა შემორჩენილა.

— დიახ, — შესძახა ბურგომისტრმა, — შავ ფიქვებთან, იქ, სადაც ეს გადარეული იუნკრები ცხოვრობენ. ისინი ხელის დადება მინდორსაც არავის ახვნევინებენ და არც ხის მოჭრინებას აძლევენ.

სტუმარმა თავი დაუქნია.

— ჰო, მეც ასე მითხრეს. იქ, იმ ბალყუმ ადგილებში ჭინდ-იყოს ზოგიერთი ამჟამად უკვე გადაშენებული მცენარე

— რაკიღა ეგრეა, შენთვის უკეთესი იქნება „ბრიყვის თავშესაფარში“ მოეწყო.

— „ბრიყვის თავშესაფარშიო“?

— ჰო, სწორედ იქ. ახლანდელი ბატონების მამას თავისებური სიგიჟე სჭირდა. თავის სრა-სასახლე მეტისმეტად დიდი მოეჩვენა და ტყესა და მინდორს შორის ერთი სახლი აიშენა ამ სახლს ყველა ფანჯარა ცალ მხარეზე ჰქონდა. გარშემო ოცი ფუტის სიმაღლე ყორე შემოავლებინა. ამ პატარა ციხე სიმაგრეს იგი „ტყის ყურეს“ უწოდებდა, ხალხი კი დღესაც „ბრიყვის თავშესაფრად“ იხსენიებს. უკანასკნელი წლები მან ამ შამბნარში გაატარა.

რიჰარდი ყურადღებით უსმენდა.

— ახლა ვინღა ცხოვრობს იქ? — იკითხა მან.

— ახლა? მგონი, აღარავინ. ანდა მხოლოდ ბუკნაპოები და ჭრაკვინები თუ ბინადრობენ.

მეორე ოთახში საათმა დარეკა. ბურგომისტრი წამოხტა.

— თერთმეტი გამხდარა, — თქვა მან. — იცი, რას გეტყვი ძველო მეგობარო, ერთი სასამართლო განაჩენი მაქვს დასაწერი. შენ ხომ ჩვენი კორპორაციის ბეჭდის მცველი იყავი, —

ღიმილით განაგრძო ბურგომისტრმა, — რაკიღა ასე იჩქარი, ბასაუბროდ ერთ საათს უთუოდ მოვიგდებდით, თუ დამეთან ხმებოდი, რომ ეს როლი ერთხელ კიდევ შეგესრულებინა ჩვენი მართლმსაჯულების პატივსაცემად.

რიჰარდმა გაიღიმა.

— ნუთუ მდივანი არა გყავთ?

— არა, მეგობარო. რადგან სხვა პატივთან ერთად ქალაქის მაგისტრის მდივნის მოვალეობასაც ვასრულებ და ფულად ანაზღაურებასაც ვიღებ, იძულებული ვარ, ამასთან დაკავშირებული ყოველი უსიამოვნო საქმეც მე აღვასრულო, თუკი მემთხვევა შენისთანა უნარიან და თავაზიან მეგობარს აღმომგვრის შინ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ორივენი გვერდით მდებარე სასამართლოს ოთახში მწვანე მაგიდას უსხდნენ.

— ალბათ, გახსოვს ყვითელთმიანი თეოლოგი, — დაიწყო ბურგომისტრმა და ღირსებააღვსილი იერით ჩაეშვა თავმჯდომარის მაღალ საავარძელში, — რომელსაც მაშინ დამსახურებულად შევარქვით მაბეზღარას სახელი. რამდენიმე წელია აქ ცხოვრობს, ჩვენს მხარეში. ბატონ მაგისტრს აქვს შემოსავლიანი პანსიონატი და თავად-აზნაურებისა და წარჩინებულთა დიდი პატივისცემით სარგებლობს. ისიც კი უნდოდათ, რომ მისთვის ჩვენს საპყრობილეში ღვთისმსახურების საქმე მიენდოთ.

— მერე და რა დაემართა? — იკითხა იმპროვიზებულმა მეოქმემ, მას საწერი ფრთა წაეთალა და შუაზე გაკეცილი ქაღალდიც მოემარჯვებინა. — მახსოვს მხოლოდ მისი გაცვეთილი ფრაკი და დიდი წითელი ხელები.

— ახლა გამოგვეცხადება, — მიუგო ბურგომისტრმა და ცა-

ლი ხელი მწვანე მაგიდის თავზე დაკიდებულ ზარის ზონარს წაავლო. — ის ვაუბატონი ერთ უდედმამო გოგონას მეურვეობდა. ბავშვი რამდენიმე წელიწადს მის სახლში იმყოფებოდა, კარგა ხანს მის სკოლაშიც იარა. ახლა ამ თეოლოგს ბრალად ედება გოგონას გაუპატიურების ცდა. დღეს ორივეს ერთმანეთს პირში წავუყენებთ.

ბურგომისტრმა ზარი ჩამორეკა და შემოსულმა გუშაგმა მაგისტრის შემოყვანის ბრძანება მიიღო.

მეტისმეტად ამაზრზენი იყო იმის დანახვა, თუ როგორი ლაქუცით გაუარა გვერდით ღია კარში ჩამდგარ გუშაგს დაპატიმრებულმა და მლიქვნელური თავის დაკვრით შემოვიდა ოთახში.

— ახლოს მოსვლა საჭირო არ არის! — მიმართა მას ბურგომისტრმა და მაგისტრმა მაშინვე უკან დაიხია, შემდეგ ყვითელთმადატყეპებული ბრტყელი თავი ზევით ასწია, თვალები ჭერს მიაპყრო და თავისი უდანაშაულობის მტკიცებას საზეიმო ფიცით შეუდგა.

ბურგომისტრმა ამას ყურადღება არ მიაქცია, ზარი მეორედ ჩამორეკა და ფრანცისკა ფედერსი შემოაყვანინა.

ეს იყო გამხდარი გოგონა, რომელიც ახლა იწყებდა აყვავების ასაკში შესვლას. ლამაზი არ ეთქმოდა. მუქი, ჩალისფერნაწნავებიანი თავი ოდნავ დაეხარა. ტუჩები სქელი ჰქონდა, ცხვირი მკვეთრად გამოკვეთილი. მაგრამ, როცა გოგონამ ზემოთ აიხედა და მეოქმემ მის ღრმადჩამსხდარ, ნაცრისფერ თვალებს შეავლო მზერა, თავისდაუნებურად ჩაილაპარაკა: „Scintis bonum et malum.“*

სახეატკრეცილმა გოგონამ თავი გვერდით შეაბრუნა და ყოფილი მეურვის წინააღმდეგ ადრე მიცემული ჩვენება შეუვა-

ლი სიმტკიცით გაიმეორა. ბრალდებული ამ დროს გამხდარ თითებს იმტვრევდა და ისევ იფიცებოდა.

გოგონა რომ ლაპარაკს მორჩა, მაგისტრმა ჯერ მოიარებით, შემდეგ კი პირდაპირ და ჯიქურ განაცხადა, გოგომ ჩემს თანაშემწესთან პირი შეკრა, რათა დავემარცხებინე და ჩემს შემოსავლიან პანსიონატს დაუფლებოდნენო.

პირდაღებული და კისერდაბიმული ისმენდა გოგონა ამ ბრალდებას. რიჰარდმა კალამი დადო და ფრანცისკა ფედერსს შეაცქერდა. ამ უკანასკნელს მეტისმეტი სიძულვილისაგან თვალები ჩაღამებოდა. უცბად გოგონამ თავი მაღლა ასწია.

— ტყუით, თქვენ, ტყუით! — ბასრი მახვილივით გაჰკვეთა ჰაერი მისმა ბავშვურმა ხმამ. მაგრამ თითქ-ს საკუთარი ხმისა შეეშინდაო, უმწეოდ დაიწყო აქეთ-იქით მზერა. ამ დროს მისი თვალები შეხვდა მამაკაცის თვალებს, რომლებიც მას მშვიდად შეჰყურებდნენ.

მაგისტრმა ხელები ზეცისკენ აღმართა.

— თქვენ! შენ მე „თქვენობით“ მელაპარაკები, ფრანცისკა! შენ, რომელიც ბატკანივით მიყვარდი... — კაცმა სენტიმენტალური ცრემლები გადმოღვარა. ამ დროს იგი აწკმუვლებულ მაიმუნს ჰგავდა.

— თქვენ უკვე აღარ გელაპარაკებით! — მშვიდად თქვა ფრანცისკამ, რომელიც უცხო კაცს ისევ თვალებში შესცქეროდა, თითქოს აქ იპოვა თავისი საყრდენი და ახლა მისი დაკარგვისა ეშინიაო.

უცხო მამაკაცის სული კი თითქოს ზმანებას მოეცვა: თვალწინ წარმოუდგა ტყის განაპირას მდგარი წყნარი სახლი; აქ ცხოვრობენ მარტოხელა კაცი და ბედის ანაბარა მიტოვებული გოგონა. ახლა უკვე აღარც კაცი იყო მარტოხელა და

ადარც გოგონა გარიყული. გარშემო ზაფხულის თბილი პაერი გაჟღენთილია მცენარეთა სურნელებით, ფრთოსანთა გალობით და სადღაც შორს გაისმის კუტკალიათა დაუსრულებელი ჭრიჭინი.

ოთახში ზარის წკარუნი გაისმა. როცა რიჰარდმა ზემოთ აიხედა, კარებში გამავალი გოგონა დაინახა. მაგისტრი ციხის გუშაგმა წაიყვანა.

— ო, რა საზრიანი გაიძვერაა ეს ფრანცისკა, — წარმოთქვა ბურგომისტრმა და წესისამებრ ოქმს ხელი მოაწერა. — საბ წუხაროა, რომ მას არავითარი in bonis* არ გააჩნია. პირდაპირ არ ვიცი, რა მოვუხერხო. ჩვეულებრივი მსახურის პირობაზე ბევრი ცოდნა აქვს, მაღალი მდგომარეობის შესაფერებლად კი — ძალზე მცირე.

სტუმარი ოთახში ბოლთას სცემდა.

— თქმა არ უნდა, მიმზიდველი გოგონაა, — თქვა მან, მაგრამ ეს სიტყვები ისე გაისმა, თითქოს სულის სიღრმეში სხვამ უდევსო.

— ჰმ, რიჰარდ, შენც ჩვენი ფიზიკოსივით ფიქრობ, — განაგრძო ბურგომისტრმა და საქაღალდეები ერთად შეკრა. — მისი აზრით, — ხანდახან ფიქრობს ხოლმე იგი ასე. — ამ გოგონას თვალები გაცილებით ხნიერი ადამიანისა აქვს ვიდრე თვითონ არის.

— ახლა ვინღაა მაგის მეურვე, ფრიც?

— მეურვე? ნათესავი არავინ გააჩნია, ამჟამად არც მეურვე ჰყავს. გამოძიების დაწყებიდან იგი ხარაზთან ცხოვრობს, ფავსადგურის კუთხეში.

ერთი საათის შემდეგ დაინახეს, როგორ გამოვიდა ბურგო-

ᲬᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ ᲮᲐᲠᲐᲖᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲞᲘᲠᲐ ᲣᲑᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲔᲛᲐᲠᲗᲐ.

ᲑᲝᲚᲝ ᲡᲐᲮᲚᲗᲜ ᲛᲐᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲚᲘ ᲔᲢᲚᲘ ᲔᲚᲝᲓᲐ. ᲓᲘᲓᲘ ᲚᲝᲛᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲫᲐᲦᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲝᲤᲝᲖᲔ ᲛᲧᲕᲘᲜᲗᲐᲕ ᲛᲔᲔᲢᲚᲔᲡ ᲮᲔᲚᲖᲔ ᲗᲝᲙᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲔᲑᲐ, ᲬᲐᲛᲝᲮᲢᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲙᲛᲣᲢᲣᲜᲗᲐᲗ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲒᲐᲘᲥᲪᲐ, ᲗᲐᲜ ᲒᲖᲐᲓᲐᲒᲖᲐ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲙᲣᲓᲡ ᲣᲠᲗᲣᲚᲓᲐ ᲫᲣᲩᲐᲡ.

— ᲐᲥᲐ ᲮᲐᲠ ᲚᲔᲝ, ᲩᲔᲛᲝ ᲥᲝᲤᲐᲙᲝ? ᲐᲑᲐ, ᲐᲑᲐ, ᲛᲔᲪ ᲛᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠ! — ᲫᲐᲦᲚᲘ ᲛᲔᲢᲘᲡᲛᲔᲢᲐᲓ ᲒᲐᲐᲮᲐᲠᲐ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘᲡ ᲐᲚᲔᲠᲡᲘᲐᲜᲛᲐ ᲮᲛᲐᲛ.

ᲛᲐᲗ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲓᲐᲨᲚᲘᲚᲘᲧᲝᲗ ᲛᲖᲘᲗ ᲒᲐᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐᲑᲚᲝᲑᲘ, ᲡᲐᲘᲗᲘᲙᲔᲜᲐᲪ ᲓᲐᲮᲕᲔᲣᲚᲘ ᲒᲖᲐ ᲔᲨᲕᲔᲑᲝᲓᲐ. ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲡ ᲒᲐᲖᲘᲤᲣᲚᲘᲡ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲔᲑᲐ ᲐᲕᲡᲔᲑᲓᲐ. ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲔᲢᲚᲨᲘ ᲘᲯᲓᲐ, ᲔᲢᲚᲘ ᲓᲐᲘᲫᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲖᲐᲡ ᲒᲐᲣᲓᲒᲐ ᲚᲣᲠᲯᲘ ᲢᲧᲘᲡᲐᲙᲔᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲫᲚᲘᲕᲡ ᲗᲣ ᲒᲐᲐᲠᲩᲔᲕᲓᲘ ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲘᲡᲒᲐᲜ, ᲫᲐᲦᲚᲘ ᲙᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲔᲑᲘᲗ ᲐᲔᲓᲔᲕᲜᲐ.

ᲡᲝᲤᲔᲚ ᲨᲐᲕᲘ ᲤᲘᲩᲕᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲜᲓᲣᲙᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲣᲮᲔᲑᲨᲘ ᲙᲐᲭᲙᲐᲭᲔᲑᲘ ᲒᲜᲘᲐᲡᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲪᲮᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲪᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲑᲣᲓᲔᲔᲑᲡ ᲗᲠᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲛᲙᲔᲠᲓᲘᲐᲜᲘ ᲙᲘᲠᲙᲘᲢᲘᲡᲐ�გᲐᲜ. ᲛᲔᲘᲜᲐᲮᲔᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲚᲐᲠᲐᲙᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲔᲡᲛᲝᲓᲐᲗ.

— ᲔᲨᲛᲐᲙᲛᲐ ᲓᲐᲚᲐᲮᲕᲠᲝᲡ ᲛᲐᲒᲐᲗᲘ ᲗᲐᲕᲘ! — ᲬᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲐ ᲛᲔᲖᲝᲑᲔᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲚᲛᲐ ᲛᲔᲓᲣᲥᲜᲔᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲛᲯᲓᲐᲠᲘ ᲛᲔᲓᲣᲜᲓᲣᲙᲔᲡᲐ�გᲐᲜ ᲘᲡ-ᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲕᲐᲠᲢᲐᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ

— ᲔᲡ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲛᲢᲐᲪᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲒᲡᲔᲕᲘᲗ, ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲝ, ᲜᲣᲗᲣ ᲙᲘᲠᲙᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲮᲝᲪᲕᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ?

ᲧᲐᲕᲘᲡᲤᲔᲠᲥᲣᲠᲗᲣᲙᲘᲐᲜᲛᲐ ᲗᲔᲗᲠᲬᲕᲔᲠᲐ ᲛᲝᲮᲣᲪᲛᲐ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲡ, ᲡᲞᲘᲚᲔᲜᲫᲘᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲙᲔᲪᲘᲗ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ

დადგმული ტაფიდან ნაკვერცხალი აიღო, ახლადდატენილ მოკლე ჩიბუხს დაადო, ამონასუნთქი ბოლი მაგიდაზე მოფინა და თქვა:

— აბა, მე რა ვიცი, პფეფერს, კირკიტებთან არაფერი მესაქმება. ამის თაობაზე ახალ მეტყველეს კითხეთ.

თუმცა ჯერ ისევ დილა იყო, მაგრამ, როგორც ჩანდა, ინსპექტორს უკვე შემოევლო ველ-მინდვრები და აქ მცირე ხნით შემოსულიყო დასასვენებლად. შუბლზე ისევ შერჩენოდა ოფლის ცვარი. ჭილის ქუდი მოეხადა და მუხლებზე დაედო.

— ახალ მეტყველესო? — იკითხა მედუქნემ. — ვინ არის და საიდან მოვიდა?

— დანამდვილებით არ ვიცი, — მიუგო მოხუცმა, — მგონი, პრუსიიდან. მაგრამ ქაჯივით კი ახვედრებს მიზანს და გოგოებსაც მონუსხულივით დასდევს.

— ოჰო, ძია კასპერ! ახლა კი ცხრაკლიტულში უნდა ჩასვათ თქვენი ანა-მარგრეტი!

— თავად დაიცავს თავს, პფეფერს, — მიუგო მეფუნდუკემ.

მაგრამ მედუქნის კითხვები ამით არ ამოწურულა.

— ეჰ, ინსპექტორო, თქვენს ტყეში ბევრი სიახლე ჩანს. თქვენი ბატონები უცბად რაღაც ხალხის მოყვარულნი გახდნენ! მართლა მიაქირავეს მათ „ბრიყვის თავშესაფარი“ საიდანღაც მოსულ უცხო კაცს?

— ამჯერად კი მიზანში მოახვედრეთ, პფეფერს, — მიუგო მოხუცმა და ქურთუკის ჯიბიდან უხეშად ნაკეთები უზარმაზარი გასაღები ამოიღო. — გუშინ უკვე დავტვირთე და გადმოვტვირთე რამდენიმე ფორანი ხაბაკხუბაკი. ჯოჯოხეთური სამუშაო იყო, ახლაც იქით მივდივარ, ფანჯრები უნდა დავაღო და ვნახო, ხომ ყველაფერი რიგზეა. გუშინ ჩემი ფილაქ-

სი გალავანს იქით გამოვკეტე, რომ ამდენ ხარა-ხურასთან ერთი სულიერი მაინც დარჩენილიყო.

— მერე და საიდან მოვიდა ეგ ახალი მობინადრე? — ისევ იკითხა მედუქნემ.

— არ ვიცი, პფეფერს, და ამის უცოდნელობა არც მაწუხებს მაინცდამაინც, — უპასუხა მოხუცმა. — მე თვითონაც ვერ გამიგია. ისე კი, ეტყობა, ეგ ბატონი, ბოტანიკოსი უნდა იყოს. ეგეთ ხალხს ხომ გარეული მცენარეულობა იტაცებს.

ამასობაში მეფუნდუკემ მედუქნესთან გასასწორებელი მაგიდაზე ცარცით დაწერილი ანგარიში კიდევ ერთხელ შეამოწმა, მერე წინ წაიხარა, ხმას დაუწია და თუმცა ოთახში ამ სამის მეტი არავინ იყო, ჩურჩულით დაიწყო:

— არ გახსოვთ, რამდენიმე წლის წინათ გაზეთებში სტუდენტების დიდ შეთქმულებაზე* რომ წერდნენ, მეფეების ამოჟლეტა სურთო, აი, ეგეც ამბობენ, იმათი ამხანაგი ყოფილა.

მედუქნემ გაჭიანურებულად დაუსტვინა.

— აქ რაღაც სუნი ტრიალებს, ინსპექტორო! — წარმოთქვა მან და განაგრძო: — ვიცი, ამის მოსმენა არ გსიამოვნებთ, მაგრამ მაგ იუნკრებსაც კარგი ხუსტურები სჭირდათ ახალგაზრდობისას, ეგ თქვენი იუნკერი ვოლფიც ხომ ვარტბურგის შეკრების* მონაწილე იყო.

მოხუცს ამაზე პასუხი არ გაუცია, მაგრამ მეფუნდუკეს ბევრი რამის თქმა შეეძლო, გეგონებოდათ, ჭკვიან კირკიტებს მისთვის ქვეყნის ოთხივე კუთხიდან ახალი ამბები მოუტანიათო.

— როგორც ამბობენ, ის ახალი მობინადრე ამ მიდამოებიდან უნდა იყოს, მაგრამ პრუსიელებს მრავალი წელი უმყოფებიათ ბნელ საკანში. ამ ხნის მანძილზე არ დაუნახავს არც მზე,

ბრც ვარსკვლავები. ახრჩოლებული ჭრაქის შუქზე თურმე სქელ წიგნებს უჯდა და დღე და ღამ დაუსრულებლად კითხულობდა.

— ძია კასპერ, იქნება ისევ სასაზღვრო დავაში ჩაგითრიეს?——ჰკითხა მედუქნემ და მეფუნდუკეს თავახდილი სათუთუნე გაუწოდა.

— მე მეკითხებით? როგორ გავიგოთ ეს შეკითხვა, პფეფერს?

— კანაღამ ვიფიქრე, ქალაქში კიდევ თუ მოინახულა თავისი ვექილი, რომლისგანაც იმდენივე ფულით უამრავი აბდაუბდა შეიტყო-მეთქი.

ბიძა კასპერმა მიწოდებული სათუთუნიდან ერთი მწიკვ ბურნუთი ამოიღო.

— მაშა, მაშა, პფეფერს, ——მიუგო მან და ცალი თვალი ფანჯრისაკენ გააპარა, — რას იზამ, როცა კაცს მოსვენებას არ ეაძლევენ. ერთი ამათ დაუგდეთ ყური, ეს საწყალი კაჭკაჭები როგორ ჩხავიან.

— ჰო, ბიძია კასპერ, მაგრამ შენ ერთი ეს მითხარი, რა ძოუვიდა მერე ბატონ ბოტანიკოსს?

— ბოტანიკოსს?! გინდ დაიჯერეთ, გინდ არა და, ერთ ეშვენიერ დღეს მოულოდნელად დაბრუნდა. მაგრამ, ეტყობა, ეფროო დროს, რადგან ქუჩაში რომ მიდიოდა და თავის უნიფორო თვალებს ეუტავდა, მოულოდნელად ეტლმა მიწაზე წააქცია, და გაისროლა.

— ის დაწყევლილი მეეტლე, ისა! — წამოიძახა მედუქნემ

— მაშა, პფეფერს. მაგრამ თქვენ ვერ მიხვდებით, რა მოხდა, თქვენ ხომ უცოლშვილო კაცი ხართ. ეტლში მსხდომი ბატონი და მოხდენილი ქალბატონი ცხენის ყურებს იქით ვერა-

ფერს ხედავდნენ, ურთიერთის თვალთა მზერით იყვნენ გატაცებულნი.

— იმ საწყალს რაღა დაემართა, ხომ არ დაშავდა?

— არა, პფეფერს, არ დაშავებულა, მაგრამ ქალი ეტლში ხომ ბატონს უჯდა, სწორედ იმ საწყალის ცოლი იყო.

მედუქნემ ერთხელ კიდევ დაუსტვინა.

— ეს კი მაგარი საქმეა! ესე იგი ის კაცი დაოჯახებული ყოფილა, როცა პრუსიელებს ტყვედ ჩაუგდიათ, ცოლსაც ხომ თან ან ჩამოიყვანდა?

— არა მგონია, — მიუგო ბიძა კასპერმა, — რადგან გაურის პროცესის დაუსრულებლად გაჭიანურების გამო მან გვარიანი თანხა გადაიხადა.

— ბარონი? იმას რაღა დაემართა?

— ბარონიო, პფეფერს? ბარონი იმ კაცმა მოკლა და ჭირე იქაურობას გაეცალა, რომ ეს უსიამოვნო ამბები გადაეევიწყებინა. არა, ჩემო ძმაო, იმ მოხდენილ ქალს ის, რასაკვირველია, არ ჩამოიყვანს, მაგრამ მოხუც, გამოყრუებულ ვიბ ლევერენცს კი გადმოიპატიჟებს თქვენი ქალაქიდან. არც ის არის ცუდი ქალი. უპატრონო ბავშვთა თავშესაფრიდან გათავისუფლდა, ახლა აქ ჩამოვიდა და თავის უკანასკნელ დღეებს „ბრიყვის თავშესაფარში“ გაატარებს.

ინსპექტორი ფეხზე წამოდგა.

— იყბედეთ რამდენიც გინდათ, ეშმაკსაც წაუღიხართ! — წარმოთქვა მან და სკამზე მსხდომთ ღიმილით გადახედა, შემდეგ თავისი ჭიქა გამოსცალა და მძიმე გასაღების ქნევით კარისკენ გაემართა. გაიარა მუხის ქვეშ, საიდანაც კაჭკაჭებთან გამარჯვებული კირკიტა იქაურობას გადმოსცქეროდა, გადაიარა ეზო და იმ გზაზე გავიდა, რომელიც ტყის თხილით მო-

ფენილ მიწაყრილებსშუა მიიმართებოდა და სოფლის ჩრდილოეთით შარაგზას უერთდებოდა. შუაგზაზე, განაკაფში მარცხნივ შებრუნდა და საცალფეხო ბილიკზე გადავიდა. მზე უკვე გვარიანად აცხუნებდა. ინსპექტორმა ბორცვებიანი მწვანე მინდორი გადაიარა და მუხის ბუჩქებით მოფენილ ჭაობნარისაკენ დაეშვა. მის უკან დილის მოცისფრო ნისლში მოჩანდა ფოთლოვანი ტყე — მუხებისა და ტანაყრილი წიფლის ხეები. მოხუცი ტყის ჩრდილში შევიდა და შუბლზე ხელსახოცით ოფლი შეიმშრალა. მაღალი ხის ტოტებიდან მიდამოს შაშვის ჭახჭახი ეფინებოდა.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ფოთლოვანი ტყე წიწვოვანმა შესცვალა. უცბად გვერდით ბილიკიდან ორნი მიუახლოვდნენ.

— ეს გზა „ბრიყვის თავშესაფარში“ ხომ არ მიგვიყვანს?— ეკითხა გლეხის ბიჭმა, რომელსაც თუმცა ქალაქურად, მაგრამ უბრალოდ ჩაცმული გოგონას ჩემოდანი მოჰქონდა.

მოხუცმა თავი დაუქნია:

— წამომყევით.

— მე „ბრიყვის თავშესაფარში“ მივდივარ, — უთხრა გოგონამ.

— ეს გზაც სწორედ იქით მიდის. თუ „ბრიყვის თავშესაფარში“ რაიმე საქმე გაქვთ, მაშინ სწორ გზაზე დგახართ.

— იქ უნდა ვიცხოვრო, — მიუგო გოგონამ მოხუცს.

მოხუცი, რომელიც გზაზე აქამდე მშვიდად მიდიოდა, ახლა უკან შებრუნდა, გოგონას დააკვირდა და თანდათან გამხიარულდა.

— მე კი ფრაუ ლევერენცი, ასე ვთქვათ, ორიოდ წლით

მაინც უფროსად მყავდა წარმოდგენილი, — წარმოთქვა მოხუცმა.

მაგრამ გოგონა, როგორც ჩანდა, ხუმრობის ხასიათზე არ იყო. მოხუცი ნაცრისფერი თვალებით შეათვალიერა და თქვა:

— მე ფრანციისკო ფედერსი მქვია. ფრაუ ლევერენცი და ბატონი, ალბათ, უკვე იქ არიან.

— ახლა კი ცდებით, ქალიშვილო, — მიმართა მას მოხუცმა და ცალი ხელით შლაპა მოუხადა, მეორეთი კი დიდი გასაღები უჩვენა. — ბატონები დღეს საღამოს მოვლენ, თუმცაღა თქვენ მაინც შეგიძლიათ სახლში შეხვიდეთ.

გოგონა შეკრთა და ერთი წუთით ბაგეზე საჩვენებელი თითი მიიდო.

— რას ვიზამთ,—თქვა გოგონამ,—სხვა დროისათვის მეეტლე ვერ დავითანხმე. წავიდეთ, ბატონო ინსპექტორო.

ისინი ერთად გაემართნენ მოჩრდილული, წიწვებით მოფენილი ბილიკით. გზაზე თანდათან უფრო გოლიათური ფიჭვები ხვდებოდათ, მგზავრები მათ ტოტებქვეშ მიდიოდნენ. უცბად განაკაფში გავიდნენ. მათ გზა გადაუჭრა ველის ბალახებით მოფენილმა ღარტაფმა, რომელიც ამომშრალი მდინარის კალაპოტს მიაგავდა, მის იქით კი, მეორე ნაპირზე, ბექობს კვლავ მუხნარი და წიფლნარი მოსდებოდა. პირდაპირ მოჩანდა მოტიტვლებული ადგილი, საიდანაც ჰორიზონტამდე ყავისფერი ველი გაშლილიყო. მარცხნივ აღმართული აგურის ძველი შენობა უკანა კედლით ზედ ტყეს ებჯინებოდა. აწოწილი სახურავის გამო შენობა კოშკს მიაგავდა. გალავნის ზემოთ მხოლოდ მეორე სართულის ოთხი ფანჯარა ჩანდა, თვითონ გალავანი შენობის ფასადის გაგრძელება გეგონებოდათ, კიდეების-

კენ ოვალურ ფორმას იღებდა და თითქმის ღარტაფამდე აღწევდა.

გზაში მოხუცმა ფრანცისკას უამბო, თუ რამდენი თავშისახლელი შეახვედრა ბატონის ამ სახლში გადასვლამ. ახლა იგი შედგა და ხელით ანიშნა მათ პირდაპირ გალავნის შუაში დატანებულ ჭიშკარზე, ზედ რომ მძიმე ლითონის ფურცლები გადაეკრათ. ალაყაფის კარზე გაკრულ სილაქვის დაფაზე მოჩანდა წარწერა. ოდესღაც მოოქროვილი ასოები მზის სხივებზე ახლაც ადვილად იკითხებოდა.

— „ტყის ყურე“, — ამოიკითხა ფრანცისკამ.

— ოჰო, ფილაქს! — წამოიძახა ინსპექტორმა. — გესმით მამზელხენ;* ფეხის ხმაზე მიცნო. — ჭიშკარგამოკეტილი ეზოდან ძაღლის ყეფა მოისმა. ტყიდან სახლის სახურავზე გადმოშვერილი მუხის ტოტიდან რაღაც მტაცებელი ფრინველი წამოფრინდა და გამსჭვალავი ჩხავილით განმარტოებული შენობის თავზე ირაო შეკრა.

ამასობაში ისინი ტყის მიტოვებული ბილიკით ღარტაფში დაეშვნენ. თანდათან მზით განათებული შენობის სამხრეთ ფასადს უახლოვდებოდნენ. ოქროს ვარაყის ნარჩენები ბრწყინავდა წყალსადინარი მილების დრაკონის თავებზე, რომლებიც ტყისკენ იმზირებოდნენ. სახურავის მოკლე თხემის ბოლოებს ამშვენებდა ორი ფლუგერი, რომელთაგან ერთი თითქმის მთლიანად მწვანე ფოთლებში ჩამალულიყო, მეორე კი უძრავად გამოკვეთილიყო ლურჯი ცის ფონზე.

მგზავრებმა ღარტაფის მეორე მხარეს მიაღწიეს. ინსპექტორმა ძელებით შეკრული კარის საკეტში გასაღები გადაატრიალა. შევიდნენ გათლილი ქვით მოგებულ დაჩრდილულ ეზოში, გახარებული პუდელი პატრონს ზედ ახტებოდა. შესასვ-

ლელის მარცხნივ ქვით ამოშენებულ ჭასთან ახალი, წყლით ავსებული ვედროები იდგა. სახლის კედელს, რომელზედაც ის-ის იყო მზის სხივები იფრქვეოდა, ზედ აჰყოლოდა მაღალი, კოკრებით დატვირთული ვარდის ტოტები და თითქმის მთლიანად დაეფარა კარის აქეთ-იქით დატანებული და ეზოსკენ მიქცეული ორი ფანჯარა.

— ეს ვარდები თვითონ მოხუცი ბატონის დარგულია, — თქვა ინსპექტორმა.

მოსულები ორსაფეხურიანი კიბით სახლში ავიდნენ. წინ კარის მარცხნივ სამზარეულო იყო, მარჯვნივ ერთფანჯრიანი ოთახი, რომლის მორთულობით ადვილად დაასკვნიდით, თუ ვის უნდა ეცხოვრა აქ. თუმცა მაღალ საწოლზე არც მიჩიგდანი ჩანდა და არც ბალიშები, მაგრამ კუთხეში იდგა სართავი ჯარა და შულო, ხოლო ძველფრანგული კამოდის თავზე ძველებურივე სარკე ეკიდა, აკლდა მხოლოდ მის უკან გადაჯვარედინებული ფარშევანგის ფრთები.

— ჩანს, ეს არ არის შენი ოთახი, მამზელხენ, — წარმოთქვა მოხუცმა. ეტყობოდა, იგი კვლავ ხუმრობის ხასიათზე იყო. მაგრამ რაკიღა გოგონასაგან პასუხი ვერ მიიღო, მეორე სართულზე ამავალი კიბისკენ გაქცეულ პუდელზე მიუთითა და უთხრა: — მოდი, ჩვენც მას მივყვეთ, აქ მხოლოდ სათავსოებია.

ზემოთ რომ ავიდნენ, მოხუცმა ერთი საშუალო სიდიდის ოთახის კარი გააღო. ოთახი ფაქიზად იყო გაწყობილი, ფარდებიც არ დავიწყებოდათ. ორი ფანჯრიდან ნაძვნარი და ღარტაფი მოჩანდა. ეს ის ორი ფანჯარა იყო, წეღან რომ დაინახეს მეორე სართულზე. მარცხენასთან მაღალი სავარძელი იდგა, მეორე ფანჯრის გვერდით, კედელთან — უჯრებიანი საწე-

რი მაგიდა. მაგიდის თავზე ეკიდა შორეულ შვარცვალდში დამზადებული პატარა, მოხდენილი გუგულიანი საათი, რომლის ქანქარას უკვე ტაკა-ტუკი გაჰქონდა. კედლებზე აეკრათ მუქ ყავისფერ მიწაზე ამოხატული წითელ და იისფერყაყაჩოებიანი ძველებური, მაგრამ კარგად შენახული შპალერი.

ფრანცისკა მოხუცს ფანჯრების გაღებას შველოდა და ჩუმად და ყურადღებით აკვირდებოდა ყველაფერს.

ამ ყაყაჩოებიანი ოთახის აქეთ-იქით, დიდ ოთახში გამავალი თითო-თითო ვიწრო ოთახი იყო. ვიწრო ოთახებს თითო ფანჯარა ჰქონდათ, ეს ფანჯრებიც ნაძვნარს გაჰყურებდა. მარცხნივ ოთახში, რამდენიმე სკამს გარდა, ერთი რკინის საველე საწოლი და რამდენიმე მაღალი ზანდუკი ელაგა. ფრანცისკამ ესენი აჩქარებით შეათვალიერა, მისმა გამცილებელმა კი მეორე ოთახის კარი გააღო.

— აი, წასაკითხს სად ნახავ! — წამოიძახა მოხუცმა — ბატონი დოქტორი მთელი დღე უჯდა აქ წიგნებს.

მართალს ამბობდა მოხუცი. აქ იყო საკმაოდ მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკა. ლამაზად დაკაზმული წიგნები კედლის გასწვრივ გაყოლებულ ღია თაროებზე ელაგა. მაგრამ სანამ გოგონა თაროდან მაგისტრის პანსიონატიდან ცნობილ ოკენის „იზიდას“* ჩამოიღებდა, მოხუცმა ფანჯრის პირდაპირ ჩასმული კარი გააღო.

ეს ოთახი დასავლეთით მდებარეობდა, ფასადის მზიანი ოთახების საპირისპირო მხარეს და ტყის ჩრდილით იყო ჩაბნელებული.

— ნუ შეგეშინდებათ, მამზელხენ, — მიმართა მოხუცმა, გოგონას და ერთადერთ ფანჯარაზე გარედან გაკეთებულ

რკინის ცხაურზე მიუთითა. — ეს საპყრობილე არ გეგონოთ, მოხუცის ახირების ნაყოფია მხოლოდ.

— ასე ადვილად არაფერი მაკრთობს, — მიუგო გოგონამ და კარისკენ წასულ მოხუცს მიჰყვა.

— ახლა კი იმ ყმაწვილს თქვენი ნივთები ზემოთ ამოვატანინოთ, რადგან ამ ოთახში საწოლი და კამოდის თავზე დაკიდებული ქალწულის სარკე, ალბათ, თქვენთვის არის გამიზნული.

როცა ფრანცისკამ თავისი ნივთები ჩაიბარა და ყმაწვილს ფული გადაუხადა, მოხუცმა უთხრა:

— ახლა კი, მამზელხენ, ისევ სოფელში წაგიყვანთ. მართალია, ერთი საათის სიარული მოგიწევთ, სამაგიეროდ კასპერის მარგრეტი სადილად გემრიელ ერბოკვერცხს მოგიმზადებთ, საღამოს კი ბატონი დოქტორი ეტლით გამოივლის, რომ გასაღები ჩაიბაროს.

გოგონამ თავი გაიქნია.

— რაკიღა მოვედი, დავრჩები კიდეც. საჭმელი კი სამგზავრო ჩანთაში მეც მომეძევება.

მოხუცმა წვერი მოიფხანა:

— მაშინ თქვენი ჩაკეტვა მომიწევს, რადგან დოქტორს გასაღები თვითონ მე უნდა გადავცე.

— ჩამკეტეთ, ბატონო ინსპექტორო.

— ჰმ. იქნებ ფილაქსიც დაგიტოვოთ?

— ფილაქსი? რად მინდა? სხვა არა იყოს რა, საჭმელი ორივეს არ გვეყოფა.

— როგორც გენებოთ. მე მხოლოდ შემოგთავაზეთ. მასთან კარგად გაერთობოდით.

— სულაც არ ვარ მოწყენილი.

— ჰო, მართალი ხართ.

— ამრიგად, შევთანხმდით, ბატონო ინსპექტორო.

— შევთანხმდით, მამზელხენ. ახლა ჩაგკეტოთ?

გოგონამ სერიოზული სახით დაუქნია თავი, შემდეგ მოხუცს მშვიდად ჩაჰყვა ეზოში და გარეთ გააცილა. როგორც კი ინსპექტორი გალავნიდან გავიდა და კარი გასაღებით დაკეტა, გოგონა მკვირცხლად შემობრუნდა და ოთახში ავიდა, თავი ფანჯრის ჩარჩოს მიადო და გზად მიმავალ მოხუცს გახედა. ის უკვე ბალახმოდებულ ბილიკზე ადიოდა ღარტაფის გაღმა მხარეს. როცა მოხუცი და მისი ძაღლი ფიჭვნარში მიიმალნენ, გოგონა შუა ოთახში გამოვიდა, ფეხის თითებზე წამოიწია, ღრმად ამოისუნთქა, ირგვლივ ყველაფერს დაკვირვებით მოავლო თვალი და ორივე ხელი მკერდზე მიიდო. კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა გოგონას პატარა სახეს, რომელზედაც ამ წუთას განსაკუთრებით მკაფიოდ გამოკრთოდა ნაკვთები. შემდეგ ბიბლიოთეკა გაიარა და თავის ოთახში გავიდა, რომელსაც უკვე მზე მისდგომოდა. სარკესთან მივიდა, ᲘᲡᲮᲕᲘᲚᲘ ნაწნავები დაიშალა და მუქი ჩალისფერი თმა მხრებზე ტალღებად გადაიყარა. ჩემოდანი გახსნა, თავისი ნივთები ამოალაგა და კამოდის ცარიელ უჯრაში ჩააწყო. ამოიღო ზეთის საღებავების კოლოფი, ფუნჯები, ფერადი ფანქრები და არც თუ ცუდად დახატული ყვავილები. ყველაფერი რომ მიალაგ-მოალაგა, თმა ისევ დაიწნა და ყველაზე მოხდენილი კაბა გადაიცვა.

ნივთების დალაგებას რომ მორჩა, სამგზავრო ჩანთიდან რამდენიმე ბუტერბროდი ამოიღო და შეჭამა. შემდეგ, თითქოს ვიღაცამ ამ კედლებს შორის მოქცეული ყოველი კუთხე-კუნჭულის საგულდაგულო შესწავლა დაავალაო, მკვირცხლად

შემოირბინა მთელი სახლი, ყველა ოთახი, სამზარეულო, იქიდან დაბლა ჩაირბინა და სარდაფიც დაათვალიერა. შემდეგ იქვე კიბე შენიშნა და სხვენში აირბინა. აქ მაღალ და ჩაბნელებულ სახურავზე მოხვდა. გვერდით რაღაცამ გაიხრიგინა, იქნებ, ქრცვინი იყო, იქნებ — კვერნა, გოგონას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, დაკეტილ სანათურთან მივიდა და იმდენხანს ეჯაჯგურა, სანამ არ გააღო. სანათური სახურავის უკან მხარეზე იყო მოქცეული. აქედან დაბლა იშლებოდა ვრცელი ველი, რომელიც თითქოს ტყიდან ამოზრდილიყო და, რაც მეტ ხანს უყურებდით, უფრო თვალუწვდენელი ხდებოდა.

ამ სიბნელეში გოგონა სანათურის ჩარჩოზე ჩამოჯდა. მისი ნაცრისფერი, არწივისებური თვალები ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, ხან შუადღის ხვატში გარინდულ ტყეს შეაცქერდებოდა, ხან გზაზე დარჩენილ ეტლის თვლების ორიოდ ნაკეალევს, რომელიც ველიდან ეს-ეს იყო მისგან მიტოვებული სამყაროსკენ მიემართებოდა.

დრო გადიოდა და „ბრიყვის თავშესაფრის“ ტყის ბინადრებს დაერღვათ ზაფხულის ჩვეულებრივად წყნარი ცხოვრება. ახალგაზრდა ნაძვების ნაკრძალიდან მოულოდნელად გამოხტება ირემი, ახლადმოცვლილ რქებს ყურადღებას არ აქცევს და გახელებული გარბის მახლობელი უღრანისაკენ. იქით, ჭაობიდან, ჰაერში კრიახით აიჭრება ორი მოლურჯო-ფოლადისფერი როჭო, რომლებიც აქამდე, წლების მანძილზე, თავის ნებაზე ტიხტიხებდნენ. თვით ოსტატ მელასაც მოსვენება დაუკარგეს. მაღალ ბებერ ბორცვზე მოუწყვია თავისი მალეპარტუსი*, შუადღის გულზე ბუნაგის ერთ საძვრომთან დამჯდარა და ხან მინდორზე ატორტმანებულ კოღოების გუნდს შესცქერის გულმოწყალედ, ხან პატარა ლეკვებს, რომლებიც დედის

ირგვლივ პირველ ბალაყებს ბედავენ. უცბად დედა მელა თავს მაღლა სწევს და ყურებს წკაპავს: წიფლნარის პირიდან რაღაც უცნაური ხმები მისწვდა მის სმენას.

რამდენიმე წუთის შემდეგ მინდორზე მამაკაცი გამოჩნდა, იგი ახალგაზრდობის ასაკიდან გამოსულა, მაგრამ ჯანმრთელი კი ჩანს. დიდი ლომისფერი ძაღლი წინ გარბის და დრუნჩს ჩრის სორო'ში, სადაც მელამ და მისმა ლეკვებმა თავის შეფარება ძლივს მოასწრეს. მაგრამ პატრონი უხმობს ძაღლს და ისიც იმწამსვე უკან გარბის. დიდი ხანი არ არის, ძაღლი და პატრონი ტყიდან გამოვიდნენ. ახლა გზას მინდორზე განაგრძობენ. მალე ორივენი ჭაობს გასტოპავენ. ყოველდღე ერთად დადიან, მაგრამ ტყის ბინადრებს მათი არ უნდა ეშინოდეთ, რადგან ძაღლი მხოლოდ თავის პატრონს შესცქერის, ის კი— მცენარეთა უტყვ სამყაროს. თუ რომელიმე უცნობ მცენარეს შეამჩნევს, ხელიდან არ გაუშვებს. დღეს განსაკუთრებით აინტერესებს ხავსები და ჯუჯა ლერწმისებრნი, რომლებსაც დაუნანებლად ალაგებს თავის მწვანე ყდაში.

ზოგჯერ გვერდით გოგონაც მისდევს. ეს იშვიათად ხდება, როცა ზოგჯერ ახლო-მახლო გადის ხოლმე. გოგონა უმეტესად ღარტაფის გაღმა რჩება, „ტყის ყურეს" მაღალ გალავანს შიგნით. იქ იგი სამზარეულოში ეხმარება მოხუც ქალს, რომლის კეთილ სახეს დიდი ხნის სიყრუით გამოწვეული გულგრილობა აღბეჭდვია.სიყრუის უფრო ნათელ ნიშანს წარმოადგენს სასმენი მილი, რომელიც მონადირის საყვირივით გადაუკიდია მხარზე. გოგონამ იცის, რომ ეს მოხუცი ერთ დროს მისი ახლანდელი ბატონის მომვლელი იყო, ცდილობს თავაზიანი იყოს და ყველაფერი ასიამოვნოს. თვით ბატონთან კი თავი სხვაგვარად უჭირავს. კაცი სულ ელის, მაგრამ მისგან ერთხელაც

აღარ უგრძვნია ისეთი შეხედვა, იქ რომ დაიჭირა, სასამართ ლოს ოთახში, როცა ბურგომისტრის მდივნის მოვალეობას ასრულებდა.

ზოგჯერ, როცა სადილის შემდეგ ზემო ოთახებს მიალაგებს, — ამას იგი მუდამ გულმოდგინედ აკეთებს ხოლმე, — გოგონა სიამოვნებით მიჯდება პატარა ბიბლიოთეკის ფანჯარასთან და მოყავისფრო ქაღალდზე ხატავს საგველას ან ყვავილის ღეროს, რომელიც ტყიდან დოქტორს ან ორივეს ერთად მოაქვთ. ასეთ დროს დოქტორი დიდხანს დგას გოგონას გვერდით და მოჯადოებულივით, ჩუმად შესცქერის პატარა, მარდ ხელს.

ასე იყო ერთ საღამო პირასაც, უკვე რამდენიმე კვირა გასულიყო, რაც ისინი ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდნენ. კაცმა გოგონას წინ დაუდო წყლის ბამბისა და ღანძილის თაიგული. გოგონა მუყაითად შეუდგა მათ ქაღალდზე გადახატვას. ხატვისას დოქტორი თითო-ოროლა სიტყვას ჩაურთავდა ხოლმე, გოგონაც თავაუღებლად პასუხობდა.

— სიამოვნებით გადმოხვედით ამ სახლში საცხოვრებლად? — ჰკითხა მას დოქტორმა.

— რასაკვირველია, რატომაც არა? ხარაზთან ყველგან ტყავის სუნი იდგა, გარდა ამისა, ისინი მათხოვრებივით ღატაკებიც იყვნენ.

— მათხოვრებივით ღატაკები? რატომ ხმარობთ, ფრანცისკა, ასეთ უხეშ გამოთქმებს? — კაცს ეგონებოდა, დოქტორი გოგონაზე ბრაზობსო, მაგრამ კარგა ხანია გაბრაზება აღარ შეეძლო. კაცმა ერთ ხანს უყურა ფრანცისკას, რომელიც ახლა ფოთოლზე ჩრდილებს ხატავდა, და რაკიღა მისგან პასუხი ვერ მიიღო, თვითონვე განაგრძო: — მართალია მე მათხოვარივით

ლატაკი არა ვარ, მაგრამ თქვენთვის აქ ძალიან მოწყენილობაა.

— მე ეს მომწონს, — წყნარად მიუგო გოგონამ და ფუნჯი საღებავში ამოაწო.

გოგონას წინ, მაგიდაზე, რამდენიმე დასრულებული ნახატი იდო. დოქტორმა აიღო ერთი მათგანი, რომელზეც Cornus suecica* იყო დახატული და ქვეშ ფანქრით მიაწერა:

მე დავეძებდი სულ სხვაგვარ ყვავილს,
ვეძებე, მაგრამ ვერ ვპოვე ვერსად.
ნიადაგიდან იზრდება იგი
იქ, სადაც ორნი არიან ერთად.'

კაცმა ნახატი გოგონას დაუდო წინ, მან ლექსს სწრაფად გადაავლო თვალი, ზემოთ არც აუხედავს, ფურცელი სხვა ნახატებთან ისე დადო და უფრო მეტად თავდაღუნულმა ხატვა განაგრძო.

კაცი კიდევ რამდენიმე ხანს იდგა მასთან, თითქოს წასვლას ვერ ბედავსო, მაგრამ რაკიღა გოგონა სამუშაოს ჩუმად განაგრძობდა, დოქტორმა ძაღლს დაუსტვინა და მასთან ერთად ტყისკენ გაემართა.

მაინც რა უცნაურად აეწყო ამ გოგონასთან ურთიერთობა! წამიერი გატაცებით, თითქმის დაუფიქრებლად დაუკავშირა იგი დოქტორმა თავის ცხოვრებას, ვით ერთფეროვანი ცხოვრების შემამკობელი და აზრის მიმცემი რამ საშუალება. მაგრამ სულ სხვაგვარად კი გამოვიდა! რასაკვირველია, მოხუცი ფრაუ ვიბი, რომლისთვისაც, სიყრუის მიუხედავად, ცხოვრება არავითარ საიდუმლოებას არ შეიცავდა, ამას ვერ ამჩნევ-

და, მაგრამ ლომისფერი ძაღლიც კი გრძნობდა, რომ მისი პატრონი ამ უცხო გოგონას დამორჩილებოდა, მთლად მის ხელთ იყო. ამიტომ ეტმასნებოდა ძაღლი ადრინდელზე მეტად თავის პატრონს, და თითქოსდა საყვედურით აღვსილი თვალებით შეჰყურებდა.

დიდხანს იხეტიალეს უმიზნოდ და უაზროდ ორივემ ერთად. მერე, როცა ტყეში ჩამობნელდა, ბატონი და ძაღლი დიდი მუხის ქვეშ ბილიკის ახლოს დასხდნენ. საღამო პირას, სანამ დასაძინებლად თავიანთ ბუდეებს მიაკითხავდნენ, ამ მუხაზე ყორნები იკრიბებოდნენ ხოლმე.

დოქტორმა თავი ხავსმოდებულ გრანიტის ლოდს მიადო. აქეთ გამოსეირნებისას ფრანცისკას რამდენჯერმე დაუსვენია ამ ლოდზე. დოქტორი შესცქეროდა ხეს, რომელზეც ერთმანეთის მიყოლებით სხდებოდნენ ყორნები, შემდეგ ტოტიდან—ტოტზე ხტოდნენ და ყრანტალებდნენ, თითქოს ერთმანეთს დღევანდელ ამბებს უყვებიანო. ამჯერად ფრთოსანთა შავ-მონაცრისფრო საზოგადოება მას ნაკლებ აინტერესებდა, ოცნებით ხედავდა მსუბუქ ნაბიჯებს იმისას, ვისი მოღლილი ფეხებიც ცოტა ხნის წინ ისვენებდა ამ ლოდზე, რომელზეც ახლა ფიქრებით აფუსფუსებული თავი თვითონ მიედო.

ეს რა გრძნობები იტაცებს რიჰარდს, რომლის მსგავსი ჯერ არ გამოუცდია? ყველაფერი დანარჩენი, რაც ცხოვრების ნახევარ გზაზე აუტანელ ტანჯვად თან ახლდა, გაქრა, მიავიწყდა. ნუთუ ეს იყო სწრაფვა იმისკენ, რომ ახალგაზრდობის უკანასკნელი ბედნიერება ახლა განეცადა? იქნებ, ეს იყო ჯადო ახალგაზრდული თვალებისა, რომლებშიც ზოგჯერ უძირო უფსკრული მოჩანდა? გოგონას იგი ამჩნევდა ზოგიერთ თვისებას, რაც მას უკუ უბიძგებდა: სიმკაცრესა და დამოუკიდებ-

ლობას — გოგონა თითქმის ზიზღით უარყოფდა ყოველგვარ შემწეობას, და მამაკაცს ეს აბრაზებდა. ამის გამო მოსვენება ვერსად ეპოვნა. ამაში იგრძნობოდა რაღაც მტრობა, რაც მას თითქოს საბრძოლველად იწვევდა და იგი გრძნობდა, რომ გაემარჯვნა კიდეც, სიყვარული უფრო მეტად წარიტაცებდა.

კაცი წამოხტა, დამუშტული ხელები ზემოთ შემართა, თითქოს ძარღვებს ისინჯავსო, რათა ახლავე შებრძოლებოდა შეყვარებულ მოწინააღმდეგეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ.

მუხაზე ფრთოსნები ფართქუნებდნენ. უცბად ძაღლმა შეჰყეფა და ყორანთა გუნდი ყრანტალით აიჭრა, ტყიდან კი სხვა ხმა მოისმა: პატარა ფეხები მუხისკენ მსუბუქად და აჩქარებით მოაბიჯებდნენ. მამაკაცმა მალე შეამჩნია ხეთა შორის მოფრიალე კაბის კალთები. მამაკაცმა ხელები მკერდზე მიიდო, თითქოს ამით შეიძლებოდა აბობოქრებული გულის ძგერის ჩახშობა.

გულამოვარდნილი გოგონა მის წინ შედგა.

— რა ფერმკრთალი გამოიყურებით, ფრანცისკა! — შესძახა კაცმა.

— ვირბინე, თქვენ გეძებდით!

— მე, ფრანცისკა? ტყეში უკვე ბნელდება.

მამაკაცის სახეზე გოგონას შეეძლო ამოეკითხა, თუ როგორ პასუხს ელოდნენ მისგან, მაგრამ მან უბრალოდ თქვა — ეს იყო მსახურის კილო, რომელიც ბატონს დაბარებულს გადაცემს:

— ვიღაც მოვიდა, თქვენი ნახვა სურს.

— ჩემი ნახვა სურს?

გოგონამ თავი დაუქნია.

— ჩემი მეურვეა, ხარაზი, — წარმოთქვა გოგონამ უხალისოდ, თითქოს თავს რაღაც უხერხულად გრძნობსო.

— თქვენი მეურვე? მერე და ჩემგან რა უნდა?

— არ ვიცი, რა უნდა, მაგრამ მეშინია მისი.

— მაშ წავიდეთ, ფრანცისკა!

ორივე აჩქარებით გაუდგა გზას.

ტანმორჩილი, ცხვირპაჭუა, მოყეყეჩო სახის ხარაზი ფრაუ ლევერენცის პატარა ოთახში იცდიდა. რიჰარდმა იგი ზემოთ აიყვანა, სადაც ფრანცისკა ადრევე ასულიყო.

— აბა, ოსტატო, რას მიბრძანებთ? — ჰკითხა მას მასპინძელმა და საწერ მაგიდასთან სავარძელში ჩაჯდა.

თუმცა დაჯდომა შესთავაზეს, მაგრამ ხელოსანი კართან შემკრთალი ატუზულიყო, ნაწყვეტ-ნაწყვეტად რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა და დღევანდელი შეწუხებისათვის წინასწარ ბოდიში მოიხადა. მერე კი საქმეზე გადავიდა: ერთ მოხუც მდიდარ, ძალიან მდიდარ და უშვილო ხაბაზს უნდა ფრანცისკას შვილად აყვანა. თუ კი ნაშვილები წესიერად მოიქცევა, ხაბაზი არ დაივიწყებს და ანდერძში მასაც მოიხსენებს. ჩემი, ე. ი. მეურვის მხრივ, უსინდისობა იქნებოდა, რომ მეურვეობაში მყოფისათვის ასეთი ბედნიერება დამეკარგაო.

რიჰარდმა ეს ამბავი მშვიდად მოისმინა, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა.

— ვაფასებ თქვენს მზრუნველობას, ოსტატო, — დაიწყო მან და, როგორც იქნა, მღელვარება დაიოკა, — მაგრამ ფრანცისკა ჩემს სახლშიც ნაკლებ უზრუნველყოფილი არ იქნება. მზად ვარ ამის გარანტია მოგცეთ.

ხარაზმა ერთხანს ქუდი ხელში ატრიალა, მერე თქვა:

— შეიძლება, მაგრამ ამას ვერ ვიზამ!

— რატომ ვერ იზამთ?

ხარაზს პასუხი არ გაუცია, პირდაკუშტული დასცქეროდა იატაკს. მათი საუბრისას გოგონა ფანჯარასთან იდგა და ხმას არ იღებდა. როცა რიჰარდმა მისკენ მოიხედა, დაინახა, თუ როგორ გაფართოებოდა გოგონას ისედაც დიდი ნაცრისფერი თვალები, ყოველგვარი ურჩობა ჩამოსცილებოდა და შიშითა და მუდარით შესცქეროდა დოქტორს.

— ფრანცისკა! — ჩაიდუდუნა მან. ოთახში ერთ წუთს სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

შემდეგ დოქტორი კვლავ ხარაზს მიუბრუნდა, გული ისე უცემდა, რომ სიტყვებს ძლივს ამბობდა.

— თქვენ ჩემთვის ნამდვილი მიზეზი არ გითქვამთ, ოსტატო. გულახდილად მითხარით ყველაფერი და მოვრიგდებით.

ხარაზმა მხოლოდ ეს უპასუხა:

— სხვა აღარაფერი მაქვს სათქმელი.

ფრანცისკა, რომელსაც აქამდე თავი წინ წამოეწია და მოსაუბრეებს პირდაღებული უსმენდა, დოქტორის სავარძელს ამოეფარა.

— მე ვთქვა ეგ მიზეზი, მეურვე? — იკითხა ფრანცისკამ ისეთი კილოთი, რომ ყურს ბასრ დანასავით მოხვდა.

— რაც გინდათ, ისა თქვით! — მიუგო ხელოსანმა და ჯიუტად გვერდზე გაიხედა.

— რაკიღა თქვენ არ ამბობთ, მე ვიტყვი: ხაბაზს თქვენი სახლი გირაოდ აქვს აღებული და ვიცი, რომ ახლა გავიწროვებთ.

რიჰარდმა შვებით ამოისუნთქა.

— მართლა ასეა? — ჰკითხა ხარაზს.

ხარაზმა ნათქვამის სისწორე დაადასტურა.

— ვალი რამდენი გაქვთ აღებული?

ხარაზმა ისეთი თანხა დაასახელა, რაც წვრილი ხელოსნის უძრაე-მოძრავის საფასურს რამდენჯერმე აღემატებოდა.

— კარგი, ოსტატო, — დაიწყო რიჰარდმა სწრაფად, მაგრამ სანამ წინადადებას დაამთავრებდა, ყურში ფრანცისკას ჩურჩული ჩაესმა:

— ნუ აჩუქებთ, გემუდარებით, ნუ აჩუქებთ!

და ხელზე შიშით შემკრთალი ფრანცისკას ხელის ოდნავი მოჭერა იგრძნო.

რიჰარდი მაშინვე გონს მოეგო, გოგონას სათქმელი სწრაფად გაიგო:

— ოსტატო, — მიმართა მან ხარაზს, — ფულს მე გასესხებთ, აი ახლავე, თქვენ კი მხოლოდ ხელწერილი მომეცით. გამიგეთ სწორად, სანამ თქვენს მეურვეობაში მყოფი ჩემს სახლში იქნება, პროცენტებს არ მოგთხოვთ. თანახმა ხართ?

ხარაზმა უარის თქმა სცადა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მხოლოდ ჩვეულების გამო, და ცოტა ხნის შემდეგ ამ პირობაზე დათანხმდა.

— ცოტა ხანს მომითმინეთ! ახლავე ჩემს ვექილთან საჭირო მინდობილობებს გაგატანთ.

ფრანცისკა წელში გაიმართა. რიჰარდმა სავარძელი საწერ მაგიდასთან მისწია. დოქტორი ისე გაცხარებით შეუდგა წერას, რომ კალამი ქაღალდს კაწრავდა.

წერილი სწრაფად დაბეჭდა და დახარბებული კაცის ხელს გადასცა. ხარაზი კარებამდე მიაცილა. ფრანცისკა ძველ ადგილზე დარჩა. ორივე მონუსხულივით შესცქეროდა ის-ის იყო მოხურულ კარს, თითქოს სურდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ

ეს მძიმე ნაბიჯები ნამდვილად ქვემოთ ჩადიოდა. კიდევ ერთი წუთი და მათ სმენას მისწვდა სახლის კარის გაღებისა და დახურვის ხმა, შემდეგ კი ჭიშკრის ხმაც გაიგონეს.

რიჰარდი ახლაღა მიბრუნდა ფრანცისკასაკენ.

— მოდი! — ხმადაბლა წარმოთქვა მან და მკლავები გაშალა.

ნათქვამი არც ისე ხმადაბალი აღმოჩნდა, — გოგონა კაცს მკერდზე მიეხუტა, რიჰარდმა იგი ისე მიიკრა, თითქოს გასრესა სურდა, რომ შემდეგ მის თავს აღარავინ შესცილებოდა.

— ფრანცი! ავად ვარ შენი სიყვარულით, სად ვიშოვო წამალი?

— აი, წამალი! — მიუგო გოგონამ და ნაზი, ბროწეულის ყვავილისფერი ბაგეები გაუწოდა.

ოთახის კარი მათ უჩუმრად გაიღო, ღრიჭოში გამოჩნდა ძაღლის მშვენიერი მუქყვითელი თავი, შემდეგ ძლიერი ცხოველი ოთახში შემოვიდა. იგი მაშინღა შეამჩნიეს, როცა თავი პატრონს მიადო ფეხზე და მშვენიერი ყავისფერი თვალები საყვედურით შეავლო.

— ეჰვიანობ, ლეო? — თქვა რიჰარდმა და პირუტყვს თავზე ხელი გადაუსვა. — ამის წინაშე, ჩემო საბრალო მეგობარო, ორივენი უძლურნი ვართ.

ამ დღესაც საღამო მოჰყვა. შვარცვალდულმა საათის პატარა ხელოვნურმა ფრინველმა ის იყო ფრთები დასცხო და ათჯერ დასძახა „გუ-გუ“. რიჰარდმა საწოლი ოთახიდან დიდი გასაღები გამოიტანა, რათა ამ საღამოსაც ჩვეულებისამებრ დაეკეტა ჭიშკარი.

ფრანცისკა სამზარეულოდან წინკარში გამოვიდა, რიჰარდმა სიბნელეში მას ხელი ჩასჭიდა და ეზოში გაიყვანა. გოგო-

ნა მის მკლავს დაჰყრდნობოდა და ხმას არ იღებდა. რამდენიმე ხანს ასე იდგნენ და ღია ჭიშკრიდან ღამეს გაჰყურებდნენ.

უცბად მიდამოს ქარმა დაჰბერა, ნაძვებმა ტორტმანი დაიწყეს, ტყის მიღმა ფერგამკრთალ ცაზე შავი ღრუბელი მიჰქროდა. ულრანიდან ბუკნაჭოტის კივილი ისმოდა.

— უჰ, რა საშინელი რამ არის, — შეაკანკალა გოგოს.

— შენ რა, გეშინია? — ჩაჰკითხა რიჰარდმა. — მე მეგონა, არაფრისა არ გეშინოდა.

— ახლა მეშინია, — მიუგო გოგონამ და თავი მკერდზე მიაყრდნო.

ისინი უკან შემობრუნდნენ და რიჰარდმა ჭიშკარს ურდული გაუყარა. ზემო ფანჯრიდან გალავანშემოვლებულ ეზოს ლამპის შუქი ეცემოდა.

— ღამეული შიში გარეთ დარჩა! — თქვა რიჰარდმა.

გოგონამ გაიცინა.

— ასევე მეურვეც! — ყურში ჩასჩურჩულა მან რიჰარდს.

გრძნობით მთვრალმა რიჰარდმა გოგონა ხელში აიტაცა და შინ შეიყვანა. აქაც გადაბრუნდა გასაღები და გარეთ რომ ვინმე მდგარიყო, დაინახავდა, ამ ხმის გაგონებაზე როგორ დაწვა ძაღლი კართან. ზემო სართულის ფანჯრებში შუქი მალე ჩაქრა და ღამისეული ტყის დიად მდუმარებაში სხვა მრავალ ჩრდილთან ერთად სახლიც პატარა ჩრდილად გამოჩნდა.

ახალ სახლში გადასვლისას ფრანცისკას მეტად ღარიბული სამოსი ეცვა. თუმცა მის მეურვესთან პირველი მოლაპარაკების დროს რიჰარდმა ამ მხრივ ყოველგვარი საზრუნავის მოგვარება თავად იკისრა, მაგრამ თვითონ გოგონას ხელსაყრელი მომენტი აქამდე ვერ შეურჩია, რომ ამ საკითხზე მოლაპარაკე-

ბოდა. თქმა არ უნდოდა, რომ სიღარიბე, ხოლო უფრო მეტად მორცხვობა, რომლითაც ფრანცისკა მის დაფარვას ცდილობდა, რიჰარდის თვალში გოგონას მომხიბვლელობას უფრო მატებდა; ასეთ დროს მისი ახალგაზრდული, ჩვეულებრივად ოდნავ მკაცრი სახის ნაკვთები მეტად წარმტაცი, რაღაც გულისშემძვრელი ხდებოდა ხოლმე. მაგრამ აღარ შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო, ფრანცისკას გარდერობი შევსებას მოითხოვდა.

მათი ტყის სახლიდან სამხრეთით სამი მილის მანძილზე მდებარეობდა ერთი დიდი სავაჭრო ქალაქი. ერთ დილას, ადრიანად ჭიშკართან მსუბუქი ეტლი გაჩერდა. რიჰარდი და ფრანცისკა ქალაქში უნდა წასულიყვნენ. ლეო სახლში გამოკეტეს. სასმენი მილით ფრაუ ვიბს ორივემ რამდენიმე მეგობრული სიტყვა ჩასძახა, იმანაც ეტლში ასულებს თავი მხიარულად დაუქნია, და ეტლი მინდვრის ოღროჩოღრო გზას გაუდგა.

შუა გზაზე ერთ სოფლის სამიკიტნოში ჩამოხტნენ. როცა დიასახლისმა შეკვეთილი რძე მოუტანა, გოგონას ჰკითხა:

— ალბათ, ბატონი მამათქვენიც ინებებს რძეს?

— რასაკვირველია, — მიუგო ფრანცისკამ, — რძეს ბატონი მამაჩემიც მიირთმევს, — და ეშმაკური ღიმილით გადახედა რიჰარდს.

შუადღეც არ იქნებოდა, დიდ ქალაქს რომ მიაღწიეს.

ჯერ საკაბე ქსოვილები შეიძინეს, საზაფხულოდ ღია ფერის ლამაზყვავილებიანი, საზამთროდ — სადა ფერის რბილი შალის ქსოვილები. შესაკერად იქვე მისცეს, იმავე მაღაზიაში. ზომების ასაღებად ფრანცისკა მკერავ ქალს ცალკე კაბინეტში შეჰყვა. გამყიდველის ცხარე პროტესტის მიუხედავად,

რიჰარდმა ყველაზე სადა მოდა შეარჩია „საშინაოდ და ტყეში სახმარებლად“. ფრანცისკასაც მეტი გზა არ ჰქონდა და დუმილით აიტანა ახალგაზრდა გამყიდველების თანაგრძნობა, რაც მას „ბატონი მამის“ სიჯიუტის გამო გამოუცხადეს.

ამის შემდეგ სავაჭროში მისამართი დატოვეს და გზა განაგრძეს.

გზად ფრანცისკას სახატავი მოწყობილობა, ორი უბრალო, მოხდენილი ჩალის ქუდი შეიძინეს და თეთრეულის სავაჭროში შევიდნენ. ფრანცისკამ ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, როძ რიჰარდმა მისთვის ერთი დუჟინი პერანგი იყიდა.

— დიდი მფლანგველი კი ხართ! — მიმართა მას ფრანცისკამ. — პერანგებს ხომ თავადაც შევიკერავდი.

— მართალი ხარ, — მიუგო რიჰარდმა და მეორე დუჟინისათვის ქსოვილი იყიდა.

— თუ ასე განაგრძობთ, რიჰარდ, სხვაგან აღარ შეგყვებით.

— ხარაზთანაც და ეს იქნება და ეს. მაგრამ „თქვენობით“ რატომ მელაპარაკები? ნუთუ მიბრაზდები, ფრანცი?

— არა, მაგრამ დღეს რაღაც ზვიადი მეჩვენები.

— წავიდეთ, წამო!

ცოტა ხნის შემდეგ ისინი მოხდენილი ფეხსაცმელების მაღაზიაში იყვნენ. გამყიდველმა ქალმა აგდებულად შეავლო თვალი გოგონას წარმოუსადეგ ტანს და ფეხსაცმელების მთელი გროვა უგულოდ დაულაგა წინ.

ფრანციმ ბაგეები ზიზღით შეაქანა, როცა ამ მდარე ხარისხის ფეხსაცმელებს დახედა, რადგან მისი ლამაზი ფეხების ბადალი იმ მიდამოში არ მოიძევებოდა, რაიც ფრანცისკამ კარგად იცოდა, მაგრამ გოგონა სავარძელში მაინც ჩაჯდა და კაბა კოჭებამდე აიწია.

გამყიდველ ქალს ხელში ფეხსაცმელი ეჭირა. როცა მან ფრანცისკას წინ ჩაიჩოქა, აღტაცების წამოძახილი აღმოხდა:

— ოჰ! რა ზღაპრული დედოფლის ფეხები გაქვთ! წავალ, ბავშვის ფეხსაცმელს მოგიტანთ!

ფრანცისკა პრინცესასავით იჯდა სავარძელში. რიჰარდი მის გამარჯვებას წინასწარ გრძნობდა და ახლა აღტაცებით დაიჭირა გოგონას მოზეიმე გამოხედვა.

გამყიდველი ქალი სრულიად შეცვლილიყო. მის თვალში მყიდველები უცბად არისტოკრატთა დონემდე ამაღლებულიყვნენ. შემინული კარადებიდან გამალებით გამოალაგა უამრავი ფერისა და ფირმის წაღები. ყველა მათგანი თანამედროვე მოდისა იყო და მაღალი ქუსლები ჰქონდა.

— არა, არა, — ღიმილით წარმოთქვა რიჰარდმა, — ეს კარგი იქნებოდა ჩვეულებრივი ქალის ფეხისთვის, ზღაპრული ფეხებისთვის კი ამგვარი კალაპოტისა არ გამოდგება.

— მართალი ბრძანდებით, ბატონო ჩემო, — გაეპასუხა გამყიდველი ქალი, — მაგრამ მოვალენი ვართ ჩვეულებრივი მყიდველისათვის მოდური ფეხსაცმელი ვიქონიოთ.

მერე ისევ კარადებში ქექვას შეუდგა და ისეთი მსუბუქი და რბილი წაღები შეარჩია, რომ ცეკვისას წყლის ფერიებსაც არ დაამძიმებდათ. პირველივე წყვილი ჩამოსხმულივით მოერგო ფრანცის პაწაწინა მოხდენილ ფეხებს.

რამდენიმე წყვილი სხვაც შეარჩიეს, აიღეს ტყეში სასიარულო მაღალყელიანი ტყავის ფეხსაცმლის ზომაც, შემდეგ კი ორივენი დიდი ქალაქის ხალხმრავალ ქუჩებს გაუყვნენ. გოგონა კაცს მკლავზე ჩამოჰკიდებოდა. რიჰარდი აღტაცებას განიცდიდა მისი ყოველი ჰაეროვანი ნაბიჯის გადადგმისას და ძალაუნებურად ფეხს უჩქარებდა, თითქოს სურდა გამვლელე-

ბისათვის ამ ფეხების მომხიბვლელი იდუმალება დაეფარა, რადგან იგი ახლა მხოლოდ მას უნდა ჰკუთვნებოდა და სხვას არავის.

უკვე ბინდდებოდა, როცა ეტლი „ტყის ყურეში“ სახლის წინ შედგა.

რამდენიმე დღის შემდეგ შიკრიკმა ქალმა ქალაქიდან დიდი ფუთა მოიტანა. ყველა შეკვეთა გაემზადებინათ. ფრანცისკამ ყველაფერი თავის ოთახში შეიტანა და ჩაიკეტა. კარგა ხნის შემდეგ გამოვიდა და რიჰარდისკენ გაემართა, სიტყვის უთქმელად კისერზე შემოეხვია და აკოცა. მერე ფრაუ ვიბის ოსაყვანად სამზარეულოში გაიქცა.

მაგრამ, რაც ფრანცისკას საწოლსა და კამოდზე კეთილი მოხუცის გასაკვირვებლად გამოეფინა, მხოლოდ ნაწილი იყო და ისიც ყველაზე უბრალო იმ სამოსიდან, მათ რომ იყიდეს. ამშინ ფრანცისკას არ დავიწყებია და რიჰარდსაც მოაგონა, რომ საჭირო იყო მოხუცისთვისაც ეყიდნათ რიგიანი საკაბე და საკვირაო თავშალი. მოხუცი ქალი ფრანცისკას ბევრს ეხვეწა, ქსოვილს ჩემთვის ნუ გააფუჭებო, მაგრამ გოგონამ მანამ არ მოისვენა, სანამ ახალი კაბის ზომა არ აუღო. მეორე დღეს უკვე ფრაუ ვიბის ოთახში საკერავ მანქანას უჯდა და გარშემო გამოჭრილი ქსოვილი და ქაღალდის თარგები შემოელაგებინა. ფრანცისკამ ისე ადვილად მოახერხა მოხუცი ქალის დაჯერება — არც თუ ისეთი ბებერი ხარ და, შეიძლება, აქ როზეტი მიეკერეს, იქ კი ნაოჭები აესხესო, რომ ვიბი სამზარეულოდან წარამარა გამორბოდა და ჯადოქარის სახელოსნოში შედიოდა, თან ბატონს არწმუნებდა — ფრანცისკამ უნდა გამაახალგაზრდაოსო.

რიჰარდი ამ გაწამაწიას თითქოს არ ამჩნევდა. მხოლოდ

ერთხელ დაიჭირა გოგონა წინკარში, როცა იგი საკერავი მოწყობილობით ხელში კიბეზე ჩამოვიდა, და უთხრა:

— რას უშვრები ჩვენ კეთილ მოხუცს? სიბერის დროს ბერსავიასავით* პატივმოყვარე გახდება.

ფრანცისკამ მას ერთ ხანს უყურა, მერე კი უთხრა:

— დამეხსენ! მოხუცსაც თავისი წილი სიხარული სჭირდება! — და კარებს იქით მიიმალა.

ისინი ცხოვრობდნენ ველსა და ტყეს შორის, სადაც, აგერ უკვე საუკუნე იყო, კაცის ხელი არ შეხებოდა არაფერს. მათ ირგვლივ ბუნების თავისუფალი სამეუფეო გადაშლილიყო.

ხალხი შორს იყო აქედან, მხოლოდ თითო-ოროლა ფუტკარი თუ გაიზუზუნებდა ყვავილთა თავზე. ერთხელ აქეთ მოხუცმა ინსპექტორმა შემოუხვია და ფრაუ ვიბს სათბობის მომარაგებაზე ესაუბრა, ორიოდე დღის შემდეგ აქაურობას დიდი ფორანი მოადგა და სახლის წინ შავი ტორფი გადასცალეს. ერთხელ კიდევ ქალაქიდან მედუქნე მოიჭრა და იქაურობა ცნობისმოყვარე თვალებით დაზვერა, კარგადაც ივაჭრა, მაგრამ მერე კარს იქით გააცილეს და უთხრეს, შემდგომში რაც დაგვჭირდება, ფოსტით გაცნობებთო. სხვა არავინ არ მოდიოდა შიკრიკი ქალის გარდა, რომელსაც კვირაში ორჯერ მოჰქონდა წერილები და გაზეთები ან სხვა რამ, რაც სჭირდებოდათ, და ქვემოთ სტოვებდა სამზარეულოში. მართალია რიჰარდი ტყის იქით ციხე-სასახლეში მცხოვრებ იუნკრებს შეპირდა — მოგინახულებთო, მაგრამ სტუმრობის დღეს თანდათან შორს სწევდა. ამის გამო იქიდანაც არავინ მოსვლია. თვით სამყაროს ამბების მომტანი გაზეთებიც საწერი მაგიდის ქვედა უჯრაში დასტებად ელაგა წაუკითხავი.

თითქმის ყოველ დილას ისინი ერთად სეირნობდნენ ზაფხულის სურნელებით გაჟღენთილ ჰაერზე. ამ დროს ფრანცისკას მაღალყელიანი ტყავის წაღები ეცვა, კაბა წამოეკალთავებინა, მხარზე ჰერბარიუმის ყდა გადაეკიდა, რომელიც რიჰარდმა საგანგებოდ მისთვის დაამზადებინა. ხშირად მათ გვერდით ძაღლიც მოხტოდა. ზოგჯერ კი, როცა გარემო ნისლით აივსებოდა, როცა იდუმალებით გაჟღენთილი ჰაერი ველს უძრავად დაეფინებოდა, ხოლო ტყე მათ ბინდმოცული იდუმალებით მიიზიდავდა ხოლმე, ორივენი თითქოს ჩუმად შეთანხმებულანო, კარიდან გადმომხტარ ლომისფერ ძაღლს უკანვე შეაგდებდნენ, მძიმე ალაყაფის კარს გამოკეტავდნენ, ყურადღებას არ აქცევდნენ ძაღლის წკმუტუნსა და ყეფას და იქაურობას აჩქარებით გაეცლებოდნენ. ბუჩქნარსა და ველს შორის მდებარე ადგილს რომ მიაღწევდნენ, ძაღლის ხმა აღარ ისმოდა, აღარაფერი არღვევდა ირგვლივ გამეფებულ დიად სიწყნარეს, ზოგჯერ ახლოს გველი თუ გასრიალდებოდა ანდა სადღაც ხმელი ტოტი გატყდებოდა. ფრთოსნები დაბურულ ფოთლებში შემალულიყვნენ, პეპლებს ფრთები დაეკეცათ და ბუჩქებზე ჩამოკიდებულიყვნენ.

ტყის პირას ასკილის ბუჩქები ერთიანად მუქ-წითელ ყვავილებში გახვეულიყო. როცა მათ გზაზე ყვავილთა სურნელი მიელამუნებოდა, ურთიერთს უჩუმრად ჩასჭიდებდნენ ხელს და თვალებგაბრწყინებულნი შესცქეროდნენ ერთმანეთს, სუნთქავდნენ ველური მცენარეების სურნელებით გაჟღენთილ ჰაერს. ისინი იყვნენ ერთადერთი სულიერი არსებანი ამ საოცნებო სამყაროში.

ერთხელ, ბევრი სიარულის შემდეგ, როცა მზემ დააცხუნა და სხივები უხვად დააფრქვია დედამიწას, რიჰარდი და ფრან-

ცისკა მოულოდნელად ტყის პირას გავიდნენ. მათ თვალწინ გადაიშალა უკიდეგანო ფერდობებს შეფენილი ყანები. ქვავის ყვავილობის დრო იყო. ჟამიდან-ჟამზე მათთან ნიავს ნაზი სურნელი მიჰქონდა. ცის დასალიერამდე ლურჯ-ოქროსფერი ტალღების ნელი ტორტმანის მეტი არაფერი ჩანდა.

უცბად იმ მხრიდან, სადაც ციხე-სასახლე უნდა ყოფილიყო, ზარის წკრიალი მოისმა. ეს ხმა შუადღის სიჩუმეში ძახილად გაისმა და თითქოს ფრანცისკაც ამ ძახილს მიჰყვაო, ალივლივებულ ყანას შეერია, ხოლო წიფლის ხეს მიყრდნობილი რიჰარდი მას გაჰყურებდა. გოგონა თანდათან შორს მიდიოდა, მის ირგვლივ ქვავი ღელავდა და ტორტმანებდა და რიჰარდს თანდათან შორდებოდა ამ უცხო ზღვაზე აცურებული გოგონას პატარა თავი. უცბად კაცს მოეჩვენა, თითქოს რაღაც იდუმალი ძალა უპირებდა ფრანცისკას წართმევას. ვინ იცის, როგორია ის მიწა, რომელსაც ამჟამად ფრანცისკას ფეხი ეხება? იქნებ ეს არ იყო ბებიების ნაამბობი ფუჭი ზღაპარი მოსავლის ბავშვის* თაობაზე, რომელსაც თითქოს ყანაში თუ დაინახავ, სამუდამოდ თვალთ დაგიბნელდება. რამდენი რამ. ჩაგვსაფრებია, რომ ხელში ან ფეხში ჩაგვებღაუჭოს და დასაღუპავად გაგვწიროს.

— ფრანცი! — გასძახა რიჰარდმა, — ფრანცი!

გოგონამ მისკენ მოიხედა.

— ზარი! — შემოესმა კაცს. — მინდა გავიგო, საიდან ისმის ამ ზარის ხმა!

— რა ჩვენი საქმეა, ფრანცი! ალბათ, ციხე-სასახლეში მისცეს სადილის ნიშანი.

გოგონა უკან მობრუნდა და მისკენ გამოემართა. კაცმა გნებით ჩაიკრა გულში.

— ნუთუ არ იცი, რომ ყანაში ასე შორს შესვლა საშიშია?

— საშიში? — უცნაური ღიმილით შეაცქერდა ფრანცისკა რიჰარდს. შემდეგ ორივენი ტყეში შებრუნდნენ.

მეორედ, ერთი ძალიან ცხელი დღის შემდეგ, ისინი ნაშუადღევს გავიდნენ ტყეში. როცა გვარიანად შებინდდა, იქვე ტბის პირას დაისვენეს. ირგვლივ მაღალი წიფლები შემოდგომოდათ.

სიწყნარე იდგა, მაგრამ მათ ფეხთით ლელი შრიალებდა. იქითა ნაპირზე, ტყის უკან, რომელიც ჩრდილს მდინარის სარკეზე აფენდა, წამდაუწუმ ელავდა. ტბას ზამბახის სურნელება მოჰფენოდა. უჩუმარი ელვა ანათებდა მის ზედაპირს.

რიჰარდი გოგონასკენ დაიხარა, ვითომ ეთამაშებოდა. ფრანცისკას ფერმკრთალი სახე კი სიბნელიდან ხან ამოტივტივდებოდა, ხან ისევ იკარგებოდა.

— იცი, რას ამბობენ? ქალის თვალებში ზოგჯერ სამოთხის გველის ფერთა ცვალებადობა შეიძლებაო დაინახო,— წარმოთქვა რიჰარდმა. — ამ გაელვებისას შენს თვალებში ფერთა ასეთი თამაში შევნიშნე.

— მერე, ლამაზი იყო? — ჰკითხა გოგონამ და კაცს ფართოდ გახელილი თვალებით შეაცქერდა.

— გასაგიჟებლად ლამაზი იყო.

— სულელი ხარ, რიჰარდ!

— ეგ მეც ვიცი, ფრანცი, — მიუგო რიჰარდმა და თავი კალთაში ჩაუდო, მერე მისკენ აიხედა და დიდხანს უმზირა მის მუქ თვალებში ფერთა ციალის ანარეკლის გამოშუქებას.

ასე გადიოდა დრო. ერთ დილას, როცა ოთახის ფანჯრიდან ნაძვნარი წვიმის ფარდის წინ ნისლის კედელივით გამოჩნდა, ხოლო დრაკონის თავები პირიდან განუწყვეტლივ

ასხამდნენ წყლის შადრევნებს, განმარტოებული რიჰარდი ჩაფიქრებული იდგა საწერ მაგიდასთან და დროდადრო დაბნეული გახედავდა ხოლმე პირმოქუშულ ამინდს.

ოთახში ფრანცისკა შემოვიდა. რიჰარდს იგი დღეს არ ენახა. საუზმეზე ამაოდ ელოდა. გოგონამ თვალები დახუჭა და ხმისამოუღებლად მკერდზე ისე მიეკრა, თითქოს მისი სხეულის ნაწილიაო. კაცმა ხელები შემოხვია, მაგრამ არ უკოცნია, მისი ფიქრები სხვაგან იყო. თითქმის ვერ გაიგო, როცა გოგონა უცბად ხელიდან დაუსხლტა და ოთახიდან უჩუმრად გავიდა.

მალე მასთან სამეურნეო საკითხების მოსაგვარებლად ფრაუ ვიბი შევიდა, ბატონი გამოწეული უჯრის წინ დაუხვდა, ქაღალდებს ალაგებდა. აქ იყო ზოგიერთი მოწმობა, რომელიც საჭიროა გარკვეული აქტების რეგისტრირებისას სამოქალაქო წესრიგის დასაცავად.

— ერთი მითხარი, ვიბ, — შესძახა რიჰარდმა მას, — რომელ ეკლესიაში ვარ მონათლული? ამ ამბავს მაშინ, ალბათ, შენც ესწრებოდი.

— რაო? — ჩაეკითხა მოხუცი და სასმენი მილი მისკენ მიმართა, — რომელ ეკლესიაშიო?

— ჰო, რომელ ეკლესიაში. ნათლობის მოწმობა ვერ მიპოვნია. საბუთები ხომ წესრიგში უნდა მქონდეს.

მან ერთხელ კიდევ ჩასძახა ვიბს სასმენ მილში და მოხუცმა ეკლესია ახლაღა დაუსახელა.

რიჰარდს კი თითქმის არც გაუგონია.

— არა, არა, — ჩაილაპარაკა ხმადაბლა, მკაცრი კილოთი და თითქოს თავს იცავსო, ხელი ასწია. — ვის რა ესაქმება! ამას ნურავინ ნუ შეეხება!

როცა რიჰარდი შემობრუნდა, მისი მოხუცი ეკონომი ქალი ისევ ოთახში იდგა და დაჟინებით შესცქეროდა კედელზე გაკრულ შპალერს.

— რა ნახე, ვიბ, ამ გახუნებულ ყვავილებში? — შეეკითხა რიჰარდი მოხუცს.

ქალმა თავი დააქნია.

— ეს აქ შემთხვევით არ არის, მიუგო მან. — ამას წინათ რომ ინსპექტორი იყო ჩვენთან სათბობის საკითხებზე, იმან მიამბო. დაივიწყე და დაგივიწყებენო, ბატონო რიჰარდ!

ვინც ამ მიწაზე იცხოვრებს დიდხანს
ამას გამოცდის უთუოდ იგი
ჭკუის სასწაულად და სატანჯავად.

მოხუც ბატონს, რომელიც იქითა მხარეს ცხოვრობს, ციხე-სასახლეში, — ის იყო ახლანდელი ბატონის პაპა, — მხოლოდ ერთი ვაჟი ჰყავდა და ისე უსაზღვროდ უყვარდა თურმე, რომ გვერდიდან არ იშორებდა, მაშინაც კი, როცა დავაჟკაცდა. ამის გამო ახალგაზრდა ბატონი კინაღამ უცოლშვილოდ დარჩა. ბოლოს ვაჟი დაქორწინდა. მას ისევე უსაზღვროდ უყვარდა თავისი ცოლი, როგორც მამამისს შვილი. მაგრამ მოხუც ბატონს არ შეეძლო აეტანა ის ამბავი, რომ მისი ვაჟის თვალებს ახლა მხოლოდ უცხოდ მოსული ქალისთვის ემზირნა. მათ ის სასახლე დაუტოვა, თავისთვის კი აი ეს სახლი აიშენა და სრულიად განმარტოებით ცხოვრობდა. ეს შპალერი ამ ოთახში, სადაც მან კიდევ მრავალი წელი გაატარა, მოხუცმა თვითონ შეირჩია. ეს ყვავილები ძილისა და დავიწყების ყვავილებია, ასე უწოდებდა მათ მოხუცი. კიდევ ხომ არაფერი გნებავთ მიბრძანოთ, ბატონო რიჰარდ?

რიჰარდს არაფერი ჰქონდა სათქმელი.

[illegible]ოცა მოხუცი ოთახიდან გავიდა, კაცმა ერთხანს კიდევ უყურა წითელ და იისფერ ყაყაჩოებს. შემდეგ თვალში მოხვდა კედელზე დახატული სურათი, რომელიც წინკარში გამავალი კარის თავზე შპალერს შენაცვლებოდა.

ეს იყო ვრცელი ველი, შესაძლოა, სწორედ ის „ტყის ყურეს" რომ ეკვროდა ზედ. ველზე ეს-ესაა ამოწვერილი წითელი მზის სხივებით აფერადებული ბურუსი მოფენილიყო. შორს მოჩანდა ორი ახალგაზრდის სილუეტი, ერთი მათგანი ჭაბუკი იყო, მეორე ქალიშვილი, მათ ერთმანეთისთვის ხელი ჩაეკიდათ და განთიადისკენ მიისწრაფოდნენ. წინა პლანზე ჯანგატეხილი მოხუცი კაცი ჯოხს დაჰყრდნობოდა და ახალგაზრდებს გაჰყურებდა.

როცა რიჰარდმა მზერა სურათიდან მის ჩარჩოზე გადაიტანა, თვალში მოხვდა სანახევროდ არაბესკებში შეფარებული წარწერა, რომელიც ახლო დათვალიერებისას ფანტასტურად დაგრეხილი ასოების სახით მთელ ჩარჩოს გასდევდა.

მოვალე იყო მშვენება ნაზი
ნაბიჯი შენთვის შეეწყო მხოლოდ,
მაგრამ მოვიდა სხვა სილამაზე
და იმას გაჰყვა ასული ბოლოს.
ბედნიერების გზებმა და ხვედრმა
არც ერთი უკან არ მოახედა.

ასეთი იყო ეს წარწერა. დიდხანს უმზირა რიჰარდმა ამ სურათს, აქამდე რომ თითქმის ყურადღებასაც არ აქცევდა. ნეტა ეს მოხუცი რომ უცბად მისკენ შებრუნებულიყო, ამ სახლის ამშენებლის სახე ექნებოდა, თუ იგი საერთოდ სიბერის ალეგორია იყო? ხომ არ იცნობდა ამ სურათში იგი საკუთარ თავს? ამისთვის, ალბათ, ერთი თამამი სიტყვა იყო საჭი-

რო. ნუთუ ამ გამოსახულებიდან მისკენ ავსულისეული ცივი სუნთქვა მოდის?... რიჰარდმა უნებურად წაიღლო ხელი თმასა და წვერში და ფიცხლად გასწორდა წელში: არა, არა! ეს სუნთქვა მას ჯერ არ შეხებია. მაგრამ რამდენ ხანს გასტანს ასე, ბოლოს ხომ მაინც შეეხება! მერე, მერე რაღა ჰქნას?...

იგი ნელა შებრუნდა და საწერ მაგიდასთან მივიდა. ზედ გაშლილი ქაღალდები უკანვე ჩაალაგა უჯრაში, საიდანაც წეღან ამოკრიფა...

გარეთ გადაუღებლად ასხამდა წვიმა.

მეორე დილას მზემ ისევ გამოანათა, მაგრამ ტყეში ჯერ არ შეიძლებოდა გავლა. შუადღის შემდეგ რიჰარდი და ფრანციისკა ველზე გაუყვნენ გზას. საკმაო ხანს ისეირნეს. როცა იმ ბორცვს მიაღწიეს, სადაც ოსტატი რაინიკე მელა ცხოვრობდა, სახლიდან წამოღებული სამხარი შეჭამეს, ხოლო ლეო, რომელიც ამჯერად უკან არ გაუგდიათ, ამაოდ იკვლევდა იდუმალებით აღსავსე სოროს შესასვლელ-გამოსასვლელს.

შებინდებისას შინ მობრუნდნენ.

რიჰარდთან რომ შევიდა, ფრანცის უკვე ის წაღები ეცვა, რომელსაც ჩვეულებრივად შინ ხმარობდა.

— რაღაც ფერმკრთალი ხარ, — უთხრა რიჰარდმა, — იქნებ, ეს გასეირნება შენთვის შორი აღმოჩნდა?

—არა, არც ისე შორი.

— დაღლილი ხარ, მოდი ჩემთან! — რიჰარდმა იგი ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში ჩასვა.

ფრანციისკას წინააღმდეგობა არ გაუწევია და თავი საზურგეს მიაყრდნო. მისი გამხდარი სხეული ფართო სავარძელში ჩაიკარგა.

— რა ნორჩი ხარ ჯერ! — წარმოთქვა რიჰარდმა.

— მე? ჰო, საკმაოდ ახალგაზრდა ვარ.

გოგონამ ფეხი წინ გასწია და რიჰარდი მოჯადოებულივით დააცქერდა.

— თანაც, როგორი უაჩაღანა, — განაგრძო რიჰარდმა. — ფეხი ისევ გაგიკაწრავს! — კაცი წინ დაიხარა და ნატკენ ადგილზე ხელი გაუსვა. — რამდენი წყვილი ასეთი წაღა გინდა წელიწადში, პატარა პრინცესავ?

გოგონამ რიჰარდს თავის პატარა ფეხი მიანება, მძიმე ნაწნავები ჩამოიშალა და თმა კალთაზე ჩამოეფინა, თვალები მილულა და სავრძელში გაიჭიმა.

ოთახში თანდათან ჩამობნელდა. გარეთ ღარტაფს თეთრი ნისლი გადაეკრა, იქით კი, ნაძვნარში უკვე ღამეს მოეკალათებინა. უცბად ძაღლმა ყეფა ასტეხა. ფრანცი გასწორდა და თვალები დაჭყიტა.

მიდამო ისევ სიჩუმემ მოიცვა, მხოლოდ ტყის მეორე მხრიდან საღამოს ნიავმა მუსიკის ხმა მოიტანა.

— მოეშვი, ჩვენთვის არ უკრავენ, — უთხრა მას რიჰარდმა.

მაგრამ გოგონა მთელი ტანით წამოიმართა და სიბნელეს ხარბად დააკვირდა.

— ქორწილია ფრანცი, მზითევით ტყისპირას მიდიან.

— ქორწილია! ნეტა ვინ გათხოვდა?

— ვინა? მგონი, სოფლის მამასახლისის ქალიშვილი, კარგად არ ვიცი. რა ჩვენი საქმეა, მათ ხომ არც ვიცნობთ.

— ჰო.

ახლა ორივენი ფანჯარასთან მიმდგარიყვნენ. რიჰარდს გოგონას მხარზე შემოეხვია ხელი, ფრანცის მის მკერდზე მიეყრდნო თავი. მუსიკის ხმა ერთი-ორჯერ კიდევ შემოიჭრა ოთახ-

ში, თუმცა თანდათან სუსტდებოდა. მერე ყველაფერი მიწყნარდა, იქაურობა ისეთმა სიმშვიდემ მოიცვა, რომ კაცს ესმოდა, როგორ უჭირდა ფრანცისკას სუნთქვა.

— რაიმე ხომ არ გტკივა? — ჩაჰკითხა რიჰარდმა.

— არა! რა უნდა მტკიოდეს?

კაცს ხმა აღარ ამოუღია. გოგონა უფრო მაგრად მიეკრა რიჰარდს.

— მისმინე! — ძლივს წარმოთქვა გოგონამ.

— ჰო, რა გინდა?

— რატომ ჩვენ არ ვიწერთ ჯვარს?

კაცს თითქოს ელექტროდენმა დაუარა. მის თვალწინ ამოტივტივდა საშინელ მოგონებათა მთელი ნაკადი, გარესამყარო მის ბედნიერებას მსახვრალი ხელით ეპოტინებოდა.

— ჩვენ, ფრანცი? — გარეგნულად დამშვიდებით გაიმეორა გოგონას კითხვა. — რა საჭიროა? რა შეიცვლება ამით?

— ჰო, არაფერი. — გოგონა ერთი წამით ჩაფიქრდა, — მაგრამ ჩვენ ხომ ერთმანეთი გვიყვარს?

— კი, ფრანცი, მაგრამ... — რიჰარდმა მას თვალებში ჩახედა და, თითქოს ხმამაღალ თქმას ვერ ბედავსო, ჩურჩულით განაგრძო: — ამას შესაძლოა, ერთხელ ბოლო მოეღოს და ეს იქნება უცაბედად, მოულოდნელად.

გოგონა გაოცებით შეაცქერდა რიჰარდს.

— ბოლო მოეღოსო? მაშინ მე აქედან უნდა წავიდე!

— უნდა წახვიდე? ვაი მე, თუ ეს საჭირო გახდება.

ორივემ იყუჩა.

— რამდენი წლისა ხარ, ფრანცი? — დაიწყო რიჰარდმა ისევ.

— ხომ იცი, რამდენისაც, თვრამეტის გავხდები.

— ჰო, ჰო, ვიცი, თვრამეტისა. მე მთელი თაობით დიდი ვარ შენზე. ამ უფსკრულის თავზე გადმოიფრინე ჩემსკენ და ახლაც გიხდება მისი დაძლევა. შეიძლება, ერთხელაც იქნეს და ამ უფსკრულმა შეგაძრწუნოს.

— რას ამბობ? არ მესმის შენი.

— არც საჭიროა, ფრანცი.

მაგრამ სუნთქვაშეკრულ გოგონას, დაჟინებით რომ შესცქეროდა რიჰარდს, უცბად ბაგეები შეერხა. ასე გეგონებოდა, მისი სულის სიღრმეში რაღაცამ გაიელვა და იქვე ჩაიმარხაო.

ნუთუ რიჰარდის სიტყვებმა გაამახვილა მისი მზერა და ქალმა მის სახეზე ახლაღა დაინახა ის, რასაც აქამდე ვერ ამჩნევდა — დაწყებული ჭკნობის მაუწყებელი ერთი ნაოჭი? მაგრამ გოგონას უკვე ჩაეკრა მისი თავი მკერდში და გაშმაგებული კოცნით ახრჩობდა. შემდეგ უცბად გაუსხლტა და ოთახიდან გავარდა.

როცა გოგონა ოთახიდან გავიდა, რიჰარდი საწერ მაგიდას მიუჯდა. განსაკუთრებული ხელოვნებით ნაკეთები გასაღებით გააღო ის უჯრა, სადაც ფასიან ქაღალდებს ინახავდა. სხვადასხვა შეკვრიდან თითო-თითო ქაღალდი ამოიღო, გარედან თეთრი ქაღალდი შემოახვია და წარწერა გაუკეთა. ამის შემდეგ აიღო მეორე გასაღები, ზუსტად პირველის ცალი, საკეტის ხვრელში გასინჯა და მაგიდაზე ამ ქაღალდების გვერდით დასდო.

უკვე ისე მოსაღამებულიყო, რომ ეს ყველაფერი თითქმის ბნელში გააკეთა. ნაძვნარს გადაღმა დაისის უკანასკნელი სხივი ჩამქრალიყო.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფრანცისკამ ოთახში ანთებული

ლამპა შეიტანა და ის იყო ოთახის ხმისამოუღებლად მიტოვებას აპირებდა, რომ რიჰარდმა ხელი დაუჭირა და მაგიდისკენ წაიყვანა.

— იცი, ეს რა არის, ფრანცისკა? — ჰკითხა მას და რამდენიმე ქაღალდი გაშალა.

გოგონა ყურადღებით დააკვირდა.

— კარგად ვიცი. — მიუგო მან. — ეს იგივეა, რაც ფული. სახელმწიფო ქაღალდებია.

— ჰო, ვიცი. ერთხელ მაგისტრთან ასეთი ქაღალდების სია უნდა შემეღვინა.

რიჰარდმა ამას ერთი შეკვრა უჩვენა, რომელზეც ეს-ეს იყო ძისი სახელი წააწერა და უთხრა, რა თანხასაც შეადგენდა.

— ეს შენი საკუთრებაა.

— ჩემია, ამდენი ფული? — გოგონა შეკვრას, გაფაციცებით შესცქეროდა.

— გამიგე, ფრანცი, — დაიწყო ისევ რიჰარდმა. — იგი ახლაც შენია. მაგრამ უფრო მეტად მაშინ იქნება შენი, — კაცი თვალებით სჭამდა მის ნორჩ სხეულს. — როცა შენ თავად აღარ იქნები ჩემი. მაშინ შენ სრულიად თავისუფალი იქნები, ახლაც შეგიძლია ასე იგრძნო თავი.

ფრანცისკას კაცი ისე შეჰყურებდა, თითქოს მისგან რაღაც შეკითხვას, თხოვნას ელოდა — ამიხსენი ეს რას ნიშნავს. მაგრამ რაკიღა გოგონა არაფერს ამბობდა, რიჰარდმა ისევ ერთი კილოთი განაგრძო, ვითომ ვხუმრობო:

— რადგან შენ უკვე კაპიტალისტი ხარ, საჭიროა საკუთრების გრძნობაც გაგიღვივო.

რიჰარდმა ირგვლივ მიმოფანტული გაზეთებიდან ერთ-ერთი აიღო, გოგონა მუხლებზე დაისვა და მასთან ერთად ფულის

კურსის თვალიერებას შეუდგა. მერე, რაკიღა შეატყო, გოგონა ყურადღებით მისმენსო, თავის მოძღვრულ მუყაითობაზე თვითონვე გაეცინა.

— სასაცილოა პირდაპირ! შენ და სახელმწიფო ქაღალდები, ფრანცი? ალბათ, ჩემი ლაპარაკიდან არაფერიც არ გაგიგია?

მაგრამ გოგონა არ იცინოდა, მისი მუხლებიდან ჩამოვიდა და დაწვრილებით ეკითხებოდა იმაზე, რაც ახლახან მოისმინა.

რიჰარდი გაოცებით შესცქეროდა ფრანცისკას.

— საშინლად ჭკვიანი ხარ, ფრანცი! — უთხრა მას.

— განა ის გერჩივნა, რომ შენი ახსნილიდან არაფერი გამეგო?

— არა, არა, რატომ მერჩივნა.

გოგონას წასვლა უნდოდა, მაგრამ რიჰარდმა უკან მოიხმო.

— გასაღებს ნუ დაივიწყებ. — მერე გოგონა საწერ მაგიდასთან მიიყვანა და დაუმატა: — ამ უჯრაში ჩემი და შენი საკუთრებაა. დაე, ნურასოდეს დავაშორებთ მათ ერთმანეთს.

ფრანცისკამ კისრიდან მოიხსნა ზონარი, რომელზეც პატარა ოქროს მედალიონი ეკიდა, ამაში ედო ადრეგარდაცვლილი დის თმა, და სურდა გასაღებიც ზონარზე ჩამოეკიდა, მაგრამ რიჰარდმა მას ხელი დაუჭირა.

— არა, არა ფრანცი! რას აპირებ? — მან გოგონა თავისკენ მიიზიდა და ვნებიანად დაკოცნა. — სხვაგან შეინახე. შორს მანდედან, სხვა ნივთებთან ერთად. რას ფიქრობ, ნუთუ შენს მკერდზე მე სალაროს გასაღები უნდა მომხვდეს ხელში?

გოგონა გაწითლდა.

— რა ფიქრები მოგდის ხოლმე! — მიუგო მან და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

ეს აგვისტოს პირველ ნახევარში მოხდა. ჩახუთული დღეები იდგა. ფრთოსნებს ბუმბული სცვივოდათ და მოწყენილები ისხდნენ ტყეში. მხოლოდ თითო-ოროლა ისინჯავდა ახალ ფრთებს, შორეული გადაფრენის დროს როგორ გამოგვადგებაო. მაგრამ მეტისმეტად ლამაზი იყო მაცოცხლებელი გრილი ღამეები. ტყის ტბაში, სადაც ადრე ზამბახი ჰყვაოდა, და ეზოში ამოთხრილ ღია ჭის ფსკერზე, ახლა ულამაზესი ვარსკვლავები ირეკლებოდა.

რამდენიმე დღის მანძილზე რიჰარდს „ტყის ყურეს" ახლომახლო მიდამოები არ მიუტოვებია. ციხეში ყოფნისას შეძენილმა სნეულებამ, რომელიც მხოლოდ ამ კუთხის ვექილის წარმოსახვის შედეგი არ იყო, ისევ გაიხსენა და რიჰარდისაკენ გაიწვდინა მსახვრელი ხელი.

ახლა რიჰარდი გალავნის გარეთ გაკეთებულ ხის სკამზე იჯდა და შვებისმომტან ღამეს ელოდა. გვერდით ლომისფერი ძაღლი იწვა. შორეული ცის ლურჯ თავანზე ვარსკვლავები ზედიზედ სხდებოდნენ. უცბად მას უდარდელი ბავშვობის ხანა გაახსენდა. სად იყო და რას წარმოადგენდა მაშინ ფრანციისკა? არაფერს, მთვლემარე ჩანასახს მხოლოდ! უკვე კარგა ხანია რიჰარდი ცოცხლობს... ღარტაფიდან გრილმა სუნთქვამ დაუარა. მისთვის, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, რომ ამ საღამოს სიგრილეში არ მჯდარიყო.

უცბად ძაღლმა ყეფა ასტეხა და ფეხზე წამოხტა. ნაძვნარიდან აქეთ მომავალი ფეხის ხმა მოისმა. მალე გამოჩნდა ახოვანი მამაკაცი, რომელიც ბილიკზე სწრაფად ეშვებოდა.

— წყნარად, ლეო! — წარმოთქვა რიჰარდმა და ძაღლიც მორჩილად დაწვა პატრონის გვერდით.

ამასობაში უცნობი მიუახლოვდა და რიჰარდმა დაინახა

ეგერის ტრადიციულ ფორმაში გამოწყობილი თმახუჭუჭა. ქალნიერი გამომეტყველების ახალგაზრდა.

როცა მან ქუდს ოდნავ შეახო ხელი და „საღამო მშვიდობისა“ წარმოთქვა, წვრილი ულვაშის ქვემოდ კბილები თეთრად აუქათქათდა.

— გნებავთ რაიმე? — ჰკითხა რიჰარდმა და ფეხზე წამოდგა.

— თქვენთან არაფერი, ბატონო ჩემო. მე მინდა თქვენს სახლში მყოფ ახალგაზრდა ქალიშვილს ველაპარაკო.

ახალგაზრდის კილოში იმდენი თავდაჯერებულება იგრძნობოდა, რომ რიჰარდს ძარღვებში სისხლი აუჩქროლდა.

— მერე და რა გნებავთ მისგან? — იკითხა მან.

— ჩვენ, ახალგაზრდობამ ქალაქში საკვირაო ცეკვების მოწყობა განვიზრახეთ, მოვედი მის მოსაწვევად

— როგორც კილოზე გეტყობათ, თქვენ აქაური არ უნდა იყოთ, თუ შეიძლება მიბრძანეთ, ვის უნდა უმადლოდეს იგი ესოდენ პატივს?

— სრულიად სწორია, — ისევე უდარდელად მიუგო ყმაწვილმა. — მე მხოლოდ არდადეგების განმავლობაში ვცვლი აქაური ბატონების მეტყველეს.

— ცდებით, ბატონო მეტყველევ. ახალგაზრდა ქალი, რომელიც ამ სახლში ცხოვრობს, ასეთ ცეკვებზე არ დაიარება.

— ო, ბატონო ჩემო, იქ ძალიან თავაზიანი საზოგადოება იქნება.

— ეჭვი არ. მეპარება.

ახალგაზრდამ მცირე ხანს იყუჩა.

— მინდოდა ახალგაზრდა ქალბატონისთვის თავად მეკითხა.

— საჭირო არ არის.

რიჰარდი ჭიშკრისკენ გაემართა. მეტყეევე მიუახლოვდა თითქოს მისი შეჩერება უნდაო, მაგრამ ძაღლმა ძლიერი კისერი დაჭიმა და ავისმაუწყებლად დაიღრინა.

— ნუღარ შეწუხდებით, ბატონო მეტყეევე! — მიუგო რიჰარდმა.

ახალგაზრდა კაცის თვალში ელვა გამოკრთა და ულვაში ჩაიკვნიტა. შემდეგ ადრინდულად ქუდს ოდნავ შეეხო და სიტყვის უთქმელად იმავ გზას დაადგა, წეღან რომ მოვიდა. შუაგზაზე უკან შებრუნდა და თვალი ერთხელ კიდევ მოავლო „ტყის ყურეს“ ფანჯრებს. შემდეგ ნაძვნარის შავ ჩრდილს შეერია.

რიჰარდი შინ შებრუნდა, ძაღლი კი, თითქოს გუშაგი ყოფილიყოს, ისევ ღარტაფის პირას იდგა. ოთახში შესვლისას რიჰარდმა ფანჯარასთან მიმდგარი ფრანცისკა დაინახა. შუბლი შუშაზე მიედო, ხელში მტვრეპის საწმენდი ტილო ეჭირა.

— ფრანცი! — დაუძახა რიჰარდმა.

იგი შემკრთალი შებრუნდა მისკენ.

— დაინახე, ფრანცი, ის ახალგაზრდა? — მიმართა გოგონას რიჰარდმა. — ეგ ხომ წინათ ორიოდეჯერ შეგვხვდა ზემოტყეში.

— ჰო, დავინახე.

— სხვა დროსაც თუ გინახავს?—რიჰარდის კილოში ფრანცისკამ ისეთი რამ შეამჩნია, ჯერ რომ არასოდეს ეგრძნო.

გოგონა მას გამომცდელად შეაცქერდა.

— მე? სად უნდა მენახა?

— მან თავაზიანად მიგიპატიჟა საცეკვაოდ.

— ოჰ, საცეკვაოდ?! — გოგონას რუხ თვალებში ახალგაზრდულმა სიხალისემ გაიელვა.

რიჰარდი შეშინებული შეჰყურებდა.

— რას ფიქრობ, ფრანცი? — ჰკითხა გოგონას. — მე, რასაკვირველია, უარი ვუთხარი.

— უარი უთხარი! — ჩაილაპარაკა გულდათუთქულმა და ანთებული თვალები ერთბაშად ჩაუქრა.

— სწორად არ მოვიქეცი, ფრანცი? უკან ხომ არ მოვაბრუნო?

უარყოფის ნიშნად გოგონამ ხელი ჩაიქნია.

— შენ თუ გიცეკვნია როდისმე, — რამდენიმე ხნის შემდეგ ჰკითხა ფრანცისკამ რიჰარდს ისეთი კილოთი, მისგან რომ კაცს ჯერ არ სმენოდა.

— მე, ფრანცი? რატომ მეკითხები? კი, ოდესღაც ვცეკვავდი.

— და გსიამოვნებდა, არა? ხომ სწორია?

— კი, ფრანცი, — ყოყმანით მიუგო რიჰარდმა. — ვფიქრობ, მსიამოვნებდა.

— ახლა, ახლა კი აღარ ცეკვავ? — იმავე კილოთი იკითხა ფრანცისკამ.

— არა ფრანცი, როგორ შემიძლია ვიცეკვო? ეს წარსული ამბავია... რა კარგი დაკითხვა მომიწყვე, — რიჰარდი გაღიმებას შეეცადა, მაგრამ როცა გოგონას შეხედა, დაინახა, როგორ ცივად უმზერდნენ მისი რუხი თვალები.

„წარსული ამბავია, — თავისთვის ჩაილაპარაკა რიჰარდმა.. — იგი შიშმა შეიპყრო და უფსკრულზე აღარ გადმოფრინდება.

როცა გოგონა მას ყელზე ეხვეოდა და ყურში გულმოდგინედ ჩასძახოდა: „მაპატიე, სისულელე ვთქვი, ცეკვა სულაც არ მინდოდაო“. რიჰარდი წყნარად იყო და პასუხს არ აძლევდა.

ავადმყოფობამ რიჰარდს ბოლო კვირეებში თანდათან ისე დარია ხელი, ოთახიდან ვეღარ გამოდიოდა. ექიმი არ მოუყვანიათ, რადგან ადრინდელი შეტევებიდან კარგად იცოდა, რითაც უნდა ემკურნალა. კატეგორიულად უარყოფდა თვით ფრაუ ვიბის მიერ სანთლისა და ხის ზეთისაგან მოხარშულ მალამოს. შეღავათს ისევ ფრანცისკა აძლევდა. იჯდა სავარძელში, სადაც გოგონამ მისთვის ხელოვნური პიუპიტრი მოაწყო და წერდა სტატიას აქ ნაპოვნ იშვიათ ქოლგოსან მცენარეთა შესახებ. გოგონა ჩვეულებრივად გვერდით უჯდა, ხან რიჰარდის დახმარებით გაკეთებული ჰერბარიუმიდან სათანადო ეგზემპლარები მოჰქონდა, ხან საჭირო წიგნები ბიბლიოთეკიდან. გადაუშლიდა ადრე ჩანიშნულ ადგილებს და ხმამაღლა უკითხავდა.

— თუ როდესმე პროფესორი გავხდი, — მხიარულად ამბობდა რიჰარდი, — ასისტენტის საკითხი უკვე გადაწყვეტილი მექნება.

მაგრამ ფრანცისკა მისი მხოლოდ ასისტენტი კი არ იყო, ის იყო ქალიც, რომლის მშვიდი სიახლოვე ესოდენ კეთილად მოქმედებდა, როცა რიჰარდი კალამს გვერდით გადასდებდა, ფრანცისკა მის ხელს თავისაში მოიქცევდა, უსწორებდა სავარძლის ბალიშს, ტაბურეტს მიუჯდებოდა და ალერსიანი ხმით მალე გამომჯობინების იმედს უნერგავდა.

დღეს სადილის შემდეგ რიჰარდმა იგი ტყეში გაგზავნა ჰრელტუჩიან მცენარეთა მოსაძებნად, რომელიც მისი აზრით ახლა აყვავებული უნდა ყოფილიყო. ტყის ტბასთან, სადაც ისინი დღის ყოველ დროს ყოფილან ხოლმე, აქა-იქ ხვდებოდათ ეს მცენარე. თვითონ სავარძელში დარჩა და დაწყებული სტატიის წერა განაგრძო. ირგვლივ სკამებზე ეწყო წიგნები

და ფურცლები, რომლებიც ფრანცისკამ ზრუნვით ახლოს ძიუ
წია. ეს-ესაა მოძებნა ფრანცისკას ერთ-ერთი ნახატი, რომე
ლიც მისი აზრით, სტატიასთან ერთად უნდა დაბეჭდილიყო.
მაგრამ მისი ფიქრები ახლა თვით მხატვარს დასტრიალებდ
თავს. მხატვარს კი ამჟამად ტყე მალავდა ღარტაფს იქით. გო
გონას თავდადებული ზრუნვა სავარძელს მიკრული ავადმყო
ფისათვის რიჰარდს რაღაც ავისმაუწყებლად მოეჩვენა: ამ ბო
ლო ხანებში ფრანცი ცოტა არ იყოს გაურბოდა მას და რიჰარ
დი ამას თავის თავს არ უმალავდა. გოგონა თითქმის ისეთივე
მოკრძალებული გახდა, ადრე რომ იყო. ნუთუ მისმა მორჩილ
მა სამსახურმა შეცვალა მათ შორის არსებული ადრინდელ
ურთიერთობა? თითქოს მთელ მის არსებას, მთელ მის საქმი
ანობას რაღაც მოდუნებულობა დაუფლებოდა.

რიჰარდმა თავი უკან გადასწია და ფანჯარაში გაიხედა.
მოწმენდილ ზეცას სამხრეთისკენ დაძრული ფრინველები
აჭკვროდნენ. ისინი რომ მიიმალნენ, რიჰარდს თვალში მოსვდ
ნაძენარის წინ ღარტაფის პირას მდგარი ცირცელი. შუადღის
ჰზის მხურვალე სხივებით ალაპლაპებული ცირცელის მწვანე
კუნწულები მკვეთრად გამოირჩეოდა მწვანე ფონზე. ნაყოფ
ფრთების ტკრციალითა და გამყინავი ჭახჭახით თავს დასტრია
ლებდა შაშვების გუნდი.

შორს ტყეში თოფის ხმა გაისმა.

— ბართლომეს ღამე*!—ჩაილაპარაკა თავისთვის რიჰარდ
მა. — იუნკრებმა ნადირობის სეზონი გახსნეს. ნეტა კი ფრან
ცი მალე დაბრუნდებოდეს!

ფრანცისკას გამო აუტანელმა ნაღველმა მოიცვა რიჰარდი.
ფრანცისკას ერთხელ ცეკვის ნება არ მისცა და გოგონას ამის
თაობაზე ხმა არასოდეს ამოუღია. რიჰარდისათვის ახლა ერთ-

ბამად ცხადი გახდა, რომ ამის გამო მის გულში წუხილს დაე-
სადგურებინა. ეს, ახლა რომ კარგად იყოს! მუდმივად აქ არ
დარჩებიან. თვითონაც ხანდახან მოიწყენს ხოლმე ამ ბალყუბ
ადგილას და ქალაქური ცხოვრების საერთო ფერხულში ჩაბ-
მა მოუნდება. მერე, როცა ადამიანთა შორის იცხოვრებენ,
ყველაფერს ეწევიან. ის, რაც ერთ დროს რიჰარდმა გოგონა-
საც აუკრძალა და თავის თავსაც, ახლა ავადმყოფურ ილუ-
ზიად, უდაბური ჭაობის ანაორთქლად მიაჩნდა. არა, არა! ახალ-
გაზრდა ცოლს გვერდით ამოიყენებს და ისევ ცხოვრების
ორომტრიალში ჩაებმება, წარსულის რუხი აბლაბუდებისაგან
განთავისუფლებული სრულყოფილი, ხალისიანი კაცი გახდე-
ბა.

— ფრანცი, ჩემო ტკბილო ფრანცი! — შესძახა მან და ხე
ლები გაიწვდინა.

მაგრამ იგი ჯერაც არ ჩანდა.

რიჰარდმა მუშაობის განგრძობა სცადა, რამდენიმე წიგნი
გადაშალა, ორიოდ ხაზიც დაწერა. მაგრამ მერე კალამი ისევ
ხელიდან გააგდო.

გალავნის დასავლეთით მდგარი მუხებიდან ჩრდილი უკვე
მთელ ეზოს დაეფინა. ოთახში მზე გვერდითი ფანჯრების ზე-
მო შუშებიდანღა შემოდიოდა. რიჰარდმა უცბად ნაძვნარში
თვალი მოჰკრა ფრანცისკას კაბას. იგი ჩაბნელებული ტყიდან
გამოვიდა და წელა გამოუყვა ბილიკს. როცა ღარტაფი ამოია-
რა, ორჯერ შედგა, თითქოს სულის მოთქმა უნდაო.

ფრანცისკა ოთახში შემოვიდა და რიჰარდს წინ დაუდგ
ლურჯი ბერძნული ენდროსა და მინდვრის ყვავილების თაიგუ
ლი. აქვე იყო ტუჩოსანას ღეროც, მაგრამ კოკორი ჯერ არ გაშ-
ლოდა. ამაოდ ვეძებე ამ მცენარის გაშლილი ყვავილიო, განა-

ცხადა ფრანცისკამ. ხვალ ან ზეგ უთუოდ გაიშლება და მოვიტანო.

ფრანცისკას თვალები უბრწყინავდა, ლოყები ასტკრეცოდა. რიჰარდმა ხელი ჩასჭიდა, უნდოდა გულში ჩაეკრა.

— შორს მოგიხდა მის საძებნელად წასვლა, არა?

რიჰარდმა იგრძნო, რომ ქალი ნებას არ დაჰყვა.

— ო, საკმაოდ შორს! ცოტა დავსველდი, ფეხსაცმელები უნდა გამოვიცვალო.

— გამოიცვალე და მალე მობრუნდი. მე უკვე ვწუხდი, არაფერი დაემართოს-მეთქი.

— ჩემს გამო? რა საჭირო იყო?

— შეიძლება, არ იყო, მაგრამ როცა კაცი ავადმყოფობის გამო სკამზეა მიჯაჭვული! ტყიდან სროლის ხმა მომესმა, აი იქიდან, ტბა რომ არის. შენ არ გაგიგონია?

— მე? არა, არაფერიც არ გამიგონია. — გოგონამ მაშინვე თავი შეაბრუნა. — ახლავე მოვალ, — თქვა მან ისე, რომ რიჰარდისათვის არ შეუხედავს და კარისკენ აჩქარებით გაემართა.

ფრანცისკა რომ გავიდა, ოთახში ძაღლი შემოვიდა. ძაღლმა იცოდა, როგორ გაეღო ფართო თათით ოთახის კარი. პატრონს თავი კალთაში ჩაუდო და ყავისფერი თვალებით ახედა. რიჰარდმა მშვენიერ ცხოველს ალერსით გადაუსვა ზურგზე ხელი.

— მშვიდად იყავი, ლეო! — უთხრა მან. — ჩვენ ორივენი შემდგომაც ერთად ვიქნებით. — რიჰარდი ძაღლს ყურებს უკან აბრეშუმივით რბილ ბალანს უწეწავდა. — მოიტა, მიჩვენე ერთი, ეგ ნაჭრილობევი თუ ისევ გეტყობა. მაშინ კი მართლა მაგარი ჩხუბი მოგიხდება იმ ლომბარდულ ყაჩაღთან

ეგეთი ამბავი მეტად აღარ დაგვემართება. შენს ახალგაზრდა ქალბატონთან ერთად მოგზაურობა კი ნამდვილად მშვენიერი იქნება. თავის ნათელ, შევარდნისებრ თვალებს წინ გაშლილ ლანდშაფტს მოავლებს, ხოლო შენ, ჩემო ძაღლო, მის ეტლს გაჰყვები გვერდით, როგორც ერთ დროს მე მომდევდი ხოლმე, როცა მარტონი დავეხეტებოდით ერთად. ასე იქნება იმიტომ, რომ ისევ გავალთ ქვეყანაზე, მოვინახულებთ მას კიდით კიდე და შენ, რასაკვირველია, მუდამ ჩემთან იქნები.

რიჰარდი წინ გადაიხარა, მაგრამ ლეომ მშვიდად მილულა თვალები და ახლა კუდის ქიცინით ამჟღავნებდა თავის შინაგან კმაყოფილებას. ასე ისხდნენ ხოლმე ისინი წინათაც, როცა დღისით ხშირად სოფლის გზებზე დასეირნობდნენ, ღამით კი მყუდრო ბინაში ისვენებდნენ. მაღალგონიერი ადამიანი და გონებრივად მისგან ესოდენ ჩამორჩენილი არსება ამ წუთში მოეცვა ურთიერთერთგულების გრძნობას, რომელიც მათ გულს ცის მაცოცხლებელ ნამად ეპკურებოდა.

რიჰარდმა ვერ მოახერხა ფრანცისთვის ეთქვა თავისი გადაწყვეტილება. ნაფიქრი ვერც მაშინ გაუზიარა, როცა ქალი ოთახში შემობრუნდა და ვერც მომდევნო დღეებში. ფრანცი კიდევ რამდენჯერ იყო ტყეში, რიჰარდს მოუტანა ის გაშლილი ყვავილი, რომლის გულისთვისაც პირველად წავიდა. მოუტანა სხვა ყვავილებიც, რომლებიც მას ნაშრომისათვის დასჭირდა. ყოველ წასვლაზე რაღაც ახალი მცენარე მოჰქონდა. თითქმის ყოველდღე მაგიდაზე დადგმულ ვაზაში სდებდა ბალახისა და ველური ყვავილების ახალ-ახალ თაიგულებს, რომელთა შორის ახლა შავი და წითელკენკრიანი ტოტებიც ბრწყინავდა.

როგორც კი ფრანცისკას ტყეში გაგზავნიდა, რიჰარდს

მოუსვენრობა შეიპყრობდა, თუმცა ამაში გამოტეხას საკუთარ თავთანაც ერიდებოდა, ფიქრობდა, რა შეიძლება მას ტყეში შეხვდესო? შემდგომში რიჰარდს თოფის ერთი გასროლაც აღარ გაუგონია. თუკი ნადირობა საერთოდ კიდევ გრძელდებოდა, ალბათ, სადღაც დაშორებულ უბანში.

რიჰარდი დღითიდღე ჯანმრთელდებოდა. მალე სახლში დაიწყო სიარული, მერე ხან ლეოს და ხან ფრანცის თანხლებით ახლო-მახლო მიდამოებიც რამდენჯერმე მოინახულა. ხარბად სუნთქავდა შემოდგომის გამჭვირვალე, სურნელოვან ჰაერს ახლა განმეორებით მოიცვა მოუთმენლობამ, რომ სანამ აქ ხეებს ფოთლები ჩამოსცევოდა, თავისი გეგმები განეხორციელებინა. იგი სასწრაფოდ მიუჯდა საწერ მაგიდას და თავის მეგობარს — ბურგომისტრს განზრახვა წერილობით შეატყობინა. თანაც შეეცადა ეს განზრახვა სათანადოდ დაესაბუთებინა და ისიც მისწერა, მალე გინახულებო. იქვე საშრობქვეშ იდო ახლახან დამთავრებული შრომა, რომელიც ფრანცისკას სუფთად გადაეწერა და ერთ-ერთი ბოტანიკური ჟურნალის რედაქციაში გასაგზავნად მზად იყო. წერილთან ერთად ესეც ფოსტაში შიკრიკ ქალს დღესვე უნდა წაეღო.

დალუქვამდე რიჰარდმა სტატია კიდევ ერთხელ გადაიკითხა. უცებ მას თავში გაუელვა ერთმა აზრმა, რომელსაც დაზუსტება ესაჭიროებოდა. საამისო ლიტერატურა ბიბლიოთეკაში მოეძებებოდა.

ოთახიდან გავიდა თუ არა, მეორე კარიდან. ფრანცისკაც შემოვიდა. როგორც კი ფრანცისკამ მაგიდაზე ახლადდაწერილ წერილს მოჰკრა თვალი, ფეხაკრეფით მიუახლოვდა, თავი ფრთხილად გასწია და თვალები ხარბად დააშტერა, თითქოს წერილის თითოეული სიტყვის ამოკრეფა ნდომოდეს. კიდევ

რამდენიმე წამს იდგა ასე, პირზე ხელი აეფარებინა, სახეზე საშინელი შიში აღბეჭდოდა; მერე, როცა ბიბლიოთეკიდან ფეხის ხმა შემოესმა, ოთახიდან გაიპარა, კიბე ჩაირბინა და ეზოში ჩავიდა, გალავანს აკრულმა ჭიშკარი გაიარა და სახლის უკან ველზე გავიდა. აქ რამდენიმე ხანს მუხლებზე ხელებშემოხვეული მუხის რაყაში იჯდა. ხან სახლის ფლუგერებს შესცქეროდა, რომლებიც დილის მზეზე მწვანე ფოთლებიდან ოქროსფრად ელვარებდნენ, ხან ტყეს, მერე ისევ მწვანე ხეთა შორის მშვიდად ჩამდგარ ბებერ კედლებს დაადგამდა თვალს. უცბად ფეხზე წამოდგა, კენარი ტანი სულ ერთიანად უთრთოდა. მტკიცე გადაწყვეტილებით ტყისაკენ გაიხედა. ბუჩქნარით ღარტაფისაკენ გაიქცა. როცა უკან მოიხედა და სახლი ვეღარ დაინახა, ატეხილ შამბნარს შეერია, ღარტაფში ჩაირბინა და იქითა მხარეს ტყეში მიიმალა

როცა საათზე მეტი ხნის შემდეგ შინ მობრუნდა, მის სახეს მღელვარების ნატამალი აღარ შერჩენოდა.

— როგორც იქნა, მოხვედი, ფრანცი! — მიაგება რიჰარდმა, რომელიც მის შესახვედრად წინკარში შემოვიდა. — მთელი საათია გეძებ.

ფრანცისკამ მას ოდნავ მოუჭირა ხელი.

— მაპატიე, რომ ვერ გითხარი. თავი მტკიოდა და ჰაერზე მინდოდა გავლა.

რიჰარდმა ხელზე მოკიდა ხელი.

— წამო! — უთხრა მას და კიბით ზემო ოთახში აიყვანა. მერე ორივე ხელი დაუჭირა და დიდხანს სიყვარულით უმზირა.

ფრანცისკამ თავი ჩაჰკიდა და ჰკითხა:

— რა დაგემართა, რიჰარდ? რაღაც საზეიმო განწყობილებაზე ხარ.

— გახსოვს, ფრანცი, მაშინ საქორწინო მუსიკის ხმები რომ შემოგვესმა, შებინდებისას, ტყის პირიდან.

გოგონას მაღლა არ აუხედავს, თავი ისე დაუქნია.

— ისიც გახსოვს, რაც მაშინ გითხარი? სულელი ვიყავი, ფრანცი. უჩვეულო მარტოობამ ნებისყოფა მომიდუნა. ახლა კი ისევ ეგოისტი გავხდი. სხვაგვარად არ შემიძლია, მტკიცედ უნდა შეგინარჩუნო, ვერსად გაგიშვებ, ჩემგან წასვლაც რომ მოინდომო! ვეღარ ავიტან, რომ თავისუფალი იყო. ეს არის სწრაფვა საკუთარი არსებობის შენარჩუნებისაკენ, ფრანცი, უშენოდ ვეღარ ვიარსებებ.

თანდათან მეტი სითბოთი და სიყვარულით ევსებოდა რიჰარდს თვალები, მეტად იკრავდა ფრანცის გულში. ქალი მთელი ტანით თრთოდა.

— როდის? — ჰკითხა ფრანციმ: — როგორ გგონია, როდის მოხდება ეს?

— ვერ მოგისვენია, ფრანცი? —რიჰარდმა მის მსხვილ აბრეშუმისებრ ნაწნავს მოჰკიდა ხელი და თავი უკან გადაუწია, რომ მისი სახე უკეთ დაენახა. — მოულოდნელად მინდოდა გამეხარებინე. მოდი ფრანცი! საქორწინო მუსიკა ჩვენ არ გვჭირდება. ამ წყნარ ადგილას, სადაც შენ ჩემი გახდი, გარე სამყარომაც თავისი კუთვნილი უნდა მიიღოს. კეთილი მოხუცი ვიბი და მისი მეგობარი ინსპექტორი — სხვა მოწმეები არა გვჭირდება! ზეგ შენს მეურვესთან წავალ, ჩვენს მეგობარ ბურგომისტრსაც ვნახავ. კიდევ რამდენსამე დღეს იქნები უქმროდ. შემდეგ კი ერთმანეთს აღარასოდეს არ დავცილდებით.

რიჰარდი გაჩუმდა.

გოგონამ ბაგე გახსნა, მაგრამ, სიტყვის დაძვრა ვერ შესძლო.

— მერე და, უკან როდისღა მობრუნდები? — როგორც იქნა, იკითხა ფრანციმ.

— შაბათს წავალ, სამშაბათს კი ისევ დავბრუნდები, იმედი მაქვს ყველაფერს მოვიტან: საჭირო მოწმობებს, ნებართვას, საქორწინო კაბას. ჰო, ფრანცი, შენი თავისუფლების დღენი დათვლილია! ამ ხნის მანძილზე ხომ არსად გამექცევი?

უბედნიერესი ღიმილით ჩასცქეროდა რიჰარდი ფრანცისკას.

— აბა, ახლა წადი, ჩემო საყვარელო მეუღლევ! ზოგიერთი რამ კიდევ უნდა მოვაგვარო.

დადგა გამგზავრების უკანასკნელი ღამე. „ტყის ყურეს“ სამი ბინადარი თავთავიანთ საძინებელ ოთახებში იყვნენ. ერთგული მცველი ლეო, როგორც ყოველთვის, ახლაც წინკარის შესასვლელთან დაწოლილიყო. სახლი მდუმარებას მოეცვა, ოღონდ დრო და დრო მოხუცი ფრაუ ვიბი ახველებდა მიჩიგდანიან საწოლში და ზემო ოთახიდან გაისმოდა გუგულის ხმა, რომელიც ღამეს თითო საათიან მონაკვეთებად ანაწილებდა ხეთა შორის ქარი ღმუოდა, სახურავზე ფლუგერები ფრიალებდნენ და, როცა ახალ შემოქროლვამდე ქარი სუნთქვას შეიკრავდა, ტყიდან ათასგვარი ხმები ისმოდა.

აბა იყუჩე! ხომ არაფერმა გაიწკარუნა დასავლეთით დატანებულ ერთადერთ ფანჯარაზე, სადაც მუხის ტოტები თითქმის ზედ გალავანს მიჰკვრია.

არა, ეს მხოლოდ ქარმა დაჰბერა ძალუმად. მერე თითქოს აღარაფერი, შერხეულა. მოხუცმა ფრაუ ვიბმა დაახველა. ზემოთ გუგულის ხმა გაისმა: პირველია! ღამე განაგრძობს მსვლე-

ლობას. არაფერი უჩვეულო არ ისმის. თითო-ოროლა ვარსკვ-
ლავი, რომელიც გაჭენებულ ღრუბელთა შორის ხანდახან
გამოჩნდება, თანდათან ჰკარგავს ფერს.

ოდნავ რომ ინათა, ფრანცი რიჰარდის საწოლის წინ იდგა
კაცს ისევ ეძინა. გოგონამ საწოლთან ჩაიჩოქა და რიჰარდს
ხელზე აკოცა, რომელიც საწოლიდან დაბლა ჩამოვარდნოდა.
კაცმა თვალები გაახილა და ფრანცომ უთხრა:

— ადექი, რიჰარდ. ეტლი მალე აქ იქნება.

— შენა, ფრანცი! — წარმოთქვა რიჰარდმა და გოგონას
შეხედა.

ცოტა ხნის შემდეგ ძილის ბურანი ერთიანად გაიფრთხო
და ფრანცის მიმართა. — ამ ღამით ჭოტის ხმა თუ გაიგონე.
როცა საათმა პირველი დარეკა?

ფრანცის ოდნავ შეუთამაშდა მხრები.

— მისი ხმა ხომ ყოველდამ ისმის, — წყნარად უთხრა მან

— არა, ფრანცი, არა! იმ ტყის ჭოტზე კი არ გეუბნები,
რომლებითაც აქაურობა სავსეა, ის სულ სხვა ხმაზე იძახოდა,
რაღაც უცნაურად! ჯერ დავეჭვდი, ეგებ ესეც იმათი ჯიშისაა-
მეთქი. წინკარიდან მომესმა, ლეო რამდენჯერმე წამოდგა და
გაიარ-გამოიარა.

— მე ვერ გავიგე, — ხმადაბლა თქვა ფრანცისკამ.

— ალბათ, მაგრად გეძინა, ფრანცი. ფრინველი აქ სადღაც
სულ ახლოს, იჯდა.

მერე ისინი საუზმეს მიუსხდნენ, მაგრამ ფრანცისკამ ერთი
ლუკმაც ვერ გადაყლაპა. შემდეგ რიჰარდი ეტლში ჩაჯდა.

— არ დაგავიწყდეს, სამი დღე! — გადმოსძახა მან და ეტ-
ლი ველზე გაქანდა. ხმამაღალი ყეფით ძაღლი წინ გარბოდა.

დიდხანს იდგა და თვალმოუშორებლად გაჰყურებდა ფრან-

ცისკა ეტლს, სანამ მისი შავი კონტურები ჰორიზონტზე არ გაფერმკრთალდა.

შუადღე გადასული იყო, როცა რიჰარდი თავის მეგობარ ბურგომისტრის ოთახში შევიდა.

— ო, ტყის კაცი! — შესძახა ბურგომისტრმა და პატარა დამუშტული ხელი მუქარით დაუქნია. — ეგ რა ოინი მოგიფიქრებია?

— მაშასადამე, ჩემი წერილი მიგიღია, არა?

— რასაკვირველია! ოჰ, როგორ შეაშინებ ხოლმე კაცს! მაგრამ ეს ამბავი, ბუნებრივია, მხოლოდ ხუმრობაა და მეტი არაფერი.

— სრულიად სერიოზული განზრახვით გეახელი.

— გასაოცარია! — შესძახა ბურგომისტრმა. — რომანტიკულია, მთლად რომანტიკული! სანაძლეოს ჩამოვდივარ, ჯერ არ იცი, თუ ვინ იყვნენ გოგოს დედ-მამა.

— რა ჩემი საქმეა!

— მაგას რად ამბობ, შენ ხომ ნათლობის ცნობა გჭირდება...

— მაგის გარდა, სხვა რამეც, ფრიც! ალბათ, შენი დახმარებაც დამჭირდება, როგორც მთავარი მეურვისა, თუ ის ყაჩაღი ხარაზი კიდევ მოისურვებს, რომ თავის მეურვეობაში მყოფი ვინმე მდიდარ მეპურეს მისცეს.

— ჩემი დახმარება, რიჰარდ? არა, არა. ეგ რა გიფიქრია? მაშინ ხომ ჩემი სინიდისის საწინააღმდეგო საქმეს ვიზამდი.

რიჰარდს გაეღიმა.

— შენ ხომ ჩემი მეურვე არა ხარ. და ესეც რომ იყოს, განა ჩემისთანა კაცის მეურვეობა საკადრისად არ მიგაჩნია?

— ღმერთია მოწმე, მართალი ხარ, რიჰარდ! ამ წუთას შენ ისეთივე ხარ, სტუდენტობისას რომ მახსოვხარ. ამიტომ შენთან ვერაფერს გავაწყობ.

ბურგომისტრმა ცხვირიდან ოქროს სათვალე აიძრო, შუშები ბაცი ყვითელი აბრეშუმის ცხვირსახოცით გაწმინდა და თვალებმოწკურულმა თავის ქნევით მეგობარს გახედა

— ჰმ, აი მეოცნებეც ასეთი უნდა! — თქვა მან. — საოცარი კი არის, რომ შენგვარი ხალხი მუდამ...

რიჰარდმა პატარა კეთილ კაცს ორივე ხელი ჩაჰკიდა და დასრულება აღარ აცალა.

— მასზე უარს ვერ მათქმევინებ, — გულწრფელი კილოთი წარმოთქვა რიჰარდმა. — უმჯობესია ის მითხრა, მაგისტრის საქმე როგორ არის?

— ზის! — ხალისიანად მიუგო ბურგომისტრმა.

— მისი პროცესი?

— ძვრა არა აქვს. ჩაკვდა! ასეც ჯობია!

— ფრანცისკა?

— მეტად აღარ შეაწუხებენ. ოქმები გაგზავნილია. განაჩენიც თავის დროზე მოვა.

— მაშ დამეხმარე, ფრიც, და მოდი ყველაფერი სწრაფად მოვაგვაროთ.

... ყველაფერი მართლაც მალე მოგვარდა. მეორე დღეს შუადღემდე ნებართვა და ყოველგვარი საჭირო მოწმობები ხელთ ჰქონდა. გეგმიდან შესასრულებელი დარჩა დიდ ქალაქში ჩასვლა, მაგრამ კვლავ შიშნარევმა სევდამ მოიცვა და ისევ ტყისკენ გაბრუნდა. განზრახული საყიდლების შეძენა კი ფრანცისკასთან ერთად გადაწყვიტა.

ამგვარად მან უკანდაბრუნება ბრძანა.

— აბა, მარდად, მეეტლევ! — მიმართა მან. — ორმაგ გადასაკრავს მიიღებ.

მეეტლემ მათრახი გასარჯა. შუადღე ახალი გადასული იყო, სოფელს რომ მიაღწიეს, მაგრამ უსწორმასწორო ქვაფენილზე ეტლს თვალი გამოსძვრა და სოფლის სამჭედლოში ნახევარი საათის წამუშავება გახდა საჭირო. რიჰარდი და ლეო ტრაქტირისაკენ გაემართნენ. წინკარში ძაღლმა ყრუდ დაიღრინა, იმავე წუთას სასტუმრო ოთახიდან გამოვიდა ახალგაზრდა მეტყევე, რომელმაც სალმის უთქმელად რიჰარდს გვერდით ჩაუარა, მხოლოდ ანთებული თვალებით გადახედა.

რიჰარდი თავისდა უნებურად შედგა. როგორც კი ღია კარიდან დაინახა, მეტყევე ეზოდან გავიდაო, რიჰარდიც გარეთ გაჰყვა და სოფლის გზაზე აჩქარებით მიმავალს გახედა.

რიჰარდს სძულდა ეს კაცი და თვითონაც ვერ გაეგო, რატომ იდგა ახლა გზაზე და რად გაჰყურებდა მის გზას.

რიჰარდი სწრაფად შემობრუნდა და ტრაქტირისაკენ გაემართა. დარბაზიდან რამდენიმე კაცის გაცხარებული ლაპარაკი შემოესმა, წეღან კი მეინახეები წყნარად ისხდნენ. როცა ისა და ძაღლი დარბაზში შევიდნენ, იქ ბევრ ხალხს მოეყარა თავი. არც გაჰკვირვებია, კვირა საღამო იყო. მაგრამ საუბარი ერთბაშად შეწყდა. მას მეტრაქტირე გამოეგება და საგანგებო ყურადღებით გამოჰკითხა მარცხიანი მგზავრობის ამბავი. ერთ-ერთი მაგიდიდან რიჰარდმა ყური მოჰკრა მეტყევის სახელს, რომელიც შემთხვევით გაგონილი ჰქონდა, მაგრამ მოსაუბრეს მეზობელმა იდაყვი წაჰკრა. შემდეგ ისევ ატყდა ღრიანცელი. გლეხები წლის ამ დროისათვის ჩვეულებრივ სალაპარაკო თემას დაუბრუნდნენ — მოსავალსა და გასაყიდ ფასებს.

ბოლოს ღერძი შეაკეთეს და ეტლმა გზა განაგრძო. რიჰარ-

დი ჩაფიქრებული იჯდა. რაღაც გაურკვეველ, უსიამოვნო გრძნობას მოეცვა. შინ დაბრუნება აღარ უხაროდა, თითქოს შორეული რუხი ნისლიდან თვალთა წინ რაღაც უფორმო აჩრდილთა სურათები წარმოუდგა. ოჰ, როდის იქნება შინ, როდის დაინახავს ისევ ფრანცისკას.

ეტლი მიჰქროდა და ტყეს თანდათან უახლოვდებოდა. აი ეტლი უკვე მინდვრის გზაზე მირახრახებს მუხის რაყაში, ბოლოს სახლის სახურავიც გამოჩნდა და რიჰარდმა საღამოს მზით გაბრწყინებული ფლუგერებიც დაინახა. ტყის ჩრდილიდან ვიღაც გამოვიდა. ეს ხომ თვითონ ის არის! მისი ღია ფერის კაბა, მისი ჩალის ქუდი, რიჰარდმა მკაფიოდ გაარჩია. როგორც ჩანდა, ფრანცისკას ეტლი არ შეუმჩნევია, რადგან სახლისკენ მიმავალს გეზი არ შეუცვლია. რიჰარდი წინ გადაიხარა და ველზე გასძახა:

— ფრანცი, ფრანცი!

ქალი შედგა და როცა რიჰარდმა ისევ დაუძახა, შემობრუნდა და ეტლისკენ ნელა გამოემართა. როგორც ქნა, ნახა რიჰარდმა თავისი სანატრელი. ფერმკრთალ სახეზე გაფართოებული თვალები ჩამუქებოდა. არასოდეს არ სჩვენებია რიჰარდს ფრანცისკა ასეთი.

ეტლის გაჩერებამდე რიჰარდი ძირს გადმოხტა და ფრანცისკა მკლავებში მოიქცია.

— მადლობა ღმერთს! — წამოიძახა მან და შვებით ამოისუნთქა, თითქოს გულიდან უზარმაზარი ლოდი მოეცილებინოთ. — ასე მეგონა, ვეღარ გნახავდი!

— ეგ რა ფიქრები მოგდის! — მოკლედ გაეპასუხა ფრანცისკა.

ქალმა, რიჰარდს რომ ჰყავდა მკერდზე მიკრული, იქვე

მდგარი ძაღლი შეამჩნია, რომელსაც დრუნჩი ტყისკენ ეჭირა, იქით, საიდანაც ეს-ეს იყო ფრანცისკა გამოვიდა და ჰაერს მოწადინებით ყნოსავდა. მან თითქმის მექანიკურად წაავლო ხელი ძაღლის ლითონის საყელურს.

— შინ წავიდეთ, რიჰარდ, — უთხრა აჩქარებით. — ეს ძაღლიც, დაიჭირე, თორემ ადრინდელივით, ალბათ, შველს დაედევნება.

კაცს იქით არც გაუხედავს, იგი მხოლოდ იმ ახალგაზრდა სხეულს შესცქეროდა, რომელიც მკლავებში მოექცია. ბავშვივით ხელში ატაცებული აიყვანა ეტლში, მერე ძაღლს დაუსტვინა და სახლამდე დარჩენილი მცირე მანძილიც მალე მოილიეს.

შინ ყველაფერი ჩვეულებრივ წესრიგში დახვდა. მოხუცი ფრაუ ვიბი მათ გაქათქათებულ საკვირაო ტანსაცმელში გამოეგება, იგი აღტაცებული იყო რიჰარდის მოულოდნელი დაბრუნებით. რიჰარდმა ვიბს აცნობა, ეტლი ხვალაც მოვა და დიდ ქალაქში მე და ფრანცისკა საქმეზე უნდა წავიდეთო. ფრანცის კი ჩასჩურჩულა:

— ხომ კმაყოფილი ხარ, ფრანცი? კვლავ მოვინახულებთ იმ გამყიდველ ქალს, შენ რომ აღაფრთოვანე, დაე ახლა აბრეშუმის პატარა წაღები მოგიძებნოს. ყველაფერს თავად შეარჩევ. თუმცა არა! შენ ძალიან მორიდებული ხარ, შენ მარტო კაბები იყიდე. მე კი — მე მინდა მთლად თეთრ ნისლში გაგხვიო, ისეთ თხელ, ისეთ ნაზ ნისლში, რომ ღრუბლად ქცეულმაც ვერ შეიძლოს გაბრწყინებული ვარდის დაფარვა.

რიჰარდმა ვერ შეამჩნია, როგორ დააჭირა თეთრი კბილები ქალმა ერთმანეთს და როგორ აუკანკალდა ბაგეები.

— აბა, ფრანცი, რას ფიქრობ? — განაგრძო კაცმა. — ხომ კმაყოფილი ხარ?

ქალმა უჩუმრად გამოართვა რიჰარდს ხელი და ტუჩებზე მიიღო, შემდეგ მკვახედ უთხრა:

— ვფიქრობ, ისევ ფულის გადაყრა გინდა... შენ დიდი წარმოდგენა გაქვს ჩემზე, რიჰარდ, მე ხომ ერთი საბრალო მსახური გოგო ვარ.

— მე კი ვფიქრობ, რომ შენ სულელი გოგო ხარ.

დაღამდა. რიჰარდმა ჩვეულებრივად დაკეტა ძელებისაგან შეკრული ჭიშკარი და სახლის კარი. წინკართან ძაღლი იწვა, ჭიშკრის დიდი გასაღები რიჰარდის საწოლ ოთახში ეკიდა კარის წირთხლზე.

კაცმა ნაზად შემოხვია ხელი ფრანცისკას, რომელიც ფანჯარასთან მდგარიყო და ჩაშავებულ ტყეს გაჰყურებდა, და ბიბლიოთეკის გავლით მისი ოთახისკენ წაიყვანა. რიჰარდისათვის იგი ხელშეუხებელი საცოლე იყო და კაცს მისი ოთახის ზღურბლი არ გადაულახავს.

— ტკბილად იძინე, ჩემო ფრანცი! — წარმოთქვა რიჰარდმა. — უცბად ისე მომეჩვენა, თითქოს ჩემი ბედნიერება ისევ სადღაც შორს არის-მეთქი.

ქალმა კარი გამოაღო, მაგრამ რიჰარდმა იგი ძალით შემოაბრუნა და გულზე მიიკრა.

— ღამე ნებისა, ღამე ნებისა, ფრანცი!

მერე ფრანცისკა ოთახში შევიდა. კარს მიღმა რიჰარდმა რამდენიმე ხანს კიდევ უსმინა მისი პატარა ფეხების ხმას.

შემდეგ სამუშაო ოთახში დაბრუნდა. გზად, მაგიდიდან ანთებული სანთელი აიღო, კარს ზემოთ მოთავსებულ ძველ

სურათს მიანათა და აჩქარებით მოავლო თვალი. აქედან თავის საძინებელ ოთახში შევიდა. დაღლილს ღრმად ჩაეძინა. აღარ ესმოდა, როგორ შრიალებდა ტყე შემოდგომის ბნელ ღამეში, აღარც პაწაწინა ხელოვნური ფრინველის გუ-გუს ძახილი აკრთობდა მეზობელი ოთახიდან. ღამეს ზენიტისთვის მიეღწია. იქით ოთახში გუგულმა თორმეტჯერ დასძახა. რიჰარდი უსიზმრო ძილს განაგრძობდა, ღამე — თავის მსვლელობას. საათმა ჯერ პირველისა დააგუგულა, შემდეგ — ორისა, მერე კი — სამისაც! რიჰარდს სიზმარი ეწვია. ყველაფერს, რაც დღისით ამოტივტივებულიყო მის თვალწინ საშინელ ნისლში, ახლა ხორცი შეესხა, — ხან კაშკაშა შუქი ეღვრებოდა და ხან ცრიატი, რომელიც არც დილის შუქს ჰგავდა, არც საღამოსას, როგორი ფერი დასდებოდა მის მკლავებში მოქცეულ ფრანცის! და რა საოცარი იყო, მისი თვალები გაურბოდა რიჰარდის შეხედვას! იქით კი, ხეების უკან მონადირე იდგა...

რიჰარდი რამდენჯერმე კვნესით გადაბრუნდა ლოგინში. პირიდან მრისხანე, ურთიერთთან დაუკავშირებელ ბგერებს აფრქვევდა. უცბად ზეზე წამოიჭრა და ბალიშს დაეყრდნო, რაღაც ხმაურის გამოძახილი ისევ ყურებში უწიოდა. მიხვდა, რომ ეს ხმაური მის ოთახში ეზოდან ამოიჭრა. იმავე წუთს ფანჯარასთან მიიჭრა. ოდნავ ენათა, მაგრამ კარგად გაარჩია, როგორ მიიხურა იმ წუთში ალაყაფის მძიმე კარი. თითქოს ისევ სიზმარში ხდებოდა, კედელზე დაკიდებული ორი დამბაჩიდან ერთერთი ჩამოგლიჯა, ფანჯრის მინამ გაიზრიალა და ტყვია ტკაცანით ჩაჯდა ჭიშკრის ძელში.

მერე ყველაფერი სიჩუმემ მოიცვა. რიჰარდმა მეორე დამბაჩა ჩამოხსნა და ასე პერანგისამარა ოთახიდან გაიჭრა. გასვლისას წირთხლზე გასაღები მოძებნა, მაგრამ იქ აღარ იყო.

— ლეო, ლეო! — გასძახა კიბიდან გარეთ. — სად ხარ, ჩემო ძაღლო?

არავინ გამოპასუხებია. კიდევ ერთხელ დაუძახა და ბნელ წინკარში ჩაირბინა.

აქ რაღაცას ფეხი წაჰკრა. დაიხარა და მოსინჯა. ხელში გრძელი, აბრეშუმივით ბალანი შერჩა. რიჰარდს ყვირილი აღმოხდა. მერე, თვითონაც ვერ გაერკვია რად, თავისი მოხუცი მსახურის ოთახში შეირბინა. ყრუ მოხუცი მშვიდად სუნთქავდა ლოგინში. მაგიდიდან სანთელი აიღო, აანთო და ისევ წინკარში გამოვიდა. იქ უძრავად ეგდო ძაღლი, ფეხები გაეჭიმა, ყავისფერი თვალები გაფართოებოდა და ღიად დარჩენოდა. კაცი ძირს დაეცა და სანთელი გვამს ზედ დაანათა. მოლურჯო აპკს დაეფარა თვალთა ბრწყინვა. ცივად, თითქოს უსიტყვო საყვედურით შესცქეროდა პატრონს. რიჰარდს მოეჩვენა, თითქოს კედლები გამჭვირვალე გახდა და დაინახა, თითქოს ველზე ორი ახალგაზრდა გარბის და წითლად მოელვარე აისის ფარდის იქით უჩინარდება.

უცბად კაცმა კიბე აირბინა და ფრანცისკას ოთახში შეიჭრა. ოთახი ცარიელი დაუხვდა, ლოგინი გაუშლელი. როგორც ჩანდა, საბანზე ზემოდან დაწოლილიყო მცირე ხნით დასასვენებლად. ბალიშზე მისი ხელის ანაბეჭდი დარჩენილიყო.

თავი ვერ შეიკავა, ანაბეჭდს ხელით არ შეხებოდა, თითქოს მისი აქ ცხოვრების უკანასკნელ კვალს ეალერსებაო. შემთხვევით მის ხელში იარაღმა გაიჟღრიალა და მეყვსეულად თავში სხვა ფიქრმა გაუელვა. სწრაფი ნახტომით კიბესთან გაჩნდა, მაგრამ აქ შესდგა. რა უნდა ექნა? ერთხელ უკვე შეიღება წითლად ხელები. კიბე ნელა აიარა და საძინებელ ოთახში შევიდა, პისტოლეტი თავის ადგილზე ჩამოჰკიდა. შემდეგ

გულმოდგინედ გამოეწყო. ჩაცმას რომ მორჩა, სამუშაო ოთახში გავიდა, ფანჯრებზე ფარდები აწყია და მაგიდის უჯრა გააღო, რომელშიც ფასიანი ქაღალდები ელაგა.

წინასწარ იცოდა, იქ რა დაუხვდებოდა. რაც მისი იყო, ხელუხლებლად იდო, ფრანცისკას სახელდაწერილი შეკვრა კი გამქრალიყო. რამდენიმე ხანს კიდევ ეძება, ეგებ ფრანცისკამ რამე ბარათი დამიტოვა, გამოსამშვიდობებელი სიტყვა, ანდა სხვა რამეო. მთელი უჯრა ამოაქოთა, მაგრამ ამაოდ, ვერაფერი იპოვა.

ფანჯარაში დილის მზის პირველი სხივები შემოიჭრა და კარს ზემოთ ბნელიდან გამოჰკვეთა ძველი ნახატი. როცა კაცმა შემთხვევით სურათს შეხედა, უცნაური რამ მოეჩვენა — გზის პირას მდგარ მარტოხელა მოხუცს თავი მოებრუნებინა და მას გადმოჰყურებდა.

მზემ შეიმაღლა. შპალერზე დავიწყების ყვავილები ბრწყინავდნენ. რიჰარდი ისევ სურათს შეჰყურებდა. ის, რასაც იგი უყურებდა, მისი სახის ორეული იყო.

ოქტომბერი დადგა. ნაშუადღევს ტრაქტირ „შავ ფიქვებში" ერთმანეთის პირდაპირ დამსხდარიყვნენ მეტრაქტირე და ჩია ტანის ქალაქელი მედუქნე. მთელი მაგიდა ცარცით ნაწერ ციფრებს დაეფარა. ისინი ისევ კვარტლის ნახარჯს ანგარიშობდნენ, ჯამი გამოიყვანეს და ანგარიში გაასწორეს. დარჩენილი დრო სამასლაათოდ იყო განკუთვნილი და ისინიც საამისოდ იყენებდნენ.

ძია კასპერი ჩვეულებრივად მოსწყდა ამ მიწიურ ამბებს და ფანტაზიორობას შეუდგა.

— გინდ დამიჯერეთ, გინდ არა, — დაიწყო მან იდუმალი

ხმით. — გოგონა მისი საკუთარი სისხლი და ხორცი იყო. მაგრამ მას, რასაკვირველია, არ უნდოდა, ვინმეს რამე სცოდნოდა ამის შესახებ, რადგან იგი ფედერსის გვარით მონათლეს და ერთ მაგისტრთან გაიზარდა. მისთვის მეურვეც სასამართლოს მეშვეობით დაანიშვნინა.

— ძია კასპერ, — იკითხა პატარა მედუქნემ, — თქვენ ისევ თქვენს ვექილთან იყავით ქალაქში?

— ო, ჰეფფერს, გინდ დამიჯერე, გინდ არა! ის მეურვე თვითონ ჩემთან იყო, სწორედ მაგ ადგილზე იჯდა, სადაც ახლა თქვენ ზიხართ, და თავისი წილი არაყიც მანდ გამოწრუპა. იქ, „ბრიყვის თავშესაფარში" ისინი სწორედ ეს-ესაა შეთანხმდნენ, რომ საბრალო ბავშვს მიათხოვებენ მდიდარ მეპურეს, რომელიც უკვე მეტისმეტად დაჩაჩანაკებულია. გოგონა ისე გაველურებულა, რომ ობლების მოხუც მომვლელს უკვე აღარ შეუძლია მისი დაჭერა. რას იზამ ჰეფფერს, მან ხომ არჩია იმ შავხუჭუჭა ბიჭთან... — მან მედუქნეს თავი დაუქნია და მრავალმნიშვნელოვნად შეუბერა გაფარჩხულ თითებს.

— ეს კი დიდებული ზღაპარი შეთხზე, ძია კასპერ, — ჩაერია მეორე, — ოღონდ თარიღები არ ემთხვევა ერთმანეთს. საქმე ის არის, რომ როცა გოგო დაიბადა, დოქტორი სამი წლის წასული იყო ამ მიდამოებიდან. მაგრამ, ჯობს, ეს ჭიქები ერთმანეთს მივუჯახუნოთ, თქვენ კი გიხარიოდეთ, რომ შავხუჭუჭამ თქვენი ანა — მარგრეტიც თან არ წაიყვანა. იმ ყმაწვილს ისეთი სახე აქვს, ერთს, ალბათ, დიდხანს არ დასჯერდება.

ბიძა კასპერმა გაიცინა და ფანჯარაში გაიხედა.

— აი, ინსპექტორიც მოდის! — წარმოთქვა მან..

ინსპექტორმა ამ დროს თავისი პუდელის თანხლებით ბე-

ბერი მუხის ქვეშ გაიარა, რომლის წვერზე ფოთოლგამეჩხერებულ ტოტებში ამჟამად ცარიელი ბუდე ჭოჩანდა.

ინსპექტორს მეფუნდუკე კარებთან შეეგება.

— რას გვეტყვით, ბატონო ინსპექტორო, — მხიარულად შესძახა მან, — ყველაფერი ისევ ძველებურად არის?

— ყველაფერი. ძვრა არა აქვს, — მიუგო მოხუცმა, „ტყის თავშესაფრის“ დიდი გასაღები მაგიდაზე დაახეთქა, თვითონ კი სკამზე დაეზღერთა. — გუშინ წავიდა ქალაქისაკენ უკანასკნელი ფორანი, — ყველაფერი, მთელი ქონება ჩაქუჩის დარტყმას ელის[1]. მთელ ფულს მოხუცი ლევერენცი მიიღებს.

— ბატონი დოქტორი? — იკითხა მეფუნდუკემ. — ის სად წავიდა?

— არ ვიცი, — მიუგო მოხუცმა. — არც მაინტერესებს. ქვეყანა დიდია.

პატარა პფეფერსმა მაგიდიდან გასაღები აიღო და იქ მსხდომთა თავებს ზემოთ ასწია:

— ვინ ყიდულობს „ბრიყვის თავშესაფარს“? პირველი — მოხუცი ბატონი, მეორე — ბატონი ბოტანიკოსი. მესამედ ვინღა იყიდის?

— მოეშვი ავყიობას, პფეფერს! — უთხრა მოხუცმა და ხელიდან გასაღები გამოართვა. — ის ლომისფერი ძაღლი მენანება მხოლოდ. გულახდილად გეტყვით, ნამდვილად ფასდაუდებელი განძი იყო! ჩემს ფილაქსსაც კი სჯობდა.

---

[1] საჯარო ვაჭრობით გაიყიდებაო (მთარგმ.).



ფ ს ი ქ ე ა

აგვისტო იყო. თუმცა მზე საშუადღეოზე ასულიყო, მაიხ ციოდა. ჩრდილო-დასავლეთის ძლიერი ქარი ქროდა. ქარი და ზღვის მოქცევა გაშმაგებით მიერეკებოდა აქაფებულ ტალღებს ორ ჯებირს შორის მოქცეულ ფართო ყურეში, რომელიც ქალაქს ზედ მიდგომოდა. ზღვის ნაპირზე შორიშორ ბიბმული ორი საბანაო ბოგირი ხან მაღლა აიწეოდა, ხან დაეშვებოდა. ქალაქში ლაპარაკობდნენ, ალბათ ზღვაზე ქარიშხალი მძვინვარებსო, და არც ცდებოდნენ, რადგან სხვა დროს მობანავეებით ავსებული სანაპირო დღეს უკაცრიელი ჩანდა. მხოლოდ ქალაქიდან ყველაზე დაცილებულ საბანაო ბოგირის გვერდით აღმართული ფარდულის წინ იდგა ხმელ-ხმელი, ხანდაზმული ქალი. გახუნებული მერდინის ფართოფარფლებიანი შლაპის ბრძელი ბაბთები ჰაერში უფრიალებდა და ტკაცუნობდა. ქალებისა და ბავშვების საბანაო ქუდები და პირსახოცები ხელუხლებლად ელაგა ფარდულის თაროებზე.

— ჯობს, შინ წავიდე, — ჩაილაპარაკა თავისთვის, — ამ ძაღლ ამინდ'ში საბანაოდ არავინ მოვა.

თვალებთან აფრიალებულ'ბაბთებს ხელი წაიღო და საგუბარის გაყოლებით ქალაქისაკენ გაიხედა. საგუბრის ახლოს დაბმული ცხვრები, სადამდეც კი თოკები გასწვდენოდათ, ერთად შექუჩებულიყვნენ და ქარისთვის ზურგი შეექციათ. სხვა არაფერი ჩანდა... მაგრამ არა, საგუბრის კედელზე ორი მამაკაცი მოდიოდა. მალე ისინი უახლოესი ბოგირის იქით ჯებირის ქვემოთ ჩავიდნენ. თავისებური მდებარეობის გამო ეს ბოგირი მამაკაცებისათვის დაეთმოთ. თან წამოღებული პირსახოცები თავსზემოთ ასწიეს და ააფრიალეს. მათი ჭაბუკური სიცილი და მხიარული წამოძახილები მოხუც ქალამდე ვერ აღწევდა — ბგერებს ქარი პირიდან გლეჯდა და ქალაქისაკენ მიაქროლებდა.

— შინ ერჩიათ დარჩენილიყვნენ. — ჩაიბუზღუნა მოხუცმა, როცა ორი ვაჟი საბანაო ფარდულის კარსშიგნით მიიმალა. — მაგრამ რა ჩემი საქმეა, ჯობს, შინ წავიდე. — სარტყელიდან დიდი ტომპაკური*ჯიბის საათი ამოაძერინა და ციფრები თითით დაითვალა. — მხოლოდ ერთი ვინმე შეიძლებოდა მოსულიყო ასეთ უამინდობაში, მაგრამ მისი დროც გადასულა, მოქცევა ნახევარ საათსღა გაგრძელდება, და მოსვლა რომ ნდომოდა, ამდენ ხანს შინ არ გაჩერდებოდა.

მოხუცმა ფარდულის ჩრდილოეთით მოქცეული კარის შეღებს დააპირა, მაგრამ ქალაქისაკენ კიდევ ერთხელ გაიხედა და ორივე ხელი შლაპაზე წაიღო.

— ღვთისმშობელო მარიამო! — წამოიძახა მან. — შეიძლება, ეაცი კათოლიკე გახდე*, ეს ხომ ის არის!

მართლაც შეამჩნევდით ქალაქის მხრიდან ჯებირზე მომავალ ქალს. მაგრამ იგი ქალი კი არა, ნორჩი გოგონა, ჯერ სრულიად

გაუშლელი კოკორი ჩანდა. ქარისა და უამინდობის მიუხედავად, მაინც სწრაფად ახლოვდებოდა. ჩალის ქუდი მოხდოდა და ახლა ბაბთით ეპირა ხელში. მზისფერი ნაწნავები ქარს დაეშალა და ზურგზე უფრიალებდა. ნაბიჯს თანდათან უმატებდა და შავი თვალებით მიდამოს ათვალიერებდა. როგორც კი ფარდულის წინ გამხდარი მოხუცი შენიშნა, ჯებირიდან ძირს ჩახტა და მისკენ გაიქცა.

— კატი! — დაიძახა მოსულმა, — ადრე მოსვლა ვერ შევიძელი. ვიფიქრე კიდეც, ვაი თუ შინ წავიდა-მეთქი.

— კარგი იყო, ამდენი ჭკუა რომ მქონოდა, — ჩაილუღლუღა მოხუცმა.

— ნუ ბუზღუნებ, კატი! — გოგონამ თითი დაუქნია მას, მოხუცმა კი სიყვარულით შეხედა თვალებში.

— ცუდი ამინდი რომ არის, გოგონი? — უთხრა მოხუცმა და ქალიშვილს ჭერა თმა გადაუწია შუბლიდან.

— სწორედ ეს არის კარგი! დღეს აქ აღარც ძუძუმწოვრები არიან და აღარც ბებერი დეიდები. ეს ქვეყანა დღეს მე მეკუთვნის, ძირს მე ვარ ბატონი, მაღლა — ფრინველები. აბა იმ მ'მვენიერ ვერცხლისფერ თოლიებს შეხედე. ვაშა, კატი, რა კარგი იქნება დღეს აქ!

— მაშა, გოგონი, მაშ ფრინველებიც კი ხმელეთისკენ მიეშურებიან.

— თუ ქარი მიერეკება მიწისკენ? მე კი, კატი, ვერაფერს დამაკლებს.

მოხუცმა გაკვირვებით შეხედა ქალიშვილს:

— რას ამბობთ, ბავშვებო! აბა შეხედეთ, როგორ ჭოჭინა ცხენივით ირწევა ბოგირი. იქამდე მისასვლელი გზა წყლით არის დაფარული.

ქალიშვილი ფეხის წვერებზე აიწია და სანაპიროს გახედა.

— უკეთესი იქნება, ფეხსაცმელები და წინდები შენს ფარდულში გავიხადო, — უთხრა ქალს და თავი მხიარულად დაუქნია.

კატის ფარდული საკმაოდ გულმისავალი იყო. თუმცა აქაც მხოლოდ ცარიელი ფიცრები ელაგა, მაგრამ კარის პირდაპირ რბილი ტახტი იდგა და ზედ ფერად-ფერადი ბალიშები ეწყო. ერთ მხარეს, საბანაო ნივთების თაროს გვერდით, მეორე თარო გაეწყოთ, რომელზედაც მიხაკისფერი ყავადანი, კოლოფები და ფინჯნები ჩაემწკრივებინათ. ქალაქის მხარეს დატანებული ფანჯრიდან შუადღის მზე შემოდიოდა და ფარდულს სითბოთი და შუქით ავსებდა.

— ჰმ, — თქვა გოგონამ და ღიმილით თაროსკენ ანიშნა. — ყველა ამ ქ—ნ კამერრეტინებს*, ქ—ნ კრიგსრეტინებს* და ქ—ნ ბარონესებს თავიანთი შაქრისა და ყავის კოლოფების გასაღებები ჯიბეში უწყვიათ. ერთი შეხე, ყველგან კლიტეები არა ჰკიდია! მაშასადამე, მაგ კოლოფებს თითსაც ვერ დავაკარებთ, კატი?

— მერე რა გინდათ, თქვენც ხომ იმ სამი ბებერი ქალბატონივით ბანაობის შემდეგ ყავას არა სვამთ?

— არა, მე კი არა, კატი, მაგრამ შენ როგორ დალევ?

— მე? მე სახლში ჩემი ვარდკაჭკაჭა მაქვს. კატასაც თავისი წილი აქვს.

გოგონამ ჯიბეში ხელი ჩაიყო და ფინჯნების თაროს ქვეშ მაგიდაზე ქაღალდის ორი პატარა პარკი დადო.

— აი მოკა, — თქვა მან საზეიმოდ, — და წვრილად დამტვრეული რაფინადი. დედაჩემმა საკუთრად შენთვის გამიხვია. იცოდა, დღეს ჩემი ყურისმგდებელი მხოლოდ შენ იქნებოდი.

ება. სპირტქურა აანთე და ყავა მოხარშე. შენს კატას კი ჩემი სალამი გადაეცი

გოგონა ტახტზე დაჯდა და წინდებისა და ფეხსაცმელის გახდას შეუდგა. მოხუცი ქალი მის წინ იდგა და გოგონას შესციცინებდა. მადლობა ხმამაღლა არ უთქვამს. მხოლოდ ეს წაილაპარაკა:

— დედათქვენი არ მივიწყებს. — ცოტა ხნის შემდეგ კი ჰკითხა: — დედათქვენმა გამოგიშვათ?

— გამომიშვაო?.. დედაჩემი შენსავით მშიშარა კი არ არის! არა გრცხვენია, კატი, ამხელა ქალს, ეგეთი მშიშარა რომ ხარ?

— კარგი, კარგი, არც მე გედავებით, გოგონი. ვერასოდეს ვერ ვივიწყებ იმ შიშს. ერთხელ რომ გამოვცადე პაპათქვენთან, როცა მოხუც ბურგომისტრთან ბავშვების გამზრდელად ვმუშაობდი. ქალბატონი დედათქვენი,—ის ალბათ არ მიწყენს,—მაშინ სწორედ თქვენი ხნისა იყო.

გოგონამ შიშველი ფეხები ტახტის კიდეზე შეაწყო და სიამოვნებით მიუფიცხა თბილ მზეს.

— ერთხელაც მომიყევი, კატი, ის ამბავი.

მოხუცი გოგონას გვერდით დაჯდა.

— ხშირად მიამბნია, მაგრამ ისევ დედათქვენი კი მიდგას თვალწინ, ეგრე რვა-ცხრა წლის დაუდეგარი გოგონა იყო. თქვენსავით მშვენიერი, ოქროსფერი თმა ჰქონდა.

— ოქროსფერი, კატი?... მადლობელი ვარ.

— ოქროსფერი არ არის? რა ვიცი — მშვენიერი კი არის და!

— კი, კატი, მაგრამ დედაჩემის თმა დღესაც ხომ სჯობია ჩემსას? ორ გრძელ მსხვილ ნაწნავს ატარებდა, არა?

მოხუცმა თავი დაუქნია.

— მაგრამ, კატი, განა დედაჩემი არასოდეს დადიოდა ჩვეულებრივად, როგორც მე ან სხვები დავდივართ?

— ჩვეულებრივ სიარულად ის მიგაჩნიათ, წელან საკუბარი დან რომ ჩამოხტით? — ლამაზ გოგონას მოხუცმა თავზე ხელი გადაუსვა. ბავშვი თვალებგაცისკროვნებული შესცქეროდა მოხუცს, რომელმაც ისევ განაგრძო: — დია, დიახ, საკმაოდ ბევრი რამით ჰგავხართ დედას. ერთხელ, ერთ დილას, მან სიმაღლიდან ხტომაში ისახელა თავი. შვიდი ფუტის სიმაღლის კედელზე იჯდა ის ქაჯი, თავისი სავარძლით, სათამაშო მაგიდითა და თოჯინების ჩაის სერვიზით. კედელთან დაგრეხილი, ბებერი იასამანი იდგა. ყველაფერი ამ იასამანზე დაელაგებინა და თვითონაც გაშლილ ყვავილებში ისე მოთავსებულიყო, თითქოს ფანჩატურში ზისო.

გოგონა მოხუც მეგობარს ხელს აღარ უშლიდა, პირი გაეღო და თვალებგაცეცებული ყურს უგდებდა მოხუცის თხრობას.

— მე უმცროსი დის, დეიდათქვენის, ქალბატონ ელსაბეს გამზრდელი ვიყავი, — განაგრძო მოხუცმა. — თან დედათქვენზედაც უნდა მჭეროდა თვალი. მაგრამ ყაჩაღანას ყოველ წუთს თვალს როგორ ადევნებ? დიდი ბაღის ყორე ერთ ადგილას მთლად დადაბლებული იყო. იქ იშვიათად თუ გაივლიდა კაცი. იმ დღეს, როცა დეიდათქვენი ასე კარგად ერთობოდა, ჩვენ იმ ბაღში წავედით. ბატონ ბურგომისტრს თავისი ყვავილებიანი პიჟამა ეცვა და თავზე ფუნჯიანი ჩაჩი ეხურა. იგი მუდამ ალერსიანი ბატონი იყო.

„მოდი, კატი, — დამიძახა მან, — პატარა ელსაბე აიყვანე ხელში. იქ, ზემოთ ყორის თავზე გაჩვენებთ ჩემს ბაიის საწოლს...“ მაგრამ, ო, უცებ რა დავინახეთ!.. ეს კოპწია ქაჯი იმ

საშინელ კედელზე პრინცესასავით გამოჭიმულიყო, გარს ყვავილები შემოხვეოდა, ხელში ფინჯანი ეჭირა და პატარა კოკზით ურევდა. მერე ფინჯანი პირთან მიიტანა, ვითომ მართლა სვამდა და მაგიდაზე კალათში მჯდარ თოჯინას თავი დაუქნია. ძარღვებში სისხლი გამეყინა. კინაღამ ელსაბე გამივარდა ხელიდან. ბატონ ბურგომისტრსაც თმა ყალყზე დაუდგა. გაშეშებული იდგა მშვენიერ პიჟამაში გამოწყობილი და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა. ახლა იმანაც შეგვამჩნია. „ო, მამა! მამა და კატი!“ დაიძახა გაკვირვებით და თავი ჩვენსკენ მოაბრუნა. ძამაძ მხოლოდ ხელი დაუქნია ჩუმად.

— რაო მამა, შენთან ჩამოხვიდე? ახლავე, ახლავე, აბა დამიჭირე!

სანამ ჩვენ გონს მოვიდოდით, მთელი კოვზები და ფინჯნები ძირს ჩამოყარა. ბატონმა ბურგომისტრმა ხმა ვერ ამოიღო, იმასღა ცდილობდა, ბავშვი როგორმე მოხერხებულად დაეჭირა. დედაშენმა მაგიდა რომ მოასუფთავა, თოჯინა ხელში აიყვანა, თოკზე მოცეკვავესავით მრგვალ კედელზე რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა, და,—ო, იესო ქრისტევ! მე, ბატონმა ბურგომისტრმა და ელსაბემაც ერთად შევყვირეთ, ის გადარეული კი თავის თოჯინიანად ქვემოთ გადმოხტა, შიგ ბატონ ბურგომისტრის ბაიის საწოლში.

გოგონას თვალები უბრწყინავდა.

— იცი, კატი, — თქვა მან, — დედაჩემი, ალბათ, ძალიან მიშზიდველი იყო, არა? ნეტავ ერთხელ მაინც მენახა ისეთი! თუმცა ახლაც ახალგაზრდა და ლამაზია. მჯერა, დღესაც შეუძლია კედლიდან გადმოხტეს.

მოხუცმა თავი გადააქნია.

— რას არ მოიფიქრებდა ის დაუდეგარი, ყოველ დღე რაღაც ახალს მოიგონებდა ხოლმე.

ის-ის იყო მოხუცმა თხრობის განგრძობა დააპირა, რომ ქარია ფარდულის კარი შემოგლიჯა. კონშენპმა ფარდულის გვერდზე ჩაიფრინა და დაიყრანტალა. ნაპირიდან წყლის შხუილი ისმოდა.

გოგონა უცბად მთელი ტანით წამოიმართა და მოხუცს წინ ღაუდგა.

— ო, შე ცბიერო კატი, — წამოიძახა მან და პატარა მუშტი მუქარით მოუღერა. — ახლაღა შევამჩნიე, რომ ჩემი დაყოვნება გინდა, სანამ შენი ტომბაკური საათი პირველს მიუახლოვდება და შინ წასვლის დრო მომივა, არა? ახლა კი, კატი...—გოგონამ მოხდენილი რევერანსი გააკეთა, უცბად გარეთ გავარღა და ხელები ისე აამოძრავა, თითქოს ჰაერში ცურავსო. მოხუციც ფეხდაფეხ გაჰყვა. მიხვდა, რომ გოგონამ ეშმაკობა გაუგო.

— ღვთის გულისთვის, დღეს ბოგირიდან ნუ გადმოხტებით, — შეეხვეწა მოხუცი.

— რატომ, კატი? შენ ხომ იცი, რომ კარგად ვცურავ! ეს სახალისოც კი იქნება.

თევზი და ფრინველი;
ქარი და ტალღა —
ეს ხომ ჩემი მეგობრებია!

მშვენიერი თავი ქარს შეაგება და ნაპირისაკენ სიმღერით გასწია. შიშველ ფეხებში ზაფხულის თხელი კაბა ებლანდებოდა.

მოხუცმა თავი გადააქნია და ფარდულში შებრუნდა. სავარძლის წინ დაწყობილი გოგონას წინდები და ფეხსაცმელები ფაქიზად გასწია გვერდით. შემდეგ თუნუქის ქვაბში სურიდან წყალი ჩაასხა და სპირტის ნათურას მოუკიდა.

— დღეს ბავშვიც სიამოვნებით დალევს ერთ ფინჯანს, —

თქვა მან, თაროდან ფინჯანი ჩამოიღო და ყავის პატარა ყოლოფი ფინჯანზე დადგმულ ძაბრზე მოაპირქვავა.

მაგრამ ვერ იქნა და ვერ დამშვიდდა. იმ კრუხს ჰგავდა, რომელმაც წიწილების მაგიერ იხვის ჭუჭულები გამოჩეკა, წარამარა რომ წყლისკენ გარბიან.

რამდენჯერმე კარში გაიხედა, მერე გარეთ გავიდა და ნაპირისაკენ გაიქცა. სახტომ ბოგირამდე მისასვლელი ბილიკი წყლით დაფარულიყო და იფიქრებდით, ატორტმანებული ფარდული მიწაზე აღარაფრით არის დამაგრებულიო. თვალწინ აღელვებული მწვანე ზღვა გადაშლილიყო. მეორე მხარეს წყალი ისე მოსდებოდა, რომ ქალმა მწვანე ნაპირის მოხაზულობა ძლივს გაარჩია.

— ფროილაინ, ფროილაინ! — გასძახა მოხუცმა.

პასუხი არავის გაუცია, ქარმა თუ ჩაახშო მისი ხმა, მაგრამ ბოგირთან წყლის ჭყაპანი გაისმა. კმაყოფილმა მოხუცმა თავი დაუქნია და ისევ ფარდულში შებრუნდა.

ამასობაში პირველ ბოგირთან, სადაც ტანისამოსის საერთო გასახდელი იყო, ორმა ჭაბუკმა საუბრით გული იჯერა. უფროსი, დაგრუზული წაბლისფერთმიანი ახალგაზრდა, მოქანდაკე იყო. იგი იტალიასა და საბერძნეთში მოგზაურობიდან სამიოდე თვის წინ დაბრუნებულიყო თავის მშობლიურ ჩრდილო გერმანიის დედაქალაქში. ამ ზღვისპირა ქალაქში კი, რომელიც დედაქალაქთან ახლოს იყო, რამდენიმე დღის წინათ ჩამოსულიყო ძველი მეგობრის სანახავად. სამხრეთ გერმანიაში სწავლის დროს მათ ყველაზე ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. რამდენიმე დღის ერთად ყოფნა საკმარისი არ იყო, რომ მეგობრებს ურთი-

ერთისათვის განცდილ დღეთა შთაბეჭდილებანი გაეზიარებინათ.

— შენ რა, მართლა გინდა დღეს საღამოს გაემგზავრო, მე კი ამ აქტების მტვერში მიმატოვო მარტოდმარტო და ისიც მას შემდეგ, რაც ამდენი განცდით ამავსე?

ახალგაზრდა ხელოვანმა ჯერ გაიღიმა, მერე კი სერიოზულად შეხედა მეგობარს და უთხრა:

— რატომ არ მოკიდებ ხელს საპრისსა და ფუნჯს? ერთიცა და მეორეც ახლა შენს ბედად უნდა მიიჩნიო.

— ეს მაინც არ არის იმის მიზეზი, დღესვე რომ მიმატოვო.

— იძულებული ვარ, ერნსტ. დედაჩემს შევპირდი, რომ ხვალინდელ დღეს შინ ვიქნებოდი. ამას გარდა, ხომ იცი, ჩემი ბრუნჰილდე* არ მასვენებს. — მოქანდაკემ წაბლისფერ თმაზე ხელი გადაისვა და ნათელ თვალებს ზემოთ შუბლი ისე შეჭმუხნა, თითქოს გონებრივ შრომას იწყებსო.

— ბრუნჰილდე! ჯერაც არ მესმის, რატომ აირჩიე სწორედ ეს თემა? — წარმოთქვა მეორემ.

— შენ მეკითხები, რა არის ჩემთვის ჰეკუბა*. მეც არ ვიცი. ერთხელ, როგორც მეგონა, დამაინტერესა, მაგრამ...

—მაგრამ,—შეაწყვეტინა მეგობარმა,—ალბათ, განმარტებას შენი ქანდაკების საძირკველზე ამოჭრი. რა საჭიროა თემის ასეთი შორეული წარსულიდან აღება? განა თანადროულობაზე არაფერი აქვს გამოსადეგი?

—რატომ, ერნსტ,შენ თითქმის ისევე ლაპარაკობ, როგორც, აღარ მახსოვს, რომელიღაც დიდი კრიტიკოსი* იმერმანის „ტრისტან და იზოლდაზე“. რა საქმე აქვს ხელოვანს დროსთან, ან სიუჟეტთან? შესაძლოა, ზეციდან, რომელიც ცოცხლებს მაღლიდან დაგვყურებს, ელვამ იფეთქოს. მაგრამ, რასაც ეს ელ-

ვა კაანათუბს, გინდაც იგი წარსულის ულრმეს სამარეში იყოს ვაჭვავებული, ცოცხალი იქნება იმისთვის, ვისაც მისი დანახვა შეუძლია.

ახალგაზრდა ხელოვანის თვალები ახლა პირველად შეყვარებული წარმტაცი გოგონას აღტყინებისაგან გაბრწყინებულ თვალებს მოგაგონებდათ.

— დღეს ნუ ვიდავებთ, — [illegible] მეორემ და მეგობარს ალერსით ახედა, — მაგრამ, ეს ელვა როდის გაკაშკაშდება?

— იყავ ღვთისმოშიში და ადიდე ღმერთები! მხოლოდ მაშინ ეღირსება ახლად გაღვიძებულ სიცოცხლეს დღის შუქზე გამოტანა. მე მგონია, და შენც დამეთანხმები. რომ ჩემმა თვალებმა უკვე რამდენიმეჯერ შეიძლეს ხილვა, ჩემი ხელები საკმაოდ ძლიერი და უზადო აღმოჩნდა... სწორედ ამაშია საქმე,—განაგრძო მან ისევ, რაკიღა მეგობარმა თავისი რწმენა ხელის ჩამორთმევით დაუდასტურა.—მე, ცოტა არ იყოს, ეშიშობ, რომ ამჯერად დანახვა რიგიანად ვერ შევიძელი. ეგებ ამის მიზეზი ისიც არის, რომ სამშობლოში ჯერ კიდევ ცოტა ხანია ვარ. ჩრდილოეთის საშინელ ვალკირიებს* ჩემს წარმოდგენაში კვლავ სდეენის ანტიკური ღმერთების ნათელი. ჩრდილოეთის ზღვის ამ მწვანე ტალღებიდანაც კი თვალწინ ლევკოთეას* სახე წარმოშიდგება, ოდისევსის მშველელი მეგობრისა. ახლა გამიშვი, ძაინც ხომ არაფერში გამოგადგები!

ამ საუბარში ტანისამოსიც გაიხადეს და ზღვაში გადასაშვებად გარეთ გამოვიდნენ.

კაცი ისურვებდა, რომ ამ მოქანდაკის გარდა, რომელიც თავის მეგობარზე უფრო მშვენიერი იყო, აქ ყოფილიყო რომელიმე სხვა ხელოვანიც, რათა მომავალ ქმნილებათა გამოსაძერწად ამ ახალგაზრდების სინატიფით გაჟღენთილიყო.

თვალწინ გადაშლილ აბობოქრებულ ზღვის სივრცეს ყმაწვილკაცები მოჯადოებულებივით შესცქეროდნენ. ამოგორდებოდა ძალუმი ტალღები ზღვის სიღრმიდან ზედაპირზე, ერთი წამით მზე დაკრავდა და შემდეგ ქაფად იქცეოდა, მათ ისევ სხვები მისდევდა, შეუსვენებლად და დაუღალავად. ირგვლივ ქარიშხლისა და ზღვის გამაყრუებელი გმინვა იდგა. ზოგჯერ ამ გმინვაში ზღვის ფრინველთა ხმებიც გამოერეოდა. ფიცარნაგს, რომელზეც ყმაწვილები იდგნენ, უცბად ძლიერი ტალღა მიეხალა და შხეფები შეასხურა.

— ოჰო, ტალღები თანდათან მოთმინებას კარგავენ! — წამოიძახა ახალგაზრდა აქტენმანმა, — აბა, გადავეშვათ და ტრიტონებივით* ვისრიალოთ ამ მწვანე კრისტალებში.

ხელოვანი შორს იყურებოდა და მეგობარს არ უსმენდა.

— რა დავემართა, ფრანც?

— აბა იქით გაიხედე, ქალების ფარდულისაკენ! — ხელით ანიშნა აქაფებულ ტალღებზე.

— ქალია! არა, ბავშვია! — წამოიძახა ერნსტმა შიშით.

— ასე ჩანს, მაგრამ ოკეანიდე* როდია!

— არა, არა! ამაოდ ებრძვის ტალღებს. და ზღვის დამამშვიდებელი ბუკიც სამწუხაროდ მხოლოდ ბებერ მამა ტრიტონს აქვს!

ერნსტი გადასახტომად მოემზადა, მაგრამ მეგობარმა უცბად შეაჩერა.

— შენ ნუ გადახტები, ერნსტ! მე უკეთესი მოცურავე ვარ. ერთიც საკმარისია. შენ იმ მოხუც მექისესთან გაიქეცი და ეს ამბავი შეატყობინე.

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე წყალმა მაღლა ამოასხა და უცბად ბოგირიდან მოცურავის ხუჭუჭა, წაბლისფერთმიანმა

თავმა ზღვიდან ამოყვინთა. მკლავების მძლავრი მოსმით ტალღები გააპო და წინ გაიჭრა. ირგლივ ყველაფერი კაშკაშებდა და თვალისმომჭრელად ელვარებდა. მკლავების ერთი-ორჯერ გაქნევა და ვაჟი ტალღას ქოჩორზე მოექცა, თვალი აქაფებულ წყალს მოავლო.

ვაჟისგან მოშორებით ტალღები მშვენიერ ოქროსფერ თმას ათამაშებდა. ხანდახან ორი პატარა ხელი გაიელვებდა მოძრავ კრისტალებში, მაგრამ ტალღები ამ ხელებსაც უკვე თავის ნებაზე ათამაშებდა. იქვე ახლოს ზღვის მერცხალი დაეშვა, კვლავ წამოფრინდა, მჭახე, თითქოს დამცინავი ხმით დაიყღურტულა და წყლის ზედაპირზე გადაიფრინა.

შოხუცი კატი ყავის საფქვავს ახრიალებდა და გოგოზე ფიქრი არ ასვენებდა. ქარიშხალი მისი ფარდულის ფიცრებს ურტყამდა, გარედან ქარს წარამარა მოჰქონდა ფრინველთა ჩხავილის ხმა. სკამზე მეტხანს ვეღარ გაძლო. გარეთ გავიდა, ფეხთ გაიხადა და ბოგირისაკენ გატოპა. იქ გაძვალტყავებული თითებით ხან ერთ საababაზანოს კარზე აკაკუნებდა, ხან მეორეზე.

— ვაჰ, მე უბედურს. ხმა გამეცით, ფროილაინ, ხმა!

პასუხი არავის გაუცია. მხოლოდ ზღვის ერთფეროვანი გრიალი ისმოდა. როცა მოხუცმა ხმელეთისაკენ უმწეოდ მოიხედა, დაინახა, რომ მისი ფარდულისაკენ ვიღაც კაცი მორბოდა. მაშინვე შეძახილიც ჩაესმა ყურში.

— ფრაუ კატი! ფრაუ კატი ვულფ!

— აქა ვარ! რა მოხდა, ღმერთო! — გასძახა ქალმა და ატორტმანებულ ფიცარნაგზე ხმელეთისაკენ სწრაფად გაირბინა. — ო, ღმერთო ჩემო, ეს თქვენ ბრძანდებით, ბატონო ბარონო? ოჰ, ბავშვი, ბავშვი!

ერნსტმა სიტყვის უთქმელად ქალს ხელი ჩაკიდა. ძალით შემოაბრუნა და ზღვის გაშლილ სივრცისაკენ გაახედა.

— ის ბატონი ბავშვს ეძებს?—იკითხა შეშინებულმა მოხუცმა

ჭაბუკმა თავი დაუქნია.

— მოწყალეო ღმერთო! უკადრისი ლაპარაკი საჭირო არ არის, მე კი ვილანძღებოდი, ბატონონ ბარონო, როცა წელან ჯებირზე დაგინახეთ. უკადრისი ლაპარაკი არ შეიძლება. არა, არასოდეს, არასოდეს!

ბარონმა არაფერი უპასუხა. დაძაბული იმზირებოდა ტალღებისაკენ. შორიდან ყრუ გუგუნი ისმოდა. ორიოდე წამის შემდეგ ბარონმა მოხუცს ხელი ჩაავლო და უთხრა:

— ეგერ შეხედეთ, კატი! ფრანცს გოგონა ხელით მოჭყავს!

მოხუცმა შეჰკივლა.

მოცურავის ფართო მკერდი აქაფებულ ტალღებს ასცდა. მალე დაინახეს, ვაჟი ნელა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით ამოდიოდა ციცაბო ნაპირზე, მკლავებზე ეწვინა ქორფა სხეული, რომელიც არც ზრდადასრულებული ქალივით ხორცსავსე იყო და არც ბავშვივით გამხდარი. ნამდვილ ფსიქეას ჰგავდა: ხამდვილი ფსიქეა იქნებოდა, იგი რომ როდისმე არსებულიყო. პატარა თავი უკან გადაეწია, ცალი ხელი უსიცოცხლოდ ძირს დაეკიდა. ზეციდან დაშვებული მზის სხივი ანათებდა მათ სხეულებს.

—ყველაფერი ისეა, როგორც იმ დროს, როცა ღმერთები ბატონობდნენ, — ჩაილუღლუღა ჭაბუკმა, რომელიც ამ ამბავს სუნთქვაშეკრული შესცქეროდა. — ახლა კი, ქალბატონო კატი, ნაპირზე ჩადით. ბავშვს მიეგებეთ. მე ქალაქში გავიქცევი ექიმისათვის, შეიძლება საჭირო იყოს.

ჭაბუკმა მოხუც კატის კიდევ რამდენიმე საჭირო მითითება

მისცა და ქალაქში ისე გაიქცა, რომ ქალიშვილის სახელიც არ უკითხავს.

რამდენიმე წუთის შემდეგ მთლად ძალმიხდილი ნაზი გოგონა ფარდულში ტახტზე იწვა. მკერდამდე მოხუცის წითელი შალი ეფარა. აცახცახებული მოხუცი მის წინ იდგა და ქვითინის შეკავებას ცდილობდა. ხელი პირსახოცს დაავლო და შეეცადა ყველაფერი ისე გაეკეთებინა, როგორც დაარიგეს. შემდეგ ისევ დაიღუნა და თავის საყვარელ გოგონას. ჩააცქერდა სახეში.

— კატი! — ეს სიტყვა ნორჩმა ბაგეებმა წარმოთქვა. გოგონამ თვალები იმედიანად შეავლო მოხუცს. — ხომ არ დავბრჩვალვარ, კატი!

მოხუცი მის წინ მუხლებზე დაეცა, თვალებიდან მდუღარება გადმოღვარა და გოგონას ხელები, მკერდი და ლოყები დაუკოცნა.

ო, ფროილაინ, საყვარელო ბავშვო, რა შიში გვაჭამეთ რა გვეშველებოდა ის ახალგაზრდა ბატონი რომ არ შეგსწრებოდა! მე კი უკადრისად მოვიხსენიე, მე ჭკუათხელმა, ჯებირზე მომავალი რომ დავინახე.

გოგონამ უცბად გაუწოდა ქალს ხელი.

— გაჩუმდი, კატი, ღვთის გულისათვის! არ მინდა ვიცოდე მისი სახელი, არასოდეს არ მინდა გავიგო.

— მას ხომ არც ვიცნობ! პირველად ვნახე, აქაური არ უნდა იყოს.

გოგონა წამოიწია, თავი ხელებზე დააყრდნო და მოღუშული ერთ წერტილს მიაშტერდა.

— კატი, — წარმოთქვა გოგონამ, — კატი , ვისურვებდი, რომ იგი მომკვდარიყო.

— რას ამბობთ. ბავშვო, ღმერთს რადა სცოდავთ? ო, ფროილან, ის ხომ ისე კეთილი აღმოჩნდა! მან ხომ სიცოცხლე გასწირა თქვენთვის?!

— სიცოცხლე გასწირა? ჩემთვის? მართლა გასწირა? მე კი არც მიფიქრია.

— ნამდვილად. განა ზღვას თქვენი ორივეს ერთად დახრჩობა არ შეეძლო?

— ჩვენი? ორივესი!? — გოგონამ თვალები დახუჭა, მაგრამ მაინც ვერ მოიშორა ფერმკრთალი ყმაწვილის მშვენიერი სახე, რომელიც წელან შიშითა და სინაზით აღსავსე დაჰყურებდა.

მოხუცმა პირსახოცი აიღო და გოგონას სველი თმის შემშრალება დაუწყო, თან წამდაუწუმ ფერგამკრთალ შუბლზე გაძვალტყავებულ ხელს უსვამდა.

— კატი, — დაიწყო გოგონამ, — არა, იმას არა და მე კი დამახრჩობდა! ო, ჩემი საბრალო დედა! — დახუჭულ თვალთაგან ცრემლები გადმოსცვივდა. — არ შემიძლია, კატი, მადლობა გადავუხადო. არასოდეს, არასოდეს! ო, რა უბედური ვარ!

— დამშვიდდით, ფროილან, ეს არცაა საჭირო. ყველაფერს დედა მოაგვარებს.

— დედა? — წამოიყვირა გოგონამ.

— ღმერთო ჩემო, ფროილან, რამ ცეგაშინათ?

გოგონას შიშველი მკლავები წინ გაეშვირა და ისე იჯდა ტახტზე. ასე ხელებგაშვერილი ნაზი არსება თვით საბრალო მოხუცი ქალისთვისაც კი უმწეო მშვენების მომხიბველელ სურათს წარმოადგენდა.

— დედა?!—კვლავ წამოიძახა გოგონამ.—დიახ, დიახ, კატი, ის ყველაფერს მოაგვარებდა, ბევრიც რომ მეხვეწნა... მაგრამ,

კატი, დედამ არაფერი არ უნდა გაიგოს. აღმითქვი, შემომფიცე, რომ არასოდეს არაფერს ეტყვი. — გოგონამ დაჩოქილ მოხუცს კისერზე მკლავები შემოხვია.

— კარგი, კეთილი, ფროილან, თუკი თქვენ ამით დამშვიდდებით, სამარესავით ჩუმი ვიქნები.

— არა, კატი, წესიერად შემომფიცე. თქვი: ღმერთსა ვფიცავარ, რომ კრინტს არსად დავძრავ-თქო.

— აჰა, კარგი: ღმერთსა ვფიცავარ. დაუფიცებლადაც არ დამცდებოდა არც ერთი სიტყვა.

— მადლობელი ვარ, ბებერო კატი. მაგრამ აქ ვიღაც სხვა ვაჟიც იყო.

— კი, ის...

— არა, არა, მის სახელს ნუ მეტყვი, — პატარა ცივი ხელი გოგონამ კატის პირზე დააფარა. — მხოლოდ ის მითხარი, ხომ არ მიცნო?

— მგონი, არა, ფროილან. როცა თქვენ ჯებირზე მოდიოდით ის და მისი ამხანაგი იქით იდგნენ ბოგირზე. შემდეგ შორს იყო. ახლა კი ქალაქში გაიქცა.

გოგონამ თავი დაიქნია, მკლავები თავქვეშ ამოიდო და ისევ ტახტზე დადებულ ბალიშზე მიესვენა.

— ახლავე დავბრუნდები, — თქვა მოხუცმა და ფეხზე წამოდგა, — წავალ და მეორე ბატონს ვეტყვი, რომ კარგად ხართ და ექიმი საჭირო არ არის-მეთქი.

— მაგრამ არ დაგავიწყდეს, რაც...

— არა-მეთქი, ფროილან, ხომ შემოგფიცეთ.

...რამდენიმე ხნის შემდეგ უკანმობრუნებულ მოხუცს ახალგაზრდა ქალი უკვე სრულიად ჩაცმული დაუხვდა და ახლა თავზე შალს იხვევდა. მაგრამ კატიმ გოგონა არ გაუშვა, და რად-

გან ძალიან შეციენული იყო, ერთი ფინჯანი ცხელი ყავა დაალევინა.

— თუ ფროილანი ცოტას მოიცდის, ჩვენ ახლავე ერთად წავალთ, — თქვა მოხუცმა.

მაგრამ ფროილაინს პირდაპირი გზით არ უნდოდა ქალაქში დაბრუნება. სურდა შორი გზით მოევლო, კოოგეზე* გაეელო და ქალაქში ისე მისულიყო.

— თუ თქვენ ახალგაზრდა ბატონს ასე ძალიან ერიდებით, ის ახლავე ბოგირიდან დაბრუნდება. ცოტა შევიცადოთ და ამასობაში ქალაქისკენაც გზას გაუდგება.

გოგონა არ დათანხმდა.

— მაშ კარგი, — უთხრა მოხუცმა, — მაშინ მეც თქვენთან ერთად წამოვალ. შინ მხოლოდ ჰინცი მელოდება, ალბათ, აღარც ის მელოდება, უკვე კაფელის ღუმელთან ეძინება. თქვენ კი არ შეიძლება მარტო იაროთ, ამ ბილიკებზე ხომ ნახირია მოფენილი.

გოგონა მაინც უარზე იდგა. მარტო უნდოდა წასულიყო.

— კატი, ბებერო კატი, — გოგონამ ხელები კატის დანაოჭებულ ლოყებს მოუთათუნა. — ძროხები და ხარები რას მერჩიან. შემხედე, სულ-თეთრებში ვარ, ტუჩებზეც კი არ შემრჩენია სიწითლე. — ხელით ზაფხულის თხელი კაბა შეისწორა და ისევ განაგრძო: — აქ ხომ მყარ მიწაზე ვდგევარ, სწრაფად გავიქცევი. მერე ჩვენს ბაღში ბოლოდან შევიპარები და არავის დავენახვები. ისე რომ ეს ამბავი შენს მეტს არავის ეცოდინება, შენ კი ხომ შემომფიცე?

მოხუცმა თავი გადააქნია. გოგონა უკვე გარეთ იყო. ფრთხილი ფრინველივით ჯერ ჯებირის მოლზე აირბინა და მეორე მხარეს დაეშვა. აქ ერთი წამით გაირინდა, თითქოს დამალვა უნ-

დაო. წელანდელი სიანცე. მოხუცის წინ დგომისას რომ სახეზე ეხატა, ახლა სრულიად გაჭრობოდა. თავი ჩაფიქრებით მაღლა ასწია და სერიოზული დიდი თვალები მარშის* გადამწვანებულ დაბლობს მოავლო, რომელიც თვალუწვდენელ სივრცეზე გაქიმულიყო. მოლაპლაპე არხებს შუა, სადამდეც თვალი გასწვდებოდა, უზარმაზარ ფართობზე, მოჩანდა მობალახე საქონელი და ჭანჭრობში მოდებული დაბალი კვრინჩხნარი. ყველაფერს ამას კარგად იცნობდა, ხშირად მოუვლია თვალი ამ მადამოსათვის. ახლა ქალაქისაკენ ზურგშექცეული დაადგა ვიწრო ბილიკს, რომელიც არხსა და მაღალ ჯებირს შუა იყო მოქცეული. რადგან ქარი ჩრდილო-დასავლეთიდან უბერავდა, გოგონა აქეთ გადმოვიდა და ჯებირის ზღვისაკენ მიქცეულ მხარეს მოერიდა. ქარმა ერთხელ ჩალის ქუდიც მოჰგლიჯა და საგუბარს შეახალა. რამდენჯერმე შეჩერდა, რომ აფრიალებული თავშალი ნიკაპთან მაგრად შეესკვნა. შემდეგ უკან შიშით მოიხედა, მაგრამ ძეხორციელი არსად ჩანდა, მხოლოდ ხანდახან გადაუფრენდნენ თავზე ზღვის ფრინველები, ანდა კოოგედან პრანწია წამოფრინდებოდა.

უცბად გზა ჩაშავებულმა წყალმა გადაუღობა. ასობით წლების განმავლობაში ზღვის ტალღებს გაენგრია საგუბარის კედელი და აქ დაგუბებულიყო. წყალი სწორედ მაშინ გადმოესხა გზას, როცა გოგონამ გაიარა. ორმა რუხმა იხვმა, რომელიც ჩამუქებული წყლის ქოჩორზე ქანაობდა, უჩუმრად ჩაყვინთა სიღრმეში.

ჩაშავებული ტბორის უკან ჯებირი დასავლეთისაკენ უხვევდა და აქედან არხებს და კოოგეს შუა მაშინვე იწყებოდა ბალახით დაფარული ვიწრო ბილიკი. როცა გოგონამ ბილიკის ბოლოს მიაღწია, საიდანაც გზა ჭანჭრობზე გადიოდა, საგუბრის

ძირში შეამჩნია ქალაქისკენ მიმავალი მამაკაცი, იგი უკვე შორს იყო და აჩრდილივით მოჩანდა. გოგონა შიშისაგან შეხტა. ბოგაზე შემდგარი ფეხი უკან გადმოდგა და ხელით ბოძს ჩაეჭიდა. ქარიშხლისგან ჩამოგდებული ფრინველივით დაეკიდა იგი დამპალ ბოძს: გაღებული ბაგეები უძრავად დარჩენოდა, მხოლოდ შავი თვალები უელავდა და მონუსხულივით შეჰყურებდა შორეულ სილუეტს, რომელიც თანდათან მკრთალდებოდა. გოგონას ნორჩ ბაგეთაგან მოისმა ფაქიზი, კოკორის გაფურჩქნის ხმის მსგავსი ბგერა. შემდეგ იგი ბილიკზე შეხტა და ზმანებამორეულივით გზას გაუყვა. ხანდახან მისკენ რომელიღაც ძროხა გაიქცეოდა კუდაპრეხილი, მაგრამ გოგონა ვერაფერს ამჩნევდა. ძროხა ჩერდებოდა და უაზროდ თვალებდაკაკლული გზად მომავალს მანამდე შეჰყურებდა, სანამ იგი თვალს არ მოეფარებოდა.

იქით კი საგუბარზე შეუმჩნეველად იდგა კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც შუადღის ნათელ ცაზე უზარმაზარი სილუეტივით მოჩანდა. ეს იყო ქალი, რომელსაც თავზე უზარმაზარი ქუდი დაედო, ისეთი, როგორსაც ოცდაათი წლის წინათ ხმარობდნენ ქალები.

ქუდი ჰორიზონტზე მანამდე მოჩანდა, სანამ ქვემოთ, კოოგეზე, თეთრი კაბა მიიმალებოდა.

დადგა ზამთარი. დეკემბრის სისხამი დილის პირველ სხივებს ცა გაებრწყინებინა და მოქანდაკის სახელოსნოს ბინდბუნდსაც ებრძოდა. სახელოსნო მოფენილი იყო ჩამოსხმული ანტიკური ქანდაკებებითა და ცალკეული მოდელებით, რომელიც ხელოვანის საკუთარ მარჯვენას შეექმნა. ერთ კედელზე ეკიდა ბახუსის ღრეობა, მეორეზე პართენონის* ფრიზები. მაგრამ ყვე-

ლაფერი ეს ჯერ კიდევ ბინდში იყო ᲫᲮის პირველ სხივს წითლად შეეფაკლა ლოყები ფავნისა*, რომელიც ფლეიტას უკრავდა. ბინდიდან გამოჩნდა შესავლის მარჯვენა კუთხეში მიდგმული რუხი თიხისაგან გამოძერწილი ჩრდილოეთის ვალკირიას ზეადამიანურად ძლიერი ფიგურა. დასრულებული იყო მხოლოდ მისი ზემო ნაწილი და ერთი ხელი, მუქარის გამოსახატავად, ზემოთ იყო აწეული. დაბლა ჯერ სახემიუცემელი თიხის მასა იდო და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს იგი უსეში კლდიდან გამოზრდილაო. შეიძლება იგი საშინელ ბრუნჰილდედაც მიგეჩნიათ, რომელიც წარბშეკრული გასცქეროდა საბერძნეთის მხიარულ წარმომადგენლებს.

კარში გასაღებმა გაიჩხაკუნა. სახელოსნოში შემოვიდა თაფლისფერთვალებიანი, თმახუჭუჭი ტანადი ახალგაზრდა. დღეს მისი თვალი არც საკუთარი ყალმით დახატულს მიუზიდნია, არც სხვის მიერ შექმნილ ტილოებს. მათ უგულოდ ჩაუარა და სულწასულის სისწრაფით აიტაცა წერილი, რომელიც სამოდელო მაგიდაზე იდო. იქვე სავარძელში მოსხლეტით ჩაჯდა და წერილის ის ადგილი მოძებნა, რომელიც გუშინ რამდენჯერმე წაიკითხა.

„მგონი, მენდობი, ფრანც, რომ ჩემს აღთქმულს შევასრულებ. ის ამბავი არც ვინმე გარეშესათვის მითქვამს და არც რომელიმე მეგობრისათვის. შენს მიერ დახრჩობას გადარჩენილი ქალიშვილის ვინაობის გაგების ყოველი სურვილი გულში ჩავიკალ. მაშინაც კი, როცა ერთ დღეს საიდუმლოების გასაგებად საკმარისი იყო მხოლოდ ბაღის ღობე გადამეწია, თუმცა ძალის დატანებით, მაგრამ მაინც კატონის* სიმტკიცით გვერდით ჩავიარე. მეორე მხარეც ასეთსავე დუმილს ინარჩუნებს და ჩვენს მოხუც მექისესაც პირზე გასაღებმოურგებელი კლიტე ადევს.

მაგრამ ჩემი მუყაითობის გარეშე საიდუმლოს ფარდა მაინც ეხსნება.

ჩვენს ქალაქში არის ერთი სრულიად ყმაწვილი ქალი, ბიჭივით გამბედავი და პეპელასავით ფაქიზი. თუმცა მან მხოლოდ ამ გაზაფხულს დაამთავრა სასწავლებელი, მაგრამ ზაფხულის დახუთულ ღამეს, ალბათ, მრავალი ვაჟი ოცნებობს იმაზე, რომ ზამთარში დახურულ სამეჯლისო დარბაზში გოგონა ფრთებით დაიჭიროს. მინდა გულწრფელად გაგიმჟღავნო, — ნუ გამიბრაზდები, — ამ მამაც მეოცნებეებს მეც ვეკუთვნოდი. შემთხვევით გავიგე, რომ მოხუცი ბურგომისტრის ცოლს, რომელიც ამ გოგონას კერპივით თაყვანსა სცემს, მისთვის წინასწარ თეთრი კაბელია გაუზრდია. ამჟამად იმედი გამართლებია და კამელია სწორედ მეჯლისის წინა დღეს გაშლილა. მაგრამ ზეიმზე არ მოსულა, არც თეთრი კამელია და არც თვით ღმერთების ქერა ასული. იატაკს არ შეხებია მისი ვერცხლისებრი ფეხი, მხოლოდ ხელოვანისათვის გულისამრევი ჩვეულებრივი მოკვდავნი ირეოდნენ ერთმანეთში აგზნებული სახეებით.

მდგომარეობა შემდეგაც არ შეცვლილა. გუშინდელ მეჯლისზე არაფერი გარკვეულა, ის მხოლოდ ძალიან ვიწრო წრეში ჩნდება, რომელსაც მე, სამწუხაროდ, არ ვეკუთვნი. ზაფხულიდან მოკიდებული დედის სახლსა და ბაღს არ გასცილებია. იმ დღიდან ეს გაბედული მოცურავე არ გამოჩენილა არც ჯებირზე და არც ზღვის პირას.

ამის თაობაზე ბევრს ლაპარაკობენ. ზოგი ამბობს, რომ იგი უკვე აკვანში დაუნიშნავთ სადღაც მყოფ ბიძაშვილზე, რომელსაც თურმე არ ჰყვარებია, როცა ქალი ცეკვავს ან ცურავს და თავისი უფლებები ახლა გამოიყენაო. მეორენი ამბობენ —

შეყვარებული არისო. ჩემთვის ყველაფერი გამქვირვალე პირ-ბადეშია გახვეული და დღესავით ნათელია.

არა, არა! ნუ შეგეშინდება. სახელს კი არ გიხსენებ. კარგად გიცნობ — კაშკაშა დღემ სუსტი სხივითაც კი არ უნდა გაარღვიოს შენი ფანტაზიის ბურუსი. შენმა კეთილმა თვალმა აროდეს უნდა იხილოს იგი. ამგვარად თქვენ ორივენი უვნებელი იქნებით. შენ შენი ხელოვნებით, ის კი თავისი უბიწო ქალწულობით, რომლის დაცვასაც შენ, სხვათა შორის. — ო, ადამიანის გულის იდუმალო წინააღმდეგობავ! — თითქმის ანგარებიანი გახელებით ცდილობ".

ფრანცმა კითხვა შეწყვიტა. წერილი ხელიდან გააგდო, თვითონ წამოდგა და ზურგზე ხელებდაწყობილი თავის პირქუშად მომზირალ ჩრდილოურ ვალკირიას წინ დადგა. ამ წუთას მისთვის ვალკირია იყო ფონი, რომელზეც მისი გონების თვალს სხვა ნათელი სურათი ესახებოდა. ნელა შებრუნდა და ფანჯარასთან მივიდა.

ხელოვანის სახლი ჩრდილოეთის დედაქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში იდგა. აქედან თვალწინ იშლებოდა ვრცელი მინდვრები და ბუჩქნარი, რომლებიც ახლა კაშკაშა აისს გაესხივოსნებინა. ვარდისფერი შუქის ათინათი სახეზე დასთამაშებდა ახალგაზრდა ხელოვანს, რომელიც გარინდებული გაჰყურებდა მიდამოს, თითქოს შორს, ცის დასალიერთან ხედავდა იმას, რაც მის წარმოსახვაში ასე ძალუმად ცდილობდა განსხეულებას...

— საბრალო ფსიქეა! — წარმოთქვა ვაჟმა. — საწყალო მოფარფატე პეპელავ! შენი მშობლიური აყვავებული ველიდან უცხო ზღვისაკენ გაიწიე... არა, ფრანც! თავს რად იტყუებ, სულ ერთია, მაინც ვეღარ მოიტყუებ... ფსიქეა, გასაშლელად გამზა-

დებულო ვარდის კოკორო, ყოველგვარი მშვენიერის მიძინებულო იდუმალებავ, ეს შენ იყავი, ფსიქეა... როგორ ხარბად გიკრავდნენ ტალღები. როგორ ფარვანასავით ფაქიზი ფრთებით დატორტმანებდი!.. ნუთუ მართლა მე ვიყავი, მკლავებზე დასვენებული რომ ამოგიყვანე?

ოთახში შებრუნდა. მისი ხელები უნებურად შეეხნენ სამუშაო დაზგაზე დადგმულ ჩვილ თიხის გუნდას. შემდეგ იქვე მიდებული საძერწი აიღო.

— როგორ გადმოგვცემს აპულეიოსი* მიმზიდველ ზღაპარს? — ფსიქეამ, მეფის საწყალმა, იოლად მორწმუნე ბავშვმა, დაიჯერა შურიანი დების ნათქვამი, — შენი შეყვარებული, რომელსაც შენთან მეწამულ ღამეს დროს ეტყარება უნდა, ურჩხულიაო. არგუსების* რჩევის შემდეგ ანთებული ლამპითა და ბასრი ხმლით შეიარაღებული ფსიქეა მძინარე შეყვარებულთან მივიდა ბანაკში და ალტაცებით აცახცახებულმა იცნო ღმერთთა შორის უმშვენიერესი. მაგრამ პატარა ლამპა უკანკალებდა და ცხელი ქონის წვეთმა მძინარე გააღვიძა. გაჯავრებული ღვთაება ქალის სუსტ მკლავებს გაუსხლტა და ჰაერში აფრინდა. კვიპაროსის კენწეროზე შემდგარმა უკადრისი სიტყვებით მოიხსენია გადარეული შეყვარებული ფსიქეა, მერე ფრთები გაშალა და უხილავ სივრცეს მოეფარა...

— ო, ტკბილო ფსიქეა! როგორც კი იგი თვალთაგან მიგეფარა, შენ ახლოს ტალღების ტყლაშუნი შეიცან. მაშინვე ახტი და ტალღებში გადაეშვი. მოკრძალებული სიცოცხლე ყინულივით წყლისთვის გაიმეტე. მაგრამ წყლის ღმერთს შეეშინდა ცლიერი ღმერთისა, რომელიც ზღვასაც კი ადუღებს, ხელში ცაქიზად აგიყვანა, ნაპირზე გამოგიყვანა და აყვავებულ ბალახებზე დაგაწვინა... და განა ღმერთები ხშირად არ იღებდნენ

ადამიანის სახეს? ჰო, და ახლა, ალბათ, მან ჩემი სახე მიიღო, და მე მომეჩვენა, თითქოს ეს თავად ვიყავი. ო, ტკბილო ფსიქეა შენ თავს არც ერთ ღმერთს არ დავანებებდი!".

ამ სიტყვებს იგი თავის გულში ლაპარაკობდა.

აისის ალი ცაზე გაბაცდა და მშვენიერ განთიადს ნაცრისფერი დღე მოჰყვა. ფლეიტის დამკვრელი ფავნი და სხვა სკულპტურებიც ახლა ზამთრის ცივი სინათლით განათებულიყო. მხოლოდ ხელოვანის სახეს შერჩენოდა ჭაბუკური შუქი. ამდენი სულიერი განცდების შემდეგ გულის სიღრმეში ჩარჩა ერთი სურათი, რომელიც უტყვად და მხურვალედ ევედრებოდა გამოკვეთილი სახის მიცემას. ვაჟიც გამალებით შეუდგა მუშაობას და თიხის უფორმო მასიდან თანდათან საცნაური გახდა ფაქიზი ქალიშვილის სახე, გამოჩნდა მოხუჭული თვალები და პატარა, ოდნავ გაღებული ბაგეების მოხაზულობა.

მოშუადღევდა. ზამთრის დღეს სინათლე მიეძალა. კარზე ჩუმად დააკაკუნეს, მაგრამ ვაჟს არაფერი ესმოდა. მისი თვალიც და ყურიც საკუთარი ქმნილებისადმი იყო მიპყრობილი, რომელიც თანდათან უფორმო ქაოსიდან დღის სინათლეზე გამოდიოდა.

კიდევ დააკაკუნეს. შემდეგ კი კარი გაიღო.

სახელოსნოში მოხუცი ქალი შემოვიდა.

— ნუთუ საუზმე არ გინდოდა, ფრანც?

—შენა ხარ, დედა! — შეკრთა ვაჟი და სწრაფი მოძრაობით იქვე მდებარე ტილო ნაძერწს დააფარა.

— არ მაჩვენებ, ფრანც? ახალი თემის ხორცშესხმა დაიწყე? სხვა დროს რომ არაფერი დაგიმალავს ჩემთვის!

— მართალია, დედი, მაგრამ ამჯერად ვგრძნობ, რომ ეს უნდა

იყოს ჩემი საყვარელი ნამუშევარი, და ამიტომ ჯერ არ მინდა გაჩვენო, ჩემო კარგო, ჭაღარა დედავ.

ვაჟმა მხრებზე მოხვია ხელი და სახელოსნოდან გამოიყვანა დედა, რომელიც ვაჟიშვილს სიყვარულით შესციცინებდა. მალე შევიდნენ მყუდრო ოთახში, სადაც მათთვის საუზმე კარგა ხანია გაშლილი იყო.

ზამთარი მიილია და გაზაფხული ძალაში შევიდა. მალე გაზაფხულმაც გაიარა და ნახევარმა ზაფხულმაც. ღედაქალაქის ფართო ქუჩებში ცაცხვებს მტვერი დასდებოდათ და ფოთლები სანახევროდ შეხმობოდათ. ბუნების ნაცვლად, რომელმაც აქ თავის სიმშვენიერეზე ასე ადრე აიღო ხელი, ახლა ხელოვნებამ გამოაჩინა თავისი საუნჯენი. წლევანდელი წელი ხელოვნების ნიმუშთა გამოფენის წელი იყო. აკადემიის კარი რამდენიმე კვირის წინ გაეღოთ დამთვალიერებელთათვის.

მოქანდაკეთა ნამუშევრებს შორის იყო ერთი ნატურალური სიდიდის ნახევარზომაში შესრულებული მარმარილოს კომპოზიცია, რომელმაც ყველა დამთვალიერებლის მოწონება დაიმსახურა: ისლის გვირგვინით თავშემკულ ახალგაზრდა წყლის ღმერთს, რომელიც ფლატეებიან ნაპირზე ზემოთ ისწრაფვის, ხელში უჭირავს წარმტაცი გოგონა. ამ უკანასკნელს თავი უკან გადაუგდია და თვალები დაუხუჭავს. მნახველები მას სუნთქვაშეკრულნი უახლოვდებიან, თითქოს ეს-ეს არის მისი უმანკო მკერდი აბორგდებაო... „ფსიქეას გადარჩენა", — ასე ეწოდებოდა ნამუშევარს კატალოგში.

ყველას პირზე ეკერა ახალგაზრდა მოქანდაკის სახელი. მის ქმნილებას განუწყვეტლივ ეხვეოდა მნახველი. სადაც კი ავტორს მოიხელთებდნენ ცნობისმოყვარენი, თავს აბეზრებდნენ შეკითხვებით.

—ხომ მართალია, პატივცემულო,—მიმართა მას მოხუცმ: ხელოვნების მეცენატმა, როძელსაც ახალგაზრდა მოქანდაკე საგამოფენო შენობის წინ გაეჩერებინა და გულითადად ესაუბრებოდა, — რომ ეს ნამუშევარი თქვენი რომში მოგზაურობის შედეგია? მაგრამ ამ უმშვენიერეს სახეს სად მიაკვლიეთ?

პირველ კითხვაზე ხელოვანს პასუხი არ გაუცია. მეორეზე კი ხალისით უპასუხა.

— ზამთრობით ხეტიალი მიყვარს. ერთ დღეს დავინახე, რომ ოლიმპოზე ფარდა შეირხა და მე ბედად მერგო მისთვის ერთხელ მაინც შემევლო თვალი.

მოხუცმა მოქანდაკეს ეშმაკურად შეხედა.

—თქვენ თავს არიდებთ პასუხის გაცემას. დიდხანს გაგრძელდა. ალბათ ეგ თვალის შევლება.

ახალგაზრდა ხელოვანმა თავი გადააქნია.

— მაგრამ, პატივცემულო, თქვენი მზერა ხომ უცბად მელანქოლიური გახდებოდა?

— ჩემი მზერა? ეგებ ასეც იყო. ხომ მოგეხსენებათ, არ შეიძლება დაუსჯელად უმზერდეთ ღმერთებს.

— დიახ, დიახ, თქვენ მართალი ხართ, — უპასუხა მოხუცმა და მსხვერპლი ამჯერად ამით გაათავისუფლა.

როგორც ჩვეულებრივად დიდი ქების შემდეგ ხდება ხოლმე, ახლაც ქებას ძაგება მოჰყვა; ზოგს ქანდაკება უხეირო სტილით შესრულებულად მიაჩნდა, ზოგი კი ამას ამბობდა — ფსიქეას ძირსდაშვებული ხელი განსაკუთრებით ნატურალისტურიაო.

— განა თქვენ, მამაკაცებს, რაიმე შემჩნევის უნარი გაქვთ? — წამოიძახა მხნე შესახედაობის თვალებანთებულმა ქალმა, რომელმაც ქანდაკების მზერისას ის-ის იყო ასეთი შენიშვნე-

ბი მოისმინა. — ეს მშვენიერი მკლავი რემინისცენციაა. დამერწმუნეთ ამას თავისი ცოცხალი ორეული ჰყავს. ეს ქანდაკება სამახსოვრო ძეგლია, ალბათ...

— სიყვარულის საფლავზე?

— შეიძლება, ვინ იცის!

— ო, მოწყალეო ქალბატონო, თქვენ რაღაც იცით. გაგვიზიარეთ, გემუდარებით!

— არაფერი არ ვიცი, და რომ ვიცოდე, ასეთ რამეს ქალი ვერც გეტყვით.

— მაშინ ხომ ყოველგვარ კრიტიკას ბოლო მოეღებოდა.

— მე მგონი, რომ ასეა.

ეს საუბარი სხვებმაც გაიგონეს. ამის შემდეგ ერთი ახალგაზრდა მხატვარი თავის მეგობარ მოქანდაკეს სახელოსნოში ეწვია და ზუსტად გადასცა საუბრის შინაარსი.

მოქანდაკემ დუმილით მოისმინა. ზურგით ფანჯარას მიეყრდნო და ხელები ერთმანეთს გადააჭდო იმ კაცის მსგავსად, რომელიც თავის სამუშაოს შესრულებულად თვლის. შესასვლელთან, კუთხეში, ჯერაც დაუმთავრებელი ვალკირია იდგა მუქარის პოზაში, ბახუსის ღრეობის გვერდით ფავნი უკრავდა ფლეიტას. სახელოსნო ლილის ჭარბი მზით განათებულიყო, მაგრამ სხვა ახალი სამუშაო არსად ჩანდა.

— გინდა სხვა რამეც გითხრა, ფრანც? — ჰკითხა მხატვარმა.

— საკმარისზე მეტ სისულელეს მოისმენ ქვეყნად.

მხატვარმა თავი გაიქნია.

— ჯერ ერთი, რატომ არის შენი წყლის ღმერთი, ფსიქეას მსგავსად, ასე ძალიან ახალგაზრდა? კონტრასტის ზემოქმედება ხომ გაცილებით შთამბეჭდავი იქნებოდა და ამაეე დროს წესიერი საზოგადოების შთაბეჭდილებაც მშვენივრად გან-

მტკიცდებოდა, შენ რომ ამ საშიში ახალგაზრდის მაგიერ მოხუცი საფრთხობელა აგეღო, ერთი წყრთის სიგრძე ისლის წვერით. რომელზეც რამდენიმე ათეული კიბო და გარნელი იქნებოდა აღოღებული... ახლა ხედავ, ფრანც, რომ ძალზე ახლომხედველი და გულუბრყვილო გულშემატკივარი ხარ?

მოქანდაკემ არც ახლა უპასუხა. მაგრამ ოდნავ კი შეკრთა. წყლის ღმერთზე მას არც მაშინ უფიქრია, როცა თემა ჩაიფიქრა და არც შემდეგ, როცა სწრაფად შეასხა ხორცი. წყლის ღმერთის ჭაბუკური სხეულისათვის მას მზა ორეული ჰყავდა.

— ახლა კი უკანასკნელ კოზირს ჩამოვალ,—განაგრძო მხატვარმა, — წყლის ჭაბუკი ღმერთი შენ თავად ხარ. არა, სწორედ შენ კი არა ხარ, მაგრამ მას უეჭველად მიგამსგავსებენ.

— რას ამბობ? მე მიმამსგავსებენ, — უცბად გამოცოცხლდა ფანჯარასთან მდუმარედ მდგარი მოქანდაკე და სახელოსნოში შეშფოთებით დაიწყო წინ და უკან სიარული. შეეცადა ენერგიულად უარეყო მეგობრის აზრი.

მხატვარმა გამსჭვალავად შეხედა მოქანდაკეს.

— ძალიან გულზე კი მოგბვდა ჩემი ნათქვამი!

მოქანდაკე ისევ დადუმდა.

მსახურმა გოგონამ შეკვეთის ქაღალდი შემოიტანა.

— წერილი ხომ არ არის ჩემ სახელზე? — მოუთმენლად ჰკითხა მას ფრანცმა.

ფოსტის დამტარებელს ჯერ კიდევ არ ჩაევლო.

მხატვარმა შეატყო, საუბარი კვლავინდებურად ვეღარ აეწყობაო, და მეგობარს მალე გამოეთხოვა. მოქანდაკე ფანჯარასთან მივიდა და მინდორს გახედა. ჰორიზონტზე ზამთრის აისი

აღარ მოჩანდა. ნაგვიანევი ზაფხულის შუადღის ერთფეროვანი სითეთრე გადაჰკროდა ცას.

ფრანცს ახლა გაახსენდა ის საუბარი, დედასთან რომ ჰქონდა ამ ბოლო ხანს. „შენ პატარა მოგზაურობა უნდა მოაწყო, ფრანც“, უთხრა მაშინ დედამ. „დაძაბული მუშაობით დაიღალე“. „კი, დედაჩემო, ცუდი არ იქნება“. „მაგრამ ახალი აღარაფერი წამოიწყო,“ უთხრა დედამ. „ასე ფიქრობ? ჩემი აზრით ახლის წამოწყება, პირიქით, უკეთესი იქნებოდა“. დედას ეს, ცოტა არ იყოს, არ ესიამოვნა. „რას ლაპარაკობ, ფრანც. შენს თავს ეწინააღმდეგები“.

„ნუ ნაღვლობ, დედა, ხელს აღარაფერს მოვკიდებ“.

ეს სიტყვები რაღაც უცნაური კილოთი ნათქვამი გამოუვიდა. ტანმორჩილი დედა შვილის ხელს დაეკიდა: „ჩემო ბიჭო, რაღაცას მიმალავ“. მაშინ ვაჟი დედისაკენ დაიხარა და სიყვარულით უთხრა:

„ვის თვალთა წინ ავხადე პირველად საბურველი ჩემს ფსიქეას, დედიკო? ახლაც მაცალე ცოტა ხანს, სანამ მე თავად გავერკვეოდე. თუ არ გამოვიდა...“ წინადადება აღარ დაამთავრა ფრანცმა.

დედამ ორივე მკლავი შემოხვია თავის ტანაშოლტილ ვაჟკაცს და შეახსენა: „ნუ დაგავიწყდება, რომ შენ ისევ ჩემს გულში ზიხარ“. მერე ლოყაზე დაგორებული ცრემლები შეიშრო და ვაჟიშვილს გულდაჯერებით შეხედა. „მაინც უნდა წახვიდე, ფრანც. კარგი იქნება, შენს ზღვისპირელ მეგობარს ესტუმრო. იგი მხიარული და გულღია ახალგაზრდაა, ადრე რამდენჯერ გთხოვა გულწრფელად, მალე მეწვიეო“.

დედამ სწორედ ის თქვა, უნებლიეთ, რაც მის ვაჟს სურდა და აღელვებდა. ვაჟმა ვერაფერი უპასუხა, უეცრად ისე აუთ-

რთოლდა გული. წერილი კი იმავე დღეს გაუგზავნა მეგობარს.

და აი დღეს ელის იმ წერილის პასუხს. აგერ გაიღო კარი. წერილი უკვე მოეტანათ.

—ერნსტისგანაა! — წამოიძახა გულშეკუმშულმა.

კონვერტი უცბად გახსნა და მეგობრის წერილი სულმოუთქმელად გადაიკითხა.

„კარგად ვიცოდი, — წერდა მეგობარი, — რომ დამეთანხმებოდი... მას შემდეგ, რაც შენმა მარმარილოს ქანდაკებამ შენი სახელოსნო დატოვა და სამყაროს წინაშე წარსდგა, ის ის აღარ არის. ისიც, სხვათა მსგავსად, შენი ხელოვნების ქმნილება გახდა. ახლა კი ცოცხლები გაგიხდია შენი შემოქმედების საგნად. მოვლენათა მსვლელობა იმდენად ბუნებრივია, რომ ყოველ ექიმს შეეძლო შენთვის წინასწარ ეთქვა.

შეიძლებდი თუ არა მასთან გაუცნობლად დაახლოებას, დაუხუჭა თუ არა მაშინ მას ტალღებმა, — აბა სხვამ რაღამ?—თავისი ცისფერი თვალები,—ვის შეუძლია ეს განსაჯოს! მუდამ გჯეროდეს, მე შენ გახსენებ შენსავე დევიზს: იყავ მორწმუნე და ადიდე ღმერთები!

შენი ოთახი და მეგობარი შენ მოგელიან. მაგრამ ფრანცაი ახლა მომისმინე გულდამშვიდებით! — შენ ეს კარგად იცი, რადგან ოვიდიუსი წაგიკითხავს, — სადღაც სამყაროზე მიწის, ჰაერისა და წყლის სამმაგ მიჯნაზე, განკერძოებულ მწვერვალზე დგას ფამას* ბრინჯაოს სახლი. მას უამრავი შესასვლელი აქვს, რომელიც ღიაა დღითა და ღამით. იქ სიწყნარეს ვერსად ნახავ, არც ერთ კუთხეში არ არის სიმშვიდე. უხილავ გველთა გუნდების მსგავსად დასრიალებს დუდუნი დარბაზების თავანებქვეშ; ნიადაგ გაისმის მიმსვლელ-მომსვლელთა აქ შემოჭრილ ხმათა გუგუნი. ადამიანის ხმადაბალი ჩურჩულიც კი, მისი

მკერდიდან ამოსული ჩუმი ამოოხერა, გინდაც იგი ათასობით ნილი მანძილიდან მოდიოდეს, უთუოდ მოხვდება აქ, ასმიანებული კედლები მას ირგვლივ მიმოფანტავს და ერთიორად და ერთიათად გამრავლებულს კვლავ სამყაროს ხარბ ყურს მოჰფენს.

იქიდან უნდა იყოს იგი მოსული. მოხუცი მექანე კატი ყბედად არ მიმაჩნია, მაგრამ მათ ეს იციან, ნამდვილად იციან. ამის თაობაზე ლაპარაკობენ ყველანი ყველგან. მხოლოდ შენმა სახელმა ვერ მიაღწია ამ ბრინჯაოს სახლს, ალბათ, მას ტალღების ხმა ახშობს ჯერსნობით. მათ სამართლიანად ეუგებ ნიშანს, როცა ცხვირით ჰაერის ყნოსვას იწყებენ, როგორც კი მათი ყურები სიხარბისაგან პირველყოფილ მდგომარეობას უბრუნდებიან და ჩოჩქოლობენ და წრიალებენ, მაგრამ მაინც ვერაფერს გებულობენ.

ასი მოუხეშავი და ვერაგი ხელი ეპოტინება შენს მშვენიერ პეპელას, რომ ფრთის მინანქარი გადააცალოს. ამიტომ ეს პეპელა აფრინდა და სადღაც გადაფრინდა. საით? ეს ფამას ჩემთვის ჯერ კიდევ არ გაუნდვია".

...დიდი ხანი იყო, დედა წერილის კითხვით გართულ ვაჟიშვილის წინ დამდგარიყო და მის აღელვებულ სახეს უმზერდა. ვაჟი ახლა ნელა შებრუნდა და თვალები დედას მიაპყრო.

— ჩემი „ფსიქეა" გამოფენიდან უნდა გამოვიტანო, — თქვა ვაჟმა ნაწყენი ხმით. — მერე კი გავემგზავრები, მაგრამ არა ჩრდილოეთის ზღვისაკენ.

გათენდა დილა. ვაჟმა წასვლა გადაწყვიტა. ხელოვანს სურდა საკუთარ თავთან სრულიად მარტო დარჩენილიყო. არც მეგობარი, არც ამხანაგი, ძეხორციელი არავინ სურდა. გაახსენდა შპრეს ტყე, რომლის დაბურულ ტოტებში ერთხელ მეგობარ

მხატვართან ერთად ზაფხულის ერთი მშვენიერი თვე გაატარა თევზაობაში. ერთადერთი ნავით მისრიალებდა მაშინ თხმელეზის თაღქვეშ აჩურჩულებულ ლელიანში და ფართოფოთლებიან წყლის შროშანებში. რა გამამხნევებელი სიგრილე ელამუნებოდა სახეში.

ფრანცი აჩქარებით მიდიოდა დედაქალაქის ცაცხვებშემორგულ ქუჩაზე. გამგზავრება ხვალ, თუნდაც დღესვე შეეძლო. მაგრამ ერთხელ კიდევ სურდა ფსიქეა ენახა და შემდეგ მეგობარს გამოატანინებდა გამოფენიდან.

მზე ჯერაც ირიბად ეკიდა ცაზე. აკადემიის დარბაზები თუმცღია იყო, მაგრამ დამთვალიერებელთა შემოსვლის დრო არ დამდგარიყო. მხოლოდ ზემო სართულში, სადაც სურათები იყო გამოფენილი, აქა-იქ რამდენიმე უცნობი იდგა. ქვემო სართული კი, სადაც სკულპტურული ნიმუშები წარმოედგინათ, ცარიელი იყო. ქვემო დარბაზები დასავლეთით იყო მოქცეული, წაბლის რამდენიმე ხესაც ზედ ფანჯრებს წინ გაეშალათ უხვად შეფოთლილი ტოტები, ამის გამო აქ ისევ ბნელოდა. მაღალ დარბაზებში დილის სიწყნარეს დაესადგურებინა და მშვენიერი მარმარილოს ქანდაკებები რაღაც სახეიმო მდუმარებაში გარინდებულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ადრე იყო, ერთი დამთვალიერებელი მაინც შემოსულიყო. როგორც კი ახალგაზრდა მოქანდაკე დარბაზში შევიდა და კარი დახურა, ბოლო დარბაზში ფრთხილი ნაბიჯის ხმა გაისმა. თუმცა ფრანცი თავს აქ ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში, მაინც კრძალვით დადიოდა, თითქოს ირგვლივ გამეფებული მდუმარების დარღვევისა ეშინიაო.

შუა დარბაზში ვაჟი ვენერას წინ შედგა. მნახველს ისეთი

შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ვენერა ამ წუთას პირგახსნილი ნიჟარიდან პირველად შეჰყურებდა მზის სინათლეს. მაგრამ მის დიდებულ სახეზე, რომელსაც ხელოვანის ნატიფი ხელი ეტყობოდა, თვალები რაღაც დაბნეულად გამოიყურებოდა. თვითონაც ვერ გეტყოდათ, რატომ შეჩერდა მისთვის ესოდენ უცხო სურათის წინ. მისი ქმნილებაც აქვე იდგა, ბოლო დარბაზში. ის ხომ იმიტომ მოვიდა, რომ ერთხელ კიდევ შეემოწმებინა, თუ რამდენად გასცა ქანდაკებამ ავტორის საიდუმლო. ეგებ იმიტომაც მოვიდა, რომ თავისი ქმნილების ნახვით გამოსთხოვებოდა იმას, ვინც იგი შთააგონა. ანაზდად დარბაზის დუმილში ვაჟს მოეჩვენა, რომ ქანდაკება კვლავ მისი გახდა, რომ შეეძლო ღია კარიდან ამ მშვენიერი ქვის სუნთქვის გაგება

უცბად კარიდან შესაბრალისი ხმა შემოესმა.—ეს უკვე ზმანება არ იყო. „სადღაც ტყეში ერთხელ მსმენია ასეთი ხმა, დაჭრილი ფურ-ირემისა“, — გაიფიქრა ვაჟმა.

კარის ზღურბლიდან სწრაფად მიიჭრა და იქვე გაშეშდა: პორფირის სვეტს, რომელიც დარბაზის თავანს შესდგომოდა, მიჰყუდებოდა სრულიად ნორჩი გოგონა და ფართოდ გაღებული თვალებით ფრანცის ნამუშევარ მარმარილოს კომპოზიციას დაჟინებით შეჰყურებდა. მის გვერდით, იატაკზე, ზაფხულის პატარა ქუდი ეგდო.

ვაჟის ფეხის ხმა რომ გაიგონა, გოგონამ თავი შემოაბრუნა და მათი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. თითქოს ელვამ გაჰკრა და თვალისმომჭრელად გაანათაო მათ ირგვლივ. გოგონას მშვენიერი სახე, რომელიც მას ვაჟისაკენ მიექცია, საშინელების უკიდურესმა განცდამ თითქოს ერთბაშად გააქვავა. ასე იდგა გასაქცევად გამზადებული, ტანაშოლტილი გოგონა და

მკლავები ძირს ჩამოეყარა. თვალებს მოუსვენრად ატრიალებდა, თითქოს თავის დაღწევას ლამობსო.

ამაო იყო ყველაფერი! დარბაზიდან გასასვლელ ერთადერთ კართან იდგა მშვენიერი, საშიში ახალგაზრდა ვაჟი, რომელზე ფიქრსაც გოგონა კარგა ხანია ცდილობდა გაჰქცეოდა. ვაჟიც უძრავად იდგა, მხოლოდ ხელები გაეწვდინა გოგონასაკენ.

გოგონამ კიდევ ერთხელ გაბედა ვაჟისაკენ მიხედვა, მერე უმწეო ბავშვივით სახე ხელებში ჩამალა: მთელი მისი სიმტკიცე ამოწურული იყო.

და სასწორის ისარიც მხოლოდ ერთი წამით შეირხა სიკვდილ-სიცოცხლეს შორის, მხოლოდ ერთი წამით.

—ფსიქეა! ტკბილო, წარმტაცო, ფსიქეა! — ჩაიჩურჩულა ვაჟის ბაგეებმა და გოგონა თავის მკლავებში მოიქცია.

გოგონამ თავი უკან გადაჰკიდა და ვაჟმა შეამჩნია, როგორ მიელულა მას ვარსკვლავებივით ანთებული თვალები. აღტყინებით მთვრალმა ვაჟმა გოგონა ხელში აიტაცა. მერე მღელვარებისაგან აკანკალებული ხმით ყურში ჩუმად ჩასჩურჩულა, რასაც ადრე თავისთვის ფიქრობდა:

— ახლა კი აღარ გაგიშვებ, არც ერთ ღმერთს შენს თავს აღარ დავანებებ!

შემდეგ გოგონამაც გახსნა მშვენიერი ბაგე:

— მითხარი: „არასოდეს!“ — ოდნავ მოისმა მისი მილეული ხმა, — თორემ სირცხვილი დღესვე წამართმევს თვალის შუქს.

— არასოდეს! — დაიყვირა ვაჟმა და ეს ყვირილი დარბაზის თაღებში მეორედ მოსვლის ქუხილივით გახმიანდა. — არასოდეს, სანამ დღის შუქზე ვივლი.

— არა, არ კმარა, თქვი: „არასოდეს, უკუნითი უკუნისამდე!“

— არასოდეს, უკუნითი უკუნისამდე! იქაც, ქვესკნელშიც, ოფარფატებულ აჩრდილთა შორისაც შენთან ვიქნები!

დაჰყურებდა ვაჟი ქალის უზომოდ მიმზიდველ სახესა და წამწამებით შემოჯარულ მშვენიერ თვალებს. ნელ-ნელა გახსნა ასულმა წამწამები და ჯერ ისევ კრთომით, შემდეგ კი, ნდობით შეხედა ვაჟს და სანდომიანი სახე თანდათან მზისებრ გაუცისკროვნდა.

რამდენ ხანს ეკავა ვაჟს ასული მკერდზე მიკრული, ვერავინ გეტყვით. წაბლის ხიდან ფანჯრისაკენ მოფრენილმა ჩიტმა მიიტანა მათ ყურამდე სამყაროსეული პირველი ბგერა.

ვაჟმა გოგონა ფრთხილად ჩამოსვა იატაკზე; ერთი ხელი ისევ ფაქიზად ჰქონდა შემოხვეული.

— შენ კი, მშვენიერო ქმნილებავ, როგორ მოხვდი აქ? ეგებ თავად ბედმა მოგიყვანა? — უცბად ჰკითხა გაოცებულმა ვაჟმა.

ასულმა მოკრძალებით მიუთითა მარმარილოს კომპოზიციაზე და მაშინვე ვაჟის მკერდში ჩამალა თავი.

— ამბობდნენ, რომ აგერ ის, ყველაზე უკეთესი რამ იყო, — წარმოთქვა გოგონამ და ძლივს გასაგონად დაუმატა: — მინდოდა იგი მარტოს მენახა, სანამ სხვები შემოვიდოდნენ. მეშინოდა... არ მკითხო, — რად, თავადაც არ ვიცი. მაგრამ ძალიან კი მეშინოდა აქ ყოფნისა.

— ვინ სხვები? — იკითხა ვაჟმა.

— ვინც ჩემთან არიან, — დედა და ბიძაჩემი. ზემოთ ვიყავით სურათების დარბაზში, და მე აქ გამოვიპარე.

შემდეგ ფერმკრთალ სახეზე უცბად ადრინდელმა მედიდურობამ გადაურბინა:

— მაგრამ რა გქვია შენ? ღმერთო ჩემო, მე ხომ ჯერ შენი სახელიც არ ვიცი?

— აბა გამოიცან!

გოგონამ თავი გააქნია და ოქროსფერი თმები შუბლზე ჩამოეშალა.

— აბა ჯერ შენ გამოიცანი ჩემი სახელი.

— მე? აბა მე რა გამოვიცნო?

— რა გამოიცნო? როგორ, განა მე სახელი არა მაქვს?

— ეს ხომ უკვე დიდი ხანია ვიცი, — უთხრა ვაჟმა და აბრეშუმისებრ ფაქიზი თმა შუბლიდან გადაუწია. — ეგერ, შეხედეის ხომ შენა ხარ! ესეც იცოდე, მთელი ამდენი ხნის მანძილზე მე ყოველდღე გესაუბრებოდი.

ლოყებშეფაკლულმა გოგონამ ხელები გაშალა და ვაჟს კისერზე შემოეხვია. ვაჟმა ღრმად ჩახედა გოგონას თვალებს.

— ო, რა ბედნიერებაა, რომ მოქანდაკე ხარ! — შესძახა გოგონამ.

ვაჟმა ქალი გულში ჩაიკრა და პირველად დაეკონა მის უბიწო ბაგეს.

მცირე ხნის შემდეგ ქალმა თავის სახელი ჩაიჩურჩულა ისე წყნარად, თითქოს საიდუმლო ყოფილიყოს და არ სურდა, მათ ირგვლივ მდგარ ქვის ქანდაკებებს გაეგონათ. მერე, როცა ვაჟის სახელიც მოისმინა, გახარებულმა წამოიძახა:

— ო, რა კარგი სახელია, სხვა სახელი არც უნდა გრქმეოდა.

ვაჟი ოცნებამორეული შესცქეროდა ქალს და ვერ გაეგო რატომ ერქვა მას „მარია“.

როცა ქალმა ვაჟის ნაფიქრალი გაიგო, გაეცინა და ყურში ჩაუჩურჩულა:

— ბურგომისტრის მოხუცი ცოლიც იმას მეუბნებოდა, რომ მე უკულმა ვარ მონათლული.

— მონათლული! — გაოცებით წამოიძახა ვაჟმა — რა კარგია, რომ მონათლული ხარ.

ერთ წამს კითხვით აღსავსე თვალებით შესცქეროდა ასული ვაჟს. მერე კი ბედნიერი ბავშვებივით ერთმანეთს შესცინეს.

ამასობაში დარბაზში სხვებიც შემოსულიყვნენ. შემოსასვლელიდან ფეხის ხმა ახლოვდებოდა. შუა დარბაზში გამოჩნდა მოხუცი მამაკაცის ხელზე დაყრდნობილი ჯერაც მშვენიერი გარეგნობის ქალი.

— შენი ქალიშვილი არც აქა ჩანს, — უთხრა შეწუხებულმა მოხუცმა ქალს.

ამაზე ქალს გაეცინა:

— დროა შევეჩვიოთ, რომ იგი თავისი საკუთარი გზით ივლის. ალბათ, ისევ ზემოთაა რომელიმე სურათისაგან დატყვევებული. მაგრამ „გადარჩენილი ფსიქეა“ სად არის?

ამ კითხვაზე პასუხი ვერ მიიღო, რადგან იმ წუთას დედას კისერზე ქალიშვილი შემოეხვია:

— აქაა, დედი! იგი შენი ქალიშვილია. იყავით კეთილი და შემწყალენი, გემუდარებით!

— ჩემო გოგონი, ჩემო საყვარელო შვილო! — სცადა დედამ აღელვებული შვილის დამშვიდება.

გოგონამ აჩქარებით ჩასჭიდა ორივეს ხელი და ბოლო დარბაზისაკენ წაიყვანა, სადაც მისი გულის სწორი მდუმარედ იდგა თავისი შთაგონების ნაყოფთან.

ამ დროს შინ, მოქანდაკის სახელოსნოში, ქანდაკებებსა და მოდელებს შორის პატარა ქალი მიმოდიოდა. ძიუხედავად

იმისა, რომ ხელში მტვრის საწმენდი ტილო ეჭირა, ეტყობოდა, არაფერი საქმე არ ჰქონდა. ბოლოს ქალი სამუშაოზე დაზგის გვერდით სავარძელში ჩაჯდა და ძლივს გასაგონად ამოიოხრა. ეს ოხვრა დედის გულს თავის დიდ ბავშვზე, ყველაზე საყვარელ ბავშვზე ზრუნვამ წარსტაცა, ჩაფიქრებით შესცქეროდა ცარიელ ადგილს, სადაც ცოტა ხნის წინათ მისი ვაჟიშვილის ბოლო ნამუშევარი იდგა.

უცბად წინკარში ლაპარაკისა და ფეხის ხმა გაისმა. სანამ დედა მძიმე ფიქრებიდან გამოერკვეოდა, გაღებულ კარში ორი წყვილი გამოჩნდა. ერთი უფროსი დიასახლისისათვის სრულიად უცნობი იყო, ხოლო მათ უკან მდგომი ყმაწვილი კაცი, რომლის მკლავს მშვენიერი გოგონა დაჰყრდნობოდა, — თუ მას თავისი ბებერი თვალები არ ატყუებდა, — მისი ვაჟიშვილი იყო.

შეცბუნებული დედა ფეხზე წამოიჭრა. ამასობაში ახალგაზრდა წყვილი მას მიახლოებოდა და ხელში ხელი ჩაეჭიდა.

— დედა, — წარმოთქვა ვაჟმა, — აი ჩემი საიდუმლო. ეს გოგონა გეტყვის, მარია მქვიაო, მაგრამ შენ ხომ ატყობ, რომ ფსიქეაა, ჩემი ცოცხალი ფსიქეა, რომლის წყალობითაც მე და ჩემი ქმნილება სიცოცხლეს განვაგრძობთ. — ვაჟი მხიარულად წელში გასწორდა, თავის დაუმთავრებელ ქანდაკებას თვალი შეავლო და ისე განაგრძო: — და შენც, ვალკირია, შენც გაგათავისუფლებს იგი ანათემისაგან.

მოხუცი დიასახლისი მივიდა, ფსიქეას თავისი პატარა მკლავები შემოხვია და ყურადღებით, თითქმის გაკვირვებით დაუწყო თვალიერება. თანდათან შინაგანი სითბოთი ნათლდებოდა მისი გამოხედვა და მერე კი მთლად აცახცახებული ბავშვი თავის დედობრივ მკერდში ჩაიკრა.

თავჩაქინდრული, ზმანებამორეული იდგა ახალგაზრდა ბო-ქანდაკე, ასე ეგონა, შორიდან ჩრდილოეთის ზღვის ტალღების ტყლაშუნი მესმისო. წარმოიდგინა, რომ თავისი სულისდგმაც თან ჰყავდა იქ, მარიამ უცბად ცრემლჩამდგარი თვალებით ასედა ფრანცს და ჰკითხა:

— მოხუცი კატი ხომ უნდა მოვიწვიოთ ჩვენს ქორწილში?

ამ სიტყვებზე ყველა იქ მყოფს ბედნიერების მბიარული სიცილი წასკდათ. ფავნი თავის ფლეიტას ახმიანებდა, ცახე ბთელი მონდომებით ბრწყინავდა მზე, ისევ ის ჰომეროსის მზე, და თავს დაჰნათოდა აყვავების ასაკში მყოფთა ბედნიერებას.

მეორე დილით ჩრდილოეთისაკენ მიმავალი ბატარეებლით ძველი ზღვისპირა ქალაქისკენ სიხარულის ბაუწყებელი მოკლე წერილი მიფრინავდა.

ლენა ვინი

არა, არ შემიძლია გვერდით გულგრილად ჩავუარო შენს დაბალ სახლს, ჩემო სიჯაბუკის სათაყვანო მეგობარო, რომელსაც შეჰერაზადასავით ამბების ამოუწყავი ქისა მუდამ თან დაგქონდა. ავიღებ ბატის ფრთას, წვერსაც არ წავუთლი,—დაე თეთრმა ფრთის ალამმა, როცა მე ამ სტრიქონების წერას შევუდგები შენდა გასახსენებლად, თავისი წარმოშობის გამო ფრინველის საამო ჟღურტულით მომაგონოს წარსული დრო.

ამ სახლის წინ ისევ ისე დგას ქვის სკამები, ფანჯრის დარაბებზეც ისევ ისე ხატია სახლის პატრონის ხელობის მაუწყებელი პურის კვერები. საკმარისია სქელ, მწვანემინებიან სახლის კარს შეეხო, რომ ზარმა გაიწკრიალოს და სახაბაზოს უკან მას „მარგალიტამ“ ყეფის ხმა შეუერთოს. ძაღლი თუმც მოკვდა, მაგრამ გაუმარჯოს ძაღლს!—ძაღლი არ

კვდება! ჩემი სიჭაბუკის „მარგალიტი“ კი აღარ არის ცოცხალთა შორის.

რამდენჯერ მივსულვარ შემოდგომისა და ზამთრის საღამოს ამ პატარა სახლში! მივსულვარო? არა, მიმირბენია, მივვარდნილვარ სულშეგუბებული! მაშინ ჩვენს ქალაქში ქუჩებს არ ანათებდნენ და ამის გამო უფრო მეტი იყო მოჩვენებანი. ვიღაცას რაღაც მოელანდებოდა, სადღაც რაღაც დაიჭყავლებდა, ხოლო ციხე-სასახლეში ღამღამობით გალეული შავი ქალი დაბორიალობდა. ყოველ საღამოს ეს ამბები მაგონდებოდა, ამას გარდა ჩემი პატარა ხელის ფარანი ღამღამო შუქს ჰფენდა უკაცრიელი ეზოს ფიცრის მესერს, რომლის გვერდითაც მიხდებოდა გავლა. როგორც კი სახლამდე უვნებელი მივაღწევდი, კარს მივვარდებოდი, ზარი გაიწკრიალებდა, სახაბაზოს უკან მარგალიტა ჯაჭვს ააჩხარუნებდა და გაშმაგებით აყეფდებოდა.

სუნთქვაშეკრული მივდიოდი ფიცხ ფინიასთან, რომელიც მხიარული წკმუტუნით ზედ მახტებოდა. კედლის გასწვრივ თაროებზე აყუდებული ახლადგამომცხვარი ჰვავის პური ირგვლივ საამო სურნელს აფრქვევდა. გვერდით ოთახის ღია კარში მოჩანდა ვარცლთან მოფუსფუსე მოხუცი დედა ვისი, რომელიც საფუარით სახვალიოდ პურის ცომს ამზადებდა, სახაბაზოში კი მეზობლის ბავშვები შეგროვდებოდნენ, თიხის ჯამებით ხელში საღამოს მონაწველ რძეს ელოდნენ: ოჯახის პატრონს რძის ფერმაც ჰქონდა, ოთხ თუ ხუთ დიდრონ ძროხას მარშებზე* აძოვებდნენ.

— ჯერ არ მორჩენილა საქმეს ლენა?—ვიკითხავდი ქვემოგერმანული კილოკავით. მოხუცი ქალი ცომის ზელას თავს

მიანებებდა და ჯერ ისევ მშვენიერი დედობრივი სიყვარულით სავსე თვალებით შემომხედავდა.

— არა, ლენა და მამამისი ვისი ისევ ბოსელში არიან და ძროხებს წველიან.

სასწრაფოდ ვაქრობდი სანათს და მაგიდაზე ვდგამდი, მერე ქვით მოგებულ ეზოს გადავჭრიდი და ძველისძველ დაბალ ბოსელში შევდიოდი. ზაფხულში ამ ბოსლიდან გადავდიოდით ხოლმე წითელი ცენტიფოლიებითა* და წვრილი და ტკბილი ხურტკმელით სავსე საოცრად წყნარ ბაღში. თავი აქ დიდ ვინმედ მიმაჩნდა და ცხვირს ვუბზუებდი მეზობლის საწყალ ბავშვებს, რომლებიც ქონის სანთლის მკრთალ შუქზე მიჩენილ ადგილზე წყნარად უნდა მსხდარიყვნენ, სანამ თავიანთ კუთვნილ რძეს მიიღებდნენ.

ბოსელში, ჭერქვეშ, რქაში ჩადგმული ლიფლიფა ეკიდა. მაგრამ იქაურობას შუქს ვერა ჰფენდა, მოჩანდა მხოლოდ ალის ირგვლივ ოდნავ-განათებული წრე. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ესოდენ მყუდრო, პატარა სამყაროს ცენტრს წარმოადგენდა.

ბაგასთან ძროხები იცოხნებოდნენ და სიბნელიდან თითქოს მკაფიოდ მესმოდა ძველი ხალხური სიმღერა:

შტრიპ, შტრამ, შტროლ,—
მალე გაივსება ვედრო?

ამ სიტყვებს მხიარულად გავძახებდი სიბნელეში, იქიდან კი მაშინვე ჩემი მეგობარი ლენას კვიმატი პასუხი შემომესმოდა: ვინც მოითმენს, ის მოიგებსო, რასაც ძროხის იქით ამომდგარი მამა იოჰან ვისის ნაამები ბუყბუყა სიცილი მოჰყვებოდა.

სახუმარო სიტყვებით ლენა ადვილად მიმორჩილებდა, სა-

ამისოდ მისი შავი, გონიერი თვალებიც საკმარისი იყო; მეც მოთმინებას მოვუხმობდი და კართან თივის ხელეურზე მივ-ჯდებოდი. იქვე გვერდით ქანდარაზე მამალი და მისი სამწყსო ძილში რაღაცას ჩაიკრიახებდნენ. ბაგიდან რძის ჩხრიალი მოისმოდა, რასაც ზოგჯერ შეძახება არღვევდა, როცა ჭრელა ან ნიშა ისე არ დადგებოდა, როგორც საჭირო იყო.

ბოლოს სახეატკრეცილი ლენა ავსებული ვედროებით ლიფ-ლიფას შუქზე გამოვიდოდა და მეგობრულად „საღამო მშვი-დობისას“ მისურვებდა. ლენა ტანდაბალი იყო. სახეზე ეტყო-ბოდა,—ჩემი ბავშვობისას იგი, ალბათ, ოცდაათს იქნებოდა გადაცილებული,—რომ ოდესღაც მეტად მომხიბვლელი უნ-და ყოფილიყო, მაგრამ ყვავილს ძალზე უმოწყალოდ დაემა-ხინჯებინა მისი ბავშვური სახე, ხალხის ენამახვილი თქმისა არ იყოს, თითქოსდა მართლაც დაუბარავთ და აღარ გაუთოხ-ნიათ. თვითონ კი ფიქრობდა, კაცმა ამით შეიძლება თავიც მოიწონოს, რადგან „ნაოსტატარი მეტად იშვიათი ნახელავი გამოვიდაო“. მხოლოდ მისი მშვენიერი მუქი თაფლისფერი თვალები აფრქვევდნენ ადრინდელ შუქს, როგორც ჩემი ბავშვობის ვარსკვლავები, ისე მინათებენ ეს თვალები და ზოგჯერ, ცხოვრების მძიმე წუთებში, ასე მგონია, ახლაც ვხედავ, თუმცაღა უკვე დაშრეტილია მათი სინათლე.

სანამ ლენა რძეს ჰყიდდა, მამამისი ძროხებს თივას უყ-რიდა, დედა ვარცლში ცომს მიაგუნდავებდა და ფრთხილად აფარებდა საჩუქს. მე წინასწარ შემგზავნიდნენ ვიწრო, მაგრამ გულმისავალ ოთახში, სადაც მთელი ჩემი სიცოც-ხლის მანძილზე ყველაზე წარმტაცი ამბები მომისმენია, იქ, თითქმის ყოველთვის ჰყვაოდა,—ყოველ შემთხვევაში ამ-ჟამად ასე ვფიქრობ,—ფანჯრის რაფაზე შემოდგმული ზამ-

ორის წითელი ლევკოიონი. თვალს მტაცებდა თუჯის მაღალი ღუმელი, რომელიც, მოპირდაპირე კედლის წალოსთან მიდგმული, საწოლის წინ ჩამოფარებულ ორ ფარდას შორის იდგა. ეს ღუმელი შეადგენდა ჩემი გატაცებული დაკვირვების ობიექტს, არა მხოლოდ იმის გამო, რომ ზედ გაკრულ დაფაზე დიურერის* გრავირების სტილით ამოჭრილი იყო მარიამ ღვთისმშობლის ხარების სცენა, არამედ აქეთ-იქით, გვერდებსა და ზემოთ, ორივე კუთხეში ჩახრახნილი თითბრის გაკრიალებული ბუნიკების გამოც. მრავალი გაფრთხილების მიუხედავად, შემთხვევას ხელიდან არ გავუშვებდი და ბუნიკებს წარამარა ამოვხრახნიდი. ამოხრახნილი ბუნიკი თითქმის ყოველთვის ფეხზე მეცემოდა. ღუმელიდან საამო სურნელება ამოდიოდა,—ამას კაცი ყველა ღუმელზე ვერ იტყვი, — და ლევკოიონის არომატს უერთდებოდა. ეს სურნელება ჩემს მეხსიერებაში დღესაც ისევე ავსებს იმ ოთახს, დღესაც მესმის ის დამატკბობელი მუსიკა, ამ ბინაში რომ გაისმოდა დაუსრულებლად. სურნელება მოდიოდა ვაფლითა და შემწვარი ვაშლით თავდადგმული ჯამიდან, რომელიც უთუოდ თბილად ინახებოდა გაკრიალებულ თითბრის ლანგარქვეშ ღუმელის ფურნეში. ხოლო იმის გამო, რომ ღუმელს სახაბაზოს გვერდით მიდგმული სამზარეულოდან ათბობდნენ, იქიდან ოთახში ბამუდმებით შემოდიოდა ჭრიჭინას გალობა.

აქვე უნდა გამოვტყდე, თუმცა ეს, ალბათ, ჩემი ძველი მეგობრის იოჰან ვისის მიმართ გამოთქმული საყვედური იქნება, რომ იგი შეუბრალებლად სდევნიდა, არ ვიცი კი რად, ამ პაწაწა მუსიკალურ მწერებს. ხშირად, როცა თავზე ცისფერ ჩაჩდაკოსებული, ღირსებით აღსავსე გამომეტყველე-

ბით, გულხელდაკრეფილი მშვიდად იჯდა სავარძელში, გაოცებული შევყურებდი ამ გულკეთილ მოხუცს და ვფიქრობდი, როგორ შეეძლო ასეთი საშინელი საქციელის ჩადენა.

ამჯერად იოჰან ვისი ჭრიჭინებზე ნადირობას არ აპირებდა ისინი, ღამის სიბნელეს თავშეფარებულნი, არხეინად გალობდნენ თბილ სახაბაზოში. სანამ მე ჭრიჭინებსა და წყნარად მოტიკტიკე კედლის საათს ვუსმენდი, ლენაც შემოვიდოდა, სამუშაო ტანსაცმელს გამოიცვლიდა, თავზე წვრილნაკეცებიან გაქათქათებულ ქუდს დაიხურავდა, მუშამბაგადაფარებულ მაგიდაზე ჩაის ჭურჭელს გააწყობდა და ვახშამს გაამზადებდა. მაგიდა ზედ ღუმელთან იდგა, მარიამის ხარების გრავიურისა და გაკრიალებული თითბრის ბუნიკების ქვეშ. მალე ორივე მოხუციც შემოვიდოდა და ღუმელის აქეთიქით თავთავიანთ ადგილებს იკავებდნენ. დედა ვისი წარმოშობით სოფლიდან იყო. ქუდქვეშ უკან გადავარცხნილი ჭაღარა თმა მოუჩანდა, აი ისე, უწინ ჩვენი გლეხის ქალები რომ ივარცხნიდნენ. მარჯვე ხელები დამახინჯებული ჰქონდა ნიკრესის ქარისაგან, რომელიც ჩვენს სანაპიროზე მოხუცებს იშვიათად ინდობს, და ფინჯნის პირთან მიტანისას უკანკალებდა. მაგრამ, ამის მიუხედავად, როგორც კი ჭამას მოვრჩებოდით, კუთხიდან ჯარას გადმოდგამდა და დღის ნაქსოვს საღამოს ნაშრომს უმატებდა. შემდეგ თითბრის სახურავქვეშიდან გამოიღებდნენ ჯამს, რომელიც ოთახში სურნელებას აფრქვევდა, და იოჰან ვისი ნაამები გადაწვებოდა თავის სავარძელში. მეც ვიჯექი, უფრო კი სკამზე გადამჯდარი დავჭენაობდი. ეს სკამი წარმოადგენდა ამჟამად უკვე გამქრალ იშვიათობას, რომელსაც დაკუთხული დასაჯდომი

ჰქონდა, ხოლო ზედ, ახლაც არ დამვიწყნია, ჭრელსაკერებ-ლიანი ბალიში იდო.

შემდეგ, კი, ჰო, შემდეგ ლენა ვისი ამბების თხრობას წამოიწყებდა. მერე და რა მოყოლა იცოდა! ლაპარაკობდა ქვემოგერმანული დიალექტით, ოდნავ დაგუბული ხმითა და რაღაც მოკრძალებული ზეიმურობით; იყო ეს ლეგენდა მოჩვენებადქცეული თეთრცხენიანი მხედრისა, რომელიც ქარიშხლიან ღამით ჯებირზე გამოჩნდებოდა ხოლმე და საშიშროების მოახლოებისას თავისი ტაიჭით ზღვის მორევში გადაეშვებოდა; საუკეთესო თავგადასავალი, თუ ყოველკვირეული ჟურნალიდან ან სადღაც ამოკითხული ამბავი,—როცა ის ყვებოდა, ყველაფერი განსაკუთრებულ სიცხადეს იძენდა და თითქოს იდუმალი სიღრმეებიდან მზის სინათლეზე ამოვიდაო,—მსმენელს მკაფიოდ წარმოუდგებოდა თვალწინ. მოხუცი დედა ხშირად წასწვდებოდა ხოლმე ჯარას ბორბალს და აჩერებდა, ხოლო კუთხეში მიმჯდარი იოჰან ვისი კმაყოფილი აფახურებდა თვალებს. საათი ტიკტიკებდა, ღუმელის უკან მიმალული ჭრიჭინები კი თავის საგალობელს გალობდნენ. ზოგჯერ, შემოდგომით, საღამო პირას—ყველაზე წარმტაცი მაინც ეს იყო!—შორიდან ცაცხვების შრიალიც მოისმოდა, ქუჩის მეორე მხარეს, ღობის უკან, ბაღში რომ აზიდულიყვნენ...ო, რა შორს იყო ხოლმე მაშინ ყოველდღიური ცხოვრების ერთფეროვნება! შესვენებისას, როცა, ლენა საუბარს წყვეტდა, ვაფლსა და შემწვარ ვაშლებს გეახლებოდით, მაგრამ სიჩუმეს დიდხანს ვერ ვიტანდი და ლენაც იმდენად მოუღლელი იყო, რამდენადაც მე ვიყავი ამბების სმენას დახარბებული. თავს ოდნავ წინ წამოსწევდა, ხელებს კალთაში ჩაიწყობდა და ახალი ამბის

თხრობას განაგრძობდა, თან ცერებს ერთმანეთის გარშემო ატრიალებდა. შემდგომში ასეთ ამბებს მე თავად ვთხზავდი და ჩემს წიგნებს ლენას ვუგზავნიდი. შეხვედრისას იგი ღიმილით მეტყოდა, ეს ხომ ჩემგან ისწავლეო.

მაგრამ ამ სანაქებო სახლში მე მხოლოდ თხრობის ხელოვნება კი არ ვისწავლე, აქვე შევიძინე კაცის ზნეობრივი საფუძვლების პატივისცემაც... ერთი პატარა შემთხვევა წარუშლელად ჩამრჩა მეხსიერებაში. ერთი პატივცემული ოჯახის ქალიშვილი დანიშნეს ერთ ვაჟზე, რომლის საქციელზეც ვერ იტყოდა კაცი—უნაკლოაო. პატარა ქალაქს ეს ამბავი უცბად მოედო, შინ და გარეთ ყველა ამაზე ლაპარაკობდა, ზოგი დაცინვით, ზოგი სერიოზულად. ერთხელ ამ თემაზე საუბარი აქაც ჩამოვარდა, როცა ჩაის გეახლებოდით. იმის გამო, რომ მეც მინდოდა საუბარში ჩავრეულიყავ, ბავშვური მოუფიქრებლობით წამოვროშე უხერხული სიტყვა, რომელიც ღმერთმა იცის, სად, ალბათ, ქუჩაში თუ გავიგონე. აქამდე გაცხოველებული საუბარი უმალვე შეწყდა, ლენამ თვალები მაგიდისაკენ დახარა და კარგა ხნის დუმილის შემდეგღა აიხედა ზემოთ, და, ვითომ არაფერი მომხდარაო, სხვა ამბებზე გააბა საუბარი. არ მგონია, სხვა დროს როდისმე შემრცხვენოდა ასე. შემდგომშიც, როცა უკვე მოვიზარდე, თავს უხერხულად ვგრძნობდი, როგორც კი ეს დამსახურებული და მიღებული სასჯელი მახსენდებოდა.

მაგრამ, ასეთი საყვედურის მიუხედავად, მე არ მიგრძნია, რომ ამ ოჯახისათვის არასასურველი გავხდი და მისდამი ჩემი სიმპათიაც არ შემცირებულა, რადგან ამ ოჯახის მეორე, და ძალიან საყვარელი ქალიშვილი, მრავალი წლის მანძილზე ერთგულად მზრდიდა და მივლიდა. იგი კარგ

ოჯახისშვილზე გათხოვდა და იმჟამად ერთ შორეულ დიდ ქალაქში ცხოვრობდა. ბეჩვენებოდა, რომ ჩემს წასაყვანად მშობლები მუდამ ადრე მიგზავნიდნენ ხოლმე ეტლს, ხოლო როცა მოვიზარდე და შინ მარტო მივდიოდი, ასე მეგონა, კედლის საათი ათს ნაადრევად რეკდა. ახლაც მახსოვს, უკანასკნელ თხუთმეტ წუთს ლენას მუდამ ვეჯიჯღინებოდი, ერთი თუნდაც სულ პატარა ამბის მოყოლას კიდევ მოვასწრებთ-მეთქი, მაგრამ უცებ საათში რაღაც გაიჩხაკუნებდა და იმის მოლოდინი, რომ ათს დარეკავდა, ჩემს ყველა იმედს ბოლოს უღებდა: შინ უნდა წავსულიყავი. ჰოდა, რა იცი, მერე გზად რა შეგხვდებოდა, მოლანდება გამოჩნდება ან რაღაც დაიჭყავლებს, ამას გარდა, სახლებში სანათიც აღარსად ენთო, რადგან იმ ქუჩაზე უმეტესად ეგრეთ წოდებული პატარა ხალხი ცხოვრობდა, რომლებიც დღეის ლუკმას იშოვნიდნენ თუ არა, მაშინვე იძინებდნენ.

ლენას ჭემუდარებოდი, გამაცილე-მეთქი, და მანამ არ მოვეშვებოდი, სანამ იგი კამოდის უჯრას არ გამოაღებდა და თავშალს არ ამოიღებდა. ვთხოვდი, იმ საძულველი მესერის ბოლომდე მაინც გავეცილებინე. მაგრამ იქ რომ მივიდოდით, მერეც არ ვეშვებოდი, თუ აღარ გამომყვებოდა, იქვე მაინც უნდა დარჩენილიყო და რამდენჯერმე ხმამაღლა „ღამე მშვიდობისა“ დაეძახა ჩემთვის, სანამ ხელში პატარა ფარანჩაბღუჯული, თავქუდმოგლეჯილი უახლოეს ქუჩის კუთხეში შევუხვევდი. აქედან ჩვენს სახლამდე რამდენიმე ნაბიჯიღა რჩებოდა.

მრავალ წელიწადს გრძელდებოდა ასე. ახლაც გულს საამოდ ეფინება იმ ადამიანთა გახსენება, რომელთაც ჩემი ახალგაზრდობის მრავალ ბედნიერ საათს ვუმადლი. მაგრამ

დრო მიდიოდა. მე დავტოვე მშობლიური ქალაქი, წავედი სასწავლებლად, რათა დავუფლებოდი მომავალ პროფესიას, ისინი კი თავიანთ პატარა სახლში დარჩნენ და ძველებურად განაგრძეს ცხოვრება.

შემდეგ მოვიდა სიკვდილი, მამა ვისი წამოაყენა თავისი სავარძლიდან და უფრო მყუდრო სავანეზე მიაწვინა. როცა რამდენიმე წლის შემდეგ შინ დავბრუნდი და საკუთარი ოჯახიც შევქმენი, სიკვდილმა მოხუცი დედა ვისის გამრჯე ხელებიც დაასვენა, წაჰგლიჯა იგი ვარცლსაც და სართავ ჯარასაც, ჩვენ კი გვაიძულა, მოსასვენებლად იგი მშვენიერ ახასხასებულ სასაფლაოზე წაგვეყვანა, იქ, სადაც საფლავთა შორის ზღვიდან მონაბერი გრილი ქარი დათარეშობს.

ლენა ახლა მარტოდმარტო დარჩა. მაგრამ ოჯახში ერთი ნათესავი გოგონა მოიყვანა და მშობლების საქმე მისი დახმარებით განაგრძო. ხშირად, როცა ზაფხულის მშვენიერ დღეებს დაიკერდა და მათი ეზოს უკან ბაღჩაში ცენტიფოლიები აყვავდებოდა, დიდი ქალაქიდან და ან დის შვილები ესტუმრებოდნენ. ამ დროს დაბალი სახლი გამხიარულდებოდა, ირგვლივ ყველაფერი—ოთახებიცა და ადამიანის გულებიც მზით ივსებოდა. მაგრამ ამ უმცროს დასაც ლენაზე ადრე ეწერა სიკვდილი. ეს ამბავი გავიგე, თუ არა, ლენასთან მივედი. იგი უჯრებსა და ზარდახშებში შენახულ ფულს ეძებდა, რომ იმ დღესვე გადაეგზავნა სიძისათვის—ცოცხლად დარჩენილთ მწუხარებაც ეყოფათ, დაე ცხოვრებაში სხვა გაჭირვება ნულარ ექნებათო.

შემდეგ ჩემს ქვეყანაში დანიელთა გაბატონებამ მაიძულა სამშობლო მიმეტოვებინა და ჩემს მეგობარს მაშინლა ვნახულობდი, როცა მშობლებთან ჩავიდოდი, რაც მეტად

იშვიათად ხდებოდა. სამართლიანი გაბოროტებით აღვსილი ლენა, მტკიცედ იყო დარწმუნებული გერმანელი ხალხის საბოლოო გამარჯვებაში. ახლა ჩვენი სასაუბრო თემა ის სულიერი მწუხარება იყო, რომელსაც იგი განიცდიდა სამშობლოში მოძალადე მტრის თარეშის გამო. როცა, ბოლოს და ბოლოს, გერმანელთა შერცხვენას ბოლო მოეღო და მე სამშობლოში დაბრუნების საშუალება მომეცა, ფიზიკურად და სულიერად გამხნევებული ლენა ვისი სიხარულით გაბრწყინებული შემომეგება. ლენას ტკბილი მოხუცებულობა ჰქონდა: ნაშვილები ქალიშვილი გათხოვდა და ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რომლებმაც მეურნეობის გაძღოლა ახლა თვითონ იკისრეს, ლენას საკუთარ დედასავით ელოლიავებოდნენ და პატივსა სცემდნენ. ჰოდა, მე ისევ ნაამები ვუჯექი მათ ჩაის მაგიდას, წითელი ლევკოიები უწინდებურად აფრქვევდნენ სურნელებას ფანჯრის რაფებიდან და ნუგბარი ნამცხვრის ჯამიც ისევ ისე იდგა გაკრიალებული თითბრის სახურავქვეშ. მხოლოდ ეგ იყო, მოხუცი ცოლ-ქმრის ნაცვლად ახლა აქ ახალგაზრდები ტრიალებდნენ და პატარა ბიჭუკელას ნაცვლად, ვისაც ასე უყვარდა ამბების მოსმენა, უკვე სიბერეში შესული კაცი უჯდა მაგიდას, მაგრამ ოჯახის სული და ჩვეულები იგივე იყო, ხოლო ლენას მუქ თაფლისფერ თვალებში კვლავ ადრინდელი სინათლე და გონიერება გამოკრთოდა.

მის გულს ისიც ახარებდა, რომ დის ორივე ქალიშვილი ღვთის მსახურებს გაჰყვნენ ცოლად და საერთო პატივისცემა დაიმსახურეს, ხოლო დის ერთადერთი ვაჟიშვილი იმ დიდი ქალაქის მეტად აღიარებული ექიმი გახდა, ექიმი დისშვილი მრავალჯერ ეაჯა დეიდას, მესტუმრეო. მაგრამ ლე-

ნა ფიქრობდა, არ შემფერის იქ წასვლა, დაე ახალგაზრდები თვითონ მესტუმრონო, და მართლაც ასე ხდებოდა.

ლენამ იოლად ვერ მოახერხა დამშვიდობებოდა ცხოვრებას. ისეთმა ავადმყოფობამ დარია ხელი, ადამიანს რომ თანდათან ინელებს, რომელსაც ვერ მოიშორებს და ვერც გაექცევა, წლობით შეეთვისება, სანამ ბოლოს არ მოუღებს. მისი სიცოცხლის ბოლო წელიწადს ანდერძის შედგენისას მიმიხმეს. მან ისურვა ამ საზეიმო ცერემონიალს რაც შეიძლება ლაზათიანად ჩაცმული დასწრებოდა. მიწვეულ ხალხს მშვიდი და სერიოზული სახით შეგვხვდა. ლილისფერბაფთიან თეთრ ჩაჩში მოქცეული მისი სახე ავადმყოფობან ვერ დაემახინჯებინა, მხოლოდ სხეული დაპატარავებოდა. მან გვერდით ოთახში გამიყვანა და სხვების დაუსწრებლად თავის მოსალოდნელ სიკვდილსა და ამასთან დაკავშირებულ საჭირო საქმეებზე მელაპარაკა. იმაზე, თუ როგორ იტანჯებოდა, ერთი სიტყვაც არ დაუძრავს. მადლიერებით მოიხსენია ისინი, სიყვარულით რომ უვლიდნენ, ერთი რამ კი აფიქრებდა—ვაითუ ჩემი ძლიერი სხეულის გამო დასასრულის ლოდინი დიდხანს დამჭირდესო.

მართლაც დიდხანს დასჭირდა. საშინელმა ავადმყოფობამ არ დაზოგა და მრავალი წამება გადაატანინა. მაგრამ მაინც ისეთივე დარჩა, ჯანმრთელად ყოფნისას რომ იყო—შინაგანად მშვიდი, სხვებისათვის დავდადებული. „ლენა ვისი გმირივით კვდება“, იტყოდა ხოლმე მასზე ექიმი. იმისათვის, რომ თავისი ტკივილების გამო ახალგაზრდა ნათესავები ძალიან არ შეეწუხებინა, სიცოცხლის ბოლო დღეებში ხელმეორედ ითხოვა, ეზოსკენ მიქცეული ფანჯრები რომ აქვს, იმ პატარა ოთახში გადამიყვანეთო. მაგრამ „ძალოს-

თვის“, სანამ იგი ცოცხალთა შორის იყო, ახალგაზრდებს არაფერი ეშურებოდათ და ასე დარჩა იგი თავის ყვავილებთან იმავე გულმისავალ ოთახში, რომელთანაც ლენას თავისი ცხოვრების ყველა საამო მოგონება აკავშირებდა.

ავადმყოფობის დროს ლენას ხანდახან ადგილობრივი მღვდელი მოინახულებდა, მაგრამ ლენა ვისს სიკვდილ-სიცოცხლის თაობაზე თავისი შეხედულება ჰქონდა და იმ ჭკუაზე არ იყო, რომ მეორე პირის ჩაგონებით ერთ წუთში აეღო ხელი იმაზე, რასაც წლობით აყალიბებდა. ჩუმად და ყურადღებით აკვირდებოდა სულიერი მამის მსჯელობას; მერე მისთვის დამახასიათებელი ჭკვიანური ღიმილით შეხედავდა, ხელს მკლავზე დაადებდა და ეტყოდა: „ეჰ, ბატონო მამამთავარო, მე თქვენს ჭკუაზე ვერ მომაქცევთ!“ ის კი, ალბათ, ამას ფიქრობდა: დაიცავი თავი, რამდენიც გინდა, სულ ერთია, ღვთის მოწყალება მოგაგნებსო...

როცა უანასკნელად შევედი მის ოთახში, მისმა შეხედვამ შემაძრწუნა: სახე სულ დამახინჯებოდა. ჩემი გამომეტყველება შეამჩნია. უნდოდა, სიკვდილსაც ომახიანად შეხვედროდა: „ერთი ამას უყურე, რას დავემგვანე!“—თითქოსდა სიმხნევით შემომძახა მან. დაჯდომა ძლივს მოვასწარი. რომ გარეთ ფანჯარასთან რაღაც ხმაური ატყდა. „ისევ ამ საწყალ ყმაწვილს აბრაზებენ“, თქვა ლენამ, სიკვდილის პირად მისული წამოდგა და ქუჩაში გავიდა. მეზობლის გონებაჩლუნგი ბიჭი ამაოდ ცდილობდა გაქცეოდა ანცი ბიჭებუჭების გუნდს. მალე გარეთ, სახლის კართან ჩემი მეგობრის წყნარი ხმა გაისმა და ფანჯრიდან შევამჩნიე, როგორ დარცხვენით მიიმალ-მოიმალნენ სიმშვიდის დამრღვევნი.

—ძალუაჩემს ისინი უწინდელივით სცემენ პატივს,—შე-

სამჩნევი სიამაყით წარმოთქვა ფანჯარასთან ჩემ გვერდით მდგომმა ახალგაზრდა ქალმა.

მაშინ უკანასკნელად ვნახე ლენა ვისი. გავიდა კიდევ რამდენიმე ტანჯვით აღსავსე კვირა, შემდეგ თავისი მყუდრო სახლი იმანაც სასაფლაოს ვიწრო სამარეზე გადასცვალა, სადაც ამჟამად განისვენებს მშობლების გვერდით.

ზაფხულობით, დილასისხამზე, დროდადრო მოვინახულებ ჩემი ახალგაზრდობის ძველისძველ მეგობრებს და ამოვიკითხავ მათი საფლავის ჯვრებზე წარწერებს. ჭრიჭინები თავიანთ საგალობელს აქაც მღერიან, მაგრამ ეს იმ კერიის ჭრიჭინობელები როდი არიან და მათ ჭრიჭინთან ერთად ამბებსაც აღარავინ ჰყვება.

მწვანე ფოთოლი

ერთი ძველი წიგნი იყო, ალბომის მინამგვანი. ლოკვანი-ვით ვიწრო და მოგრძო ფორმა ჰქონდა, ფურცლები კი ყვით-ელი. იგი მან მოწაფეობის დროს ააკინძვინა ერთ პატარა ქალ-აქში წიგნების მკაზმავს და შემდეგ მუდამ თან დაჰქონდა. იმის მიხედვით, თუ როგორ გუნებაზე იყო, ხან ლექსებს წერდა შიგ, ხან ყოველდღიურ განცდებს. თავის თავზე ჩვეულებრივ მესამე პირით წერდა, ალბათ იმიტომ, რომ გულწრფელად წერს საკუთარი „მე“ არ შეელახა, ან შეიძლება იმიტომაც, — მე ეს უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია, — რომ სურდა საკუთარი ფანტაზიით შეევსო მომხდარი ამბის ხარვეზები. ჩანაწერები უმეტესად ისეთ უმნიშვნელო მოვლენებს ეხებოდა, რომ შე-იძლებოდა მოვლენა არც კი გვეწოდებინა. გასეირნება მთვა-რიან ღამით, მშობლების ბაღში გატარებული შუადღის საა-თები, აი ეს იყო მთელი თავი და ბოლო. ლექსები უგერგილო

და ურითმო გამოუდიოდა. მიუხედავად ამისა, მათ სიამოვნებით ვკითხულობდი. ჩემი სიყვარულის სანაცვლოდ იგი ამის ნებას მაძლევდა.

ეს წიგნი აქ, საველე ბანაკშიც თან წამოეღო. იგი მუდამ თან დაჰქონდა ღამის ბრძოლებში, მთელი ომი ერთად განვლეს ბოლო გვერდებზე სანგრებისა და ძელმიწურების ჩანახატებს აკეთებდა.

ჩვენი ასეული ფორპოსტებზე გუშაგობდა. ამჟამად ისევ ჩვენს ქოხში დაგვაბრუნეს. ქოხი მკვრივად იყო ნაგები, გარეთ ცა რომ ჩამოქცეულიყო, ჩვენ წვეთი არ ჩამოგვივიდოდა.

მან საწმენდ მოწყობილობას დაავლო ხელი და ჩვენი თოფების წმენდას შეუდგა. მე ჩემს ხალთაზე ვიჯექი და ვსწავლობდი მის რჩეულ თხზულებებს, ამ უჩვეულო სახის დღიურს, რომელიც მთელ ჩვენს საველე ბიბლიოთეკას წარმოადგენდა. თუმცა დღიურს ხშირად ვფურცლავდი, მაგრამ ყოველთვის აღმოვაჩენდი ხოლმე რაღაც ახალს, რომელიც უწინ გაჭიმრჩენოდა. ახლაც უცბად თვალში მომხვდა შიგ ჩადებული წიფლის ფოთოლი. იქვე ლექსი იყო მიწერილი.

მოხეტიალეს ზაფხულის დღეთა
ერთი ფოთოლი თან მიმაქვს ახლა.
ის მომაგონებს ყველაფერს ერთად:
ბულბულის ხმას თუ სიმწვანეს ტყეთა.
ვხეტიალობდი აქამდე სადაც

— ეს ფოთოლი მთლად გაყავისფერებულა, — წარმოთქვი მე.

მან თავი გაიქნია.

— აბა მეორე გვერდზე წაიკითხე!

მეორე გვერდი გადავშალე და ამოვიკითხე:

მინდვრის ვიწრო ბილიკზე კაცი მიდიოდა. ვინ იცის, იქნებ სტუდენტი იყო, ანდა, შეიძლება, ახალგაზრდა დოქტორი. ეტყობოდა, მხარზე თასმით გადაკიდებული თოფი ემმიმებოდა. რადგან სიარულისას მალ-მალე იცვლიდა მხარს, ხან კი ჩამოიხსნიდა და ხელით მიჰქონდა. ქუდი მოეხადა და საშუადღეოზე ასული მზე თმას უხურებდა. ირგვლივ მიდამო გამოცოცხლებულიყო, ველ-მინდორი ავსებულიყო ათასგვარი სულიერით, — ივნისის ცხელი დღეები ხომ მათი ბარტყობის საუკეთესო დროა. ისინი ფეხქვეშ უძვრებოდნენ და თავს ბუჩქნარს აფარებდნენ, ყოველ ნაბიჯზე წინ ხვდებოდნენ და თვალს სჭრიდნენ. ველი ჰყვაოდა, ჰაერი სურნელებით ავსებულიყო.

მგზავრი უცბად შედგა და ირგვლივ თვალუწვდენელ სივრცეზე გაშლილ ერთფეროვან ველს გახედა, რომელიც ახლა მზის წითელ სხივებში გარინდებულიყო. წინ, ცის დასალიერთან, მოჩანდა ტყის ზოლი, რომელსაც თეთრი კვამლი ასდიოდა და კამკამა ცისკენ მიიმართებოდა. ეს იყო და ეს.

გზის გვერდით, არცთუ ისე შორს, მაყვლნარითა და ასკილით დაფარული დაბალი ბორცვი ჩანდა. ეს უცნობი ტომის სამარხი გახლდათ. ასეთები აქ ცოტა არ არის. კაცი ბორცვზე ავიდა და აქედან ერთხელ კიდევ მოათვალიერა ვრცელი მიდამო, მაგრამ ტყის პირას მდგარი ქოხის მეტი ვერაფერი დაინახა, საიდანაც წეღანდელივით კვალი ისევ ამოდიოდა. გაყამირებული მიწიდან ერთი ბღუჯი მანანა ამოგლიჯა და მის ფაქიზ ვარსკვლავისებურ ყვავილებს დააცქერდა. შემდეგ თოფი ჩამოიხსნა, თბილ ბალახზე გაიშოტა, თავ-

ქვეშ ხელი ამოიდო და მიდამოს მანამდე უმზირა, სანამ ფიქრები ზაფხულის ცხელ, აცახცახებულ ჰაერში გაებნეოდა.

რაკიღა ახლა საკუთარი ფეხის ხმაც შეწყდა, აქამდე რომ თან მოსდევდა და მთელ ველზე ჭრიჭინობელათა გაბმული ჭრიჭინის, ყვავილთა ნექტარს დაწაფებული ფუტკრის ზუზუნისა და ჟამიდან-ჟამზე ცაში მიკარგული ტოროლების ჟივჟივის მეტი აღარა ისმოდა რა, ·ყმაწვილკაცს ზაფხულის მოდუნებამ დაუძლევლად დარია ხელი. ეს ცისფერი პეპლები აქეთ-იქით დაფარფატებდნენ, მათ იქ კი ზეცის ვარდისფერი ზოლები ბრწყინავდა. მანანების სურნელებამ მის თვალებს ნაზი ზეწარი გადააფარა.

ველს ზაფხულის ქარმა გადაუქროლა და იქვე მახლობლად მტვერში მზეს მიფიცხებული შავი გველი გამოაფხიზლა. მან რგოლები გაშალა და გაყამირებულ მიწაზე გასრიალდა. მისი ხორკლიანი მუცლის ქვეშ ბალახი აშრიალდა. წაძინებული ყმაწვილი კაცი ნახევრად გამოფხიზლდა, თავი გვერდით შეაბრუნა და თვალებში შეხედა გველს, რომელიც მისკენ მოიკლაკნებოდა. ხელის აწევა მოინდომა, რაგრამ ვერ შესძლო. მცურავი მას თვალს არ აშორებდა. ყმაწვილკაცი ასე განაგრძობდა წოლას, ძილ-ფხიზლობის საზღვარზე მყოფი; უცბად თვალზე თითქოს რაღაც გამჭვირვალე ფარდა ჩამოეფარა და ამ ფარდის იქით დაინახა, რომ მისკენ მოიმართება ნორჩი ჯანღონით სავსე გოგონა, რომელსაც სქელი ქერა თმა ორ მსხვილ ნაწნავში მოექცია. გოგონამ ბალახბულახი გვერდით გადასწია და მის გვერდით მიწაზე დაჯდა. უცბად გველის თვალები სადღაც გაქრა. კაცი ვეღარაფერს ხედავდა. შემდეგ სიზმარი ესტუმრა: აი, ვითომ კვლავ ჰანსია,* — ბავშვობაში რომ ბაძავდა ხოლ-

მე ხშირად ერთი ზღაპრის გმირს,—გველების გამოქვაბულის წინ წევს და მოჯადოებულ პრინცესას გამოხსნას ცდილობს. გამოქვაბულიდან თავი გამოჰყო გველმა და დაუძახა:

ნაცრისფერლოყიანი
საწყალი გველის მტერიან!

მერე ბიჭმა გველს აკოცა და მოხდა უცნაური რამ: წარმტაც პრინცესას იგი მკერდში ჩაეკრა. გასაოცარი ის იყო, რომ თმა ორ ნაცრისფერ ნაწნავად დაეწნა, ხოლო კორსაჟი ცლეხის გოგოსავით ეცვა.

შემდეგ გოგონამ მკლავები მუხლებზე შემოიხვია და თვალი ველს გაუშტერა. ისმოდა მხოლოდ ათასგვარ მცენარეულთა იდუმალი შრიალი და ფაჩუნი, ჟამიდან-ჟამზე ზეციდან ან ჭაობიდან მოისმოდა ფრთოსანთა კუტკუტი, რომელსაც მძინარე კაცის სუნთქვაც ჩაერთვოდა ხოლმე. ასე გავიდა რამდენიმე ხანი. ბოლოს გოგონა ვაჟისკენ დაიხარა და მისი გრძელი ნაწნავები მძინარის ლოყებს შეეხო. ვაჟმა თვალი გაახილა და, როგორც კი გოგონას ქორფა სახე დაინახა, ისევ ძილბურანში მყოფმა წარმოთქვა:

— ო, რა ლურჯი თვალები გაქვს, პრინცესა!

— ძალიან ლურჯი! — მიუგო გოგონამ. — დედისგან გამომყვა.

— დედისგან? მერე და დედა გყავს?

— რა სულელი ხარ! — მიუგო გოგონამ და ფეხზე წამოხტა. — ოთხი კვირაა, დედაჩემი მამასახლისს გაჰყვა ცოლად. მას შემდეგ პაპასთან ვცხოვრობ.

ვაჟი სულ გამოფხიზლდა.

— ჩემს მშობლიურ ადგილებში დავიბენი. გზა მაპოვნინე. ბანამდე კი მითხარი, რა გქვია?

— რეგინა! — მიუგო გოგონამ.

— რეგინა!... მე კი გაბრიელი მქვია.

რეგინას თვალები გაუფართოვდა.

— არა, მთავარანგელოზი გაბრიელი არა ვარ!

— ნუ იცინი! — უთხრა გოგონამ. — იმას შენზე კარგად მე ვიცნობ.

— რას ამბობ! მაშ შენ მასწავლებლის შვილიშვილი ხარ?

გოგონამ თქვა:

— არა მასწავლებლის შვილი ვარ. მამაჩემი შარშან გზაფხულზე გარდაიცვალა.

ერთხანს ორივემ იყუჩა. მერე გაბრიელმა გოგონას უთხრა, ხვალ დილას ქალაქში უნდა ვიყო და როგორ მივიდეო. გოგონამ ხელი ტყისკენ გაიშვირა.

— პაპაჩემი იქ ცხოვრობს. ჯერ ვისამხროთ, მერე კი გზასაც გიჩვენებ.

გაბრიელი დაეთანხმა. გოგონა ვიწრო ბილიკიდან ველზე გადავიდა და ტყისკენ გაემართა. ვაჟი თავისდაუნებურად მის ფეხებს შესცქეროდა, რადგან გოგონა სწრაფად და მტკიცედ მიდიოდა ეკლიან ბუჩქნარში და ყოველ გადაბიჯებაზე ფეხქვეშ ჭრიჭინობელები უფრინდებოდნენ. ასე მიაბიჯებდნენ ისინი გაჩახჩახებულ მზეში, რომელიც ფოთლებ შორის ოქროს ქსელივით გაბმულიყო. დროდადრო ველს ქარის თბილი სუნთქვა გადაუვლიდა და ახალგაზრდებს ყვავილთა სურნელებაში ახვევდა. ტყიდან უკვე მოისმოდა სკვინჩების ჟღურ-

ტული და წიფლის კენწეროებს შეფენილი გარეული მტრედების ფრთათა დახშული ტყლაშუნი.

გაბრიელმა, რომელიც ისევ თავის მოგზაურობაზე ფიქრობდა, სიმღერა წამოიწყო:

მზის წყნარ სხივებში გახვეულა მწვანე მიდამო,
მშვიდი ცხოვრება საამოა, ნათლის მომფენი,
მაგრამ ისეა მოწყობილი წუთისოფელი,
გინდა თუ არა, ცისქვეშეთში, უნდა ვიდავოთ.
ახლა კი უნდა ვიაროთ მტკიცედ,
ომი დაიწყო!
ყველგან ომია,
ის მისწვდა ქუჩას, გზასა თუ სივრცეს
ამ ომმა ჩვენც თან გაგვიყოლია.
მშვიდობით დედა! მწყობრისაკენ გვიხმობს საყვირი,
თუმცა ჩემს გულში ახლა, ამწუთას
აღღერდა შენი ნანა სათუთად,
მე იგი მესმის გარკვევით, ნათლად,
ამ საზარელი საყვირის ნაცვლად.'

რეგინა შედგა და მომღერალს მოხედა:

— ომი?

გაბრიელმა თავი დაუქნია.

— ომზე პაპაჩემს ნურაფერს ეტყვი,—უთხრა გოგონამ.— ამაზე ფიქრიც არ უნდა.

— შენა?—ჰკითხა გაბრიელმა.—შენ რას ფიქრობ ომზე?

— მე?.. რა საქმე აქვს ომს ჩვენთან, ქალებთან!

ვაჟს არაფერი უთქვამს და ორივემ ჩუმად განაგრძო გზა. ტყიდან თანდათან მკაფიოდ გამოიკვეთა წიფლისა და მუხის ხეები. მალე ისინი ჩრდილქვეშ შევიდნენ და შემოღობ-ლ ეზოს მიადგნენ. აქ, მინდვრის კიდეზე, იდგა პატარა გლეხუ-

რი სახლი, რომელიც ჰორიზონტისკენ დახრილ მზეს თავის სხივებში გაეხვია. ისლის დაბალ სახურავზე მზეს მიფიცხებული კატა მათ დანახვაზე დაბლა ჩამოხტა და ნახევრადგღებულ კარში გაძვრა. ვაჟი და გოგონა წინკარში შევიდნენ, სადაც კედლების გაყოლებით, ცარიელი სკები და ბაღ-ბოსტანში სამუშაო იარაღი დაეხორავებინათ. რეგინა წინ წავიდა და მეორე კარი გააღო. მის მხრებს ზემოთ გაბრიელმა პატარა ოთახს მოჰკრა თვალი. ეს ოთახი ცარიელი იყო, ოღონდ მზის სხივი ეთამაშებოდა ღუმელის თითბრის საკეტს. ისმოდა ძველი შვარცვალდური კედლის საათის ტიკტიკი.

— საფუტკრეში გავიდეთ, — მიიწვია გოგონამ გაბრიელი.

გაბრიელმა თოფი მოიხსნა და ოთახის კუთხეში მიაყუდა. მერე ორივენი ბაღში გავიდნენ, რომელიც იქვე, ფანჯრებიდან იწყებოდა. გაიარეს ლაღადგაზრდილი ალუბლის ქვეშ, რომელსაც ძლიერი ტოტები სახლზე გადაეფარებინა. ვიწრო კვლებს შორის გამავალი სწორი ბილიკით ისინი გავიდნენ პატარა ველზე, სადაც წიფლის ხეები პატარა ოთხკუთხედ მოედანს მწვანე კედელად შემოვლებოდა. შიგ შესასვლელი გზა პატარა კარს გადაეკეტა, მაგრამ კარი იმდენად დაბალი იყო, რომ გაბრიელმა იქაურობა კარგად მოათვალიერა. ახლოს რომ მივიდნენ, მწვანე კედლის პირდაპირ ჩრდილში, გაბრიელმა ფუტკრის როგოები შენიშნა. მათ ზემოთ, ორრიგად ჩაემწკრივებინათ ჭილისაგან მოწნული კალათები. ცოტა მოშორებით იჯდა ადგილობრივ გლეხურ ტანისამოში გამოწყობილი მოხუცი კაცი. მზე დაჰნათოდა მის უნიშნო, მხცით მოსილ თავს. გვერდით მიწაზე ეწყო წმინდა მავთულის ბადე, ცარიელი კალათა და რამდენიმე სხვა იარაღი, ხელში ბარამბოს ღერო ეჭირა და ყურადღებით ათვალიერებდა. კარგად რომ დააკვირდა, გაბრ-

ელმა შეამჩნია, რომ ბარამბოს ფოთლებს ფუტკრები დახვევოდა, ნაწილი კი დაბლა ჩამოცოცებულიყო და მოხუცის ხელებზე დაფუთფუთებდა.

— პაპაშენია? — ჰკითხა მან გოგონას.

— უფრო სწორად, დედაჩემის პაპაა, — მიუგო რეგინამ.

— ძალზე მოხუცია.

გოგონამ კარი შეაღო.

— ა, შვნა ხარ, რეგინა? — იკითხა მოხუცმა.

— ჰო, მე ვარ.

— გუშინ საღამოს დედაფუტკარმა ამაოდ იზუზუნა. ხვალ დილით ისევ უნდა ვუდარაჯო,—წარმოთქვა მოხუცმა და უცხო სტუმარი შეათვალიერა.—ახლოს მობრძანდით, ყმაწვილო. დღეს უკვე აღარ იყრიან.

მოსულები შიგნით შევიდნენ. რეგინამ კალათა აიღო, მერე ბაღში სამუშაო იარაღები წამოკრიფა, — ახლა მაინც საჭირო აღარ იყო, — და სახლისკენ წაიღო. მოხუცმა ფრთხილად აიცალა ხელიდან ფუტკრები.

— ესენიც ადამიანებივით გონივრები არიან, ოღონდ მათთან მუშაობისას მოთმინებამ არ უნდა გიღალატოს. — მოხუცმა ყვავილის ღერო ბალახებში ჩადო და გაბრიელს ხელი გაუწოდა.

მოხუცმა სტუმარი გვერდით მოისვა და თავის ფუტკრებზე გაუბა საუბარი. მოუყვა, როგორ უვლიდა მათ ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას, მერე როგორ გააკეთა ამ სამოცდაათი წლის წინ ეს ღობე და ღვთის წყალობით საფუტკრემ ისეთი შემოსავალი მისცა, რომ მთელი მეურნეობა ფეხზე დააყენა, შემდეგ თავისი დაქორწინების ამბავი გაიხსენა, უამბო შვილე-

ბის, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების შესახებ. მათ ნათლობასა და გარდაცვალებაზე და მთელ მის საუბარს არ მოსცილებია ფუტკრის ხსენება. მოხუცის საუბარი წყლის წანწკარს მოგაგონებდათ, საამოდ აღწერდა მშვიდი ცხოვრების სურათებს. გაბრიელს თავი ხელზე დაეყრდნო და შეჰყურებდა დაგვიანებულ ფუტკრებს, რომლებიც მწვანე კედლებზე გადმოდიოდნენ და შინისკენ მოეშურებოდნენ. ზოგჯერ ბაღის მეორე მხარეს მდებარე სახლიდან კარის ხმა მოისმოდა. ფოთლებს შორის მატლმა თავი გამოჰყო და ყმაწვილს ცნობისმოყვარეობით შეაცქერდა. ასე გავიდა რამდენიმე ხანი. მერე რეგინა დაბრუნდა, იდაყვებით ბაღის კარს ჩამოეყრდნო და კაცების ლაპარაკს მიუგდო ყური. ფოთლებს შორის გოგონას ქორფა სახე ისე მოჩანდა, თითქოს მწვანე ჩარჩოში ჩაუსვამთო.

თანდათან მინელდა ჰაერში სულიერთა ხმიანობა, მწვანე მიდამოს ბინდი დააწვა. გაბრიელი გოგონას გასცქეროდა. მოხუცი ისევ თავის ამბებს ჰყვებოდა დინჯად. ზოგჯერ დროის თანმიმდევრობას ვედარ იცავდა, შვილებს შვილიშვილებში ურევდა, შვილიშვილებს შვილთა ბადიშებში, ასეთ დროს გოგონა ეუბნებოდა პაპას:

— თქვენ ცდებით, პაპა. ეს ბიძაჩემი იყო, ახლა კი დედაჩემის ამბავს ჰყვებით.

მოხუცი კი მკაცრად აწყვეტინებდა:

— ყველა მათგანი კარგად მახსოვს, არც ეგეთი გულმავიწყი ვარ.

ბოლოს როცა კარგად აგრილდა, მოხუცი წამოდგა.

— შინ შევიდეთ, — თქვა მან. — საღამოა. უკვე ჩიტმაც მოძებნა ბუდე.

ერთმანეთის თანმიყოლებით გამოვიდნენ და მოხუცმა კარს ურდული გაუყარა.

ოთახში რომ შეევიდნენ, მზის სხივთა უკანასკნელი მკრთალი ათინათინი სხვენქვეშ გადებულ კოჭსღა ხვდებოდა. ფანჯრის რაფაზე მათიოლები მძაფრ სუნს აფრქვევდნენ. უხეშად ნაქსოვი სუფრაგადაფარებული მაგიდა ორ ფანჯარას შუა მიედგათ. ზედ მოხდენილად დაელაგებინათ შავი პურის ნაჭრები, მოყვითალო კარაქი და ახალად მოწველილი რძით სავსე ჭიქები. მოხუცი ფანჯარასთან მიდგმულ სავარძელში ჩაჯდა, გაბრიელი მეორეში, მის პირდაპირ, ხოლო საშინაო საქმეში გართული რეგინა ხან გადიოდა და ხან შემოდიოდა.

მამაკაცები ამ მოკრძალებულ ტრაპეზს შეექცნენ. გაბრიელი წამდაუწუმ პატარა ფანჯრიდან ბაღში იმზირებოდა. მოხუცმა სათვალე მოირგო, რძიანი ჯიქიდან დანის წვერით ღამის ქინქლა ამოიღო და ფრთხილად დასვა მაგიდაზე.

— არაფერი დაზიანებია, კიდევაც იფრენს, — თქვა მოხუცმა. — აუცილებელია, ყოველ სულიერს გაჭირვებაში დაეხმარო.

ფანჯარასთან მდგარი ბებერი ალუბლის ხიდან გაბრიელს რამდენჯერმე ტკაცანი შემოესმა. ზემოთ რომ აიხედა, თვალი შეასწრო ორ მარდ ფეხს, რომელიც ხის ტოტებში მიიმალა. იმავე წუთს ბაღს ჩხავილით რამდენიმე ფრინველმა გადაუარა. ალბათ, ტყიდან თუ იყო, ნაჯახის ერთფეროვანი ხმა ისმოდა.

— როგორც ეტყობა, აქედან სოფელი საკმაოდ შორს არის, არა? — იკითხა გაბრიელმა.

— თითქმის ერთი საათის სავალია, — მიუგო მოხუცმა. — ჩვენი სახლი ნამდვილად ღვთის საუფლოშია. მას შემდეგ, რაც მასწავლებლის ცოლი მეორედ გათხოვდა, გოგონა ჩემ-

ოან იზრდება.—მოხუცმა ხელი კარს ზემოთ გაკეთებულ ვიწრო ფანჯარისაკენ გაიშვირა. გაბრიელმა მასზე სხვა წვრილმან ნივთებთან ერთად რამდენიმე კარგად შენახული წიგნი დაინახა.—ეს წიგნები მამამისისაგან დარჩა,—განაგრძო მოხუცმა.—მაგრამ გოგოს წიგნი არ იტაცებს, შინ ვერ ჩერდება. მხოლოდ შაბათობით, როცა ღარიბ-ღატაკი ფრიცი მოვა ხოლმე, დასხდებიან ერთად ღუმელის უკან და ფრიცის ზღაპრებს ჯადოქრებზე ბოლო არ უჩანს.

ამასობაში ოთახში გოგონა შემოვიდა და მაგიდაზე ძთელი წინსაფარი წითლად გაღუებული ალუბალი გადმოჰყარა.

— ეს შაშვები კიდევ შემოსევიან ტყიდან!—თქვა გოგონამ.

— მერე მაგ ქურდბაცაცებს რატომ არ დაამწყვდევ?—ჰკითხა მას გაბრიელმა, რომელმაც ფანჯრის ალათაზე ცარიელი გალია შენიშნა.

გოგონამ ვაჟს თვალი ჩაუკრა. პაპამ შვილიშვილს მუქარით დაუქნია ხელი.

— ეს იმისთანა ეშმაკი ვინმეა, რომ გალიაში ჩიტს არ აყენებს.

გაბრიელმა გოგონას გახედა. რეგინამ გაიცინა და ლოყები შეეფაკლა. ვაჟმა თვალი აღარ მოაცილა. გოგონამ ნაწნავზე წაივლო ხელი, კბილებით მოწიწკნა და ოთახიდან გაიქცა.

— მთლად თავის განსვენებულ მამას ჰგავს,—წარმოთქვა მოხუცმა და სავარძლის საზურგეს ნელა მიეყრდნო.

კარგად მოსაღამოვდა. სიბნელე ხეებს ბაღიდან მოეპარა და თანდათან სახლისაკენ წამოვიდა. გაბრიელმა მოხუცს უთხრა, ხვალ დილით, ადრე ქალაქში უნდა ვიყო და საით უნდა წავიდე ან რომელი გზით, რომ არ დავიგვიანოო.

— მთვარე მალე ამოვა,— მიუგო მოხუცმა.—წასასვლელად სწორედ რომ კარგი დროა.

ცოტა ხანს კიდევ ისაუბრეს. როცა მთლად დაბნელდა, ბერიკაცი გაჩუმდა და ჩაბნელებული ფანჯრიდან ბაღში დაიწყო მზერა. გაბრიელი შესცქეროდა მოხუცის მშვიდ სახეს, რომელსაც გარედან შემოჭრილ სიბნელეში ძლივსღა არჩევდა და თვითონაც გაჩუმდა. ოთახში დუმილი გამეფდა, მხოლოდ ძველი კედლის საათიღა ტიკტიკებდა შეუჩერებლად.

რეგინა შემოსვლას აგვიანებდა. ბაღის იქით მიდამოს უკვე მოედო ამომავალი მთვარის ნათელი. გაბრიელი წამოდგა და გოგონასთან გამოსათხოვებლად ბაღში გავიდა. მაგრამ გოგონა იქ არ ჩანდა. უცბად ცერცვის კვლებთან შრიალი გაისმა... რეგინა კვლებში ჩაცუცქულიყო და კალთა ცერცვით შუამდე მოეყარა.

— უკვე გვიან არის,—თქვა გაბრიელმა, კვლებზე გადმოხრილი ცერცვი აქეთ-იქით მისწი-მოსწია და მისკენ წავიდა.— უნდა წავიდე. მზის ამოსვლამდე ქალაქში უნდა ვიყო.

რეგინა თავაუწევლად განაგრძობდა კრეფას.

— ქალაქამდე არც ისე შორი გზაა,—უთხრა გოგონამ და დაიხარა, რომ შორს დარჩენილი პარკები ჩამოეკრიფა.

— დადიხარ ხოლმე იქ?—ჰკითხა გაბრიელმა.

— მე?... არა! ასე შორს არ დავდივარ. მხოლოდ ერთხელ ვიყავი. ჩრდილოეთში შამაჩემს ერთი და ჰყავდა, იქ მისვლამდე თითქმის მთელი დღე ვიარეთ. მაგრამ იქაურობა სულ არ მომეწონა: არც იმ ხალხის ლაპარაკი მესმოდა. თუ რამეს ვიტყოდი, მეკითხებოდნენ, სადაური ხარო.

— აქ რომ მარტო ხარ? მთელი დღეები ბებერი პაპის მეტს ვერავის ხედავ.

გოგონამ თავი დააქნია.

— ჰო, სოფელში უფრო მხიარულებაა. დედაჩემი და მამა-სახლისი პაპას ბევრს ეხვეწნენ, აქ გადმოდიო, მაგრამ მოხუცი აქედან არ მიდის. ამბობს, „აბა, იმდენ სახლებში რა ჰაერი უნ და მეყოსო.

გაბრიელი გოგონასთან მიცუცქდა და ცერცვის კრეფაში შეეშველა. რეგინა წამდაუწუმ ახანხალებდა კალათს, რომელიც უკვე გავსებულიყო და ცერცვის პარკები აღარ თავსდებოდა. სიბნელე თანდათან ძალას იკრებდა. ვაჟი და გოგონა ცერცვს ვეღარ არჩევდნენ და ხელის ცეცებით პოულობდნენ. მოკრეფილი პარკები კი სავსე კალათიდან ძირს ცვიოდა, მაგრამ, თითქოს მოჯადოებული იყვნენ, კრეფას მაინც არ ეშვებოდნენ.

ერთბაშად გაბრიელს რაღაც დაგუბული, ყრუ ხმა მოესმა, თითქოს მიწის გულიდან მოდისო. მიწაც ოდნავ შესამჩნევად შეირყა. ყური მიწას დაადო და ასე გაიტრუნა. კიდევ რამდენჯერმე მოისმა ყრუ გუგუნი. ნეტა იქ რა ხდება, რომ ამ ღამიანად ქვემეხებს აგრიალებენ?... რეგინას, ეტყობოდა, ვერაფერი გაეგო. მან თავი ოდნავ წამოსწია და მშვიდად თქვა:

— სოფელში ათი საათისა დარეკეს.

გაბრიელი ფეხზე წამოიჭრა. გახელებულმა მოუთმენლობამ შეიპყრო, აღარ შეეძლო ამ გაურკვეველ სიმშვიდეში დარჩენილიყო.

— ო, ნეტავ კიდევ დავბრუნდებოდე, რეგინა!—ხმამაღლა წამოიძახა გაბრიელმა.

რეგინამ ვაჟს ახედა და სიბნელეში გაბრიელმა ორი დიდი მბრწყინავი თვალი გაარჩია.

უცბად ბილიკზე ბერიკაცის ნაბიჯის ხმა გაისმა. გაბრიელი

მადლობის სათქმელად მისკენ გაემართა და ისიც უთხრა. ახლა წავალო. როცა მოხუცმა მოინდომა, მისთვის გზა კიდევ ერთხელ ესწავლებინა, რეგინა ზეზე წამოდგა და მშვიდად თქვა:

— არ გინდა, პაპავ. ბორნამდე მე გავაცილებ.

პაპამ თავი დაიქნია და გაბრიელს ხელი გაუწოდა. მერე თოფზე წაუვლო ხელი, — როცა კუთხეში იყო მიყუდებული, მაშინაც რამდენჯერმე შეათვალიერა ყურადღებით,—და ეშმაკური ღიმილით უთხრა:

— ეჭვი არაა, ერთმანეთს კვლავ ვნახავთ, ჭაბუკო. თქვენ ისევ დაბრუნდებით ხვალ იქნება, თუ ზეგ.

ბერიკაცი სახლისაკენ გაემართა, ხოლო გაბრიელი რეგინას მიჰყვა და ბაღიდან გამოვიდნენ. ველს რომ მიაღწიეს, მთვარემ პირდაპირ სახეში შეანათა. ბილიკი საფუტკრის გვერდით მიიმართებოდა, მაგრამ ახლა იქაურობა მიწყნარებულიყო, მხოლოდ რომელიღაც მწერი დაბზუოდა ფუტკართა მიძინებულ საბრძანებელში. აქედან ორიოდ ასეულ მეტრზე იდუმლად ჩაშავებული ტყე მოჩანდა. მისი ჩრდილები შორს ეფინებოდა ველს. როცა მათ ტყის ნოტიო ჩრდილს მიაღწიეს, გაბრიელმა შეამჩნია ფიჭვის ფესვებისაგან გაკეთებული პატარა კიბე, რომელიც ზემოთ უფრო ხშირი ტყისკენ მიიმართებოდა. ტოტები მისწი-მოსწიეს და კიბით ტყის შუაგულში შევიდნენ. სიბნელეში ჩაკარგული ბილიკი ზედ ტყის პირას გადიოდა. მარტო მდგომ ხეებსა და ბუჩქნარს შორის მოჩანდა მთვარის შუქით გაჩახჩახებული ველი. რეგინა წინ მიდიოდა. მთვარის სხივები ლივლივებდა ტოტებში და ჩაშავებულ ფოთლებს ნამის წვეთებად ეკიდებოდა. დროდადრო მთვარე სიბნელიდან გამოჰკვეთავდა გოგონას ქერათმიან თავს, რომელიც

ისევ მალე იკარგებოდა სიბნელეში. გაბრიელი ხმის ამოღებ-ლად მიჰყვებოდა რეგინას. ესმოდა, როგორ მიაშრიალებდა წინა წლის გამხმარ ფოთლებს რეგინა, ხან კი ხის ქერქში ჩაბუდებული ხოჭოების ფუთფუთი აღწევდა მის სმენამდე. ნიავი არ იძვროდა. მიდამო გაყურსულიყო, მხოლოდ ფო-თოლთა ჩუმი ტკაცუნი თუ ხვდებოდა ყურს. რამდენიმე ხნის შემდეგ ტყის სიბნელეს რაღაც ჩრდილი გამოეყო და მათ გვერდით გაუყვა გზას. სულ ახლოს გაბრიელმა ორი მოელვა-რე თვალი შენიშნა.

— ეს რა არის?—იკითხა მან.

ბილიკზე შვლის ნუკრმა ისკუპა.

— ჩემი მეგობარია!—შესძახა გოგონამ და სწრაფად გა-იქცა, შველი კი უკან მიჰყვა.

გაბრიელი მათ ჩამორჩა და ერთ ხეს მიეყრდნო. ესმოდა, როგორ გარბოდა ბუჩქებში შველი,—გოგონა კი ტაშს უკ-რავდა, შემდეგ ყველაფერი სიშორემ შთანთქა. მის ირგვლივ მდუმარება გამეფდა. მხოლოდ ზაფხულის ღამის იდუმალებით აღსავსე მუსიკა თუ ჩაესმოდა ხანდახან ყურში. ვაჟმა სუნ-თქვა შეაჩერა და გაინაბა, ყური მიუგდო ათასგვარ უნაზეს ხმას, რომლებიც ხან წარმოუდგენლად შორს გაისმოდა, ხან ისე ახლოს, რომ შეკრთებოდა კიდეც; ხან საამოდ ეფინებო-და მიდამოს, ხან კი ისევ მიჩუმდებოდა. გაბრიელს ვერ გაერ-კვია, ეს ტყესა და ველზე მოლიკლიკე წყაროებისაგან დაღ-ვრილი ხმები იყო, თუ თვით ღამე ვიდოდა მელოდიურად. ახლა ისე ეჩვენებოდა, თითქოს უსასრულოდ ბევრი დრო გა-სულიყო, იმ დილას აქეთ, როცა მან მიატოვა მშობლიური სახლ-კარი და გამოეთხოვა დედას.

ბოლოს გოგონა უკანვე მობრუნდა. გაბრიელთან მივიდა და ხელი თოფზე დაადო.

— ძალიან შემეჩვია,—თქვა მან,—ხშირად დავრბივართ ერთად.

თოფის თასმის გახმიანებამ გამოაფხიზლა ვაჟი.

— წამო, წავიდეთ, გზა მიჩვენე,—მიმართა რეგინას.

რეგინას ერთხანს ხმა არ ამოუღია. შემდეგ სტუმარს დამორჩილდა და გზაწვრილიდან ტყეში გადაუხვია. აქ უკვე აღარსად ჩანდა კაცის ფეხდადგმული ბილიკი. მიწიდან ამოჩრილი ფესვები გაბრიელს ფეხებში ებლანდებოდა, დაბლა დაშვებული ტოტები სახეში სცემდა ან თოფში ეჩხირებოდა. ისე ჩამობნელდა, ძლივსღა არჩევდა მის წინ მიმავალ გოგონას, რომელიც ლაღად მიძვრებოდა ბუჩქნართა შორის. ხანდახან, როცა ბარდნარის ეკლები გაკაწრავდა და ვაჟი შემკრთალი შეჰყვირებდა, წინიდან გოგონას მზაკვრული ჩაკისკისება ესმოდა: ბოლოს რეგინა დაელოდა გაბრიელს და ხელი გაუწოდა. გზა ხელიხელჩაკიდებულებმა ჩუმად განაგრძეს, შორიდან წყლის ტლაშუნი მოისმა. გაბრიელმა ყური მიუგდო.

— ნავტიკია,—უთხრა გოგონამ,—ჩვენს ქვემოთ მდინარის უბეა.

ვაჟმა მალე მკაფიოდ გაარჩია ნიჩბების მოსმის ხმა. ტყემ ერთბაშად უკან დაიხია და მათ წინ გადაიშალა მთვარით განათებული ველის ფაქიზი კონტურები. მთელი მინდორი ნამის მოვერცხლილ წვეთებს დაეფარა. ზედ გავლებული ბილიკი შავად ეშვებოდა მდინარისაკენ. წყალზე გადასარკული მთვარის სხივთა ხიდი ოდნავ ცახცახებდა ტალღების ლივლივს აყოლებული. გაღმიდან წამოსული ნავტიკი მთვარის

სხივთა კონაში ჩრდილად შეიჭრა. გაბრიელმა გაღმა გაიხედა, მაგრამ ნისლის ლეჩაქში კერაფერი გაარჩია.

— აღარ წამოვალ,—თქვა გოგონამ და გაბრიელს ხელი გაუწოდა.

— აი, ეს ბილიკი ჩადის ნავმისადგომთან, გზა აღარ დაგეკარგება.

ისინი ჯერაც ჩრდილში იდგნენ, მაგრამ მათ ირგვლივ ისეთი შუქი იდგა, რომ გაბრიელი ნათლად ხედავდა გოგონას სხეულს, მის ყოველ მოძრაობას. სირბილისას გოგონას ნაწნავები თავზე შემოეხვია და ახლა გვირგვინივით ადგა. ერთბაშად ვაჟს რეგინა ძალზე ამაყი და უმწიკვლო მოეჩვენა. მთვარის შუქზე გოგონას ხელი გაეშვირა და გზას უჩვენებდა გაბრიელს, რომელსაც მისთვის თვალი ვეღარ მოეწყვიტა.

— კარგად იყავი, რეგინა!—მიმართა ვაჟმა და გოგონას ხელი გაუწოდა.

მაგრამ გოგონამ უკან დაიხია და გაუბედავად ჰკითხა:

— ერთი ეს მითხარი... რატომ მიდიხარ ოჰში?

— განა არ იცი, რეგინა?

გოგონამ თავი გადაიქნია.

— პაპაჩემი ამ საკითხზე არაფერს ამბობს,—წარმოთქვა მან და ბავშვივით ახედა გაბრიელს.

გაბრიელი მის თვალებში ჩაიძირა და ხმა ვერ გაიღო. უცბად ბუჩქებიდან ბულბულის სტვენა გაისმა, ფოთლებმაც რაღაც ჩაიჩურჩულეს. გოგონა იდგა ვაჟის წინ უსიტყვოდ, თვალსაც აღარ ახამხამებდა და სიცოცხლის ნიშანი ნაზ სუნთქვაზეღა ეტყობოდა. მხოლოდ თვალებში, თვალთა უძირო ფსკერზე ემჩნეოდა გულის თრთოლვა და სულის ფანცქალი. ვაჟმა არ იცოდა, რატომ უმზერდა გოგონა ასე.

— ჰო, მიპასუხე,—ამოთქვა ბოლოს გოგონამ..

ვაჟმა თავს ზემოთ გადმოხრილი ტოტი მოიწია და ერთი ფოთოლი შეაცალა.

— აი ამ მიწის გამო, — უთხრა მან, — შენ გამო, ამ ტყის გამო... რათა აქ უცხოებმა არ ითარეშონ, რომ აქ არ ისმოდეს შენთვის გაუგებარი ლაპარაკი, . რათა აქ ყველაფერი ისევე დარჩეს, როგორც ახლაა, როგორიც უნდა იყოს კიდეც, თუ კი გვინდა, რომ ვიცოცხლოთ. მივდივარ ჩემი სამშობლოს შეურყვნელი, ტკბილი, საოცრად სუფთა ჰაერის გამო.

გოგონამ თავზე ხელი გადაისვა, თითქოს .რაღაცამ შეაკრთოო.

— წადი! — წყნარად მიუგო ვაჟს. — ღამე მშვიდობისა!

— ღამე მშვიდობისა.. სადღა გიპოვო შემდგომში?

გოგონამ .ვაჟს კისერზე მოხვია ხელები და უთხრა:

— აქვე ვიქნები, ჩემს პაპასთან.

ვაჟმა აკოცა გოგონას.

— ღამე მშვიდობისა, რეგინა!

გოგონამ მას ხელი გაუშვა. ვაჟი მთვარით განათებულ ბილიკს დაადგა. როცა რამდენიმე ხნის შემდეგ უკან მიიხედა, მოეჩვენა, თითქოს გოგონას მშვენიერი სახე იმავე ადგილიდან უმზერდა, სადაც წეღან დატოვა — ტყის ჩაბნელებული კარიბჭიდან.

წიგნი დავკეცე და ქოხთა მწკრივების გასწვრივ მოქუშულ ღღეს გავხედე. გაბრიელი ჩემთან მოვიდა და გაკრიალებული თოფი მხარზე მომაყუდა. თოფმა თვალებში შემომანათა. მე წაკითხულის შთაბეჭდილებიდან ვერ გამოვსულიყავ და გაბრიელს ვკითხე:

— ეს დამჭკნარი ფოთოლი რიღასი ნიშანია?

— შენ ისევ არ იშლი შენსას! — წამოიძახა მან. — ეგ ისევე მწვანეა, ისევე მწვანე, როგორც ივნისშია ფოთოლი.

— იმის შემდეგ იქ აღარ ყოფილხართ?

— გვერდი ას მეცამეტე! — ღიმილით მითხრა მან.

წიგნი ას მეცამეტე გვერდზე გადავშალე. აქ ლექსი დამხვდა.

და ეღვრებოდა მთის მდელოს ციდან
ზღაპრულ სხივებად ქცეული მთვარე,
ფოთოლთა ჩრდილში გოგონა იდგა
ვერცხლისფრად მკრთომარ ზაფხულის ღამეს.
თუ ვპოვებ ისევ სიზმრისებრ ნეტარს
გზას ჭაობსა და მინდორში, ნეტავ?
გზას შინ მოსასელელს?.. და ერთი მიკვირს,
გოგონა რომ არ სცილდება ტყისპირს.

— მაგრამ მაინც რომ მოსცილებოდა?—ვთქვი მე.

— აბა, იარაღი ავისხათ! ეს ტყე და მისი მშვენება მტრის ხელთ არის.

წუნარი მუსიკოსი

ჰო, მოხუცი მუსიკოსი! მას ქრისტიან ვალენტინი ერქვა. ხანდახან, როცა საღამო ჟამს გახურებულ ღუმელთან ოცნებას მივეცემი, თვალწინ მისი გამხდარი, შავი მაუდის გახეხილ სერთუკში გამოწყობილი ფიგურა წარმომიდგება. და როცა იგი სხვა მნახველთა მსგავსად, აქ რომ დუმილითა და უჩუმრად გარს მეხვევიან, თანდათან ისევ იმ ნისლში. უჩინარდება, საიდანაც ეს-ეს იყო ამოტივტივდა, გულში რაღაც ამითრთოლდება, მსურს ხელები მისკენ გავიწვდინო, შევაჩერო და უკაცრიელ გზაზე ორიოდე გულთბილი სიტყვა თან გავატანო.

მრავალ წელს ვცხოვრობდით ერთმანეთის მეზობლად ერთ ჩრდილო-გერმანულ ქალაქში. ეს თმაშეთხელებული, მოკრძალებული ქერა მამაკაცი ხშირად ჩამივლიდა გვერდით. ერთ დღეს კი ბუკინისტის სავაჭროში შევხვდი. ამ წუთიდან

მოკიდებული ჩვენ შორის ნაცნობობა გაიბა. ორივენი წიგნების შეგროვებით ვიყავით გატაცებულნი, თუმცა ორივეს ჩვენ-ჩვენი მიდრეკილება გვქონდა. სავაჭროში რომ შევედით, ბას ხელში ჰაუფის „ლიხტენშტაინის“* ილუსტრირებული გამოცემა ეჭირა. დახლზე დახრილიყო და მთელი გულისყურით წიგნს ფურცლავდა. ამის მიუხედავად მაშინვე სალმით შემეგება.

— სასიამოვნო წიგნი გიშოვიათ! — შევნიშნე მე და სალამზე ვუპასუხე.

მან წიგნს თავი მიანება და შემომხედა.

— მართლაც სასიამოვნოა! — მითხრა მან, ფერდაკარგული თვალები აუციმციმდა და ჩვეულებრივი ულამაზო სახე ბავშვურმა ღიმილმა გაუცისკროვნა. — თქვენც მოგწონთ ეს რომანი? ძალზე გამახარეთ. დაუსრულებლად შემიძლია მისი კითხვა.

საუბარი გავაბით. მე მოვუყევი, რომ შარშან ის ადგილი მოვინახულე, სადაც წიგნში აღწერილი მოქმედება მიმდინარეობს და კლდის ქიმზე ავტორის მიერ სახელგანთქმულ ციხედარბაზთან* მწერლის ბიუსტიც ვნახე, რამაც ძალზე გამახარა-მეთქი. მაგრამ ამან ჩემი მსმენელი სულაც არ დააკმაყოფილა.

— მხოლოდ ბიუსტი? — მკითხა მან. — ასეთი ადამიანისათვის მთელი ქანდაკება უნდა დაედგათ! გაგაცინეთ, არა? — განაგრძო მან ისევ მოკრძალებული, მეგობრული კილოთი.— ნუ გაგიკვირდებათ, შესაძლოა, მაინცდამაინც ნატიფი გემოვნებისა არ აღმოჩნდე.

... შემდგომში იგი უფრო ახლო გავიცანი. არ შეიძლებოდა მდარე გემოვნების ადამიანად მიგეჩნიათ; მაგრამ თუ მუ-

სიკის სამყაროში ჰაიდნი და მოცარტი სწამდა, პოეზიაში ულანდის* გაზაფხულის მაუწყებელ, ნათელ ლექსებსა და ჰიოლტის* სამარისებურად მშვიდ სტროფებს აღმერთებდა ძის მაგიდაზე ხშირად მინახავს ამ ავტორების წიგნები გადაშლილი.

ამის შემდეგ, როგორც კი ერთმანეთს ბუკინისტთან ან სადმე ქუჩაში შევხვდებოდით, რამდენიმე ხანს ერთად გავივლიდით და ურთიერთს რაიმეზე აზრს გავუზიარებდით. ასე გავიგე, რომ იგი აქ, თავის მშობლიურ ქალაქში, ფორტეპიანოს მასწავლებელი ყოფილა, მაგრამ გაკვეთილებს მხოლოდ საშუალო ფენისა და ღარიბ მოსამსახურეთა ოჯახებში აძლევდა. არც ის დაუმალავს, რომ გაკვეთილების გასამრჯელო თურმე მხოლოდ უბრალო ოთახის ქირად ჰყოფნის, რომელიც ქალაქთან ახლოს ერთი მოსარეცხისაგან დაუქირავებია რამდენიმე წლის წინ.

— რას იზამ! — წარმოთქვა მან, — უცოლშვილოდ დარჩენილი ბერიკაცისათვის ეს სულაც არ არის ცუდი. ოღონდ ეს კია, უსიამოვნო აზრები ახლო არ უნდა გაიკარო! სახლის წინ მშვენიერი მწვანე კორდია და თუ იქ სარეცხი არ ფენია, ფანჯრიდან კარგი გასახედია. ჯერ კიდევ ბავშვობისას ვთამაშობდი ამ ველზე, როცა ჩვენს მსახურ გოგოებს აქ სარეცხით სავსე, მძიმე კალათების მოტანაში ვეშველებოდი. ის ვაძლის ხეც, ადრე რომ ხშირად არხევდნენ ჩემთვის, თავის ძველსავე ადგილას დგას.

მართლაც და, როცა ერთხელ ჩვენი ერთად სეირნობის შემდეგ მუსიკოსთან ერთად მის პაწაწინა ოთახში შევდგი ფეხი, იქაურობა გულმისავალი მეჩვენა. იმჟამად კორდზე სარეცხი არ ეფინა და ფანჯრიდან ხასხასა ბალახი მოჩანდა.

დივანის ზემოთ, კედელზე, ლესინგის* ორი ცნობილი ტყის პეიზაჟი ეკიდა. ესენი, როგორც მასპინძელმა მითხრა, მამის დანატოვარი ყოფილა. კარგად მოვლილი თავახდილი როიალის ზემოთ გრაფიტით დიდებულად შესრულებული ქალის პორტრეტი ეკიდა ნეგოს შტოებით გარშემოვლებული. პორტრეტის წინ შევდექი და ყურადღებით შევაცქერდი. მუსიკოსი გვერდით ამომიდგა და მოკრძალებით მითხრა:

— შეიძლება თქვენ არც კი დამიჯეროთ, ეს კეთილშობილი ადამიანი დედაჩემი გახლავთ; დიახ, ნამდვილად დედაჩემია.

— სიამოვნებით დავიჯერებ, — მივუგე მე, რადგან სურათიდან მიმზერდა თვით მუსიკოსის სახე, რომელიც ხშირად მინახავს მეგობრული აღტყინებით გაბრწყინებული.

თითქოს ჩემი ფიქრები ამოიკითხა, მასპინძელმა ნათქვამს დაუმატა:

— თქვენ მისი ღიმილი უნდა გენახათ! ნახატი ხომ ამას ვერ გადმოსცემს!

როცა შემდეგ საუბარი მის საყვარელ კომპოზიტორებზე ჩამოვარდა, თავისი აზრის გამოსათქმელად იგი დროდადრო როიალზე ამა თუ იმ მუსიკალური ფრაზის რამდენიმე ტაქტს უკრავდა. მე ვთხოვე, დაკვრა განაგრძეთ-მეთქი, მაგრამ მასპინძელმა დაიმორცხვა და თავის არიდება სცადა. ბოლოს, რაკიღა არ მოვეშვი, შემკრთალმა მითხრა:

— ო, ოღონდ კი დაკვრას ნუ მთხოვთ! უკვე მრავალი წელია აღარ ვუკრავ.

— მაშ ეს რა არის? — შევეკითხე მუსიკოსს და „წელიწადის დრონის“* პარტიტურაზე მივუთითე, რომელიც პიუ-

პიტრჯე იდო გადაშლილი. — მაგას ხომ თქვენი მოწაფეები არ უკრავენ?

მან აჩქარებით დამიქნია თავი.

— დიახ, დიახ, მაგრამ ეს მხოლოდ თვალის გადასავლებლად მქონდა გადაშლილი. როცა გამუდმებით მუსიკის მხოლოდ ელემენტალურ საკითხებს ასწავლი, ამის გადათვალიერებაც საჭიროა... პირდაპირ განსაცვიფრებელია, ერთმა კაცმა, როგორ შეიძლო ამდენი რამის დაწერა! — და აღტაცებული სახით ნოტების წიგნის ფურცვლას შეუდგა.

როცა რამდენიმე ხნის შემდეგ მისი ოთახიდან გამოვედი, დავინახე კარზე გარედან გაკრული წარწერა, რომელიც მოცარტის Ave verum-იდან* ამოღებული რამდენიმე ტაქტი აღმოჩნდა. შემდგომი სტუმრობისას შევამჩნიე, რომ წარწერას დროდადრო აახლებდა — ან რომელიმე მწერლის გამონათქვამს უმატებდა ანდა, უფრო ხშირად, ძველი მუსიკალური ნაწარმოებიდან ამოღებულ რამდენიმე ტაქტს. ერთხელ მას ამ უცნაური ამბის თაობაზე ვკითხე. სახეზე მისთვის დამახასიათებელმა ბავშვურმა ღიმილმა გადაურბინა.

— განა ეს საუკეთესო მისალმება არ არის, როცა კაცი თავის პატარა ჭერქვეშ დაღლილი ბრუნდება? — გულწრფელი კილოთი მიპასუხა მუსიკოსმა.

დიდხანს ჩვენი ურთიერთობა ამგვარად გრძელდებოდა. უფრო ახლოს მისი გაცნობა ვეღარ მოვახერხე. ერთხელ, ისის იყო ქუჩაში ფარნები აანთეს, რომ ერთი დიდი სახლის ფლაყაფის კარიდან გამოსულს მოვკარი თვალი. დაძაბული შრომის შემდეგ ქუჩაში გავლას ვაპირებდი და მუსიკოსს შევეხმიანე. მან მიცნო და თავი მეგობრულად დამიქნია.

— რამდენი ხანია, რაც თავმჯდომარის ოჯახში ატარებთ გაკვეთილებს?

მუსიკოსს გაეცინა.

— მე მეუბნებით? თქვენ, ალბათ, ხუმრობთ! არა, მუსიკის გაკვეთილებს იქ ახალგაზრდა ლაიფციგელი დოქტორი ატარებს. თქვენ ხომ იცნობთ მას! ბრწყინვალე მუსიკოსია. გარწმუნებთ, დიდებული ახალგაზრდაა!

— უკვე ასე კარგად გაიცანით? — ღიმილით ვკითხე მე.

— ო, არა, სულაც არ ვიცნობ. მაგრამ ასეთი მუსიკოსი, კარგი ადამიანიც უნდა იყოს.

ამის საწინააღმდეგო მეც არაფერი მქონდა.

— ხომ არ გავიაროთ ცოტა ხანს ერთად? — ვკითხე მე.

მან თავი დამიქნია და ორივენი ქუჩას გავუყევით.

— უკანასკნელი გაკვეთილი ჩავატარე, — დაიწყო მან. — მასწავლებლის გოგონაა, აი იქით ცხოვრობენ, ქვემოთ, იმ ეზო-ყურეს იქით. იმასაც ოქროს გული აქვს, თანაც ისეთი მუსიკალურია, პირდაპირ გენიაა.

— რატომ თქვენთან არ იბარებთ მოსწავლეებს? თქვენ ხომ ახლოს ცხოვრობთ!

მან ღიმილით გაიქნია თავი.

— არა, არა, ბავშვებს ამას როგორ მოვთხოვ. ის კი ჩემთანაც მოდის ხოლმე: ამჟამად მძიმე ავადმყოფობის შემდეგ თანდათან იკრებს ძალ-ღონეს. გოგონა უკვე მოცარტის შესწავლას შეუდგა; მერე და რა ხმა აქვს! თუმცა კი მისთვის ეს ჯერ ადრეა: მხოლოდ ცამეტი წლისა შესრულდა.

— ესე იგი, თქვენ სიმღერასაც ასწავლით? მაშ თქვენ აქ ერთადერთი კაცი ყოფილხართ, ვისაც ამ საქმის რამე ესმის.

— ო, რასა ბრძანებთ, ღმერთმა დამიფაროს! — შესძახა

პიანისტმა. — რაკიღა გოგონა სკოლის მასწავლებლის შვილია და ამიტომ დიდოსტატი მუსიკოსების კარი მისთვის დახშულია, მე ვცადე, თუკი ღმერთი ორიოდ დღეს კიდევ მაცოცხლებს. ერთ დროს ერთი ხანდაზმული მომღერალი ქალის მეზობლად ვცხოვრობდი. მას თავის დროზე თვით მოცარტისთვის უმღერია და მისი მოწონებაც დაუმსახურებია. ახლა კი მისი საბრალო ბებერი ყელი კარის ანჯამებსაც ვეღარ სჯობდა. ჰო, კარგად მახსოვს, — ხმას დაუწია მუსიკოსმა, — ჩემი სახლის პატრონის ცელქი გოგონა იმ მომღერალს ჩვენ შინაურ ცხოველს ადარებდა, — სიმღერა იმასაც უყვარდა, და კეთილ მოხუცს „სენიორა კატერინას" ეძახდა. სამაგიეროდ სენიორა კატერინამ სიმღერის ფასი იცოდა და ჩვენ ორივეს ბევრჯერ შეგვისრულებია ერთად შიშის მომგვრელი დუეტი. მას სიმღერა არ ბეზრდებოდა და მე თანდათან ვეზიარე მისი სიმღერის მეთოდებს. „დაიხსომეთ, მუსიო ვალენტინ!" — მეტყოდა ხოლმე იგი, ფეხის თითებზე წამოიწევდა და ხელის თითებს გამწვირიანებულ ჩაჩზე წაივლებდა: „აი ამას მოითხოვდა დიდი მაესტრო!" — და მისი ბებერი, ამომშრალი ყელიდან, უჩვეულო სიზუსტითა და გასაოცრად მეტყველად შესრულებული რომელიმე მოცარტისეული არიის კოლორიტული პასაჟი ამოხეთქავდა. როცა სიმღერისას ჩემი აკომპანემენტი მოეწონებოდა ხოლმე, ჯიბიდან მუდამ სავსე ბროლის კოლოფს ამოიღებდა და გამხმარი თითებით პიტნის მარმელადს ჩამიდებდა პირში. ღმერთმა აცხონოს ჩემი საწყალი ბებერი მეგობარი! — დაუმატა მან უცბად აჩვილებული ხმით. — ვინ იცის, იქნებ მოხუცი ქალის იმ უკანასკნელმა მონდომებამ ახალგაზრდა გოგონას მთელ ცხოვრებას თავისი კეთილი კვალი დააჩნიოს, რადგან... — პიანისტმა თითი შუ-

ბლზე მიიკაკუნა, — აი აქ შევინახე ყველაფერი, რაც საჭიროა, რათა ყოველი ვოკალი სიმღერისას ისე გამოითქვას, როგორც ამას უკვდავი მაესტრო მოითხოვდა ახალგაზრდა პრიმადონასაგან.

—ჩემთვის ჯერ არაფერი გიამბნიათ თქვენი ახალგაზრდობის წლების შესახებ, — შევნიშნე ვალენტინს, როგორც კი გაჩუმდა. — თქვენი მშობლების ოჯახშიც უყვარდათ მუსიკა?

— რასაკვირველია, მხოლოდ ამის გამო ვარ მუსიკოსი!

— ვითომ მხოლოდ ამის გამო? ამას კი ვერ დაგიჯერებთ.

— რა ვიცი. შეიძლება ეს ნამდვილად ჩემი მოწოდებაც იყო. მაგრამ ყოველთვის რაღაც თავის ბრუალი მიშლიდა ხელს. ო, ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ძალიან! პირველად რომ სოფლის ეკლესიაში ორღანი მოვისმინე, ისე ავქვითინდი, რომ ვეღარავინ გამაჩუმა. არა, ეს მუსიკის ზემოქმედების ბრალი როდი იყო. კარზე ზარიც რომ მოულოდნელად აწკარუნებულიყო, მე ისევე ვიწყებდი ქვითინს. ამაში ბრალი ჩემს საბრალო ავადმყოფურ თავს მიუძღვის, იგი ბავშვობიდანვე მიმძიმებს ამ. მხრებს. — ვალენტინი ერთ წამს შედგა. გავიგონე, როგორ ამოიოხრა მოხუცმა, თითქოს გულში შეპარულ ვარამს იკლავსო.

— მამაჩემს ასეთი რამე არც წარმოედგინა, — განაგრძო პიანისტმა ცოტა ხნის შემდეგ. — იგი ჩვენი ქალაქის პატივცემული და აღიარებული ვექილი იყო. საყვარელი დედა თითხმეტი წლისამ დავკარგე. მას შემდეგ მე და მამაჩემი ვცხოვრობდით ერთად, ჩემი და-ძმანი უფროსები იყვნენ და თავთავიანთი ოჯახები ჰქონდათ. საქალალდეებისა და ისტორიული ხასიათის საუცხოო ბიბლიოთეკის გარდა, რომლის გამო-

ყენება მე ვერაფრით ვერ ვისწავლე, თუმცა კი ძალიან მაქეზებდნენ, მამაჩემს კიდევ ერთი რამ უყვარდა, — ეს გახლდათ მუსიკა. შეიძლება ითქვას, რომ ძირითადი მუსიკალური ცოდნა მისგან შევიძინე. შეიძლება, უკეთესი ყოფილიყო, რომ სხვა მყოლოდა მასწავლებელი... ცუდად ნუ გამიგებთ! არ გეგონოთ, რომ მის სიყვარულით გამთბარ ზრუნვას უმადურად ვიხსენებდე, მაგრამ როგორც კი თავბრუხვევა შემომიტევდა, მამაჩემი ადვილად ბრაზდებოდა, მოთმინებას კარგავდა, ეს კი სულ თავგზას მიბნევდა. ამის გამო ბევრი უსიამოვნება გადავიტანე. ახლა ვიცი, რომ მამაჩემი სულაც არ იყო დამნაშავე, რადგან სწრაფი მოსაზრება ჰქონდა და არ შეეძლო ჩემი ბოდგომარეობა გაეგო. იმას ეგონა, რომ დაბადებითვე ბოზინა ვიყავი და საჭირო იყო გამოვცოცხლებულიყავ.

მაგრამ ერთხელ, — მაშინ სწორედ კონფირმაციას ველოდი, — მამაჩემი ჩემს ყოფას მიხვდა. ო, ჩემო ძვირფასო მამავ, არასოდეს დამავიწყდება, — მან ხელები წინ გაიშვირა და უცბად დაუშვა. მერე კი კვლავ განაგრძო: — სასტუმრო ოთახში ვისხედით და ოთხი ხელით კლემენტის* სონატას ვუკრავდით. წინა საღამოს დიდხანს ვუჯექი ჰარმონიის ერთ ძნელ თემას და, როგორც ჩემი ცხონებული დედა იტყოდა ხოლმე, თავი გამომილაყდა. როცა სონატის რონდოს* შუა ნაწილს მივაღწიეთ, გონება სულ ამერია და რამდენჯერმე ზედიზედ ყალბი ნოტი ავიღე. მამა გაცხარდა. „რას ჰგავს ეს საქციელი? ეს ხომ ათასჯერ დაგიკრავს?“ რამდენიმე გვერდი უკანვე გადმოშალა და იმ ნაწილის დაკვრას თავიდან შევუდექით. მაგრამ ამაოდ! არაფერმა არ მიშველა! როგორც კი საბედისწერო ადგილთან მივდიოდით, ისევ მეშლებოდა. მამაჩემი წამოხტა და სკამი უკან მოისროლა... მიუხედავად

იმისა, რომ გულფიცხი კაცი იყო, თითი არასოდეს დაუკარებია. იმ დღეს კი, შეიძლება სხვა რამითაც იყო გაჯავრებული, რადგან სწორედ ახლა, როცა ბავშვი უკვე აღარ მეთქმოდა, მამა ისე გაფითრდა, რომ თავი ვეღარ დაიმორჩილა. ნოტები იატაკზე ჩამოცვივდა. მე ხმის ამოუღებლად ავკრიფე. ლოყებზე ცეცხლი მომედო, გული საშინლად ამიძგერდა და ასე მეგონა, პირიდან სისხლი ამომხეთქავდა. მაგრამ კვლავ როიალს მივუჯექი და ათრთოლებული ხელები კლავიშებს დავადე. მამაც გვერდით მომიჯდა. ერთმანეთისათვის არ შეგვიხედავს, არც სიტყვა გვითქვამს, სონატის დაკვრა განვაგრძეთ. ახლაც კარგად მახსოვს, — შემდეგ ხშირად მიკითხავს საკუთარი თავისთვის, იმ დიდმა გულისტკენამ ხომ არ გამიათკეცა-მეთქი ძალ-ღონე, — უცბად გულზე მომეშვა, ნოტები თითქოს თავად გაცოცხლდნენ, თითქოს აღარც შავი და თეთრი კლავიშები არსებობდნენ, რომელიც ჩემს უმწეო თითებს უნდა-აეხმაურებინა. „აი, ხომ ხედავ! — მითხრა მამამ. — საჭიროა გულით მოინდომო“.

სონატა მოვათავეთ. რაკიღა ეს სონატა ასე მოულოდნელად კარგად შევასრულე, მამამ პიუპიტრზე სხვა მუსიკალური პიესა დამიდო. იგი მარტო მე უნდა დამეკრა. მეც გაბედულად შევუდექი დაკვრას. მაგრამ მამაჩემი ახლა მხარს კი არ მიჭერდა, არამედ გვერდით მედგა და მკაცრად მიმზერდა. მე ისევ დავიბენი და ამაოდ ვცდილობდი, რომ ისე უცაბედად მოსული რწმენა შემენარჩუნებინა. ეს ეგებ იმიტომაც მოხდა, რომ ჯადოქრულმა ძალამ ზემოქმედება დაკარგა. ჩემს გონებაში ყველაფერს კვლავ ნისლი გადაეფარა, ძველმა შიშმა მომიცვა ისევ და მეხსიერება ისე გამეფანტა, თითქოს ფრინველები მიეფარნენ ნაცრისფერ ღრუბლებსო.

დაკვრაც შევწყვიტე. „არ მცემო, მამა, — შევძახე მე და გულზე ხელები მივაბჯინე. — არ ვიცი, რა მემართება, რაღაც რეტი მესხმის, ამიტომ ვეღარ ვუკრავ“.

როცა გავბედე და მამას ავხედე, თვალში მომხვდა მისი გაშმაგებული შემოხედვა, მაგრამ მე, ალბათ, სახეზე მკვდრისფერი მედო, — საერთოდაც ხომ უფერული ვიყავი.

„ერთხელ სცადე შენ თავად!“ — წყნარად მითხრა მამამ, მარტო დამტოვა, ტალანი გაიარა და ზემოთ, თავის ოთახში ავიდა.

მე კი დაკვრა აღარ შემეძლო. ისეთი სასოწარკვეთილება დამეუფლა, წინათ რომ არ გამომეცადა. საკუთარი თავი ისე შემებრალა, თითქოს სიცოცხლეს ვტოვებდი. როიალის თავზე დედის სურათი ეკიდა, აი ის, ამას წინათ რომ ნახეთ. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ გავიწვდინე მისკენ ხელები და ბავშვური გულუბრყვილობით რამდენჯერმე ვთხოვე: „ო, ჩემო დედიკო, მიშველე რამე, მიშველე რამე!“ შემდეგ თავი ხელებში ჩავრგე და მწარედ ავტირდი.

რამდენ ხანს ვიყავი ასე, აღარ მახსოვს. კარგა ხანი იყო, წინკარში ვიღაცის ფეხის ხმა გავიგონე, მაგრამ არ გავნძრეულვარ, თუმცა სახლის იმ მხარეს ჩემს მეტი არავინ იყო. ბოლოს კარზე დააკაკუნეს და მეც წამოვდექი. კაცი ნაცნობი ხელოსანი აღმოჩნდა. იგი მამაჩემთან საქმეზე მოსულიყო.

„ავად ხომ არ ხართ, უმაწვილო ბატონო? — მკითხა მან. უარის ნიშნად თავი გავაქნიე და ესღა ვუთხარი: „მამას ვკითხავ, თუ მიგიღებთ“.

ოთახში რომ შევედი, მამა წიგნების დიდ თაროსთან დავინახე. ხშირად იდგა ხოლმე აქ, ხან ერთ წიგნს გამოიღებდა და ხან მეორეს, გადაფურცლავდა, გადმოფურცლავდა და ისევ

შედებდა. დღეს კი სხვაგვარად იყო, იდაყვი თაროს კიდეზე ჩამოედო და ხელი სახეზე აეფარებინა.

„მამა“, — ხმადაბლა წარმოვთქვი მე.

„რა იყო, შვილო?“

„ვიღაც გკითხულობს, შენი ნახვა სურს“

მან არაფერი მიპასუხა, თვალებიდან ხელი ჩამოიღო და სახელი დამიძახა.

მისკენ გავიქეცი და მკერდში ჩავეკარი. ეს პირველი იყო ჩემს ცხოვრებაში. ვგრძნობდი, რომ მამას ჩემთან ლაპარაკი სურდა, მაგრამ იგი უხმოდ მისვამდა თავზე ხელს და უსიტყვოდ, ვედრებით შემომყურებდა. „ჩემო საყვარელო, ჩემო საბრალო ბიჭუნი!“ მხოლოდ ეს სიტყვები ამოსცდა მის ბაგეებს. თვალები მივლულე. ასე მეგონა, ახლა კი ცხოვრების ვერავითარი უსიამოვნება ვეღარ შემეხებოდა, დედის სიკვდილის მიუხედავად, დავივიწყე, რომ ყველაფერი კვდება და იცვლება.

ამის შემდეგ ოჯახში ჩემთვის ბედნიერი დღეები დაიწყო. მამაჩემი აღარასოდეს მიჯავრდებოდა, პირიქით, დედაც კი ვერ მომეპყრობოდა ისე ალერსით. იმ წელს გაზაფხულიც უჩვეულოდ მშვენიერი დაიჭირა. ქალაქგარეთ, მწვანე ღობესა და მიწაყრილებს შორის, ერთი ბალყუმი ადგილი იყო. აქ ერთ დროს სააგარაკო სახლი იდგა, რომელიც ამჟამად აღარავის აინტერესებდა. წინათ მოვლილი ყვავილნარიდან, ახლა მხოლოდ იაღა შემორჩენილიყო. გაზაფხულის პირველივე დღეებიდან ია გულუხვად ჰყვაოდა. იქ შემდეგაც ხშირად დავდიოდი, როცა მწვანე ღობედ შემოვლებული კუნელი თოვლისფერი ყვავილებით მოირთვებოდა. მერეც მიყვარდა იქ სიარული, როცა ყველაფერი დაიყვავილებდა და ბუჩქნარში

ჭვინტები და ყანის ჩიტებიღა დაძვრებოდნენ. მრავალი საათი გამიტარებია იქ ბალახში ჩაწოლილს. ირგვლივ ყველაფერი რაღაც საზეიმო მდუმარებაში იყო ჩაფლული, მხოლოდ ფოთლები და ჩიტები ბედავდნენ თავისი სათქმელის გამჟღავნებას. მაგრამ არასოდეს მინახავს აქაურობა ისეთი წარმტაცი, იმ გაზაფხულს რომ იყო. ჩემ მსგავსად, ფუტკრებიც მინდვრად გამოსულიყვნენ. საამოდ დაზუზუნებდნენ ბალახებიდან ლურჯად ამობიბინებული უთვალავი იების თავზე, უძვრებოდნენ ბუტკოში. დაკრეფილი იებით მთელი ცხვირსახოცი გავავსე. საამო სურნელებით გაჟღენთილი ჰაერი, მზით გაჩახჩახებული მიდამო ნეტარებით მავსებდა. ბალახში ჩავჯექი, ჯიბიდან ძაფი ამოვიღე და გვირგვინის დაწვნას შევუდექი, გოგოებმა რომ იციან ხოლმე. ცის ლურჯ სივრცეში მონდომებით გალობდა ტოროლა. „ო, დიდებულო სამყაროვ ღვთისა!“ — გავიფიქრე ანაზდად და გონებამ რითმები ააწყო. ეს, რასაკვირველია, მხოლოდ ბავშვური პოეტობა იყო. მაგრამ ძალზე კი მსიამოვნებდა.

შინ რომ დავბრუნდი, გვირგვინი მამის ოთახში დავკიდე. მახსოვს, როგორ სიხარულს ვგრძნობდი მაშინ, რაკიღა შემეძლო მამასთან ასე თავისუფლად მოვქცეულიყავ.

კიღევ ერთი რამ უნდა გითხრათ! საკმაო ხნის შემდეგ, მის დანატოვარ ქაღალდებს შორის ვნახე ჩემ სახელზე შევსებული საბანაკო წიგნაკი საკმაო თანხით. როგორც რიცხვიდან ჩანდა, პირველი თანხა მამაჩემს იმ უბედურ თუ ბედნიერ დღეს შეეტანა. გული ძალზე ამიჩქროლდა, როცა ანდერძთან ერთად ეს წიგნაკიც ვნახე. საბედნიეროდ, მატერიალური დახმარება მაშინ არ მესაჭიროებოდა...

საუბრისას ჩვენდა უნებურად ქალაქის მიყრუებულ ქუ-

ჩებს დავდგომოდით. და ახლა კვლავ ერთ-ერთ მთავარ ქუ-ჩაზე გავედით. დროდადრო შეუმჩნეველად გადავხედავდი. ჩემს გვერდით მიმავალ, სიბერეში ჩაძირულ მამაკაცს, უცბად მან მკლავზე წამავლო ხელი.

— არ გინდათ ნახოთ? — მკითხა მან. — აი აქ ვცხოვრობ-დით, როცა მშობლები ცოცხლები მყავდნენ. ეს სახლი ჩვენი იყო. იგი მამის სიკვდილის შემდეგ გავყიდეთ.

მაღლა რომ ავიხედე, ზემო სართულზე გაჩახჩახებული დიდებული ფანჯრები დავინახე.

— იქ ერთხელ გაკვეთილები შემომთავაზეს, კარგ ანაზღა-ურებასაც დამპირდნენ, — განაგრძო პიანისტმა, — მაგრამ არ მსურდა მტანჯველი მოგონებები განმეახლებინა. მეშინო-და, რომ ერთხელაც იქნებოდა კიბეზე შემხვდებოდა საბრა-ლო ფერმიხდილი ბიჭი, რომელიც დაკაცებისას დიდი ვერა-ფერი შვილი დადგა.

პიანისტი დადუმდა.

— ეგრე ნუ ლაპარაკობთ! — ვუთხარი მე. — აქამდე ღარ-წმუნებული ვიყავი, რომ თქვენც ჩვენზე, დანარჩენებზე ნაკ-ლებ ბედნიერი არ იყავით.

— ო, რასაკვირველია! — დარცხვენით წარმოთქვა მან და ნაცრისფერი ფეტრის შლაპა რამდენჯერმე მომიხადა. — ვარ კიდეც! ვარ კიდეც! არა, ეს ისე: ხანდახან კაცს უცნაური აზრები მოგივა. აბა, როგორ შეიძლება, უსიამო ფიქრებს აჰყვე.

კარგა ხანია შევამჩნიე, რომ ამ ბოლო ფრაზას იგი ერთ-გვარ თეჯირად იყენებდა, რათა ამაო სურვილებსა და იმედებს გამიჯვნოდა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე ჩემს ოთახში ვისხედით,

სადაც იგი სავახშოდ მოვიწვიე. სანამ სპირტქურაზე ჩრდილოურ პუნშს მოვხარშავდი, იგი წიგნების თაროსთან იდგა და აშკარად ნაამები ათვალიერებდა ხოდოვეკის* დასურათებულ მშვენიერ გამოცემებს.

— ერთი რამ კი მაინც გაკლიათ! — შესძახა სტუმარმა. — ბიურგერის* ხელმომწერთა გრძელი სიადართული ლექსების კრებული. სასიამოვნოა, ამ ძველ ბატონებს შორის საკუთარ წინაპრებსაც შეხვდე კაცი. — ვალენტინმა გულწრფელი ღიმილით შემომხედა. — ეს წიგნი, შემთხვევით, ორი ცალი მაქვს. ხომ არ გინდოდათ, როცა ჩემთან მოხვდებოდით, ერთი თქვენთვის მომეცა?

ამაზე მადლობა მოვახსენე.

მალე ერთმანეთის გვერდით დივანზე ვისხედით. წინ ცხელი პუნშით სავსე ჭიქები გვედგა. შეთავაზებულ სიგარებს მან ჩემი გრძელი ჩიბუხი არჩია და ახლა სიამოვნებით აბოლებდა. მერე პუნში მოსვა, ჭიქა ცოტა ხანს ხელში შეაჩერა, თვალით სასმელზე მანიშნა და დაიწყო:

— ახალი წლის წინა საღამოს ოჯახში ყოველთვის ვსვამდით პუნშს. ერთხელ, ბავშვობისას, ისე გამოვთვერი კიდეც, რომ შემდეგ ეს კეთილშობილური სასმელი დიდხანს მეზიზღებოდა. ახლა კი ისევ სასიამოვნოდ მეჩვენება. — ამის თქმაზე კარგა გვარიანი ყლუპი მოსვა და ჭიქა მაგიდაზე დადგა.

თამბაქოს ვწევდით და თან ვმუსაიფობდით. ხან რას გავიხსენებდით, ხან რას.

— არა, — დაიწყო მან, — მაშინ ჩვენში, გერმანიაში, არ იყო დაწესებულება, რომელსაც ახლა კონსერვატორიას უწოდებენ. მე კარგ პიანისტს მიმაბარეს. მასთან რამდენიმე წელი-

წადს ვიმუშავე და თეორიასა და პრაქტიკაში გვარიანად გაკიწაფე. ჩემს გარდა იმ პიანისტთან მეცადინეობდა კიდევ ერთი მოსწავლე, რომელმაც კარის პიანისტის სახელი მოიპოვა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როცა ზოგჯერ ვიჯექი და მას ვუსმენდი, თავიდან ვერ ვიშორებდი აზრს, რომ მე, ქრისტიან ვალენტინი ყველაფერს უკეთ დავუკრავდი, თუკი... დიახ, თუკი ჩემი თითები და აზრები ასე მარჯვედ შეეწყობოდნენ ერთმანეთს. აი, შეხედეთ, — დაუმატა მან და ცერი და ნეკი გაშალა მაგიდაზე, — დამნაშავე ესენი როდია, საკმაოდ კარგად მაქვს გავარჯიშებული კლავიჩემბალოზე.*

— იქნებ, საკუთარი თავისგან ძალიან ბევრს ითხოვთ, — გავაწყვეტინე ქრისტიანს. — დახვეწილი ადამიანის ხელსა და აზრს შეუთანხმებლობა არ ახასიათებს.

უარის ნიშნად ქრისტიანმა თავი გააქნია.

— არა, საქმე სხვა არის, მაგრამ ასეც რომ იყოს, მაინც კეთრაფერს ვუშველიდი. სანამ აქ ხანგრძლივად ფეხს მოვიკიდებდი, სხვა ქალაქში ვასწავლიდი მუსიკას. იქ არავინ მაიძულებდა, კონცერტები გამემართა და ალბათ ამიტომ მოვახერხე გამეკეთებინა ის, რაც შემეძლო. ამის გარდა, თუმცა-ღა იმ დროს ყველგან მცირე საზღაურს იძლეოდნენ, მე პირველივე წლების მანძილზე მოვახერხე საკმაო თანხის გადანახვა, ვინ იცის, რისთვის დამჭირდებოდა უცოლშვილოდ დარჩენილ მარტოხელას...

ქრისტიანმა ჭიქა ასწია და ერთბაშად გამოსცალა.

— აი, ასე, — ჩაილაპარაკა მან, — ახლა კი სიმხნევე მოვიკრიბე. თქვენ სიამოვნებით გიყვებით ყველაფერს. ასე გასინჯეთ და თქვენთან ჩემს მოცარტსაც კი დავუკრავდი კიდევ ერთხელ.

ქრისტინემ ორივე ხელი დამიჭირა. ფერმკრთალი ღაწვები ოდნავ შეეფაკლა.

— მაშინ ერთ წიგნების მაღაზიასთან ვცხოვრობდი, — კვლავ დაიწყო თხრობა. — მას პატარა ბუკინისტური დუქანიც ჰქონდა. ბევრი მშვენიერი წიგნი შევძინე იმ დროს ჩემს ბიბლიოთეკას. მაგრამ თუკი ვინმე დამცინოდა, როცა რომელიმე ძველი წიგნი ძვირფასი განძივით მიმქონდა სახლში, ეს გახლდათ ბუკინისტის ქალიშვილი. ლამაზი სახელი ერქვა—ანიკო. წიგნებს დიდ პატივს არ სცემდა, სამაგიეროდ სიმღერა უყვარდა მღეროდა ხალხურ და საოპერო არიებს, — ღმერთმა უწყის, სად მოისმინა და ისწავლა ისინი. ახლა რა ხმა ჰქონდა' სინიორა კატერინა, რომელიც იმავე სახლის მანსარდში ცხოვრობდა, მეტად ნაწყენი იყო, რომ „ამ თავქეიფას“ არ სურდა მისგან გაკვეთილები მიეღო. „მუსიო ვალენტინ!“ — მითხრა მან ერთხელ, როცა დიდი ხნის ხვეწნის შემდეგ ანიკო გადაიბირა და ახლა მის წინ იდგა და იღიმებოდა, — აბა, შეხედეთ ამ გოგონას! ბედი კარზე მოსდგომია, ის კი ხელსა ჰკრავს. მერე კი, — დიახ, დიახ, ბალღო! — სიბერე შეუმჩნევლად მოგეპარება. აი, ახლა რომ მე ასე მიყურებთ, თავის დროზე თავადებსა და დიდებულებს შემეძლო გავყოლოდი ცოლად.

— მე კი, — მიუგო „თავქეიფამ“, — შემიძლია პრინცს გავყვე ცოლად. და ასეც ვიზამ, თუ კი თავის ოქროს კარეტით აქ გამოიცლის! აბა, თქვენ თუ შეგიძლიათ, სინიორა, ჩემნაირად იმღეროთ? — შესძახა მან და წარმოუდგენელი სისწრაფით წაიმღერა რაღაც გარითმული უაზრო სიტყვები, ხმას ხან აუწევდა, ხან დაუწევდა, ხან მოასუსტებდა, ხან კი ძალუმად ააჟღერებდა. — „ხედავთ, სინიორა, აი ეს არის ბუნებრივი ხალასი ნიჭი“!

ასეთ ყოყოჩობაზე ბებერი მომღერალი უმეტესად პასუხს არ აძლევდა. მაშინაც ხმის ამოუღებლად შემოიხვია წითელი შალი, რომელსაც სახლშიც არ იცილებდა მხრებიდან, ღირსების გამოსახატავად ცხვირი მაღლა ასწია და თავის მანსარდს მიაშურა.

როგორც კი მოხუცი მომღერალი მოგვცილდა, ანიკომ ხელები ხურგზე დაიწყო, ჩემს წინ შეჩერდა და ტოტზე შემჯდარი ჩიტივით სიმღერა განაგრძო. „შეაბიელი, ბავარიელი, გოგონები, იუხჰე!“ ცეცხლის ბურთივით ავარდა ჰაერში მისი „იუხჰე!“ მერე თაფლისფერი თვალები მოშაპყრო და გულწრფელად მკითხა: „ხომ კარგად ვმღერი, ბატონო ვალენტინ?“

ჩემს ოთახში ვიყავით, სადაც ვახშამი მუდამ ანიკოს ამოჰქონდა. მე როიალს მივუჯექი. „განაგრძე სიმღერა, ანიკო!“ ვუთხარი მას. აი ასე, ჩემს მარტივ აკომპანემენტზე, ანამ ჯერ ერთი სიმღერა, იმღერა, მერე მეორე, მესამე და აღარც კი მახსოვს, რამდენი ლამაზი სულელური სიმღერა შეასრულა. ის კი ვიცი, რომ რაღაც გამოუთქმელი სიამოვნება მომანიჭა. „არა, პირდაპირ საოცარია! — შესძახა გოგონამ,—განა თქვენ ყველა ჩემი სიმღერა იცით? აი რა გითხრათ, ბატონო ვალენტინ, ჩემი ხმა ხომ მთელ სახლში ისმოდა! სინიორა კატერინა, ალბათ, თავის მანსარდში მთლად შალში შეფუთული ზის“.

იმ დღის შემდეგ, ანიკოს აზრით, ჩემთვის მუსიკაში შეუძლებელი აღარაფერი აღარ იყო. მეც თანდათან დამეუფლა მისი გულუბრყვილო აღფრთოვანება და საკუთარი თავის რწმენა. ერთხელ, როცა გოგონა ჩემი ოთახიდან გავიდა, მაგიდას მივუჯექი და ჩემი ქონება გავიანგარიშე. რაღა ბევრი გავაგრძელო, ეს თავქეიფა გოგონა უცბად მთელ ჩემ ფიქრებს

დაეუფლა. მაგრამ ამ დროს უკვე სიმღერის წრეები შემოდიოდნენ მოდაში.

— სიმღერის წრეები? — ვკითხე ქრისტიანს გაოცებით, თან პაუზით ვისარგებლე, რომ მისი ჭიქა გამახალისებელი სითხით შემევსო. პუნში ისევ სპირტქურის ლურჯ ალზე იდგა, რომ არ გაციებულიყო.

— ჰო, სამწუხაროდ, მომღერალთა წრეები, — გაიმეორა მან, ჩიბუხი ხარბად მოქაჩა და ბოლი დიდ-დიდ რგოლებად გამოუშვა. — არასოდეს მომწონდა მხოლოდ კაცებისაგან შემდგარი ასეთი ქორო. იგი ისევე მოსაწყენია, როგორც წლების მანძილზე მუსიკალური ნაწარმოების მხოლოდ დაბალი რეგისტრით შესრულება. ამის გარდა, ასეთი გუნდი მუდამ ლუდხანის სუნის შეგრძნებას იწვევს. მიუხედავად ამისა, როცა ასეთი ახალი გუნდის ხელმძღვანელობა შემომთავაზეს, უარი ვერ ვთქვი. ძალზე ჭრელი ხალხი იყო თავმოყრილი: ხელოსნები, ვაჭრები, მოხელეები. გუნდში ერთი ღამის დარაჯიც მიიღეს; იგი სამაგალითო მამაკაცი და უმაგალითო ბანის პატრონი აღმოჩნდა. მისი გუნდში მიღება სწორი იყო, რადგან, ჩემი აზრით, ხელოვნება ისეთი წმიდათაწმიდა რამ არის, რომ წოდებრივ სხვაობას მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

უნდა გითხრათ, რომ წრე გულისყურითა და მონდომებით მეცადინეობდა. როცა ერთი თავის პარტიას სწავლობდა, სხვები დროს ლაქლაქში კი არ ატარებდნენ, ნოტებს აიღებდნენ და ჩუმად სწავლობდნენ თავთავიანთ პარტიას. ამგვარად, კარგი მიღწევებით ჩავატარეთ ზამთრის ორი კონცერტი, მაგრამ მესამე კონცერტის ჩაბარებამდე რამდენიმე დღით ადრე ავად გაგვიხდა პირველი ტენორი—თეთრი ყვავი მაღალი ბე-

მოლით, ურომლისოდაც ზოგიერთი ნომრის შესრულებაზე ფიქრიც კი უაზრობა იყო, თუმცა მთელი გულისყურით ვემზადებოდით.

სასომიხდილი დავდიოდი და არ ვიცოდი, ნაკლი როგორ შემევსო. ანიკოს კი თურმე ჩემს მაგიერ მოეფიქრებინა.

— როიალი დარბაზში გადაატანინეთ და თქვენ თვითონ შეასრულეთ რამე, — მითხრა ანიკომ. — როდემდე უნდა უკრავდეთ მხოლოდ ჩემისთანა სულელი გოგოსა და მანსარდში შეყუჟული ბებრუხანასათვის?

მუქარის ნიშნად ანიკოს თითი დავუქნიე, მაგრამ მის რჩევას კი დავუჯერე.

საკონცერტოდ შევარჩიე მოცარტის სონატა-ფანტაზია, რომელსაც იმ დროს ყველა მუსიკალური სკოლა არ ასრულებდა. დილით, გაკვეთილების დაწყებამდე, და საღამოობით ვიჯექი და გულმოდგინედ ვვარჯიშობდი როიალზე. როცა ასე ვიჯექი მარტოდმარტო და ამ ნაწარმოების შესრულების გარდა ქვეყანაზე ჩემთვის აღარაფერი არსებობდა, ხანდახან მეჩვენებოდა, თითქოს დიდი მაესტრო მოწონებით მიქნევდა თავს და მესმოდა მისი ხმა: „კარგია, კარგია, ძვირფასო ვალენტინ! აი, მეც სწორედ ეგრე მქონდა ჩაფიქრებული, სწორედ ეგრე!“

ერთხელ, ის იყო ადაჟიო დავასრულე, რომ ღია კართან უცბად სინიორა კატერინა აისვეტა და თავისი შუშისებური ხმით სიცილს მოჰყვა. მისი დანჯღრეული სოპრანო მაშინ ძალზე საშინელი მომეჩვენა. სინიორა, სიცილს არ ეშვებოდა და თან მარწმუნებდა — მკაფიოდ და ხმამაღლა იძახდი საკუთარი თავის გამამხნევებელ სიტყვებსო. შემდეგ ლოყაზე ბეჭდებით აჩონჩხილი გამხმარი ხელი მომითათუნა.

— ჰო, ჰო, caro amico[1] — მითხრა მან, — თვითონ დიდი მაესტრო აღარ არის ცოცხალთა შორის, მაგრამ მისი მოსწავლე ხომ აქ ვარ და მე გეუბნებით: bravo, bravissimo! ახლა კი da capo[2], ზოგიერთი შენიშვნა უნდა გაგიზიაროთ.

ჰოდა, ადაჟიოს გამეორებას რომ შევუდექი, იგი ზურგს უკან დამიდგა და ხან ოდნავ მიქნევდა თავს, ხან კი შენიშვნებს მაძლევდა. არც კი დაიჯერებთ, როგორი მუსიკალური სული ჰქონდა ამ მოხუც ქალს! და მიუხედავად ამისა, როცა მას სხვათა თანდასწრებით სიმღერის წადილი დაეუფლებოდა, სიცილისაგან თავს ვერ იკავებდნენ. მხოლოდ მე არ მეცინებოდა, პირიქით, ვექცეოდი იმ გრძნობათა სამყაროში, რომლის შექმნა მხოლოდ მას შეეძლო თავის ხელოვნებით. ვერ ვიტყვი, თითქოს ეს თანაგრძნობის გამო მემართებოდა. რადგან შებრალება მას არ სჭირდებოდა, — ეს უფრო საშინელების რაღაც აუხსნელი ძრწოლა იყო: თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს თვით მე დამცინოდნენ. სინიორა კატერინა კი, როგორც ეტყობოდა, გუმანითაც ვერაფერს ხვდებოდა. ამაყი დედოფალივით დადგებოდა შუა ოთახში, ტანზე თავის წითელ ქაშმირულ შალს შემოიხვევდა და რომელიმე ცნობილ არიას ჩააგუგუნებდა. უნდა გამოვტყდე, რომ როცა მარტონი ვრჩებოდით, იმის გამო, რომ მსურდა ძისგან რაიმე მესწავლა, უფრო იმას ვუსმენდი, რასაც მისი სული მღეროდა და არა იმას, რასაც მისი ყელი ახერხებდა, რადგან რის გამოხატვაც მას სურდა — და ამის ამოცნობა კი მე მალე ვისწავლე თითქმის ყოველთვის ჭეშმარიტებად მიმაჩნდა.

---

[1] ძვირფასო მეგობარო (იტალ.).

[2] თავიდან (იტალ.).

ახლაც, კონცერტის წინა საღამოს, როიალს ვეკონ[illegible] [illegible]-
გორც მისი მორჩილი და ყურადღებიანი [illegible]. [illegible]
მაშინაც არ შემიწყვეტია, როცა კიბეზე ამომავალი ნაცნობი
ალტარა ფეხების ბაკიბუკი მოვესმა. დავინახე, სინიორას
ხელი, რომელმაც კარისკენ მკაცრად მიუთითა ჩუმად შემოპა-
რულ ანიკოს. მაგრამ თითქოს რაღაც ეწეოდა. გოგონა თანდა-
თან მომიახლოვდა, ორივე ხელი წინსაფარში შეიყო და ჩემს
გვერდით როიალს დაეყრდნო. ვიგრძენი, როგორ მომაპყრო
დიდრონი თაფლისფერი თვალები. შთაგონებით აღტაცებულ-
მა დაკვრა განვაგრძე. სონატა ბოლომდე რომ ჩავათავე, ანი-
კომ ღრმად ამოიოხრა.

— ო, რა წარმტაცი იყო! — წამოიძახა მან. — ღმერთო
ჩემო, რა კარგად უკრავთ, ბატონო ვალენტინ!

თითქოს მლოცავსო, სინიორამ თავზე ბეჭდებიანი ხელი
დამადო.

— ჩემო ძვირფასო, თქვენ დიდი წარმატება გელით.

იმავე წუთას კბილებს შორის პიტნის მარმელადი ვიგრ-
ძენი.

სათქმელად ადვილი იყო! თვინიერი გოგონა, აღტაცებაში
რომ პოულობდა სიხარულს, მუსიკალური სული მოხუცისა,
რომელიც მეცადინეობაში მეხმარებოდა, შავადდაფოთლილი
მეძებარი ძაღლი პოლი, — მე სწორედ ახლაღა შევნიშნე, რომ
იგი თაგვივით ჩუმად შემომძვრალიყო და კარის ზღურბლზე
დასკუპებულიყო, — მხოლოდ ესენი იყვნენ ახლა ჩემი მსმე-
ნელები! — მაგრამ მერე, როცა ამდენი უცხო ადამიანი შე-
მომაცქერდებოდა?

სხვათა შორის, ერთი რამ გულს მიმაგრებდა: ახალი საე-
კლესიო ორღანის გასასინჯავად მოწვეული იყო ცნობილი

დამკვრელი, რომელიც ქალაქში სწორედ ჩვენი კონცერტის შემდეგ, მეორე დღეს უნდა საცრსულიყო. დიახ, უნდა გამოვტყდე, რომ მე თვითონ ვიზრუნე, საქმე ასე მოწყობილიყო.

მეორე საღამოს ცოტა გულდამძიმებული შევედი საკონცერტო დარბაზში. იგი ისე გავსებულიყო, რომ ზოგი მანდილოსანი ფეხზეც კი იდგა. სიმღერები, რომლითაც საღამო გავხსენით, წარმატების მოკრძალებული განაცხადი იყო: თუმცაღა ამჯერად სუსტი ტენორი გვყავდა, მაგრამ ისეთი ძალები შემოვინახეთ, რომ ზოგიერთ დიდ გუნდსაც შეშურდებოდა. მარტო ღამის დარაჯსა და ჩვენს სქელ სკოლის დირექტორს ისეთი ძლიერი ბანი ჰქონდათ, რომ იოლად ავსებდნენ მაღალი ხმებით დატოვებულ სიცარიელეს. მხურვალე ოვაციები გაგვიმართეს. პატარა ქალაქის მომღერლებიცა და მსმენელებიც ერთმანეთის კმაყოფილები იყვნენ.

პროგრამა თანდათან სონატა-ფანტაზიას უახლოვდებოდა. ის იყო შეწყდა ლუდვიგ ბერგერის* მშვენიერი სიმღერის „როცა ანდრეას ჰოფერი პოსეირადან...“ გამო გამართული ოვაცია, რომ როიალს მე მივუჯექი. დარბაზი მოლოდინში გაისუსა. რანდენჯერმე ღრმად ამოვისუნთქე და ნოტები გადავშალე. შემდეგ თვალი დარბაზისკენ გავაპარე. ჩემსკენ მოქცეულმა სახეებმა რაღაც გაურკვეველი შიში აღმიძრა. ჩემდა საბედნიეროდ, დარბაზში ანიკოს დიდი თაფლისფერი თვალებიც შევნიშნე, იგი გახარებული შემომცქეროდა. იმავე წუთს დარბაზი — ეს მრავალთავიანი ურჩხული — ჩემდამი კეთილგანწყობილ არსებად იქცა. გაბედულად შევასრულე დასაწყისის მაუწყებელი რამდენიმე აკორდი. მერე კი გონებაში გამიელვა: ო, წმინდა მაესტრო! შენს ოქროს ბგერებს აუცილებლად მივიტან ადამიანთა გულებამდე!“ და დავიწყე ჩემი

მოცარტის—მისი ადაჟიოს შესრულებაზ. ახლაც მჯერა, რომ მაშინ ეს კარგად შევასრულე, რადგან აღვსილი ვიყავ თვით ნაწარმოების სილამაზითა და გამსჭვალული იმ სურვილით, რომ მისი მოსმენით სხვებისთვისაც სიხარული მიეენიჭებინა. ახლაც მჯერა, რომ ასეთი შესრულებისათვის ჩემი ბებერი მომღერალიც კი შემაქებდა-მეთქი. მაგრამ იგი ღია კონცერტს არასოდეს ესწრებოდა.

უკვე ანდანტინოს* ბოლო გვერდზე ვიყავი, როცა დარბაზში ამტყდარმა ჩურჩულმა ჩემს ყურამდეც მოაღწია, შემეშინდა, არ მისმენენ-მეთქი და ამის მიზეზი ეე ვიყავი, აბა მოცარტი ხომ არ იქნებოდა? უსიამოვნო გრძნობით აღვსილი შევუდექი სონატის ალეგროს, და ამ გრძნობას ის უფრო ზრდიდა, რომ მეორე ნაწილის ერთი ადგილი ძნელად გავიკაფე. მაინც მალე დავმშვიდდი: ხომ არის ხალხი, ვისაც მხოლოდ საყვირის ხმა სიამოვნებს. რა საქმე ჰქონდათ ასეთებს ჩემთან? მხოლოდ ერთი რამ მაწუხებდა: დაკვრის დროს სკოლის სქელი დირექტორი თანდათან მიახლოვდებოდა. ვინ იცოდა რა ბოროტი ზრახვა ედო გულში? იქნებ, სანთლებიდან ნამწვრის მოცილება უნდოდა და, შეიძლება, თითბრის დიდი მაშა კლავიშებზე დაცემულიყო, შეიძლება ჩემთვის ნოტის გადაფურცვლაც სურდა. ამის ნებას მე არავის არ მივცემდი. დავაშურე და მეორე გვერდი აჩქარებით ჩამოვათავე, რომ მისი მსხვილი ხელი უდროო დროს არ შეხებოდა ნოტებს. მიშველა კიდეც ამან: დირექტორი მოჯადოებულივით გაიყინა იქვე, სადაც იდგა. უკვე გადავშალე შემდეგი გვერდი და იმ საბედისწერო ადგილს მხნედ ვუახლოვდებოდი. ამ დროს დაბლა დარბაზის კარმა გაიჭრიალა და მე ვიგრძენი რომ ყველა თავი შემოსულისკენ მიბრუნდა. ახლა უფრო ხმამაღლა

დაირხა ჩუჩრჩულის ხმა.

ვიცოდი, მაგრამ სუნთქვა მაინც შეეკრა. უცბად ჩემს ახლოს ვიღაცის ხმამ სრულიად გარკვევით წარმოთქვა:

— ბე კი მეგონა, ის ხვალ ჩამოვიდოდა. რა კარგია, რომ დღეს მოვიდა.

მაშასადამე, ის მაინც შოვიდა! ეს ჩემთვის გამანადგურებელი დარტყმა იყო. რა შემეძლო ამ კაცისათვის, ცნობილი დიდი ხელოვანისთვის, მეჩვენებინა ჩემი დაკვრით? ნეტა ახლა სად იჯდა? ასეულობით მსმენელი ახლა მისი თვალებით შემომყურებდა. და აი მან სმენა დაძაბა, რომ ყოველი ბგერა მკაფიოდ შეიცნოს — ეს მე ვიგრძენი. საზარელმა შიშმა გამიელვა თავში. უეცრად გახევებული თითებით კიდევ რამდენიმე ტაქტი დავუკარი. შემდეგ რაღაც დაუძლეველმა გულგრილობამ მომიცვა, თითქოს ძველმა, მივიწყებულმა მდგომარეობამ გამიხსენა. უცბად ისიც კი მომეჩვენა, თითქოს როიალი თავის ძველ ადგილს იდგა, ჩემი მშობლების სასტუმრო ოთახში. მამაჩემიც საიდანღაც იქვე გაჩნდა და კლავიშებზე დარტყმის ნაცვლად ხელები მისკენ გავიწვდინე.

რაც შემდეგ მოხდა, აღარ მახსოვს. გონს რომ მოვეგე, სცენის უკან ოთახში აღმოვჩნდი სკამზე.ამ ოთახში ზედა ტანისამოს ვტოვებდით ხოლმე. ავად ვარ-მეთქი, ვიღაცას, მგონი, ასე ვუთხარი.

მაგიდაზე გვარიანად დამწვარი სანთელი ენთო. უღიმღამოდ განათებული ოთახის კედლები, ირგვლივ დახორავებული შავი სამოსი მეტისმეტად პირქუშად გამოიყურებოდა. ერთხელ უკვე ვიჯექი ასე, ბავშვობისას, თუმცა მაშინ ასე განადგურებული არ ვყოფილვარ; იმასაც ვგრძნობდი, რომ ამჟამად თვალები მშრალი მქონდა და არც არავინ აკაკუნებდა

კარზე, არც არავინ მოითხოვდა, მამას დაუძახეო. ახლა ხომ უკვე კაცი ვიყავი. „ჩემი საბრალო, საყვარელი ბავშვი!" რამდენი ხანია მკვდარი იყო ის, ვინც ერთ დროს ეს სიტყვები წარმოთქვა!

უცბად ჩემამდე დარბაზიდან ხალხის გუგუნის ხმამ მოაღწია. არ მახსოვს ადრეც ისმოდა, თუ მხოლოდ ახლა დაიწყეს ხმაური, მაგრამ წეღანდელმა ძრწოლამ მომიცვა. უქუდოდ და უპალტოოდ გავვარდი ქუჩაში და უკანმოუხედავად გავიქეცი. ქალაქის ალაყაფს რომ გავცილდი, მაშინვე ცაცხვების ხეივანში მოვხვდი. ჯერე ფართო, მოტიტვლებული სოფლის გზა იწყებოდა. მივდიოდი და მივდიოდი, არც აზრი მქონდა, არც განზრახვა. მხოლოდ შიში მიბურღავდა ტვინს, შიში სამყაროს, ხალხის წინაშე.

ქალაქიდან კარგა დაშორებით გზა მაღლა-მაღლა მიიწევდა მთაზე, რომელიც ცალ მხარეზე ფრიალოდ ეშვებოდა უფსკრულში. დაბლა აქაფებული ნაკადული მიისწრაფოდა. იგი მთელ გზაზე გვერდით მომდევდა. ახლაც კარგად მახსოვს, აღმოსავლეთით მთვარის გალეული ნამგალი ეკიდა. ღამეს ვერ ანათებდა, მაგრამ ჩაბნელებულ ცაზე მკვეთრად მოჩანდა. მიწა სიბნელეში გახვეულიყო. მთის წვერზე ავედი, ხის ძირში წყალზე გადაკიდებული დიდი რიყის ქვა შევნიშნე. თვითონ არ ვიცი, რად, მივედი და ამ ქვაზე დავჯექი. მარტის პირველი კვირა იყო. ხის ტოტები ფოთლებს ჯერ არ დაეფარათ და ასე გაშიშვლებულს ღამის ქარი ერთმანეთზე ახეთქებდა. ხანდახან თმაზე ცივი წვეთები მეცემოდა და მერე სახეს მისველებდა. ჩემს ქვემოთ მოჩხრიალებდა ნაკადული, მოჩხრიალებდა დაუღალავი, მონოტონურად და იავნანასავით ძილისკენ მიხმობდა. თავი ხის სველ ძირს მივაყრდენ და

წყლის მაცთუნებელ ჩუხჩუხს მივუგდე ყური. „ჰო, ჰო, ძილი, —ვფიქრობდი გამალებით, — ოღონდ კი ძილი შეიძლებოდეს!“ უცბად მომეჩვენა თითქოს ჩემი ფიქრი სიტყვებად იქცა და ქვემოდან ამომძახა: „ო, დაბლა, დაბლა, რა გრილი მყუდროებაა!“* ეს ხმა სულ უფრო მეტად იპყრობდა ჩემს გულს. შუბერტისეული მელანქოლიური ტკბილი მელოდიით... უცბად შორიდან ფეხის ხმა მომესმა და მეყვსეულად, თითქოს ერთბაშად გამოვფხიზლდიო, ფეხზე წამოვიჭერი. მე ხომ იმ მეწიქვილის ლირიკული შეგირდი არ ვიყავი, შუბერტის სიმღერაში რომ არის. საქმიანი, პრაქტიკოსი კაცის შვილი ვიყავი. ასეთ რამეზე ამჟამად არც უნდა მეფიქრა.

ქალაქის მხრიდან ფეხის ხმა სულ უფრო მიახლოვდებოდა. ფეხის ხმასთან ერთად თანდათან პატარა თათების ტკაპანი გავარჩიე. ეს ალბათ ძაღლი თუ მორბოდა. ეჭვი არ იყო — ის მოდიოდა თავისი პატარა მეძებრით. მაშ კიდევ ყოფილა ძეხორციელი, რომელსაც არ დავვიწყებივარ! არ ვიცი, სიხარულისა თუ შიშისაგან, ვაი თუ მოვტყუვდე-მეთქი, გული ისე ამიძგერდა, რომ სულს ძლივს ვითქვამდი. მაგრამ სიბნელეში სინათლის სხივად მომეჩვენა მისი საამო ხმა:

— ბატონო ვალენტინ, ეს თქვენა ხართ, ბატონო ვალენტინ?

— ჰო, ანიკო, მე ვარ, რასაკვირველია! — გავეპასუხე დარცხვენით. — თქვენ აქ საიდან მოხვედით?

გოგონა მომიახლოვდა და ხელზე ხელი დამადო.

— ქალაქში ყველას ვეკითხებოდი, მითხრეს, ალაყაფის კარს გაცილდაო.

— მერე და თქვენი აქეთ წამოსვლა როგორ შეიძლებოდა, ამ მიყრუებულ გზაზე.

— ისე შემეშინდა, ვაითუ ავად გახდა-მეთქი! ღმერთო ჩემო, რატომ შინ არ დაბრუნდით?

— არა, ანიკო, — მივუგე გოგონას, — ავად არა ვარ. ეს ისეთი ტყუილი იყო, რომელსაც გაჭირვება ან სირცხვილი გვათქმევინებს. ცოტა არ იყოს, მეტი წარმოდგენა მქონდა ჩემს ნიჭზე, რომელიც ღმერთს ჩემთვის არ მოუცია...

უცბად კისერზე ორი ახალგაზრდული მკლავის შემოხვევა ვიგრძენი და ანცი ანიკო ქვითინით გულში ჩამეკრა.

— როგორ წამოსულხართ! — ჩურჩულებდა იგი, — არც ქუდი გახურავთ, არც პალტო გაცვიათ!

— ჰო, დამავიწყდა რომ წამოვედი.

პატარა მკლავები კიდევ უფრო მაგრად მომხვია ანიკომ. ვრცელ, ბინდით მოცულ ველზე მდუმარება გამეფებულიყო. ფინია ჩვენს ფეხებთან ჩაცუცქულიყო. ახლა რომ ვინმეს დავენახეთ, აუცილებლად იტყოდა, ცხოვრებაში მათ სამარადჟამო კავშირი შეუკრავთო, მაგრამ ეს გამომშვიდობება იყო.

ამ სიტყვებზე ჩემმა წყნარმა სტუმარმა ჭიქას მოჰკიდა ხელი და ისე დააკვირდა, თითქოს მის ძირზე თავისი ახალგაზრდობის ოცნებები ამოტივტივებულიყო. ღია ფანჯრიდან შემოიჭრა რომელიღაც ფრინველის ჩხავილი.

პიანისტმა ზემოთ აიხედა.

— გაიგონეთ? — მკითხა მან, — თბილ ქვეყნებიდან მოფრენილმა ასეთი ფრინველების ჩხავილმა გაგვახსენა იმ ღამეს სახლი. მთელი გზა ისე გამოვიარეთ, რომ ერთმანეთისათვის ხელი არ გაგვიშვია.

მეორე დილით სინიორა კატერინაც ჩამოვიდა თავის გალია მანსარდიდან. აღელვებისაგან მთლად გაცოფებულიყო.

— თანაც ამ ჩია კაცუნების წინაშე? — შესძახა მან. — უბრალოდ, სცენაზე გამოსვლა არ იცით, ესაა და ეს, მუსიო ვალენტინ. შემხედეთ, აი ასე გამოვდიოდი ხოლმე ჩემ დროს, რამპების წინ. — და შალში გახვეული სინიორა ჰეროიკული პოზით ჩემს წინ გაიქიმა. — ერთი მანახა, ვინ გაბედავდა, ჩემთვის ხმა ჩაეწყვეტინებინა! თვით დიდი მაესტროს წინაშეც კი ცოტა თრთოლვა მომიცავდა, ეგ იყო და ეგ.

რაღა შეეძლო მის ლაპარაკს ჩემთვის ეშველა? იმავე დღეს ისიც გავიგე, რომ ჩემი ძველი თანაჯგუფელი და კოლეგა ამავე ქალაქში აპირებდა მუსიკის მასწავლებლობას. როგორც ჩანდა, მისთვის მაინცდამაინც ბედს არ გაუღიმია, მაგრამ ის მაინც ჰქონდა, რაც მე მაკლდა. ვგრძნობდი, რომ აქედან ჩემი წასვლა იყო საჭირო.

რამდენიმე დღის შემდეგ ანიკო უკვე მეხმარებოდა ზანდუკების ჩალაგებაში. ბევრი თანაგრძნობის გამომხატველი ცრემლი ჩამოუგორდა თვალთაგან და დაეწვეთა ჩემ ძველ წიგნებს. ბოლოს იგი ჩემივე დასაწყნარებელი შეიქნა.

საით წავსულიყავი, არც მიფიქრია. მართალია, აქ, ჩემს მშობლიურ ქალაქში, სახლ-კარი არ მქონდა, მაგრამ ქალაქის ჰიშკარს იქით მშობლების სამარე მაინც მეგულებოდა. აქ რომ მოვაღწიე და ჩემი ავლადიდება დავალაგე, ნოტებქვეშ ჩემთვის კარგად ნაცნობი ბროლის კოლოფი ვნახე პიტნის მარმელადით პირთამდე სავსე. კეთილი სინიორა კატერინა! მას მაინც სურდა, ჩემთვის საპატიო ჯილდო რომ გადმოეცა.

— უკვე გვიანია, — უცბად შეწყვიტა თხრობა სტუმარმა, ფეხზე წამოდგა და ჯიბიდან დიდი ოქროს საათი ამოიღო. — კარგა გვარიანად გადასცილებია იმ დროს, როცა წესრიგის

მოყვარული ბიურგერები იძინებენ. რას იფიქრებენ ჩემი მოხუცი მოსარეცხეები?

— ანიკო? მისი ბედი როგორღა წარიმართა? — ეკითხე მე.

ვალენტინი ამ დროს თავის ადგილას, კიბეზე ჯიდებდა გრძელტარიან ჩიბუხს, საიდანაც წეღან ჩამოვხსენი, ჩემსკენ რომ შემობრუნდა კვლავ შევამჩნიე ის მშვიდი ბავშვური ღიმილი, რომელიც მას ესოდენ უხდებოდა.

— ანიკო? — გაიმეორა მან. — ისე, როგორც უმეტესად ყოველი გიჟმაჟი გოგონას ცხოვრება წარიმართება. — ჭკვიანი ცოლი და დედა დადგა. მას შემდეგ, რაც ჩვენს სინიორას ამქვეყნიური სცენიდან, როგორც ვიმედოვნებ, ერთგული მოვლით ძნელი დაშორება გაუადვილა, თუმცა პრინცს არა, მაგრამ, როგორც თავის ძველ მეგობარ ქალს გაანდო—სკოლის კარგ, პატიოსან მასწავლებელს კი გაჰყვა ცოლად. რამდენიმე წელიწადია უკვე ამ ქალაქში ცხოვრობენ. აბას წინათ რომ შემხვდით, სწორედ მათგან მოვდიოდი.

— მაშ ანიკო თქვენი საყვარელი მოსწავლის დედაა?

ვალენტინმა თავი დამიქნია.

— ხომ დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, ცხოვრება მთლად სასტიკად არ მომქცევია-მეთქი? ახლა კი ღამე ნებისა, ბიურგეოი არ დაგავიწყდეთ!

ხელი რუხ შლაპას წაავლო და წავიდა.

მე ღია ფანჯარას გადავეყუდე და, როცა დაბლა სახლის კარიდან გარეთ გავიდა, „ღამე მშვიდობისა“ კიდევ ჩავძახე.

ვალენტინი მბჟუტავი ფარნებით ოდნავ განათებულ ქუჩას ჩქარი ნაბიჯით აუყვა და ბოლოს სიბნელეში გაუჩინარდა.

ირგვლივ ღამის მყუდროება გამეფებულიყო. თვალშეუდ-

გამი უკუნეთით მოცული ცის ქვეშ, ჩაბნელებულ დედამიწაზე ძილს მისცემოდა კაცთა სამყარო, ყველა თავისი ამოუხსნელი გამოცანით.

ერთი კვირის შემდეგ მოსარეცხეთა სახლისაკენ გავემართე, მიახლოებისთანავე როიალის ხმა შემომესმა. „ოჰო, — გავიფიქრე მე, — ახლა კი წავუსწრებ, როგორი შთაგონებით ასრულებს თავის მოცარტს“. მაგრამ სახლში რომ შევედი და ჩემი მეგობრის ოთახის კარს მივადექი, შიგნით უკვე შუბერტის „moments musicals-ს უკრავდნენ. თანაც შესრულების ყაიდას ეტყობოდა, დამკვრელი მამაკაცი არ უნდა ყოფილიყო.

— staccato არა, portamento! *—მოესმა მეგობრის ხმა.

მაგრამ ახალგაზრდულმა, განსაკუთრებით წმინდა ხმამ უპასუხა:

— ვიცი, ძია, მაგრამ აქ განა staccato უფრო არ უხდება?

— ო, შე დაუდეგარო, — მოისმა კვლავ, — ასეთი რამ ჯერ თავად დაწერე მერე ისე დაუკარი, როგორც შენ გინდა.

ცოტა ხანს ჩამიჩუმი აღარ ისმოდა. მერე portamento მოისმა. ნათლად დამიდგა თვალწინ, თუ როგორ გადასცემდა ნორჩი გოგონას თითები ერთი კლავიშის ბგერას მეორეს.

— აბა ერთხელ კიდევ, რომ უკეთ დაიხსომო!

ნაწარმოები კიდევ შეასრულეს უფრო სრულყოფილად და თავდაჯერებით.

ჩემ წინ, კარზე, როგორც ეტყობოდა, ახალი წარწერა იყო გაკრული:

გამოჯანმრთელდა! — მადლობა უფალს.
უიმედობა გაქრა სრულიად.
მიწაც და ზეცაც ხალისით სუნთქავს
ახლა სიცოცხლე სიხარულია.[1]

ეს სტროფი „ვანდსბეკელი მაცნედან“* იყო და კარგად ვიცოდი, მაგრამ ჩემმა მეგობარმა ვალენტინმა ამჟამად თავს ნება მისცა, იგი ოდნავ შეეცვალა: ლექსში მოხუცი ასმუსი მხოლოდ თავისი გაჯანსაღების შესახებ ლაპარაკობდა.

ამ ფიქრებში გართულმა კარი შევაღე. ვალენტინის გვერდით როიალს პატარა გოგონა მისჯდომოდა და დიდი, ყურადღებიანი თვალებით მასწავლებელს მისჩერებოდა.

მასპინძელი თავისი ჩვეულებრივად მომხიბვლელი ღიმილით შემეგება, რომელშიც ამჟამად, ცოტა არ იყოს, დარცხვენაც შეიმჩნეოდა.

— მაშინდელმა ჩვენმა საუბარმა ხომ კმაყოფილება მოგანიჭათ? — ვკითხე ვალენტინს და ხელი გავუწოდე.

— მე? — კითხვა შემიბრუნა მან. — ო, განსაკუთრებული! თქვენ კი? ალბათ, ბევრი ვილაპარაკე, არა? ხომ იცით, როცა ასე მოიკალათებ მეგობართან და თან კარგი სასმელიც გვერდით გექნება... — ეს ისე ჩუმად წარმოთქვა, თითქოს ბოდიშს იხდისო, და თან თავისი ღია ცისფერი თვალები გულწრფელი სიყვარულით მომაპყრო.

— პირიქით, — დავამშვიდე მე, — ჯერ მაინც არ ვარ კმაყოფილი, უფრო მეტს უნდა მომიყვეთ; მაგრამ, — ჩავურთე ხმადაბლა, — ჯერ თქვენ საყვარელ მოსწავლესთან გაკვეთილი დაასრულეთ, ეს ხომ ის არის?! მე თქვენს წიგნებში ბიურგერს მოვნახავ.

---

[1] თარგმანი ლეილა ერაძისა.

— მალე მოვრჩებით! — თავი დამიქნია ვალენტინმა და თავის მოსწავლეს მიუბრუნდა.

მისი პატარა ბიბლიოთეკა გადავჩხრიკე და მალე ხოდოვეიკის დასურათებული ორივე ტომი აღმოვაჩინე, რომელთაგან ერთ-ერთი ალალბედზე ამოვიღე. სანამ სატიტულო გვერდზე აღბეჭდილ პორტრეტს ვათვალიერებდი, — ბალადების დიდი ოსტატი აქ გრძელკულულებიანი პარიკით იყო გამოხატული, ბაზრის მოედანზე იდგა და არფას უკრავდა, — თან კი „moments musicals“ მელოდიას ვისმენდი, მსახურმა ქალმა ყავის ჭურჭელი და ნამცხვარი შემოიტანა. დივანის წინ დადგმულ პატარა მაგიდაზე თოვლივით თეთრი სუფრა გადაფარა და შემოტანილი ჭურჭელი გაშალა: ბუნცლაუს ყავადანის გვერდით ორი თეთრ-ცისფერ ადგილიანი ფინჯანი დადგა, მაგრამ ვალენტინის ჩუმად მიცემულ ნიშანზე მსახურმა ქალმა მესამეც მიუმატა. მხოლოდ ეს შევამჩნიე, რადგან შემდეგ წიგნის წინა თავისუფალი გვერდის წინ ჩაკრული ლექსი აღმოვაჩინე. იგი გულუბრყვილო ბავშვური ლექსი იყო, მაგრამ გაზაფხულის სურნელება კი მომაფრქვია:

ო, დიდებულო სამყაროვ ღვთისა,
ლხენად აღმავსე, შენს მადლსა ვფიცავ!
სულ მცირე ხნის წინ ის ძრწოლას მგვრიდა,
ახლა კი ღვთიურ სხივსა გვფენს წმინდას.
ირგვლივ იფრქვევა ყვავილთ სურნელი,
გალობს ფრინველი, ტკბობის მსურველი:
„ვისაც გული გაქვთ წმინდა და წრფელი,
ჩემთან მოგროვდით, ვიმღეროთ ლხენით!“
მეც ამ ხმას ავყევ უცებ, ადვილად,
რადგან წრფელი მაქვს გული ნამდვილად.

თარგმანი ლ ე ი ლ ა ე რ ა ძ ი ს ა.

ლექსი რამდენჯერმე გადავიკითხე. ეს სტრიქონები ხომ იმ იებით მოფენილ ველზე იყო შეთხზული! მთელი ვალენტინი მიჩანდა აქ. ასეთად ვიცნობდი მას, ალბათ, ასეთივე იყო იგი ყმაწვილობისას.

აი თვითონაც ჩემ წინ ღგას, ხელი მოხდენილი, ოდნავ ფერმკრთალი, წაბლისფერთმიანი გოგონასათვის ჩაუკიდია და ჩემს წინ დამდგარა.

— დიახ თქვა მან, — ეს არის ჩემი კარგი გოგონა, მარია. დღეს კვლავ ერთად ვატარებთ კვირა საღამოს და გულწრფელად გეუბნებით, უსასრულოდ მიხარია, რომ თქვენც მოხვედით. — მერე ხელში იმ ლექსზე გადაშლილი წიგნი შენიშნა და უცბად პატარა ბავშვივით გაწითლდა, — თქვენთვის მეორე ცალი აიღეთ, — მითხრა მან, — გთხოვთ. გრავიურები იქ უფრო მკაფიოდ არის გამოსული.

შევეცადე წიგნი გამომერთმია.

— ეს არ შეიძლება მქონდეს? ალბათ, ვერ შეელევით არა? ვხედავ, ეს წიგნი ბავშვობიდან გაქვთ.

მის თვალებში მადლობა აღბეჭდილიყო.

— სერიოზულად ამბობთ? — მკითხა მან. — ესე იგი, წიგნი კარგ, ყველაზე საუკეთესო ხელში მოხვდა.

შემდეგ სამივენი საკვირაო ყავის სუფრას მივუსხედით. პატარა გოგონა დიასახლისის როლს კარგად ასრულებდა და ჩვენს საუბარს ჩუმად ისმენდა.

— ჩემო მეგობარო, — დავიწყე მე, — კიდევ ერთ ამბავს უნდა მომიყვეთ. ეს მუქი სასმელიც კარგად უხსნის ენას ადამიანს. რა დაემართა შემდგომ თქვენს იების მინდორს? ისევ გაზაფხულის მზე დაჰნათის, თუ როგორც მრავალი სხვა წარმტაცი ადგილი, იგიც კარტოფილის სათესად იქცა?

ვალენტინს სახეზე მხიარულმა ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა.

— თქვენ ხომ ჯერ არ იცით, რომ მე ჩუმი მფლანგველი ვარ?

— რას ამბობთ, მეგობარო?

— დიახ, დიახ! ეს ადგილი ერთ ბებერ შეპრეტილ კაცს ეკუთვნოდა. ამჟამად მე მისი მემკვიდრე ვარ, ესე იგი, მისი მემკვიდრეობიდან წმინდა ვერცხლით შევიძინე ეს უსარგებლო მიწის ნაკვეთი. ხომ სწორია, მარია? — ვალენტინი თავის უსაყვარლეს მოსწავლეს მიუბრუნდა. — ჩვენ ორივემ კარგად ვიცით ამ ნაკვეთის ფასი, ისიც ვიცით, თუ ვის დაბადების დღეს უნდა დავკრიფოთ იქ იები.

ტანკენარმა გოგონამ ვალენტინს თავი მხრებზე დაადო და მკლავები კისერზე შემოხვია.

— დედაჩემის დაბადების დღეს,—ჩუმად თქვა მან.—მაგრამ ძია, ამ დღემ ხომ უკვე გაიარა.

— მერე რა, კიდევ ხომ მოვა გაზაფხული.

— ღვთის წყალობით, ჩემო მეგობარო, — ჩავურთე მე. — შეიძლება, მაშინ მეც წამოგყვეთ და გვირგვინების დაწვნაში გიშველოთ?

ჩემკენ გამოწვდილ ორ ხელს — ერთს მოხდენილს, მშვენიერს, ახალგაზრდულს, მეორეს — კარგად ვიცოდი — ერთგულ ხელს, ჩემი ხელები შევაგებე.

მათ ვერ წავყევი. ჯერ კიდევ მანამ, სანამ ზამთარი დედამიწაზე ბინას დაიდებდა, ცხოვრებამ ამ ქალაქიდან შორს გამტყორცნა. ერთხელ ჩვენმა საერთო ნაცნობმა ვალენტინისაგან სალამი გადმომცა. გაზაფხულის დადგომისას კიდევ რამ-

დენჯერმე გამახსენდა მისი იებიანი ველი და მერე თანდათან მიმავიწყდა. ჩემს ცხოვრებაში ახალი სახეები შემოიჭრნენ და წყნარი მუსიკოსის ხსოვნა ნელ-ნელა დავიწყების ბინდში გახვიეს.

დაახლოებით ათიოდე წელმა გაიარა, როცა ხანგრძლივი მგზავრობის შემდეგ ერთ შუაგერმანულ ქალაქში მოვხვდი, რომლის საორკესტრო გუნდი მაშინ ფართო წრეებს დიდად მოსწონდათ, არა მარტო კარგი შესრულებით, არამედ უფრო მეტად იმის გამო, რომ, მცირე სახსრების მიუხედავად, დირექცია თითქმის ყოველი კონცერტის გამართვისას რომელიმე ცნობილი ხელოვანის მიწვევას ახერხებდა.

გვიანი შემოდგომის საღამო იყო, იმ ქალაქში რომ ჩავედი. ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც იქ ცხოვრობდა და მუსიკის მოყვარული იყო, — იგი სადგურზე დამხვდა, — მაცნობა, დღეს ამ ორკესტრის კონცერტია და უნდა ვიჩქაროთ, თუ არ გვინდა დავიგვიანოთო. გამოცდილებით კარგად ვიცოდი, რომ ამ ენთუზიასტს ასე იოლად ვერ დავუძვრებოდი და ჩემი ბარგის ქვითარი და ზედმეტი სამგზავრო ხაბაკხუბაკი რომელიღაც ხასტუმროს მსახურს გადავეცი. მალე ეტლში ჩავსხედით და ორმაგი საფასურის გაღებით სწრაფად მივედით ჩემთვის უკვე ადრე ცნობილ „მუზეუმში“. გზად ისიც გავიგე, რომ დღეს ერთი ახლადმოწვეული მომღერალი ქალი გამოვიდოდა, რომელიც კლასიკური მუსიკის განუმეორებელი შემსრულებელი ყოფილა და ერთი უცნაური ახირება სჭირვებია — თურმე ყოველ გამოსვლაზე რომელიღაც, სრულიად უცნობი, მუსიკოსის მოწაფედ აცხადებს თავს.

კონცერტი ახალი დაწყებული იყო, ჩვენ რომ მივედით. იძულებული გავხდით დახურული კარის უკან გვეცადა, სანამ

„ჰებრიდების“* უვერტიურის ბოლო ტაქტი არ ჩაათავეს. კარი რომ გაიღო, ჩემმა მეგობარმა სადღაც ნაშოვნი პროგრამა ფრაკის ჯიბეში ჩამიკუჭა, ხელი ჩამკიდა, გატენილ დარბაზში შემიყვანა და მალე, ვერ მივხვდი, როგორ მოახერხა, ორი თავისუფალი ადგილი გამოძებნა. ჩემს გვერდით აღმოჩნდა ვიღაც მხცით მოსილი შავთვალა კაცი, რომელსაც სახის ფაქიზი ნაკვთები შვენოდა.

— ახლა მოცარტია — თავისთვის ჩაილაპარაკა მან და ხელები მუხლებზე გაშლილ ყვითელ აბრეშუმის ცხვირსახოცზე დაიწყო.

სანამ მე გაზის ლუსტრების ჩახჩახა შუქზე უბრალოდ, მაგრამ გემოვნებით მოხატულ დარბაზის კედლებს ვათვალიერებდი, სცენაზე მომღერალი გამოვიდა — ფერმკრთალ გოგონას ორი შავი ნაწნავი თავზე შემოეხვია. ორკესტრმა ელვირას არიის პირველი ტაქტები ააყოლერა „დონჟუანის“ მეორე აქტიდან. მომღერალმა ნოტები აიღო. „In quali eccessi, o muni!“* ასე მეგონა, არასოდეს მომესმინა ასეთი სადა და ამავე დროს ასეთი დამატყვევებელი სიმღერა. მოხუცი მეზობელი თავს თანდათან უფრო ენერგიულად იქნევდა. ეს იყო ჭშმარიტი ხელოვნება, რომელიც მთელ მიწიერ ვაებას წარმტაც სიმღერად აქცევდა. მაგრამ, როგორც ყველაფერი, მშვენიერი სიმღერაც დასრულდა, გრძნობით მთვრალ სმენას კი ისევესურდა მისი მოსმენა.

დარბაზში რამდენიმე ადგილას გაისმა ხმამაღალი bravo. აქა-იქ ტაშიც დასცხეს, მაგრამ ეს ოვაცია არ იყო. წინ მჯდომი სუფთად გაპარსული ახალგაზრდა ჩემ გვერდით, მოხუცი მეზობლისკენ გადმოიხარა:

რას იტყვი, ძია? ხმა კარგია, მაგრამ რაღაც აკლია, ეტყობა, თვითნასწავლია.

მოხუცმა მას გამსჭვალავად შეხედა.

— ჰო, უფალო დისწულო! — მიუგო მან. — სულ ეს არის, რაც შეიცანი? — შემდეგ მე მომიბრუნდა და თითქმის საზეიმო კილოთი მითხრა:

— აი ეს იყო ნამდვილი მოცარტი! აი ასეთი შომისმენია იგი ჩემს ჭაბუკობაში.

კონცერტი გრძელდებოდა.

— ახლა თვით ორკესტრის გამოსვლას მოვისმენთ! — მეორე მხრიდან ყურში ჩამჩურჩულა მეგობარმა.

მართლაც სცენაზე გამოვიდა ერთ-ერთი თანამედროვე კომპოზიტორის მევიოლინეთა კვარტეტი. დიდი მუყაითობის მიუხედავად, მუსიკოსები ვერ ჩასწვდომოდნენ ნაწარმოების სულსა და არსს. მსმენელები დაღლილი სახით, უხალისოდ უმზერდნენ ერთიმეორეს. ჩემმა მოცარტის თაყვანისმცემელმა მეზობელმა რამდენჯერმე დაამთქნარა და სახეზე ყვითელი აბრეშუმის ცხვირსახოცი აიფარა. ბოლოს მესამე ნაწილმა უჩვეულო რიტმით—ხუთ მერვედზე, წარმატებით ჩაიქროლა.

მევიოლინეებმა სცენა მიატოვეს, პიუპიტრები სიღრმეში გადაიტანეს. დარბაზში მსხდომთ სახეზე გაოცება გამოხატოდათ. ეტყობოდა, ვერ გაეგოთ, როგორ აღეთქვათ მოსმენილი. მაგრამ აი დარბაზში კვლავ გაჩოვიდა ახალგაზრდა მომღერალი ქალი. ხელში ნოტების პატარა ხვეული ეჭირა. სახეზე რაღაც ეშმაკური, გამარჯვებაში დარწმუნებული იერი ედო და მე ეჭვმა გამკრა, — მოდერნული საკიოლინო კანკა-

ნი* vox humana[1] კიდევ უფრო ხმაურიანი პიესით ხომ არ სურს გადაფაროს-მეთქი.

საბედნიეროდ შევცდი. სწორი არ ვიყავი, რადგან აკომპანემენტისათვის ორკესტრი სცენაზე არ დარჩენილა, ავანსცენაზე გამოტანილ როიალს მხოლოდ კაპელმაისტერი უჯდა. გაისმა პირველი აკორდები და შემდეგ პიესის შესავალი დიდებული უბრალოებითა და უტკბილესი ჟღერადობით შესრულეს. უეცრად მთელ დარბაზს შვების სიხარულმა გადაუარა და აი გაისმა წყნარი და ბრძანებლური ხმა:

ო, დიდებულო სამყაროვ ღვთისა,
ლხენად აღმავსე, შენს მადლსა ვფიცავ.

რა იყო ეს? სიტყვები მეცნაურა, იგი ხომ ბიურგერის ლექსების კრებულში ჩაკრულ თეთრ ფურცელზე ეწერა. ეს ხომ მოხუცი მუსიკის მასწავლებლის, ქრისტიან ვალენტინის, ლექსი იყო! ღმერთო ჩემო! რამდენი ხანია იგი აღარ გამხსენებია!

წმინდა, ახლგაზრდულმა ხმამ იგი მთელ დარბაზს მოჰფინა. მღელვარებამ მომიცვა. ნეტავ თუ მუსიკაც თვითონვე დაწერა ამ ლექსისათვის? მომღერალს დაბლა დაშვებულ ხელში ნოტების რვეული ეკავა და მისი ახალგაზრდული ბაგეები აღტაცებას, მგზნებარე სიყვარულს აფრქვევდა ირგვლივ.

აი ბოლო სიტყვებიც წარმოთქვა აუწერლად ტკბილი მელოდიით:

ამ ხმას ავყევი უცებ. ადვილად,
რადგან წრფელი მაქვს გული ნამდვილად.

სიმღერის დასასრულს დარბაზში წუთით უჩვეულო სი-

[1] ადამიანური ხმა. (ლათ.).

ჩუმემ დაისადგურა. შემდეგ კი ირგვლივ მჭუხარე ტაშმა იფეთქა. ოვაციას დიდხანს დასასრული აღარ უჩანდა. ვერც კი შევამჩნიე, როგორ ჩამჭიდებოდა მოხუცი მეზობელი ხელში და ნაზად მიჭერდა. „აი ტალანტი! აი გრძნობა!" — იძახდა იგი და თავს აქეთ-იქით აქანებდა. უცბად ჯიბიდან პროგრამა ამოვიღე და, როგორც მოველოდი, იქ ჩემი ძველი მეგობრის გვარი ამოვიკითხე. ორგან ეწერა — პირველად მომღერლის გვერდით, რომელიც თავს ვალენტინის მოწაფედ აცხადებდა, და მეორედ, როგორც იმ მუსიკის ავტორი, ახლა რომ აღიტაცა მთელი დარბაზი.

ფეხზე წამოვდექი და ირგვლივ მიმოვიხედე. ასე მეგონა, ძასაც მსმენელთა შორის ვნახავდი, თვალს მოვკრავდი მის მობერებულ სათნო სახეს, რომელსაც ბავშვური ღიმილი უცისკროვნებდა, ამაო მოლოდინი იყო — ჩემს მოხუც მეგობარს არ მოუსმენია თავისი ახალგაზრდობის სიმღერის ტოროლასებური ტკბილი მელოდია, მაგრამ მსმენელთა სახეზე ჩუმი სიხარული აღბეჭდილიყო. თავად მე თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ჩემს წყნარ მუსიკოსთან ერთად მისი იების ველზე ვიყავი.

კონცერტის დანარჩენი ნაწილიდან ბევრი აღარაფერი გამიგია. მაგრამ მოგვიანებით, როცა სასტუმროს საშინელ დამურკლულ ლეიბზე ჯვარცმულივით გაწამებული ვიწექი, სანამ ძილი წამომეპარებოდა, გულს საამოდ მივსებდა იმ სიმღერის ნეტარი ხმები, რომელიც, გარეთ ამტყდარი ოქტომბრის ქარიშხლის მიუხედავად, ბავშვთა გალობად ჩამესმოდა. მოხუჭულ თვალთა წინ მედგა მომღერლის ფერმიხდილი სახე. მაშ ვალენტინმა თავისას მაინც მიაღწია! მოხუცი სინი-

ორა კატერინას მთელი ხელოვნება ახლა ამ ახალგაზრდა მომღერლის ზარივით წკრიალა ხმაში გაცხადებულიყო. ერთი წუთით არ შემპარვია ეჭვი, ვისაც ვუსმენდი, თუმცა ამ ორმაგად საყვარელი ბავშვის სახელი ვერ გავიხსენე, გვარი კი საერთოდ არ ვიცოდი. მას არც ახლა დავასახელებ. მის შესახებ მაშინ ყველგან ლაპარაკობდნენ, უფრო მეტიც, მისი ტალანტის განსჯისას ერთხანს ძველი და ახალი მუსიკის მოყვარულებიც ერთმანეთს შეეჯახნენ. მაგრამ მომღერალი მალე იმათ ზურგს უკან ამოეფარა, რომლებიც თავის ჭირსა და ლხინს მხოლოდ ვიწრო წრეს უმეღავნებენ, გარეთ კი არ ლაპარაკობენ.

მეორე დილას პირველი საზრუნავი, რაღა თქმა უნდა, ის იყო, რომ მომღერალი მოვეკებნა და თითქმის მივიწყებული მეგობრის თაობაზე ზოგი რამ გამომეკითხა. მაგრამ გაუთვალისწინებელმა საქმეებმა შემიშალა ხელი. ისევ ის მეგობარი დამეხმარა, რომელმაც გუშინ კონცერტზე წამიყვანა, და მე კი მისი დამთავრების შემდეგ თითქმის მუხანათურად მივატოვე.

მასთან ბევრი სტუმარი შეკრებილიყო. მალე შეეატყვე, რომ ისინი წმინდა წყლის მუსიკის მოყვარულები იყვნენ, გუშინდელი ჩემი მეზობელი, მოცარტის მოყვარული მოხუციც აქ ვნახე და ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით მივესალმეთ.

თვითონ მომღერალიც აქ აღმოჩნდა, მეგობრულად ელაპარაკებოდა მასპინძლის მოხდენილ გოგონას, რომელიც სტუმარს აღტაცებული შესცინებდა.

დისახლისის მისალმების შემდეგ ჩემმა მეგობარმა მომღერალთან წარმადგინა, თავის გოგონას კისერზე მოხვია

ხელი და ალერსით თავისკენ მიიზიდა. მომღერალმა ერთი წამით დაკვირვებით შემათვალიერა, მერე კი ხელი გამომიწოდა.

— ხომ სწორია, რომ ეს თქვენა ხართ? — ვკითხე მე. — ერთხელ კვირა საღამო ერთად გავატარეთ, არა?

მან თავი ღიმილით დამიქნია.

— არ დამვიწყებია. ჩემი ბებერი მეგობარი და მასწავლებელი მერეც ხშირად მიამბობდა თქვენ შესახებ. განსაკუთრებით, გაზაფხულობით, თქვენ ხომ ჩვენთან ერთად გსურდათ მისი იების ველზე წამოსვლა.

— ისეთი გრძნობა მაქვს, — ხმამაღლა წარმოვთქვი მე, — თითქოს გუშინ საღამოს ვიყავით იქ, სხვა თუ არა, ჩვენ ორნი მაინც.

მომღერალმა გულწრფელი თვალები მომაპყრო.

— კონცერტზე იყავით? ო, რა ძალზე მიხარია!

შემდეგ მცირე ხნით გავჩუმდით. მომღერალი გოგონასაკენ დაიხარა, რომელიც ისევე მას აჰკვროდა.

— პროგრამაში თქვენ თავს მის მოწაფეს უწოდებთ, — დავიწყე კვლავ. — მომღერლებს არ სჩვევიათ, თავიანთი დიდება მოხუც მასწავლებლებს გაუყონ.

მომღერალს სახეზე სიწითლე მოედო.

— ო! — წამოიძახა მან. — ასეთი რამ არც მიფიქრია. თავად არ ვიცი, რად მოვიქეცი ამრიგად. ეს თავისთავად ასე იგულისხმება. ასე მგონია, თითქოს ახლაც ვყავარ აყვანილი ხელში. ძალიან ვარ მისგან დავალებული.

თავად ის, ჩვენი მაესტრო ვალენტინი, რას ფიქრობს ამაზე? — ვკითხე მომღერალს.

მან ჩუმად შემავლო თვალი.

— საქმეც ეგ არის, — მითხრა მან. — ის დიდი ხანია, ცოცხალი აღარ არის.

ამის შემდეგ ახალგაზრდა მომღერალიც აღარ მინახავს. იმედია, კარგა ხანია ბედნიერი დედაა და საღამო ხანს, როცა ადამიანი ისვენებს და ღამეული წმინდა სიჩუმე ეფინება დედამიწას, კვლავ ახდის თავს როიალს და შვილებს უმღერის დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი მეგობრის შეთხზულ ტოროლასებურ საგალობელს.

და ესეც ხომ კურთხევაა მისი ხსოვნისა.

უნივერსიტეტში

ლ ო რ ე

და არ მყავდა, რომელიც ჩემი ტოლი გოგონების გაცნობაში ხელს შემიწყობდა. სამაგიეროდ ცეკვის სკოლაში დავდიოდი. ცეკვის გაკვეთილები კვირაში ორჯერ იმართებოდა ქალაქის რატუშის დარბაზში. რატუშაში ამავე დროს ბურგომისტრის საცხოვრებელი ბინაც იყო. ბურგომისტრის ვაჟთან ერთად — იგი ჩემი უერთგულესი მეგობარი იყო — მოცეკვავენი რვანი ვიყავით, ყველანი ჩვენი მშობლიური ქალაქის გიმნაზიის ბოლო კლასის მოსწავლენი. რაც შეეხება მოცეკვავე გოგონებს, თავიდან მათ მოზიდვაში თითქოს დაუძლეველი სიძნელეები შეიქმნა — ვერ გამოვნახეთ ჩვენივე წრის მერვე მოცეკვავე გოგონა.

გამოსავალი ბურგომისტრის ვაჟმა ფრიცმა მონახა. ერთი მზარეული ქალი, რომელიც წინათ ბურგომისტრის მშობ-

ლებს ემსახურებოდა და ახლა საზეიმო წვეულებების დროს ბურგომისტრის ცოლს შველოდა ხოლმე, გათხოვილი იყო მკერავზე, ერთ პირყვითელ, ჩამომხმარ კაცზე. ამ კაცს ფრანგული გვარი ჰქონდა და სამკერვალო მაგიდასთან ნემსით ჯახირს სამიკიტნოში მჭევრმეტყველება ერჩივნა. ეს ოჯახი ქალაქის განაპირა უბანში ცხოვრობდა იქ, სადაც ქუჩა სასახლის პარკთან გადის. ყველამ კარგად ვიცოდით პატარა, მოცუცქნული სახლი, რომლის ერთადერთი ფანჯარა იქვე აღმართული დიდი ცაცხვისაგან თითქმის მთლად ჩაბნელებულიყო. ხშირად ავუვლ-ჩავუვლიდით ხოლმე ამ სახლს, რათა რეზედასა და გერანის ქოთნების შიგნით საკერავზე თავდახრილი მშვენიერი გოგონასათვის თვალი შეგვევლო. ჩვენს ბავშვურ წარმოსახვაში იგი საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა. ცამეტი წლის მიმზიდველი გოგონა ფრანგი მკერავის ერთადერთი შვილი იყო. ხელმოკლეობის მიუხედავად დედამისი მუდამ ფაქიზად აცმევდა. გოგონას მუქი ხორბლისფერი კანი და დიდრონი შავი თვალები მამამისის უცხოურ წარმოშობაზე მეტყველებდნენ. ახლაც კარგად მახსოვს, რომ საფეთქლებისაკენ ჩამოვარცხნილი სწორი შავი თმა მის ისედაც პატარა თავს რაღაც განსაკუთრებულ ფაქიზ შეხედულებას აძლევდა. ფრიცი და მე შევთანხმდით, რომ მერვე მეწყვილე ლეონორე ბორეგარი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად დაბრკოლებების გადალახვა გახდა საჭირო: როგორც კი ჩვენი აზრის გამოთქმა გავბედეთ, დანარჩენი ფროილაინები და კეთილშობილი ქალიშვილები უსიამოდ აიმრიზნენ. მხოლოდ ფრიცის — დედის ამ უსაყვარლესი ვაჟიშვილის — ხერხიანობის წყალობით მოხერხდა ბურგომისტრის ცოლის ჩვენს მხარეზე გად-

მობირება. ამ გაბედული ქალის მხიარული და შეუპოვარი ხასიათის წინაშე კი ვერაფერს გააწყობდა ვერც ჩვენი პატარა ქალბატონების ცხვირის ჩამოშვება და ვერც მათი დედების პროტესტები, რაც ჩვენთვის უფრო საშიში იყო.

ასე და ამგვარად, ერთ დღეს, ნაშუადღევს მე და ფრიცი ფრანგი მკერავის სახლისაკენ გავეშურეთ. იმ ხანებში ხშირად ვნანობდი, რომ აღარ ვმეგობრობდი ჩვენი ოჯახის დურგალთან, რომლის და თითქმის ყოველდღე დადიოდა პატარა ბორეგართან. ერთ ხანს ვიფიქრე, ქრისტოფთან ნაცნობობა კვლავ აღმედგინა და მამამისის სახელოსნოში დურგლობის შესწავლაც დამეწყო. საერთოდ ქრისტოფი კარგი ბიჭი იყო და გონიერობაც არ აკლდა, მაგრამ რაღაც გასაოცარ სიძულვილს გრძნობდა „ლათინელების" მიმართ, — ასე უწოდებდა იგი ზიზღით კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებს. თავის თანამზრახველ მეგობრებთან ერთად ქრისტოფი დროდადრო ხელჩართულ ბრძოლას უმართავდა ხოლმე „ლათინელებს" გიმნაზიის სავარჯიშო მოედანზე, მაგრამ ამ ცემა-ტყეპით ძველი მტრობა არ ნელდება.

ახლა მე ქრისტოფის დახმარება აღარ მჭირდებოდა, უკვე პატარა სახლის წინ ვიყავით და ნოემბრის ქარის მიერ ცაცხვიდან ჩამოყრილი ყვითელი ფოთლების შარიშურით დაბალი კარისკენ მივემართებოდით. ზარის ხმაზე სამზარეულოდან ფრაუ ბორეგარი გამოგვეგება, თეთრ წინსაფარზე ხელი მონდომებით გაიწმინდა და ოთახში შეგვიპატიჟა.

ვერ იფიქრებდით, რომ ეს ქერა ქალი ამ ნაზი შავგვრემანი გოგონას დედა იყო. როგორც კი ოთახში შევედით, გოგონამ საკერავი გადადო, ფეხზე წამოდგა და სკივრს მიეყრდნო. სახეზე ცნობისმოყვარეობა და შეკრთობა გამო-

ხატოდა. როცა ფრიცმა ჩვენი მისვლის მიზეზი აცნობა, გოგონას სიწითლემ გადაჰკრა, თვალები გაუფართოვდა და გაუცისკროვნდა. მაგრამ, რაკი დედამ ხმის ამოუღებლად თავი ჩაფიქრებით გაიქნია, გოგონა დედის ზურგს უკან უჩუმრად გაიპარა კარში, რომელიც ალბათ საძინებელ ოთახში გადიოდა. მე იმ მაგიდას გადავხედე, გოგონა რომ უჯდა ჩვენს შემოსვლამდე. ბაბთებსა და ზიზილ-პიპილებს შორის, გოგონებს რომ ესოდენ უყვართ, იდო ლასტიკის ერთი წყვილი თითქმის მთლად გამზადებული პაწაწინა ფეხსაცმელი, რომლის მორთვასაც ლორა ეს—ეს იყო ამთავრებდა. ფეხსაცმელი მეტისმეტად პატარა იყო და ჩემს აგზნებულ ბავშვურ ფანტაზიას თვალწინ დაუდგა, როგორი იქნებოდა მისი სარგო ფეხი. ასე მეგონა, უკვე ვხედავდი, როგორ დაგოგმანობდნენ ცეკვის დროს ეს ფეხები და მსურდა შევხვეწნოდი, ერთ წუთს მაინც შეჩერებულიყვნენ, მაგრამ ისინი ხან ჩემს ირგვლივ ტრიალებდნენ, ხან კი თვალთაგან მეფარებოდნენ და კვლავ დაუსრულებლად აღმაგზნებდნენ.

სანამ ჩემს თვალთა წინ საკუთარი ფანტაზიით წარმოსახული სურათები იცვლებოდა, ფრაუ ბორეგარმა ჩემს მეგობარს საუბარი გაუბა. არ იცოდა, რა ექნა, ჯამოეშვა თუ არა ლორე ცეკვაზე, მაგრამ როცა სასწორზე ბურგომისტრის ცოლის აზრიც დაიდო, საქმე თანდათან ჩვენს სასარგებლოდ შემობრუნდა.

— აი საცეკვაო ფეხსაცმელიც მაგიდაზე დევს! — წარმოთქვა ფრიცმა. — განა ბატონი ბორეგარი მეწაღეც არის?

ქალმა თავი გააქნია:

— თქვენ ხომ კარგად იცით, ფრიც, რომ ჩემი ქმარი,

თითქოს ღვთის გამოსაჯავრებლად, ყველაფრის ოსტატია. ამ გაზაფხულზე საათი არ შეგიკეთათ? ეს პაწაწა ფეხსაცმელები კი საშობაოდ გაუმზადა ჩვენს გოგონას.

— დედაჩემს მთელი ერთი ზანდუკი ნახმარი კაბებით აქვს გავსებული. ისეთებია, სულ ახლები გეგონება. შეგიძლიათ, მარგარეტ, ეს კაბები ლორას გადაუკეთოთ. თითო კაბიდან, ალბათ, სამიც გამოუვა.

ქალმა გაიცინა, მერე ისევ სერიოზული სახე მიიღო.

— რა ვიცი, ჯობდა, არ ევლო, მაგრამ რაკიღა ქალბატონ ბურგომისტრის ცოლს ასე სურს...

ამ საუბრისას გოგონა ისევ ოთახში შემოვიდა და დედას ვვერდით ამოუდგა. შევამჩნიე, რომ ლორას თეთრი საყელო გაეკეთებინა, წეღან თითქოს არც მარჯნისთვლიანი საყურეები ჰქონია.

— შენ რას იტყვი, ლორა? — ჰკითხა ფრიცმა გოგონას, რაკიღა დედამისი ჯერაც ისევ ჭოჭმანობდა და ვერ გადაწყვიტა, რა გზას დასდგომოდა. — არ გსურს ჩვენთან იცეკვო?

გოგონას არაფერი უთქვამს, ორივე ხელი დედას მოხვია კისერზე და ყურში რაღაც ჩაუჩურჩულა. ამ დროს სახეზე თანდათან სიწითლე მოედო.

დედა ნაზად შეეცადა გოგონანგან განთავისუფლებულიყო.

— ფრიც, — მიმართა მან ჩემს მეგობარს, — მერჩივნა, ეს ამბავი მარტო ჩემთვის გეთქვა. მაშინ ამ საქმიდან არც არაფერი გამივიდოდა, ახლა კი ეს გოგოც ამიმხედრეთ და წინასწარ ვიცი, აღარ მომასვენებს...

მაშასადამე, ჩვენ გავიმარჯვეთ.

— ოთხშაბათს, საღამოს შვიდ საათზე! — მიაძახა ფრიცმა და კარისაკენ გაემართა.

დედა-შვილმა გამოგვაცილეს და გარეთ გამოვედით.

ცოტა ხნის შემდეგ, უკან რომ მოვიხედეთ, ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი კართან იდგა. თავი რამდენჯერმე დაგვიქნია და მერე სწრაფად შინ შევიდა.

ცეკვის გაკვეთილებზე

მეორე დღეს, გამანდო ფრიცმა, ფრაუ ბორეგარი დედამისთან მისულა, მასთან ერთად დიდხანს უქექია გარდერობი და მერე კაი გვარიანი ფუთათი წასულა შინ.

ოთხშაბათ საღამოს ცეკვის გაკვეთილი იყო დანიშნული. ცეკვის დაწყებამდე სულ რამდენიმე წუთით ადრე მოვიტანე მეწაღისაგან ლითონის აბზინდიანი ლაქის ფეხსაცმელი და მკერავისაგან ახალი ქურთუკი. როცა საცეკვაო დარბაზში შევედი, ყველა შეკრებილი დამხვდა. ჩემი მეგობრები ფანჯარასთან ცეკვის მოხუც მასწავლებელს შემოხვეოდნენ, რომელიც თითით ვიოლინოს სიმებს ხმას უსინჯავდა, თან ქაბუკ მოსწავლეთა ლაპარაკს უსმენდა. გოგონებს ერთმანეთისათვის ხელკავი გაეკეთებინათ და ასე გუნდ-გუნდად მიმოდიოდნენ დარბაზში.

ლენორა მათ შორის არ იყო. იგი განმარტოებით მიმდგარიყო კართან და მოღუშული გასცქეროდა გოგონებს, რომლებიც გაცხარებით ლაქლაქებდნენ, წარჩინებულთა ამ შესაკრებ დარბაზში თავს თავისუფლად გრძნობდნენ და მას ყურადღებასაც არ აქცევდნენ.

არაფერია ახალგაზრდობაზე უფრო ეგოისტური და შეუბრალებელი! ჩემს შემდეგ დარბაზში ბურგომისტრის ცო-

ლიც შემოვიდა. როგორც კი ახალგაზრდებს მიესალმა და, ფრიცის თქმისა არ იყოს, იქ მყოფნი „უფლებამოსილად“ შეათვალიერა, ლორასაკენ წავიდა და ხელი ჩაჰკიდა.

— საჭიროა წყვილები შეირჩეს. აბა კავალრები მოაწყვეთ! — მიმართა მან ცეკვის მასწავლებელს და, როცა ეს უკანასკნელი ბანკარგულებას შეუდგა, ფრიცის დედამ გოგონების სიმაღლის მიხედვით დააყენება დაიწყო. ფოსტის უფროსის ქერა გოგონა ყველაზე მთელი თავით მაღალი აღმოჩნდა. იგი კედელთან ჩვენს პირდაპირ დააყენეს. მომდევნო გოგონას შერჩევა საჭოჭმანო გახდა.

— არ ვიცი, შარლოტა, შემდეგი რომელი იქნება, შენ თუ ლორა? მგონი, ორივე თანაბარი სიმაღლისანი ხართ, — განაცხადა ბურგომისტრის ცოლმა.

შარლოტამ, ჩინოვნიკისა და კამერჰერის ქალიშვილმა, ერთი ნაბიჯი უკან გადადგა.

— რასაკვირველია, მამზელ ლორა უფრო მაღალია, — დაუდევრად ჩაილაპარაკა მან.

— ო, რას ამბობ, საყვარელო! — შესძახა ფრიცის დედამ. — აბა მაგ კუთხიდან გამოდი და მამზელ ლორას დაეტოლე!

გოგონა იძულებული გახდა წინ გამოსულიყო და dos-à-dos[1] დასტოლებოდა მკერავის ქალიშვილს. მაგრამ — ჩემს თვალს არ გამოჰპარვია, — შარლოტამ ისე მოახერხა, რომ ხელოსნის ქალიშვილის თავს თავი თითქმის არც კი მიადო.

კამერჰერის ქალიშვილი ღია ფერის სამოსში იყო გამოწყობილი. ლორას წითელზოლებიანი შავი შალის კაბა ეცვა, ყელზე კი თეთრი ყელსახვევი შემოეხვია. კაბა ძალიან შავი და რაღაც უჩვეულო იყო, მაგრამ ლორას ძალზე შვენოდა.

---

[1] ზურგი — ზურგ (ფრანგ.).

ბურგომისტრის ცოლმა ორივე გოგონა დაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა და-კამერჰერის ქალიშვილს მიმართა:

— შარლოტა, შენ ცეკვის ნამდვილი ოსტატი ხარ, მაგრამ ფრთხილად იყავ, ეგ პატივი ლორამ არ წაგართვას. მე რაღაც ასე მგონია.

მომეჩვენა, თითქოს ამ სიტყვებზე ლორას შავ თვალებში ნაპერწკლებმა გაიელვეს.

ცოტა ხნის შემდეგ წყვილები შეირჩა. ბიჭებში მეორე ადგილზე მე ვიდექი და ჩემს მეწყვილედ ლორა აღმოჩნდა. ლორამ ხელი ხელში ჩამიდო და გამიღიმა.

— ჩვენ ყველაზე უკეთესად უნდა ვიცეკვოთ, — ვუთხარი ლორას და შევასრულეთ კიდეც ეს.

იმჯერად მაზურკის ცეკვაში უნდა გავწაფულიყავით და პირველივე გაკვეთილის ბოლოს, როცა ჩვენმა მოხუცმა მაესტრომ შეამჩნია, რომ ერთი ფიგურა კარგად ვერ გამოდიოდა, ვიოლინოზე ქამანი დაკაკუნა.

— პატარა ბორეგარ! ბატონო ფილიპ! აბა თქვენ უჩვენეთ!

მასწავლებელმა ვიოლინო ააჟღერა, თან სიმღერა ააყოლა, ჩვენ ცეკვას შევუდექით. ლორასთან ცეკვას დიდი ნიჭი არ სჭირდებოდა, დარწმუნებულიც კი ვარ, ამას ყველა ადვილად მოახერხებდა, მაგრამ ბებერი მაესტრო წარამარა აღტაცებული „ბრავოთი“ გვაქებებდა. ბურგომისტრის კეთილი ცოლი კმაყოფილი ღიმილით გადაწვა სავარძელში, იგი ცეკვის დაწყებიდანვე ყურადღებით თვალს გვადევნებდა.

ფროილაინ შარლოტას ჩემი მეგობარი ფრიცის მეწყვილეობა ერგო წილად, და, როგორც შევნიშნე, მისმა გიჟმაჟ-

მა ბუნებამ ისე გაიტაცა, რომ ფრიცს მალე დაავიწყა მკერავის ქალიშვილი. ეს ამბავი ჩემთვის სასიამოვნო იყო. რაკიღა ლორა ახლა მხოლოდ ჩემად მიმაჩნდა, ჩემი მეწყვილის სინატიფესა და მოხდენილობას კრიტიკული თვალით ვაფასებდი. დავინახე, როგორ დაჟინებით უმზერდა ლორას მისი გოგონას მფარველს ერთი რამ მაინც ვერ გაეთვალისწინებინა: მისი პაწაწა ხელებისთვის ხელთათმანები ზედმეტად დიდი ჩანდა, თანაც აშკარად ეტყობოდა, მრავალჯერ იყო გარეცხილი.

ამ ამბავმა მოსვენება დამიკარგა. მეორე დღეს, როგორც კი სკოლიდან დავბრუნდი, იმ კარადას ვეცი, სადაც ჩემი კალის ყულაბა ინახებოდა. ფულის ამოსაღებად ყულაბა იმდენხანს ვაჩანჩხარე, სანამ ჭრილიდან, სადაც წითელი მაუდის ენა იყო გამოყოფილი, ერთი ტალერი არ ჩამოვაგდე. მერე დუქნისაკენ გავეშურე.

— პატარა თეთრი ხელთათმანები მინდა! — დარცხვენით მივმართე გამყიდველს.

ნოქარმა ჩემი ხელები საქმის მცოდნე კაცის თვალით შეათვალიერა.

— მეექვსე ზომა დაგჭირდებათ! — მითხრა და დახლზე ხელთათმანის კოლოფი დადო.

— მეხუთე ზომა მომეცით! — ხმადაბლა ვთხოვე ნოქარს.

— მეხუთე ზომა? რომ არ გარგებთ! — მითხრა ნოქარმა და ხელზე ხელთათმანის წამოცმა დამიპირა.

სახეზე სისხლი მომაწვა.

— ჩემთვის არ მინდა! — ვთქვი მე და ახლა ყველაზე უფრო მეტად ვინანე, და რომ არ მყავდა, ვისაც შეეძლო ამ

მდგომარეობიდან ჩემი გამოყვანა. მაგრამ კოლოფიდან ამოღებულმა აბრეშუმის თეთრბაბთიანმა პაწაწა ხელთათმანმა აღტაცებაში მომიყვანა. ორი წყვილი ვიყიდე და, როგორც კი დუქნიდან ქუჩაში გამოვედი, რომელილაც ბიჭი გამოვიჭირე.

— ეს ლორა ბორეგარს წაუღე და ბურგომისტრის ცოლის სალამიც გადაეცი, — ვუთხარი ბიჭს. — აქ ცეკვის გაკვეთილზე სახმარი ხელთათმანები აწყვია-თქო, და პასუხი მომიტანე. აქვე კუთხეში დაგელოდები.

ათი წუთის შემდეგ ბიჭი დაბრუნდა.

— რა ჰქენი?

— ხელთათმანები დედამისს მივეცი.

— მერე რა თქვა?

— ეს უკვე ზედმეტიაო. ბურგომისტრის ცოლმა დღეს დილას ერთი წყვილი ხომ უკვე გამოუგზავნაო.

„ძალიან კარგი,— გავიფიქრე მე. — ვერაფერსაც ვერ გაიგებს“.

შემდეგ გაკვეთილზე ლორას უკვე ახალი ხელთათმანები ეცვა. არ ვიცი, ჩემი ნაყიდი იყო, თუ ბურგომისტრის ცოლის გაგზავნილი, მაგრამ თათმანები ხელზე ჩამოსხმულივით მორგებოდა. ახლა კი ვერც ერთი გოგონა ვეღარ ახდენდა შავ კაბაში გამოწყობილ ლორაზე უფრო კეთილშობილურ შთაბეჭდილებას.

ცეკვის გაკვეთილები თავის წესსა და რიგზე ტარდებოდა. მაზურკის შესწავლის შემდეგ კონტრდანსზე გადავედით. ახლა ლორასთან ფრიცი ცეკვავდა.

ჯერჯერობით გაურკვეველი რჩებოდა ლორას და დანარ-

ჩენი გოგონების ურთიერთობა. მხოლოდ ერთი-ორჯერ შევამჩნიე, რომ ლორა აწოწილ ჯენისთან ერთად მიმჯდარიყო და საუბრობდა. ჯენი დანარჩენებზე უფროსიც იყო და უფრო ჭკვიანიც. მათ სახლისკენ მიმავალი გზაც ნაწილობრივ საერთო ჰქონდათ და ჯენი ხანდახან ხელგაყრილი მოსდევდა ხოლმე მკერავის ქალიშვილს. ცეკვებს შორის შესვენებისას ლორა უმეტესად მარტო იდგა, თუ კი მასთან ვიოლინოთი ხელში არ მივიდოდა მოხუცი მასწავლებელი, რათა ლორასთვის თავისი ახალგაზრდობისდროინდელი საბალეტო პა ეჩვენებინა: მასწავლებელს სურდა საყვარელი მოსწავლისათვის ცეკვის ხელოვნების ყოველი წვრილმანი ესწავლებინა. ამ დროს მალვით შევყურებდი, როგორი მოჩვენებითი გულგრილობით უსმენდა ლორა მოხუცს და მხოლოდ ზოგჯერ თუ შეხედავდა და მშვიდად და თითქოს შემთხვევით გაიმეორებდა ხოლმე მის ნაჩვენებ ფიგურას. მაგრამ როგორც კი საცეკვაოდ მოვემზადებოდით და მაესტრო ვიოლინოზე ქამანს გაუსვამდა, ყველაფერი იცვლებოდა. გეგონებოდათ, ლორა ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა ცეკვისათვის საჭირო პასა და შემობრუნებაზე. მისი თვალები სადღაც სივრცეში იმზირებოდა, აზრი თითქოს შორეთში დანავარდობდა, ბაგეები კი იღიმებოდა, ხოლო პატარა ფეხები უხმაუროდ და მსუბუქად დასრიალებდა იატაკზე.

— ლეონორა, სად ხარ? — ვკითხავდი ხოლმე ასეთ დროს, როცა ახალი ტურისას ხელს გავუწვდიდი.

— მე? — წამოიძახებდა იგი და შავ თმაზე ხელს ისე გადაისვამდა, თითქოს ოცნებისაგან ერკვევაო, და ცეკვის ახალი ილეთი ჩემგან ისევ შორეთში გაიტაცებდა. და ახლაც, როგორც კი სხვადასხვა ერების ხალხურ მელოდია-

თა ზილხერისეულ* კრებულიდან ესპანური ცეკვის მუსიკას გავიგონებ, მაშინვე ლორა გამახსენდება.

მას შემდეგ, რაც ცეკვის გაკვეთილები დაიწყო, ფრანგი მკერავი განსაკუთრებული კეთილმოსურნეობით მეპყრობოდა, რაც — ტყუილს ვერ ვიტყვი — რამდენადმე უხერხულ მდგომარეობაში მაგდებდა. სადაც კი შემხვდებოდა, ქუჩა იქნებოდა თუ ბაღში სასეირნო ბილიკი, აუცილებლად შემაჩერებდა და ხმამაღალ საუბარს გამიბამდა. პირველსავე შეხვედრაზე მომიყვა, Louis Seize-ს[1] კარზე პაპაჩემი ტიულრიში ცეცხლფარაშად მუშაობდაო.

— დიახ, მუსიო ფილიპ, — ამოიოხრა მკერავმა და ფაიფურის საბურნუთე გამომიწოდა. — აი სანამდე შეიძლება დაეცეს გვარი... მაგრამ ჩემი ლორა.. თქვენ გესმით ჩემი, მუსიო ფილიპ!.. — მან ჯიბიდან ჭრელი კუბოკრული ცხვირსახოცი ამოიღო და პატარა შავი თვალები მოიწმინდა. — რას ვიზამთ! მე საწყალი ვარ, ჩემი გოგონა კი... ის ჩემი განძია, ჩემი გულის ხატი!

ამ სიტყვების თქმისას თვალები ააბამხამა და ისეთი მშობლიური გრძნობით შემომხედა, თითქოს თავის დაცემულ გვარში ჩემი შეფარებაც განიზრახაო.

დადგა ბოლო გაკვეთილი, რომელიც პატარა მეჯლისში უნდა გადაზრდილიყო. ცეკვის სანახავად მშობლებიც მოიწვიეს. დედამ აღმითქვა მოსვლა, მამაჩემი კი თავისი თანამდებობის გამო — ის ოლქის ექიმი იყო — საზოგადოებრივი ღონისძიებისაგან შორს იდგა.

როგორც კი მოსაღამოვდა, მოუსვენრობამ შემიპყრო

---

[1] ლუი XVI (ფრანგ).

და დანიშნულ დრომდე შევედი დარბაზში, სადაც დღევანდელი დღის გამო უკვე აენთოთ ჭაღებისა და კედლის შანდლების ყველა სანთელი. უკან რომ მოვიხედე, დავინახე ლორა, რომელიც ჩემკენ ზურგშექცევით ფანჯარასთან მარტოდმარტო მიმდგარიყო. კარის მიხურვის ხმამ ლორა შეაკრთო და ხელიდან ოქროს სამკაულის წაძრობას შეეცადა. ლორას მივუახლოვდი და დავინახე, რომ იგი ამაოდ ცდილობდა სამაჯურის ხელიდან შეხსნას.

— გაუშვი, გეკეთოს! — ვუთხარი მე.

— ჩემი არ არის, — დარცხვენით მიპასუხა ლორამ. — ჯენის დარჩა აქ.

ვენეციური მქრქალი ოქროს ნაზი ყვავილი ელვარებდა მის მოხდენილ ხორბლისფერ მაჯას.

— ნუ მოიხსნი, გეკეთოს, — წარმოვთქვი ჩურჩულით.

ლორამ ნაღვლიანად გაიქნია თავი და კვლავ სამაჯურის შეხსნას შეუდგა.

— მოიცა, ხომ ხედავ, ვერ ახერხებ. მე გიშველი.

ხელში მეკავა მისი ფაქიზი ხელი, სამაჯურის შეხსნას არ ვჩქარობდი და მოჯადოებულივით დავცქეროდი ზედ.

— ჩქარა, რა, გეხვეწები! — მემუდარებოდა ლორა. სახეზე სიწითლე მოსდებოდა და თველები ძირს დაეხარა.

ბოლოს სამაჯური შევუხსენი. ოქროს სამკაული ლორამ უჩუმრად დადო ფანჯრის რაფაზე ყვავილებს შორის.

დარბაზში ხალხი იკრიბებოდა. ფრაუ ბორეგარმაც არ ისურვა დაჰკლებოდა ამ სიამოვნებას და, თუმცა მსახურის მოვალეობას ასრულებდა, მაგრამ თავისი ქალიშვილის ნახვასაც ასწრებდა. თავზე ახლადგახამებული ჩაჩი დაეხურა

და სტუმრებს შორის ხან ნამცხვრის პინაკს ჩამოატარებდა, ხან დიდ ლანგარს.

ბოლოს მუსიკოსებიც გაისარჯნენ. იმ დღისათვის ოთხნი მოეწვიათ. მოხუცმა ცეკვის მასწავლებელმა ვიოლინოზე დაკვრევინა, ლორამ ხელი გამომიწოდა და მაზურკა დავიწყეთ.

ო, როგორ ვცეკვავდით! ჩემს მკლავებს მინდობილი ლორა მსუბუქად მიასრიალებდა იატაკზე ნამცეცა ფეხებს. მეც მუსიკის რიტმმა ამალივლივა და შორს გამიტაცა. ო, როგორი მტანჯველი იყო ეს ტკბობა — ეს იყო, ალბათ, ჩვენი უკანასკნელი ცეკვა, ალბათ, სამარადჟამოდ ვეთხოვებოდით ერთმანეთს.

ახლაღა შევამჩნიე, ლორას ღია ფერის ყვავილებიანი შალის თხელი კაბა ეცვა. როგორც ჩანდა, ეს კაბაც მისი მფარველის გარდერობიდან იყო გადაკეთებული, რადგან ამ ვარდების ფერადი თაიგულების შეხამება ბურგომისტრის ცოლის ფართო მკერდსა და სპილენძისფერ ლოყებთან წინა ზამთარს ქალაქში ყველას გამქირდავ სიცილს ჰგვრიდა. ახლა კი ფაქიზი ნაყში სხვაგვარად გამოჩნდა — გოგონას ნორჩ ხორბლისფერ სახეს გასაოცრად ამშვენებდა.

მაზურკა დასრულდა. ლორამ თავი დახარა და ლამაზი მკლავები ძირს დაუშვა. მე თავის ადგილზე მივაცილე. ფრიცი და შარლოტაც გამოსულიყვნენ და იქვე ახლოს ისხდნენ. ფრაუ ბორეგარმა ჩაი და ნამცხვარი მოგვიტანა. წარჩინებული გვარიშვილის, შარლოტას, შემდეგ ლანგარი თავის ქალიშვილს შესთავაზა. ფრაუ ბორეგარს ლორასათვის ხმა არ გაუცია, მხოლოდ გაუღიმა და სიამაყით შეანათა თვალები.

დედა-შვილს შარლოტამ ერთხანს დაუდევრად უმზირა, შემდეგ ფინჯანში შაქარი ჩაყარა და ქალს მიმართა:

— თქვენი ქალიშვილი, ფრაუ ბორეგარ, დღეს მეტისმეტად მომხიბლავია!

ნაამებმა დედამ შარლოტას თავაზიანად დაუკრა თავი.

— ბატონი ბურგომისტრის ცოლი დაგვეხმარა, ფროილაინ.

— ოჰ, დიახ, ეს ვარდის თაიგულები, არა? — და შარლოტამ დიდხანს ყურადღებით ათვალიერა ლორას ჩაცმულობა.

ლორას თვალები დაუნისლიანდა და ლოყაზე ცრემლები ჩამოუგორდა.

შარლოტამ თითქოს ვერაფერი შეამჩნია და ყურადღება ღია კარზე გადაიტანა. შიშით შევნიშნე, რომ კართან თავმოყრილ მსახურთა შორის, რომელიც მოცეკვავეებს გვიმზერდნენ, ფრანგი მკერავის ყვითელი სახეც გამოჩნდა. როგორც ჩანდა, თავს სრულიად à son aise[1] გრძნობდა, ფაიფურისკოლოფიან ხელს აქნევდა და სიხარულჩამდგარი შავი თვალებით დარბაზში იჭყიტებოდა.

— ეგ მამათქვენი არ არის, მამზელ ლორა? — იკითხა შარლოტამ და თითი კარისაკენ გაიშვირა.

ლორამ იქით მიიხედა და შეკრთა.

— დედა! — შესძახა მან და უნებლიეთ წაავლო ხელი ჯერაც ისევ ჩვენ წინ მოფუსფუსე ქალს.

ხასიათზე მოსულ ქმარს რომ შეხედა, ფრაუ ბორეგარი დიდად არ აღფრთოვანებულა, მაგრამ თავი შეიკავა და ესღა თქვა: „ტრაქტირიდან მოდის. სურდა ენახა, როგორ ცეკვავ“.

[1] თამამად (ფრანგ).

ლორა კარისაკენ წავიდა და მეც უნებლიეთ მივყევი უკან. ამ დროს ბურგომისტრიც მივიდა მკერავთან და ჭიქა პუნშის დასალევად დარბაზში მოიწვია. მაგრამ მკერავი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.

— თქვენი მორჩილი მსახური გახლავართ, ბატონო ბურგომისტრო! — წარმოთქვა მან, კატასავით აიბუზა და უკან დაიხია. — მეც რომ პაპაჩემივით ლუი XVI კარზე მემსახურა!.. ახლა კი ვიცი ჩემი ადგილი.

ბურგომისტრი უკან გაბრუნდა, ფრიცმა კართან მდგარ მკერავს ჭიქა პუნში მოუტანა.

— გაამოთ, ოსტატო! — გულკეთილად უთხრა ფრიცმა. — ახლა კი წავალ და ლორასთან ვიცეკვებ. ამაში მას ბადალი არა ჰყავს.

მკერავს სავსე ჭიქებით გარს შემოეხვია ბიჭების გუნდი მოხუცი მათ ჭიქას უკაკუნებდა და ყოველ მიკაკუნებაზე თავს თავაზიანად ხრიდა. ბიჭებიც მის გამოსაჯავრებლად კატასავით იბუზებოდნენ და დამცინავი ქათინაურებით უმასპინძლდებოდნენ.

ლორა ერთ ადგილას იდგა და მამამისს თვალს არ აცილებდა. გავიგონე, როგორ გააკრაჭუნა კბილები ლორამ.

მუსიკოსები დასაკრავად მოემზადნენ და ბიჭები კვლავ დარბაზში შემობრუნდნენ. მე ლორასთან ერთად ისევ კართან ვიდექი.

— ო, მუსიო ფილიპ! — შესძახა მკერავმა და ხელი გამოგიწოდა. — რა თავაზიანი, საამო ახალგაზრდა ბატონები არიან ეგენი. მაგრამ, ჩვენს შორის დარჩეს, ისინი და ლორა, ისინი, მუსიო ფილიპ, და ლორა!?

ამ სიტყვების თქმაზე პატარა შავი თვალები საოცარი

სინაზით მიაპყრო. თავის გოგონას. მერე თითქოს დაუძლეველ გრძნობებს წინ ვერ აუდგაო, ხელი გაიწოდა და გოგონა, მკერდზე მიიკრა.

— ჩემი შვილი, mon bijou! — ჩურჩულით წარმოთქვა მოხუცმა. გოგონამ აკოცა მამას, მკლავები მგზნებარე, მტკივნეული სინაზით შემოხვია კისერზე და თავი მკერდზე მიაყრდნო. შერე მოსცილდა მამას, ხელები დაუჭირა და ყურში რაღაც მტკიცედ უთხრა. სიტყვები ვერ გავიგონე, მაგრამ დავინახე, როგორი მუდარით მიაპყრო თვალები მამას და თითქოს ტკივილის დაამება სურდა, გამხდარ ღაწვებზე აცახცახებული ხელი გადაუსვა.

მოხუცმა რაღაც ურწმუნო ღიმილით გაიქნია თავი, მაგრამ თვალებში თანდათან გაუჩრა ის მხიარული თავდაჯერება, წელან რომ ჰქონდა კართან ჩამდგარს.

— ვიცი, ვიცი, გიყვარს შენი საწყალი მოხუცი მამა, — ჩაიჩურჩულა მან და, რაკი დარბაზში კონტრდანსის მუსიკის ხმა დაიღვარა, გოგონას ხელზე ხელი მოუჭირა და ჩუმად და უკანმოუხედავად გაუყვა გრძელ ტალანს.

იმავე წუთს კართან ფრიცი მოვიდა და თავისი მეწყვილე წაიყვანა.

ლორა ახლაც ჩვეულებრივი ძალდაუტანებლობით ცეკვავდა მაგრამ ადრინდელი უდარდელობა აკლდა, მით უფრო ველარ იგრძნობდით იმ გრაციოზულ ზეიმურობას, წინათ რომ ეტყობოდა ამ ცეკვის დროს. ცეკვებს შორის შესვენებისას ლორა გაშტერებული სადღაც შორს იმზირებოდა და საფეთქლებთან თმაზე ისვამდა ხელს. კავალერის მახვილსიტყვაობა მას, როგორც ეტყობოდა, არ ესმოდა.

[1] ჩემი საუნჯე (ფრანგ.).

კონტრდანსით ამოიწურა ჩვენი ნასწავლი ცეკვები, მაგრამ ცეკვის სურვილი ვერ დაგვილია. ჩვენს ბილეთებში ვალსი, ეკოსეზი და გალოპიც იყო აღნიშნული. უნდა გვეცეკვა კატილიონიც, რისთვისაც ლორას წინასწარ მოეუმზადე ჩინებული ბაბთები და ცოცხალ-ცოცხალი ყვავილები.

მაგრამ ლორას დარბაზი მიეტოვებინა. დანარჩენ გოგონებს დედები შემოხვეოდნენ, გადაცურებულ შარფებს და ბაბთებს უსწორებდნენ. კარებში ხელახლა გამოჩნდა ფრაუ ბორეგარი, რომელსაც ხელში ტკბილეულობით სავსე ლანგარი ეკავა. დარბაზი მოათვალიერა, მაგრამ ქალიშვილი ველარსად ნახა. მე ფრიცს დავუწყე ძებნა. იგი მუსიკოსთა მაგიდასთან იდგა კუთხეში და გამოცლილ ჭიქებს ისევ ავსებდა.

— სად არის ლორა? — ვკითხე ფრიცს.

— არ ვიცი, — უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა მან. — ჩემთან ერთი ხმა არ ამოუღია.

ფრიცი ტალანში გამოვიყვანე. იმ ოთახთან რომ გავიარეთ, სადაც სტუმრებს პალტოები გაეხადათ, ლორა წინ შეგვეხეჩა. პალტო ჩაეცვა და თავზე აბრეშუმის შავი კაპორი დაეხურა.

— ლორა! — შევძახე მე და შევეცადე ხელში წავწვდომოდი. მაგრამ გამისხლტა, გასასვლელისაკენ გაემართა და მოკლედ მომიჭრა:

— გამიშვი, შინ მივდივარ!

ერთ წამში ქუჩაში გამავალი მძიმე კარი გამოაღო და ქვის კიბეები ისე ჩაირბინა, რომ რკინის მოაჯირისათვის ხელი არ მოუცილებია. როცა ფრიცი პარმაღზე გვერდით

ამომიდგა, ლორა უკვე ქუჩაში შორს გარბოდა და ბინდში ძლივსღა მოვკარი თვალი.

— დაეხსენ! — მითხრა. ფრიცმა, — ან იქნება კატა-თაგვობანას თამაშის ხასიათზე ხარ?

კატათაგვობანას თამაში დიახაც მინდოდა, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ დამეწყო.

კვლავ დარბაზში შევბრუნდით. ფრაუ ბორეგარი შინ წავიდა, მაგრამ უშედეგოდ. ლორა შეუძლოდ არის, ლოგინში წევს და თავზე მამამისი ადგიაო, გამოგვიცხადა მან.

დარჩენილი დრო სულ ჩამშხამდა და სანამ კატილიონი დაიწყებოდა, რომლის ცეკვასაც ასე მოუთმენლად ველოდი ლორასთან, დაყურსებული და ხასიათწამხდარი შინ წავედი.

წისქვილი გუბურაზე

ახალი წელი უკან დარჩა. კარგა ხანია გულისძგერით შევცქეროდი ჩემი ჰოლანდიური ციგურების ფოლადის გლუვ ძირს და, ცოტა არ იყოს, მშურდა ჩემი ამხანაგებისა, რომლებიც უკვე ციგურაობდნენ რკინადაკრული მარხილებით. ბოლოს ხანგრძლივი ყინვებიც დაიჭირა.

კვირა დღე იყო. წინქვილის გუბურას — ამ ქალაქის ახლო მდებარე წყალსაცავს, მბრწყინავი ყინული გადაჰკვროდა. ზამთრის სუფთა ჰაერზე, აქ თითქმის ნახევარი ქალაქი მოგროვილიყო. მოხუცი და ახალგაზრდა, ზოგი წყვილი და ზოგი ცალი ციგურით, ზოგი კი ფეხზე ამოკრული ხბოს ძვლით იწაფებოდა ყინულზე სრიალის კეთილშობილურ ხელოვნებაში. გუბურის ნაპირზე კარვები დაედგათ. მათ ახლო აბრიალებულ კოცონზე დაკიდებული ქვაბებიდან

სხვადასხვაგვარი ცხელი სასმელის ოხშივარი ამოდიოდა. ამ ჯგლეთაში ხან აქ ხან იქ შეამჩნევდით უცბად გამოვარდნილ ციგებს, რომლებშიც თბილადშეფუთული გოგონები ისხდნენ. მათ ციგურებზე შემდგარი ბიჭები მიასრიალებდნენ. მაგრამ ყველა მათგანი ცდილობდა ნაპირს არ დასცილებოდა. შეიძლებოდა, შუაგული ჯერ კარგად არ ყოფილიყო გამაგრებული.

ფოლადის ციგურები ამოვიკარი და გუბურას ნაპირს მარტო გავუყევი. უკან რომ მოვბრუნდი, ჩვენ ცეკვის წრის თითქმის ყველა წევრს თავი კარვებთან მოეყარა. ახალ ქურქებში გამოწყობილ პატარა ქალიშვილებს ხელები წინ გაეწვდინათ და ფრთხილად სრიალებუდნენ ციგურებით უკვე გვარიანად დახაზულ ყინულზე. აქვე იყო ფრიციც, რომელსაც ჯერ კიდევ წინა დღეს მოეტანა წისქვილში თავისი ხისგან გამოჭრილი ირმის თავით შემკული ყვითელი ციგა. იგი ახალი დაბრუნებული ჩანდა; ფროილაინ შარლოტასთან ერთად ესეირნა. შარლოტას ადგილი ციგაში, ვეფხის დიდებული ტყავის ქვეშ, ახლა სხვა გოგონას დაეკავებინა. კავალერი რაღაც აგვიანებდა და უმწეოდ იხედებოდა აქეთ-იქით, თითქოს გოგონების მომსახურების საძნელო საქმეში ვიღაც დახმარებას ეძებსო. მაგრამ მე სწრაფად შევბრუნდი, რადგან მოშორებით მდგარ ხელოსანთა წოდების ცოლებისა და შვილების ჯგუფში შევამჩნიე ლორა ბორეგარი, რომელიც იმ უკანასკნელი ცეკვის საღამოს შემდეგ აღარ მენახა. დაბალი ფენის გოგონები რიგრიგობით სხდებოდნენ ჩვეწი დურგლის შეგირდის მსუბუქ მარხილში. მაშინვე გამახსენდა, რომ ეს მარხილი ქრისტოფისეული იყო — ჩვენ ხომ წინათ ერთად ვთამაშობდით ხოლმე. მისი დაც იქვე შევნიშნე,

თვით ქრისტოფი კი იქ არ ჩანდა. იგი ქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო მეციგურავე გახლდათ და შეიძლებოდა ტბის სარკესავით მოლაპლაპე ყინულმა შორს გაიტყუა.

ერთხანს ახლომახლო ვიტრიალე. ვერ გადამეწყვიტა, როგორ შემეთავაზებინა ლორასათვის დახმარება ისე, რომ ძალიან ზრდილობიანად გამომსვლოდა. რამდენჯერაც ვცადე მიახლოება, მან თავი ამარიდა და სხვა გოგონებში შეერია. აი ბიჭი დაბრუნდა თავისი მარხილით.

— ახლა ლორას რიგია! — დაუყვირა ვიღაცამ, მაგრამ ლორამ უარი განაცხადა.

— ბარტელმა ჯერ ერთი გადაჰკრას და მერე, — თქვა ლორამ და ბიჭს ხელში რაღაც ჩაუდო.

როგორც კი ეს გავიგონე, თავში ერთმა აზრმა გამიელვა.

თითქოს იქმყოფთა ამბავი სულ აღარ მაინტერესებდა, მთელი სისწრაფით კარვებისაკენ გავქანდი. ერთ კარავთან ფრიცის დედა დავინახე.

— ფილიპ, თუ ლორას ეძებ, აი, იქით არის, — გამოჯავრებით მითხრა მან და იქით მიმითითა, სადაც დაბალი წრის გოგონები იდგნენ.

— დიახ, ვეძებ! — მივუგე მე და გვერდით ჩავუსრიალე.

— შენ კი ეძებ, მაგრამ მას ახალგაზრდა ბატონების შეხედვაც აღარ სურს.

ეს სიტყვები შორიდან მომესმა, უკვე დიდი კარვის წინ ვიდექი, სადაც ღვინოს ყიდიდნენ. ბარტელიც ძალე მოვიდა, რომლისთვისაც მთელი ჩემი ფული გავწირე და ჭიქა პუნშში და ძეხვიანი ბუტერბროდი გავამზადებინე.

— აბა, აიღე, — მივმართე ბარტელს, — ამ გოგონებს იოლად მაინც ვერ გადაურჩები.

ბიჭი ისე მადიანად ილუკმებოდა და ისე ხარბად სვამდა, რომ გავიფიქრე, მისი მოსყიდვა ძნელი არ იქნება-მეთქი.

— რა იქნება, ბარტელ, რომ შეგცვალო?

ბიჭმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა და ბუტერბროდის ღეჭვა მშვიდად განაგრძო. მერე, როცა ვუთხარი, როგორ უნდა მოვქცეულიყავით, ბარტელმა მანიშნა, გავიგე, რასაც მეუბნებიო. ჭამას რომ მორჩა, თავის სახლისაკენ გაბრუნდა.

მე დავინახე მარხილში ჩამჯდარი ლორა — თავზე ბეწვიანი აბრეშუმის კაპორი ეხურა, ხელები კი პატარა მუფთაში შეეყო. მძიმე-მძიმედ მიასრიალებდა მარხილს ნაპირ-ნაპირ. ხალხს რომ გამოცილდნენ, ჩემი გლუვძირიანი ციგურებით უხმაუროდ მივეპარე და მარხილს უკან ამოვუდექი, კიდევ ერთი წამი და მარხილს მე მივასრიალებდი, ბარტელი კი უკან ჩამომრჩა. სიხარულით კინაღამ წამოვიყვირე, მაგრამ კბილი კბილს დავაჭირე. მსუბუქი მარხილი მბრწყინავი ყინულის ზედაპირზე ფრთებშესხმულივით მიფრინავდა.

— თითქოს მივფრინავთ, არა, ბარტელ? — დაიძახა ლორამ.

მე სიჩქარეს ცოტა მოვუკელი. მეშინოდა თავი არ გამეცა და ვცდილობდი, ჩემი ციგურები ისე ამეხმიანებინა, როგორც ბერტელის დაჟანგული ციგურები, მაგრამ ეს სიფრთხილე საჭირო არ იყო: ლორამ მუფთაში უფრო ღრმად შემალა ხელები და მოხერხებულად მიეყრდნო მარხილის საზურგეს, რის გამოც ბეწვიანი კაპორი თითქმის ჩემს ხელს ეხებოდა.

— კიდევ შორს, კიდევ შორს, ბარტელ! — იძახდა იგი და ბარტელიც თხოვნას არ ამეორებინებდა.

უკან მოვიტოვეთ მოციგურავეთა სასრიალო ასპარეზის

საზღვრები, ოდნავი სიო არ იძვრებოდა. ჩამაეალი მზის ირიბ სხივებში თვალისმომჭრელად ელვარებდა თეთრად შეთრთვილური ლელი, რომელიც ნაპირს თვალუწვდენ სიგრძეზე მიუყვებოდა. ყინულის გამჭვირვალე საფარქვეშ შევამჩნიე ბველივით დაკლაკნილი წყალმცენარეები.

ტბის შუაგული დაუძლეველად მიზიდავდა. მარხილი შეუმჩნევლად შევაბრუნე და ნაპირს თანდათან დავშორდი. უკან რომ მოვიხედე, ალაპლაპებული ლელი ძლივსღა დავინახე. იდუმალი იერი ედო ბინდდაკრულ ზედაპირს, რომელიც შორს გაფენილიყო და ძნელი იყო გაგერჩია — მყარად გაყინული ტბის ზედაპირი იყო ეს, თუ უძრავად გარინდული წყალი. ბოლოს ტბის შუაგულს მივაღწიეთ. ალარსად ეტყობოდა ადამიანის ნაფეხურები. უკიდეგანო სივრცეში გადაკარგულივით მოჩანდა შავ უფსკრულთან მისული მარხილი. წყალმცენარის ვერც ერთი ფოთოლი ვეღარ აღწევდა ზემოთ, ყინულის თხელ კრისტალურ ზედაპირამდე — ტბა აქ უფსკერო ჩანდა. ხანდახან ისე მეჩვენებოდა, თითქოს ჩვენი ფეხების ქვემოთ ბნელი რაღაც მიცურავდა... იქნებ, ეს იყო რომელიმე მტაცებელი თევზი, რომელიც ამ ტბის ყველაზე ღრმა ადგილებში ბინადრობს და ზემოთ მხოლოდ მაშინ ამოცურდება, როცა ტბა მსხვერპლის ჩასაყლაპად ემზადება?...“ მართლა რომ ასე იყოს? — გამიელვა თავში, მართლა რომ ჩატყდეს ყინული?“ და ჩემი თვალები ცდილობდნენ როგორმე გამჭვირვალე გაეხადა ეს შავი ტანსაცმელი, რომლის შიგნით ჩემთვის საოცნებო სხეული მიმალულიყო...

მარხილი ისევ შევაბრუნე და პირდაპირ გავასრიალე, ვცდილობდი შუა ადგილას არ გადავცდენოდი შორს, ჩვენს პირდაპირ, იქ სადაც ტბის ნაპირები ერთმანეთს უახლოვდება

და ვიწრო გასასვლელიღა რჩება, გამოჩნდა ხიდის კონტუ-
რები, რომელიც რუხ სიბნელეში ჩრდილივით ეკიდა.

— უკან დავბრუნდეთ, ბარტელ! უკვე აცივდა! — წარმო-
თქვა ლორამ.

მისი თხოვნისთვის ყურადღება არ მიმიქცევია „ნეტავ კი
უკან მოიხედავდეს“ ვფიქრობდი მე. და მარხილს უფრო
სწრაფად მივაქანებდი. მოუთმენლად ველოდი, როდის მო-
იხედავდა ლორა ჩემკენ. მაგრამ ლორას, ჩანდა, თხოვნა
დავიწყებოდა ყიდეც, თავი დაბლა დახარა და პალტო უფრო
კარგად შემოიხვია. მარხილი ისევ მისრიალებდა. ზოგჯერ
ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩვენს ქვემოთ ზვირთის
ცემას ვგრძნობდი, თითქოს ყინულის თხელი საფარველი
ზედ მიმქროლავი ტვირთის სიმძიმის გამო ხან მაღლა ა-
წევდა, ხან კი დაბლა დაეშვებოდა, მაგრამ არ მეშინოდა,
ვიცოდი, რომ ახლადპირშეკრული ყინული გაგვიძლებდა.

ამასობაში ზამთრის ხანმოკლე დღე იწურებოდა. მზის
გავარვარებული ბურთი უკვე ჰორიზონტის კიდეზე დასუ-
ლიყო. აცივდა. ისმოდა ყინულის ჭრიალის ხმა. უცებ უზარ-
მაზარ ბინდდაცემულ ყინულის სარკეზე გამაყრუებელი
ჭახანი გაისმა და ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირისაკენ გაქან-
და.

ლორამ ხმამაღლა შეჰყვირა და უკან გადმოიზნიქა.

— ნუ გეშინია! — მშვიდად ვთქვი მე, — ყინული არ ჩა-
ტეხილა, ასე იცის ყინვამ საღამო ხანს.

გოგონამ უკან მოიხედა და თავზარდაცემული დაყინებით
შემომაცქერდა.

— ეს შენ ხარ? — წამოიძახა გაოცებით. — საიდან გა-
ჩნდი?

— ოღონდ ეგრე გაბრაზებით ნუ მიმზერ, — ვთხოვე მე. და შევეცადე ხელზე ხელი წამეკრა, მაგრამ არ დამანება.

— ბარტელი სად არის?

— იქ დარჩა, ტბაზე კი მე გასირიალებდი.

გოგონა ფეხზე წამოიჭრა.

— გამიშვი! — შესძახა მან და თვალთაგან ცრემლი წასკდა.

მისთვის ყური არ მიგდია და მარხილი ქალაქისაკენ შემოვაბრუნე.

— ხომ არაფერი მიწყენინებია, ლორა? — ვკითხე გოგონას.

ლორამ პატარა ხელი დამუშტა და მკერდში მატაკა.

— იმ შენ კეთილშობილ ქალიშვილთან ჭიბრძანდი. არაფერი საქმე არ მაქვს თქვენთან, არც შენთან და არც იმასთან.

ამ სიტყვებმა ისე გამაბრაზეს, რომ ლორას ორივე ხელი წავაკლე და მარხილზე უხეშად დავსვი.

— დაწყნარდი, — მივუგე ლორას და ხმა ამიკანკალდა, — თორემ მარხილს კვლავ მოვაბრუნებ და ხიდის ქვეშ ჩაბნელებულ ადგილას შეგაცურებ, იქ, სადაც წყლის დინება ყველაზე მძლავრია. ჩემთვის სულ ერთია, შეგვიკავებს ყინული, თუ ჩატყდება!

ლორა თითქოს არც კი მისმენდა და სულ ტბას გასცქეროდა; ეს კი იყო, რომ წყანარად იჯდა და წინააღმდეგობას აღარ მიწევდა. მერე შევამჩნიე, რომ გოგონა უჩუმრად ერთი და იმავე მხარეს გააპარებდა ხოლმე თვალს. მეც იქით მივიხედე, ერთი მოციგურავე ჩვენსკენ მოისწრაფოდა. როგორც ჩანდა, მას ყველაფერი დაენახა და ახლა მთელი ძალით ცდილობდა დაგვწეოდა.

ვიცანი, ვინც იყო. ეს იყო ჩემი ძველი ამხანაგი, ვისთან ერთადაც ბავშვობისას ვთამაშობდი ხოლმე. „ლათინელ-ბის“ მტერი და მოძულე. ვიცოდი, ახლა რაც მოხდებოდა. ყველაფერს ის გადაწყვეტდა, ვინ უფრო სწრაფი აღმოჩნდებოდა.

— აბა, მოუმატე! ხომ ხედავ გეწევა, — მითხრა ლორამ და ბეწვმოვლებული კაპორი უკან ისე გადაიწია, რომ შავი თმის პწკალები გამოუჩნდა.

ლაპარაკის დრო არ იყო, მარხილი ადრინდელზე მეტი სისწრაფით გავაქანე. მაგრამ დიდი ხნის სრიალის გამო ძალღონე მელეოდა და სულისთქმა მიჭირდა. მდევარი თანდათან მეწეოდა, ჩუმად და შეუსვენებლად ძოგვდევდა ფეხდაფეხ. მერე მისმა ციგურებმა ერთბაშად დამუხრუჭების გამო ზედ ჩემ ყურთან გაიღრჭიალეს და მისი ხელი ჩემი ხელის გვერდით მარხილის საზურგეზე მძიმედ დაეშვა.

— მოდი ერთად ვასრიალოთ, ფილიპ! — მითხრა მან და მეორე ხელი მკერდზე წამავლო.

ხელი გავაშვებინე და მარხილს ისე ვუბიძგე, რომ ქრისტოფი შორს დაგვრჩა. მაგრამ იმავე წუთს მუშტი მომხვდა. პირაღმა წავიქეცი და კეფა ყინულს დავახალე. ერთხანს კიდევ მესმოდა მარხილის სრიალის ხმა, მერე კი გრძნობა დავკარგე.

ყინულზე დიდხანს არ დავრჩენილვარ.

შემდეგში ქრისტოფი მომიყვა, უკან რომ მოვიხედე და აღარ მომდევდი, ისევ შენთან მოვბრუნდიო. ორივეს ძალიან შეშინებია, ლორა მარხილიდან გადმოსულა და მარხილში მე ჩაუწვენივარ.

ეს ყველაფერი ბუნდოვნად მახსოვს, თითქოს სიზმარში

ვიყავი. ზოგჯერ გონებამდის სიტყვებიც აღწევდა. „პალტოს ნუ გაიხდი, ლორა!“ — ჩამესმა ქრისტოფის ხმა. „ო, არა. მე რად მინდა, ვმოძრაობ“, — გავიგონე ლორას პასუხი და იმავე წუთას ვიგრძენი, რაღაც თბილი დამაფარეს. მარხილს ნელა მიაცურებდნენ. შემდეგ გონება ისევ დაშიბნელდა, მაგრამ ვიღაცის ჩუმი ტირილის ხმა ყურიდან არ მცილდებოდა.

გონს რომ მოვეგე, დივანზე ვიწექი მეწისქვილის სახლში, რომელიც ზედ გუბურის პირას დგას. ამასობაში ლორას დედაც მოსულიყო და გოგონა შინ მიჰყავდა. ქრისტოფი კი ჩემთან დარჩა და მეწისქვილის ცოლის რჩევით კეფაზე სველ ტილოებს მადებდა. თვალი რომ გავახილე, ქრისტოფს სკამზე, მუხლებს შორის, თიხის ჯამი ჩაედგა. და ის იყო ტილოს გამოცვლას მიპირებდა, მაგრამ ახლა უკან გასწია და შემკრთალმა მკითხა:

— შეიძლება დაგეხმარო, ფილიპ?

დივანზე წამოვჯექი და გონების მოკრებას შევეცადე, თავი საშინლად მტკიოდა.

— არა, შენი დახმარება არ მჭირდება, — მივუგე მე.

— იქნებ, ვინმე მოგიყვანო ქალაქიდან?

— გამეცალე, ქალაქამდე თავადაც მივალ.

ქრისტოფი გაუბედავად წამოდგა და ჯამი მაგიდაზე დადგა. გავიგონე, როგორ გაიჭრიალა კარმა, მაგრამ ქრისტოფს სახელური ისევ ხელში ეჭირა და წასვლას არ აპირებდა. მისკენ მივიხედე და დავინახე. ძველი ამხანაგი გულწრფელი სინანულით ავსილი თვალებით შემომცქეროდა.

თუ აქამდე ცოტას ვმერყეობდი, ახლა ფეხზე წამოვდექი, ქრისტოფს ხელი გავუწოდე და ვუთხარი:

— თუ დრო გაქვს, ცოტა ხანს კიდევ დარჩი. მერე ხელ-შემაშველე და ქალაქში ერთად დავბრუნდეთ.

ამ სიტყვებზე ქრისტოფს სიხარულით გაებადრა სახე. მომიახლოვდა და ხელი ჩამომართვა:

— ძალიან გატკინე, არა?

ნახევარი საათის შემდეგ, როცა უკვე სრულიად ჩამობნელდა, ჩვენ ნელა გავუყევით ქალაქისაკენ მიმავალ გზას.

მაგრამ ეს ამბავი ასე იოლად არ დამთავრებულა. მეორე დღეს ლოგინიდან ვეღარ წამოვდექი და იძულებული გავხდი მშობლებისათვის მეთქვა, გუშინ ყინულზე დავეცი-მეთქი.

მეორე დღეს, საღამო ხანს, როცა თითქმის მთლად მოვჯობინდი. დედამ ჩემ წინ, მაგიდაზე დადო წითელი ხისგან გაკეთებული გაკრიალებული საკალმე კოლოფი.

— ეს ქრისტოფ ვერნერმა მოგიტანა. საგანგებოდ შენთვის გაუკეთებია.

კოლოფი შევათვალიერე. დიდებული ნახელავი იყო. სახურავზე პაწაწინა სურათები ამოეჩუქურთმებინა.

— ისიც იკითხა, როგორ არისო, — განაგრძო დედაჩემმა.

— განა ისევ განაახლეთ მეგობრობა?

— განვაახლეთ? როგორ გითხრა, დედა... — ღიმილით მივუგე მე.

მაგრამ დედაჩემი მანამდე არ მომეშვა, სანამ ეს პატარა თავგადასავალი მთლიანად არ მოუყევი. შეკითხვებითა და

ალერსიანი საყვედურებით დედაჩემი გზადაგზა ლაპარაკს მაწყვეტინებდა.

მერე ყველაფერი ისე მოხდა, როგორც დედამ თქვა. „ლათინელმა“ და დურგლის შეგირდმა მეგობრობა განაახლეს. ამიერიდან კვირაში ორჯერ, ერთსა და იმავე დროს მივდიოდი მოხუც დურგალ ვერნერთან, რომ ამ ხელმარჯვე ოსტატთან სხვა თუ არაფერი, დურგლობისა ცოტა რამ მაინც შემესწავლა.

სასახლის ბაღში

მე შავი შაშვის ჭახჭახი მესმის,
თეთრი აპრილის ნაზი გრიგალი
დამათრობელად შემოდის ჩემში.
მკვდარს გააცოცხლებს, დღეა იმგვარი.
დრო კი ჭქრის...
ქრება სიცოცხლე კაცის,
როგორც სიმწვანე ფოთლის თუ ხისა[1].

დადგა გაზაფხული, თუმცა იგი ბულბულს არ უხარებია, რადგან ეს ფრთოსანი ჩვენს მხარეში იშვიათად თუ მოხვდებოდა, და მაშინაც, ზღვის ნაპირიდან მონაბერი ნორდ-ვესტი ისევ შორს გადააფრენდა, მაგრამ ქალაქის გალავანთან სასახლის ბაღის ხეივნებში, იქ, სადაც ორი ქუჩა კუთხეს ქმნის, შაშვები ჭახჭახებდნენ. მთავარი შესასვლელის პირდაპირ მწვანე მდელოზე, ბაზრის დიდი მოედნების ირგვლივ გაშენებული ბაღების გადაღმა, შინდებს აქეთ ტრიალებდა კარუსელი. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ მხოლოდ გა-

[1] თარგმანი ა. აბულაშვილისა.

ზაფხული კი არ დადგა, არამედ საგაზაფხულო ბაზრობაც დაიწყო, რომელიც მთელ კვირას გრძელდებოდა. ქალაქს ესტუმრნენ მეარღნეები და, რასაკვირველია, არფის დამკვრელი გოგონებიც. ხელიხელგადახვეული წითელქუდა გიმნაზიელები ბაზარზე გამწკრივებული ფარდულების ირგვლივ დახორხორობდნენ იმ იმედით, იქნებ რომელიმე ნორჩი აზიელი ლამაზმანის თვალებს წავაწყდეთო — სხვა დროს ხომ მათ ჩვენს ქალაქში ვერ ნახავდით.

თავისთავად ცხადია, რომ საგაზაფხულო ბაზრობისას კლასიკურ გიმნაზიასაც და სხვებსაც არდადეგები ეწყებოდათ. მთელი ჩემი არსება ამ საზეიმო დღეებით იყო აღსავსე, მით უფრო, რომ ცოტა ხნის წინ დამამთავრებელ კლასში გადავედი, რის გამოც ჩემს წითელ ქუდს საკუთარი გემოვნების თარგზე შეკერილი შავქობიანი სერთუკიც დაემატა. ახლა წინანდებურად აღარ მიწევდა საღამოობით რატუშის განათებულ სარდაფში ჩასასვლელი კიბის თავზე დგომა — ამ სარდაფიდან მუდამ მუსიკისა და გამხიარულებულ მოცეკვავეთა ხმა ამოდიოდა. ახლა, თუკი მოვისურვებდი, მეც შემეძლო იქ ჩავსულიყავი და რომელიმე უცხო გოგონასთან მეცეკვა, და ამისთვის ვერც ვერავინ დამსჯიდა.

მაგრამ სწორედ იმხანად მინდორში უფრო მიყვარდა მარტოდმარტო ხეტიალი. თანაც რაკიღა მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, რომ სარდაფში ჩასვლით მიღებული სიამოვნება არსად გამექცეოდა, ამ სიამოვნებით დატკბობას რამდენიმე ხნით იქით ვდებდი.

დღესაც ასე მოხდა. რამდენიმე წლის წინ მამაჩემის დახმარებით, რომელიც გატაცებული ენტომოლოგი იყო, პეპ-

ლების კოლექციის შედგენა დავიწყე და ამ საქმეს ისეც მუყაითად განვაგრძობდი. სადილის შემდეგ ჩემს ოთახში განვმარტოვდი და ერთ-ერთი შუშის კოლოფთან შევჩერდი — სამი ასეთი კოლოფი უკვე კედელზე ეკიდა. შუადღის მზის სხივები მეტისმეტად მიმზიდველად ბრწყინავდა არგუსის ლუოჯ ფრთებსა და ანტიოპას ყავისფერ ხავერდზე. ამის შეხედვაზე უცებ ისევ მომინდა გავსულიყავი ჟოლოს ფარვანას საპოვნელად, რომელიც ადრე რამდენჯერმე ამაოდ ვძებნე. ამ მშვენიერ ზეთისხილისფერ ზაფხულის პეპელას საცხოვრებლად წყნარი ტყეები უყვარს და სიამოვნებით ისვენებს მზისგულზე ამოსულ ბუჩქნარზე, ჩვენს უტყეო მხარეში კი დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

ლურსმნიდან პეპლების საჭერი ბადე ჩამოვიღე და დაბლა ჩავედი, დედას ფუნთუშა გამოვართვი და მათარაში წყალღვინო ჩავისხი. სამზადისს რომ მოვრჩი, გადავიარე კარუსელის მრედანი და გზას სასახლის ბაღისაკენ გავუყევი რომლის ხეივნები უკვე ლორთქო ფოთლებით დაჩრდილულიყო. მერე მთავარი შესასვლელის პირდაპირ მდებარე პატარა კარით მინდორში გავედი. წინა ღამით ეწვიმა, ახლა თბილოდა და ჰაერი გამჭვირვალე გამხდარიყო. პირდაპირ იქ, სადაც ჰორიზონტი სილის გორაკს თავზე დაეხობოდა, ქარის წისქვილი ფრთებს აქნევდა.

ჯერ სასახლის ბაღის გასწვრივ გაჭიმულ გზას დავადექი, მერე მზით განათებულ მინდორს ალალბედზე გავუყევი; ხან ხნულზე გამავალ გზაწვრილზე მივაბიჯებდი და ხან ბილიკებზე. ქვიშისა და ქვის ზვინებზე, რომლებითაც ნაკვეთები იყო შემომიჯნული, იშვიათად თუ შეამჩნევდით ასკილის ან სხვა რომელიმე უბადრუკი მცენარის ბუჩქს. აქ,

სადაც ზღვის მკაცრი ქარი დილაადრიანად დაუბრკოლებ-ლად დაქშუის, მცენარეს ფოთლები ძლივს გამოეღო. რა-ღაც საამო გრძნობით აღვსილი მივაბიჯებდი და სადღაც შორს ვიმზირებოდი. ჩემ ირგვლივ კი გზაზე, ბალახებსა და წითლად აყვავებულ ჭინჭრებში, ვინ იცის, იქნებ, პეპლე-ბიც დაფარფატებდნენ, მაგრამ ამას ყურადღებასაც არ ვაქ-ცევდი.

დღემ ისე გაირბინა, ვერც კი გავიგე. როცა წისქვილის ტბორის პირას ბალახზე დავჯექი და ჩემი ღარიბული სამ-ხარი გეახელი, ქალაქში ოთხჯერ ჩამორეკეს. ჩემს ფერხთით გადაშლილი ჩაბნელებული ვრცელი წყლის ზედაპირიდან საამო სიგრილე მელამუნებოდა. ალბათ, ტბორის ეს შუაგუ-ლი იყო, სადაც ახლა პატარა ტალღები დალივლივებდა, ლო-რამ რომ თავისი პალტო დამახურა. დიდხანს ვუყურე ამ ადგილს ტალღების ჩქერში და ძლივს მივაკვლიე, იქამდე მიღწევა კი ამჟამად შეუძლებელი იყო.

მაგრამ მე ხომ ჟოლოს ფარვანას დასაჭერად წამოვედი. რა უნდოდა ამ ფარვანას აქ, სადაც ირგვლივ არც ერთი ბუჩქი არ იყო, არც ქარისაგან დაცული რამ პატარა ადგილი ჩანდა? მაშინ გამახსენდა სხვა ადგილი, სადაც რამდენიმე წლის წინ ჩემზე დიდ ბიჭებთან ერთად ჩიტის კვერცხების საძებნელად ვიყავი. იქ საბალახოებს შორის ბორცვებზე თხილნარი და კუნელი იყო მოდებული. წარამარა გვხვდებოდა ეკლებზე დაგებული კრაზანები — ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, თუ ბუნებისმცოდნეობის ისტორიას დავუჯე-რებთ იმას, რასაც ღაჟოებზე მოგვითხრობს. მალე ბუჩქები-დან გამოფრენილ ჩიტებსაც მოვკარით თვალი და ხშირ ფოთლებში მიმალული დაწინწკლულკვერცხებიანი ბუდე-

ებიც ...ღმოვაჩინეთ ალბათ, ამავე ეკალბარდებით შექმნილი თავშესაფარი წარმოადგენდა იშვიათი ჯიშის პაწაწინა ბარტყების სამყაროს. „საფლობი“ — ასე უწოდა ამ ადგილს ჩემმა გამყოლმა ბიჭმა, რაც დაბლობად უნდა მიგვეჩნია. მაგრამ ეს „საფლობი“ სადღა იყო? მხოლოდ ის მახსოვდა, რომ ქალაქიდან მაშინ ამავე მიმართულებით წამოვედით და რომ ის ადგილი ვრცელი ველის ახლო არის, რომელიც ქალაქიდან ერთი მილის შემდეგ იწყება.

ცოტა ფიქრის შემდეგ დავწვდი ჩემ ბადეს და ისევ გზას გავუდექი. გავიარე ხევხუვები, რომელიც ამ ადგილებში ზედ ტბის ნაპირებს ებჯინება და ავედი ბექობზე, საიდანაც კარგად დავინახავდი წინ გადაშლილ ვაკეს. მაგრამ აქაც სილის ისეთივე შიშველი ბორცვებით მოდებული ველი აღმოჩნდა, რომელსაც გაზაფხულის მწველი მზე დანათოდა. მერე ველის კიდეზე აღმართული ქოხის მხარეს თითქოს რაღაც ბუჩქნარის მსგავსი შევამჩნიე. იქამდე კარგა ერთი საათის სავალი იქნებოდა, მაგრამ დღეს ხეტიალის ხასიათზე ვიყავი და იქით მხნედ გავემართე.

გზიდან წარამარა ამოფრინდებოდნენ ლიმონურა და თეთრი ავრორა, ხან კი რუხი ბუკნაჭო გადაღოღდებოდა ბალახის ღერებზე, მაგრამ ჟოლოს ფარვანას კვალი არსად ჩანდა.

როგორც ეტყობოდა, ტაფობში ვეშვებოდი, რადგან ჰაერი თანდათან დაიხუთა. ახლა კუნელის ხშირი ბარდნარების გაყოლებით მივდიოდი. ხანდახან სიო დაუბერავდა და რაღაც საამო სურნელებას მოიტანდა, მაგრამ ვერ ვგებულობდი, რომელი ყვავილისა უნდა ყოფილიყო, რადგან ბუჩქნარი მიშლიდა ხელს. მარჯვენა მხარეს ბორცვმა ერთ-

ბაშად უკან დაიწია და ჩემ თვალწინ მწვანე კორდი გადაშალა. მიწას აქა-იქ მაყვლის ყლორტები და მოცვის ბუჩქები მოსდებოდა. შუა ადგილას კი, სადაც პატარა ჩაშავებული ტბორი იდგა, განმარტოებით აღმართულიყო მზით განათებული მაღალი ხე. მის ხშირ, თვალისმომჭრელად ხასხასა ფოთლებში მოჩანდა ფაქიზი თეთრი მტევნები. არფის ქღერას მოგაგონებდათ ხის კენწეროზე დახვეული ფუტკრების დაუსრულებელი ზუზუნი. ამის მსგავსი რამ არსად მინახავს, არც ქალაქის ბაღებში და არც შორეულ ტყეებში. რაღაც ნასწაულს მოგაგონებდათ ამ უდაბურ ადგილას აღმართული ეს აყვავებული ხე და მეც განცვიფრებული შევცქეროდი მას.

ცოტა მოშორებით, მწირი სახნავ-სათესის გადაღმა გადაშლილიყო თვალუწვდენელი ყავისფერი ველი. ჰორიზონტის შორეული ხაზები ჰაერში ცახცახებდა. თვალსაწიერზე სულიერი არ ჭაჭანებდა, არც კაცი, არც რამ ცხოველი.

აყვავებული ხის ძირას მივწექი ბალახზე, გუბურის პირად. რაღაც ტკბილი იდუმალი გრძნობა დამეუფლა. შორიდან ტოროლას საამო გალობა ისმოდა. ზემოთ, ყვავილებში ფუტკრები გაბმულად ზუზუნებდნენ. ირგვლივ გამეფებულ მდუმარებას სხვა არაფერი არღვევდა. ზოგჯერ სიო დაჰქროლებდა და მიდამოს საამო სურნელებას მოაფრქვევდა. ტბორის პირად პეპლები დაფარფატებდნენ, მაგრამ მათ ყურადღებასაც არ ვაქცევდი, ჩემი ჩოგანი ამაოდ ცდებოდა.

გამახსენდა ამას წინათ ნანახი სურათი — ამ ველივით თვალუწვდენელ და ვრცელ მინდორზე კომბალს დაყრდნობილი ახალგაზრდა მწყემსი, ისეთი, როგორიც პირველყოფილი ადამიანი წარმოგვიდგენია. თეძოებზე თხის უხეში ტყავი აკრავს. მის ფერხთით წარმტაცი გოგონა გაწოლილა და ვა-

ჟი ზემოდან დასცქერის. ქალიშვილის დიდრონი შავი თვა-ლები ნეტარებით გასცქერის უდაბური ველის განთიადს. „მარტოდმარტო სამყაროზე“ — ასე ეწერა ამ სურათს.

თვალები დავხუჭე. ასე მეგონა, ამ უდაბური ადგილი-დან ჩემთან მოვიდოდა ის გოგონა, ქვეყნად ვიქნებოდით მხოლოდ ორნი და დავივიწყებდით ყოველგვარ სურვილს, მოთხოვნილებას, დავიურვებდით ყოველ სწრაფვას, ყოველ გატაცებას. „ლორა!“ წარმოვთქვი ჩურჩულით და მკლავები წინ გავიწვდინე.

ამასობაში მზე დაბლა დაშვებულიყო და დაისის სხი-ვები ველს მოჰფენოდა. ხეც დადუმებულიყო, ფუტკრებს უკვე მიეტოვებინათ. დრო იყო შინ გავბრუნებულიყავ. ხე-ლი წამოვავლე ძირს დაგდებულ პეპლისსაჭერ ბადეს, რად მჭირდებოდა ეს ბავშვის სათამაშო? ფეხზე წამოვხტი და ბა-დე ხის ხშირ ფოთლებში დავკიდე ტოტზე. უკან ნელა გა-მოვბრუნდი. გზაზე ჩემს დაბანგულ თვალებს დიდხანს არ მოსციელბია მკერავის მშვენიერი ასულის წარმტაცი ხატება.

როცა სასახლის ბაღის ალაყაფის კარიდან გამოვედი, უკვე გვარიანად ბნელოდა. კარუსელთან ლამპები ენთო. ჩემამდე მო-აღწია არღნის ჭყვიტინმა, სიცილმა და ხალხის უწესრიგო ლა-პარაკმა. ამ ხმებს ერთვოდა დაშნაზე რკინის რგოლის წამოც-მით გამოწვეული ჟღრიალის ხმა. შევჩერდი და მოედნის ირგვ-ლივ მდგარი ცაცხვების ჩრდილიდან დავაკვირდი ამ მხიარულ სანახაობას. კარუსელი თავბრუდამხვევად ტრიალებდა, სავარ-ძლები და ცხენები მთლად დაეკავებინათ, ირგვლივ კი ორივე სქესის ყოველგვარი ასაკის სანახაობას დახარბებულთა ბრბო დახორხოცობდა. აი კარუსელმა ტრიალს უკლო და ძწვანე ტო-ტებიდან კარგად გავარჩიე ზედ მსხდომთა სახეები.

ჩემდაუნებურად კარუსელს მივუახლოვდი და მის გარშემო შემოვლებულ მავთულებში გავძვერი. ყავისფერ ცხენზე ამხედრებული გოგონა ჩემი მეგობარი ქრისტოფის და აღმოჩნდა. მას კი მეორე მხედარი მოჰყვა, ეს უფრო მოხდენილი გოგონა ჩანდა. იგი დაუდევრად მოსჯდომოდა თავის ხის ცხენს. კარუსელი ნელა ბრუნავდა, გოგონა თანდათან ახლოვდებოდა და გაღიმებული შესცქეროდა ხალხს... ეს იყო ლორა. რაღაც საშინელმა შიშმა დამიარა თავიდან ფეხებამდე. იმანაც მიცნო, მაგრამ თვალები მხოლოდ ერთი წამით მომაპყრო, მერე კი გვერდით გადაიხარა და ისეთი სახე მიიღო, ვითომ კაბას ისწორებდა. პატარა ხელში ამაყად ეპყრა რკინის მძიმე დაშნა თითქმის თავამდე აცმული რგოლებით სავსე.

ამასობაში კარუსელის მეპატრონემ ჩამოიარა, რომ შემდეგი ტურის ფული აეკრიფა. ლორა თავის ტაიჭიდან წამოიმართა და კაცს დაშნა უჩვენა. „უფასოდ მეკუთვნის", უთხრა ლორამ, დაშნა თავქვე დახარა და მეკარუსელეს რგოლები ხელში ჩაუცურა.

კარუსელის პატრონმა ლორას თავი დაუქნია და მეორე სავარძელთან მივიდა. აქ ბიჭბუჭებს მოეყარათ თავი და ადგილის გამო დავიდარაბა გაემართათ. მე ისევ ლორასაკენ გავიხედე. მასთან ახლა ქრისტოფის და მისულიყო, მაგრამ ჩემსკენ ზურგშექცევით იდგა და, როგორც ჩანდა ვერ მამჩნევდა.

— არ წამოხვალ, ლორა? მე შინ მივდივარ, — მიმართა მან ლორას.

ლორამ ერბაშად არ უპასუხა, თვალები მალვით გამოაპარა და შემომხედა. განძრევას ვერ ვბედავდი, ჩემმა თვალებმა კი უპასუხა მის ჩუმ შეკითხვას, ხოლო ბაგეებმა ოდნავ გახაგონად ჩაიჩურჩულა: „დარჩი!"

— მითხარი, რას გაჩუმებულხარ. უკვე რვა საათისა დაჰკრეს.

ლორამ უზანგში შეჰყო ფეხი, მე გადმომხედა და მეგობარს უთხრა: დავრჩები, მე ხომ უფასოდ მეკუთვნის ტრიალი. მერე ხმადაბლა დაუმატა, — შეიძლება, დედაჩემმაც მომაკითხოს.

მივხვდი, რომ ლორამ ეს ტყუილად თქვა. სახეზე ალმური მომედო, ყურებმა შუილი დამიწყო, ამ პატარა მატყუარამ ორივენი იდუმალების ბადეში გაგვხვია. ეს პირველად მოხდა ჩემს ცხოვრებაში, ასეთი მაცთუნებელი დაპირება რომ მივიღე. აქამდე ზოგჯერ ფიქრში თუ წარმოვიდგენდი, შეიძლებოდა თუ არა საერთოდ ასეთი რამ.

ქრისტოფის და თავის გზას გაუდგა. არღანი ისევ აახმიანეს, ბებერ ჯახრაკს 'შოლტი გადაუჭირეს და სოფლის ბიჭებისა და გოგონების ჟრიამულში კარუსელი კვლავ დატრიალდა. ლორამ ერთი კიდევ მომხედა, მერე დაშნა უნაგირში ჩაუყარა, ხელები კალთაზე დაიწყო და გაირინდა, გარემოს გამოეთიშა. სწრაფად ჩამოაქროლებდა ხოლმე კარუსელის ბორბალი ჩემს გვერდით ლორას, რომელსაც ყელზე შემოხვეული წითელი თავსაფარი უფრიალებდა. ძლივს ვასწრებდი მისი აელვარებული თვალების შეხედვას, რომ ისევ მიეფარებოდა და ბინდში, უღიმღამო ლამპის შუქზე მხოლოდ მისი თეთრი კაბაღა მოჩანდა მკაფიოდ.

უცბათ რაღაცამ გაიტკაცუნა, გოგონები აყვირდნენ და კარუსელი გაჩერდა.

— ნუ წამოდგებით, ბატონებო! — დაიძახა კარუსელის პატრონმა და თანაშემწესთან ერთად დაზიანების მოსაძებნად განივ კოჭზე ავიდა, შემდეგ ორი ფარანი მოიმარჯვა და თლას და კაკუნს შეუდგნენ, მაგრამ, როგორც ჩანდა, დაზიანებულ ად-

გილს ასე იოლად ვერ შეაკეთებდნენ. დრო გულისწამღებად გაიწელა. ამაოდ ვეძებდი თვალებით პატარა მხედარს. ბოლოს გარსმოჯარული ხალხიდან გამოვძვერი და მოედნის მეორე მხარესკენ გადავინაცვლე ხან ძალის გამოყენებით, ხანაც თხოვნა-მუდარით ბარიერისკენ გავაღწიე და პირდაპირ ლორას გვერდით აღმოვჩნდი. თავის ხის რაშიდან გადმოსულიყო და აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს ვიღაცას ეძებსო. მერე დაშნის თამაშს მოეშვა, კვლავ უნაგირში გაამაგრა და ძირს ჩამოხტომა დააპირა. მაგრამ, ვიდრე კაბას აიკეცავდა, მეც მავთულის იქით წრეში შევედი.

— საღამო მშვიდობისა, ლორა!

— საღამო მშვიდობისა, — მშვიდად მიპასუხა მან.

გლეხის ბიჭები ყვიროდნენ და ფულს უკან ითხოვდნენ. მე ლორას ჩავკიდე ხელი და გარეთ გამოვიყვანე. მაგრამ ჩემი გამბედაობა ამით ამოიწურა. ლორამ ხელი წამართვა და ჩუმად და დარცხვენით გავყევით ქუჩას, რომლის ბოლოშიც მათი სახლი იდგა.

სასახლის ბაღის შესასვლელთან ჩვენსკენ ბიჭების ჯგუფი მოემართებოდა. ბიჭები გაცხარებული ლაპარაკობდნენ. მათში ჩვენი კლასის რამდენიმე ყველაზე თავზეხელაღებული ბიჭის ხმა ვიცანი, უნებლიეთ ორივე შევდექით.

— მოდი, ბაღზე გადავიაროთ! — ვუთხარი ლორას.

— აქედან შორს არის.

— არც ისე შორსაა.

ჭიშკარი გავიარეთ და დავეშვით ფართო ბილიკზე, რომელსაც კვრინჩხის დაბალი ბუჩქნარი შემორტყმოდა აქეთ-იქით. ბილიკი რცხილის ხეებით გადაბურული ხეივნისკენ მიემართებოდა. ამ ცოცხალი ღობის იქით ტყის გასაშენებლად დამუშა-

ვებული ზოლი მიუდიოდა, რომელიც ჯერჯერობით მოტიტკ-ლებული იყო, ამიტომ ღამის სიბნელე ხელს ვერ შიშლიდა, რომ ჩემ გვერდით მომავალი გოგონას სიახლოვით დავმტკბარიყავი. ასეთ განმარტოებულ ადგილას მისი სიახლოვე მთელ არსებას შიშით მივსებდა.

ძველ პარკში ჩვენ გარდა კაციშვილი არავინ ჩანდა, ირგვლივ ისეთი მდუმარება გამეფებულიყო, ფეხის ყოველ გადადგმაზე მკაფიოდ გვესმოდა სილის ხრაშუნი.

— ხელს ხომ არ ჩამკიდებდი? — უკითხე ლორას.

მან თავი გადაიქნია.

— რატომაც არა?

— არა, არ ივარგებს! ვინმემ რომ დაგვინახოს?

ახლა ბებერი წიფლის თაღებქვეშ მივაბიჯებდით. ეს ადგილი ძალიან დაბნელებული იყო, რადგან ორივე მხარეს ასეთივე მაღალი წიფლები იდგა და ქვეგაფენილ მოლს უკუნეთი ჩრდილი დასწოლოდა. ახლა ლორას ვეღარ ვხედავდი, მხოლოდ მისი სუნთქვა და მსუბუქი ფეხის ხმა მესმოდა. უცბად გონებაში და გამიელვა—დღეს ხომ სახლიდან პეპლის დასაჭერად გამოვედი-მეთქი, და ამ აზრმა თითქოს გამაღიზიანა. „აი, ბოლოს მაინც ხომ დავიჭირე!“ ვუთხარი საკუთარ თავს და სიბნელით გამხნევებულმა ლორას ჩავჭიდე ხელი. გოგოხას წინააღმდეგობა არ გაუწევია. მაგრამ ვიგრძენი, როგორ კანკალებდა, არც მე მადგა უკეთესი დღე — გული თითქოს ყელში მებჯინებოდა.

გზა ნელნელა განვაგრძეთ. ქალაქიდან ძლივსღა ისმოდა ბრბოს მისუსტებული ხმა და ბაზრობაზე შეკრებილი ხალხის გუგუნი. ჩვენ წინ, ხეივნის ბოლოში, მიუღწეველ მანძილზე, ზეცის პატარა ნაგლეჯს კიდევ შემორჩენოდა დაისის ციაგი. ლო-

რას ხელკავი გავუკეთე. უცბად გზაზე რაღაცამ გაიშლიგინა. ვინ იცის, იქნებ თაგვებზე სანადიროდ გამოსული ზღარბი იყო. გოგონა შეკრთა და მე მომეკრა. უნებლიეთ მეც ხელი შემოვხვიე და ლორამ თავი მხარზე დამადო.

მაგრამ შემდეგ, როცა სულ რაღაც წამით, ჩემი ბავშვური ბაგეები მისას შეეხო, შეშლილებივით მოვწყდით ადგილს და ჩრდილიდან ღია ადგილზე გამოვცვივდით. გოგონასთვის ხელი არ გამიშვია, ხეივნების ბოლომდე ისე ჩავირბინეთ, პატარა კარიდან მინდორზე გამოვედით და იმ გზას დავადექით, ქალაქის განაპირა სახლებისკენ რომ მიიმართებოდა. ერთმანეთის გვერდი-გვერდ აჩქარებით მივდიოდით, თითქოს გვსურდა ურთიერთს მალე დავშორებოდით.

— ვინ იცის, იქნებ მამა მეძებს. უკვე გვიანია, — თავაუღებლად ჩაილაპარაკა ლორამ.

— შეიძლება, მართლა გეძებს, — მივუგე მეც და ფეხი წეღანდელზე მეტად ავუჩქარეთ.

გზა მოთავდა. პირველი სახლის წინ ვიდექით. მკერავის სახლიდან გამომავალი სინათლის შუქზე ცაცხვის ქვეშ ჭასთან ვიღაც გოგო შევნიშნე. ლორას აქ უნდა დავმშვიდობებოდი.

მაგრამ ის იყო ლორამ ფეხი ქვაფენილზე დადგა, რომ გონებაში გამიელვა, მისი ასე გაშვება არ შეიძლება-მეთქი.

— ლორა, რაღაც მინდოდა მეთქვა, — ვუთხარი დაბნეულმა.

— რა გინდოდა? — ჩამეკითხა და ჩემკენ მოიწია.

— ცოტა ხანს კიდევ მოიცადე!

ლორა ჩემსკენ შემობრუნდა და მშვიდად შემომაცქერდა. მერე თმაზე ხელი გადაისვა და ყელსახვევი მჭიდროდ შემოიჭირა. დიდხანს ამაოდ ვეცადე მომეკრიბა აზროვნება, რომელიც ჩემს გარშემო ჩაწოლილი ბნელი ნისლით გაძფანტვოდა.

— ლორა, — წარმოვთქვი ბოლოს, — კიდევ ხომ არ მიბ-
რაზდები?

მან დაბლა დაიხედა და თავი გააქნია.

— მოხვალ აქ ხვალ?

გოგონამ ცოტა ხანს იჩოჩმანა და მერე მომიგო:

— სხვა დროს საღამოთი აღარ გამომიშვებენ.

— არა, ნუ მატყუებ, სწორი მითხარი. — ხელი დაკუჭი-
რე, მაგრამ არ დამანება.—ჰო, აბა მითხარი! არ გინდა მითხრა?

ლორა ერთხანს კიდევ ასე გაჩუმებული იდგა, მერე თავი
მაღლა ასწია და შემომხედა.

— კარგად ვიცი, რომ ბოლოს იმ შენი კეთილშობილი ქა-
ლიშვილებიდან შეირთავ ვინმეს, — ხმადაბლა წარმოთქვა ლო-
რამ.

ხმა ვეღარ დავძარი. ამ საყვედურს არ მოველოდი, ასეთ-
რთულ საკითხებზე ჯერ არ მეფიქრა, ამიტომ არც პასუხის გა-
ცემა შემეძლო.

გონზე მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ „ღამე მშვიდობისა“
შემომესმა და გოგონა სახლების ჩრდილში გაუჩინარდა. გაკი-
გონე ფრთხილად მიხურული კარის ხმა, შემდეგ უკან შეებრუნ-
დი და სასახლის ბაღისკენ ნელა გავუყევი გზას.

შინ არ მივახშმია, კიბეზე ჩუმად ავიპარე და ჩემს პატარა
ოთახში ავედი. გაბრუებულივით დავემხე ბალიშზე. თხუტმე-
ტიოდე წუთის შემდეგ კარი გაიღო და ოდნავ გახელილი წამ-
წამებიდან დავინახე, როგორ შემოვიდა დედა ანთებული ლამპ-
რით და თავზე დამადგა. მერე ლოგინზე გადმოიხარა. თვალები
დავხუჭე და ოცნება განვაგრძე. მიუხედავად იმისა, რომ ლორ-
ასთან გამომშვიდობება საიმედოს არაფერს აღმოთქვამდა, ისე
მეგონა, თითქოს სურნელოვან ვარდების გირლანდებს მივწვდი-

და ახლა ჩემი ცხოვრება სულ მუდამ ვარდ-ყვავილებით იქნებოდა მოფენილი.

თუ ამ საღამოს განმარტოებისკენ მივისწრაფოდი, მეორე დილას ხალხისკენ მიწევდა გული. აქამდე გამოუცდელმა თავისუფლებისა და სხვათა მიმართ საკუთარი უპირატესობის გრძნობამ მომიცვა. და მსურდა ეს გრძნობა სხვათა თანდასწრებით გამომეცადა. როგორც კი საუზმეს მოვრჩი და დედაჩემის უსიამოვნო შეკითხვებიც ასე თუ ისე დავაკმაყოფილე, ჩემი მეგობარი ქრისტოფის სახელოსნოში წავედი. ქრისტოფი რაღაცას გაცხარებით აკეთებდა, წითელი ხის ფირფიცრებს არჩევდა და ხერხავდა.

— რაღაც ლამაზს აკეთებ, არა? — ვკითხე მეგობარს.

— ნემსებისა და ძაფების ზარდახშას, — ისე მიპასუხა ქრისტოფმა, თავი არ აუწევია.

— ზარდახშას? ვისთვის?

— ლეონერა ბორეგარისთვის. ჩემს დას უნდა, დაბადების დღეზე საჩუქრად მიართვას.

ქრისტოფს ირიბად გადავხედე და გამომწვევად ვკითხე:

— რა, ლორა შენი გულის ვარდი ხომ არ არის?

ეს ისეთი უკადრისი შეკითხვა იყო, რომ გულკეთილ ბიჭს სახეზე ცეცხლივით მოედო სიწითლე. მერე, ეტყობა, თავისმა სირცხვილმა თვითონვე გააბრაზა.

— სულ არ იყო საჭირო, რომ თქვენ, ლათინელებმა, იგი თქვენს ცეკვის წრეში ჩაითრიეთ! — გაჯავრებით წარმოთქვა მან და დაჟინებით შეუდგა დანით ფირფიცრის კვეთას.

— ხომ არ ეჭვიანობ, ქრისტოფ? — ვკითხე მე.

არაფერი მიპასუხა, მხოლოდ თავისთვის ჩაიბურდღუნა:

— ერთი ჩემი და იყოს!..

ჩემს სიხარულს გამეორება აღარ ეწერა, რადგან რამდენი არ ვცადე, ლორასთან მარტოდმარტო შეხვედრა მაინც ვეღარ მოვახერხე. თუმცა ზაფხულის მანძილზე კიდევ რამდენჯერმე შევხვდი გზაზე სასახლის ბაღთან, მაგრამ მასთან იყვნენ ქრისტოფი და მისი და. გულკეთილი ბიჭი ისეთი სახით მიჰყვებოდა ლორას, თითქოს მზად იყო მთელი ქვეყნის „ლათინელებისაგან“ დაეცვა იგი. ამის გარდა, როცა ლორასთან საუბრის გამბა დავაპირე, მან აშკარად ამარიდა თავი და და-ძმა აიჩქარა, წავიდეთო.

შემდეგ, როცა წმინდა მიხეილის სადღესასწაულო ბაზრობა გაიმართა, ისევ კარუსელის იმედი მქონდა. ჩემ მეგობარ ფრიცს ათასგვარი მიზეზით თავს ვარიდებდი და ყოველ საღამოს, როგორც კი ცოტა მობინდდებოდა, მოედანზე მივდიოდი. მაგრამ ყოველ მოსვლაზე ამაოდ ვათვალიერებდი კარუსელზე მოტრიალე გოგონებს შორის შავგრემან ლორას, ვისი გულისთვისაც აქ დავიარებოდი. მარტოდმარტო დავეხეტებოდი ჩაბნელებულ პარკში და გაფრენილი ბედნიერების გამო ნაღვლიანი ფიქრები მიხუთავდა სულს.

მთელ ამ ამბებს ერთბაშად მოეღო ბოლო, როცა ზამთრის დამდეგს მამაჩემის სურვილით ჩვენი ქალაქის გიმნაზია მივატოვე და შემდგომი განათლების მისაღებად შუაგულ გერმანიის ერთ-ერთ ქალაქში გადავედი. ნეტა ისევ თუ ჰკიდია იმ აყვავებულ ხეზე, გუბურის პირას, ჩემი პეპლების საქერი ბადე? არ ვიცი, რადგან იქ აღარ ვყოფილვარ. ჟოლოს ფარეანას შეპყრობაც დღემდე ვერსად ვერ შევძელი.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა.

როცა ბოლოს სამონასტრო სასწავლებლის მარწუხები თავი დავაღწიე, შემოდგომაზე რამდენიმე კვირა ჩემს მშობლიურ ოჯახში გავატარე. ძველი ამხანაგებიდან ადგილზე ქრისტოფილ დამიხვდა. დანარჩენი ყველა, მათ შორმის ფრიციც. ბუდიდან აფრენილიყო. ერთნი მხიარულ სტუდენტურ ცხოვრებას დასწაფებოდნენ, სხვებს თვალუწვდენელი ზღვისთვის მიენდოთ ბედი, ზოგს სავაჭრო კანტორის ბნელი ოთახი მოეძებნა. ყველა იმ გზას დასდგომოდა, რაც მისთვის ბედსა და გარემოებას ერგუნებინა. ქრისტოფიც, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ცოტა ტანმორჩილ, მაგრამ ჩასხმულ ვაჟკაცად ქცეულიყო. გასამგზავრებლად ემზადებოდა — ქარგლობისათვის მიეღწია და ქვეყანად უნდა მიეხედ-მოეხედა.

მანამდე კი ჩვენ ერთხელ კიდევ წავიმუშავეთ მამამისის სახელოსნოში. ჩვენი შრომის შედეგი იყო მშვენიერი სათუთუნე, რომელიც უნივერსიტეტს ჩემთან ერთად დაუბრუნდებოდა.

დედაჩემისგან შევიტყვე, რომ ჯანსაღი და მხნე ფრაუ ბორეგარი ერთი წლის წინ უეცრად გარდაცვლილიყო, მისი ქალიშვილი კი ერთ პატარა საუნივერსიტეტო ქალაქში საცხოვრებლად გადასულა გაუთხოვარ დეიდასთან, რომელიც ანდერძით თავის მცირე ქონებას სიკვდილის შემდეგ მას უტოვებდა. ცაცხვებქვეშ მდგომი პატარა სახლი დედის სიკვდილის შემდეგ ვალებში გაუყიდიათ და ფრანგი მკერავი იმითაც კმაყოფილი უნდა ყოფილიყო, რომ სხვა ოსტატთან თავი ხელის მუშად შეუფარებია.

ერთ კვირა დღეს, საღამო ხანს, სასაფლაოს მიეარდნილ კუთხეში სკამზე მიმჯდარი ვნახე იგი. ღაწვებზე უფრო მეტად დასდებოდა გოგირდის ფერი. შავი თმა ძალზე გაჭაღარავებოდა. ახველებდა და, როგორც ჩანდა, მზე სიამოვნებდა.

— ო, მუსიე ფილიპ! — შესძახა მან, როცა შემიცნო და თავისი ძვლადქცეული ორი თითი გამომიწოდა, დანარჩენი სამით კი ჩემთვის კარგად ნაცნობი ფაიფურის სათუთუნე ეჭირა.—ეჰ, მაშინ სულ სხვა დრო იყო, მუსიო ფილიპ! — ხვნეშით განაგრძო მან. — ჩემი მოუსვენარი მეუღლე, აი ამ შავი ჯვრის ქვეშ განისვენებს. ჩემი გოგონა, ლორა კი... — მან რამდენჯერმე ამოისლუკუნა და ბურნუთის გვარიანი დოზა შეისუნთქა, — ალბათ, გაიგეთ! მას არ უნდოდა თავისი საწყალი მამის მარტო დატოვება, მისი პატარა ხელები კისრიდან ძლივს შემოვიხსენი. მაგრამ რას იზამ! შვილს ხომ ბედს არ გაუფუჭებ! — მკერავმა თავი ჩაკიდა, მკლავები უსიცოცხლოდ ჩამოუცვივდა მუხლებზე. — მინდა მისი წერილები გაჩვენოთ, — წამოიწყო ისევ მოხუცმა. — თქვენ თვითონ ნახავთ, მუსიო ფილიპ, თქვენ ხომ ნასწავლი კაცი ხართ! რა ლამაზი ასოებია, როგორი გულთბილი სიტყვები! თვით მარკიზაც უკეთესად ვერ დაწერდა...

ასე ლაპარაკობდა მოხუცი, სანამ დავემშვიდობებოდი. მაგ შემდეგ ფრანგი მკერავისთვის თვალი აღარ მომიკრავს. რამდენიმე დღის შემდეგ გავემგზავრე, რათა ერთ-ერთ უნივერსიტეტში იურისპრუდენციის შესწავლას შევდგომოდი. ნახევარი წლის შემდეგ კი დედამ მომწერა, მუსიო ბორეგარიც, ლუი XVI ჯარის ცეცხლფარეშის შვილიშვილი, ამქამად შავი ჯვრის ქვეშ განისვენებსო.

სამი წლის შემდეგ მშობლიურ ქალაქთან ახლომდებარე უნივერსიტეტში გადავედი, რათა, სანამ გამოცდას ჩავაბარებდი,

მიღებული წესის მიხედვით, ერთი წელიწადი აქაც მესწავლა-ფრიცი, რომელთან ერთადაც ბოლო სემესტრი ჰაიდელბერგ-ში მოვისმინე, მომავალ შემოდგომაზე აპირებდა სამშობლოში დაბრუნებას. ჩემმა მეგობარმა ქრისტოფმაც დაამთავრა თავისი უნივერსიტეტი. იგი ავეჯის მაღაზიის ერთ-ერთ საუკეთესო მუ-შაკად ითვლებოდა. ერთხელ, საღამო ხანს, ქალაქის ბაღში შევხვდი, სადაც იგი დავარგებულ ლუდის კათხას მისჯდომოდა მარტოდმარტო ჩაფიქრებული სიგარას აბოლებდა. ხშირ ქე-რა ბაკენბარდებსა და მოხდენილ კოსტიუმს ისე შეეცვალა. სანამ ახლოს არ მივედი, ვეღარც კი ვიცანი. უხმოდ დავადე მხარზე ხელი. ქრისტოფმა თავი მოაბრუნა, თუმცა ამჯერად ფერადი ქუდი აღარ მეხურა. მისთვის მე უდავოდ ისევ საძულ-ველ „ლათინელებს" ვეკუთვნოდი. მაგრამ როგორც კი მიცნო. თვალებში სიხარულის სხივი აუციალდა.

— ეს შენა ხარ, ფილიპ? — შემომძახა მან, გაწვდილი ხელი ქალიშვილური მოკრძალებით ჩამომართვა, მერე კი მაგრად მო-მიჭირა. დიდხანს ვილაპარაკეთ, გავიხსენეთ ჩვენი მშობლიური ქალაქი, მშობლები და ბავშვობის ამხანაგები. როცა მე გაყი-ნულ ტბორზე ჩვენი ცუდად დამთავრებული სრიალი მოვიგო-ნე, ჩვენი ბავშვური სიყვარულის საერთო საგანიც გავიხსენე.

ლენორა ისევ თავის ნათესავთან, მოხუც მკერავ ქალთან ცხოვრობდა, კაბების შესაკერად მასთან ერთად დადიოდა წარ-ჩინებულთა ოჯახებში, მაგრამ ჩემს შეკითხვებზე ქრისტოფი მოკლედ და უხალისოდ მპასუხობდა. ბოლოს კი საუბრის თე-მის შეცვლა სცადა. როგორც ჩანდა, მისი უღალატო გული ამ მომხიბვლელი გოგონას სიყვარულის მარწუხებიდან ჯერაც ვერ განთავისუფლებულიყო, მე კი ვფიქრობდი, ეს სიყვა-რული ჩემი სამშობლოს მტვერთან ერთად ჩამოვიცილე-მეთქი.

ვინ იცის, შეიძლება, ვცდებოდი კიდეც.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემს მეგობარ ქალიშვილებთან ერთად გადავცურე ზღვის ყურე, რომლის ნაპირზე ქალაქია გაშენებული და მეორე მხარეს გადავედი. ის იყო იმ დროისათვის სანუკვარი სასეირნო ადგილი. საღამო ახლოვდებოდა და ზღვის ნაპირზე გამოვედით, რომ სადმე ნავი გვენახა და უკან დავბრუნებულიყავით. თითქმის მთლად სავსე ორი ნავი გასამგზავრებლად მზად იყო. ერთი ნავის ახლოს, რომელიც ჩვენგან ოცდაათიოდე ნაბიჯით თუ იქნებოდა დაშორებული, მოხუცი კოჭლი მკერავი ქალის გვერდით თვალშისაცემი სილამაზის გოგონა იდგა. ამ მკერავს რამდენჯერმე შევხვედრივარ ჩემი დიასახლისის ოჯახში. გოგონას ფეხი უკვე ნავში ჩაედგა და ზედ ასვლას აპირებდა, მაგრამ ამ დროს ჩვენსკენ მოიხედა და შეჩერდა. ჩემს მზერას წააწყდა გასაოცარი სილამაზის შავი თვალები, რომელიც დიდი ხანია აღარ მენახა, თუმცა საიდანღაც კი მახსოვდა. უკვე აღვიდგინე, რომ ეს ლენორე ბორეგარი იყო ხორბლისფერი ღაწვი ახლა ნორჩი ქალიშვილის ყირმიზისფერს შეეცვალა. მის ყოველ მიხრა-მოხრაში ახლაც იგივე წარმტაცი სინარნარე გამოსჭვიოდა, რომელიც ერთ დროს ასე იპყრობდა ჩემს ბავშვურ გრძნობებს. გული საშინლად ამითრთოლდა და ჩემ გვერდით მდგომი ქალიშვილები ლამის სულაც გადამავიწყდნენ, რადგან ეს შავი თვალები თითქოს რაღაცას შეევედრებოდნენ. შემომესმა, რომ მკერავმა ქალმა ლენორას რაღაც უთხრა. იმასაც მოვკარი ყური, რომ მენავემ მათ არც თუ მთლად თავაზიანად შეუძახა, ჩასხედითო, მაგრამ ტანაშოლტილი ქლიშვილი ისევ უძრავად იდგა, თითქოს მოუჯადოებიათო, და მე შემომცქეროდა.

რაღაც გაუცნობიერებულმა ძალამ მიბიძგა და ნავისაკენ რა-

შდენიმე ნაბიჯი წარვსდგი, მაგრამ დიდი იძულებით თავი ისევ შევიკავე — უცებ თვალწინ ქრისტოფი დამიდგა, მისი ანკარა, პატიოსნებით სავსე ცისფერი თვალები.

— ეგ ნავი ყველას ვერ დაგვიტევს, — ვუთხარი ჩემს თანამგზავრ ქალიშვილებს და მეორე ნავისკენ ზღვას ნაპირნაპირ გაეუყევით.

მაგრამ გულმა არ მიქნა და ლორას ერთხელ კიდევ მოვხედე. ეს თავი ჩაეკიდა და ნელა ჯდებოდა ნავში, რომელიც დაისის მზის ოქროვან სხივებით გადასარკულ წყლის ზედაპირზე უძრავად იდგა.

ნავში საჭეს მივუჯექი და ხმას ვერ ვიღებდი, თუმცა მთელი ჩემი არსება შეშფოთებას მოეცვა. თვალს ვერ ვაცილებდი ჩვენს წინ მცირე მანძილით დაშორებულ ნავს. თანამგზავრები ამაოდ ცდილობდნენ საუბარში ჩავეთრიე.

— დღეს პირდაპირ აუტანელი ხართ! — მომმართა ერთმა შათგანმა. — როგორც ჩანს, ჩვენმა წარმტაცმა მკერავმა გოგონამ წაგართვათ მეტყველების უნარი.

— ლორა თქვენი მკერავია? — ფიქრებიდან ჯერაც ისევ გამოუურკვევლად ვიკითხე მე.

— ლორა? მერე და თქვენ საიდან იცით მისი სახელი?

— ერთი ქალაქიდან ვართ. ცეკვას რომ ვსწავლობდით, მაზურკა პირველად მასთან ვიცეკვე.

— ჰოო? იგი ახლაც სიამოვნებით ცეკვავს სტუდენტ ბიჭებთან.

ლორაზე ჩვენი საუბარი ამით დასრულდა, მაგრამ ახლა უკვე ვიცოდი, რატომ არ შეეძლო ქრისტოფს მასზე ლაპარაკი. მაგრამ შემდეგ, ზამთარში ქრისტოფი რამდენჯერმე დავინახე ლორასთან ერთად თავშეყრის ადგილებში. ქალიშვილთან ერ-

თად ხშირად ან კოჭლი მარია იყო ან ვიღაც მოხუცი ქალი. ის ალბათ, მისი დეიდა თუ იყო, რომელმაც ლორას თავისი ქონება უმემკვიდრა და სიკვდილის წინ საბრალო ფრანგ მკერავს თავის გულის საგანძური წაართვა.

ერთ საღამოს—ახალწლის შემდეგ უკვე რამდენიმე კვირა გასულიყო — ჩემს ოთახში ქუჩიდან რაღაც ხმაური შემოიჭრა. ფანჯარა გამოვაღე და დავინახე, რომ ქვემოთ ქუჩაში, წითელ-ქუდიანი სტუდენტები მიდიოდნენ. რომ დავაკვირდი, ქუჩის ფარნის სინათლეზე ჩვენი ერთ-ერთი პედელიც* შევამჩნიე.

— რა ამბავია მანდ, დოზე? — ჩავძახე ზემოდან.

—ო, რა მასალა მილეწ-მოლეწეს, ბატონო დოქტორო!

თუ რატომ მეძახდა დოზე ბატონ დოქტორს, ეს მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცოდით.

— რას მელაპარაკები, ალბათ ისევ საცეკვაო დარბაზი, არა? — რაღა საკითხავია? მაშ სად იქნებოდა!

საცეკვაო დარბაზში სახალხო ცეკვები იმართებოდა, აქ ჟამიდან-ჟამზე იფეთქებდა ხოლმე სტუდენტებსა და ხელოსან ქარგლებს შორის ძველთაგანვე მომდინარე მტრობა. ამჯერად, ეტყობოდა, სერიოზული შეხლა-შემოხლა მომხდარიყო, რადგან ამის ნიშნად დოზემ მუშტი ჰაერში ენერგიულად შეათამაშა.

— ვის მოხვდა? — ჩავძახე ისევ.

მოხუცმა პირზე ხელი მიიფარა და ისე ამომძახა:

— ვისაც უნდა მოხვედროდა, ბატონო დოქტორო!

ერთმა ჩემმა ნაცნობმა, რომელმაც ჩვენს საუბარს ყური მოჰკრა, უცბად მომიგო:

— გრაფ ყოყოჩას! ქარგლებმა გემოზე მოსდეს! — და ისევ გაიქცა.

ეგრეთწოდებული „გრაფი ყოყოჩა“ მეტად მოხდენილი გარეგნობისა, მაგრამ ასევე ქარაფშუტა და ფუქსავატი ყმაწვილი კაცი გახლდათ, რომელსაც პროფესორების ლექციების მოსმენას, სადმე სამიკიტნოში ღვინის სმა ერჩია. ის ერთ-ერთი იმათგანი იყო, რომლებიც უნივერსიტეტში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, შემდეგ კი ცხოვრებაში უკვალოდ ქრებიან.

გრაფი სძულდათ ახალგაზრდა ქარგლებს, რომელთა შეყვარებულ გოგონებს იგი თავგზას უბნევდა და თავისკენ იბირებდა. სამაგიეროდ პირშეღინღლული სტუდენტების დიდი უმრავლესობისთვის იგი ლაჩრული აღტაცების საგანს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც რამდენიმე უნივერსიტეტი მოიარა, ზოგიერთიდან კიდეც გამორიცხეს, ყოყოჩამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ახლა ჩვენს უნივერსიტეტში მოეკიდა ფეხი. ყველა იმაზე ლაპარაკობდა, გრაფი ოჯახიდან ძალიან ბევრ ფულს იღებს, მაგრამ მაინც ძალიან ბევრი ვალები აქვსო. ტიტული „გრაფი ყოყოჩა“, რომელიც მას ჩვენთანაც ჩამოჰყვა, იმ დროს მოგვაგონებდა, როცა მუშტის კანონი მეფობდა, როცა ძველი იუნკერები სუსტებს მხოლოდ თავიანთი სურვილების დასაკმაყოფილებად იყენებდნენ. ამ იუნკერთა მთელი ზნე-ჩვეულება გრაფ ყოყოჩას მემკვიდრეობით მიეღო.

რაკიღა გრაფს არც კარგად ვიცნობდი და არც მისი პიროვნება მაინტერესებდა, ფანჯარა მივხურე, დასაძინებლად დავწექი და მასზე აღარ მიფიქრია.

მაგრამ მეორე დღეს, საღამო ხანს მისი გახსენება ისევ მომიხდა.

ის იყო ყავა დავლიე, დივანზე ჩამოვჯექი და პანდექტების * განმარტებებში ჩავიძირე, რომ კარზე დააკაკუნეს.

მობრძანდით-მეთქი შევეხმიანე. კარში გამოჩნდა ჩემი მეგობარი ქრისტოფის ზორბა სხეული. ოთახში რაღაც ყოყმანით შემოვიდა.

— მარტო ხარ, — მკითხა მან.

— როგორც ხედავ, ქრისტოფ.

შემოსულმა ერთხანს იყუჩა, მერე დაიწყო:

— აქაურობა უნდა დავტოვო, დღესვე, ამ საღამოს. შორს მიხდება წასვლა — რაინზე, დედის ძმასთან. ბიძაჩემი დაუძლურდა და დამხმარე სჭირდება, რომ იქაურობას ყური უგდოს. რაც ფული მაქვს, სამგზავროდ არ მეყოფა, მე კი არ მინდა სხვა ვინმეს ვთხოვო.

ჩემს სამუშაო მაგიდასთან მივედი და გადანახული მცირეოდენი თანხა ამოვიღე.

— ეს გეყოფა ქრისტოფ?

— მადლობა, ფილიპ, — მითხრა მან და ფული მონდომებით შეინახა ქისაში, სადაც ოქროსა და ვერცხლის მონეტებიც ელაგა.

მე ახლაღა შევამჩნიე, რომ ქრისტოფი საგარეო ტანსაცმელში გამოწყობილიყო.

— შენ მთლად გამზადებულხარ კიდეც, აქ მოსვლამდე სად ყოფილხარ?

— პირდაპირ პოლიციიდან მოვდივარ, — ფართო შუბლზე ჩაფიქრებით მოისვა ხელი ქრისტოფმა.

— პასპორტი მიიღე?

— ჰო, გასამგზავრებლად პასპორტი მომცეს.

მე გაოცებით შევაცქერდი.

— ყველაფერი კი იმ საცეკვაო დარბაზში დატრიალებული სულელური ამბის გამო მოხდა.

ახლა მივხვდი, რაშიც იყო საქმე.

— მაშ ეგ შენ იყავი? რატომ მაშინვე ვერ მივხვდი!

— რასაკვირველია, მეც იქ ვიყავი, ფილიპ.

— ლენორაც შენთან ერთად იყო?

ქრისტოფმა თავი დაიქნია.

— ეგ შენ მიბეგვე გრაფი ყოყოჩა?

— ასე ამბობენ, შენ იყავიო, — თქვა ქრისტოფმა და სახეზე სიამოვნების მაუწყებელი ღიმილი გაუკრთა. გიმნაზისტების ამ ძველი მტრის კილოში ისეთი კმაყოფილება იგრძნობოდა, რომ მომხდარ ამბავში საეჭვო აღარაფერი იყო.

ხმამაღლა გადავიხარხარე.

— მიამბე ერთი, ყველაფერი როგორ მოხდა, — ვთხოვე ქრისტოფს.

— შენ ხომ იცი, ფილიპ, ლორას ვერ ვშორდები?

— თანხმობა თუ გაქვთ ერთმანეთისთვის მიცემული?

— თითქოს კი, — მიპასუხა მან. — ლორა ყოჩაღი გოგონაა ამას გარდა, მოხუცი დეიდის სიკვდილის შემდეგ ცოტაოდენი ქონებაც დარჩება.

ქრისტოფს ღიმილით გადავხედე.

— მაგას გარდა, თვითონაც გონჯი არ არის, თორემ არც ისე იოლად გადაწყვეტდი!

ქრისტოფი ერთხანს ჩაფიქრებული იდგა.

— სწორი რომ ვთქვა, არც კი ვიცი, — დაიწყო მან.... — მე და ლორა ვდგავართ დარბაზში... მხოლოდ იმიტომ წავედი, რომ მისთვის მესიამოვნებინა. და აი ჩვენსკენ წამოვიდა ერთი მაღალი, ფერმიხდილი ყმაწვილი, რომელიც შორიდანვე სულ

ლორას უყურებდა, თან თავის ამფსონს რაღაცას ეჩურჩულებოდა, და ლორასთან ცეკვა მოინდომა.

— უღირსად ხომ არ მოიქცა?

— უღირსადო? მას მთელი სიფათი უღირსისა აქვს.

— ლორამ რაღა ქნა? — ვკითხე და დაჟინებით მივაცქერდი. — მას, ალბათ, სიამოვნებას მოჰგვრიდა ამ ლამაზ გრაფთან ცეკვა, არა?

ქრისტოფი მოიღუშა და თვალებიც უსიამო ბინდმა დაუნისლა.

— ეს მე არ ვიცი, — ჩუმად წარმოთქვა მან, — მაგრამ თქვენი მხრივ კარგი არ იყო, რომ მაშინ ლათინელებმა—ეს გოგონა საცეკვაო წრეში ჩააბით, მხოლოდ იმის გამო, რომ მას დაკენტებულ კავალრის მეწყვილეობა გაეწია.

ქრისტოფმა ხელი გამომიწოდა.

— კარგად იყავი, ფილიპ!—მითხრა მან.—ფულს გადმოგიგზავნი. ჩემს შესახებ შეიძლება ბევრი ვერაფერი გაიგო, მაგრამ ღმერთმა ქნას, რომ ერთი წლის შემდეგ ისევ დავბრუნდე, ან შინ მაინც მოვახერხო ჩასვლა.

ქრისტოფი წავიდა.

მეცადინეობის განგრძობა ვცადე. ბავშვობის მეგობრის გამო გულში რაღაც გაურკვეველმა ტკივილმა დაისადგურა. კარგად ვიცოდი, რაც ქრისტოფს არ სურდა ეთქვა. მისი ოცნება მხოლოდ ამ ქალიშვილს დასტრიალებდა თავს და მთელი ძალღონით ცდილობდა, თავისი ცხოვრება მასთან დაეკავშირებინა.

ქრისტოფის წასვლის შემდეგ მალე ჩავედი ჩემს დიასხლისთან, სადაც მაშინ ვსადილობდი ხოლმე. ალბათ, ადრე იყო, რადგან სხვა ბინადრები ჯერ არ მოსულიყვნენ. გვერდით ოთახში დამხვდა პატარა მკერავი — კოჭლი მარია, რომელიც ღრუბე-

ლივით თეთრი ქსოვილით შეფუთულიყო და ნემსით ჩუმად და მარტოდ-მარტო საქმიანობდა. მასთან ხშირად მენახა ორივე ახალგაზრდა, რომელთა ბედი მე ამჟამად მაინტერესებდა. მარიას გუშინდელ ამბავს მოვუყევი იმ იმედით, იქნებ, მიზეზი როროგორმე გავიგო-მეთქი.

— ვგრძნობდი, ეს ამბავი როდესმე მოხდებოდა ტუჩების კვნეტით წარმოთქვა მარიამ. — ის დურგალი კარგი ვაჟია, მაგრამ გოგოს მიმართ მეტისმეტად დამთმობია. აბა რა უნდოდა, საცეკვაო დარბაზში რომ წაჰყვა!

მე უფრო დაწვრილებით შევუდექი გამოკითხვას. მარიამ სკამიდან ქსოვილი გადასწია, თავით მანიშნა, ჩამოჯექიო და დაიწყო:

— თქვენ, ალბათ, გინახავთ პაფენგასეზე რომ პატარა სახლია. ეს სახლი ლორას დეიდამ, მოხუცმა შმიდენმა, რამდენიმე წლის წინათ შეიძინა თავის მეზობლისგან, რომელიც ცხენებს აქირავებდა. ცხენების გამქირავებელმა სახლი კი გაჰყიდა, მაგრამ ეზო არ გაუყიდია, რადგან თვითონ სჭირდებოდა. ისე, რომ ეზო საერთო იყო. სახლს შემორჩა პატარა მწვანე გაზონი, სადაც მოხუც ქალს შეუძლია თეთრეული გააშროს. შმიდენი დეიდა ჩემის ძიძიშვილია და ჩემი კონფირმაციის შემდეგ მას ოჯახებში დავყვებოდი და კერვაში ვშველოდი.

შარშან წმინდა მარტინის დღესასწაულამდე, მგონი, რამდენიმე დღით ადრე, შუადღის შემდეგ შმიდენთან წავედი — დიდი სარეცხი გვქონდა დაგროვილი. გზაში შემხვდა დურგალი, რომელიც მაშინ უკვე დადიოდა ლორასთან. ცოტა ხანს ვილაპარაკეთ და როცა წავედი, სიცილით დამიძახა: შაბათს მოვალ და სარეცხის გაფენას გიშველითო. ეს ამბავი ლორას გადავეცი, მაგრამ მას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

საღამოს რეცხვა დავასრულეთ და გარეთ გამოვედით, რომ გაზონების აქეთ-იქით დარჭობილ ბოძებზე თოკი გაგვება. ლორამ წაღებს ზემოთ კაბა წამოიკეცა, შავი თმა ყურებს უკან გადაიტანა და თოკის გასაბმელად ხის პატარა კიბეზე შედგა. მოხუცი შინ დარჩა, რომ სავარძელში თვალი მოეტყუებინა, მე კი, აბა, რა სიმაღლე მაქვს და ლორას რას ვუშველიდი.

ამ სიტყვებზე მთხრობელი შეეცადა წელში კარგად გამართულიყო.

— იქვე, სარეცხ კალათას გვერდით, გათლილ ქვაზე ჩამოეჯექი და მეზობლის მოსამსახურე ბიჭს შევაცქერდი, რომელიც თავლის წინ სამურველით ქურანას წმენდდა. ცხენები მე ძალიან მიყვარს, ერთ დროს მამაჩემი მეფორნე იყო. ის ქურანა კი მეტისმეტად მოხდენილი ცხენია. ჩრდილიდან თავს მზისკენ რომ აბრუნებდა. მთელი კანი ისე უბრწყინავდა, თითქოს ლითონისაა. მაგრამ ამ ცხენს კოჭებზე შევატყვე, რომ ჩვენი მეზობლის საფორნე ჯაგლაგი არ უნდა ყოფილიყო. „ვისია ეგ ცხენი? ვკითხე ლორას, რომელმაც პატარა კიბე მეორე ბოძისკენ გადაიტანა. „ეგ ცხენი? ვიღაც ახლად ჩამოსული სტუდენტისაა, სახელი არ ვიცი“, — მეუბნება ლორა და ფეხის თითებზე იწევს, რომ თოკი ძელზე დაახვიოს. მე ზემოთ ავხედე, ის კი არც მიყურებს და ისევ თოკის დახვევას განაგრძობს. მე ლამის მოთმინება გამიწყდეს. ამ დროს ჩემს ზურგს უკან ვიღაცის ხმა გაისმა: „საკმარისია, ფროილაინ ლორხენ.“

თითქოს ახლაც ვხედავ, როგორ დაუშვა ლორამ უცბად ხელები და აკეცილი კაბა ჩამოიწია. უკან რომ მოვიხედე, დავინახე ის ფერმიხდილი დიდგვაროვანი სტუდენტი. ლორას ხმა არ ამოუღია, კიბიდან ჩამოხტა და გვერდით ამომიდგა. ის ყმაწვილი ბატონიც დგას და ლორას მისჩერებია, თითქოს მეტი არაფერი

იცისო. „ოჰ, ეშმაკსაც წაუღიხარ!“ გამიელვა თავში და ქურანა ცხენზე დავიწყე ლაპარაკი, რაც პირზე მომადგა. იმდენი ვილაპარაკე, რომ ბოლოს იმ კეთილშობილმაც პასუხი გამცა. გონზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, რომ სამივენი მეზობლის ეზოში გადავედით. ცხენი ფლოქვით მიწას თხრის და ჭკვიანი თვალებით შესცქერის პატრონს. ლორა ცხენს გვერდით აძოსდგომია, ეტყობა, პირუტყვი ძალიან მოსწონს და ხელს სარკესავით გაწმენდილ კისერზე უსვამს. „ცხვარივით ჭკვიანია“, ამბობს ყმაწვილი ბატონი. „რას იტყვით ფროილაინ ლორა, ცხენი ხომ არ შეგვეკაზმა, თავლაში ქალის უნაგირიც არის“. ლორამ თაი გაიქნია, მაგრამ, ეტყობა, ამის თქმაზე სული შეუგუბდა და თვალები სიხარულით გაუბრწყინდა. ბატონი გრაფიც მიხვდა. მის ნიშანზე ბიჭმა თავლიდან უნაგირი გამოარბენინა, ცხენი თვალის დახამხამებაში შეკაზმა და მსუბუქი აღვირიც ამოსდო. ამ ამბავს ლორა მოჯადოებულივით შეჰყურებს და თვალს ვერ აცილებს. მეჯინიბემ პატარა კიბეც მოარბენინა და ცხენს მიუდგა, მაგრამ ახალგაზრდა ბატონმა კიბე გვერდზე გადაისროლა. „ფუ, იოჰანს“ შესძახა მან ბიჭს და, თითქოს აქ არაფერიაო, ლორას იდაყვზე წაავლო ხელი. „მაგრად დადექით“, წარმოთქვა გრაფმა და ფეხის დასადგმელად მეორე ხელი მიუშვირა, თან დაუინებით შეჰყურებდა ლორას. ლორაც არ ახანებს და თითქოს საჭიროა ყველაფერი ისე გააკეთოს, როგორც ყმაწვილ ბატონს სურს, ფეხს ხელზე ადგამს. ბატონი ცოტა ხანს აყოვნებს და მერე ერთბაშად სვამს ცხენზე.

ლორა შეკრთა და თვალები ძირს დახარა, მაგრამ მიწოდებული აღვირი გრაფს მორჩილად გამოართვა და თითებით დაიჭირა. ქურანამ თავი გაარხია და ხმამაღლა დაიხვიხვინა. პატრონმა ცხენს ალერსით რამდენჯერმე გადაუსვა ხელი აბრეშუმივით

ბევწზე, მერე ერთი ხელი ლორას ზურგსუკან უნაგირს დაადო, მეორეთი აღვირი აიღო და ცხენი გაზონის ირგვლივ ნელა შემოატარა. მინდა ვაღიარო, რომ დიდებული წყვილი კი იყო ლორა და ის სტუდენტი. და, ვინც შეხედავდა, ვერავინ იფიქრებდა, ლორა მხოლოდ ერთი საბრალო მკერავი და უბრალო მკერავის ქალიშვილიაო.

მალე ლორას მოეჩვენა, რომ ცხენი ძალიან ნელა მიდიოდა. ხელი ჰაერში აიქნია და ცხენმაც ჩორთით გასწია. ბატონი გაზონზე გადავიდა; მაგრამ ლორას თვალს მაინც არ აშორებდა ხელში მათრახი ეჭირა და ცდილობდა ცხენს არ ჩამორჩენოდა. გრაფი მოჯადოებულივით შესცქეროდა ლორას, მის გაწეწილ შავ თმას, მის უნაგირზე გადალაჯებულ ფეხს, რომელსაც კაბა ასცილებოდა. ხან ლორას ამხნევებდა, ხან თავის ქურანას. ცხენი თანდთან უმატებდა სიჩქარეს, ფრთხვინავდა და კუდს ჰაერში არხევდა. ლეონორა ყურადღებას არაფერს აქცევდა, თითქოს მიფრინავსო. იღიმებოდა და შესცქეროდა ახალგაზრდა გრაფს, თითქოს ცხენზე მისი თვალების ძალით ყოფილიყოს დამაგრებული.

ასე ეჭირა თავი ერთხანს. „ნეტავ კი მოხუცი არ გამოიხედავდეს, — ვფიქრობ ჩემთვის, — მაშინ ხომ ლორას რისხვა არ ასცდება!“. მაგრამ დეიდამისი არ გამოსულა. უცბად ეზოს ფრთების ტლაშუნით გადაუფრინა მტრედების გუნდმა. ცხენი შეკრთა და განზე გახტა. მეგონა, ლორა გადმოვარდებოდა, მაგრამ არა, იგი ცხენს კისერზე დაეკიდა. საშინლად კი გაფითრდა. „ვირგინია, სდექ!“ — შესძახა გრაფმა, ცხენთან მიირბინა, ლორა ხელში აიყვანა, ერთხანს გამსჭვალავად უმზირა და შემდეგ მიწაზე ფრთხილად დასვა. გონს მოსვლა ვერც კი მოვასწა-

რი, რომ ეზოს კარის ხმა შემომესმა, ვიფიქრე, ახლა კი გამოვა ბოხუცი-მეთქი, მაგრამ იქით რომ მივიხედე, დურგალი დავინახე. მოხუცი რომ ყოფილიყო, ისე არ შევშინდებოდი, რადგან ბიჭი გაქვავებულივით იდგა და ადამიანის სახე დაკარგოდა. „უკვე დაამთავრეთ მუშაობა, ბატონო ვერნერ?“ ვეკითხები ქრისტოფს, მაგრამ ის ყურადღებასაც არ მაქცევს. „საღამო ბშვიდობისა, მარია„, მეუბნება ხმაჩახრიწული, და, ეტყობა, ხმის ამოღება ისე უჭირს, თითქოს სიტყვები ყელში დასცობიაო. „შინ ხომ არ შევიდეთ?“ ვიკითხე კვლავ. „არა, მადლობელი ვარ, ჩემს გარდა სტუმარი სხვაცა გყოლიათ“, ამბობს ქრისტოფი, ლორასთვის არც შეუხედავს, არც სიტყვა უთქვამს, შებრუნდა და ქუჩაში გავიდა.

ლორა დამდგარა ცხენის გვერდით და არ ინძრევა. „რა უნდოდა მაგ კაცს?“ იკითხა გრაფმა. „ჩვენებურია“, ხმადაბლა ამბობს ლორა. „ბატონი ვერნერია, ავეჯის დიდ მაღაზიის ერთ-ერთი მოწინავე თანამშრომელი“, ვაცნობე მე გრაფს, რადგან შევამჩნიე, რომ ქრისტოფს მან დამცინავად გააყოლა თვალი.

მარიამ საკერავი დაამთავრა, წამოდგა და ქსოვილი დაკეცა. გვერდით ოთახში, სადილის მოლოდინში სხვა მობინადრეებიც შეკრებილიყვნენ.

— მერე რაღა მოხდა? — ვკითხე მარიას.

— მერე რა მოხდა? — გაიმეორა მან ჩემი შეკითხვა. — მე ხან ერთთან ვაწრმოებდი მოლაპარაკებას, ხან მეორესთან. დურგალი ლორას ვერ შეელევა და ლორაც, თუ მთლად არ გადაირია, უნდა გრძნობდეს, რას წარმოადგენს ქრისტოფი მისთვის. ის ახალგაზრდა ბატონი რა ლორას შესაფერისია.

მაგიდისკენ გავემართეთ. კოჭლი მარიას ნაამბობმა გული

დამიმძიმა. ლორა და ქრისტოფი! — არ შემეძლო მათი ერთად ცხოვრების წარმოდგენა.

ბასეირნობა

აღდგომა ახალი გასული იყო, რომ დედაჩემი მოულოდნელად ავად გახდა და შინ გავემგზავრე. აგვისტოში, როცა უკვე შეიძლებოდა სრულიად გაჯანსაღებული დედა მამაჩემისა და გამომაცოცხლებელი ჰაერის იმედად დამეტოვებინა და ჯავრი აღარ მქონოდა, უნივერსიტეტს დავუბრუნდი. აქედან რომ მივდიოდი, ზღვის უბეს, რომლის გაყოლებითაც ქალაქია გაშენებული, ყინული ის იყო სცილდებოდა. ახლა კი გზებზე ჩამწკრივებული ხეები საამოდ შრიალებდა.

დილა იყო, ქალაქში რომ ჩავედი. ნაცნობთაგან ჯერ არავინ მენახა. ჩაფიქრებული ვიდექი ჩემი პატარა სტუდენტური ოთახის შუაში, რომელსაც უსიამო შეხედულებას აძლევდა მაგიდაზე მდგრი აშმორებული სამელნე და მტვრის სქელი ფენით დაფარული წიგნები. იქაურობას სილამაზეს არც ნახევრად ამოლაგებული ჩემოდანი მატებდა. ოთახში შემოჭრილი მზე გარეთ მიხმობდა. ქუჩაში გავედი და როგორც ბავშვობისას მიყვარდა, ჩრდილში მარტო გავუყევი თელების ხეივანს, რომელიც ზღვის მაღალ ნაპირს გაუდევს.

ჩემს ზემოთ უზარმაზარი ხის თაღები ჩაბნელებული ჩანდა, აქეთ-იქით კი ფოთლებსა და ბალახებზე, სიმწვანეში მიმალულ პატარა საბაფხულო სახლების ფანჯრებზე დილის მზე ბრწყინავდა. ბუჩქებს იქით ალაგ-ალაგ თვალში მხვდებოდა ალაპლაპებული ზღვის ათინათი. ნელა მივდიოდი და ზღვის სუფთა ჰაერს ღრმად ვისუნთქავდი. გზაზე თითო-ოროლა უცნობი მხვდებოდა — სეირნობის დრო ჯერ არ დამდგარიყო.

ბაღი დამთავრდა და თელები მაღალმა წიფლის ხეებმა შეცვალა. ცოტა მანძილიც რომ გავიარე, გრილ ტყეში მოვხვდი, მარცხნივ იგი პატარა ბორცვს აუდევს, მარჯვნივ კი ხეების შორის ზღვა ელვარებს. ტყის სიღრმიდან სკვინჩების ზარივით ხმა და შავი შაშვის საამო ჭახჭახი ისმოდა. დაუსრულებელ მუსიკად გაისმოდა ფოთოლთა შარიშური და ჩემს ფერხთით გაწოლილ ზღვის ტალღების ნელი ტლაშუნი. უცბად გამახსენდა, რომ აქ, სადღაც. ტყეში ნახევრად დანგრეული სახლი უნდა ყოფილიყო. ის ჯერ კიდევ გიმნაზიის ბოლო კლასში ყოფნის დროს ვნახე ჩემ ნათესავ სტუდენტ ვაჟთან ერთად, რომელთანაც სანახავად ვიყავი ჩამოსული. ის სახლი, როგორც მაშინ მითხრეს, ვიღაც მიკიტანს აუგია ფულის მოსაგებად, მაგრამ ამ მიყრუებულ ადგილას საკმარისი ხალხი ვერ მიუზიდავს და ფულის მოგების იმედიც გასცრუებია. მეტი გზა აღარ ჰქონია, შენობა გაუყიდია. ახალ პატრონს კი ეს ღარიბი მეურნეობა ერთი კელნერის იმედად მიუტოვებია.

გამახსენდა ის მაღალი, ფერმიხდილი ყმაწვილი და ბორცვის ფერდობზე მაღალი წიფლების ქვეშ აღმართული ერთსართულიანი შენობაც ნათლად წარმომიდგა თვალწინ. სვეტებით შემოზღუდულ პატარა დარბაზში, რომელიც ფასადის შუა ადგილს იყო მოთავსებული, მაშინ პირველად დავლიე ჭიქა გროგი. აქედან ფართო დასაკეცი კარით გავედით ძაღალჭერიან ჩაბნელებულ დარბაზში, რომლის ფანჯრებიც ტყის მხარეს იყო ბიქცეული. ძალიან მომინდა იმ მიყრუებული ადგილის დათვალიერება, მაგრამ იმის გაფიქრებაზე, ვაითუ ან ის სახლი იქ აღარ იდგეს ანდა ვერ მივაგნო-მეთქი, გული უსიამოდ ამიძგერდა.

ასეთი ფიქრებით განვაგრძე გზა. თავი რომ ავწიე, მარცხნივ შევამჩნიე ხეებს შორის გამავალი ბილიკი, რომელიც ზემოთ მიიკლაკნებოდა. ადრე ნანახი ეს ადგილი გამახსენდა და უცბად შევჩერდი, მერე აღმართს ნელა ავუყევი. ცოტა ხნის სიარულის შემდეგ ხეებს შორის ჯერ ფიქალის სახურავი, მერე კი თანდათან პატარა სვეტების კოლონადა და ფანჯრის ჩარჩოების ზედა ნაწილიც გამოჩნდა. ორიოდე ნაბიჯი კიდევ გადავდგი და ქვის ფართო კიბემ ხის ჩრდილებიდან პატარა მოსწორებულ მოედანზე ამიყვანა.

აი, შუა ტყეში ჩადგმული მზით განათებული და სიჩუმეში გარინდებული სახლი. როგორც ეტყობოდა, დროს თავისი კვალი მაინცდამაინც ვერ დაემჩნია. ერთ დროს წითლად შელესილი კედლები მაშინდელივით ახლაც მწვანე ხავსს დაეფარა; ხის სვეტების ბზარებიდან რაღაც მოყავისფრო ღრუბლების მაგვარი კორძები გამოჩენილიყვნენ; პატარა დარბაზში ნახევრადგაღებულ დასაკეც კართან ახლაც ძველებურად იდგა, მუქ-მწვანე ფერად შეღებილი მერხები. მე ერთ-ერთ მათგანზე ჩამოვჯექი და დაბლა გადაშლილ ზღვას გადავხედე, რომლის მზით გადასარკულ ზედაპირზე მეთევზის ნავი მისრიალებდა.

კაციშვილი არსადა ჩანდა, შენობაშიც, სრული სიწყნარე იდგა. მხოლოდ ტყის ფუტკრები თუ გადაიბზუილებდნენ აჩქარებით, და ქვის კიბის გვერდით მწვანე კორდზე დაფარფატებდა ორი მუქი ფერის პეპელა.

ცოტა ხნის შემდეგ წამოვდექი და დარბაზში შევედი. აქაურობა უფრო ჩაბნელებული აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. ზედ ფანჯრებთან აღმართულ ხეებს ტოტები სახურავზე გადაელაგებინა. მაგიდაზე ჯოხი დავარტყი, მისი გამოძახილი მაღალმა ჭერმა გაიმეორა. მაგრამ არავინ გამოჩენილა. მარცხნივ წავედი

და ოთახში შევიხედე. აქ მხოლოდ ბილიარდის მაგიდა იდგა. დარბაზის მეორე მხარეზე კიდევ ერთი კარი იყო, კარი გავაღე და ვიწრო ტალანში გავედი, აქედან კი ისევ გარეთ აღმოვჩნდი.

კეგლის სათამაშო პატარა მოედანთან, რომელიც ზედ შენობას ეკვროდა, მწვანე წინსაფრიანი ხანდაზმული კაცი ბალახზე წამოწოლილიყო და ეძინა. ჰო, ეს ხომ ის კელნერია, მაშინაც რომ აქ მუშაობდა!... კელნერს ჯოხით შევეხე, მან თვალები გაახილა და ფეხზე წამოხტა.

— უკაცრავად გახლავართ, ბატონო ჩემო, — წარმოთქვა მან, — მთელი ღამე მოსვენება არ მქონდა.

გაოცებით შევხედე.

— არაფერი გაგიგიათ? — მკითხა კელნერმა და თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა. — აქაური კორპორაციის სტუდენტები აღდგომის შემდეგ სულ აქ ქეიფობენ.

ეს ამბავი მართლაც არ ვიცოდი, თუმცა ჩემი ნაცნობი სტუდენტების უმრავლესობა ამ კორპორაციის წევრები იყვნენ.

ერთი ტოლჩა ლუდი და ნაჭერი პური შევუკვეთე და დარბაზში დავბრუნდი. როცა დარბაზში ღიად დატოვებული კარიდან მზის სხივებმა შემოანათა, შუა ადგილას იატაკზე დავინახე რამდენიმე შავი ლაქა, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა დაგესკვნათ რომ აქ, მიყრუებულ ადგილას, სტუდენტები არა შარტო ქეიფობდნენ, არამედ „პაუკერაიებსაც"[1] აქვე აწყობდნენ, რომლითაც ჩვეულებრივად მთავრდებოდა ხოლმე სტუდენტთა ქეიფი.

— მერე ეს სისხლი რატომ არ მოგიწმენდიათ, — ვკითხე კელნერს.

— უკაცრავად ვარ, ბატონო ჩემო, მაგრამ ეს ლაქები მას

[1] სტუდენტთა დუელი დაშნებით (გერმან.).

შემდეგ დარჩა, ის უბედურება რომ დატრიალდა, — მითხრა სანთლისფერმა კელნერმა. — მას შემდეგ იგი იატაკს ვეღარ მოვაშორე. ო, რა საშინელი სანახავი იყო ის ახალგაზრდა. სიცოცხლით სავსე ყმაწვილი ერთბაშად დადუმდა და ცვილისფერი გახდა.

გამახსენდა ეს შემთხვევა, რომელიც ოფიცრის საწყალი ქვრივის ვაჟიშვილს სიცოცხლედ დაუჯდა. ეს ამბავი ჩემი აქედან გამგზავრების შემდეგ მალე მოხდა და ერთხანს მთელი ჩვენი მხარე შფოთავდა.

გარეთ გამოვედი და მწვანე მერხზე ჩამოვჯექი. გონებიდან არ მცილდებოდა ამბავი იმ ფიცხი ყმაწვილისა, რომელიც ცხოვრებას ისე დაემშვიდობა, რომ მხოლოდ ეს უსიამოვნო ლაქა დასტოვა იქ, იატაკზე.

ცოტა ხნის შემდეგ კელნერმა შეკვეთილი საუზმე მომიტანა.

— დღეს საღამოს უსათუოდ გაგიმასპინძლდებოდით, — მითხრა კელნერმა და მაგიდაზე ტოლჩა და თეფში ჩამოდგა. — დღეს მეჯლისი იმართება, ამ დროს ჩემი უფროსი ყოველთვის საკუთარ მზარეულ ქალს მიგზავნის ხოლმე.

— მეჯლისიო? — გაოცებით ვკითხე კელნერს. — მერე და ამ შუაგულ ტყეში საცეკვაოდ ვინ მოდის?

— ამას ყველაზე დიდგვაროვანი სტუდენტები აწყობენ,— მითხრა კელნერმა და ტუჩაბზუებით შეათვალიერა ჩემი უკვე ძოდიდან გამოსული ტანისამოსი.

უცებ გამახსენდა ერთი ადგილი წერილიდან, რომელიც შინყოფნისას მეგობარმა გამომიგზავნა ამ ქალაქიდან. „ჩვენ ამას კუდიანია ღრეობა ვუწოდეთ და შეშლილებივით ვატარებთ დროს!“ — სწორედ ასე წერდა მეგობარი. ახლა კი მივხ-

ცდი, რაზეც იყო ლაპარაკი, ოღონდ ადგილის სახელი აღარ მახსოვდა.

სხვათა შორის, კელნერს ამის გახსენება მაინცდამაინც არ ეჭაშნიკა. მეეცადე მისგან რაიმე მაინც გამეგო, მაგრამ ამ დროს გორაკზე ორი ჩემთვის უცნობი სტუდენტი ამოვიდა, კარის მეორე მხარეს მერხზე დასხდნენ და ჩემთვის ყურადღებაც არ მოუქცევიათ, კელნერს უხეშად მიაძახეს, თითო ტოლჩა ლუდი მოგვიტანეო. ახალგაზრდები გაბრაზებული ჩანდნენ. კელნერი წავიდა. სტუდენტებმა ლაპარაკი წამოიწყეს მომავალ მეჯლისზე, სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდნენ, ხან უსტვენდნენ, ხან ხმამაღლა ამთქნარებდნენ. ერთმა, რომელიც ჯერ ახალბედა სტუდენტი ჩანდა, ეტყობოდა, მეჯლისის მოწყობის დღე ახლაღა გაიგო მეორე აშხანაგისაგან. ეს უკანასკნელი ორიოდ უწმაწური სიტყვით იცნობდა მეჯლისზე მოწვეულ ქალიშვილებს. პირველად ვიღაც პროვინციელი ცეკვის მასწავლებლისა და ლოთობაში გადავარდნილი პოლიციელის ქალიშვილები დაასახელა, რომელთა დახმარებითაც ეს საქმე აეწყო. შემდეგ ის გოგონები, რომლებსაც არც მშობლები ჰყავდათ და არც მეგობრები და ყოველდღიურ ლუკმა პურს ნემსით შოულობდნენ.

მე ჩუმად გადავყლაპე საუზმე და ახლა სკვინჩას ვაპურებდი, რომელიც ჩემს ირგვლივ ქვის ფილებზე უშიშრად დახტოდა და გადაყრილ ნამცეცებს კენკავდა.

— შენ ერთი ის გრაფინია ნახე! — ისევ წამოიწყო უფროსმა სტუდენტმა და პატარა ულვაშები აიგრიხა.

— ვინ? — გაოცებით იკითხა უმცროსმა.

მისმა მეგობარმა გადაიხარხარა.

— ერთი მკერავია და მეტი არაფერი, ლუდვიგ. მაგრამ ისე

ცივად შემოგხედავს შავი თვალებით, რომ!... შეჩვენებული სილამაზის გოგოა.

— მერე გრაფინიას რატომ უწოდებთ?

— იმიტომ რომ იხ გრაფ ყოყოჩას გოგოა.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამ სიტყვებმა შემაკრთო. ის იყო დავაპირე, ახალგაზრდა ჩხუბისთავისთვის უფრო დაწვრილებით გამომეკითხა ყველაფერი, რომ გამახსენდა ჩემს დიასახლისთან საღილობამდე კოჭლი მარიას ნალაპარაკევი.

მაშინვე უკან გამოვბრუნდი. ნახევარი საათის შემდეგ უკვე მარიასთან ვიყავი და ესაუბრობდით.

— მაშ დიდი ხანია ლეონორა აღარ გინახავს?—ვკითხე მას.

— აღარ ვეკარები, — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მიპასუხა მარიამ და თვალი საკერავისთვის არ მოუცილებია.

— მე კი მეგონა, კარგი მეგობრები იყავით!

— წინათ კი ვიყავით, — მარიამ ფრჩხილი ნაკერს გაუსვა— მაგრამ იმის შერე, რაც მან სტუდენტებთან ცეკვა დაიწყო... მოხუც დეიდასთან კარგა ხანია არ შეუხედავს. ალბათ, ანდერძის ამბავიც სხვაგვარად იქნება ახლა.

„რატომ მოხდა ასე?“ — გავიფიქრე მე.

კარგა ხნის წინ ქრისტოფმა ნასესხები ფული დამიბრუნა და ისიც მომწერა, რომ ბიძის ოჯახში სიხარულით შეხვდნენ ბიძა-ძალოც და მათი უკვე საკმაოდ ხანდაზმული ქალიშვილიც. საკეთებელიც ბევრი დახვედრია. მას შემდეგ მე არც ქრისტოფისა გამიგია რამე და არც ლეონორასი.

— მერე და რატომ მოხდა ეს ყველაფერი? — ვიკითხე ცოტა ხნის შემდეგ, რაკიღა შევატყვე, რომ მარია აღარაფრის თქმას არ აპირებდა.

— ეს ამბავი შობამდე ორი კვირით ადრე მოხდა, — დაიწ-

ყო მარიამ — ლორა უკვე კარგა ხანია უხასიათოდ იყო, ეჭ ვფიქრობდი, ალბათ, იმიტომ, რომ დურგალი არაფერს სწერ და, მერე ასე მეგონა, ქრისტოფზე დანიშვნა აწევს გულზ დარდად, რადგან თავის გრძნობებში ვერ გარკვეულა-მეთქ ოუ რამეს ჰკითხავდი, მოკლედ გიპასუხებდა და სულ არ ნაღ ვლობდა როცა მე ან კეთილშობილ ქალბატონს აწყენინებდ. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ ლორას საცეკვაო დარბაზიდ მუსიკის ხმა ესმოდა. მან კი დურგალს აღუთქვა, საცეკვაოდ აღარ წავალო.

ერთ საღამოს კარის წინ მერხზე ვისხედით, როცა სახლში წინა დღით დაბრუნებულმა ჩემმა დისშვილმა მინახულა, თან ორი ქარგალიც მოიყოლა. ისიც მკერავია და რაინის მხარის ორ-სამ ქალაქში მოუხდა მუშაობა. ამხანაგები ეკითხებიან, ის პასუხობს.

— მაშ ქრისტოფ ვერნერიც ნახე? —ეკითხება ერთი ქალ გალი.

— დურგალი? რასაკვირველია, ვნახე. აი ბედი ვის ეწია!

— რა ბედი ეწია? — ჰკითხა ახლა მეორემ.

— რა და ოსტატის ქალიშვილზე იწერს ჯვარს. მას კი იმდე ნი ქონება აქვს... შენც კარგად იცი!

ბიჭმა თითები ისე გაუსვა ერთმანეთს, თითქოს ფულ ითვლისო.

ამ სიტყვებმა საშინლად შემაშინა.

— არა გრცხვენია, ბიჭო! ეგ რა აბდაუბდას როშავ? — ბავუწყერი დისშვილს.

—რატომ უნდა მრცხვენოდეს, დეიდა, მეც იქ ვიყავი, როც ქრისტოფი თავიანთი საწოლისთვის ფიცრებს აშალაშინებდ

ამ სიტყვებზე ლორა წამოდგა, სიტყვის უთქმელად აიღ თავისი შლაპა და უკანმოუხედავად გაუყვა ქუჩას.

— რა დაემართა? — მკითხა დისშვილმა.

— რა ვიცი, დიტრიხ.

მე მართლაც არ ვიცოდი, რა დაემართა ლორას. მაინცდამაინც ძალიან გატაცებით არც ჰყვარებია დურგალი, რომელიც ამდენ ხანს დასდევდა, ლორა კი მრავალი ფიქრის შემდეგ ძლივს დასთანხმდა ცოლობაზე.

ერთ ხანს კიდევ ვუსმინე ამ ბიჭების ლაპარაკს. გული სხვაგან გამირბოდა, ველარ მოვითმინე და ლორას დავედევნე.

გოგო იქ ვნახე, სადაც ველოდი — თავის დეიდასთან, პატარა ოთახში. იქ ჰქონდა მთელი თავისი ავლადიდება შენახული. შუა ოთახში გაჩერებულა, სახეზე მკვდრის ფერი ადევს და ტუჩებს ისე იკვნეტს, რომ ნიკაპზე სისხლი სდის. კუთები და ზარდახშები ამოუქოთებია და იატაკზე მოუფანტავს ბაბთები და სალეჩაქე ქსოვილი.

— ლორა! — შევძახე მე, — რას სჩადი, ლორა?

ის კი თითქოს არც მისმენს.

— კვირას ცეკვები თუ იქნება დარბაზში? — შეკითხება ლორა.

— დარბაზში? მერე შენ რა გინდა?

— წავალ, ვიცეკვებ.

— იცეკვებ? მერე რას გეტყვის შენი ბიჯნური?

— რა მესაქმება მიჯნურთან? — მითხრა ლორამ, შლაპა დაიხურა და კამოდიდან შალი ამოიღო. მერე გახსნა ზარდახშა, სადაც მთელი დანაზოგი ფული ჰქონდა გადანახული. მართალია, ლორა სამკაულებისთვის ზოგჯერ ხარჯავდა ფულს, მაგრამ ამაყი იყო და საქმროსთან უქონელი და ხელცარიელი აღარ მივიდოდა. ჰოდა, გახსნა ქაღალდში შეხვეული ფული და ჯიბეში ჩაიდო.

— წამომყვები? საყიდლებზე მივდივარ, — მითხრა ლორამ.

არ ვიცოდი, რას აპირებდა, მაგრამ მეცოდებოდა და გავ-ყევი. თან ისევ იმედი მქონდა, საცეკვაოდ წასვლას გადავაფიქ-რებინებ-მეთქი. მაგრამ ტყუილად ვირჯებოდი; ლორა აჩქა-რებული მიდიოდა, მე კი არც მიყურებდა და არც პასუხს მაძ-ლევდა.

მივედით ბაზარში რომ ქსოვილების მაღაზიაა, და დახლის წინ დავდექით. ლორამ გამყიდველს აბრეშუმის სქელი ბაბთე-ბი და ყველაზე მოდური მუსლინის ქსოვილები გადმოალაგე-ბინა. ასეთებს ქალაქის წარჩინებული ქალბატონებიც იშვია-თად იკერავენ. სინჯავს ქსოვილებს და ერთიერთმანეთში ურევს. ნოქარი კიდევ სხვა ქსოვილს აწვდის.

— თუ კი ის ქალბატონი, ვინც კაბა შეგიკვეთათ, ფასზე უკან არ დაიხევს, — ეუბნება ნოქარი ლორას და ხელს გამ-ბვირვალე ქსოვილის ქვეშ ჰყოფს.

— არა, — ეუბნება ლორა, — ფასის გამო უკან არ და-იხევს.

მე ჩუმად წავკარი ხელი, რადგან მივხვდი, რომ ეს ძვირ-ფასიანი ქსოვილი თავისთვის უნდოდა.

— ლორა, — ვეუბნები ჩუმად, — გონს მოდი, აბა ეგეთი ფაქიზი საკაბე რად გინდა?

მაგრამ ის ყურადღებას არ მაქცევს, ნოქარს საკაბეს აჭ-რევინებს და დახლზე გვარიან თანხას ალაგებს, ის კი აღარ ახსოვს, რომ სანამ ფულს მოაგროვებდა, რამდენი ოფლი ამოიწურა.

— რას შვრები, ლორა! — ვეუბნები მას და ხელს ვუჭერ.

— თავი დამანებე! ერთხელ მეც მინდა ჩავიცვა ლამა-ზად. აქაურ ლამაზებს რით ჩამოვრჩები?

მერე შინ გაბრუნდა და მთელი დღე და ღამე გაცხარებით იმუშავა, სანამ ძვირფასი კაბა არ გაიმზადა.

მარია ცოტა ხანს შედგა, ნემსში ძაფი გაუყარა და ისევ განაგრძო:

— კვირადღეს, გვიან საღამოს, შავ თმაში თეთრი შროშანები ჩაიბნია და საცეკვაო დარბაზისკენ გაემართა. ეს ამბავი შემდეგ ჩემი დისშვილისგან გავიგე, — დაუძატა მარიამ. — ივი ცეკვის თავგადაკლული მოყვარულია და არც ერთ საღამოს არ აცდენს... ლორა ჯერ კარგა ხან ისე მჯდარა, რადგან ახალგაზრდა ხელოსნებს მასთან მისვლაც ვერ გაუბედავთ, სტუდენტებს კი თურმე ყველას უარი უთხრა. ამის გამო დარბაზში მყოფნი უკმაყოფილონი დარჩენილან. ის ფერმიხდილი სტუდენტიც, რასაკვირველია, იქა ყოფილა.. რას ეძახით მას?

— გრაფ ყოყოჩას.

— ჰო, იქა ყოფილა, მაგრამ ლორას ყურადღებასაც არ აქცევდა თურმე... ბოლოს კი მაინც მისულა მასთან, გოგო ძალიან მომხიბვლელი ყოფილა, პირდაპირ ცისკრის ვარსკვლავი იყოო, ასე ამბობდნენ. როცა გრაფი მასთან მისულა, ლორას სახეზე ცეცხლი მოსდებია და მთელი ტანით აცახცახებულა. მაგრამ ახლა კი ფეხზე წამომდგარა და გრაფისთვის ხელი გაუწვდია, ხოლო გრაფს ისეთი თვალით შეუხედავს, თითქოს შეეჭმას უპირებსო. ესეც ჩემმა დისშვილმა მითხრა. ლორას მის გარდა არავისთან უცეკვია, ეს წყვილი თურმე მანამ ცეკვავდა, სანამ მუსიკოსები ვიოლინოებს შეინახავდნენ.

მარია დადუმდა.

— ჰო, ასე ყოფილა! — თქვა ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს

თავისივე ნაამბობის მორალი გამოამზეურაო, და უფრო მუყაითად შეუდგა საქმეს.

საკმარისი იყო, რაც გავიგე. გადაეწყვიტე, ღღეს საღამოს „კუდიანთა ღრეობაზე“ წავსულიყავი და ყველაფერი საკუთარი თვალით მენახა.

ტყეში

უკვე ბნელოდა, ტყეში ჰაერი დახუთულიყო. ხეებს შორის გზას ძლივს ვიკვლევდი და გორაკზე მაღლა-მაღლა მივიწევდი.

ქვის კიბე რომ ავიარე, უნებურად შევდექი. იქვე ახლოს ხეებს შორის ორმა თეთრმა კაბამ გაიელვა და შენობაში გაუჩინარდა. ჩანდა, ცეკვებს შორის შესვენება იყო. გაკაშკაშებულ დარბაზში მუსიკოსები ვიოლინოებს სიმებს უწყობდნენ. გაღებულ კარებში სტუდენტები და გოგონები მიმოდიოდნენ და მხიარულად მასლაათობდნენ. დარბაზში მაშინვე შესვლა ვერ შევძელი. გონების თვალით ნათლად ვხედავდი ბავშვობისდროინდელ ლორას. თვალწინ დამიდგა, როგორ ეხვეოდა იგი თავის საბრალო მამას. გავიხსენე ისიც, თუ როგორი სიკერპით გაურბოდა იგი ჩემს ბავშვურ გრძნობებს. გული უეცარმა ტკივილმა დამიწურა. ვერ გამეცნობიერებინა, თანაგრძნობა იყო ეს თუ ეჭვიანობა.

ბოლოს დარჩენილი საფეხურები ავიარე და აივანზე ღია კარის წირთხლს ისე მივეყრდენი, რომ შეუმჩნევლად დავრჩენილიყავ. შესვენება გრძელდებოდა, მაგრამ გამოცოცხლება არ ნელდებოდა. განაპირა მაგიდებთან და გვერდით ოთახებში მსხდარი სტუდენტები დაუსრულებლად ქაქანებდნენ და ლუდის ტოლჩებს აბრახუნებდნენ, გოგონები კისკისებდნენ

და წინ და უკან მიმოდიოდნენ. ხანდახან ხმამაღლა რაღაცას წამოიძახებდნენ.

მათ შორის მოხდენილი გარეგნობის გოგონებს შეამჩნევდით. ვნებით აღვსილი დიდთვალება ნორჩი გოგონების მიმზიდველობა არაფერს ჰკარგავდა იმით, რომ ზოგიერთ მათგანს ცხოვრებით უდარდელი ტკბობის დაღი აღბეჭდოდა, ზოგს კი წარმავალი ტკივილი.

სიღარიბის მიუხედავად, ყველა მათგანს სუფთად ეცვაღია ფერის გამჭვირვალე ქსოვილის კაბები, საგულდაგულოდ დავარცხნილი თმა კი ყვავილებით შეემკოთ.

მაგრამ გოგონების ეს მუყაითობა ამაოდ იკარგებოდა და კავალრების პატივისცემას მაინც ვერ იმსახურებდა; განსაკუთრებით პირტიტველი ყმაწვილები და კორპორაციის ეგრეთწოდებული „ყოჩი ბიჭები" არაფერს დაგიდევდნენ და საკარძლებში გაშხლართულები ქალიშვილების თანდასწრებით ფეხებს მაგიდებსა და სკამებზე ფარჩხავდნენ.

თვალით ლორას დავეძებდი. ცოტა ხნის შემდეგ იგი საბილიარდოს მოპირდაპირე მხარეს დავინახე, ორ თავისახალგაზრდა გოგონას შორის ჩამჯდარიყო. გოგონები გაცხარებით რაღაცაზე ელაპარაკებოდნენ, ლორა კი ხმას არ იღებდა და გარინდებული ერთ წერტილს მიშტერებოდა.

ლორას თმაზე თეთრი ვარდი დაემაგრებინა. რაიც წლის ამ დროს იშვიათობას წარმოადგენდა. მის სახეს კი ვარდობის დრო უკვე გადასვლოდა — მის მშვენიერ ფერმიხდილ ღაწვებს ვარდისფერი აღარ დაჰკრავდა.

გრაფი ყოყოჩაც დავინახე. ის დარბაზის მეორე ბოლოს იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო და მოქანცული გამოიყურებოდა. მასთან ახლოს მივედი. მუსიკოსებმა ინსტრუმენტები მოამ-

ზადეს. ამ დროს ყოყოჩასთან ვიღაც ახალგაზრდა სტუდენტ-
მივიდა და მოკრძალებით მიმართა:

— შეიძლება, ამჯერად ლორასთან ვიცეკეო?

— სხვა დროს, ფუქს[1], — მიუგო მან და თავით კედელ-
მიეყრდნო. ლამაზი სახე ძალზე გასცრეცოდა.

მუსიკა დაუკრეს. მხოლოდ ის ერთი არ ამდგარა, რომ თა-
ვისი მეწყვილე საცეკვაოდ გაეწვია. ხელი ზანტად ასწია და
თითით ლორას მიუხმო. შევამჩნიე, როგორი გაავებული მზერა
ესროლა ლორამ, არც განძრეულა, მხოლოდ თვალები დაიფა-
რა ხელით. ყოყოჩამ კოპები შეიკრა, ცოტა ხნის შემდეგ კი
ფეხზე წამოხტა, დარბაზი გადაიარა და ლორას წინ შედგა.
ლორას თავი არც ახლა აუწევია, ვაჟმა ხელი მოხვია და ზე-
ვით აიტაცა. მომეჩვენა, თითქოს ვაჟმა რაღაც გაჯავრებით
უთხრა. ამ დროს უკვე შორს ვიდექი და მკაფიოდ არაფერი
მესმოდა. მერე გრაფი ლორასთან ერთად მოცეკვავეთა თავში
ჩადგა და ცეკვა დაიწყეს.

ლორა უკვე ზრდადასრულებული და საკმაოდ ტანმაღალი
გოგონა იყო, მაგრამ გრაფს მხრებამდე ძლივს სწვდებოდა.
დიდხანს შევცქეროდი მათ: ლორას თავი უკან გადაეწია, თვა-
ლები მიელულა და თითქოს ვაჟის მკლავებს აჰყოლიაო.
იატაკზე ფეხებს ოდნავ აკარებდა; გრაფი მისკენ გადახრილიყო
და მტაცებელი ფრინველივით დასცქეროდა ლორას სახეს.
ცეკვა რომ დასრულდა, ვაჟმა იგი თავის ადგილამდე მიაცილა
და სკამზე მსუბუქად დასვა.

შესვენება დიდხანს არ გაგრძელებულა. დარბაზი მალე
ისევ შეჩოჩქოლდა. მუსიკამ გახელებული ტემპი აიღო და
წყვილებიც სასწრაფოდ დაეწყვნენ.

---

[1] ფ უ ქ ს • — პირველი სემესტრის სტუდენტი.

ცეკვა განახლდა, ისმოდა თავაწყვეტილი ხარხარი და წამოძახილები. ქალიშვილთა პატარა ფეხები სულ უფრო მეტი გახელებით როკავდნენ დალაქავებულ იატაკზე. და აი, რომელიღაც შმაგი შემობრუნების შემღეგ საბრალო გოგონებმა თავი ვეღარ შეიკავეს და იატაკზე გაიშხლართნენ.

მუსიკა ერთბაშად დადუმდა, თითქოს ვიღაცამ ანიშნაო. კავალრები სიცილით მისცვივდნენ თავიანთ დამებს, მაგრამ ვათ მოასწრეს, ალეწილი სახით ფეხზე წამოცვივდნენ და ზოგი თმის სწორებას შეუდგა, ზოგი კი ამდენი წვალებით შეკერილი სამეჯლისო კაბის წმენდას.

არ ვიცი, იყო ეს მსხვერევისადმი ახალგაზრდული მიდრეკილება თუ სჩვიტი ზეგავლენის წინააღმდეგ გალაშქრების სურვილი, რაც ყოველი ადამიანის შინაგანი სწრაფვის მაუწყებელია, მაგრამ, როგორც ჩანდა, სტუდენტებს ქალების მიმართ ქედმაღლური მოქმედებით გული ვერ ეჯერებინათ.

ლორა, რომელსაც თვალს არ ვაცილებდი, ისევ იმ სკამზე იჯდა, რომელთანაც გრაფმა მიაცილა.

ეტყობოდა, მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, აღარავისთან აღარ ეცეკვა.

მუსიკამ კონტრდანსი წამოიწყო. ალბათ, მეტი კონტრასტისათვის, მოცეკვავენი მას განსაკუთრებული ზარზეიმით ასრულებდნენ. ნაცნობთან ერთად მე გვერდით ოთახში გავედი. აქ რამდენიმე უფროსკლასელი სტუდენტი დაგვიხვდა. მალე ჩვენ-ჩვენ კათხა ლუდს მივუსხედით და მომავალ გამოცდებზე დავიწყეთ საუბარი, რაც ყველას თანაბრად გვაინტერესებდა.

დარბაზში მუსიკის ხმა შეწყდა და ჩვენს ოთახში კიდევ რამდენიმე წყვილი გამოვიდა. მათ შორის გრაფი და ლორაც.

ისინი მაგიდას მიუსხდნენ. გრაფი საჭმელების მენიუს თვალიერებას შეუდგა. მალე კელნერმა მათ წინ თეფშები და შამპანურის ბოთლი დადგა. გრაფმა ბოთლი ფრთხილად გახსნა — გახსნისას შამპანური მას არასოდეს არ ექცეოდა—და აქაფებული ღვინო ჭიქებში ჩაასხა. დანარჩენმა გოგონებმა, რომლებსაც უბრალო საუზმე მიართვეს, თავიანთ კავალრებს იდაყვი გაჰკრეს. ამ წყვილმა ჩემი ყურადღებაც მალე მიიპყრო.

ფერმიხდილ ლორას ცალ ხელზე თავი დაეყრდნო, მეორეკი შამპანურით სავსე ჭიქისათვის შემოეხვია. გაოგნებული ჩანდა. გრაფი გემრიელად მიირთმევდა ტოროლას რაგუს და ზედ ღვინოს აყოლებდა.

— შენ არ გშია, ლორა? — მიმართა ბოლოს ლორას.

უარის ნიშნად ქალიშვილმა თავი გააქნია.

გრაფმა დაკვირვებით შეხედა.

— შენი ნებაა, თუ არ გინდა, — უთხრა მშვიდად, კვლავ ჭიქა შეივსო და ჭამა განაგრძო.

გოგონამ ჭიქა ბაგეზე მიიდო და მწყურვალივით ერთბაშად გადაჰკრა. თავი ისევ ხელზე ესვენა. მეორე ხელი შამპანურის ბოთლს წაავლო და ცარიელი ჭიქისკენ ისე დახარა, რომ ღვინო ნელა გადმოდიოდა და ქაფი ზემოთ მიიწევდა. სასოწარკვეთილი შესცქეროდა ლორა ბოთლიდან გადმოღვრილ სითხეს, თითქოს ეს მისი საკუთარი ცხოვრება იღვრებოდა ასე. ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ ჭიქიდან ქაფი მაგიდაზე გადმოდიოდა. აქედან კი იატაკზე იღვრებოდა. შავი აბრეშუმივით თმაში შეცურებული ხელები დაკრუნჩხოდა.

— ლამაზო, თუ შეიძლება, ერთი წვეთი მაინც მარგუნეთ

დაქცეულიდან, — ჩასჩურჩულა მას ახლად ულვაშაშლილმა კოხტა ჭაბუკმა და ლორას ჭიქა თხოვნით გაუწოდა.

ლორას ზემოთაც არ გაუხედავს. ის კი შეეამჩნია, რომ ტუჩები ოდნავ შეარხია.

— რა გინდა, ფუქს? — ჰკითხა მას ერთ-ერთმა უფროსკურსელმა, რომელიც აქამდე თავისი კათხის იქით არაფერს ხედავდა. — ოჰ, რატომ აქცევ! — შესძახა მან უცბად და გოგონას მკლავზე ხელი წაავლო.

როცა ღვინომ გრაფის ახლოს დაიწყო წვეთვა, იგი ოდნავ ვერდით გადაიხარა.

— თავი დაანებე, — თქვა მან. — ასეთი ბუნების ქალია, ხომ სწორს ვამბობ, ლორა? — გრაფი ღიმილით მიუბრუნდა გოგონას. — ჩვენ ორივეს გვიყვარს ფლანგვა და ერთმანეთსაც კარგად ვუგებთ.

ლორამ ბოთლი მაგიდაზე დადგა და გრაფს სიძულვილით შეავლო თვალი. მერე წამოდგა და დარბაზისაკენ გაემართა. მაგრამ გრაფიც იმავ წუთას ფეხზე წამოიჭრა. მისი ლამაზი სახის ნაკვთები გაცოფებას დაემახინჯებინა.

— რას აპირებ? — მიმართა ლორას და ხელი წაავლო.

ლორა მორჩილად შედგა, ხელის გათავისუფლება არც უცდია, ოღონდ სიძულვილით აელვარებული შავი თვალები შეანათა გრაფს და გამომცდელად შეაცქერდა. გრაფი შეეცადა მისი გამოხედვისათვის გაეძლო. მაგრამ მალე ხელი გაუშვა ოდნავ ჩაიცინა, კვლავ მაგიდას მიუბრუნდა და ბოთლში ჩარჩენილი ღვინო დაისხა.

ლორა დარბაზში გავიდა და მოცეკვავეთა შირის გაუჩინარდა.

გული ამიდუღდა. ჩემი ოთხიდან ყველაფერი კარგად და-

ვინახე. ცოტა ხნის შემდეგ თანამეინახეებს თავი ვანებე და ლორას სანახავად დარბაზში შევედი.

მოცეკვავეთა შორის იგი არ ჩანდა. როცა ვალსის რიტმს აყოლილი წყვილები გავარღვიე, დავინახე, ლორა ფანჯარასთან მიმდგარიყო. სახე თმაში ჩაწნული თეთრი ვარდივით გასთეთრებოდა. იდგა ლორა უძრავად და ატორტმანებულ მცეკვავეებს შესცქეროდა.

— შეიძლება ვეღარ მიცანით? — ვკითხე ლორას, როცა მივუახლოვდი.

მას სახეზე ერთბაშად სიწითლემ გადაუარა.

— ო, როგორ არა! — ხმადაბლა მითხრა მან.

— ხომ არ ვიცეკვოთ, ლორა?

ქალიშვილმა ხელი გამომიწოდა და თავი ისე ჩაჰკიდა, რომ ძის თვალებს ვეღარ ვხედავდი. ის კი მაინც შევნიშნე, როგორ დაიკბინა ტუჩები ლორამ.

მხოლოდ ორიოდ წრე ჩამოვუარეთ, რადგან ლორაც კარგად გრძნობდა, რომ ცეკვისთვის არ მცხელოდა. მალე ორივენი ფართოდ გაღებულ გასასვლელში ვიდექით. გარეთ სრული სიბნელე გამეფებულიყო, მხოლოდ ახლომდგომი წიფლის ხეები მოჩანდა შენობიდან გამომავალ შუქზე. სახეზე ღამის სუფთა, საამო ჰაერი მოგველამუნა. დარბაზიდან ვიოლინოთა ჭრიჭინი და მოცეკვავეთა ბრაგა-ბრუგი მოისმოდა, გარედან კი ხეთა კენწეროზე ატოკებულ ფოთოლთა ნელი შრიალი.

გოგონა ჩემს გვერდით იდგა, თავი ჩაეკიდა და ხმას არ იღებდა.

გამბედაობა მოვიკრიბე და ლორას ვკითხე:

— როგორ არის ქრისტოფის საქმე?

ლორა შეკრთა და რაღაც გაურკვევლად ჩაილუღლუღა. ფერგამკრთალი ღაწვი მუქწითლად შეეფაკლა.

— რას იტყოდა, აქ რომ ენახე?

ლორას სუნთქვა შეეკრა და აცახცახებული ხელი კრუნჩხვით წაივლო გულის პირზე.

— ო, გემუდარებით, — ამოთქვა ბოლოს ლორამ. — ოღონდ აქ ნუ, ოღონდ აქ ნუ.

— მაშ სად? არ გინდათ, მოისმინოთ ჩემი სათქმელი?

ლორამ თავი ასწია და ამომხედა.

— გარეთ გავიდეთ, — მითხრა ჩუმად. — ახლავე გამოვალ. ერთი ეს ცეკვაც ჩავათავოთ. თვითონ მინდოდა თქვენთან ლაპარაკი, იმ ოთახში რომ დაგინახეთ.

კიდევ ვიცეკვეთ. შემდეგ თავის ადგილას მივაცილე და ძე კოლონადიან აივანზე გამოვედი.

სადღაც შორს დაიქუხა. კიბეს დავუყევ და დაბლა ჩავედი. უცბად ისე გაიელვა, რომ ხეები და დაბლა აელვარებული ზღვის ზედაპირი ნათლად გავარჩიე.

შენობას შემოვუარე და კეგლის სათამაშო მოედანთან შევიცადე. დიდ დროს არ გაუვლია, თეთრმა კაბამ გაიელვა და მაშინვე ლორას ფეხის ხმაც შემომესმა. მალე ლორა ჩემს წინ იდგა და სულს ძლივს ითქვამდა.

აი, როგორც იქნა, მარტოდმარტო ვდგავარ მასთან ზაფხულის ბნელ ღამეში. მაგრამ ახლა უკვე სხვა დროა. სანამ რამის თქმას მოვასწრებდი, ლორამ ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო. შუქზე შევამჩნიე საფოსტო ბეჭედი და წერილის ლუქი.

— ქრისტოფის წერილია, — მითხრა ლორამ და ქაღალდი ჩემდაუნებურად გაწვდილ ხელში ჩამიდო.

— ქრისტოფისა? — წამოვიძახე მე. — როდის მიიღეთ?

— დღეს, — წყნარად მითხრა ლორამ.
— მერე და მაინც აქ მოხვედით?
გოგონა ხმას არ იღებდა.
— შეიძლება, წავიკითხო?
— თავად უნდა მეთხოვა, წაიკითხეთ-მეთქი.

დარბაზის ერთ-ერთ განათებულ ფანჯარას მივადექი. ლეონორაც უკან მომყვა და სანამ წერილს ვკითხულობდი, ვგრძნობდი ჩემდამი მოპყრობილ მის თვალებს.

წერილი გრძელი იყო. ქრისტოფი ლორას სწერდა, თუ რატომ სდუმდა ამდენ ხანს: ბიძისაგან სახელოსნო მიეღო, მაგრამ მდგომარეობა კიდევ დიდხანს იყო გაურკვეველი. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, ითხოვდა თუ არა მის ბიძაშვილს შეძლებული ოსტატი მებუხრე. ქრისტოფი უკვე ამთავრებდა თავიანთი მომავალი ოჯახისათვის ავეჯის კეთებას, როცა იგი თანამემამულეს, ერთ ცნობისმოყვარე მკერავს მოუნახულებია. ბიძაშვილის გათხოვებას რაღაც დაბრკოლება გადაღობებია და კინაღამ ჩაშლილა. ახლა კი ყველაფერი ისევ მოგვარებულა და ქორწილიც უკვე გადაუხდიათ. თვითონ ქრისტოფი მალე თურმე სხვა ქალაქში ოსტატის სახელს მიიღებს. შემდეგ ლორას სწერდა, შენ თვითონ ჩამოდი, რადგან შენი ჩამოყვანა მე არ შემიძლია, აქაურობას ვერ მოვშორდებიო. „როგორც კი შენგან პასუხს მივიღებ, — სწერდა იგი წერილის ბოლოს, — სამგზავრო ფულსაც გამოგიგზავნი, რომელიც უკვე გადადებული და დაბეჭდილია. ჩვენ სახლს იოლად იპოვნი, კარის წინ დადგმულ მწვანე მერხთან ისეთივე ცაცხვი დგას, თქვენი სახლის წინ რომ იდგა. ეს ცაცხვი ზემოდან ჩრდილავს იმ ოთახს, რომელიც ჩვენთვის საკუთარი ხელით დავდგი“.

წერილი დავკეცე და ლორას გავუწოდე, მაგრამ ლორამ თავი გააქნია.

— თქვენ მისწერეთ, ბატონო ფილიპ! — მთხოვა ლორამ და ღაწვებზე ცრემლი ჩამოუგორდა. — მას სურდა, რომ ყველაფერი კარგად მოეგვარებინა, — ძლივს ამოიღო ხმა ლორამ.

— მერე და მასთან არ წახვალთ?

ლორამ ისეთი მუდარითა და სასოწარკვეთით შემომხედა, რომ ამ კითხვის მიცემა მყის ვინანე.

— ნუთუ არავის შეუძლია, ლორა, თქვენი დახმარება?

მან თავი ჩაჰკიდა და შუბლით ფანჯარას მიეყრდნო. შავად აელვარებულ თმაში ჩაწნული თეთრი ვარდი ჯერაც ისევ საამო სურნელს აფრქვევდა.

— მამაჩემი ერთი საწყალი ბოგანო იყო, მას შემდეგ არავის არ ვყვარებივარ ასე ნაზად, როგორც ქრისტოფს. ის, ალბათ, არც ახლა მკრავდა ხელს... — ძლივს ამოთქვა ლორამ და აქვითინდა.

ერთხანს ხმა აღარ ამოგვიღია. მე თავად არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ მისი ორივე ხელი ხელში მეჭირა. ლორას წინააღმდეგობა არც გაუწევია... უცბად ყური მოვკარი, რომ შენობის წინა მხრიდან გრაფი ყოყოჩა ლორას უხმობდა.

გოგონა შეკრთა.

— ნუთუ არ შეგიძლიათ, ლორა, რომ მაგ ვაჟს ჩამოსცილდეთ?

ლორამ მწუხარედ შემომანათა ფართოდ გახელილი თვალები.

— ო, როგორ არა! — ხმადაბლა წარმოთქვა ლორამ.

ისე მომეჩვენა, თითქოს ამის თქმაზე ლორას ბაგეზე ღიმი

ლი გაუკრთა, რაღაც ვერაგული განზრახვის მაუწყებელი ღიმილი.

ისევ გაისმა გრაფის ძახილი. ახლა უფრო ახლო მანძილიდან.

ლორამ აჩქარებით შეიმშრალა თვალები.

— მშვიდობით, ფილიპ, მშვიდობით! — წამჩურჩულა ლორამ, ხელზე ხელები მომიჭირა და თვალს მიეფარა.

რამდენ ხანს ვიარე ხეებქვეშ წინ და უკან, აღარ მახსოვს. გონს მხოლოდ მაშინ მოვეგე, როცა დარბაზში მუსიკის ხმები ერთბაშად შეწყდა და ტყის სიღრმიდან ჩემს სმენამდე ბუკნაპოტების ხმამ მოაღწია.

როცა სახლის ფასადს წინ გავუარე, რომ ქვის კიბეებით ბილიკზე გავსულიყავი, ლორას ერთხელ კიდევ მოვკარი თვალი. იგი აივანზე გამოსულიყო, ცალი ხელი სვეტისთვის შემოეხვია და ხეთა შორის დაბლა გაწოლილ ზღვას გაჰყურებდა. წყლის ზედაპირს თვალისმომჭრელად ანათებდა ელვის ხაზები.

ზღვის ნაპირზე

დიდი ხანია ლოგინში ვიწექი, მაგრამ თვალი ვერ მომეხუჭა. მოსვენებას არ მაძლევდა ლორაზე ფიქრი. ვფიქრობდი, როგორმე დედაჩემის დახმარებით ლორასთვის სხვა თავშესაფარი მომეძებნა. არც მისი დარწმუნება იყო იოლი, რომ ამ ახალი ბინით ესარგებლა.

როცა გვიან დილით თვალი გავახილე, დავინახე „ბურგომისტრი“ ფრიცი — ასე ვეძახდით მას ბავშვობისას, — ლოგინთან დგას, იცინის და წრფელი თვალებით შემომყურებს.

მალე ორივენი ერთმანეთის გვერდით ვისხედით დივანზე.

ფრიცი დაწვრილებით მომიყვა ჩვენს საერთო მეგობრებზე, რომლებიც ჰაიდელბერგში დატოვა. მე უგულისყუროდ ვუსმენდი: ჩემი ფიქრები ისევ გუშინდელი ღამის ამბებს დასტრიალებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფრიცს ვთხოვე, ზღვის ნაპირზე გავიაროთ-მეთქი. როცა უხვჩრდილიანი თელების ხეივანს მივაღწიეთ, ლორას შესახებ ფრიცს ყველაფერი მოვუყევი, რაც კი ვიცოდი, და თითქოს გული გავითავისუფლე. ფრიცი ხმისამოუღებლად მისმენდა, ხანდახან რაღაც სალანძღავ სიტყვას წაიდუდუნებდა და გზაზე შეხვედრილ ქვას ფეხს გაკრავდა, ან ჰაერში მუშტს აიქნევდა, თითქოს ხელში დაშნა ჩაუბღუჯავსო.

საქმე მარტო ამით არ დასრულებულა. ერთი კვირის შემდეგ ფრიცი და გრაფი ყოყოჩა, ერთმანეთის პირდაპირ იდგნენ დაშნებმომარჯვებულნი. გრაფმა დაშნა მოსხლეტით მოიქნია და ფრიცს სახეზე ჭრილობა დააჩნია. ახლაც კი, როცა ფრიცი ბრაზდება, ნაჭრილობევი შუბლზე წითელ ელვასავით დაეჩნევა ხოლმე...

როცა ხეივნიდან ტყეში შევედით და თითქმის იმ ადგილამდე მივედით, საიდანაც საცეკვაო დარბაზისკენ გზა ბორცვს მიუდევს, ხეებს იქით ზღვის ნაპირზე რამდენიმე კაცი დავინახეთ. ისინი ზედ წყლის პირას იდგნენ და, როგორც ეტყობოდათ, რაღაცას სილაზე დებდნენ. ჩვენ აქედან ვერ გავარჩიეთ, რა უნდა ყოფილიყო. იმავე დროს ჩვენსკენ ამომავალი მეთევზე გამოჩნდა.

— რა ამბავია ქვემოთ? — აჩქარებით ვკითხე მე.

— კარგი არაფერი, ბატონო! ვიღაც ქალიშვილს უბედურება დამართნია.

— ლორა? — წამოვიძახე ჩემდაუნებურად და ჩემს მეგობარს ხელი წავავლე.

— რას ამბობ, გაჩუმდი! — შეშინებულმა წამოიძახა მან, თითქოს ჩემი ნათქვამის უარყოფა უნდაო.

მაშინვე ნაპირისაკენ დავეშვით, თითქოს უსიტყვოდ შეთანხმებულანო. შემომესმა თავშეყრილი ხალხის ლაპარაკი: „ნეტა რა აკლდა?“ — წარმოთქვა ვილაცის უხეშმა ხმამ „ეტყობა, ვილაც წარჩინებული გვარიშვილი უნდა იყოს. მერე და ასე მორთულ-მოკაზმული წყალში იხრჩობს თავს?“. შემდეგ ხმა აღარავის ამოუღია, მხოლოდ ტალღები შრიალებდნენ ოდნავ.

ხეებს რომ გავცდით, მზის სხივებმა თვალი მომჭრა — ჩვენს წინ გადაშლილი უბე მზეს გაებრწყინებინა.

ისიც ამ სხივებით განათებული იწვა ზღვის პირზე. ჩვენს მიახლოებაზე მეთევზეები გვერდით გადადგნენ და შეგვეძლო მისთვის პირდაპირ გვემზირა. ეჭვი აღარ იყო. პატარა სახე სილაზე ედო. კაბის ქვემოდან მოუჩანდა პატარა ფეხები, რომლებსაც ასე უყვარდათ ცეკვა და ახლა კი უძრავად ეწყო ზღვის წყალმცენარეები და ნიჟარები გაბლანდოდა შავ სველ თმაში. თეთრი ვარდი აღარ უჩანდა, ალბათ, ზღვამ წარსტაცა.

მრავალმა წელიწადმა განვლო იმ დილის შემდეგ.

საუნივერსიტეტო ქალაქის სასაფლაოს კედელზე, მაღალ ბალახებში მარმარილოს თეთრი დაფა დევს. „ლეონორა ბორეგარი“—აწერია დაფას. იგი დადო სამმა თანამემამულემ, რომლებიც ამჟამად გერმანული მიწის სამ სხვადასხვა მხარეს ცხოვრობენ.



თეთრცხენიანი მხედარი

ის ამბავი, რომლის თხრობას ახლა ვაპირებ, მთელი ნახევარი საუკუნის წინ შევიტყვე დიდედაჩემის დედის, მოხუცი ფრაუ სენატორ ფედერსენის სახლში, როცა მის სავარძელთან ძიმჯდარი ლურჯ მუყაოში დაკაზმულ ჟურნალებს ვკითხულობდი. ამჟამად უკვე აღარ მახსოვს, რომელი ჟურნალი იყო, „ლაიპციგი“ თუ „პაპეს ჰამბურგელი ქრესტომათია“*. ახლაც გული შემითრთოლდება ხოლმე იმის გახსენებაზე, როგორი ალერსით მისვამდა თავზე რბილ ხელს ეს ოთხმოცი წლის მოხუცი ქალი მე — თავის ბადიშის შვილს. კარგა ხანია წარსულს ჩაჰბარდა მოხუციცა და ძველი დროც. მას შემდეგ იმ ჟურნალების ძებნითაც მრავალჯერ ამაოდ დავშვრი. ამიტომ, თუ ვინმე ამ ამბის უტყუარობას საეჭვოდ გახდის, ვეღარც შევედავები, იმაში კი გაბედულად შემიძლია დავარ-

წმუნო, რომ თუმცა ეს ამბავი ცხოვრებას ჩემთვის შემდგომში აღარ გაუხსენებია, მაინც არასოდეს დამვიწყებია.

— ეს მოხდა ჩრდილოეთ ფრიზეთში, ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში, — ასე იწყებდა მთხრობელი ამბავს. — უკვე საათზე მეტი გასულიყო, რაც ძლიერ ქარიშხალში ჯებირზე ცხენს მივაჭენებდი. მარცხნივ მოჩანდა მიყრუებული, პირუტყვისაგან მიტოვებული მარშები, მარჯვნივ კი ჩრდილოეთის ზღვის მოქცევით გაჩენილი მეჩეჩი, რაიც გულს უსიამოვნო გრძნობით მივსებდა. სხვა დროს ჯებირიდან კარგად ჩანდა პატარ-პატარა მეჩეჩები, მაგრამ ამჯერად რუხ-მოყვითალო ტალღების მეტს ვერაფერს შეხედავდი, რომელიც გააფთრებული ღმუილით უტევდა ჯებირს და დროდადრო მე და ჩემ ცხენს ჭუჭყიან ქაფს გვასხამდა. უფრო შორს თვალშეუდგამი წყვდიადი მიწისა და ცის ერთმანეთისაგან გარჩევას შეუძლებელს ხდიდა, მით უფრო, რომ გალეული ახალი მთვარე, რომელიც იმჟამად უკვე საკმაოდ შემაღლებულიყო, უმეტესად ღრუბლებს იყო ამოფარებული. სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა. გაფიჩხული თითებით აღვირს ძლივსღა ვიკავებდი და მშურდა ჭილყვავებისა და თოლიებისა, რომლებიც ქარიშხალს ხმელეთისკენ მიჰყვებოდნენ, გაბმით ჩხაოდნენ და ხორხოცობდხენ. სიბნელე თანდათან ძალას იკრებდა და ცხენის ფლოქვების ხმა კარგად აღარ მესმოდა. ძეხორციელი არსად ჩანდა, მესმოდა მხოლოდ ფრინველთა ჩხავილი, როცა ისინი გვერდით ჩაგვიქროლებდნენ და მე და ჩემს ერთგულ ფაშატს ლამის ფრთებით გვეხებოდნენ, და ქარისა და წყლის გახელებული ღმუილი. ტყუილს **არ ვიტყვი — სადმე** საიმედო თავშესაფარში მერჩია ყოფნა.

უკვე მესამე დღე იყო, რაც ქარიშხალი მძვინვარებდა. მე უფრო მეტი დრო გავატარე ჩემი ყველაზე სასურველი ნათესავის კარმიდამოში ერთ ყველაზე ჩრდილოეთ ჰარდენში*, ვიდრე შემეძლო. მეტხანს დარჩენა აღარ შეიძლებოდა. იმ ქალაქში, რომელიც სამხრეთისკენ ორიოდე საათის სავალზეა, გადაუდებელი საქმე მქონდა. ამიტომ, ჩემი ბიძაშვილისა და მისი თავაზიანი ცოლის თხოვნის მიუხედავად, ნაშუადღევს ცხენზე შევჯექი და გამოვემგზავრე. თუმცა გამგზავრება რომ გადაეთქმევინებინათ, აღმითქვეს, საკუთარ ბაღში გამოყვანილ პერინეტისა და გრანდრიშარის ვაშლის მშვენიერ ჯიშებს გაგასინჯებთო.

— მაშ კარგი და ვნახოთ, ზღვისპირას რომ გახვალ, თუ უკანვე არ მობრუნდე. შენი ოთახი ხელუხლებლად დაგხვდება. — კარიდან მომაძახა ბიძაშვილმა.

მართლაც, იმწუთას, როცა ჩაშავებულმა ღრუბლებმა მთვარე დაჰფარა და ირგვლივ კუნაპეტი სიბნელე გამეფდა, ხოლო აღმუვლებულმა ქარაშოტმა ბე და ჩემი ცხენი კინაღამ ჯებირიდან გადაგვისროლა, — თავში გამიელვა: „ნუ სჩადიხარ სისულელეს დაბრუნდი უკან და მეგობრებთან ერთად თბილ კერიას მიუჯექი“. მაგრამ მალე გამახსენდა, რომ უკანდასაბრუნებლად უფრო მეტი გზის გავლა დამჭირდებოდა, ვიდრე წინ მედო. პალტოს საყელო წამოვიწიე და ცხენს შევუწყერი.

უცბად, ჯებირზე, რაღაც მოძრავი წერტილი შევამჩნიე ხმა არაფრისა ისმოდა, მაგრამ, როცა ნახევარმთვარემ გამოანათა, მის მკრთალ შუქზე თანდათან გავარჩიე ვიღაცის შავი ფიგურა. მოახლოებისას დავინახე, რომ უცნობი ცხენზე იჯდა, მაღალწვივებიან გამხდარ თეთრ ცხენზე. მხრებზე შავი წამოსასხამი შემოეხვია. გვერდით რომ ჩამიარა, მხედრის სან-

თლისფერ სახეზე ნაკვერჩხლებივით ანთებული თვალები შევამჩნიე.

ნეტა ვინ იყო? ან აქ რა უნდოდა?

ახლაღა გამახსენდა, რომ არც ფლოქვების ხმა გამიგონია და არც ცხენის ქშენა, ცხენმა და მხედარმა კი გვერდით ჩამიქროლეს.

ამ ფიქრით განვაგრძე გზა, მაგრამ ფიქრი დიდხანს აღარ დამცალდა, მხედარი ახლა უკნიდან წამომეწია და კვლავ გვერდით ჩამიქროლა. მოშეჩვენა, თითქოს ქარით აფრიალებული მისი მოსასხამი სახეზე მომხვდა კიდეც. ხმაური ვერც ახლა გავიგონე. მალე მხედარი ჩემს წინ მიაჭენებდა ცხენს შემდეგ უცბად თვალი მოვკარი, თითქოს მისმა ჩრდილმა ჯებირის დაქანებულ ფერდობზე ჩაიქროლა.

ცოტა არ იყოს, ყოყმანით გავედევნე უკან. იმ ადგილს რომ მივაღწიე, სადაც მხედარი თვალს მიეფარა, კოოგეზე, ზედ ჯებირთან, დიდი ტბა დაგუბებულიყო, რომელიც მთვარის შუქზე ლაპლაპებდა. ამ ადგილებში, წყლის მოვარდნის შედეგად, ხშირად დგება ხოლმე პატარა ტბები და გუბეები.

თვალში მეცა ის ამბავი, რომ წყლის ზედაპირი არ იძვროდა. როგორც ჩანდა, მხედარს აქ არ გაუვლია, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. სამაგიეროდ სხვა რამ დავინახე, რამაც ახლა გული სიხარულით ამივსო.

დაბლა დაცემული კოოგედან აქა-იქ მიმობნეული სინათლის ციცინათელებმა შემომანათა. ეტყობოდა, სინათლეები ერთმანეთისაგან დაცილებით სხვადასხვა სიმაღლის ვერფებზე მდგომი ფრიზიული სახლებიდან გამოდიოდა. იქვე ახლოს მოჩანდა ამგვარივე ყაიდის დიდი სახლი. მისი კარის მარჯვნივ განლაგებული, სამხრეთისკენ მიქცეული ყველა ფანჯარა გა-

ბათებული იყო. ფანჯრებს იქით ხალხიც შევამჩნიე და ანე ბეგონა, ქარის ღმუილის მიუხედავად, მათი ლაპარაკიც მეს-მის-მეთქი. ჩემი ცხენი თვითონვე ჩაუყვა იმ გზას, რომელმაც ამ სახლის კართან მიგვიყვანა. მალე მივხვდი, რომ სახლი სასტუმრო იყო, რადგან ფანჯრების წინ შევამჩნიე პალოებზე დამაგრებული დიდი რკინისრგოლებიანი ლატანი, რომელზეც ფუნდუკში ჩამომხტარნი პირუტყვსა და ცხენებს აბამდნენ.

ჩემი ცხენი ერთ-ერთ რგოლზე გამოვაბი. პირუტყვისათვის ყურადღების მიქცევა წინკარში შემოგებებულ მსახურს დავავალე.

— ეს რა, თავყრილობაა? — ვკითხე მას, რადგან შიგნიდან ახლა უკვე მკაფიოდ შემომესმა ადამიანთა ხმაური დ-ჭიქების წკარა-წკური.

— დიახ, რაღაც ამგვარია, — მომიგო მსახურმა ქვემოგერმახულ კილოკავზე. შემდგომში მალე გავიგე, რომ ეს კილოკავი, ფრიზიულთან ერთად, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია ამ მიდამოებში იხმარებოდა.—ზედამხედველია და ადგილობრივ-ხდობით აღჭურვილი პირები! წყალმა კი მაღლა აიწია!

ოთახში შესვლისას დავინახე, რომ ფანჯრების გასწვრივ გაშლილ მაგიდას თორმეტიოდე კაცი შემოსხდომოდა, მაგიდაზე პუნშის თასი იდგა, სუფრას წარმოსადეგი. მხარბეჭიანი მამაკაცი უძღვებოდა.

დამხვდურთ მივესალმე და მაგიდასთან დაჯდომის ნებაც ვითხოვე. მათ სიამოვნებით მიმიპატიჟეს.

— გეტყობათ, აქ გუშაგობთ, არა? — მივმართე იმ მხარბეჭიანს. — მეტისმეტად ავი ამინდია. ჯებირის მდგომარეობა საშიშია, ვაითუ თავშისაცემი საქმე გაგიჩინოთ.

— გასაკვირველიც არ არის, — მიპასუხა მან. — მაგრამ

ჩვენ გვგონია, რომ აქეთ, აღმოსავლეთისკენ ამ საშიშროებაც უკვე გაიარა. სხვა მხარეზე კი ისევ საეჭვოა. იქით უმეტესად ძველი ჯებირებია, ჩვენი მთავარი ჯებირი კი წინა საუკუნეში ხელმეორედ გადააწყვეს. წეღან გარეთ ყოფნისას ერთიანად გავიყინეთ, — განაგრძო მან. — ნაკლები დღე არც თქვენ დაგადგებოდათ. ერთ-ორ საათს კიდევ უნდა ვიყოთ აქ. გარეთ საიმედო ხალხი გვყავს დაყენებული, თუ რამე მოხდა, შეგვატყობინებენ.

და მე ვერც კი მოვასწარი მეფუნდუკისთვის რამე შემეკვეთა, რომ წინ აოხშივრებული ჭიქა დამიდგეს.

მალე შევიტყვე, რომ ჩემს გვერდით მჯდომი თავაზიანი მამაკაცი აქაური ჯებირების ზედამხედველი ყოფილიყო. საუბარი გავაბით. მე ჯებირზე იმ უცნაურ პიროვნებასთან შეხვედრის ამბავი მოვუყევი. მეზობელი ყურადღებით მისმენდა. ბალე შევამჩნიე, რომ ჩვენს ირგვლივ ყველა გაჩუმებულიყო

— თეთრცხენიანი მხედარი! — წამოიძახა ერთ-ერთმა იქ დამსწრემ და ყველას შიშმა დაუარა.

ჯებირების ზედამხედველი ზეზე წამოდგა.

— ნუ შეშინდებით, — მიმართა თანამეინახეებს. — ეს ამბავი მარტო ჩვენ არ გვეხება. ჩვიდმეტ წელში არც ჩვენი მეზობლები დარჩენილან განზე. ისინი ახლაც ფრთხილად უნდა იყვნენ.

მე ახლალა შემეშინდა.

— ბოდიშს ვიხდი, მაგრამ გთხოვთ გამარკვიოთ, ვინ არის ეს თეთრცხენიანი მხედარი?

მოცილებით, ღუმელის უკან, მხრებამოყრილი იჯდა ერთი პატარა მამაკაცი, რომელსაც შავი, გახეხილი სერთუკი ეცვა. ცალი მხარი ცოტა ზედმეტად წამოზრდოდა. საუბარში არ

ერეოდა; თმა თეთრი და საკმაოდ გათხელებული ჰქონდა. წამწამები კი შავი. თვალებზე აშკარად ეტყობოდა რომ აქ ძილისთვის არ მოსულიყო.

ზედამხედველმა მისკენ ხელით მიუთითა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ამ ამბავს აქ მყოფთა შორის ყველაზე უკეთ ჩვენი ძველი მასწავლებელი მოყვება. თუმცა ცოტა არ იყოს თავისებურად ჰყვება და არც სიმართლეს მისდევს ისე, როგორც ჩემი მეკუჭნავე ქალი ანტიე ფოლმერსი.

— თქვენ ხუმრობთ, ჯენტლმენების ზედამხედველო, — მოისმა ღუმელს იქით შეფარებული მასწავლებლის ავადმყოფური ხმა, — და თქვენს გამოთაყვანებულ ჯადოქარს გინდათ შემადაროთ.

— მერე და ასეთ ამბებს ჯადოქარზე უკეთ ვინ მოკრებს და დაიხსომებს, მასწავლებელო? — გაეპასუხა ზედამხედველი.

— ჰო, ალბათ, ეგრეა, თუმცა ჩვენ მთლად მაგ აზრისა არა ვართ, — მიუგო გალეულმა ბატონმა და სახეზე უპირატესობის გამომხატველმა ღიმილმა გადაურბინა.

— ხედავთ, მაინც როგორი ამპარტავანია? — ჩამჩურჩულა ზედამხედველმა. — ახალგაზრდობაში თეოლოგიას სწავლობდა და უიღბლო ქორწინების გამო აქ ჩარჩა, თავის სამშობლოში, მასწავლებლად.

ამასობაში ჩია კაცი ღუმელს გამოსცილდა და მაგიდასთან ჩემს გვერდით დაჯდა.

— მოგვიყევით, ნუღარ გვალოდინებთ! — გაისმა რამდენიმე ახალგაზრდის ხმა.

— მოყოლით კი მოვყვებით. იყოს ნება თქვენი, — დაიწყო

ძოხუცმა და ჩემსკენ შემობრუნდა, — მაგრამ ამ ამბავს გზადაგზა იმდენი ცრუმორწმუნეობა შეერია, რომ მთელი ხელოვნებაა საჭირო ტყუილისა და მართლის გასარჩევად.

— გთხოვთ არაფერი არ გამოსტოვოთ, — მივუგე მე. — ხოლო ბზისაგან ხორბლის გამორჩევა მე მომანდეთ.

მოხუცმა ისე გამიღიმა თითქოს მეუბნებოდა, თქვენი ნათქვამი გავიგეო და თხრობა დაიწყო:

— წარსული საუკუნის შუა წლებში, ანდა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმ საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს და მეორე ნახევრის დასაწყისში აქ ცხოვრობდა ერთი ზედამხედველი. მან ჯებირებისა და რაბების საქმეში გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე გლეხებმა და მიწის მუშებმა იციან ჩვეულებრივ. მაგრამ ეს ცოდნა ძლივს ჰყოფნიდა, რადგან ამ დარგში არსებული ლიტერატურიდან ცოტაოდენი რამ წაეკითხა. თუ კი რამ ცოდნა ჰქონდა, ისიც ბავშვობიდანვე თავისი დაკვირვებული თვალის მეოხებით. თქვენ უკვე მოისმინეთ ფრიზები ანგარიშს კარგად ახერხებენო, ალბათ ჩვენს ჰანს მომზენფონ ფარეტოფტის* თაობაზეც გაგიგიათ რამე, რომელიც თუმცა კი გლეხი გახლდათ, მაგრამ ბუსოლისა და ზღვის საათების, ტელესკოპებისა და ორლანოების ოსტატი იყო. ჰოდა იმ ჯებირების ზედამხედველის მამაც რამდენადმე იმის წანამგვანი კაცი იყო. მხოლოდ წანამგვანი და არა იმგვარი. რამდენიმე პატარა ჭანჭრობიან ნაკვეთზე მოჰყავდა რაფსი* და ლობიო და ძროხასაც აძოვებდა. ხახდახან, შემოდგომობითა და გაზაფხულობით საშოვარზე გავიდოდა ხოლმე, უმეტესად მიწის საზომ სამუშაოზე, ხოლო ზამთრობით, როცა ნორდვესტი გვესტუმრებოდა და დარაბებს ჯაჯგურს დაუწყებდა, შინ იჯდა მისი ვაჟი, ანბანსა თუ ბიბლიას

ზედ არ უყურებდა, ხელი ქერა თმაში შეეყო და მამას შეს-
ცქეროდა, რომელიც სულ რაღაცას ზომავდა და ანგარიშობ-
და. ერთ საღამოს ბიჭმა ჰკითხა მამას, რაც ახლა დაწერე,
რატომ მაინცადამაინც ასე უნდა იყოს და არა სხვაგვარა-
დო და საკუთარი აზრიც გამოთქვა. მამას არ შეეძლო პასუხი
მიეცა, თავი გადაიქნია და უთხრა:

— ვერ გიპასუხებ, მაგრამ ის იკმარე, რომ ეს ასეა, შენ
კი ცდები. თუ მეტი გინდა იცოდე, ხვალ დილას სხვენში რომ
სკივრი დგას, იქიდან ევკლიდეს* დაწერილი წიგნი ამოიღე.
ი პასუხსაც ის გაგცემს.

მეორე დღეს ბიჭი სხვენზე ავიდა და ის წიგნი მალე იპო-
ვა, — რა ბევრი წიგნი იმათა ჰქონდათ. როცა ბიჭმა მითითებ-
ული წიგნი მაგიდაზე დადო, მამას გაეცინა — ეს ევკლიდე
ჰოლანდიურ ენაზე იყო ნაბეჭდი, ჰოლანდიური კი, თუმცა იგი
სანახევროდ გერმანულია, არც ერთმა არ იცოდა.

— ჰო, ჰო, — წამოიწყო მოხუცმა, — ეს წიგნი მამაჩემი-
სეულია, ჰოლანდიური იმან კარგად იცოდა. მაგრამ სხვენში
ევკლიდე გერმანულად კი არ იყო?

ბიჭმა, რომელიც საერთოდ ცოტას ლაპარაკობდა, მამას
მშვიდად შეხედა და ჰკითხა:

— შეიძლება, ეს წიგნი მე მქონდეს? გერმანული იქ არ
არის.

როცა მოხუცმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ბიჭმა
მეორე წიგნიც გაუშვირა და კიდევ ჰკითხა:

— ესეც მქონდეს?

— ორივე შენი იყოს, — მიუგო ტედე ჰაიენმა. — თუმცა
მაინცადამაინც არაფერში გამოგადგება.

მეორე წიგნი ჰოლანდიური ენის პატარა მოცულობის

გრამატიკა გახლდათ და, რადგან ზამთარი ჯერ ახალი დამდგარი იყო, გაზაფხულამდე, როცა ბოლოს და ბოლოს მათ ბაღში ხურტკმელი კვლავ აყვავდა, ბიჭმა იმდენი იმუყაითა, რომ გრამატიკის დახმარებით ამ მოდური მწერლის ნაწარმოები თითქმის მთლიანად შეისწავლა.

— ჩემთვის, ბატონო ჩემო, რასაკვირველია, ცნობილია, – შეწყვიტა თხრობა მოხუცმა მასწავლებელმა, — რომ ასეთსავე ამბებს ჰყვებიან ჰანს მამზენის შესახებაც, მაგრამ მის დაბადებამდე კარგა ხნით ადრე მას ჩვენს მხარეში ჰაუკე ჰაიენს მიაწერდნენ, — ასე უწოდებდნენ ტედე ჰაიენის ვაჟს. თქვენ, რასაკვირველია, კარგად მოგეხსენებათ, რომ საკმარისია ვინმემ სახელი გაითქვას, რომ შემდეგ ყველაფერი მას მიაწერონ. რაც ჯერ კიდევ მისმა წინაპრებმა ჩაიდინეს თუ გააკეთეს ხალხის სასიკეთოდ თუ თავიანთ სალანძღავად.

როცა მოხუცმა ტედე ჰაიენმა დაინახა, რომ მის ვაჟიშვილს არც ძროხები აინტერესებდა და არც ცხვრები, რომ ლობიოს აყვავებასაც კი ვერ ამჩნევდა, რაიც მარშის ყოველი მცხოვრებისათვის დიდად სასიხარულო მოვლენაა, — იფიქრა: მიწის პატარა ნაგლეჯი ერთ გლეხსა და მის ვაჟიშვილს როგორმე გაატანინებს თავს, მაგრამ ორკლასდამთავრებულსა და ერთ მსახურს კი არ ეყოფათო. ამას გარდა, ისიც იფიქრა, რომ თავად დიდი დღე აღარ ეწერა უკვე და ვაჟიშვილი ჯენირზე გაგზავნა, სადაც სხვა მუშებთან ერთად აღდგომიდან მოკიდებული წმინდა მარტინის* დღესასწაულამდე ფორანზე უნდა ემუშავა. „ეს განკურნავს მას ევკლიდეს სიყვარულისაგან“, დაიიმედა თავი მოხუცმა.

ბიჭი ფორანზე მუშაობდა, მაგრამ ევკლიდესაც ერთთავად ჯიბით თან დაატარებდა და, როცა სხვები საუზმობდნენ ან

ვახშმობდნენ, ის გადაბრუნებულ ოთხთვალაზე იჯდა და წიგნს კითხულობდა. როცა შემოდგომაზე წყლის დონემ ისე აიწია, რომ მუშაობა აღარ შეიძლებოდა, ბიჭი სხვებივით შინ არ დაბრუნებულა, იქვე დარჩა. ჩამოჯდებოდა ზღვისკენ დაქანებულ ჯებირზე, შემოიხვევდა მუხლებზე ხელებს და საათობით უმზერდა, როგორ ურტყამდა ჩრდილოეთის ძღვრიე ტალღები ჯებირს აბალახებულ ხაზამდე და თანდათან ზემოთ იწევდა. როცა ფეხები დაუსველდებოდა და ქაფიც სახეზე შეესხურებოდა, მაშინღა აიწევდა ცოტა მაღლა და ისევ ჩამოჯდებოდა. მას არც ტალღების ტყლაშუნი ესმოდა და არც თოლიებისა და ზღვის სხვა ფრინველთა ჩხავილი, რომლებიც ხან გარს შემოუფრენდნენ, ხან თავზე გადაევლებოდნენ, ფრთებით ლამის ეხებოდნენ და შავ თვალებს აელვებდნენ. ის არც იმას აქცევდა ყურადღებას, რომ მის წინ გაშმაგებული წყლის ვრცელ უდაბნოს ღამე თანდათან აფარებდა თავის შავ კალთას. ერთადერთი, რასაც იგი ამჩნევდა, ეს იყო აღმუვლებული წყლის ქეჩრ, რომელიც ტალღის მოვარდნისას გაშმაგებით მუდამ ერთსა და იმავე ადგილს ურტყამდა და დაქანებული ჯებირის ბალახის ქედს მის თვალწინ რეცხავდა. როცა ცქერით გულს იჯერებდა, თავს ნელა დაიქნევდა ანდა ხელით რაღაც ფაქიზ ხაზებს გაავლებდა ჰაერში, თითქოს ამით ჯებირისათვის უფრო ნაკლები დაქანების მიცემა სურსო. თვითონ კი მაღლაც არ აიხედავდა. როცა ისე დაღამდებოდა, რომ თვალთა წინ აღარაფერი ჩანდა, ირგვლივ კი მხოლოდ ზღვის ღმუილიღა ისმოდა, ბიჭი წამოდგებოდა და, სანახევროდ დასველებული, შინისაკენ გარბოდა.

ერთხელ, საღამოს შინ დაბრუნებულს, საზომ ხელსაწყოთა წმენდაში გართულმა მამა ჰკითხა.

— რას აკეთებ ამ დრომდე გარეთ? ხომ შეიძლება დაიხრჩო? ვერ ხედავ, დღეს ზღვა ჯებირს როგორ სცემს ტალღებს?

ჰაუკემ ჯიუტად გახედა მამას, მაგრამ არაფერი უპასუხა.

— შენ, რა, არ გესმის? მე გითხარი, შეიძლება დაიხრჩო-მეთქი!

— ჰო, შეიძლება, მაგრამ ხომ არ დავმხრჩვალვარ!

— არა, — მცირე ხნის შემდეგ გაეპასუხა მამა და შვილსახეში დაბნეულად შეაცქერდა. — ამჯერად არ დამხრჩვალხარ.

— ეს ჩვენი ჯებირები კი კაპიკიც არ ღირს, — თქვა ჰაუკემ.

— რას ამბობ, ჯეელო?

— ჯებირები-მეთქი.

— რაო, ჯებირები?

— კაპიკად არ ღირს-მეთქი! — გაიმეორა ჰაუკემ.

მოხუცმა შვილს შესცინა.

— მერე და რა ვქნათ? შენ რა, ხომ არ გგონია, რომ ლუბეკელი ვუნდერკინდი* ხარ?

მაგრამ ბიჭი არ დაბნეულა.

— ზღვისკენ ძალზე ციცაბოდ არის დაქანებული, — დაიწყო მან. — ერთი კიდევ ისე რომ მოვარდეს წყალი, როგორც იცის, ჩვენ ჯებირის აქეთაც ამოვიხრჩობით.

მოხუცმა ჯიბიდან საღეჭი თამბაქო ამოიღო, მოკვნიტა და მონაკვნეტი კბილებში მოიგდო.

— რამდენი ფორანი მიიტანე დღეს? — გაჯავრებით ჰკითხა ვაჟს, რადგან მიხვდა, რომ ჯებირზე მუშაობას ყმაწვილის გონების მუშაობისათვის ხელი არ შეუშლია.

— არ ვიცი, მამა, — მიუგო მან. — ალბათ, იმდენი, რამდე-

ნიც სხვებმა, იქნებ ათიოდე გზით მეტიც. ეს ჯებირები კი სხვაგვარად უნდა გაკეთდეს.

— შენ იცი, — გაიცინა მოხუცმა. — ალბათ, ჯებირების ზედამხედველად დაგაყენებ და გადააკეთე, როგორც გინდა.

— ეგრეც ვიზამ! — მიუგო ჭაბუკმა.

მოხუცმა შეხედა ვაჟს, ნერწყვი გადაყლაპა და ოთახიდან ჯავიდა. არ იცოდა, ბიჭისთვის რა ეპასუხნა.

როცა ოქტომბრის ბოლოს ჯებირებზე მუშაობა დამთავრდა, ჰაუკე ჰაიენისთვის ზღვის პირას გავლა ყველაზე საამო გართობა იყო. ყოვლად წმიდის დღეს*, როცა ბუნიობისას ჩვენთან ქარიშხალი ატყდება ხოლმე, რაზეც ფრიზლანდელები სამართლიანად ჩივიან, ის ისე ელოდა, როგორც ბავშვები შობას. როგორც კი ქარიშხალი ატყდებოდა და ზღვა წამოიწევდა, უამინდობის მიუხედავად, ბიჭი ჯებირზე გარბოდა და მარტოდმარტო დაეხეტებოდა. თოლიები ჩხავიან, ზვირთი სცემს ჯებირებს, უზარმაზარ ბელტებს აგლეჯს და ზღვაში ჩაითრევს, ხოლო ჰაუკე ამ მეორედ მოსვლაში ნიშნის მოგებით ხარხარებს და ზღვას მისძახის:

— წესიერს არაფერს აკეთებ, ვერც ადამიანები აკეთებენ წესიერად ვერაფერს!

ბოლოს, როცა მთლად დაბნელდებოდა, ჯებირ-ჯებირ გაეყვებოდა გზას შინისაკენ, აწოწილ ტანს მამის ისლით დახურულ სახლის კარში მიმალავდა და თავის სენაკში შეძვრებოდა.

ხანდახან შინ ერთ მუჭა თიხას წამოიღებდა, დაჯდებოდა მამის გვერდით, რომელიც მას ახლა თითქოს ვეღარც კი ამჩნევდა, და ქონის სანთლის მკრთალ სინათლეზე ათასგვარი

ჯებირის მოდელს თითხნიდა, შემდეგ წყლიან ტაშტში ჩასდებ-და და ხელით წყალს მიასხამდა. ანდა შავი ფიქალის დაფას აიღებდა და ზედ ისეთი ჯებირების პროფილებს ხატავდა, როგორსაც ჭკუა ეტყოდა.

თანაკლასელებთან ამხანაგობა ფიქრადაც არ მოსდიოდა. არც ისინი იკლავდნენ თავს ამ მეოცნებესთან მეგობრობისათვის. როცა დაზამთრდა და ყინვები დაიჭირა, ჰაუკე ყველაზე შორეული ჯებირის სანახავად წავიდა, სადაც მანამდე არ ყოფილა. აქ მის წინ თვალუწვდენელ სივრცეზე გადაჭიმულ თავთხელ ადგილებს ყინულის ზეწარი გადაეფარებოდა.

თებერვალში, როცა ყინვები ჯერაც არ მოტეხილიყო, ტალღებმა რამდენიმე დამხრჩვალი გამორიყა. ისინი გაყინულ თავთხელში ელაგნენ ცისქვეშ. მათ სოფელში გადატახას ერთი ენაჭარტალა ყმაწვილი ქალი შეესწრო და მოხუც ჰაიენს უყვებოდა:

— ხომ არ გგონია, ადამიანებს ჰგავდნენ კიდევ, არა, ზღვის ქაჯებს უფრო მოგაგონებდა! თავები დასიებოდათ. —ქალმა საჩვენებლად თითებგადაფარჩხული ხელები განზე გასწია, — გაშავებულიყვნენ და ისე ლაპლაპებდნენ, გეგონებოდა, აჩლადგამომცხვარი პურიაო! თანაც ზედ კიბორჩხალები დაჰკვროდათ. მათ დანახვაზე ბიჭებმა უსაშველო ყვირილი მორთეს.

მოხუც ჰაიენს არ გაჰკვირვებია:

— ნოემბრის შემდეგ წყალში იყვნენ და! — გულგრილად შენიშნა მან.

ჰაუკე იქვე იდგა და ხმას არ იღებდა, მაგრამ როგორც კი შემთხვევა მიეცა, მაშინვე ისევ ჯებირებისაკენ გაიპარა. ვერ იტყოდი, რა უნდოდა, შეიძლება, ისევ დამხრჩვალებს ეძებდა, ანდა, იქნებ, ის შიში იზიდავდა, იქაურობას რომ თავს

დასტრიალებდა. იგი თანდათან შორს მირბოდა, სანამ ბოლოს უდაბნოში არ აღმოჩნდა, სადაც მხოლოდ ქარის ღმუილი და მის თავზემოთ გადაფრენილ ფრინველთა საწყალობელი ჩხავილი ისმოდა. მარცხნივ ვრცელი გაუდაბურებული მარშები ჩანდა, მარჯვნივ — ზღვის თავთხელები, რომელსაც თვალუწვდენელ მანძილზე ალაპლაპებული ყინული გადაჰკვროდა. კაცს ეგონებოდა, მთელ სამყაროზე თეთრი სიკვდილი გამეფებულაო.

ჰაუკე ჯებირზე შედგა და სივრცეს გამჭრიახი თვალი მოავლო. მაგრამ დამხრჩვალი ვეღარსად შენიშნა. მხოლოდ იმ ადგილას, სადაც უხილავად ურტყამდა ზვირთი, ყინულის საფარველი შეუჩერებლად ადიოდ-ჩადიოდა.

შემდეგ ბიჭი შინ გაიქცა, მაგრამ მეორე საღამოს ისევ ზღვის პირს ეწვია. ახლა იმ ადგილს შეჩერდა, სადაც ყინული გახეთქილიყო. ნაბზარებიდან სქელი კვამლივით ამოდიოდა ნისლი და ორთქლი და უცნაურად ერეოდა საღამოს ბინდს. ჰაუკე ამ სანახაობას გაშტერებული შეჰყურებდა: ნისლში რაღაც ბნელი ცხვირწვეტიანი და გრძელკისერა აჩრდილები გამოიყოფოდნენ, თამამად დატორტმანებდნენ ნაპრალებში და შემზარავად იმანჭებოდნენ, შეშლილებივით იწყებდნენ ხტუნვას, დიდები პატარებს ახტებოდნენ, პატარები — დიდებს. მერე გაიზარდნენ, გაიბერნენ და ფორმა და სახე დაკარგეს.

— ნეტა აქ რა უნდათ? იმ დამხრჩვალთა სულები ხომ არ არიან? — ფიქრობდა ჰაუკე.

— ოჰო-ჰოოო! — ხმამაღლა გასძახა ლაფში ჰაუკემ, მაგრამ აჩრდილები მისკენ არც შებრუნებულან, უცნაური როკვა განაგრძეს.

ჰაუკეს გაახსენდა ნორვეგიული ზღვის სულების საშინელ ამბავი, რომელსაც ერთ-ერთ ბებერი კაპიტანი მოუყვ-ამ ავსულებს თავის ნაცვლად ზღვის ბალახის ბულულ ჰქონდათ. გაახსენდა, მაგრამ, იმის მაგივრად, რომ გაქცეული-ყო, ჯებირებზე მტკიცედ დაეყრდნო ორივე ფეხს და ჩამოწო ლილ სიბნელეში ინტერესით შეაცქერდა სასაცილო. არსე-ბებს, რომლებიც მანჭვა-გრეხას განაგრძობდნენ.

— ო, ჩვენთანაც მობრძანებულხართ? — მკაცრად შესძახა მათ ჰაუკემ, — მობრძანდით, მაგრამ აქედან მაინც ვერ გამაგ-დებთ!

და მაშინღა, როცა სულ დაღამდა, ჰაუკე მტკიცე ნაბიჯი-ნელა გამოემართა შინისაკენ. თან ფრთების ტყლაშუნი და სა-შინელი ყვირილი მოჰყვებოდა. უკან მაინც არ მოუხედავს, არც ფეხი აუჩქარებია. შინ კარგა შეგვიანებით დაბრუნდა. ეს ამბავი არასოდეს არავისთვის უამბნია. მამისთვისაც არა-ფერი უთქვამს. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ იმავე დროს და იმავე დღეს წაიყვანა თავისი სუსტგონება გოგო-ნა, — ამით დასაჯა იგი მეუფე ღმერთმა, — იმ ადგილას. ესე-ნიო, ასე აუხსნა მან შვილს, ყანჩები და ყორნები არიან, ყი-ნულის ბზარებიდან თევზები ამოჰყავთ და მხოლოდ ნისლის გამო ჩანან ასე დიდრონი და საშინელი, სინამდვილეში საში-ში არაფერი არა აქვთო.

— ღმერთმა იცის, ბატონო ჩემო, — შეწყვიტა მასწავლე ბელმა ამბის თხრობა, — ამ დედამიწაზე რამდენი რამ არის, რაც პატიოსან ქრისტიანს თავგზას უწეწავს. მაგრამ ჰაუკე არც სულელი იყო, არც თავცარიელი.

ამაზე მე არაფერი მიპასუხნია და მასწავლებელი თხრობის განგრძობას აპირებდა, მაგრამ იქ მყოფთა შორის, რომლებიც

ამ ხნის მანძილზე ამბავს უსმენდნენ და ჭერდაბალ ოთახს თამბაქოს ბოლით ავსებდნენ, უცბად რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. ჯერ რამდენიმე კაცი, მერე კი თითქმის ყველა ფახჯრებისკენ შებრუნდა. ფარდაჩამოუფარებელი ფანჯრებიდან კარგად მოჩანდა, როგორ მიერეკებოდა ქარიშხალი ღრუბლებს. მიდამო ხან ჩამობნელდებოდა, ხან ისევ განათდებოდა და მეც მომეჩვენა, თითქოს გარეთ ჩამომხმარმა მხედარმა გაიქროლა თეთრი ცხენით.

— ერთ წუთს მოიცათ, მასწავლებელო! — ხმადაბლა წარმოთქვა ზედამხედველმა.

— ნურაფრის გეშინიათ, ზედამხედველო, — მიუგო ტანმორჩილმა მასწავლებელმა, — იგი მე ავად არ მომიხსენებია, არცა მაქვს მიზეზი, — და ზედამხედველს პატარა, გონიერი თვალები მიაპყრო.

— ჰო, რასაკვირველია, — დაეთანხმა იგი. — მოდი, ერთი, ამ ჭიქას შეგივსებთ ისევ.

მას შემდეგ, რაც ჭიქა შეუვსეს და ჯერაც ისევ შემკრთალი მსმენელები მის ირგვლივ შეიკრიბნენ, მთხრობელმა ამბავი განაგრძო:

— ასე იზრდებოდა ჰაუკე ქარსა და წვიმაში, ადამიანთაგან განდგომილად, მარტოობაში. მაღალი, გამხდარი ბიჭი დადგა. ერთი წელი იყო, რაც საეკლესიო მრევლში მიიღეს და უცბად რაღაც შეიცვალა მის არსებაში. ამის მიზეზი გახდა ბებერი თეთრი ანგორული კატა, რომელიც მოხუც ტრინ იანსს ესპანეთიდან ჩამოუყვანა ვაჟიშვილმა. ვაჟიშვილი მერე მალე გარდაიცვალა. ტრინი ჯებირთან მიდგმულ ქოხში ცხოვრობდა და როცა ზაფხულობით მოხუცი შინ საქმიანობდა, ეს საზიზღარი სახის ხვადი კატა კარიბჭეზე იწვა და პრანწიების გადაფრენას

თვალებალაპლაპებული შეჰყურებდა. თუ ჰაუკე გვერდით ჩაუვლიდა, მაშინვე კნავილს ასტეხდა და ჰაუკეც თავს დაუქნევდა. ჩანდა, ორივე კარგად უგებდა ერთმანეთს.

ერთხელ, გაზაფხულზე, ჰაუკე წყლის მიხაკებსა და სურნელოვან ავშანებს შორის ჯებირზე იწვა, როგორც ამას, ჩვეულებისამებრ, ხშირად სჩადიოდა ხოლმე, და უკვე საკმაოდ ძალამიცემულ მზეზე თბებოდა. წინა დღეს შემაღლებულ ნაპირზე ავიდა, ჯიბეები კენჭებით დაიტენა და ახლა, როცა პატარა რუხი მერცხლები მოქცევის გამო ზღვის გათავისუფლებულ ფსკერზე დაყივყივებდნენ, ჯიბიდან სათითაოდ კენჭებს იღებდა და ფრთოსნებს ესროდა. ამ საქმეში იგი ბავშვობიდან იწაფებოდა და თითქმის ყოველ სროლაზე წებოვან ფსკერზე თითო ჩიტი რჩებოდა. მაგრამ ჰაუკე ნანადირევის გამოტანას ყოველთვის ვერ ახერხებდა და ფიქრობდა, რომ კარგი იქნებოდა ის ხვადი კატა წამოეყვანა და მონადირე ძაღლივით გაეწვრთნა. ალაგ-ალაგ მაგარი და რიყიანი ადგილებიც იყო ხოლმე. ამ დროს ნანადირევამდე ხტუნვა-ხტუნვით მივიდოდა და გამოჰქონდა. თუ შინისაკენ გაბრუნებულს კატა კარის ზღურბლზე ჩამოსკუპებული დახვდებოდა, ღორმუცელობით გახელებული იმდენხანს იჩხავლებდა, სანამ ჰაუკე ერთ მოკლულ მერცხალს მაინც არ გადაუგდებდა.

ჰაუკემ დღესაც ზურგზე ქურთუკი მოიგდო და შინისაკენ გზას გაუდგა. ხელში რომელიღაც უცნობი ფრთოსანი ეჭირა, რომლის ბუმბული ჭრელი აბრეშუმისა და მოლაპლაპე ლითონისდარად ბრწყინავდა. კატამ იგი უმალ შეამჩნია და, ჩვეულებისამებრ, კნავილს მოჰყვა. მაგრამ ამჯერად ჰაუკეს ატუნდოდა თავისი ნადავლი — შეიძლება იგი ალკუნიც იყო —

კატისთვის მიეცა და მის ხარბ კნავილს ყურადღება არ მიაქ-
ცია.

— რიგრიგობით! — დაუყვირა მან კატას. — დღეს ჩემი წა-
ლი იყოს, ხვალ შენი. ეს კი საშენო არ არის! — მაგრამ კატა
მისკენ ფრთხილად მიიპარებოდა. ჰაუკე შედგა და კატას
შეაცქერდა, ფრთოსანი კი ისევ ხელში ეჭირა. კატაც შეჩერ-
და და თათი ასწია. მაგრამ, როგორც ჩანდა, ყმაწვილი მთლად
კარგად ვერ იცნობდა თავის მეგობარს, რადგან, როგორც
კი მას ზურგი შეაქცია და წასვლა დააპირა, კატამ ერთი ნახ-
ტომით წაჰგლიჯა ნანადირევი და თან ბასრი ბრჭყალებით
დაუკაწრა ხელი. მხეცურმა გაბოროტებამ მოიცვა ჰაუკე,
გაცოფებული შებრუნდა უკან და მტაცებელს ყელში წასწვდა;
ჰაერში ასწია და ისეთი ძალით წაუჭირა, რომ ბუდიდან თვა-
ლები გადმოაყრევინა. კატა ძლიერი უკანა თათებით მკლავს
უკაწრავდა, მაგრამ ჰაუკე ამას ყურადღებას არ აქცევდა.

— ეგეც შენ! — შესძახა მან და უფრო ძლიერ წაუჭირა
ყელში. — ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს.

ერთბაშად კატას უკანა ფეხები მოწყვეტით ჩამოუცვივდა,
ჰაუკემ რამდენიმე ნაბიჯი უკან გადასდგა და კატა ძოხუცს
ძიუგდო. კატა აღარ განძრეულა, ჰაუკე გამობრუნდა და შინი-
საკენ გაემართა.

მაგრამ ანგორული კატა მისი პატრონისთვის ერთადერთი
ძეგობარი და განძი იყო, თავისი მეზღვაური ვაჟიშვილისაგან
დარჩა, რომელიც უეცრად დაიღუპა ზღვის ნაპირზე, როცა
კრევეტის* ჭერაში შველოდა დედას.

სისხლისდენის შესაწყვეტად ჰაუკემ დანაკაწრზე ცხვირსა-
ხოცი შემოიხვია: ასიოდე ნაბიჯის გადადგმა ძლივს მოასწრო,
რომ უკნიდან მოთქმა და საშინელი ყვირილი ჩაესმა. ჰაუკე

შებრუნდა და მიწაზე დაგდებულ მოხუც ქალს მოკრა თვალი. მას თავშალი გადასძრომოდა და თეთრი თმა გასწეწოდა.

— მომიკლეს, მომიკლეს! — გაჰყვიროდა იგი და დაკრუნჩხულ ხელს მისკენ მუქარით იქნევდა. — ღმერთმა შეგაჩვენოს, შენ მომიკალი ჩემი კატა, შე უმაქნისო მაწანწალავ! შენ მისი კუდის ღირსიც არ იყავ! — მოხუცი მომხრჩვალი კატისკენ დაიხარა და წინსაფრით ფაქიზად მოსწმინდა სისხლი, რომელიც ისევ ცხვირ-პირიდან გადმოსდიოდა. შემდეგ კვლავ ლანძღვას მოჰყვა.

— მალე მორჩები? — გასძახა მას ჰაუკემ. — იცი, რას გეტყვი: მე შენ სხვა კატას გიყიდი ისეთს, რომელიც თაგვსა და ვირთხებს დასჯერდება! — მერე ყურადღება აღარაფერს მიაქცია და გზა განაგრძო. მაგრამ, ეტყობოდა, მოკლული კატა მოსვენებას არ აძლევდა, რადგან დასახლებას რომ მიაღწია, მამის სახლსაც გვერდი აუარა, სხვა სახლებსაც და ჯებირზე. ქალაქის მიმართულებით, სამხრეთისაკენ, გაუყვა გზას.

ამ დროს ტრინ იანსიც იმავე მიმართულებით მიეშურებოდა. ძველ ლურჯ ბალიშის პირში გახვეული რაღაც ტვირთი ხელით ისე ეჭირა, თითქოს თოთო ბავშვიაო. ჭაღარა თმას ადრეული გაზაფხულის სიო უწეწავდა.

— ეგ რა მიგაქვს, ტრინ? — ჰკითხა მას გზად შემხვედრმა გლეხმა.

— ისეთი რამ, რაც შენს სახლ-კარზე უფრო ძვირფასია მიუგო მოხუცმა ქალმა და გზა აჩქარებით განაგრძო. როცა მოხუცმა ჰაიენის სახლს მიაღწია, აქტით ქვემოთ ჩავიდა. აქტს ჩვენში პირუტყვისა და კაცის სავალ გზას უწოდებენ, რომელიც ჯებირის გასწვრივ დამრეცად მიიმართება.

მოხუცი ტეტე ჰაიენი ამ დროს სწორედ კარებში იდგა და ამინდს გასცქეროდა.

— ო, ტრინ! — წარმოთქვა მან, როცა ქალი ხვნეშით მის წინ შეჩერდა და ხელჯოხი მიწაში ჩაარჭო, — რა გაქვს მაგ ტომარაში?

— ჯერ სახლში შემიშვი, ტეტე ჰაიენ, მერე კი ნახავ! — და ქალმა უცნაურად აელვარებული თვალებით შეხედა მას.

— შემოდი! — მიუგო მოხუცმა. რა საქმე ჰქონდა მას გამოსულელებული ქალის თვალებთან.

როცა ორივენი ოთახში შევიდნენ, ქალმა ტეტე ჰაიენს მიმართა:

— მოაშორე მაგიდიდან ეგ ძველი სათუთუნე და ნაჯღაბნები!.. რას წერ ასე გამუდმებით?... ასე, ახლა კარგად გადაწმინდე!

მოხუცი ცნობისმოყვარეობამ აიტანა და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ქალმა უთხრა. შემდეგ მოხუცმა ტრინმა ბალიშის პირს წკვერტებზე წაავლო ხელი და მაგიდაზე მკვდარი კატა გადმოაგდო.

— აჰა, მიიღე, — შესძახა მან. — შენმა ჰაუკემ მომიკლა, — და ქალმა შესაბრალისი გოდება მორთო. მკვდარ კატას ბეწვზე ხელს უსვამდა, მერე თათები ერთად დაულაგა, გრძელი ცხვირი თავზე დაადო და ყურში გაუგებარი საალერსო სიტყვების ბუტბუტი დაუწყო.

ტეტე ჰაიენი შესცქეროდა ქალს.

— ესე იგი, ჰაუკემ მოკლა? — ჰკითხა ტეტე ჰაიენმა ატირებულ ქალს, რადგან არ იცოდა, რით დაემშვიდებინა.

— ჰო, ჰაუკემ, ღმერთია მოწამე! — გაჯავრებით დაუქნია თავი ქალმა და ნიკრესის ქარებისაგან დაკრუნჩხული ხელებით

თვალთაგან ცრემლი მოიწმინდა. — ცოცხალი აღარაფერ, შემრჩა, აღარც შვილი, აღარც ეს, — მოთქვამდა მოხუცი. — შენ თავადაც კარგად იცი, ყოვლად წმინდის დღესასწაულის შემდეგ ჩვენ, მოხუცებს, საღამოობით ლოგინში ფეხები გვეყინება და დაძინების მაგივრად ფანჯრის დარაბებზე ნორდვესტის გახელებულ შემოტევას ვუსმენთ. ჩემთვის კი, ტედე ჰაიენ, სასიამოვნო როდია ნორდვესტის ღმუილი, ის ხომ ინ მხრიდან მოდის, სადაც ჩემი ვაჟი კოწიწივით ლამში ჩაეფლო.

ტედე ჰაიენმა ამაზე თავი დაუქნია და მოხუცმა ქალმა ისევ მკვდარ კატას დაუწყო ფერება.

— როცა ზამთარში სართავ დაზგას მივუჯდებოდი, — განაგრძო მან, — ესეც იქვე მომიჯდებოდა, ჩემთან იყო და ძწვანე თვალებით შემომცქეროდა. როცა შემციოდებოდა და ლოგინში ჩავწვებოდი, დიდხანს არ დააყოვნებდა, ამომიხტებოდა და გაყინულ ფეხებზე დამაწვებოდა. და ასე ჩათბუნებული ჩავიძინებდი, თითქოს ისევ ახალგაზრდა ვიყავი და ლოგინში ჩემ ბიჭუნა მიწვა. — ამ სიტყვებზე მოხუცმა ქალმა, თითქოს ახალგაზრდულ მოგონებებზე დასტური უნდაო, იქვე მაგიდასთან მიმდგარ ტედე ჰაიენს ანთებული თვალები შეანათა.

ტედე ჰაიენმა დაფიქრებით უპასუხა: — ვიცი, რაც გერგება ტრინ იანს, — იგი ზარდახშასთან მივიდა და ვერცხლის ფული ამოიღო. — შენ ამბობ, რომ ჰაუკემ მოკლა შენი კატა? მჯერა, ტყუილს არ იტყვი. აი ქრისტიან მოეთხისეული* კრონის ტალერი, იყიდე გამოყვანილი ბატკნის ბეწვი და იმით გაითბე გათოშილი ფეხები. ხოლო, როცა ჩვენი კატა კხუტებს დაყრის, ყველაზე დიდი ამოირჩიე. ჰოდა, ის კნუტი და ბატკნის ტყავი ერთად შენ ბებერ ანგორულ კატას როგორმე შეენაცვლება. ახლა კი ეგ კატა წაიღე და ქალაქში გამტყავებელ:

მიუტანე, ოღონდ, იცოდე, არ დაგცდეს, რომ იგი ამ მაგიდაზე გედო, სადაც ჩვენ დაუყვედრებელ ლუკმას ვჭამთ.

ტედე ჰაიენს სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ქალი ტალერს წაეტანა და ქვედატანზე მიკერებულ პატარა ჯიბეში ჩაიტენა. შემდეგ კატა ისევ ბალიშის პირში შეახვია, მაგიდაზე სისხლის ლაქები წინსაფრით გადაწმინდა და პირი კარისკენ ქნა.

— იცოდე, კნუტი არ დაგავიწყდეს! — შემოსძახა შინდარჩენილ ტედე ჰაიენს.

...რამდენიმე ხნის შემდეგ — მოხუცი ჰაიენი ამ დროს თავის პატარა ოთახში ბოლთასა სცემდა — ჰაუკე შემოვიდა და მაგიდაზე ჭრელი ფრთოსანი დააგდო. თეთრად გახეხილ ფიცრებზე რომ სისხლის ლაქები შენიშნა, მამას ჰკითხა:

— ეს რა არის?

მამამისი შეჩერდა.

— ის სისხლია, შენ რომ დაღვარე.

ჰაბუკს სახეზე ცხელმა ალმა გადაუარა.

— ტრინ იანსი ხომ არ იყო აქ თავისი კატით?

მოხუცმა თავი დაუქნია:

— რატომ მოუკალი?

ჰაუკემ დასისხლიანებული მკლავი შეიხსნა.

— აი ამიტომ, — მიუგო მამას. — ხელიდან ფრინველი გამომგლიჯა.

მოხუცს აღარაფერი უთქვამს. რამდენიმე ხანს კიდევ იარა წინ და უკან. მერე ვაჟიშვილის წინ შედგა და დაფიქრებით შეაცქერდა.

— კატის ამბავი კი ჩავფარცხე, — დაიწყო მან მცირე ხნის დუმილის შემდეგ, — მაგრამ ამ ჩვენ ქოხს რა ვუყოთ, ოლი

კაცისთვის ძალიან პატარაა. დროა, რაღაც საქმეს მოკიდო ხელი.

— ჰო, მამა, — მიუგო ჰაუკემ, — ამაზე მეც ვფიქრობ.

— რატომ? — ჩაჰკითხა მოხუცმა.

— იმიტომ, რომ თუ კაცმა გვარიანად არ წაიმუშავა, თაჩ-დათან ფუჭდება და ბოროტდება.

— ჰოო? მაშ მაგიტომ მოკალი ის ანგორული კატა? — ჰკითხა მამამ. — შეიძლება, შემდეგ უარესი რამეც ჩაიდინო

— შეიძლება, მართალს ამბობ, მამაჩემო. მაგრამ ჯებირის ზედამხედველმა თავისი უმცროსი მოჯამაგირე გააგდო. შემიძ-ლია მისი მოვალეობა შევასრულო.

მოხუცი ისევ ბოლთის ცემას მოყვა, თან წარამარა თამბა-ქოს შავ წვენს აპურკუებდა.

— ჯებირის ზედამხედველი ბატივით სულელია და მხო-ლოდ იმის გამოა ზედამხედველი, რომ მამამისი და პაპამი-სიც ზედამხედველები იყვნენ და იმის გამოც, რომ ოცდაცხრა ფენი* აქვს. როცა მარტინის დღესასწაული დგება, მას კ ჯებირებისა და რაბების ანგარიშების შემოწმება მოსდევს. დაიბარებს იგი მასწავლებელს, გაუმასპინძლდება შემწვარი ბატით, თაფლუქით, ხორბლის ფრენდელით და, როცა მას-წავლებელი ციფრებს ჩაუჯდება, ზედამხედველიც იქვე უზის. თავს უქნევს და ეუბნება: „სწორია, მასწავლებელო, ღმერთიც გიშველის!“ თვითონ კი რის ანგარიში შეუძლია? როცა მას-წავლებელს არ სცალია, ანდა არ სურს დაეხმაროს, საქმეს თვითონ მიუჯდება, დაწერს და ისევ გადაშლის, დაწერს და გადაშლის, გაუცხელდება გამოტვინებული ბოხვერა თავი, სა-ხეზე ცეცხლი მოედება, თვალები შუშის ბურთულებივით გა-

უხდება, თითქოს გადმოცვენას ლამობს და ის მცირეოდენი ჯონებაც ეკარგება, რაც თავში შემორჩენია.

ვაჟი მამის წინ იდგა და მისი ლაპარაკი აოცებდა. ასეთი ამბები მისგან ჯერ არასოდეს გაეგონა.

— მართალია, იგი საკმაოდ გამოჩერჩეტებულია, მაგრამ ღმერთი კაცს უნუგეშოდ არ მიატოვებს. მის ქალიშვილს, ელკეს, ანგარიში კარგად შეუძლია.

მოხუცმა ყურადღებით შეავლო თვალი ვაჟიშვილს.

— ოჰო, ჰაუკე! — წამოიძახა მან. — ელკე ფოლკერტს შენ საიდან იცნობ?

— მასწავლებელმა მითხრა.

ამაზე მოხუცს აღარაფერი უთქვამს, საღეჭი თამბაქო ერთი ყბიდან მეორეში დაფიქრებით გადაიტანა და შემდეგ განაგრძო:

— შენ ფიქრობ, რომ მას ანგარიშისას შენც უშველი?

— რასაკვირველია, მამა, ვუშველი, — სერიოზულად მიუგო ვაჟმა.

მოხუცმა თავი გადაიქნია.

— როგორც გინდოდეს. სცადე ბედი.

— მადლობელი ვარ, მამა, — მიუგო ჰაუკემ და თავის საძინებელ სენაკში ავიდა სხვენზე. აქ იგი ლოგინზე ჩამოჯდა და ფიქრს მიეცა: რატომ ჰკითხა მამამ ელკე ფოლკერტსზე? იგი, რასაკვირველია, იცნობს თვრამეტი წლის ამ ტანკენარ გოგონას, მაგრამ ჯერ ერთი სიტყვაც არსად დასცდენია მასზე. ელკეს ხორბლისფერ ვიწრო პირისახეზე მკვეთრად გამოირჩეოდა ჯიუტი თვალები, რომლებსაც ზემოდან შავი გადაბმული წარბები გადმოფარებოდა. ჰოდა, თუ ახლა იგი მოხუცი ტედე ფოლკერტსის უმცროსი მოჯამაგირე გახდება, მის ქალიშ-

ვ[illegible]ესაც უკეთ გაიცნობს. იქ კი ახლავე უნდა წავიდეს, რომ ამ ადგილზე არავინ შეეცილოს. ჯერ მხოლოდ საღამო პირია.

ჰაუკემ საგარეო ქურთუკი და ჩექმები ჩაიცვა და გზას ხალისით გაუყვა.

იმის გამო, რომ ჯებირის ზედამხედველის სიგრძეზე გაჭიმული სახლი მაღალ მიწაყრილზე იდგა და განსაკუთრებით იმის გამო, რომ მის წინ სოფლის ყველაზე დიდ იფხის ხეს ძძლავრად გაეშალა ტოტები, ზედამხედველის კარმიდამო შორიდანვე კარგად მოჩანდა. ახალგაზრდობაში იგი დარგო ახლანდელი ზედამხედველის პაპამ, რომელმაც გვარში პირველმა მოიპოვა ეს თანამდებობა. უფრო ადრე დარგულმა ორმა ხემ არ გაიხარა, ამიტომ თავის ქორწინების დღეს ეს ძეხამე ხე დარგო. იგი იზრდება და აქაური გამუდმებული ქარი იფნის მძლავრი ტოტების შრიალით თითქოს ძველი დროის ამბებს გვიამბობს.

როცა რამდენიმე ხნის შემდეგ, ჭარხლისა და კოჟბოსტოს კვლებიანი მაღალი მიწაყრილი აიარა, დაბალი სახლის კარის წინ ოჯახის უფროსის ქალიშვილი დაინახა. ერთი, ცოტა არ იყოს, გამხდარი ხელი, დაბლა დაეშვა, მეორე კი, კარის აქეთ-ქითა დატანებულ რკინის ორ რგოლთაგან ერთზე წაევლო. ამ რგოლს კედელში იმიტომ ატანებენ, რომ ცხენოსან სტუმარს ზედ ცხენის გამობმა შეეძლოს. როგორც ჩანდა, გოგონა ჯებირის მხარეს, ზღვისკენ იმზირებოდა, სადაც იმ მშვიდ საღამოს მზე თანდათან იძირებოდა და უკანასკნელი სხივებით ოქროსფრად ავარაყებდა ქალიშვილის ხორბლისფერ სახეს.

ჰაუკემ ფეხს მოუნელა და თავისთვის გაიფიქრა: „სულაც არ არის პირქუში, როგორც ამბობდნენ“.

აი უკვე აითავა ფერდობი და გოგონასთან შივიდა.

— საღამო მშვიდობისა. რას გასცქერი, ელკე, შაგ შენი დიდრონი თვალებით?

— იმას, რაც აქ ყოველ საღამოსაა, მაგრამ მუდამ კი ვეღ დაინახავ, — მიუგო მან და რგოლს ხელი გაუშვა. რგოლი ელრიალით მიეხეთქა კედელს, — შენ რისთვის მოსულხარ, ჰაუკე ჰაიენ? — ჰკითხა მან ვაჟს.

— ალბათ, არ მიწყენ, — დაიწყო ჰაუკემ. — მამაშენს უმცროსი მოჯამაგირე გაუგდია, ჰოდა, მის ადგილზე მინდოდა მემუშავა.

ელკემ იგი თავით ფეხამდე აათვალიერა და უთხრა.

— რაღაც უღონო ჩანხარ, ჰაუკე, მაგრამ ჩვენ ორი ერთგული თვალი უფრო მეტს გვარგებს, ვიდრე ორი ძლიერი ხელი. — ამ სიტყვებზე ქალიშვილმა, ცოტა არ იყოს, პირქუშად შეხედა და დაუმატა: — მამაჩემი ოთახშია, შინ შევიდეთ.

მეორე დღეს ტედე ჰაიენი და მისი ვაჟიშვილი ჯებირის ზედამხედველის ფართო ოთახში შევიდნენ. მისი კედლები მოჭიქული შორენკეცებით იყო მოპირკეთებული. ოთახში შესულის მზერას ერთ მხარეს აფრებდაბერილი გემი და ნაპირზე ჩამომჯდარი მეთევზე მოხვდებოდა, იქით — გლეხის ეზო, სადაც ძროხა წევს და იცოხნის. ეს გამძლე შპალერი წყდებოდა ამჟამად კარმიხურულ წალოსა და კედლის კარადასთან, რომლის შემინული კარიდან ფაიფურისა და ვერცხლის უამრავი ჭურჭელი მოჩანდა. გვერდით ოთახში გამავალ კართან, კედელში დატანებულ შემინულ ფოსოში ჰოლანდიური საათი ეკიდა.

ტანსრული, აპოპლექსიური გარეგნობის სახლის პატრონი სუფთად გაწმენდილი მაგიდის ბოლოში მატყლის ჭრელ ბა-

ლიშზე იჯდა. ხელები მუცელზე შემოეწყო და მრგვალი თვალებით ნაამები შეჰყურებდა წინდადგმულ მსუქან იხვს. იქვე თეფშზე დანა-ჩანგალი ელაგა.

— დილა მშვიდობისა, ზედამხედველო! — წარმოთქვა ჰაიენმა.

ოჯახის უფროსმა თავი ნელა შეაბრუნა და მოსულს შეხედა.

— ეს შენ ხარ, ტედე? — გაეპასუხა იგი. მისი ხმა ჰგავდა მსუქანი იხვის ხმას, რომელიც მას ეს-ესაა მიერთმია.

— დაჯექი: შენი სახლიდან ჩვენამდე კარგა გრძელი გზა გამოგივლია.

— გეახელით, ზედამხედველო, — უთხრა ტედე ჰაიენმა და ზედამხედველის წინ, მთელი კედლის სიგრძეზე გაკეთებულ მერხზე ჩამოჯდა. — თქვენი უწინდელი უმცროსი მოჯამაგირით უკმაყოფილო ყოფილხართ და ჩემს ბიჭს დათანხმებიხართ, მის მაგიერ შენ აგიყვანო.

ზედამხედველმა თავი დაუქნია.

— ჰო, ჰო, ტედე. მაგრამ მაგ უკმაყოფილებაში რა იგულისხმე? ჩვენ, მარშის მცხოვრებლებს, ღმერთი იყოს ჩვენი შემწე, გვაქვს ისეთი რამ, რაც დაგვამშვიდებს! — ზედამხედველმა ეს რომ წარმოთქვა, მაგიდიდან დანა აიღო და თითქოს საწყალი იხვის ჩონჩხს ეფერებაო, ზედ რამდენჯერმე დააკაკუნა

— ჩემი საყვარელი იხვი იყო, — კმაყოფილი ღიმილით დაუმატა მან. — საკენკს პირდაპირ ხელიდან მაცლიდა!

— მე მეგონა, — ისე თქვა მოხუცმა ჰაიენმა, თითქოს ზედამხედველის ბოლო ნათქვამი არც გაეგონოს, — იმ ბენტერამ ბოსელში რაღაც წაახდინა-მეთქი.

— წაახდინაო? წაახდინა და ეგრე! იმ მაიმუნმა ხბორებს წყალი არ დაალევინა, გამობრუჟული თივაზე ეგდო, საქონელი კი მთელ ღამეს ბღაოდა და მეორე დღეს ძლივს გამოვიძინე. ასე ხომ მთელი ოჯახი განიავდება.

— რასაკვირველია. ჩემი ვაჟიშვილი ასეთ რამეს როგორ ჩაიდენს.

ჰაუკე კარის წირთხლს მიყრდნობოდა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, თავი უკან გადაეწია და გულმოდგინედ ათვალიერებდა ფანჯრის ჩარჩოს.

ჯებირის ზედამხედველმა ყმაწვილს შეხედა და თავი დაუქნია.

— არა, არა, ტედე, — ახლა მას დაუქნია თავი ზედამხედველმა. — შენი ჰაუკე არ გამათენებინებს ღამეს. ამას წინათაც მეუბნებოდა მასწავლებელი, ჰაუკე გამრავლების ტაბულას უფრო სიამოვნებით მიუჯდება, ვიდრე არყის ბოთლსო.

საქები სიტყვები ჰაუკეს არ გაუგონია, რადგან ამ დროს ოთახში ელკე შემოვიდა, მარდად წამოკრიფა სუფრიდან საჭმლის ნარჩენები და ვაჟს შავი თვალები შეავლო. ჰაუკემაც შეხედა ელკეს და თავისთვის გაიფიქრა: „ღმერთმანი, პირქუში სულაც არ არის“.

გოგონა გარეთ გავიდა.

— შენ იცი, ტედე, — დაიწყო ისევ ზედამხედველმა, — ვაჟიშვილი ღმერთმა არ მომცა.

— ვიცი, მაგრამ ამის გამო გული ნუ დაგწყდება, — მიუგო ტედემ, — მესამე თაობაში შთამომავლობა სუსტდება. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ მამათქვენმა დაიცვა ჩვენი მამული.

ზედამხედველი მცირე ხნით ჩაფიქრდა, მერე, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩავარდნილმა შეხედა სტუმარს:

— როგორ თქვი, ჰაიენ? — ჰკითხა მას და სავარძელში გასწორდა. — მესამე თაობა ხომ მე ვარ!

— ჰო, მაგრამ საწყენად არ მითქვამს. ხალხი ასე ლაპარაკობს, — მიუგო გამხდარმა ტედე ჰაიენმა და პატივსაცემ ადამიანს, ცოტა არ იყოს, გაბრაზებით შეავლო თვალი.

— მოხუც დედაკაცებს ასეთი სისულელეების ლაქლაქის სებას არ უნდა აძლევდე, ტედე ჰაიენ, — უდარდელად განაგრძო ზედამხედველმა. — შენ ხომ ჩემს ქალიშვილს არ იცნობ, ჩემზე ხუთჯერ უკეთ ანგარიშობს. შენ კი, აი რას. გეტყვი. შენმა ჰაუკემ მარტო მინდორში კი არ უნდა იმუშაოს, აქაც უნდა მიეშველოს კალმითა და გრიფელით. მაინცდამაინც არც ეს აწყენს.

— კი, კი, ზედამხედველო, აუცილებლად გიშველის. ნამდვილად სწორი ბრძანებაა, — მიუგო მოხუცმა ჰაიენმა და შეეცადა ხელშეკრულებაში თავისთვის ხელსაყრელი ზოგიერთი პირობა შეეტანინებინა, რაც გუშინ საღამოს მის ვაჟს დავიწყებოდა. მან მოითხოვა, რომ შემოდგომობით ბიჭისთვის ტილოს ხალათის გარდა გასამრჯელოდ რვა წყვილი ღაზლის წინდაც დაემატებინა; გაზაფხულობით ერთი კვირა საკუთარ მეურნეობაში მუშაობის ნება მიეცა და ა. შ. ზედამხედველი ყველა პირობაზე დათანხმდა. როგორც ჩანდა, ჰაუკე ჰაიენი უმცროს მოჯამაგირედ ყველაზე შესაფერ კაცად მიიჩნდა.

— ღმერთი იყოს შენი შემწე, — უთხრა მოხუცმა ტედემ ვაჟს, როცა ისინი სახლიდან გამოვიდნენ. — მაგან უნდა გასწავლოს შენ ამ ცხოვრების ავ-კარგი?!

— არა უშავს რა, მამა, — წყნარად მიუგო ვაჟმა. — ყველაფერი მოგვარდება.

ჰაუკე მართლაც სწორი აღმოჩნდა. რაც უფრო მეტ ხანს იყო ამ სახლში, მით უკეთ სწავლობდა იგი ცხოვრებას და მის გარშემო არსებულ გარემოს. როგორც ჩანდა, მით უკეთ სწავლობდა, რაც უფრო ნაკლებად ეხმარებოდნენ სხვები, და რაც უფრო მეტად ხდებოდა იძულებული — საკუთარ ძალ-ღონეს დაჰყრდნობოდა. ის ხომ თავიდანვე ასე ცხოვრობდა, საკუთარი ძალ-ღონის იმედით. მაგრამ ამ სახლში ერთი პიროვნება მისით მუდამ უკმაყოფილო იყო, ეს გახლდათ უფროსი მოჯამაგირე ოლე პეტერსი — მარჯვე მუშა და ყბედი ყმაწვილი. იმას ადრინდელი ზარმაცი, მაგრამ მოსულელო და ჯანიანი უმცროსი მოჯამაგირე უფრო ჭკუაში მოსდიოდა, რადგან როცა უნდოდა, ტვირთს მაშინ მოჰკიდებდა, როგორც უნდოდა, ისე დაასაქმებდა. იმაზე უფრო ჩუმ, მაგრამ თავისზე უფრო გონიერ ჰაუკეს ასე ვერ მოეპყრობოდა. უფროს მოჯამაგირეს ჰაუკე თავდაჯერებით შეჰყურებდა. ბიუხედავად ამისა, ოლე პეტერსი მას ისეთ სამუშაოს შეურჩევდა, რომ, შეიძლებოდა, ჰაუკეს ჯერაც გაუმაგრებელ ორგანიზმს ძვირად დასჯდომოდა. როგორც კი უფროსი მოჯამაგირე შეაგულიანებდა: შენ აბა ერთი ის სქელო ნილსი დაგენახა, როგორ მარჯვედ აკეთებდა ეგეთ საქმესო, ჰაუკე მთელ ძალას ძაბავდა, რომ საქმე ბოლომდე მიეტანა. კიდევ მისი ბედი, რომ ელკე თვითონ ამ საქმეში მამის ჩარევით შეცვლიდა ხოლმე უფროსი მოჯამაგირის გაცემულ ბრძანებას.

შეიძლება ვიკითხოთ, რა აახლოებთ ზოგჯერ სრულიად უცხო ადამიანებს? ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ასეთი მიზე-

ზი ორივე მათგანის მათემატიკისადმი თანდაყოლილი ლტოლ-
ვა იყო და გოგონას არ უნდოდა, ამხანაგი მისთვის შეუფე-
რებელი მძიმე და უხეში სამუშაოთი დაღუპულიყო.

უფროს და უმცროს მოჯამაგირეს შორის განხეთქილებას.
რასაკვირველია, არც ზამთარში მოღებია ბოლო, როცა წმინ-
და მარტინის დღესასწაულს შემდეგ ჯებირის სხვადასხვაგვა-
რი ანგარიშები მოდიოდა შესამოწმებლად.

ერთხელ — მაისის დღე იწურებოდა, თუმცა კი ამინდი ნო-
ემბრისა გეგონებოდათ და ჯებირის მხრიდან ზღვის გუგუნი
მოისმოდა, — ოჯახის უფროსმა ჰაუკეს უხმო:

— აქ მო, აბა ერთი მიჩვენე ანგარიშში როგორი ხარ!

— პატივცემულო, ნაბრძანები მაქვს მოზარდ საქონელს
საჭმელი დაეუყარო! — მიუგო ჰაუკემ.

— ელკე! — გასძახა ზედამხედველმა ქალიშვილს, — სად
ხარ, ელკე! წადი ოლესთან და უთხარი, დაე მოზარდეულს
საჭმელი თვითონვე დაუყაროს. ჰაუკეს აქ საანგარიშო აქვს.

ელკე თავლისკენ გაეშურა. უფროსი მოჯამაგირე ის-ის
იყო ცხენს აღკაზმულობას ხსნიდა. ელკემ მას განკარგულება
გადასცა.

ოლე პეტერსმა ხელში მოხვედრილი აღვირი ბოძს ისე შე-
მოჰკრა, თითქოს დაწყევლა უნდაო:

— ეშმაკსაც წაუღია მაგ დაწყევლილი მწერლუკას თავი-
კარში გამოსვლისას ელკემ ამ სიტყვებს ყური მოჰკრა.

— რა ჰქენი? — ჰკითხა მოხუცმა ელკეს, როცა იგი შინ
შევიდა.

— უკვე თვითონვე აპირებდა მოზარდეულის მიხედვას, —
ტუჩების კვნეტით მიუგო გოგონამ და ჰაუკეს პირდაპირ. უხე-
შად გამოჩორკნილ სკამზე ჩამოჯდა — ასეთ სკამებს ჩვენთან

ზამთრის გრძელ ღამეებში დღესაც აკეთებენ. შემდეგ უჯრიდან წითელი ფრინველებით დამშვენებული თეთრი წინდა ამოიღო და ქსოვა განაგრძო. გრძელფეხა არსებანი, ალბათ, ყანჩები ან ყარყატები თუ იყვნენ. ჰაუკე თავის საქმეს მისცემოდა, ზედამხედველი კი სავარძელში გადაწოლილიყო და რულმორეული შესცქეროდა ჰაუკეს კალამს. მაგიდაზე, როგორც ყოველთვის, ახლაც ქონის ორი სანთელი ენთო, ტყვიის ჩარჩოში ჩამჯდარ ფანჯრებზე გარედან აფარებული დარაბები შიგნიდან გაემაგრებინათ; დაე, რამდენიც უნდა იღმუვლოს ქარმა. დროდადრო ჰაუკე თავს წამოსწევდა და ფრინველამოქარგულ წინდას ან გოგონას მშვიდ, ვიწრო პირისახეს შეაცქერდებოდა.

უცებ სავარძლიდან ხმამაღალი ხვრინვის ხმა მოისმა, ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს და გაიღიმეს.

ხვრინვას მშვიდი სუნთქვა მოჰყვა. ახლა შეიძლება ცოტაოდენიც წაისაუბრონ. მაგრამ ჰაუკემ არ იცის, რაზე დაიწყოს ლაპარაკი.

აი ელკემ ნაქსოვი მცირე ხნით მაღლა წამოსწია და ზედ გამოხატული ფრთოსნები მთლიანად გამოჩნდა. ჰაუკემ იდროვა და გადაუჩურჩულა:

— ვინ გასწავლა, ელკე, მაგის ქსოვა?

— რის ქსოვა? — კითხვა შეუბრუნა ქალიშვილმა.

— აი მაგ ფრინველებისა?

— ამისი? ტრინ იანსმა, ჯებირთან რომ ცხოვრობს. იმან ბევრი რამ იცის. წინათ ჩვენთან იყო, პაპაჩემს ემსახურებოდა.

— მაშინ შენ, ალბათ, დაბადებულიც არ იყავი, არა? — ჰკითხა ჰაუკემ.

— მგონი, არ ვიყავი. მაგრამ მერეც ხშირად მოგვინახულებდა ხოლმე.

— ნუთუ იმას ფრინველები უყვარს? — იკითხა ჰაუკემ. — მე მეგონა, კატები ერჩივნა.

უარის ნიშნად ელკემ თავი გაიქნია.

— არა, ის ხომ იხვებს ზრდის და მერე ყიდის. მაგრამ შარშან, შენ რომ ანგორული კატა მოუკალი, საქათმეში ვირთხები შეეჩვივნენ. ჰოდა ახლა სახლის წინ იშენებს საქათმეს.

— ჰოო! — წარმოთქვა ჰაუკემ და ხმადაბლა დასტვინა. — მაშ ამიტომ ეზიდება ბორცვიდან თიხასა და ქვებს? მაგრამ მაშინ ხომ გზის გაკეთება დასჭირდება? მისცემენ კი ამის ნებას?

— მე რა ვიცი, — მიუგო ელკემ.

ის იყო ჰაუკემ ბოლო წინადადება დაამთავრა, რომ ზედამხედველს გაეღვიძა.

— რის ნებას? — იკითხა მან და გაშტერებული ხან ერთს შეხედავდა, ხან მეორეს. — რის ნებასო, რას ამბობდით?

როცა ჰაუკემ გადასცა, რაზეც იყო საუბარი, ზედამხედველმა მას მხარზე სიცილით დაჰკრა ხელი.

— რას ამბობ, გზა საკმაოდ განიერია. ღმერთი იყოს ჩემი შემწე, მაგრამ ეგლა მაკლია, ახლა საქათმეებზეც ჭიზრუნო.

ჰაუკეს გულზე აწვა, იმ მოხუცის იხვის ჭუჭულების ცოდვა ჩემს კისერზე ყოფილაო, და ახლა ზედამხედველის ნათქვამმა სიამოვნება მოჰგვარა.

— მაგრამ პატივცემულო, — კვლავ წამოუწყო ჰაუკემ, — ზოგიერთ ვინმეს არ აწყენდა შეჯანჯღარება, ხოლო თუ თავად არ გსურთ მათი დატუქსვა, მაშინ ნდობით აღჭურვილი შეაფუცხუნეთ, დაე ჯებირს უკეთესად უპატრონოს.

— რაო, შენ რას ამბობ, ყმაწვილო?—ზედამხედველი წელში გასწორდა. ელკემაც ხელოვნებით ნაქსოვ წინდას თავი მიანება და მაფ შეაცქერდა.

— ჰო, პატივცემულო, — განაგრძო ჰაუკემ. — თქვენ ხომ უკვე ჩაატარეთ საგაზაფხულო დათვალიერება. ხოლო პეტერ იანსენს თავის ნაკვეთზე დღემდე არ მოუთიბავს სარეველა ბალახი. ზაფხულში იქ ნარშავებში ისევ ჩიტბატონები იგალობებენ. იქვე ახლოს კი — არ ვიცი, ეს ვისი ნაკვეთია — ჯებირის გარეთა მხარეს მთელი გამოქვაბულია გამოთხრილი. კარგ ამინდში იქ ბავშვები ერთობიან და თამაშობენ, მაგრამ — ღმერთმა დაგვიფაროს და — წყალმა რომ აიწიოს?!

ზედამხედველს თვალები თანდათან უფართოვდებოდა.

— ამას გარდა... — განაგრძო ჰაუკემ.

— რაო, ამას გარდა, ბიჭო? — ჩაჰკითხა ზედამხედველმა. — ჯერ არ გითქვამს შენი სათქმელი? — მის ხმაში თითქოს უმცროსი მოჯამაგირის ლაპარაკით გამოწვეული უსიამოვნება იგრძნობოდა.

— ისა, პატივცემულო, — განაგრძო ისევ ჰაუკემ, — რომ თქვენ კარგად იცნობთ ფაშფაშა ვოლინას, ნდობით აღჭურვილი ჰარდერსის ქალიშვილს, მამამისის ცხენი საბალახოდან თვითონ რომ მოჰყავს ხოლმე. ჰოდა, მოახტება ბებერ ყვითელ ლაფშას, აქეთ-იქიდან მსუქან კანჭებს მოსდებს და ჯებირის ფერდობებზე ალმა-დალმა დააჭენებს.

ჰაუკემ ახლაღა შეამჩნია, რომ ელკე გონიერი თვალებით მას შეჰყურებდა და თავს ოდნავ აქნევდა.

ჰაუკე გაჩუმდა. უცბად მოხუცმა მაგიდას მუშტი ისეთი ძალით დასცხო, რომ ბიჭს ყურებში მეხივით მოხვდა.

— ეშმაკმა დალახვროს მისი თავი! — ისე დაიღრიალა ზე-

დამხედველმა, რომ ჰაუკე შეხტა. — დააჯარიმე! სწორედ ასე ჩაწერე: ფაშფაშა ვოლინა დაჯარიმდეს-თქო! მაგ გომბიომ შარშან ზაფხულში სამი ჭუჭული წამგვარა! ჰო, ჰო, ჩაწერე, — გაუმეორა მან, რაკიღა შეატყო, რომ ჰაუკე მერყეობდა. — მგონი, სამი კი არა, ოთხი ჭუჭული იყო!

— ო, მამაჩემო, — ჩაერია ელკე, — ჩვენი ჭუჭულები განა წავებმა არ წაიყვანეს?

— დიდმა წავმა! — ქოშინით წამოიძახა მოხუცმა. — მე რა, ფაშფაშა ვოლინასა და წავს ერთმანეთისაგან ვერ ვარჩევ? არა, არა, ოთხი ჭუჭული. მაგრამ, ჰაუკე, ყველაფერი დანარჩენი, რაც შენ ილაქლაქე, სისულელეა. ბატონი უფროსი ზედამხედველი და მე გაზაფხულზე, მას შემდეგ, რაც ჩვენსა, აი აქ ერთად წავისაუზმეთ, ჯებირის დასათვალიერებლად გავემგზავრეთ, მაგრამ იქ არც შენი სარეველები დაგვიხახავს და არც შენი გამოქვაბული. თქვენ კი, — მოხუცმა ჰაუკესა და თავის ქალიშვილს შეხედა, — ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ ზედამხედველად არ დაგნიშნეს! კაცს ორი თვალი კი აქვს, მაგრამ ასი თვალით უნდა ხედავდეს... ჰაუკე, შენ ეგ ანგარიშები წამოკრიფე და ერთი ყურადღებით შეამოწმე. ეს ყმაწვილები მუდამ დაუდევრად ანგარიშობენ.

მოხუცი ისევ სავარძელში გადაწვა, მძიმე სხეული ერთიორჯერ შეარხია და მალე კვლავ უდარდელ ძილს მისცა თავი.

ასეთი ამბები სხვა დროსაც მეორდებოდა. ჰაუკეს მახვილი თვალი ჰქონდა და როცა ისინი საღამოობით ერთად ისხდნენ, შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა, რომ ჯებირის დაცვის საქმეში მცხოვრებთა საზიანო მოქმედება ან დაუდევრობა ზედამხედველისათვის არ დაენახვებინა, რადგან ამ უკანასკნელს

საკითხის გადაწყვეტა თვითონ არ შეეძლო. მოულოდნელად საქმეთა მართვას გამოცოცხლება დაეტყო და ის ადამიანები, ადრინდელი გულგრილობის დროს რომ უკანონობას სჩადიოდნენ და ახლა კი მოულოდნელად თავთავიანთი დანაშაულისა და უდარდელობის გამო საკადრისი სასჯელი ძიიღეს, ხასიათწამხდარნი და გაოცებულნი იყურებოდნენ აქეთ-იქით — ასეთი დარტყმები საიდან ვიგემეთო. უფროსმა მოჯამაგირემაც დიდხანს არ დააყოვნა, მიუთითა, ვინც იყო ამ საქმის გამკეთებელი, და ამით ჰაუკესა და მამამისის წინააღმდეგ შუღლი გააღვივა, რადგან დანაშაული ნაწილობრივ მამასაც ხომ ხვდებოდა. სხვები კი, ვისაც არაფერი მოხვედროდა ანდა თავისი საკეთებელი მაინც არ ასცდებოდა, გახარებული იცინოდნენ, რაკიღა ხედავდნენ, ახალგაზრდამ მოხუცი ცოტა გაძოაფხიზლაო.

— საწყენი ოღონდ ის არის, — ამბობდნენ ისინი, — რომ მაგ ყმაწვილს საკუთარი მიწა არ უმაგრებს წელს, თორემ მაგისგან ისეთი ზედამხედველი დადგებოდა, კაი ხანია რომ აღარ გვინახავს. მოხუცი მამის ორიოდე დემატი* მიწა ამ საქმეში რას უშველის.

როცა მეორე შეძოდგომით ჭებირის დასაოვალიერებლად ოლქის უფროსი და უფროსი ზედამხედველი ჩამოვიდნენ, ამ უკანასკნელმა საუზმობისას მოხუცი ტედე ფოლკერტსი თავიდან ფეხამდე შეათვალიერა და უთხრა:

— მართლაც რომ გვარიანად გაახალგაზრდავებულხართ, ზედამხედველო, თქვენი წინადადებებით ამჯერად ოფლი მაწურვინეთ. ნეტა კი დღეს ყველაფრის შემოწმებას მოვასწრებდეთ!

— მოვასწრებთ, მოვასწრებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, —

ღიმილით მიუგო მოხუცმა. — ეს შემწვარი ბატი ძალ-ღონეს შეგვმატებს. თქვენი თქმისა არ იყოს, ღვთის წყალობით, ბე თავს ჯერ მხნედ და ახალგაზრდულად ვგრძნობ, — მან ირგვლივ მიმოიხედა, სადმე ახლოს ჰაუკე ხომ არ არისო და როცა ვერსად დაინახა, ღირსებით განაგრძო: — ღვთის იმედით, ვიმედოვნებ, რომ ჩემი მოვალეობა ორიოდ წელიწადს კიდევ შევასრულო.

— მოდი, სწორედ ამის სადღეგრძელო შევსვათ, — წარმოთქვა უფროსმა და ზეზე წამოდგა.

ამის დანახვაზე ელკე, რომელიც მათ სუფრას ემსახურებოდა, გარეთ გამოვიდა, თან სიცილს ძლივს იკავებდა. შემდეგ სამზარეულოდან ერთი ჯამი ნარჩენები გამოიტანა და ბოსლის გაღლით ეზოს გარეთ გავიდა, რომ ფრინველისთვის დაეყარა. ბოსელში ჰაუკე ჰაიენი ბაგაში ფიწლით თივას უყრიდა ძროხებს, რომლებსაც ცუდი ამინდის გამო საძოვარზე აღარ ერეკებოდნენ. როგორც კი გოგონა დაინახა, ჰაუკემ, ფიწალი მიწაში ჩაარჭო.

— როგორ არის საქმე, ელკე, — ჰკითხა გოგოხას.

ელკე შედგა და თავი დაუქნია:

— არა უშავს, მაგრამ ნეტა კი წელან ოთახში შენც ყოფილიყავი.

— რადა, ელკე?

— ბატონმა უფროსმა ზედამხედველმა მასპინძელი შეაქო!

— მასპინძელი? მერე და რა?

— არა მასპინძელი კი არა, ჯებირის ზედამხედველი შეაქო!

ახალგაზრდა ვაჟს სახეზე წითელმა ფერმა გადაჰკრა.

— ვიცი, საითაც უმიზნებ.

— შენ რას წითლდები, ჰაუკე. ეს ქება სინამდვილეში ხომ შენ გეკუთვნის!

ჰაუკემ გოგონას ღიმილით შეხედა.

— და შენც! — მიუგო მან.

გოგონა არ დაეთანხმა.

— არა, ჰაუკე. როცა მამაჩემს მარტო მე ვეხმარებოდი, ჩვენ არავინ არ გვაქებდა. მე მხოლოდ ანგარიში მეხერხება. შენ კი ყველაფერს ამჩნევ, რასაც ჯებირის ზედამხედველი უნდა ხედავდეს. ამ საქმეში შენ გამისწარი.

— მე ხომ ეს არ მსურდა, ყოველ შემთხვევაში, შენთვის ჯობნა არ მინდოდა, — დარცხვენით მიუგო ჰაუკემ და ძროხას, მისკენ რომ იწევდა, თავი გვერდზე გაუწია. — მოიცა, ჭრელავ, ამ ფიწალს ნუ შემიჭამ და შენ წილ თივას დაგიყრი!

— ოღონდ არ იფიქრო, ვითომ მე მწყინდეს, ჰაუკე, — მცირე დაფიქრების შემდეგ უთხრა მას ელკემ. — ეს ხომ კაცის საქმეა.

— თუ ასე ფიქრობ, ხელი მომეცი! — ჰაუკემ გოგონას ხელი გაუწოდა.

გოგონას სახეზე ალმური მოედო.

— რადა? ხომ არ ვცრუობ! — წამოიძახა მან.

ჰაუკემ პასუხის მიცემა დააპირა, მაგრამ გოგოხა უკვე გარეთ გაიქცა. ჰაუკე იდგა ასე ფიწალით ხელში და ყურს უგდებდა, როგორ ვახვახებდნენ და კრიახებდნენ გარეთ, ელკეს გარშემო, იხვები და ქათმები.

ეს მოხდა ზედამხედველთან ჰაუკეს სამსახურის მესამე წელს. ზამთრის ზეიმის მოწყობას აპირებდნენ. ამ ზეიმს აქ უწოდებენ „კეგლი ყინულზე". უქარო ამინდები იდგა და გა-

შუდმებულმა ყინვამ არხები კრისტალურ ველად აქცია, ისე რომ დასერილი მიწის ნაკვეთები ახლა ტყვიით გაშოვსებული ხის ბურთულებისთვის,—რასაც მიზნის მოსახვედრად ხმარობდნენ, — კარგ საგორებელ გზას წარმოადგენდა. ყოველდღე ჰქროდა მსუბუქი ნორდოსტი, ზეიმის დასაწყებად ყველაფერი მზად იყო. შეჯიბრებაში გამოიწვიეს მარშების აღმოსავლეთით მაღლობზე მდებარე სოფელი, რომელმაც წინა წელს გაიმარჯვა. სოფელმა გამოწვევა მიიღო. ორივე მხარემ ცხრა-ცხრა მოთამაშე გამოიყვანა, ამოირჩიეს მამასახლისი და მსაჯები. მსაჯებად, რომლებსაც სადავო საკითხები უნდა გაერჩიათ, ყოველთვის ისეთ ადამიანს ირჩევდნენ, ვისაც ჭკუა ეკითხებოდა. უმეტესად, ესენი იყვნენ ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც საზრიანობის გარდა, ენამოსწრებულნიც უნდა ყოფილიყვნენ ასეთი, პირველ რიგში, ოლე პეტერსი იყო, ზედაშხედველის უფროსი მოჯამაგირე.

— თქვენ ქაჯებივით იმუშავეთ, ქაქანი კი ჩემზე იყოს, — დაიმედა ოლემ მოთამაშენი.

დადგა ზეიმის წინა საღამო. მაღლობზე ეკლესიასთან წამომდგარ სამიკიტნოს უკანა ოთახში რამდენიმე მოთამაშე შეიკრიბა დაგვიანებით მოსული მონაწილეების დასამტკიცებლად. ჰაუკე ჰაიენიც მათ შორის იყო. თუმცა ნავარჯიშევი მკლავების იმედი კი ჰქონდა, მაგრამ ერთი ხახობა შეჯიბრებაში მონაწილეობა არ უნდოდა. ფიქრობდა, ვაითუ ოლე პეტერსმა, რომელმაც ერთ-ერთი საპატიო ადგილი ძოიპოვა, შეჯიბრებაში მონაწილეობაზე უარი მითხრასო, და არ უნდოდა თავი დაემცირებინა. მაგრამ შეჯიბრების დაწყებამდე ცოტა ადრე აზრი ელკემ შეუცვალა:

— ამას პეტერსი ვერ გაბედავს, ჰაუკე, — მიმართა გოგო-

ნამ. — ის დღიური მუშის შვილია, მამაშენს კი ძროხაცა ჰყავს და ცხენიც და, ამას გარდა, სოფელში ჭკვიან კაცადაც მიაჩნიათ.

— მაგრამ, მაინც რომ უარი მითხრას?

შავი თვალები ელკემ ღიმილით შეავლო ვაჟს:

— მაშინ დაე, საღამოთი, ცეკვები რომ გაიმართება, თუ თავისი უფროსის ქალიშვილთან ცეკვას მოინდომებს, შორიდან ყლაპოს ნერწყვი.

ახლა კი ჰაუკემ თამამად დაუქნია თავი ელკეს.

ჰოდა, ყმაწვილები, რომლებმაც დაგვიანებით მოინდომეს შეჯიბრებაში მონაწილეობა, იდგნენ ახლა ეკლესიასთან მიდგმული ფუნდუკის წინ, იყინებოდნენ, ფეხებს ატყაპუნებდნენ და კლდის ქვისაგან ნაგები სამრეკლოს წვეტს შეჰყურებდნენ. პასტორის მტრედები, ზაფხულში რომ სოფლის მინდვრებზე იკვებებოდნენ, ეს-ეს იყო მობრუნებულიყვნენ გლეხების ეზო-ბეღლებიდან, სადაც იმყამად საკენკს შოულობდნენ და სამრეკლოს სახურავქვეშ იბუდებდნენ. დასავლეთით ზღვისა და ცის დასალიერი დაისს გაებრწყინებინა.

— ხვალ უღრუბლო დღე იქნება, სიცივე კი მოუჭერს, — თქვა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ და გაცხარებით წინ და უკან სიარულს შეუდგა.

მეორე ახალგაზრდა, რაკი დაინახა, რომ მტრედები აღარ დაფარფატებდნენ, ფუნდუკში შევიდა და ყური ოთახის კარს მიადო, საიდანაც გაცხარებული კამათი ისმოდა. ძალე მასთან ჯებირის ზედამხედველის უმცროსი მოჯამაგირე მივიდა.

— გესმის, ჰაუკე? ეს შენს გამო დავობენ ასე, — უთხრა ახალგაზრდამ ჰაუკეს.

შიგნიდან მკაფიოდ მოისმა ოლე პეტერსის გაბზარული ხმა:

— ამ შეჯიბრებაში უმცროსი მოჯამაგირეები და ბიჭბუჭები არ უნდა გავურიოთ!

— აქ მო, ჰაუკე, — გადაუჩურჩულა ყმაწვილმა მას და ქურთუკის სახელოზე მოსწია, — ნახე, რა ფასს გადებენ!

ჰაუკემ ხელი გამოგლიჯა, გარეთ გაიწია და ყმაწვილს შემოსძახა:

— მაგიტომ ჩაგიკეტეს კარი, რომ გარედან ვუსმინოთ?!

გუნდში ჩასარიცხი მესამე კაცი გარეთ, სახლის წინ იცდიდა.

— ვშიშობ, ჩემი საკითხი გაჯანჯლდება, — უთხრა მან ჰაუკეს, — ჯერ თვრამეტისაც არა ვარ. ნეტავი ნათლობის მოწმობა მაინც არ მომთხოვონ! შენ კი ეგ უფროსი მოჯამაგირე მოგიხერხებს რაღაცას!

— ჰო, მომიხერხებს, მაგრამ სახეიროს არაფერს, — ჩაიბუზღუნა ჰაუკემ და კენჭს ფეხი გაჰკრა.

ფუნდუკში კამათი თანდათან გაცხარდა, მერე ერთბაშად სიჩუმე ჩამოვარდა. გარეთ მყოფ ბიჭებს ახლა საძრეკლოზე ნორდოსტის ნელი ზუზუნი შემოესმათ.

— ნეტა ვისზე მსჯელობენ? — იკითხა თვრამეტი წლისამ.

— აი მაგაზე, — თქვა მეორე ყმაწვილმა და ჰაუკეზე უჩვენა. — ოლე პეტერსს იგი ბიჭუკელად სურდა მოენათლა, მაგრამ ყველა აუყვირდა. იეს ჰანსენმა უთხრა, მამამისს საქონელიც ჰყავს და მიწაც აქვსო. „მერე და რა მიწა, ათიოდე ურმით გაიტან!“ — მიუგო ოლე პეტერსმა. მერე ოლე ჰენსენმა გაცხარებით დაიყვირა: „აბა, სიჩუმე! ჭკუის სასწავლს მე გეტყვით: თქვით, ვინ არის ჩვენს სოფელში პირველი კაცი?“

ყველა გაჩუმდა. თითქოს ფიქრობდნენ, მართლაც ვინ არისო. მერე ერთმა წამოიძახა: „ვინ არის და ჯებირების ზედამხედველი!“ ამას სხვებიც შეუერთდნენ: „ჯებირების ზედამხედველი!“ — „მერე და სინამდვილეში ზედამხედველი ვინ არის?“ კვლავ წამოიყვირა ოლე ჰენსენმა, „ოღონდ, იცოდეთ, დაფიქრდით და ისე თქვით“. მაშინ კი ერთმა ჩუმად ჩაიცინა, იმას მეორე აჰყვა, მერე კი მთელი ოთახი ახარხარდა. „ჰოდა, ადექით და იმას დაუძახეთ!“ თქვა ოლე ჰენსენმა, „თქვენ, რა, მართლა ბისი გარეთ გაგდება ხომ არ ისურვეთ?“ მგონი, ახლაც ხარხარებენ. ოლე პეტერსს კი ხმა აღარ ამოუღია, — დაასრულა ჯაბუკმა სათქმელი.

თითქმის იმავე წუთას ოთახის კარი აჩქარებით გამოაღეს და ცივ ღამეში მხიარულად გამოსძახეს:

— ჰაუკე! ჰაუკე ჰაიენ!

ჰაუკე ოთახში შევარდა და ბოლოს ვეღარ გაიგო, ვინ იყო სინამდვილეში ჯებირების ზედამხედველი. არც სხვებს გაუგიათ, თუ რა ფიქრი აწვალებდა მაშინ ჰაუკეს.

...როცა რამდენიმე ხნის შემდეგ იგი თავისი უფროსის სახლს მიუახლოვდა, ქვეშოთ, ალაყაფის კართან ელკეს მოკრა თვალი. ეთვარის სხივებს თეთრად გაებრწყინებინა რთვილდადებული თვალშეუდგამი ველები.

— შენა ხარ? — მიმართა მას ჰაუკემ.

გოგონამ თავი დაუქნია და მოუთმენლად ჰკითხა:

— როგორ არის საქმე? უარის თქმა ხომ არ გაბედა პეტერსმა?

— რა დაუშლიდა?

— მერე, რა მოიგო?

— არც არაფერი, ნება მომცეს, ხვალ ბედი ვცადო.

— ღამე ნებისა, ჰაუკე! — მიაძახა ელკემ, ფერდობი მარჯვედ აირბინა და სახლში შეიმალა.

ვაჟი ნელა მიჰყვა მას.

ნაშუადღევს აღმოსავლეთით, ჯებირის გაყოლებით, ვრცელ ველზე შეამჩნევდით თავშეყრილ ხალხს, რომელიც ხან უძრავად გაჩერდებოდა, ხანაც — როცა იქიდან ხის ორი ბურთი ამოვარდებოდა და ამჟამად უკვე მზის მიერ რთვილისაგან განთავისუფლებულ მიწაზე გაგორდებოდა, — ნელ-ნელა შორდებოდა ზურგსუკან მოქცეულ გრძელ, დაბალ სახლებს. ესენი იყვნენ შეჯიბრების მონაწილენი, რომლებსაც გარს შემოხვეოდა ამ სახლებისა თუ მაღალ ნაპირზე მცხოვრები მოხუცი ლ ახალგაზრდა. გრძელ ხიფთანებში გამოწყობილი ხანდაზმული მამაკაცები დაფიქრებულნი აბოლებდნენ მოკლე-ძოკლე ჩიბუხებს, თავშლებსა და ქურთუკებში გამოხვეულ დედაკაცებს კი ბავშვები ხელში აყვანილი მოჰყავდათ. საღამოს მზის უღონო სხივებს გაებრწყინებინა რუებში ჩაყინული შალაფას წვეროკინები. ახლა თანდათან უფრო ხშირად უხდებოდათ მოთამაშეებს ამ გაყინული რუების გადალახვა. გვარიანად ყინავდა, მაგრამ შეჯიბრება შეუმჩნევლად გრძელდებოდა და მაყურებელთა თვალიც მხოლოდ აქეთ-იქით მონავარდე ბურთებს შესცქეროდა, რადგან დღეს სოფლის სახელი ამ ბურთებზე იყო დამოკიდებული. ადგილობრივი გუნდის მსაჯს — თეთრი, მაღლობზე მცხოვრებთა გუნდს კი შავი ჯოხი ეჭირა, რომელთა თავზეც რკინის წვეტი წამოეცვათ. სადაც გასროლილი ბურთი შეჩერდებოდა, გაყინულ მიწაში ამ ჯოხს დააბობდნენ. ვისი ბურთიც მიზანს პირველი მიაღწევდა, მოგებულიც ის გუნდი იყო. მოწინააღმდეგენი ამ ამბავს ხან ჩუმი

მოწონებით ხვდებოდნენ, ხანაც დამცინავი ხარხარით.

მაყურებელი ცოტას ლაპარაკობდა. მხოლოდ ძაძინ, რო-ცა ნასროლი განსაკუთრებით მოხდენილი გამოვიდოდა, გაისმოდა ყმაწვილკაცებისა და ქალების შეძახილი, მოხუცები პირიდან გამოიღებდნენ ჩიბუხს, მარჯვე ბიჭს მხარზე დაარტყამდნენ და ორიოდ სიტყვით წააქეზებდნენ: „აი სროლაც ამას ჰქვია,“ — თქვა ზაქარიამ და ცოლს ფანჯრიდან გადაუძახა. ანდა: „მამაშენიც ასე ისროდა, ღმერთმა აცხონოს იმ ქვეყანაში!“ ან რაღაც ამის მაგვარს ეტყოდნენ.

ბურთის პირველი გატყორცნა ჰაუკეს არ გამოუვიდა: იუ იყო ბურთის გასასროლად ხელი უკან წაიღო, რომ მზემ ღრუბელი გადაიყარა და ჩახჩახა სხივებმა მას თვალი ძოკრა. ნასროლი მოკლე გამოვიდა, ბურთი რუზე დაეცა და ყიხულში ჩარჩა.

— ეგ არ ითვლება, არ ითვლება! კიდევ სინჯე, ჰაუკე! — აყვირდნენ მისი გუნდელები.

მაგრამ ზემოურების მსაჯი გაჯიუტდა:

— როგორ არ ითვლება! ნასროლი ნასროლია!

— ოლე! ოლე პეტერს! — აგნიასდა გარშემო ახალგაზრდობა.

— სად არის ოლე? სად დაიკარგა, ეშმაკმა დალახვროს?

მაგრამ ოლე უკვე იქ იყო.

— რა გაღრიალებთ! ახალ ხელებს მე ხომ არ გამოვაბაჭ ჰაუკეს? აკი ვამბობდი, ასე იქნება-მეთქი.

— რას ამბობ: ერთხელაც უნდა ისროლოს! შენ გიჯობს! ის გვიჩვენო, როგორი ლაყბობა შეგიძლია.

— ლაყბობა როგორ არ შემიძლია! — შესძახა ოლემ, ზემოურების მსაჯს მიეკრა და ატყდა უთავბოლო გალიბატია.

ეაგრამ ლაპარაკში არც ერთი კვიმატი და მახვილი სიტყვა არ გამოურევია, როგორც სხვა დროს იცოდა. იქვე მდგომი გადაბმულწარბებიანი ქალიშვილი ოლეს გაბრაზებით შეჰყურებდა, თვითონ კი ვერაფერი ეთქვა, რადგან შეჯიბრების განსჯამი ქალებს სიტყვის უფლება არ ეძლეოდათ.

— სისულელეს ლაშავ! — შესძახა ოლეს მეორე მსაჯმა. — თავში ტვინი აღარ შეგრჩა. მზე, მთვარე და ვარსკვლავები სულ მუდამ ცაშია და ყველასათვის თანაბრად ანათებს. ხასროლი იყო ცუდი, სათვალავში ესეც ითვლება.

ასე იკინკლავეს მსაჯებმა კიდევ ცოტა ხანს. ბოლოს კი მთავარმა მსაჯმა ჰაუკეს ბურთის განმეორებით ტყორცნის ნება არ მისცა.

— წინ! — შესძახეს ზემოურებმა, მათმა მსაჯმა მიწიდან შავი ჯოხი ამოაძრო და ამ ადგილზე მომდევნო მოთამაშეს მიუხმო, რომელმაც ბურთი წინ გაისროლა. ჯებირის ზედაპირდველის უფროს მოჯამაგირეს უნდოდა გასროლილი ბურთისთვის თვალი გაეყოლებინა და ელკე ფოლკერტსის წინ გაიარა.

— ვისი ხათრით დაგრჩა დღეს ტვინი სახლში? — ჩურჩულით უთხრა ელკემ ოლე პეტერსს.

ოლემ გაბრაზებით შეავლო გოგონას თვალი და ფართო სახეზე კვიმატი იერი ჩამოერეცხა.

— შენი ხათრით! — მიახალა მან, — რადგან იგი აღარც შენ შეგრჩენია.

— წადი, წადი, ვიცი, რა შვილიც ხარ, ოლე პეტერს! — ვალში არ დარჩა გოგონა და მხრებში ამაყად გასწორდა. და ისეთი სახე მიიღო, ვითომ აქ არაფერიაო.

შეჯიბრება გაგრძელდა და შავი და თეთრი ჯოხები ხან აქ

დაესობოდა, ხან იქ. როცა ისევ ჰაუკეს ჯერი მოვიდა, მან ბურთი ისე შორს გაისროლა, რომ მიზანი — კირით შეთეთრებული კასრი — ყველამ მკაფიოდ დაინახა. ამ დროისათვის ის უკვე მაგარი ჭაბუკი იყო, ხოლო ბურთის ტყორცნაში, ისევე როგორც მათემატიკაში, ბავშვობიდანვე ვარჯიშობდა.

— ოჰო, ჰაუკე! — გაისმა ხალხის შეძახილი. — აი, ნასროლიც ამას ჰქვია, თითქოს თვით მთავარანგელოზ მიხეილს ეტყორცნოს!

ერთი მოხუცი ქალი კალათში ჩალაგებული არყით და ნამცხვრით ხალხში გაძვრა, ჰაუკეს ჭიქა პირამდე აუვსო, მიაწოდა და უთხრა:

— მოდი შევრიგდეთ. კატების ხოცვას ესა ჯობია!

ჰაუკემ ქალს შეხედა და ტირინ იანსი იცნო.

— მადლობელი ვარ, დეიდა, მაგრამ ვერ დავლევ, — მიუგო მან, ჯიბეში ხელი ჩაიწყო და მოხუცს ახალმოჭრილი მარკა გაუწოდა.

— აჰა, აიღე, ეგ ჭიქაც შენ დალიე. შერიგებით კი შევრიგდეთ.

— სწორი ხარ, ჰაუკე, — მიუგო მოხუცმა და ბიჭის რჩევა დაიჯერა. — სწორი ხარ. ეს ჭიქა ჩემისთანა ბებრისათვის უფრო კარგია.

— იხვები როგორა გყავს? — მიაძახა ჰაუკემ მოხუცს.

მოხუცს უკან არ მიუხედავს, მხოლოდ თავი გაიქნია და მაყურებელთა ყურადღების მისაქცევად ჰაერში ტაშის ცემას შეუდგა.

— ცუდად, ცუდად, ჰაუკე! ნამეტანი ბევრი ვირთხაა მაგ თქვენ რუებში. ღმერთი შემეწევა, სხვა რამ საშუალებით გავიტან თავს.

მოხუცი ხალხში მიიკვლევდა გზას და მათ არაყსა და თაფლის კვერებს სთავაზობდა.

მალე მზე ჯებირს იქით მიიმალა და ზეცას ახლა ლურჯ-წითელი ათინათი მოეფინა. ხანდახან ცაში შავი ყორნები გადაიფრენდნენ და ერთი წამით მათი ბუმბულიც ოქროს-ფრად იელვებდა. მოსაღამოვდა. აქ კი ხალხის ჯგუფი შორსდარ-ჩენილი ჩაბნელებული სახლებიდან ჯერაც ისევ კასრისკენ მი-იწევდა. ერთი მარჯვე ნასროლით უკვე შეიძლებოდა ბურთის იქამდე მიწვდენა. ქვემოურთა რიგი იყო. ჰაუკეს უნდა ესროლა.

კირით შეთეთრებული კასრი კარგად მოჩანდა საღამოს სიბნელეში, რომელიც ჯებირის მხრიდან თანდათან მთელ ველს ეფინებოდა.

— ახლაც ჩვენი გაიმარჯვებს! — წამოიძახა ვიღაცამ ქვე-მოურთაგან.

ბრძოლა ახლა დაძაბული იყო, მარშის მცხოვრებთა გუნდს ზემოურებისათვის სულ ცოტა ათი ფუტით მაინც გაესწრო წინ.

და აი ხალხს გამოეყო ჰაუკეს გამხდარი ფიგურა. ფრიზი-ელისათვის დამახასიათებელ მის გრძელ სახეზე აკიაფებული ნაცრისფერი თვალები თეთრ კასრს მიშტერებოდა. დაბლა დაშვებულ ხელში ბურთი ეჭირა.

— ეგ ფრინველი ნამეტანი დიდი მოგივა! — ზედ მის ყურ-თან გაისმა ამ დროს ოლე პეტერსის ჩახრინწული ხმა, — იქ-ნებ ბელურას დასჯერებოდი?

ჰაუკე მისკენ შებრუნდა, თვალი გამსჭვალავად შეავლო და მიუგო:

— მე ჩვენი მარშისათვის ვსტყორცნი, შენ კი ვის მხარეზე ხარ?

— სწორედ მათ მხარეზე, შენ კი ელკე ფოლკერსტისათვის ტყორცნი!

— აბა, განი! — შესძახა ჰაუკემ და სასროლად მოემზადა.

მაგრამ ოლემ თავი კიდევ უფრო ახლოს მიუტანა. უცებ, ჰაუკემ გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო, ვიღაცის ხელმა აბეზარი უკან ისე მოისროლა, რომ ოლე თავის ახარხარებულ ამხანაგებს მიახალა. ეს მძლავრ ხელს არ უქნია: როცა ჰაუკემ ერთი წამით თავი შეაბრუნა, დაინახა, რომ გვერდით მდგომ ელკე ფოლკერსტს აწითლებულ სახეზე შავი წარბები კუშტად შეეყარა და სახელოებს ისწორებდა.

თითქოს ფოლადი ჩაეღვარა ჰაუკეს მკლავებში, ცოტა დაიხარა, რამდენიმეჯერ ბირთვი ხელში შეათამაშა და გასტყორცნა. ორივე მხარე გაისუსა. მაყურებელთა თვალები ბირთვს გაჰყვა, რომელიც ჰაერს წუილით მიაპობდა.

ბირთვი უკვე კარგა მანძილით იყო დაცილებული, რომ იგი დაფარა ვერცხლისფერმა ფრთებმა თოლიისა, რომელიც ჯებირის მხრიდან ჩხავილით მოფრინავდა. მაშინვე შორიდან ბირთვის კასრზე დაცემის ხმაც მოისმა.

— ვაშა ჰაუკეს! — შესძახეს მარშელებმა და მთელი ხალხი ახმაურდა. — ჰაუკეს! ჰაუკე ჰაიენმა მოიგო შეჯიბრება!

ჰაუკეს კი, რომელსაც ხალხი ირგვლივ შემოხვეოდა, გვერდით მდგომი გოგონას ხელი ჩაეჭირა. მაგრამ რაკიღა ხალხი ისევ ყვიროდა: „რას დგახარ, ჰაუკე? ბირთვი ხომ შიგ კასრში ჩავარდა!“, ჰაუკემ მხოლოდ თავი დაიქნია და ადგილიდან მაინც არ დაძრულა. და როცა პატარა ხელის საპასუხო მოჭერა იგრძნო, თქვა:

— მგონი, მართლები ხართ, ალბათ, მართლა მე მოვიგე!

მერე მთელმა ხალხმა უკან დაიხია, ელკა და ჰაუკე ერთმა-

ნეთს დააცილეს და იმ გზაზე გაიტაცეს, რომელიც ჯებირის ზედამხედველის სახლის გვერდით გადიოდა და ზეგანზე ფუნდუკისაკენ მიიმართებოდა. აქ კი ორივემ ხალხში ჯგლეთას დააღწია თავი. ელკე თავის სენაკში შეავიდა, ხოლო ჰაუკე ბოსლის კართან აიტუზა და თვალი ხალხს გაადევნა, რომელიც ზემოთ, ეკლესიასთან მდებარე ფუნდუკისაკენ მიემართებოდა. აქ დარბაზი უკვე საცეკვაოდ დაეცალათ.

სიბნელე თანდათან მთელ მიდამოს მოეფინა. ჰაუკეს ირგვლივ მდუმარებამ დაისადგურა, მხოლოდ ბოსლიდანღა მოისმა პირუტყვის ბრაგუნი და ქშენა. ზოგჯერ ზემოდან, ფუნდუკის მხრიდანაც მოისმა კლარნეტების ხმა. უცბად ჰაუკეს სახლის კუთხიდან კაბის შრიალი შემოესმა და ვიღაცის პატარა, მტკიცე ფეხები ბექობზე ამომავალ ბილიკს დაადგა. მალე სიბნელეში ფუნდუკისკენ მიმავალი ელკე დაინახა, ეტყობოდა, ისიც საცეკვაოდ მიდიოდა. გული ყელში მოებჯინა ჰაუკეს. ხომ არ დაეწიოს და თან წაჰყვეს? მაგრამ არა, ჰაუკემ არ იცის, ქალებს თავი რით მოაწონოს. ჩაფიქრებული ადგილზე დარჩა, სანამ გოგონას ფიგურა სიბნელეში არ ჩაიკარგა. და მერეღა, როცა უკვე აღარ შეიძლებოდა ელკეს დასწეოდა, ისიც იმავე გზას დაადგა და მალე ფუნდუკს მიაღწია. შენობიდან გამომავალმა ყვირილმა და ყაყანმა, ვიოლინოების წრიპინმა და კლარნეტების წივილმა გააყრუა ჰაუკე. უჩუმრად შეიპარა ამქართა დარბაზში. პატარა დარბაზი ისე გაჭედილიყო, ნემსი არ ჩავარდებოდა. მდუმარედ აეყუდა კარის წირთხლს და მოფუსფუსე ხალხს მოავლო თვალი. ტაკიმასხარებად წარმოუდგა ისინი. იმის ფიქრი, ყურადღება არ მივიქციო, როგორც ამ საღამოს შეჯიბრებაზე გამარჯვებულმაო, არ უნდა ჰქონოდა, — ყვგლა თავის გოგონას შეჰყურებდა

და მასთან ერთად უვლიდა დარბაზს გარშემო. ჰაუკეს მზერა ერთს ეძებდა და აჰა, მიაგნო კიდეც. იგი ცეკვავდა ბიძაშვილთან ერთად, ჯებირის საბჭოს ახალგაზრდა ნდობით აღჭურვილთან. მერე უკვე მარშელებისა და ზემოურთა გოგონებმა ჩამოიარეს. მათთან ჰაუკეს არაფერი ესაქმებოდა. უცებ ვიოლინოები და კლარნეტები დადუმდნენ, ცეკვა დამთავრდა. მალე ისევ სხვა ცეკვა დაიწყო. ჰაუკეს თავში ფიქრმა გაუელვა — შეასრულებს თუ არა ელკე სიტყვას და მართლა თუ იტყვის უარს ოლე პეტერსთან ცეკვაზეო. მასთან რომ იცეკვოს? მაშინ... რა, მაშინ? ამის გაფიქრებაზე კინაღამ წამოიყვირა. მაგრამ ამ ცეკვაში მას მონაწილეობა სულაც არ მიუღია; მალე ეს ცეკვაც დასრულდა და დაიწყეს ახალი, ორტაქტიანი ვალსი, რომელიც ამჟამად მეტად მოდური გამხდარიყო, საკრავები გახელებით ააჭყივლეს, ბიჭები შმაგად მივარდნენ გოგონებს, კედლებზე დამაგრებულმა სანთლებმა ტორტმანი იწყეს. ჰაუკემ ლამის კისრის ძარღვები დაიწყვიტა, რომ მოცეკვავენი დაენახა. აი ოლე პეტერსიც, მესამე წყვილში ცეკვავს. მაგრამ ვისთან ცეკვავს? გოგონას დანახვას ფართო მხარბეჭიანი ყმაწვილი უშლიდა. მაგრამ ცეკვამ ხელახალი ძალით იფეთქა და ოლე და მისი მეწყვილე მისკენ მიბრუნდნენ. „ვოლინა, ვოლინა ჰარდერსი!“ ლამის ხმამაღლა წამოიყვირა ჰაუკემ და შვებით ამოისუნთქა. ელკე სადღაა? ნუთუ მეწყვილე არ ჰყავდა, აწ იქნებ ყველას უარი უთხრა იმიტომ, რომ ოლესთან ცეკვა არ უნდოდა?.. მუსიკა წამით შეჩერდა და ისევ ახალი საცეკვაო დაუკრა. ელკე მაინც არ ჩანდა. ისევ გამოჩნდა ოლე, ისევ ვოლინასთან ერთად. „ძალე დაემშვიდობება იეს ჰარდერსი თავის ოცდახუთ დემატ მარშის მი-

წას და მოხუცის წილს დასჯერდება. მაგრამ ეს ელკე სად დაიკარგა?“ ფიქრობდა ჰაუკე.

იგი კარის წირთხლს მოსცილდა, ხალხით გაჭედილი დარბაზი გაიარა და უცბად უფროს მეგობარ გოგონასთან ერთად კუთხეში მიმჯდარ ელკეს წაადგა თავს.

— ჰაუკე, შენც აქა ხარ? — შესძახა ელკემ და თხელი პირისახე მისკენ მიაბრუნა. — მე კი შენი ცეკვა არ მინახავს.

— არც მიცეკვია, — მიუგო ჰაუკემ.

— რატომ, ჰაუკე? — ელკე ოდნავ წამოიწია და ისე დაუმატა: — ჩემთან ხომ არ იცეკვებდი? ოლე პეტერსთან არ მინდოდა. ის ხელს აღარც შემთავაზებს.

სალაპარაკოდ დიდხანს არ შემზადებულა, ჰაუკემ ისე დაიწყო:

— გმადლობ, ელკე. მაინცდამაინც არ მეხერხება, ვაი თუ დაგცინონ და მერე... — უცებ იყუჩა ვაჟმა და ელკეს ისე გულწრფელად შეანათა ნაცრისფერი თვალები, თითქოს დანარჩენის გამოთქმა მათ დაავალაო.

— რა გინდოდა, გეთქვა, ჰაუკე? — ხმადაბლა ჰკითხა ელკემ.

— ასე მგონია, ასეთი მშვენიერი დღე ჩემს სიცოცხლეში არ გამთენებია-მეთქი.

— რასაკვირველია, — მიუგო გოგონამ. — დღეს ხომ შეჯიბრება შენ მოიგე.

— ელკე! — ძლივს გასაგონად წარმოთქვა ვაჟმა.

გოგონას სახეზე ალმური მოედო.

— წადი! რა გინდა? — მიუგო ვაჟს და თვალები ძირს დახარა.

უცბად ვიღაც ვაჟმა ჩამოიქროლა და ელკეს მეგობარი გოგონა საცეკვაოდ გაიტაცა: ჰაუკემ იდროვა და ხმამაღლა თქვა:

— მე კი მეგონა, ელკე, უფრო უკეთესი რამ მოვიგე-მეთქი.

კიდევ რამდენსამე წუთს ჩასჩერებოდა ელკე იატაკს, თითქოს იქ რამეს ეძებსო. მერე ნელა-ნელა ზემოთ აიხედა და ნაზად შეხედა ვაჟს, რომელსაც გოგონას გამოხედვისას თითქოს ზაფხულის სითბომ გადაუარაო.

— ისე მოიქეცი, ჰაუკე, როგორც გულმა გიკარნახოს, — წარმოთქვა ელკემ. — უკვე დროა, ერთმანეთს ვიცნობდეთ.

ამ საღამოს ელკეს აღარ უცეკვია და სახლისაკენ გზას ხელიხელჩაკიდებულები დაუყვნენ. დადუმებულ მარშის მიწებს მაღლა ციდან ვარსკვლავები უფახულებდნენ თვალს, გაჯავრებული იკბინებოდა აღმოსავლეთით მონაბერი უწყალო ყინვა, ესენი კი, თითქოს უცბად გაზაფხული დამდგარაო, გულგაღეღილნი მიაბიჯებდნენ.

ჰაუკემ ერთი საქმე ჩაიფიქრა, რომლის ასრულების დრო, თუმცა გარკვეული იყო, მაგრამ მის მომზადებას მაინც ჩუმი სიხარულით შეუდგა. სწორედ ამიტომ წავიდა მეორე კვირას ქალაქში ძველ ოქრომჭედელ ანდერსენთან და მსხვილი ბეჭედი შეუკვეთა.

— მომეცი ხელი, ზომა აგიღო! — მიმართა ოსტატმა და არათითზე წასწვდა, — არც ისეთი მსხვილია, როგორც ჩვენებურ ბიჭებს აქვთ ხოლმე. — ჰაუკემ მას ნეკი გაუშვირა და უთხრა:

— ჯობს ამ თითზე აიღო ზომა.

ოქრომჭედელმა გაოცებით შეხედა ჰაუკეს. მაგრამ რა იმის საქმე იყო, რას ფიქრობდა ახალგაზრდა გლეხის ბიჭი?

— ასეთი ქალიშვილებისათვის გაკეთებულ ბეჭდებში

მექნება! — თქვა ოსტატმა და ჰაუკეს ღაწვებზე ცეცხლი მოედო.

სარგო ბეჭედი მალე აღმოაჩინეს, ჰაუკემ იგი აჩქარებით გამოართვა, საფასური სუფთა ვერცხლით გადაუხადა და სერთუკის ჯიბეში ისეთი გულისძგერით ჩაიდო, თითქოს რაღაც საზეიმო წესი შეასრულაო, ამის შემდეგ ბეჭედს ისეთი მღელვარებითა და სიამაყით დაატარებდა ჯიბით, თითქოს ჰაუკეს მოწოდება მხოლოდ მისი შენახვა ყოფილიყოს.

მრავალი დღე და წელი ედო ჯიბეში ბეჭედი. ერთხელ სერთუკის გამოცვლამაც მოუწია. ტყვეობიდან თავის დახსნის შემთხვევა ბეჭედს ჯერ არ მისცემოდა. რამდენჯერმე ჰაუკეს აზრად მოუვიდა, მივალ და ჩემს ბატონს ყველაფერს პირდაპირ ვეტყვიო — მამამისიც ხომ ადგილობრივი მკვიდრი იყო! მაგრამ, როცა მშვიდად დაფიქრდებოდა, გრძნობდა, რომ ამაზე ბატონი უმცროს მოჯამაგირეს მხოლოდ დასცინებდა. ასე ცხოვრობდნენ ისინი ერთმანეთის გვერდით — ზედამხედველის ქალიშვილი და ჰაუკე. ელკესაც ქალიშვილური მოკრძალება ნებას არ აძლევდა, რამე ეთქვა, მაგრამ ორივეს მაინც იხეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ერთმანეთს ეკუთვნოდნენ და ცხოვრებაში ფეხშეწყობილად მიდიოდნენ.

ზამთრის ზეიმიდან ერთი წლის შემდეგ ოლე პეტერსმა ზედამხედველთან მოჯამაგირეობას თავი დაანება და ვოლინა ჰარდერსზე იქორწინა. მართალი გამოდგა ჰაუკე: მოხუც ჰარდერსს მართლაც ბებრული ხვედრი ერგო და ახლა მსუქანი ქალიშვილის ნაცვლად მის ყვითელ ფაშატს მარშის ბიწებზე მხიარული სიძეკაცი დააგელვებდა და, როგორც ხალხში ხმები დადიოდა, ჯებირისკენ პირი აღარასოდეს უქნია.

ჰაუკე უფროსი მოჯამაგირე გახდა, მის ადგილზე კი სხვა

აიყვანეს. ზედამხედველს ერთი ხანობა არ უნდოდა, ჰაუკე დაეწინაურებინა.

— ჯობს, უმცროს მოჯამაგირედვე დარჩეს, — ბუზღუნებდა ზედამხედველი. — დავთრების საწარმოებლად უფრო მჭირდება.

მაგრამ ელკემ უსაყვედურა:

— მაშინ ეგეც გაგვექცევა, მამა.

მოხუცს შეეშინდა და ჰაუკე უფროსი მოჯამაგირე გახდა; თუმცაღა ზედამხედველს წინანდებურად შველოდა მთელი საქმის წარმოებაში.

კიდევ ერთი წელი რომ გავიდა, ჰაუკემ ელკესთან რამდენჯერმე დაიჩივლა, მამაჩემი მეტად დანაღვლიანებულია, ის ორიოდე დღე უფროსმა შინ რომ გამიშვა, ჩვენი მეურნეობის მოწესრიგებას არ ეყო, მოხუცი იტანჯება და ამის ატანა აღარ შეუძლიაო.

ზაფხულის საღამო იყო. ორივენი სახლის წინ დიდი კოპიტის ქვეშ იდგნენ. გოგონამ რამდენიმე ხანს ჩუმად ათვალიერა ხის ტოტები, შემდეგ თქვა:

— მე არ მინდოდა, ჰაუკე, ამის თქმა. მეგონა, შენ თვითონ მიხვდებოდი, საქმე უკეთ როგორ აგეწყო.

— მაშინ აქედან უნდა წავიდე, — ჩაფიქრებით თქვა ჰაუკემ, — და ვეღარც დავბრუნდები.

ერთხანს ორივემ იყუჩა, დაისს შესცქეროდნენ, რომელიც ჯებირის იქით თანდათან ზღვაში იძირებოდა.

— აი, რა მინდა გითხრა, — წამოიწყო ელკემ ისევ. — დღეს დილას მამაშენთან შევიარე. მას სავარძელში მისძინებოდა. ხელში ხაზკალამი შერჩენოდა, წინ კი, მაგიდაზე სახაზავი დაფა და დაუმთავრებელი ნახაზი ედო. მერე გაიღვიძა

და თხუთმეტიოდე წუთს გაჭირვებით მესაუბრა. წამოსელა რომ დავაპირე, ისე შეშინებულმა ჩამჭიდა ხელი, თითქოს უკანასკნელად მხედავსო. მაგრამ...

— მაგრამ რა, ელკე?—ჩაეკითხა ჰაუკე, რადგან გოგონა ჭოჭმანობდა, თხრობა განვაგრძო თუ არაო.

ელკეს ღაწვებზე ცრემლები ჩამოუგორდა, მაგრამ სათქმელი ისევ განაგრძო:

— მამაჩემის მდგომარეობა მაფიქრებს. დამერწმუნე, უშენოდ. მას ძალიან გაუჭირდება.—და თითქოს საკუთარი თავის გამხნევება უნდაო, დაუმატა:—ხშირად ასე მგონია, რომ იგიც მალე წავა ჩვენგან.

ჰაუკეს ხმა არ ამოუღია. უცბად ისე მოეჩვენა, თითქოს ჯიბეში ბეჭედი შეირხა. მაგრამ სანამ იგი ამ უნებურ აღელვებას დათრგუნავდა, ელკემ ისევ განაგრძო.

— ნუ გამიჯავრდები, ჰაუკე! მჯერა, რომ არც მაშინ მიგვატოვებ!

ვაჟმა აჩქარებით მოჰკიდა ხელი ქალიშვილის ხელს, ელკეც არ გასძალებია: ჩამომდგარ სიბნელეში კიდევ რამდენსამე ხანს იდგნენ ისინი ასე, მერე ხელი ხელს გაუშვეს და თავთავიანთი გზით წავიდნენ. ერთბაშად ქარმა დაუბერა და კოპიტის ფოთლები ააშრიალა, აახმიანა ფანჯრებზე გარედან მორგებული დარაბები, მერე კი თანდათან ღამე ჩამოდგა და თვალუწვდენელ კლდეზე სიჩუმემ დაისადგურა.

თუმცა მოხუცი ზედამხედველი ჰაუკეს დროზე არ გაუფრთხილებია, მაგრამ ელკეს დახმარებით ვაჟი სამუშაოდან მაინც გაათავისუფლეს და ახლა სახლში ორი ახალი მოჯამაგირე იყო.

რამდენიმე თვის შემდეგ ტედე ჰაიენმა სული განუტევა. სიკვდილამდე ვაჟიშვილს მოუხმო:

— აქმო. ჩემო ბიჭო,—სუსტი ხმით მიმართა მან,—ახლოს დამიჯექ! ნუ შეგეშინდება შავი ანგელოზისა, რომელიც მამაზეციერმა წასაყვანად გამომიგზავნა.

გულშეძრული ვაჟი კედელთან მიდგმულ მამის საწოლზე ჩამოჯდა.

— მითხარი, მამა, რაც დაგრჩა სათქმელი.

— ჰო, კიდევ დამრჩა სათქმელი,— მიუგო მან და ხელები საბანზე გაჭიმა.—როცა შენ ჯერ კიდევ სანახევროდ მოუმწიფებელი ჭაბუკი ზედამხედველს დაუდექი მოჯამაგირედ, ის განზრახვა გქონდა, რომ როდისმე შენც ზედამხედველი გამხდარიყავი. ეს განზრახვა მეც მომეწონა და თანდათან იმ აზრამდე მივედი, რომ საამსაქმოდ შენ შესაფერი ხარ. მაგრამ შენი ქონება ამ თანამდებობის მისაღებად ძალზე მცირე იყო. ამიტომ, სანამ შენ მასთან მოჯამაგირეობდი, მე კაპიკს კაპიკზე ვადებდი და სულ იმას ვფიქრობდი, ფული როგორ მიმეტებინა.

ჰაუკე გაცხარებით წასწვდა მამის ხელს, მოხუცმაც წამოწევა მოიწადინა, რომ ვაჟიშვილისათვის უკეთ შეეხედა.

— ჰო, ჰო, ჩემო ბიჭო,—განაგრძო ისევ მოხუცმა.—აი იქ, კამოდის ზემო უჯრაში არის ქაღალდი. შენ იცი, რომ მოხუცი ანტიე ვოლერსს ჰქონდა ხუთნახევარი დემატი მიწა. მაგრამ დავარდნილი მოხუცი იყო და მარტო ღალით აღარ შეეძლო თავის გატანა. ამიტომ ყოველწლიურად წმინდა მარტინის დღეს საბრალო მოხუცს განსაზღვრულ თანხას ვაძლევდი, ხან კიდევ მეტსაც, როცა ამის საშუალება მქონდა; ამ ფულში კი მან თავისი მიწა გადმომცა. ეს ყველაფერი სასამართლოს წე-

სით გაფორმებულია. ახლა ისიც სიკვდილის სარეცელზეა მიკრული, ჩვენი მარშების სატანჯველი—კიბო დაუფლებია. გადასახდელი შენ აღარა დაგრჩენია რა.

მოხუცმა მცირე ხნით თვალები მილულა. მერე ისევ ლაპარაკი განაგრძო:

— ეს დიდი არაფერია, მაგრამ აქ რომ დარჩენილიყავ, ესეც არ გექნებოდა. დაე, ცხოვრებაში კარგად მოგეხმაროს!

შვილის მადლობას რომ ისმენდა, მოხუცმა მიიძინა. სადარდებელი აღარაფერი დარჩენოდა. რამდენიმე დღის შემდეგ მამაზეციერის შავმა ანგელოზმა სამუდამოდ დაუხუჭა თვალი და მამის მემკვიდრეობას ჰაუკე დაეპატრონა.

...დასაფლავების მეორე დღეს ჰაუკე ელკემ მოინახულა.

— მადლობელი ვარ, რომ შემოიარე! — სალმის ნაცვლად მიაგება ვაჟმა.

მაგრამ ქალიშვილმა მიუგო:

— კი არ შემოვიარე, იმისათვის მოვედი, აქაურობა ცოტა მოვაწესრიგო, რომ საკუთარ სახლში თავი მყუდროდ იგრძნო. მამაშენი თავის გარშემო მხოლოდ ნახაზებსა და ციფრებს თუ ამჩნევდა, თანაც სიკვდილსაც არევ-დარევა შეაქვს ოჯახში. ცოტა დავალაგებ აქაურობას.

— დაალაგე. წესრიგი არც მე მეჯავრება.—მიუგო ჰაუკემ და ელკეს ნდობით შეავლო ნაცრისფერი თვალები.

ელკე მილაგ-მოლაგებას შეუდგა. სახაზავი დაფა, რომელიც იქვე იდო, გაწმინდა და სხვენზე აიტანა. ხაზკალამი, ფანქრები და ცარცი ფრთხილად ჩაალაგა უჯრაში და ჩაკეტა. შემდეგ ახალგაზრდა მსახურ გოგოს დაუძახა და მისი დახმარებით მთელი ავეჯი ისე მოაწყო, რომ ოთახმა თითქოს მეტი შუქი და ფართობი შეიძინა.

— ასეთი ამბები მარტო ჩვენ შეგვიძლია, ქალებს,—ღიმილით ამბობდა ელკე. თუმცა მამის სიკვდილის გამო ჰაუკე დამწუხრებული იყო, მაინც სიხარულით გასხივოსნებული შეჰყურებდა მას და საჭიროებისას ხელსაც ახმარდა.

როცა მოსაღამოვდა,—იმ დროს სექტემბრის დასაწყისი იყო,— ელკეს უკვე ყველაფერი მოწესრიგებული ჰქონდა. მერე ვაეს ხელი მოჰკიდა, შავი თვალები შეანათა და უთხრა:

— ახლა კი ჩვენსას ვივახშმოთ. მამაჩემმა პირობა ჩამომართვა, შინ უშენოდ არ მივსულიყავი. მერე კი შენს სახლშიც მშვიდად დაბრუნდები.

ახალგაზრდები ჯებირის ზედამხედველის ფართო ოთახში შეევიდნენ, დარაბები უკვე მოეხურათ და მაგიდაზე სასანთლეები აენთოთ. ზედამხედველმა მოინდომა ყოფილ მოჯამაგირეს მიგებებოდა, მაგრამ მძიმე სხეულით სავარძელშივე ჩაეშვა და ჰაუკეს მისალმების ნიშნად შესძახა:

— ბარაქალა, ბარაქალა, ჰაუკე, რაკიღა ძველ მეგობარს არ ივიწყებ. აბა ახლოს მოდექი, უფრო ახლოს!—და როცა ჰაუკეც მიუახლოვდა, ფუნჩულა ხელები ჩასჭიდა და ანუგეშა:—არა უშავს რა, შვილო, ყველანი დავიხოცებით, მამაშენი კი სალანძღავ ხალხს არ ეკუთვნოდა... მაგრამ ელკე, შენ რაღას დგახარ, რატომ არ მოიტან შემწვარს მაგიდაზე! ცოტა მოვმაგრდეთ! ბევრი სამუშაო მოგველის, ჰაუკე. შემოდგომის დათვალიერება კარს მოგვდგომია. ჯებირისა და არხების ანგარიშები კი უამრავია. ვესტერის უბანზე ჯებირის ამასწინანდელმა დაზიანებამ სულ ამიბნია თავგზა. შენი თავი კი, მადლობა უფალს, კარგა გვარიანად ახალგაზრდაა ჩემზე. ყოჩაღი ყმაწვილი ხარ, ჰაუკე!

ამ გრძელი სიტყვით მოხუცმა გულში ნადები მთლიანად გამოთქვა, სავარძელში გადაწვა და თვალებაციმციმებული შეაცქერდა კარში შემოსულ ელკეს, რომელსაც შემწვარი მოჰქონდა, ჰაუკე იქვე იდგა და იღიმებოდა.

— დაჯექი,—მიმართა მას ზედამხედველმა.—დროს ნუღარ დავკარგავთ. გაცივდება და გემო წაუვა.

ჰაუკეც დაჯდა. მას სადავოდ არ მიაჩნდა, რომ ელკეს მამას საქმეში უნდა დახმარებოდა.

მერე როცა შემოდგომის დათვალიერება დაიწყო და ამის შემდეგაც, სანამ მთვარე რამდენჯერმე შეიცვლებოდა, საჩქარო საქმის უმეტესი ნაწილი უკვე მომთავრებული ჰქონდა.

მთხრობელი გაჩუმდა და ირგვლივ მიიხედ-მოიხედა. ფანჯრიდან თოლიას ჩხავილი მოისმა, წინკარიდან კი ოთახში ფეხების ტყაპუნის ხმა შემოიჭრა, თითქოს ვიღაც ჩექმებიდან ტალახს იშორებსო.

ზედამხედველმა და ნდობით აღჭურვილმა პირმა თავი კარისაკენ შეაბრუნეს.

— ვინ არის?—შესძახა ზედამხედველმა.

შემოვიდა ბრგე ვაჟკაცი, რომელსაც თავზე ზიუდვესტერი* მოეგდო.

— ბატონო,—დაიწყო შემოსულმა,—ორივემ, ჰანს ნიკელსმა და მე, დავინახეთ, როგორ გადაეშვა თეთრცხენიანი მხედარი იმ ადგილას, სადაც ჯებირი გადარეცხილია.

— სად დაინახეთ?—ჰკითხა ზედამხედველმა.

— აი იქ, სადაც ძველი ღელვისას გადმოვარდნილი წყალი დგას, იანსენის ნაკვეთთან, ჰაუკე ჰაიენის ჯებირი რომ იწყება.

— მხოლოდ ერთხელ დაინახეთ?

— მხოლოდ ერთხელ. მაშინაც ჩრდილივით გაიქროლა, მაგრამ, ეტყობოდა, იქ პირველად არ გამოჩენილიყო.

ზედამხედველი ფეხზე წამოიჭრა.

— გთხოვთ, მომიტევოთ,—მომმართა მან მე.—საჭიროა ჯებირს მივხედოთ, იქნებ გავიგოთ, საიდან გველის უბედურება.

ზედამხედველი და ამბის მომტანი გავიდნენ. მაგრამ აქ დამსწრენიც წამოიშალნენ და იმათ გაჰყვნენ.

დიდ დაცარიელებულ ოთახში მე და მასწავლებელიღა დავრჩით. უფარდებო ფანჯრებიდან, რომლებსაც ახლა სტუმრები აღარ ეფარებოდნენ, კარგად მოჩანდა, როგორ მიერეკებოდა ქარიშხალი ცაზე ღრუბლებს.

მოხუცი მასწავლებელი ისევ თავის ადგილზე იჯდა; ბაგეებზე რაღაც საკუთარი ღირსებისა და თანაგრძნობის გამომხატველი ღიმილი დასთამაშებდა.

— აქაურობა უსიამოდ დაცარიელდა,—მითხრა მან.—ჩემს ოთახში ხომ არ წამოხვიდოდით? აქვე ვცხოვრობ, ამავე სახლში, და დამერწმუნეთ, აქაური ამინდის ამბავიც კარგად ვიცი. საფრთხილო ჩვენ არაფერი გვაქვს.

სიამოვნებით დავთანხმდი, რადგან, ცოტა არ იყოს, შემცივდა. სანთელი ავიღეთ და სხვენის კიბეებს ავუყევით. ოთახის ფანჯრებზე ქარის შესაკავებლად შავი ქეჩა ჩამოეფარებინათ. ერთ-ერთ თაროზე რამდენიმე წიგნი შევამჩნიე, გვერდით კი ორი მოხუცი პროფესორის პორტრეტი. მაგიდის წინ მაღალსაზურგიანი სკამი იდგა.

— მოხერხებულად დაბრძანდით,—თავაზიანად მომმართა მასპინძელმა და ტორფის ნაჭერი შეაგდო პატარა ღუმელში,

სადაც ცეცხლი ძლივსღა ბჟუტავდა. ღუმელზე თუნუქის პატარა ქვაბი იდგა.

— ცოტა ხანს მოითმინეთ, მალე ესეც აშიშინდება და თითო ჭიქა გროგს მოვხარშავ, გამოგვაფხიზლებს.

— საჭირო არ არის. სანამ თქვენი ჰაუკეს ამბავს ვისმენ, ძილი არ მომეკიდება,—მივუგე და სკამზე მოხერხებულად დავჯექი.

— ასე გგონიათ?—მასპინძელმა ჭკვიანი თვალები მომაპყრო. — ჰო, სად შევჩერდით?.. კარგით, კარგით, გაშახსენდა. მაშ ასე:—მამისეულ უძრავ-მოძრავს ჰაუკე დაეპატრონა და რადგან მოხუცმა ანტიე ვოლერსმაც თქვენი ჭირი წაიღო მისი ნაკვეთიც ჰაუკეს დარჩა.

მაგრამ მამის სიკვდილის შემდეგ, უფრო სწორად, მამასთან უკანასკნელი საუბრის შემდეგ ჰაუკეს გაუღვივდა ის მისწრაფება, რომლის ჩანასახსაც იგი უკვე ბავშვობიდანვე გულში დაატარებდა. ხშირად ეტყოდა საკუთარ თავს, საზედამხედველო კაცი სწორედ შენ ხარო. განა ასე არ უთხრა მამამისმა, ხოლო მამამისი სოფელში უჭკვიანესი კაცი იყო. მისი ნათქვამი თითქოს დანატოვარი მემკვიდრეობის უკანასკნელი სართი იყო ჰაუკესათვის. ვოლერსისეული მიწის ნაკვეთი, რომელიც აგრეთვე მამის წყალობით მიიღო, უნდა გამხდარიყო ამ სიმაღლის მისაღწევ პირველ საფეხურად. მაგრამ, ვისაც ჯებირის ზედამხედველობა სურდა, მისთვის, რასაკვირველია, მარტო ეს არ კმაროდა და სხვა ქონებაც უნდა ჰქონოდა... უკანასკნელი წლები მამამისმა მკაცრ ხელმომჭირნეობაში გაატარა და ამის შედეგს თვითონ იმკიდა. თვითონაც ასე უნდა ჰქნას, თვითონ ხომ უფრო მეტის დაგროვება შეუძლია, რადგან მამამისი მაშინ უკვე დაჩაჩანაკებული იყო, თვითონ კი მრავალ წელს შე-

უძლია დაუღალავად იშრომოს... მართალია, მან ამ მხრივ უკ-ვე წარმატებასაც მიაღწია, მაგრამ იმის გამო, რომ თავისი ძველი ბატონის საქმეებს ახლა იგი საკმაოდ მკაცრად განაგებ-და და არავის ინდობდა, სოფელში მეგობარი ვერ შეიძინა. ამას გარდა მისმა ძველმა მეტოქემ ოლე პეტერსმა ცოტა ხნის წინათ მემკვიდრეობა მიიღო და თანდათან მდიდარი კაცის მდგომარეობა მოიპოვა. მრავალი თანასოფელის სახე წარ-მოიდგინა გონების თვალით—ყველა მათგანი ჰაუკეს ბოროტ-ად უმზერდა. მათ მიმართ ჰაუკეც ბრაზით აღივსო, ხელები ისე გაიწვდინა, თითქოს მათ დახრჩობას ლამობსო, რადგან ისინი იმ ადგილის დაკავებაში უშლიდნენ ხელს, რომელიც მისთვის უფრო უარიანი იყო... ასეთი აზრები არ ასვენებდა ჰაუკეს, წარამარა ესტუმრებოდა და მის გულში სიკეთესა და პატიოსნებასთან ერთად პატივმოყვარეობა და სიძულვილიც თანდათან ფეხს იკიდებდა. ამ ორ უკანასკნელ გრძნობას ჰაუ-კე ღრმად ინახავდა გულში, ისე, რომ ამის თაობაზე თვით ელ-კემაც არაფერი იცოდა.

ახალი წელი რომ დადგა, სოფელში ერთი ქორწილიც გა-დაიხადეს. საპატარძლო ჰაიენების ნათესავი იყო და ჰაუკეცა და ელკეც სტუმრად დაპატიჟეს. ოჯახის რომელიღაც ახლო ნათესავი ქორწილს ვერ დაესწრო და ისე მოხდა, რომ ჰაუკე და ელკე სუფრასთან ერთმანეთის გვერდით მოხვდნენ. ამის გამო მათ სიხარულს მხოლოდ ის ღიმილი ამჟღავნებდა, დრო-დადრო რომ გადაუვლიდათ ხოლმე სახეზე. მაგრამ დღეს ელ-კე აქ გამეფებულ მხიარულებაში მონაწილეობას არ იღებდა, თუმცა ყოველი მხრიდან ლაპარაკი და ჭიქების ჭახუნი ისმო-და.

— რამე ხომ არ გტკივა?—ჰკითხა ჰაუკემ.

— არაფერი. მაგრამ ამდენ ხალხს ვერ ვიტან.

— რაღაც ნაღვლიანად გამოიყურები!

ელკემ მხოლოდ თავი გადააქნია და ისევ იყუჩა.

მისმა სიჩუმემ ჰაუკეს ეჭვი აღუძრა და სუფრის ქვეშ ჩუმად ხელი დაუჭირა. ელკეს ხელი არ გამოურთმევია. ვინ იცის, შესაძლოა, იგი ყველასაგან მიტოვებულად გრძნობდა თავს, რადგან მუდამდღე თავისი დაუძლურებული მამის გაბ და ვერავის ხედავდა, მაგრამ ჰაუკე ამაზე არ ფიქრობდა, რიცა ჯიბიდან ბეჭედი ამოიღო.

— ხომ არ წაიძრობ?—სუნთქვაშეკრულმა, ხმის კანკალით ჰკითხა ელკეს, როგორც კი პატარა ხელის არათითზე ბეჭედი გაუკეთა.

სუფრასთან მათ პირისპირ პასტორის ცოლი იჯდა.

უცბად მან ჩანგალი გვერდზე გადასდო და მეზობელს მიუბრუნდა:

— ღმერთო ჩემო, რა დაემართა ამ გოგონას!—წამოიძახა მან შეშფოთებით,—მკვდარივით გაფითრდა!

მაგრამ ელკეს ღაწვებს ფერი მალე დაუბრუნდა.

— შეგიძლია დაიცადო, ჰაუკე?—ჩუმად ჰკითხა ელკემ.

პასუხის მიცემამდე ჭკვიანი ფრიზლანდელი ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

— რას დავუცადო?—ჰკითხა ბოლოს.

— თავადაც კარგად იცი, ჩემი თქმა რა საჭიროა.

— მართალი ხარ,—მიუგო ჰაუკემ.—ჰო, ელკე, შემიძლია, დავიცადო, თუკი მალე დამთავრდება.

— ო, ღმერთო, ვშიშობ, რომ საკმაოდ მალეც! ასე რად ამბობ, ჰაუკე, შენ ხომ მამაჩემის სიკვდილზე ლაპარაკობ.—ელკემ მეორე ხელი მკერდზე მიიდო.—მანამდე ამ ბეჭედს აქ შე-

ვინახავ. იმის შიში კი ნუ გექნება, რომ ჩემს სიცოცხლეში მან
როდესმე დაგიბრუნებ.

ორივემ გაიღიმა და ერთმანეთს ხელი ისე მოუჭირეს, სხვა
ადგილი რომ ყოფილიყო, გოგონა, ალბათ, ხმამაღლა შეჰ-
ვვირებდა.

პასტორის ქალი ამ ხნის მანძილზე ელკეს თვალებს შეჰყუ-
ებდა, ამჟამად ისინი ოქროსფერი ატლასისაგან შეკერილი
თავსამკაულის მაქმანის ქვეშ ცეცხლივით ელვარებდნენ. სუფ-
რაზე ატეხილი ხმაურის გამო პასტორის ცოლმა ვერაფერი გა-
გო, მაგრამ აღარც მეზობლისათვის უკითხავს რამე, რადგან
არ უნდოდა ხელი შეეშალა ახალი ოჯახის შექმნისათვის,—აქ კი,
ალბათ, სწორედ ამას ეხებოდა საქმე,—და ამით ხელი შეეშა-
ლა ქმრისათვის, რომელიც ჯვრისწერით სათანადო გასამრჯე-
ლოს მიიღებდა

გამართლდა ელკეს გუმანი: ერთ დილას—აღდგომა ახალ
ასული იყო—ჯებირის ზედამხედველი ტედე ფოლკერტსი
თავის ლოგინში მკვდარი ნახეს. სახეზე ეტყობოდა, მშვიდად
ჩომკვდარიყო. უკანასკნელი თვეების განმავლობაში რამდენ-
ჯერმე ცხოვრების სამდურავი გამოთქვა. თვით საყვარელი
ცერძიც კი—შემწვარი იხვი—აღარ სიამოვნებდა.

სოფელი ძიცვალებულის ზარზეიმით დასაფლავებისათვის
ემზადებოდა. ზემოთ, გორაკზე, ეკლესიის ახლომდებარე სა-
საფლაოს დასავლეთით, რკინის მოაჯირით შემოღობილი აკ-
ლდამა იყო. ფართო მოლურჯო საფლავის ქვა ამჯერად აეხა
დათ და მტირალ ტირიფზე მიეყუდებინათ. ქვაზე სიკვდილის
ურათი იყო აღბეჭდილი—კბილებდაკრეჭილი თავისქალა.
დაბლა დიდი ასოებით ეწერა:

ეს არს სიკვდილი, რაც ყველაფერს მუსრავს, ერევა,
თან მიაქვს ხოლმე ხელოვნება, მეცნიერება.
წავიდა კაცი, გაქრა კაცი,—ჭკვიანი ერთობ,
იმისი სული შენ აცხონე, მაღალო ღმერთო".

ეს იყო ადრინდელი ზედამხედველის ფოლკერტ ტედსენის აკლდამა. იქვე ახალგათხრილი სამარე ჩანდა, აქ მისი ვაჟიშვილი, ახალგარდაცვლილი ზედამხედველი ტედე ფოლკერსტი უნდა დაესაფლავებინათ. ქვემოდან, მარშებიდან უკვე მოემართებოდა სამგლოვიარო პროცესია—მთელი სამრევლო, სოფლების ფორნები. წინა ფორანზე მძიმე კუბო იდგა, ფორანს სილიან გზაზე ზემოთ მოაგორებდა ზედამხედველის თავლიდან გამოყვანილი ორი დაბასმული შავრა ცხენი. გაზაფხულის სუსხიანი ქარი ძუა-ფაფარს უწეწავდა. ეკლესიის ირგვლივ მთელი სასაფლაო მიწაყრილამდე ხალხით ავსებულიყო. გარსშემოვლებულ გალავანზე აცოცებულ ბიჭებს ხელში უმცროსი და-ძმანი დაეკავებინათ. ყველას სურდა ეს დასაფლავება ენახა.

ქვემოთ კი, მარშზე, მიცვალებულის ბინაზე სასტუმრო და სხვა ოთახებში ელკე საქელეხო სუფრას შლიდა. ხალხისათვის ძველი ღვინო მოატანინა, უფროსი ზედამხედველისათვის —დასაფლავებას არც ის დაჰკლებია—და პასტორისათვის თითო ბოთლი შუშხუნა ღვინო. ყველაფერი რომ გაამზადა, ბოსელი გაიარა და ჭიშკრის წინ შეჩერდა. არსად კაცის ჭაჭანება არ იყო. მოჯამაგირეები ორი ფორნით დასაფლავებაზე წასულიყვნენ. დიდხანს იდგა ელკე ჭიშკართან,—გაზაფხულის ქარი სამგლოვიარო კაბას უფრიალებდა,—და შეჰყურებდა, როგორ ადიოდა სამგლოვიარო პროცესია ეკლესიასთან. ცო-

---

თარგმანი ა. ა ბ უ ლ ა შ ვ ი ლ ი ს ა.

ტა ხნის შემდეგ იქ რაღაც ჩოჩქოლი ატყდა, მალე ამას სამარი-სებური სიჩუმე მოჰყვა. ელკემ გულხელი დაიკრიფა. როგორც ჩანდა, კუბოს სამარეში უშვებდნენ. „მიწა იყავ და მიწად იქ-ეც!“—თავისდაუნებურად ხმამაღლა წარმოთქვა მან, თითქოს იქ, სამარესთან თქმულს იმეორებსო. თვალები ცრემლით აევ-სო, გულზე დაკრეფილი ხელები ძირს ჩამოუცვივდა. „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა'“ გულმხურვალედ ლოცუ-ლობდა იგი. და როცა მამაზეციერისადმი ლოცვას მორჩა, კიდევ დიდხანს იდგა უძრავად ელკე—დიდი მეურნეობის ამ-ჟამინდელი გამგებელი. მის გულში სიკვდილ-სიცოცხლის საკითხები ეჭიდებოდა ერთმანეთს.

შორიდან მოისმა ბორბლების რახრახი და ელკე გამოფ-ხიზლდა. თვალი რომ გაახილა, დაინახა ფორნები ერთიმეო-რის მიყოლებით მისი ეზოსკენ მიეშურებოდა. ელკე გასწორ-და, ერთხელ კიდევ ზემოთ გაიხედა და ოთახში დაბრუნდა. აქ-აც არავინ იყო. მხოლოდ სამზარეულოდან გამოდიოდა შინა' მოსამსახურეების ხმაური. მდიდრულად გაშლილ სუფრაზე მდუმარება და მოწყენილობა სუფევდა. ფანჯრებშუა ჩამდგა-რი სარკისა და შორენკეცებიანი ღუმელის თითბრის ბუნიკებ-ზე თეთრი ტილოები ჩამოეფარებინათ. ოთახში ამჟამად აღა-რაფერი ბრწყინავდა. ელკემ თვალი მოჰკრა ალკოვის* გაღე-ბულ ხის კარს, სადაც მამამისმა დახუჭა თვალი, მივიდა და მჭიდროდ მიგმანა. ანგარიშმიუცემლად წაიკითხა კარზე, ვარ-დებსა და მიხაკებს შუა ოქროსფერი ასოებით წარწერილი სენტენცია:

თუ შენი ვალი კაცურად სძალე
მწუხრის ჟამს ტკბილი გეწვევა ძილი.

ეს სიტყვები ელკეს პაპამ დააწერინა. ქალიშვილმა თვა-

ლი შეავლო კედელში ჩადგმულ განჯინას, რომელიც ამჟამად თითქმის დაეცარიელებინათ. მაგრამ შემინული კარიდან დაინახა გაკრიალებული თასი, რომელიც მამამისს ახალგაზრდობისას დოღში გამარჯვებით მოეპოვებინა. ამ ამბავს მამა სიამოვნებით უამბობდა ხოლმე.. ელკემ თასი გადმოიღო და უფროსი ზედამხედველისათვის გაშლილ ჭურჭელთან დადგა. შემდეგ ფორნების მოახლოებული რახრახი გაიგონა და ფანჯარასთან მივიდა. ფორნები ერთიმეორის მიყოლებით გაჩერდა სახლის წინ. სტუმრები მკვირცხლად გადმოხტნენ ძირს. ხმამაღლა ლაპარაკითა და ხელების ფშვნეტით შინ შეხორხოცდნენ. დიდხანს არ გაუვლია, უფროსი ზედამხედველი და პასტორი სასტუმრო ოთახში, ხოლო დანარჩენები სხვა ოთახებში შემოუსხდნენ მაგიდებს, რომლებზეც დალაგებულ ნაირ-ნაირ საჭმელს მადის აღმძვრელი ოხშივარი ასდიოდა. მალე მაგიდებს თავშეკავებული ხმაურის ტალღამ გადაუარა, თითქოს აქაურობა სიკვდილის საშინელ მდუმარებას არასოდეს მოეცვა. მსახურ გოგონებთან ერთად ელკე მდუმარედ უვლიდა მაგიდებს და ათვალიერებდა, რომ სამგლოვიარო სუფრას არაფერი დაჰკლებოდა. ჰაუკე ჰაიენი ოლე პეტერსთან და სხვა წვრილ მფლობელებთან ერთად იჯდა ერთ სუფთა ოთახში.

შემდეგ, როცა პურისჭამა დამთავრდა და კუთხეში თეთრთიხის ყალიონები გააწყვეს, ელკემ სტუმრებს ამ დღისთვის გულუხვად შემზადებული ყავა ჩამოურიგა. გარდაცვლილის მერხთან იდგა უფროსი ზედამხედველი და პასტორსა და ჭალარამოსულ ნდობით აღჭურვილ იევე მანერსთან ლაპარაკობდა.

— კარგი და კეთილი, ბატონო, — ამბობდა ოგი, — დიდპატივით დავასაფლავეთ გარდაცვლილი ზედამხედველი, მაგ

ოამ ახალი ვინ გამოვძებნოთ? ვფიქრობ, თქვენ უნდა იდოთ თავს, მანერს, ეს საპატიო თანამდებობა!

მოხუცმა მანერსმა ღიმილით მოიძრო ჭაღარა თმიდან შალი ხაერდის ქუდი.

— ბატონო უფროსო ზედამხედველო, — მიუგო მან,—ცოტა დროდა დამრჩენია ამქვეყნად და არ ღირს. როცა განსვენებული ტედე ფოლკერტსი ზედამხედველი გახდა, მე ნდობით აღმჭურვეს, მას შემდეგ უკვე ორმოცი წელი გავიდა.

— ეს ცუდი არ არის, მანერს. მაშასადამე, მით უფრო უკეთ გეცოდინებათ საქმე და მუშაობაში სიძნელე არ შეგხვდებათ.

— არა, არა, თქვენო ბრწყინვალებავ,—თავი გაიქნია მოხუცმა.—ჯობს, ჩემს ძველ ადგილზე დამტოვოთ, ორიოდე წელს კიდევ ვიმუშავებ.

პასტორმა მხარი დაუჭირა.

— რატომ არ შეიძლება, ამ თანამდებობაზე ის კაცი დანიშნოთ, ვინც სინამდვილეში ხელმძღვანელობდა ამ საქმეს ბოლო ხანს?

უფროსმა ზედამხედველმა პასტორს შეხედა:

— თქვენი ნათქვამი ვერ გავიგე, ბატონო პასტორო!

პასტორმა ხელი იმ ოთახისაკენ გაიშვირა, სადაც ჰაუკე ორ ხანშიშესულ კაცს დინჯად რაღაცას უსსნიდა.

— აი, მაგაზე მოგახსენებდით, მაგ მაღალ ფრიზლანდიელზე, წვეტიანი ცხვირით, გონიერი თვალებითა და წინწამოწეული საფეთქლებით რომ გამოირჩევა. იგი აწ განსვენებულის ჭოჯამაგირე იყო, ახლა თავისი საკუთარი პატარა მეურნეობა აქვს. ერთი კი არის, ცოტა ახალგაზრდაა.

— ოცდათს მიღწეული ჩანს,—წარმოთქვა უფროსმა ზე-

დამხედველმა, რომელიც პასტორის მითითებულ ახალგაზრდას შეჰყურებდა.

— ჯერ ოცდაოთხისაც არ არის,—შენიშნა ნდობით აღჭურვილმა მანსერსმა,—მაგრამ პასტორი მართალს ამბობს: რაც ამ ბოლო წლებში ჯებირებსა და კაშხალებზე რიგიანი რამ გაკეთდა, სულ მაგის საქმეა. მოხუცს ბოლოს ხომ აღარაფრის თავი არ ჰქონდა!

— რას ამბობთ?—გაიოცა უფროსმა ზედამხედველმა.— მაშ თქვენი აზრით, მაგას შეუძლია თავისი ძველი ბატონის საქმე იკისროს?

— რასაკვირველია, შეუძლია,—მიუგო იევე მანერსმა,— ოღონდ ეს კია, როგორც ჩვენთან ამბობენ, ფეხქვეშ ნიადაგი არა აქვს. მაგის მამას თხუთმეტი დემატი მიწა ჰქონდა, თვითონ კი უკვე, ალბათ, ოციც აქვს. მაგრამ ამ ქონებით აქამდე ზედამხედველი არავინ გამხდარა.

ის იყო პასტორმა პირი გააღო, რომ შეწინააღმდეგებოდა, მაგრამ უცბად მათ მიუახლოვდა ელკე ფოლკერტსი, რომელიც კარგა ხანია მათ შორიხალოს ტრიალებდა.

— ნებას მომცემს თქვენი მოწყალება, ერთი სიტყვა მოგახსენოთ?—მიმართა მან მთავარ ზედამხედველს.—ვშიშობ, შეცდომით რაიმე უსამართლობა არ მოხდეს.

— თქვი, ელკე!—მიუგო მთავარმა ზედამხედველმა,—სასიამოვნოა წარმტაცი ქალის ბაგეთაგან ნათქვამი სიბრძნის მოსმენა.

— ეს სიბრძნე არ არის, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ სიმართლე კი მინდოდა მეთქვა.

— სიმართლის მოსმენაც უნდა შეეძლოს კაცს, ელკე.

გოგონამ შავი თვალები ერთხელ კიდევ მიმოავლო იქაუ-

რობას, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, ვინმეს ზედმეტი ყური ხომ არ მისმენსო.

— თქვენო მოწყალებავ,—დაიწყო მან და ძლიერი მღელვარებისგან გული აუჩქროლდა. — ნათლიაჩემმა იევე მანერსმა უკვე მოგახსენათ, რომ ჰაუკე ჰაიენს ოცამდე დემატი მიწა აქვსო. ამ წუთში ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ თუ საჭირო იქნება, ჰაუკე მას მიუმატებს მთელ მამიჩემისეულ ეზო-მიდამოს, რომელიც ახლა ჩემია. ზედამხედველისათვის კი ეს სრულიად საკმარისია.

მოხუცმა მანერსმა თეთრი მხცით მოსილი თავი გოგონასკენ გადასწია, თითქოს სურდა კარგად დაენახა, ამ სიტყვებს ვინ ამბობსო.

— რას ლაპარაკობ, ბავშვო? რას ნიშნავს ეს?—იკითხა მანერსმა.

ელკემ კორსეტიდან შავზონარგაყრილი ოქროს ბეჭედი ამოიღო და იევე მანერს მიუბრუნდა:

— ჩვენ დანიშნულები ვართ, ნათლიაჩემო. აი ბეჭედი. ჩემი საქმრო ჰაუკე ჰაიენია.

— და მერე როდის მოხდა ეგ ამბავი, ელკე ფოლკერტს, მე შემიძლია გკითხო ეს, რადგან ემბაზიდან მე ამოგიყვანე. როდის მოხდა?

— კარგა ხანია, თუმცაღა მაშინ უკვე სრულწლოვანი ვიყავი, ნათლიაჩემო,—მიუგო ელკემ—მამაჩემი ამ დროს საკმაოდ დაუძლურებული იყო და რაკიღა მისი ხასიათი კარგად ვიცოდი, აღარ მინდოდა ამით შემეწუხებინა. ახლა კი, როცა მამაჩემი ღვთის საუფლოშია, დაინახავს, რომ მისი ქალიშვილი ასეთ ქმართან თავს კარგად იგრძნობს. მწუხარების გამო ჯერაც არ მინდოდა ამის გამჟღავნება, მაგრამ ჰაუკესა და ჩვენი

მხარის ინტერესებმა მათქმევინეს.—მერე მთავარ ზედამხედ
ველს მიუბრუნდა და დაუმატა:—მაპატიოს, თქვენმა მოწყა
ლებამ.

სამივე მამაკაცმა ერთმანეთს შეხედა. პასტორმა ჩაიცინა
მოხუცმა ნდობით აღჭურვილმა „ქმ—ქმ!"-ო, ჩაიქრიტინა, ხო
ლო მთავარმა ზედამხედველმა შუბლი მოისრისა, თითქოს რა
ღაც მძიმე გადაწყვეტილების მიღებას აპირებსო.

— ჰო, საყვარელო ქალიშვილო,—დაიწყო მან ბოლოს.—
რა მდგომარეობაა თქვენს მხარეში მექორწინეთა ქონებრივ
უფლებათა მხრივ? უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ ქაოსში ამ
ჯერად არაფერი გამეგება.

— ამის გარკვევით თქვენს მოწყალებას თავის შეწუხება
მაინც არ ჭირდება,—მიუგო ზედამხედველის ქალიშვილმა.—
ქორწინებამდე მთელ ჩემს ქონებას ჩემი საქმროს სახელზე
გადავიტან. მეც ჩემებური სიამაყე მაქვს,—ღიმილით დაუმა
ტა მან,—მინდა სოფელში ყველაზე მდიდარი კაცის ცოლ
გავხდე.

— აბა, რას იტყვით, მანერს,—მიმართა მას პასტორმა,—
ვფიქრობ, თქვენც არაფერი გექნებათ საწინააღმდეგო, თუ
ახალგაზრდა ჯებირის ზედამხედველს ძველი ზედამხედველის
ქალიშვილზე დავწერ ჯვარს?

მოხუცმა მხოლოდ ნელა გადააქნია თავი და ღვთისმოში
ში ხმით წარმოთქვა:

— ღმერთმა აკურთხოთ.

მთავარმა ზედამხედველმა გოგონას ხელი გაუწოდა და უთ
ხრა:

— სწორი და ბრძნული იყო შენი ლაპარაკი, ელკე ფოლ
კერტს. მადლობელი ვარ შენი მდგომარეობის გარკვევისათ

ის, მომავალში ვიმედოვნებ უფრო ხელსაყრელ ვითარებაში
ველავ გესტუმროთ. მაგრამ მთელ ამ ამბავში ყველაზე საკვირ-
ელი ის არის, რომ ზედამხედველი ესოდენ ახალგაზრდა ლა-
ჯაზმანმა დაგვინიშნა.

— თქვენო მოწყალებავ,—მიუგო ელკემ და მთავარ ზედა-
ამხედველს კიდევ ერთხელ მიაპყრო საზრიანი თვალები, — თა-
დარიგიან მამაკაცს ცოლიც მხარში უნდა უდგეს!—გვერდით
ოთახში გავიდა და ჰაუკე ჰაიენს სიტყვის უთქმელად ხელი
ელში ჩაუდო.

გავიდა რამდენიმე წელიწადი. ტედე ჰაიენის პატარა სახ-
ლში ახლა ერთი მხნე მოჯამაგირე ცხოვრობდა ცოლ-შვი-
ლით. ახალგაზრდა ჯენბირის ზედამხედველი ჰაუკე ჰაიენი კი,
თავისი ცოლის—ელკე ფოლკერსტის სახლ-კარში დამკვიდ-
ოდა. ზაფხულობით სახლის წინ ძველებურად შრიალებდა
ეუმბერაზი კოპიტი, რომლის ქვეშ, მერხზე საღამოობით გან-
ეარტოებით იჯდა საოჯახო ხელსაქმით გართული ახალგაზ-
ოდა ზედამხედველის მეუღლე—ცოლ-ქმარს ბავშვი ჯერაც
არ ჰყავდა—ქმარს კი საქმე ჰქონდა და საღამოთიც არ ეცალა
ოლთან ერთად მერხზე ჩამოსაჯდომად, რადგან მართალია,
ოხუცი ზედამხედველის დროსაც ბევრს მუშაობდა, მაგრამ
ორავალი რამ მაინც გასაკეთებელი რჩებოდა. ამჟამად საჭი-
ო იყო ყველაფერი ნელ-ნელა მოეწესრიგებინა. მისი უწყა-
ლო ცოცხი არავის ინდობდა. ამას გარდა, საჭირო იყო გაზ-
ოდილი მეურნეობისათვის მიეხედა და ისიც მეორე მოჯამა-
ირის დაუხმარებლად, რომელსაც ფულის დაზოგვის მიზნით
არ ქირაობდა. ამრიგად ახლგაზრდა ცოლ-ქმარი კვირა დღის
გარდა, როცა ეკლესიაში დადიოდნენ, ერთმანეთს ხვდებოდ-

ნენ სადილობისას—მაშინაც ჰაუკე საჭმელს აჩქარებით გადაყლაპავდა ხოლმე—და განთიადისას და მწუხრისას. დროს დაუსრულებელ, მაგრამ სიხარულის მომტან შრომაში ატარებდნენ.

მაგრმ მალე ხალხში ავი მითქმა-მოთქმა დაიწყო.

ერთ კვირა დღეს, წირვის შემდეგ მარშისა და ზემოურთა რამდენიმე ახალგაზრდა მიწის მფლობელს ფუნდუკში მოეყარა თავი. მეოთხე-მეხუთე ჭიქიდან ლაპარაკი ჩამოვარდა არა მეფესა და მთავრობაზე—არა, მაშინ ასე შორს არ იჭრებოდნენ,—არამედ ადგილობრივ და ოლქის მოხელეებზე. უპირველესად ყოვლისა კი სათემო ხარკებსა და გადასახადებზე, და თანდათან უფრო ცხარედ კამათობდნენ ჯებირების შესანახად გაწერილ ახალ ხარჯებზე. წინათ გაკეთებული ყველა არხი და რაბი აქამდე კარგი იყო, ახლა კი თურმე შეკეთებას საჭიროებს. ჯებირზეც მრავალი ისეთი ადგილი ყოფილა, სადაც ასობით ფორანი მიწა უნდა ჩაყარონ. აი, ეშმაკმა დალახვროს!

— ეს ყველაფერი თქვენი ჭკვიანი ზედამხედველის საქმეა,—წამოიძახა ზემოურთაგან ერთ-ერთმა.—სულ მუდამ დაფიქრებული რომ დადის და ყველგან ცხვირს ჩრის.

— მართალი ხარ, მარტენ,—მიუგო პირდაპირ მჯდომმა ოლე პეტერსმა.—მართალი ხარ. ის დიდი გაიძვერა ვინმეა და სულ იმას ცდილობს, მთავარ ზედამხედველს როგორ შეუძვრეს. ჩვენ კი წურბელასავით გვაზის კისერზე.

— მერე და რატომ დაისვით?—იკითხა ზემოურმა.—დაისვით და ნაღდიც თქვენ იხადეთ.

ოლე პეტერსმა გაიცინა.

— ასეა, მარტენ ფედერს, ასეა ჩვენთან მიღებული და რას

გახდები: ძველი ზედამხედველი თავის მამის მეოხებით დანიშნეს ამ ადგილზე, ახალი კი თავისი ცოლისა.

მსმენელი ამტყდარ ხარხარზე მიხვდებოდა, რომ ამ სიტყვებს თანამეინახენი მოწონებით შეხვდნენ. მაგრამ იმის გამო, რომ ეს ლაპარაკი ფუნდუკში, სახალხო თავშეყრის ადგილზე მოხდა, მალე მაშრისა და ზემოურ მოსახლეობაში დაირხა. ამ ხმამ ჰაუკემდეც მიაღწია. გონების თვალით დაინახა თავის მიმართ ბოროტად განწყობილი სახეები, მკაფიოდ დაინახა, თუ როგორ დამცინავად ხარხარებდნენ ისინი ფუნდუკში.

— ძაღლები! — წამოიძახა ჰაუკემ და თვალებში ბოროტი ნაპერწკლები გაუკრთა, თითქოს ეს არის მათ გამათრახებას აპირებსო.

ელკემ მხარზე ხელი დაადო.

— მოეშვი. თითოეული მათგანი სიამოვნებით დაჯდებოდა შენს ადგილზე.

— მეც სწორედ მანდა ვარ! — გაბოროტებით მიუგო მან.

— მერე და თვითონ ოლე პეტერსმა კი მდიდრის ქალი არ შეირთო? — განაგრძო ელკემ.

— კი შეირთო, ელკე, მაგრამ ვოლინათი ნაშოვნი ქონება საზედამხედველო რომ არ გამოადგა!

— შენ ისა თქვი, რომ თვითონ ვერ გამოდგა საზედამხედველოდ, — მიუგო ელკემ ქმარს და ისე შემოაბრუნა, რომ თავისი თავი სარკეში დაენახა, — ისინი ოთახში სწორედ ორ ფანჯარას შორის იდგნენ. — აი, ვინ არის ზედამხედველი! — დაუმატა ელკემ. — აბა შეხედე! ზედამხედველის ადგილი იმას ეკუთვნის, ვისაც ამ საქმის გაძღოლა შეუძლია.

— არ უნდა ამბობდე ტყუილს, — დაფიქრებით მიუგო ჰა-

უკეთ, — მაგრამ... ახლა, ელკე, აღდგომის რაბისკენ უნდა გ-
ვემართო. მისი კარი ისევ არ იკეტება.

ქალმა ქმარს ხელი მოჰკიდა.

— არა, მანამდე მე შემომხედე! რა დაგემართა, სადღაც
შორს სივრცეში რომ იმზირები?

— არაფერი, ელკე. შენ მართალი ხარ.

ჰაუკე წავიდა. მაგრამ დიდი მანძილი არ გაუვლია, რომ რა
ბის შეკეთება გადაავიწყდა. მის გონებას ხელახლა და ადრინ
დელზე უფრო ძალუმად დაეუფლა სხვა რამ ფიქრი, რომელიც
მთლად ბოლომდე ვერ გაერკვია, მაგრამ წლობით კი არ შორ-
დებოდა და საჩქარო საქმეთა გამო ყოველთვის შემდგომისათ
ვის სდებდა. ამ ფიქრმა ჰაუკე ახლა ისე გაიტაცა, თითქოს
ფრთები გამოესხაო.

თავისდაუმჩნევლად უბის ჯებირზე აღმოჩნდა, ქალაქი
დან სამხრეთით გვარიან მანძილზე დაშორებით. სოფელი
რომელიც აქედან მის მარცხნივ მდებარეობდა, დიდი ხანი
თვალს მიეფარა. ის კი კვლავ მიაბიჯებდა და თვალმოუშორებ
ლად გასცქეროდა ზღვაში შეჭრილი მიწის ფართო ზოლს.
გვერდით რომ ახლა ვინმე ყოფილიყო, თვალებში შეამჩნევდა
როგორი დაძაბვით მუშაობდა ჰაუკეს გონება. ბოლოს იგი
შედგა. ჯებირს მიბჯენილი მიწის ზოლი აქ მეტისმეტად ვიწ
როვდებოდა.

— აუცილებლად გამოვა! — თავისთვის ჩაილაპარაკა მან. —
აგერ უკვე შვიდი წელია ვზედამხედველობ და მაგათ არ ვათ
ქმევინებ, თითქოს ამ ადგილს ცოლის მეოხებით დავეპატრონე

იდგა ჰაუკე ჩაფიქრებით და ყურადღებით ათვალიერებ
და მიწის ამწვანებულ ზოლს. შემდეგ უკან გამობრუნდა და ი
ადგილამდე მივიდა, სადაც მიწის ფართო ნაკვეთი ვიწრო

ძწვანე ზოლში გადადიოდა. მაგრამ ზედ ჯებირთან ზოლს ილიერი ტალღა დაუნდობლად ურტყამდა, თითქოს მთელ მიწას ხმელეთიდან სწყვეტდა და კუნძულად აქცევდა. ხმელეთიდან კუნძულამდე უხეშად გათლილი მორების ბოგირი გადაეფოთ, რომ ზედ საქონელი გადაეტარებინათ ანდა თივითა და ჭირნახულით დატვირთული ფორნები გამოეყვანათ. ამჯერად ზღვის მიქცევა იდგა და სექტემბრის მზეზე თვალისმომჭრელად ლაპლაპებდა ასიოდ ნაბიჯის სიგანე ლამიანი ზოლი და მის შუა ადგილას მოქცეული ღრმა სადინარი, სადაც ამჟამადაც ზღვის წყალი ტორტმანებდა.

ჰაუკემ წყლის თამაშს ერთხანს უყურა და შემდეგ თავისთვის ჩაილაპარაკა, ეს ადგილი შეიძლება ჯებირით გადავღოთო. მერე მაღლა აიხედა და ჯებირიდან, რომელზეც ახლა იდგა, წარმოსახვითი ხაზი გაავლო სადინარზე, შემდეგ ხაზი კუნძულის ნაპირის გაყოლებით სამხრეთისაკენ და აქედან ისევ აღმოსავლეთისაკენ სადინარზე გადმოატარა და ჯებირამდე მოიყვანა. ეს წარმოსახვითი ხაზი გახლდათ ახალი ჯებირი, რომელიც კვეთითაც ახალი იყო და ჯერჯერობით მხოლოდ მის გონებაში არსებობდა.

„ეს ათასამდე დემატის მიწას ჩაგვაგდებინებდა ხელთ, — ჩაილაპარაკა გაღიმებულმა ჰაუკემ, — თუმც ბევრი არ არის, მაგრამ...“

ჰაუკე ახლაც გაანგარიშებაში ჩაეფლო: ეს ზოლი თემს ეკუთვნოდა, მის ცალკეულ წევრებს იმის მიხედვით, თუ რა ხომის მამული ეკავათ სათემო საკუთრებაში ან რა სხვა უფლებები ჰქონდათ. ჰაუკე შეუდგა იმის გამოანგარიშებას, თუ აქედან რამდენი ერგებოდა მას, რამდენი ელკეს მამისგან დარჩენილ მიწებს და რამდენი იმ მიწებს, რომელიც ქორწი-

ნების შემდეგ იყიდა ნაწილობრივ მოგების მისაღებად, ნაწილობრივ კი თავისი ცხვრის ფარების გასამრავლებლად. გვარიანი ფართობი გამოვიდა, რადგან მან ოლე პეტერსისგანაც იყიდა ნაკვეთი. ეს ნაკვეთი პეტერსმა გაბრაზების გამო მოიცილა თავიდან: პატარა წყალდიდობის დროს აქ გამორჩეული ყოჩი დაეჩრჩო. ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო. ჰაუკეს მახსოვრობაში ყველაზე დიდი წყალდიდობაც ამ ადგილებში მიწის მხოლოდ ნაპირებს ფარავდა წყლით. რა დიდებული საძოვარი და სახნავ-სათესი გამოვიდოდა, აქ რომ ჯებირი გაკეთებულიყო. ამის წარმოდგენაზე ჰაუკეს თითქოს თავბრუ დაესხა, მაგრამ ხელისგულს ფრჩხილები ჩაუჭირა, და საკუთარი თავი აიძულა საქმისათვის საღი და გამჭრიახი თვალით შეეხედა: წინ გადაშლილ ბარს ჯებირი არ იცავდა და, ვინ იცის, უახლოეს წლებში რამდენი ქარიშხალი და წყალდიდობა დაატყდა თავს ამ ადგილს, რომლის ბოლოში ახლა ტალახში ამოვლებული ცხვარი ბალახობდა მერე და რამდენი შრომა, ბრძოლა და გაბოროტება იყო საჭირო ამის მისაღწევად! მაგრამ, მიუხედავად ამისა, როცა ჯებირიდან დაეშვა და ნაკვეთებ შუა ბილიკს სახლისკენ გაუყვა ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს თან რაღაც დიდი განძი მიაქვსო.

წინკარში ელკე შეეგება.

— რაბი როგორ არის? — ჰკითხა ქალმა.

ჰაუკემ მას იდუმალი ღიმილით შეხედა.

— მალე სხვა რაბი დაგვჭირდება, — მიუგო მან, — სხვა არხები და ჯებირი.

— ვერ გავიგე, რას მეუბნები, — უთხრა ელკემ და ქმარს ოთახში შეჰყვა. — რას აპირებ, ჰაუკე?

— ვაპირებ... — ნელა წამოიწყო ჰაუკემ და ისევ შეჩერდა, — ვაპირებ, რომ მიწის ის დიდი ზოლი, რომელიც ჩვენი ნაკვეთის პირდაპირ იწყება და შემდეგ სამხრეთით გრძელდება, მტკიცე ჯებირით შემოვზღუდო. მთელი თაობა გადაეგო, რაც უკვე ულმერთო წყალდიდობა აღარ მომხდარა, მაგრამ ასეთი უბედურება რომ გვეწვიოს, ყველაფერი განადგურდება. ეს მდგომარეობა მხოლოდ ჩვენი მცონარეობის გამო მოგვყვა აქამდე.

ელკემ გაოცებით შეხედა ქმარს.

— საკუთარ თავს თვითონვე ილანძღავ?

— ჰო, ელკე, მაგრამ აქამდე სხვაც ბევრი იყო გასაკეთებელი.

— რასაკვირველია, ჰაუკე. შენ მართლაც ბევრი რამ გააკეთე.

ჰაუკე ადრინდელი ზედამხედველის სავარძელში ჩაეშვა და ხელის დასაყრდნობს მტკიცედ ჩაეჭიდა.

— საამისოდ თუ გეყოფა გამბედაობა? — ჰკითხა ცოლმა.

— მეყოფა, ელკე! — ფიცხლად მიუგო ჰაუკემ.

— ასე ნუ ჩქარობ, ჰაუკე. ეგ საქმე სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. თითქმის ყველა განზე გაგიდგება, მთელი შენი გარჯა-შრომისათვის არავინ მადლობას არ გეტყვის.

— ვიცი, — თავი დაუქნია ჰაუკემ.

— ეგ საქმე რომ არ გამოგივიდეს? — განაგრძო ელკემ. — ბავშვობიდანვე ეს მესმოდა, იმ სადინარის ამოვსება არ შეიძლებაო. ამიტომ ხელსაც არ ახლებდნენ.

— ეგ ზარმაცების მოგონილი მიზეზი იყო, — მიუგო ჰაუკემ. — ვითომ რატომ არ შეიძლება სადინარის ამოვსება?

— ეგ მე არ ვიცი. ალბათ, იმიტომ, რომ პირდაპირია და

ძლიერი დინება აქვს. — უცბად ელკეს რაღაც გაახსენდა და სერიოზული გამომეტყველება კვიმატმა ღიმილმა შეუცვალა. — ერთხელ, ბავშვობისას, — განაგრძო მან, — ყური მოვკარი მოჯამაგირეების საუბარს. ისინი ამბობდნენ, იქ საიმედო ჯებირი მაშინ გაკეთდება, როცა შიგ ვინმეს ცოცხლად ჩაატანენო. ვითომ ამ ასიოდ წლის წინათ, მეორე ნაპირზე რომ ჯებირი გაუკეთებიათ, შიგ ბოშა ბიჭი ჩაუტანებიათ, რომელიც დედისგან დიდი თანხით უყიდიათო. ახლა კი შვილს ვიღა გაყიდის.

ჰაუკემ თავი გაიქნია:

— კიდევ კარგი, რომ ჩვენ შვილი არ გვყავს, თორემ, ალბათ, იმასაც მოგვთხოვდნენ.

— ვერც ვერასოდეს ეღირსებოდნენ ამას ჩვენგან! — წამოიყვირა ელკემ და თითქოს შეშინდა, მუცელზე ხელები დაიფარა.

ჰაუკემ გაიღიმა. ქალმა ისევ ჰკითხა:

— ამაზე თუ გიფიქრია, რამდენი დაჯდება მისი აშენება?

— ვიფიქრე, ელკე, როგორ არა. რასაც აშენებაზე დავხარჯავთ, უხვად ავინაზღაურებთ და ძველი ჯებირის შესანახავადაც გვეყოფა. მშენებლობაზე თვითონ ჩვენვე ვიმუშავებთ, თემში ოთხმოცზე მეტი ფორანი გვაქვს, არც ახალგაზრდა მუშახელი გვაკლია. ელკე, შენ ხომ ტყუილად არ მაქციე ზედამხედველად, მინდა ხალხს დავუმტკიცო, რომ ეს შემიძლია კიდეც.

ელკემ ქმრის წინ ჩაიჩოქა და ზრუნვით შეაცქერდა. მერე ღრმად ამოიოხრა.

— დროა ჩემს საქმეს შევუდგე, — თქვა ქალმა და ქმარს სახეზე ხელი ნელა გადაუსვა. — შენც შენ საქმეს მიხედე.

— ამინ, ელკე, — დინჯი ღიმილით დაეთანხმა ქმარი, — საბუშაო, იცოცხლე, ორივეს გვაქვს.

...მართლაც, ბევრი გასაკეთებელი ჰქონდა ორივეს, ახლა კი ჰაუკეს ყველაზე მძიმე ტვირთი ერგო. კვირადღეობით, ნასამხრევს, ხშირად კი სადაგ დღეებში საღამოობით ჰაუკე და ერთი მარჯვე მიწათმომწყობი ისხდნენ და ანგარიშობდნენ, საზავდნენ, აკეთებდნენ ესკიზებს. ხოლო როცა მარტო რჩებოდა, ხშირად შუაღამემდე ამ საქმეს ჩაჰკირკიტებდა. მერე კი თავიანთ საერთო საძილე ოთახში ჩუმად შეიპარებოდა, — დახუთულ ალკოვს ისინი უკვე აღარ ხმარობდნენ, — ხოლო ცოლი, რომელიც ადრე იმიტომ წვებოდა, რომ ქმარი არ შეეწუხებინა, გულის ცახცახით ელოდა მას და თვალი ვერ ძოეხუჭა. ჰაუკე ცოლს შუბლზე აკოცებდა, ერთ-ორ საალერსო სიტყვას ეტყოდა და დასაძინებლად მიწვებოდა, თუმცა ხშირად მამლის პირველ ყივილზეღა ჩაეძინებოდა. ზამთარში, როცა ქარიშხალი ატყდებოდა, ჰაუკე ფანქარსა და ქაღალდს ხელს დაავლებდა, ჯებირზე გარბოდა და რაღაცას იწერდა და იხატავდა. ქარი ხშირად თავიდან ქუდს მოაგლეჯდა, ფერდაკარგულ გრძელ თმას უწეწავდა და გახურებულ სახეზე ჰფენდა. თუ ყინვა ხელს არ უშლიდა, აიყოლებდა რომელიმე მოჯამაგირეს, გავიდოდა ნავით თავთხელში და ლოტითა* და ლატნით იმ ადგილებში ზომავდა სიღრმეს, სადაც ჯერ ზუსტად არ იცოდა.

ელკეს ეს ძალიან აშინებდა, მაგრამ როგორც კი ქმარი მობრუნდებოდა, მას აღარაფერს ამჩნევინებდა, თუმცა ცოლის მღელვარებას ჰაუკე მისი ხელის მოკერასა და ჩვეულებრივად მშვიდ თვალებში აკიაფებული ნაპერწკლებით მაინც ხვდებოდა.

— მოითმინე, ელკე, — მიმართა ერთხელ ჰაუკემ მას, როცა იგრძნო, რომ ცოლს ამ საქმეზე მისი გაშვება აღარ უნდოდა. — ჯერ თვითონ მე უნდა გავერკვე კარგად, სანამ წინადადებას წარვადგენ.

ელკემაც თავი დაუქნია და ისევ გაუშვა.

ჰაუკეს ხშირად უხდებოდა ქალაქში მთავარ ზედამხედველთან გამგზავრება. ამას მოსდევდა ოჯახსა და მეურნეობაში შრომა, მერე კი ისევ ღამით კირკიტი. ხალხთან მხოლოდ სამსახურებრივი და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა. ცოლისთვისაც თანდათან მცირე დრო რჩებოდა. მძიმე დღეები დადგა ჩემთვის და, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება ასეო, — თვითონვე იმშვიდებდა თავს ელკე და სამუშაოს ეძალებოდა.

ბოლოს მზემ და გაზაფხულის ქარებმა ყინულს ყველგან უკან დაახევინეს. ჰაუკეც მორჩა წინასწარ სამუშაოებს. თხოვნა, ზემოხსენებული მიწის ზოლის ჯებირით გამაგრების თაობაზე, რომელიც ასაბუთებდა, რომ ამ ღონისძიების განხორციელება ხელს შეუწყობდა ცხოვრების საერთო დონის ამაღლებას, განსაკუთრებით სათემო მიწის ფონდის გადიდებას და არანაკლებ გაზრდიდა საჰერცოგოს სალაროს შემოსავალს, სადაც ორიოდე წლის შემდეგ, დაახლოებით ათასამდე დემატის მიწებიდან შევიდოდა გადასახადები, — სუფთად გადაწერეს და ყველა ჯებირის არხის ნახაზებთან არსებული და მომავალი მიწების რუკებთან და სხვა საჭირო მასალებთან ერთად ერთ პაკეტად შეკრეს და ზედამხედველის ბეჭდით დალუქეს. იგი უნდა გადაეცათ მთავარი ზედამხედველისათვის, რომელიც მას შუამდგომლობას დაურთავდა და შემდგომ ინსტანციას გაუგზავნიდა.

— როგორც იქნა, ამასაც მოვრჩი, ელკე, ნუ დაუშურებ ლოცვა-კურთხევას, — მიმართა ცოლს ჰაუკემ.

ელკემ მას ხელი ხელში ჩასჭიდა და წარმოთქვა:

— მხარში ამოვუდგეთ ერთმანეთს.

— ასე იყოს.

თხოვნა ცხენოსანმა შიკრიკმა წაიღო ქალაქში.

— თქვენ, ალბათ, შეამჩნიეთ, ბატონო ჩემო, — თხრობა შეწყვიტა მასწავლებელმა და გონიერი თვალები ალერსით მომაპყრო, — რომ ყველაფერი, რასაც აქამდე მოგიყევით ჩემს მიერ შეკრებილია ამ ადგილებში ჩემი თითქმის ორმოცწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ხანდაზმულ და გამოცდილ ადამიანთა ან მათ შვილთა და შვილიშვილთა ნაამბობებიდან. ის კი, რაც ახლა მინდა მოგითხროთ, რათა ნათქვამის გარდა შემდგომი დროის ამბებიც გასაგები გახდეს, ახლანდელია და დღესაც მთელი სოფელი ამაზე ლაპარაკობს, როგორც კი ყვოლადწმინდის დღესასწაულის შემდეგ ოჯახებში საქსოვი დაზგები აზუზუნდებიან.

იმ დროს, თუ ჯებირზე შედგებოდით და ჩრდილოეთისკენ გაიხედავდით, ზედამხედველის ეზოდან, ასე ხუთას-ექვსას ნაბიჯზე, შეამჩნევდით მარშის ნაპირიდან თავთხელში ორასიოდე ნაბიჯით დაცილებულ ერთ პატარა კუნძულს, რომელსაც მოსახლეობა „იეევერსის ქვიშას“ ანდა „იეევერსის კუნძულს“ უწოდებდა. მაშინდელი ჩვენი პაპები ამ კუნძულს ცხვრის საძოვრად იყენებდნენ. მაშინ იქ ბალახი იზრდებოდა, მომდევნო წლებში კი გაქრა, რადგან ამ დაბალ კუნძულზე რამდენჯერმე ზღვის წყალმა გადაიარა, რამაც იქაურობა ცხვრის საძოვრად გამოუსადეგარი გახადა. ამის შემდეგ კუნძულზე

მხოლოდ თოლიები ან ჩვენი მხარის სხვა ფრინველები თუ გამოჩნდებოდნენ, ათასში ერთხელ წყლის არწივიც - ძოინახულებდა. მთვარიან ღამეებში ჯებირიდან შეამჩნევდით, რომ კუნძულს ხან გამჭვირვალე ნისლის ლეჩაქი დაეფიხებოდა, ხან კი თვალშეუვალი შავი ღრუბელი. როცა მთვარე კუნძულის აღმოსავლეთით გაანათებდა, როგორც ამბობენ, შეგეძლოთ აგრეთვე დამხრჩვალი ცხვრების თეთრი ძვლები და ცხენის ჩონჩხიც შეგემჩნიათ, რომელიც, კაცმა არ იცის, კუნძულზე როგორ მოხვდა.

მარტის ბოლო იყო. სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჯებირზე ერთმანეთის გვერდი-გვერდ გაუნძრევლად იდგნენ ტედე ჰაიენის სახლში მომუშავე დღიური მუშა და ახალგაზრდა ზედამხედველის მოჯამაგირე ივენ იონსი, და მთვარის მკრალ შუქზე ძნელად გასარჩევ კუნძულისაკენ იმზირებოდნენ. ეტყობოდა, კუნძულზე რაღაც საოცარი რამ შეამჩნიეს.

— წამო, წავიდეთ, ივენს, — თქვა ბოლოს მუშამ, ჯიბეებში ხელები ჩაიყო და გააკანკალა. — სასიკეთო არაფერია, შინ წავიდეთ.

მეორეც შიშს აეტანა, მაგრამ მაინც გაიცინა:

— რაღაც მოზრდილი სულიერია! ეშმაკმა დალახვროს, ნეტავი ვინ შეაგდო მაგ კუნძულზე? ერთი შეხე, აი კისერს იწვდის ჩვენსკენ! არა, თავი ჩაჰკიდა, რაღაცას ჭამს. მე კი მეგონა, იქ საჭმელი აღარაფერი იყო! ნეტავ რა არის?

— ნეტა რა საქმე გაგჩენია! — მიაძახა მუშამ. — თუ არ წამოხვალ, მე მივდივარ, ღამე მშვიდობისა!

— შენ კი წახვალ, რა! შინ ცოლის ჩათბუნებული ლოგინი გელოდება. მე მკითხე, რომ ჩემს ოთახშიც ასეთივე ქარი უბერავს, როგორც აქ.

— მაშ, ღამე მშვიდობისა, — მიაძახა მუშამ და ჯებირიდან შინისაკენ მოკურცხლა.

ივენსმა რამდენჯერმე გახედა გაქცეულს, მაგრამ საიდუმლოების ამოცნობის სურვილმა ადგილს მიაჯაჭვა. ამ დროს ჯებირზე გამოჩნდა მისკენ მომავალი ტანმორჩილი ფიგურა. ეს იყო ზედამხედველის ხელზე მოსამსახურე ბიჭი.

— რა გინდა, კარსტენ? — შეუყვირა მოჯამაგირემ.

— მე არაფერი, — მიუგო ბიჭმა, — მაგრამ ჩვენს ბატონს სურს შენთან ლაპარაკი, ივენ იონს.

მოჯამაგირე ისევ კუნძულისკენ იყურებოდა.

— ახლავე მოვალ, — მიაძახა ბიჭს.

— მანდ რას უყურებ? — ჰკითხა ბიჭმა.

მოჯამაგირემ ხმის ამოუღებლად ასწია ხელი და კუნძულისკენ გაიშვირა.

— ოჰ, — აღმოხდა ყმაწვილს. — ეგ ხომ ცხენია, თეთრი ტაიჭი, ალბათ, ეშმაკი თუ ზის ზედ, მაშ როგორ მოხვდა ევერსის კუნძულზე?

— არ ვიცი, კარსტენ. იქნებ, ცხენი არც არის?

— როგორ არა, ივენ. აბა შეხედე, მთლად ისე ბალახობს, ცხენმა რომ იცის. ნეტავ იქ ვინ გადაიყვანა? სოფელში ისეთი დიდი ნავი არავისა აქვს, რომ შიგ ცხენი ჩაეტიოს. იქნებ ცხვარია? ძია პეტერი ამბობდა, მთვარის შუქზე ტორფის ათი ბელტი მთელ სოფლად მოგეჩვენებაო. არა, არა, შეხე! ე. როგორ ხტის! ნამდვილად ცხენი უნდა იყოს!

ერთხანს ორივენი ჩუმად იდგნენ და თვალმოუშორებლად შესცქეროდნენ კუნძულზე მოძრავ სულიერს. მთვარე მაღლა ასულიყო და ზემოდან დაჰნათოდა ვრცელ თავთხელს, რო-

მელზეც უკვე დაწყებული მოქცევა ალაპლაპებულ ტალღებს მოაგორებდა.

წყალი ოდნავ ტყლაშუნებდა, არსაიდან ისმოდა ფრინველის ჩხავილი. ჯებირის უკან გაფენილი მარშის ველებიც სიჩუმეში გარინდებულიყო. პირუტყვი ბოსლებს შეფარებოდა. ყოველგვარი ხმაური და მოძრაობა ჩამკვდარიყო. მხოლოდ ეკვერსის კუნძულზე მოძრაობდა თეთრი ცხენი თუ ის, რაც ჯებირზე მყოფთ ცხენად მიაჩნდათ.

— მგონი, ინათა, — სიჩუმე დაარღვია მოჯამაგირემ. — მკაფიოდ ვხედავ ცხენის თეთრ ძვლებს.

— მეცა ვხედავ, — წამოიძახა ბიჭმა და კისერი კუნძულისკენ წაიგრძელა. მერე, თითქოს უცბად რაღაც გაახსენდაო, მოჯამაგირეს მკლავზე ხელი წაავლო: — ივენ, — ჩაიჩურჩულა მან,—სად არის ის ცხენის ჩონჩხი, წინათ იქ რომ ეგდო, ვეღარ დამინახავს!

— ვეღარც მე ვხედავ! საოცარია! — დაუდასტურა მოჯამაგირემ.

— არც ისე საოცარია, ივენ. ამბობენ, ზოგჯერ, არ ვიცი კი როდის, ღამღამობით ჩონჩხი წამოდგება და ცოცხალივით დადისო!

— ჰოო? — ჩაეკითხა მოჯამაგირე. — ეს ხომ დედაბრების ზღაპარია.

— შეიძლება, ივენ, — დაეთანხმა კარსტენი.

— შენ ხომ ჩემს წასაყვანად მოხველ? წავიდეთ შინ, დროა. ახალი აქ მაინც აღარაფერი ჩანს.

ბიჭს წასვლა არ უნდოდა, სანამ მოჯამაგირემ იგი ძალით არ მოაბრუნა და გზაზე არ გამოიყვანა.

როცა მოჩვენებიანი კუნძული უკან კარგა დიდ მანძილზე მოიტოვეს, მოჯამაგირემ ბიჭს უთხრა:

— მისმინე, კარსტენ, შენ ხომ ყველაზე უშიშარი ხარ. მე მგონია, ამის დამტკიცება კარგად შეგიძლია.

— რასაკვირველია, — მიუგო კარსტენმა, რომელიც გადატანილი შიშისაგან ცოტა არ იყოს კიდევ თრთოდა. — "შემიძლია, ივენ.

— მართლა ამბობ? — ჩაჰკითხა მოჯამაგირემ, რადგან კარსტენმა ამის დასამტკიცებლად ხელი გაუწოდა. — მაშ თუ ასეა, ხვალ საღამოს ჩვენი ნავი ავხსნათ. ამ ნავით შენ „იეევერსის ქვიშისკენ" გასცურე, მე კი ჯებირიდან გიყურებ.

— კარგი, — მიუგო ბიჭმა. — თანახმა ვარ. ოღონდ თან მათრახს წავიღებ.

— წაიღე.

მათ ნელა აიარეს ბატონის ეზოსკენ მიმავალი ფერდობი და სახლს ჩუმად ჩაუარეს გვერდით.

მეორე დღეს საღამოთი, დანიშნულ დროს, მოჯამაგირე ბოსლის კარის წინ დიდ ქვაზე იჯდა, როცა მასთან მათრახის ტკაცუნით კარსტენი მივიდა.

— კარგად ატკაცუნებ, — შენიშნა ივენმა.

— მაშ რა გეგონა! მოეცალე! — მიუგო ბიჭმა. — თასმებს შიგადაშიგ ლურსმნებიც ჩავაწანი.

— მაშ წავიდეთ! — მიმართა ივენმა.

გუშინდელივით მთვარე ახლაც აღმოსავლეთით იდგა და იქაურობას კარგად ანათებდა. ჯებირს ორივემ მალე მიაღწია და იეევერსის კუნძულისკენ გაიხედეს, რომელიც ნისლში გახვეული იდგა წყალში.

— აი ისევ დადის, — წარმოთქვა მოჯამაგირემ. — შუადღის შემდეგაც ვიყავი, მაგრამ იქ არავინ არ შემიმჩნევია, მხოლოდ ცხენის თეთრი ჩონჩხი კი მკაფიოდ მოჩანდა მიწაზე.

ბიჭმა კისერი წაიგრძელა:

— ჩონჩხი ახლა ძველ ადგილზე აღარ გდია, — ჩაიჩურჩულა მან.

— რას ფიქრობ, კარსტენ, სიტყვაზე როგორა ხარ? — ჰკითხა ივენმა. — აპირებ გადასვლას?

კარსტენი ერთხანს ჩაფიქრდა, მერე მათრახი ჰაერში გაატკაცუნა და ივენს შესძახა:

— აუშვი ნავი!

ამ დროს კუნძულზე ცხენმა თითქოს თავი ასწია და კისერი ხმელეთისკენ წამოიგრძელა. მაგრამ ბიჭმა და ივენმა ვეღარაფერი დაინახეს, ჯებირი ჩაიარეს და იმ ადგილას ძივიდნენ, სადაც ნავი იყო გამობმული.

— აბა, ჩაჯექი! — შესძახა ივენმა და ნავი ახსნა. — შენს დაბრუნებამდე მე აქ დავრჩები. კუნძულს აღმოსავლეთიდან მოუარე, იქიდან უფრო ადვილია ზედ მიდგომა.

ბიჭმა თავი დაუქნია და მათრახიანად გზას გაუდგა. მოჯამაგირე უკან გამობრუნდა და ჯებირზე იმავე ადგილას ავიდა, სადაც წეღან იდგნენ. მალე შეამჩნია, თუ როგორ მიადგა ნავი ჩაშავებულ ფლატიან ადგილს, სადაც წყლის მოზრდილი ნაკადი ნაპირს ლოკავდა, და პატარა ფიგურა მიწაზე გადახტა. ეს რა არის, ბიჭმა ხომ არ გაატკაცუნა მათრახი? იქნებ ეს მოქცევის ხმაურია? რამდენიმე ასეულ ნაბიჯზე ჩრდილოეთით ისევ გამოჩნდა თეთრი ცხენი. ახლა კი ბიჭი პირდაპირ მისკენ მიემართება. ცხენმა თავი ასწია, თითქოს შეკრთაო, ბიჭმა კი, — ახლა უკვე მკაფიოდ გაისმა, — მათრახი გაატკაცუნა.

მაგრამ... რა დაემართა? ბიჭი შემობრუნდა და უკახვე წამოვიდა იმავე გზით, წეღან რომ გაიარა. ცხენმა კი ისევ განაგრძო ძოვა, მაგრამ ერთხელაც არ დაუჭიხვინია. მოჩვენებას ხანდახან თითქოს წყლის თეთრი ქაფი გადაეკვროდა. მოჯამაგირე მოჯადოებულივით შეჰყურებდა კუნძულს.

უცბად მოახლოებული ნავის ხმაური გაიგონა. მალე ბნელში ჯებირისკენ ამომავალი ბიჭიც დაინახა.

— რა ჰქენი, კარსტენ, რა ნახე იქ? — ჰკითხა ივენმა.

ბიჭმა თავი გაიქნია:

— არც არაფერი. ნავიდან ერთხელ კიდევ შევამჩნიე, მაგრამ მერე, როცა კუნძულზე გადავედი, ეშმაკმა უწყის, სად დაიკარგა, მთვარე ხომ ასე კარგად ანათებდა. იმ შემჩნეულ ადგილზე რომ მივედი, ხუთიოდე ცხვრის თეთრი ძვლები და ცოტა მოშორებით ცხენის ჩონჩხის მეტი არაფერი იყო. მთვარე თვალის ცარიელ ფოსოებს უნათებდა ცხენის თეთრ წაგრძელებულ თავის ქალას.

— ჰმ! ვითომ კარგად მოათვალიერე იქაურობა?

— როგორ არა, ივენ, იქ არ ვიყავი! ჩონჩხის ქვეშიდან გამოფრინდა შიგ შებუდებული წლიკინა და ისეთი ჩხავილი ატეხა, რომ შემეშინდა და მათრახი რამდენჯერმე გავატკაცუნე.

— სულ ეგ იყო?

— ჰო, ივენ. მეტი არაფერი არ მინახავს.

— ეგეც საკმარისია, — მიუგო მოჯამაგირემ, ბიჭს მაჯაში ხელი ჩასჭიდა და კუნძულისკენ გაახედა. — ხედავ, კარსტენ, იქ რამეს?

— ჰო, აგერ ისევ დადის!

— ისევო? — გაიმეორა ივენმა. — მთელი ამ ხნის განმავ-

ლობაში ვუმზერდი და არც არსად წასულა. შენც ხომ სწორედ მისკენ მიდიოდი. უსხეულო სულია რაღაც!

ბიჭი დაჟინებით უყურებდა. მისი ჩვეულებრივად გამბედავი გამომეტყველება უცბად შიშმა შეცვალა. ეს ამბავი ივენს მხედველობიდან არ გამორჩენია.

— წამო, — მიმართა მან ბიჭს, — შინ წავიდეთ. აქედან ისე ჩანს, თითქოს რაღაც სულიერი დადის, იქ კი მხოლოდ ძვლები აწყვია. ეს ისეთი რამ არის, რის გაგებაც მე და შენ არ შეგვიძლია. მაგრამ ამ ამბავზე ხმა არ ამოიღო, სიტყვა არსად დაგცდეს!

ივენი შინ გამობრუნდა და ბიჭიც აედევნა. ჩუმად მოდიოდნენ, მარშების დუმილს არაფერი არღვევდა.

...მას შემდეგ კი, რაც მთვარემ დაივახშმა და ბნელი ღამეები დაიწყო, სხვა ამბავი მოხდა.

ცხენების ბაზრობის დრო იყო და ჰაუკე ჰაიენი ცხენით ქალაქისკენ გაემართა. თუმცა ცხენის ყიდვა არც უფიქრია, მაგრამ, როცა შინ მობრუნდა, თან მეორე ცხენიც მოიყოლა, ბანჯგვლიანი და ისეთი გამხდარი, რომ ნეკნებს დაუთვლიდით. უსიცოცხლო, ჩაცვენილი თვალები ჰქონდა. ელკე გარეთ გავიდა, რომ საყვარელ მეუღლეს შეგებებოდა.

— ღმერთო, შენ გვიშველე! — წამოიძახა ქალმა. — რად გინდოდა, ეს ბებერი ცხენი რომ მოგიყვანია?

სანამ ჰაუკე ეზოში შევიდოდა და კოპიტის ქვეშ შეჩერდებოდა, ელკემ ისიც შენიშნა, რომ ცხენი კოჭლობდა კიდეც.

ახალგაზრდა ზედამხედველი სიცილით ჩამოხტა თავის წაბლა იაბოდან და ელკეს უთხრა:

— არა უშავს რა, ძვირი არ დამჯდომია.

მაგრამ ჭკვიანმა ქალმა უპასუხა:

— იაფფასიანი ხორცით კარგი წვნიანი არ კეთდება.

— ყოველთვის ეგრე არ არის, ელკე. ეს ცხენი, ბევრი-ბევრი ოთხი წლისა თუ არის. აბა კარგად შეხედე!.. დაშშეულია და მოუვლელი. ქერზე დავაყენოთ, ნახე, როგორ გამოკეთდება. თვალყურს თვითონვე მივადევნებ, თორემ ვაითუ ხაძეტანი იხარბოს.

ცხენი თავჩაღუნული იდგა, კისერზე ფაფარი ჩამოგრძელებოდა.

ჰაუკემ მოჯამაგირეს მოუხმო, ამასობაში ფრაუ ელკე ცხენთან მივიდა და შეათვალიერა, მერე თავი გადაიქნია და თქვა:

— ასეთი ცხენი ჩვენს თავლაში ჯერ არ გვყოლია.

ამ დროს სახლის კუთხიდან გამოვიდა მსახური ბიჭი კარსტენი. როგორც კი ცხენს თვალი მოჰკრა, შეშინებული შედგა.

— რა დაგემართა, კარსტენ? — შესძახა ზედამხედველმა. — წელკავი ხომ არ გაგიდგა! არ მოგწონს ჩემი თეთრონი?

— კი... კი, ბატონო, რატომაც არა.

— მაშ თავლაში წაიყვანე, ოღონდ საჭმელს ნუ დაუყრი. შეც ახლავე მოვალ.

ბიჭმა თეთრონის ავშარას ფრთხილად მოჰკიდა ხელი, მერე კი, თითქოს თავის დაცვას ცდილობსო, უცბად წაბლას აღვირს წაეტანა.

ჰაუკე და მისი მეუღლე ოთახში შევიდნენ. ცოლს უკვე მოემზადებინა თბილი ლუდი, პური და კარაქი.

ჰაუკე ჭამას მალე მორჩა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. ჩამავალი მზის სხივები ოთახის შორენკეცებს დასთამაშებდა.

— გინდა გიამბო, ელკე, როგორ ვიყიდე ეს ცხენი? — წამოიწყო ჰაუკემ. — მთავარ ზედამხედველთან თითქმის ერთ

საათს ვიყავი. მან კარგი ამბავი დამახვედრა. შეიძლება, ჩემს ნახაზებში ზოგიერთი რამ შეიცვალოს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩემებური კვეთი მოიწონეს და ერთ-ორ დღეში ახალი ჯებირის მშენებლობის დაწყების ბრძანებას მივიღებთ.

— მაშასადამე, მაინც მივიღებთ? — დარდიანად ამოიოხრა ელკემ.

— ჰო, ელკე, — მიუგო ჰაუკემ. — მართალია, გაგვიჭირდება, მაგრამ მამაზეციერმაც ხომ სწორედ იმიტომ შეგვაერთა, რომ გასაჭირში ურთიერთს მხარი მივცეთ. ჩვენი მეურნეობა კარგად გვაქვს აწყობილი, ამჟამად მას ძირითადად შეიძლება შენც გაუძღვე. აბა, წარმოიდგინე, რა მიწები გვექნება ათიოდე წლის შემდეგ!

ქმრის პირველსავე სიტყვებზე ელკემ მისი ხელი საკუთარში მოიქცია და მაგრად მოუჭირა, თითქოს ამით თავისი თანხმობა აგრძნობინაო, მაგრამ ბოლო სიტყვებმა თითქოს მოლოდინი გაუმტყუნა.

— ვისთვის გინდა, მერე, ეგ მიწები? — იკითხა ქალმა. — ალბათ, სხვა ქალის თხოვა გერჩია. ეტყობა, შვილებს მე ვერ გაგიჩენ.

ქალს თვალებიდან ცრემლი გადმოსცვივდა. ქმარმა მაგრად მოხვია ხელი.

— ეგ საქმე მამაზეციერს მივანდოთ, — მიუგო ჰაუკემ. — ჯერ ხომ ახალგაზრდები ვართ, თვითონვე გავიხარებთ ჩვენი ნაშრომის შედეგით.

დიდხანს შესცქეროდა ელკე ქმარს.

— მაპატიე, ჰაუკე, — წარმოთქვა ბოლოს. — ზოგჯერ გულგატეხილობა მომიცავს ხოლმე.

კაცი მისკენ დაიხარა და აკოცა:

— შენ ჩემი ცოლი ხარ, მე შენი ქმარი. ეს ასეა და სამუდამოდ იქნება ასე.

ქალმა ქმარს მაგრად შემოხვია კისერზე მკლავები.

— მართალი ხარ, ჰაუკე. ხოლო, თუ კი რამ ავი საქმე დაგვემართება, დაე ორივე ერთად შეგვიწიროს. — ქმარს ხელი გაუშვა და წყნარად უთხრა:

— ჰო, მომიყევი იმ თეთრონის ამბავი.

— მოგიყვები. უკვე გითხარი, რომ მთავარი ზედამხედველის დახვედრებულმა კარგმა ამბავმა გამახარა-მეთქი. ის იყო ქალაქიდან წამოველ და ცხენს ჯებირზე მოვაჭენებდი, რომ ნავმისადგომის უკან ერთ დაფლეთილსამოსიან ბიჭს გადავეყარე. არ ვიცი, ვინ იყო—მაწანწალა, მკალავი თუ აბის მსგავსი რამ. ბიჭს უკან ავშარით ეგ ჯაგლაგი მოჰყავდა. ცხენმა ასწია თავი და უაზრო თვალები მომაპყრო, თითქოს რაღაცას მეხვეწებაო. ფული ხომ თან მქონდა, ავდექი და ბიჭს შევუყვირე:

— ჰეი, ჩვენებურო, სად მიგყავს ეგ ლაფშა?

ბიჭიც გაჩერდა და ჯაგლაგიც.

— გასაყიდად, — მომიგო მან და თვალი ეშმაკურად ჩამიკრა.

— გაყიდე, ოღონდ მე ნუ მომყიდი, — გავეპასუხე მხიარულად.

— მე კი ვფიქრობ, რომ სწორედ თქვენ უნდა მოგყიდოთ! — მიპასუხა მან. — დასაწუნი არაფერი აქვს, ეს ტალერზე ნაკლები არ ღირს.

გამეცინა.

— ჰო, რად გეცინებათ? მე ხომ ამდენს არ ვითხოვ. ცხენი

არ მჭირდება, ჩემ ხელში სულ წახდება. თქვენთან კი მალე მოიკეთებს.

ჩემი წაბლადან ჩამოვხტი და თეთრონს კბილები გავუსინჯე. აღმოჩნდა, რომ ცხენი ჯერაც ახალგაზრდა იყო.

— რამდენი გინდა? — შეეკითხე ბიჭს, რაკიღა შევამჩნიე, რომ ცხენმა კვლავ თითქოს მუდარით შემომხედა.

— ოცდაათ ტალერად წაიყვანეთ, ბატონო, ავშარასაც თან გამოვატან.

ასე შევთანხმდით და მორიგების ნიშნად ბიჭს ხელი დავურტყი, ჩაშავებული ხელი კი ისეთი ჰქონდა, თითქოს მარწუხიაო. ვფიქრობ, ცხენი იაფად ვიშოვე. ოღონდ გასაკვირელი ეს იყო, ცხენი რომ წამოვიყვანე, ზურგს უკან სიცილი შემომესმა, თავი შევაბრუნე და დავინახე, ბოშას ფეხები გადაუჯვარედინებია, ხელები ზურგზე დაუკრეფია და ავსულივით ხითხითებს.

— ფუი, ეშმაკს! — წამოიძახა ელკემ. — ნეტა კი ძველი პატრონიდან ცუდი რამ არ მოგიტანოს. ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს!

— ყოველ შემთხვევაში, ცხენი ჩემთან ცუდად არ იქნება, რამდენადაც ჩემზე არის დამოკიდებული, — მიუგო ზედამხედველმა და თავლაში გასწია.

...ცხენს ამ საღამოს ჰაუკემ თავის ხელით მისცა საჭმელი, შემდეგაც მუდამ თავის ხელით ჰკვებავდა და თვალს არ აცილებდა. სურდა დაემტკიცებინა, რომ ძალიან სარფიანად იყიდა და ამისთვის არაფერს იშურებდა. ორიოდ კვირაში ცხენი შესამჩნევად შეიცვალა: უხეში ბალანი თანდათან გასცვივდა, ლურჯი, ვაშლივით კრიალა ბეწვი ამოუვიდა და, როცა ერთ დღეს ჰაუკემ იგი ეზოში გაიყვანა, მაგარ, მოქნილ ფეხებზე

ცხენმა მოხდენით შეიჯირითა. ჰაუკეს გაახსენდა, რა უცნაურ ვითარებაში იყიდა ცხენი და თავისთვის ჩაილაპარაკა: — ან ბიჭი იყო ის ბიჭი, ანდა ავაზაკი და ცხენი მოპარული ჰყავდა.

მალე ამის შემდეგ, როგორც კი ცხენი პატრონის ფეხის ხმას გაიგონებდა, თავს შეაბრუნებდა და ჭიხვინით შეეგებებოდა ხოლმე. ჰაუკემ შეამჩნია, რომ თავის მერანს არაბული ცხენის მსგავსი, გამხდარი თავი ჰქონდა და ყავისფერი თვალები უბრწყინავდა.

ერთხელ ჰაუკემ თეთრონი თავლიდან გამოიყვანა და მსუბუქი უნაგირი დაადგა. შეჯდომა ძლივს მოასწრო, რომ ცხენმა მხიარულად შეიჭიხვინა, ადგილს მოსწყდა, მიწაყრილზე დაქანდა და ჯებირისაკენ გაფრინდა. მაგრამ მხედარი მტკიცედ იჯდა და, როცა ისინი ზემოთ ავიდნენ, ცხენი ნელ, მსუბუქ ნაბიჯზე გადავიდა, თითქოს ცეკვავსო, თან თავს ზღვისკენ გაიქნევდა ხოლმე. ალაპლაპებულ კისერზე ჰაუკე ხელს უთათუნებდა, მაგრამ ახლა ეს დამამშვიდებელი ღონისძიება საჭირო აღარ იყო, ცხენი მთლად მხედრის ნებას დამორჩილებოდა. პატრონმა თეთრონი ჯებირზე რამდენიმე ხანს ჩრდილოეთით აჭენა, შემდეგ მორჩილად შეაბრუნა და თავლისკენ წაიყვანა.

მსახურები ფერდობის ძირში იდგნენ და ბატონის მობრუნებას ელოდებოდნენ.

— ასე, ივენ, — დაიძახა ჰაუკემ და ცხენიდან ჩამოხტა. — ახლა შენ შეჯექი და საბალახოზე წადი ცხენებთან. ისე გატარებს, ვითომც აკვანში წოლილიყვე.

სანამ მოჯამაგირე უნაგირს ხდიდა, ტაიჭმა თავი შეარხია და ისეთი დაიხვიხვინა, რომ მისი ხმა მზით გაბრწყინებულ მარშის ველებს მოეფინა. ივენმა აღკაზმულობა სათავსოში წაიღო. ცხენმა თავი პატრონს დაადო მხარზე და ჰაუკეს მოა-

ლერსებით ნაამები გაიტრუნა. მაგრამ, როგორც კი მოჯამაგირემ ზურგზე მოხტომა დაუპირა, ცხენი მოულოდნელად გვერდით გახტა, შემდეგ კი უძრავად დადგა და მშვენიერი თვალები პატრონს მიაპყრო.

— ჰეი, ივენ! — შესძახა ჰაუკემ და ასაყენებლად მოჯამაგირისაკენ გაქანდა. — ხომ არაფერი გატკინა?

ივენი მონდომებით იბერტყავდა თეძოს.

— არაფერი, ბატონო, მაგრამ დაე მაგ ცხენზე ეშმაკი შეჯდეს!

— და მე! — ღიმილით დაუმატა ჰაუკემ. — მაშ, აღვირში მოჰკიდე ხელი და საბალახოზე წაიყვანე.

ცოტა არ იყოს, დარცხვენილმა მოჯამაგირემ ცხენს აღვირში წაავლო ხელი და თეთრონიც მორჩილად გაჰყვა.

...რამდენიმე დღის შემდეგ მოჯამაგირე და მსახური ბიჭი თავლის კართან მიმდგარიყვნენ. ჯებირის იქით თანდათან ბრეგიდა დაისი, მარშის ველი კი უკვე სიბნელეს მოეცვა. მხოლოდ ზოგჯერ თუ გაიგონებდით სადღაც შორს შეშფოთებული პირუტყვის ბღავილს ანდა თრითინისა თუ წყლის ვირთხის ბრჭყალებში მოხვედრილ ტოროლას ›ჭყივილს ივენი კარის წირთხლს მიეყრდნო და თავისი მოკლე ჩიბუხი გაამოლა, თამბაქოს ბოლს კი ვერ ხედავდა. ივენი და ბიჭი ხმას არ იღებდნენ. კარსტენს, ეტყობოდა, გულში რაღაც აწუხებდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, ივენთან ლაპარაკი როგორ წამოეწყო.

— ივენ, — დაიწყო მან ბოლოს, — ხომ გახსოვს, ეევერსის კუნძულზე რომ ცხენის ჩონჩხი ეგდო?

— კი, ეგდო. მერე რა იქნა? — იკითხა მოჯამაგირემ.

— ჰოდა, რა იქნა? იქ აღარ არის! აღარც დღისით ჩანს,

ალარც მთვარის შუქზე. ერთი ოცჯერ მაინც ავედი ჯებირზე.

— რამდენი ხნის ჩონჩხი იყო, ალბათ, დაიშალა, — მიუგო ივენმა და ჩიბუხის წევა მშვიდად განაგრძო.

— მთვარიან ღამით გავედი იქ, მაგრამ იეევრსის კუნძულზე ალარავინ არ დადის.

— მაშ, რა იქნება, ჩონჩხი დაიშალა და როგორღა ადგება?

— მოეშვი ხუმრობას, ივენ! ვიცი, სადაც არის. გინდა გითხრა, სადაც არის?

მოჯამაგირე ერთბაშად მისკენ შებრუნდა:

— ჰო, აბა მითხარი, სად არის!

— სად და... — გაიმეორა ბიჭმა მრავალმნიშვნელოვნად,— ჩვენს თავლაში. ჰო, ჩვენს თავლაშია მას შემდეგ, რაც იმ კუნძულზე ალარ გდია. ტყუილად კი არ კვებავს მას ჩვენი ბატონი საკუთარი ხელით. ვიცი, რაშიც არის საქმე.

მოჯამაგირე ერთი ხანობა გაცხარებით ქაჩავდა ჩიბუხს და თამბაქოს ბოლქვებს კუნაპეტ ღამეს უერთებდა.

— დიდი ჭკუით ვერ დაიკვეხნი, კარსტენ! — წარმოთქვა მან ბოლოს. — ჩვენს თეთრონზე ამბობ? კარგი ჩონჩხია! ნამეტანი უშიშარი ყოფილხარ, დედაბრების ზღაპრებს აჰყოლიხარ!

... ამ საუბარმა ბიჭს რწმენა ვერ შეუცვალა. რატომაც არ შეიძლებოდა, თუკი ჩონჩხში ეშმაკის სული ჩასახლდებოდა, რომ იგი ცოცხალ ცხენად გადაქცეულიყო? დიახაც რომ შეიძლებოდა! ყოველთვის, როცა საღამოობით ბიჭი თავლაში შევიდოდა, სადაც ცხენი ხანდახან ზაფხულობითაც იყო ხოლმე, თეთრონი თავს მისკენ შეაბრუნებდა და აბრიალებულ თვალებს მიანათებდა.

— ეშმაკსაც წაუღიხარ! — ბუზღუნით მიახლიდა ბიჭი. — ერთად მაინც დიდხანს აღარ გვედგომება.

ბიჭმა ბატონის უჩუმრად სხვა სამსახურის ძებნა დაიწყო, მერე ჰაუკესაც აცნობა, და ყოვლადწმიდის დღესასწაულზე ოლე პეტერსის ოჯახში დადგა მოსამსახურედ. აქ მას ყურმოკრული ამბების კარგი მსმენელები დაუხვდა, მონდომებით უსმენდნენ მის მონაჩმახს ჯებირის ზედამხედველის ავსულჩასახლებულ ცხენზეც. ფაშფაშა ფრაუ ვოლინა და მისი გონებადაბლაგვებული მამა, იეს ჰარდერსის დროის ყოფილი ნდობით აღჭურვილი პირი, უსმენდნენ შემზარავ ამბებს და შემდეგ უყვებოდნენ ყველას, ვინც კი ზედამხედველზე გულარჯალად იყო, ანდა საერთოდ ასეთი მითქმა-მოთქმა აინტერესებდა.

მარტის ბოლო იყო, როცა მთავარი ზედამხედველის კანცელარიიდან ახალი ჯებირის მშენებლობის დაწყების ბრძანება მოვიდა. ჰაუკემ პირველ რიგში ნდობით აღჭურვილი პირები მოიწვია. დანიშნულ დღეს ისინი ეკლესიის მოედანზე მდებარე ფუნდუკში შეიყარნენ და ჰაუკემ მათ დამტკიცებული დოკუმენტის ძირითადი პუნქტები წაუკითხა: თავისი წინადადებანი, მთავარი ზედამხედველის დასკვნები და საბოლოო გადაწყვეტილება. მიღებულ იქნა მისი წარდგენილი ჯებირის კვეთი, რომლის მიხედვითაც ახალი ჯებირი წინანდებურად ციცაბოდ კი არ უნდა დაშვებულიყო ზღვისკენ, არამედ თანდათანობით, დაქანებულად. მაგრამ ვერც ერთი დამსწრის სახეზე ზედამხედველმა ვერც სიხარული შენიშნა და ვერც კმაყოფილება.

— ჰო, ჰო, — წამოიწყო ერთმა მოხუცმა ნდობით აღჭურვილმა, — კარგი საჩუქარი კი მივიღეთ. ახლა რამდენიც გინდა

შეედავე, რაღა გვიშველის, მთავარი ზედამხედველი ისე იქცევა, როგორც ჩვენსას უნდა.

— მართალი ხარ, დეტლევ ვინს, — დაუმატა მეორემ. — კარზე გაზაფხულის სამუშაოები მოგვდგომია და ახლა კიდევ ამხელა უშველებელი ჯებირი ააშენეთო. ეს ყველაფერი ხომ გასაკეთებელი დარჩება.

— მინდვრის სამუშაოებს რომ მოვრჩებით, ამ საქმეს მერე შევუდგებით, — დაიწყო ჰაუკემ. — ნელა დავიწყებთ, თავ-პირის მტვრევა რა საჭიროა.

მაგრამ ამაზეც ბევრი არავინ დათანხმებია.

— საქმე ეგ შენი ახალი კვეთია! — ჩაურთო მესამე ნდობით აღჭურვილმა და ცეცხლს ნავთი დაასხა.

— ეს ჯებირი ხომ ზღვის მხარეზე ჩვენი ლავრენცის შვილზე განიერი უნდა იყოს. სამშენებლო მასალას სად ვიშოვით? ანდა სამუშაოს როდის მოვრჩებით?

— თუ წლეულს არა, საგაისოდ მაინც. ეს უმეტესად ჩვენზეა დამოკიდებული, — მიუგო ჰაუკემ.

შეკრებილთა შორის პირქუში სიცილი გაისმა.

— მერე და რა საჭიროა ეს უსარგებლო შრომა? ახალი ჯებირი ხომ ძველზე უფრო მაღალი არ იქნება! — წამოიძახა ახალმა ხმამ. — ხოლო ძველი ჯებირი, ჩემი აზრით, უკვე ოცდაათზე მეტი წელია მკვიდრად დგას!

— მართალია, — დაეთანხმა ჰაუკე, — ძველი ჯებირი უკანასკნელად ოცდაათი წლის წინათ გაგლიჯა ზღვამ, მანამდე კი ოცდათხუთმეტი წლის წინათ, ხოლო სულ პირველად — ამ ასათი წლის წინათ. ახლა კი, მართალია, იგი გონივრულად არ არის აშენებული და შვეულად არის ზღვაში შეჭრილი, ოცდაათი წელია მაინც დგას. მაგრამ ამ ხნის მანძილზე ზღვაზე

მძლავრი შტორმები არა ყოფილა. ახალი ჯებირი კი, დიდი ქარიშხალიც რომ იყოს, ასი და ორასი წელიც გაძლებს, რადგან ზღვის მხარეს თანმიმდევრული დაქანება, გამოქანებულ ტალღებს წინააღმდეგობას არ ახვედრებს. ამრიგად, ამ ჯებირით თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის ზღვას ართმევთ საიმედოდ დაცულ მიწას. ამის გამო ეს ჯებირი თქვენს სასარგებლოდაც უნდა მიგაჩნდეთ. აი ამიტომ მიჭერენ მხარს ბატონები და მთავარი ზედამხედველი.

შეკრებილთაგან ერთხანს ხმა არავის ამოუღია, შემდეგ სკამიდან წვალებით წამოდგა ერთი მხცოვანი მოხუცი კაცი. ეს იყო ფრაუ ელკეს ნათლია, იევე მანერსი, რომელიც ნდობით აღჭურვილად ჰაუკეს თხოვნით დარჩა.

— ზედამხედველო ჰაუკე ჰაიენ, — დაიწყო მან. — შენ ბევრ თავშისახლელს გვიჩენ, ამას ხარჯიც საკმაო მოსდევს. მე ვისურვებ ეს საქმე მანამდე არ წამოგეწყო, სანამ უფალი არ მიიბარებდა ჩემს სულს. მაგრამ შენ მართალი ხარ და ამაში მხოლოდ უგუნურს თუ შეუძლია, შემოგედავოს. ყოველ დღე ღმერთს მადლს უნდა ვწირავდეთ, რომ, ჩვენი წელანგარობის მიუხედავად, აბობოქრებულმა ზღვამ ძვირფასი მიწა ხელიდან არ გამოგვაცალა. ახლა კი ბარე თერთმეტი საათია იმაზე ვდავობთ, გამოვიყენოთ თუ არა ჩვენი ცოდნა, რათა საკუთარი თავი თვითონვე დავიცვათ და ბოროტად არ გამოვიყენოთ ღვთის დიდსულოვნება. მე, ჩემო მეგობარო, მოხუცი ვარ, ჯებირების შენებასაც შევსწრებივარ და ნგრევასაც. მაგრამ იმ ჯებირის დანგრევას, რომელიც ჰაუკე ჰაიენმა ღვთის ნებით დააპროექტა და უფროსებთან გაიტანა, არც ერთი თქვენგანი არ შეესწრება. და თუ თქვენ არ ეტყვით მას მადლობას, რო-

ცა იქნება, თქვენი შვილიშვილები მაინც დიდების გვირგვინით შეამკობენ.

იევე მანერსი ისევ დაჯდა, ჯიბიდან ლურჯი ხელსახოცი ამოიღო და გაოფლილი შუბლი მოიწმინდა. ეს კაცი მუდამ გონივრულობითა და შეულახველი სამართლიანობით იყო ცნობილი და, მიუხედავად იმისა, რომ იქ შეკრებილნი მისი მხარის დაჭერას არ აპირებდნენ, ხმა არც კარგად ამოიღეს და ალარც ავად.

ახლა ისევ ჰაუკე ჰაიენმა ითხოვა სიტყვა. შეკრებილთაგან ყველამ შეამჩნია, როგორ გაუკრთა ფერი სახეზე.

— მადლობელი ვარ თქვენი, იევე მანერს, — უთხრა მან მოხუცს, — იმის გამო, რომ ისევ ჩვენთან ხართ და იმის გამოც, რომ ასეთი სიტყვა თქვით. თქვენ კი, დანარჩენ ნდობით აღჭურვილთ, უნდა გითხრათ, რომ ახალი ჯებირის მშენებლობის საქმე, რომელიც, რასაკვირველია, ჩემი საწვალებელია, არ შეგვიძლია შევცვალოთ და, მოდით, ახლა იმაზე ვიმსჯელოთ, თუ უკეთ როგორ მოვაგვაროთ.

— დაიწყეთ! — წარმოთქვა ერთ-ერთმა ნდობით აღჭურვილმა და ჰაუკემაც მაგიდაზე ახალი ჯებირის ნახაზი გაშალა.

— წელან ერთმა იკითხა, — დაიწყო ჰაუკემ, — ამდენი მიწა საიდან მოვიტანოთო? თქვენ კარგად იცით, რომ ჯებირიდან ზღვის პირამდე მიწის ზოლია დარჩენილი. სამშენებლოდ მიწას გამოვიყენებთ აქედან და მოაჯირის ჩრდილოეთითა და სამხრეთით მდებარე შემოერთებული ნაკვეთებიდან. თუ ზღვის მხრიდან საჭიროა გამძლე თიხა, ჯებირის შიგნითა მხარისა და შუა ნაწილისთვის ქვიშის გამოყენებაც შეიძლება. ახლა პირველ რიგში მიწისმზომელი უნდა გამოვიძახოთ, რომელიც ახალი ჯებირის ხაზს მონიშნავს ნაპირზე. ამ საქმეში, ჩემი აზ-

რით, ყველაზე უკეთ ის გამოდგება, ვინც პროექტის შედგენა მიშველა. ამას გარდა, თიხისა და სხვა მასალის მოსაზიდავად რამდენიმე ურმის ოსტატს უნდა შევუკვეთოთ ხელნიანი თვითმცლელი ურემი. სადინარის გადასაღობად და ჯებირის შიგნითა მხარეს სილასთან ერთად ნამჯაც დაგვჭირდება. ჯერჯერობით არ შემიძლია გითხრათ, რამდენი ურემი მოუნდება მთელი ჯებირის ამოშენებას, შესაძლოა, უფრო მეტი, ეიდრე შარშებზე თავს მოვუყრით. ჰოდა, მოდი, ახლა პირველ რიგში ეს მოვიფიქროთ, სად ვიშოვოთ ეს ყველაფერი და როგორ მოვზიდოთ. ამას გარდა, დასავლეთით რაბის გაკეთება, რაც უკვე შემდგომი საქმეა, ვინმე კარგ ხელოსანს უნდა მივანდოთ.

შეკრებილები მაგიდასთან მივიდნენ, ცალი თვალით გაშლილ რუკას დახედეს და ნელ-ნელა ლაპარაკს შეუდგნენ. მაგრამ, როგორც ჩანდა, თითქოს იმიტომ ალაპარაკდნენ, რომ რაღაც ეთქვათ. როცა საქმე მიწის მზომელის მოწვევაზე მიდგა, ერთმა ახალგაზრდა ნდობით აღჭურვილმა შენიშნა.

— ეს ყველაფერი თქვენი ჩაფიქრებულია, ზედამხედველო, და თქვენ ისიც უკეთ გეცოდინებათ, ამ საქმის მინდობა ვისთვის აჯობებს.

ჰაუკე არ დაეთანხმა:

— რაკიღა თქვენ ფიცი გაქვთ დადებული, იაკობ მაიენ, თქვენი საკუთარი აზრი უნდა გამოთქვათ და არა ჩემი გაიმეოროთ, ხოლო თუკი თქვენი მოსაზრება უკეთესი, იქნება, მე ჩემსას უკან წავიღებ.

— რასაკვირველია, ასე ჯობს, — მიუგო ამაზე იაკობ მაიენმა.

მაგრამ ერთ მოხუც ნდობით აღჭურვილს მთლად ასე არ უჯობდა.

ჩემი ძმისწულიო, განაცხადა მან, ისეთი მიწისმზომელია, რომ ჩვენ მარშებზე ისეთი ჯერ არავინ ყოფილა. ის თვით ახლანდელი ზედამხედველის მამაზე, განსვენებულ ტედე ჰაუენჰე უკეთესიც არისო.

ასე დაიწყო კამათი, თუ ორი მიწისმზომელიდან რომელი შეერჩიათ და ბოლოს გადაწყდა, საქმე ორივესთვის მიენდოთ.

ასეთივე საკამათო გახდა ურმების საქმეც, ნამჯის შოვნაც და დაქანცული ჰაუკე ღამით გვიან დაბრუნდა შინ თავის წაბლათი, რომელიც მას თეთრონით ჯერ კიდევ არ შეეცვალა, როგორც კი ჰაუკე თავისი პატივცემული, მაგრამ ვაცილებით ლაღად მცხოვრები წინამორბედის მიერ დატოვებულ ძველ საკარძელში ჩაეშვა, ცოლიც გვერდით ამოუდგა.

— ძალზე დაღლილი გამოიყურები, ჰაუკე, — მიმართა მეუღლეს და პატარა ხელით შუბლიდან თმა გადაუწია.

— ჰო, ცოტა დავიღალე, — მიუგო ჰაუკე.

— საქმე როგორ არის?

— პირი აეწყო, — მწარე ღიმილით შენიშნა მან. — მაგრამ ჯარა მე უნდა ვაბრუნო და იმაზეც მადლობელი უნდა ვიყო, თუ იმათ ხელი არ შემიშალეს.

— მაგრამ, ალბათ, ყველა არ შეგიშლის ხელს!

— არა, ელკე, ნათლიაშენი იევე მანერსი კარგი კაცია. ნეტა კი ოცდაათი წლით ახალგაზრდა იყოს.

როცა რამდენიმე კვირის შემდეგ ჯებირის ადგილი მონიშნეს და ურმების მეტი ნაწილიც გამოიძებნა, ჯებირის ზედამხედველმა ფუნდუკში შეჰყარა ახალი ჯებირით მისაღები მიწის წინასწარი მფლობელებიცა და ძველი მეპატრონენიც. საჭიროა იყო განეხილათ სამუშაოს და ხარჯების განაწილების გეგმა.

და მოესმინათ შესაძლო წინააღმდეგობანი. საჭირო იყო ძველი ჯებირის უკან მდებარე მიწის მფლობელებსაც თავისი წვლილი შეეტანათ მშენებლობაში, რადგან ახალი ჯებირი და არხები ამცირებდნენ უკვე არსებული ნაგებობების შესანახ ხარჯებს. ეს გეგმა ჰაუკეს დიდძალ შრომად დაუჯდა, და მთავარ ზედამხედველს მისთვის შიკრიკის გარდა მწერალიც რომ არ მიეცა, ასე მალე ვერ გაამზადებდა, თუმცა ყოველ დღე გვიანობამდე მუშაობდა.ახლა,როგორც კი ჰაუკე მკვდარივით ღიქანცული თავის სავანემდე მიაღწევდა, მის მეუღლეს უწინდებურად თავის მომძინარება როდიღა სჭირდებოდა: მუშაობა იმდენად აცლიდა ძალ-ღონეს, რომ ღამე მკვდარივით ეძინა.

ჰაუკემ იქ მყოფთ გეგმა გააცნო და მაგიდაზე გაშალა ნახაზები, რომლებიც მანამდეც სამი დღის განმავლობაში ყველას სანახავად ფუნდუკში იყო გაკრული. აქ დამსწრეთაგან ზოგიერთი პატივისცემით უყურებდა ამ კეთილსინდისიერი მუყაითობით შესრულებულ სამუშაოს და მისი გულდადინჯებული განხილვის შემდეგ ემორჩილებოდნენ საკითხის ასე სამართლიანად გადაწყვეტას, მაგრამ სხვები, რომლებსაც თავიანთი წილი ახლადშემოსამიჯნ მიწაზე ან თვითონ გაეყიდათ ან მათ მამაპაპას თუ სხვა წინაპრებს, უკმაყოფილოდ ბუზღუნებდნენ, — გვაიძულებენ იმ მარშისთვის გავწიოთ ხარჯი, რომელიც ჩვენ არ გვჭირდებაო. ამ ხალხს ის მაინც ესმოდა, რომ ახალი სამუშაოების წყალობით მათი ძველი ნაკვეთები გადასახადებისაგან თანდათანობით გათავისუფლდებოდა. ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც ბედნიერი იყვნენ იმ წილით, რაც ერგოთ, მაგრამ მაინც ყვიროდნენ — უარს ვამბობთ ჩვენს ნაკვეთებზე, რადგან ამის ბეგარასაც ვერ აუვალთ და მზად ვართ ხალის ფასად გავყიდოთო, ოლე პეტერსმა კი, რომელიც გაბო-

როტებული სახით კარის წირთხლს მიყრდნობოდა, კბილებში გამოსცრა:

— გონს მოეგეთ და ჩვენს ზედამხედველს ნდობა ისე გამოუცხადეთ! მაგას ანგარიში არ ეშლება. მაგან უკვე ჩაიგდო ნაკვეთების მეტი ნაწილი, ჩემიც ხელებშუა გამომაცალა და ახლა მათი ჯებირით დაცვა გადაწყვიტა.

ამ სიტყვებზე იქ მყოფთ შორის ერთბაშად სამარისებური დუმილი ჩამოვარდა. ზედამხედველი იდგა მაგიდასთან, რომელზეც წეღან ქაღალდები გაშალა. მან თავი ასწია და ოლე პეტერსს გახედა.

— შენ კარგად იცი, ოლე პეტერს, რომ ცილს მწამებ, მაგრამ მაინც სჩადიხარ ამას, რადგან იცი, იმ ლაფის ნაწილი მაინც შემრჩება, რასაც მასხამ. სიმართლე კი ის არის, რომ შენ თავად არ გინდოდა შენი ნაკვეთი, მე კი ამ დროს ჩემი ცხვრისთვის საძოვარს ვეძებდი. ესეც იცოდე: შენ ერთხელ ფუნდუკში წამოროშე ბილწი სიტყვები, თითქოს მე ზედამხედველად ჩემი ცოლის წყალობით დამაყენეს. აი ამის გამო მინდა დაგიმტკიცოთ, რომ ამ ადგილის ღირსი მე თავადა ვარ. ამჟამად, ოლე პეტერს, მე იმას ვაკეთებ, რაც წინამავალ ზედამხედველს უნდა გაეკეთებინა. შენ ჩემზე იმის გამო ბრაზობ, რომ შენი მიწის ნაკვეთები მე ვიყიდე, ამაო გაბოროტებაა! — შენ თავადაც ხომ გაიგონე, რამდენს უნდა, თავისი ნაკვეთი გაყიდოს, ოღონდ ამ სამუშაოს თავი როგორმე აარიდოს.

შეკრებილთა მცირე ნაწილს მოწონების შეძახილი აღმოხდა, ხოლო იქვე მდგომმა იევე მანერსმა ხმამაღლა წამოიძახა:

— ბარაქალა, ჰაუკე ჰაიენს! მამაზეციერმა მოგიმართოს ხელი.— მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა, უთმცა ოლე პეტერსმა კი ენა ჩაიგდო. ხალხი ვახშმობისას დაიშალა.

შემდეგ შეკრებაზე ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ ისიც მას შემდეგ, რაც ჰაუკემ სამი ფორანის ნაცვლად, ოთხის გამოყვანა ივალდებულა.

ბოლოს, როცა სამებობის მაუწყებელი ზარების რეკვა შეწყდა, ჯებირის მშენებლობას შეუდგნენ: განუწყვეტელ ნაკადად მიედინებოდა ფორნები სანაპირო ზოლიდან ჯებირის მშენებლობის ადგილისაკენ, ყრიდნენ მიტანილ მიწას და ისევ გაწალიკებით ბრუნდებოდნენ უკან ახალი გზის წამოსაღებად. მუშები მოტანილ თიხას ბარებითა და ნიჩბებით იმ ადგილას ყრიდნენ, სადაც საჭირო იყო და ასწორებდნენ. მოჭქონდათ ნამჯისა და ჭილის უზარმაზარი ბულულები და სცლიდნენ. ნამჯა-ჭილს იყენებდნენ მსუბუქი საშენი მასალის — ქვიშასა და ფხვიერ მიწაში ჩასატანებლად, რასაც ჯებირის შუაში ხმარობდნენ; ნელ-ნელა დამთავრდა ჯებირის ცალკეული მონაკვეთები, რომელთა თავზე მოლაგებულ ბელტებს, აბეზარი ტალღებისაგან დასაცავად, ალაგ-ალაგ ჭილოფებში აქცევდნენ. საგანგებოდ გამოყოფილი ზედამხედველები აქეთ-იქით დარბოდნენ და, ქარიშხალი რომ ამოვარდებოდა, ბრძანებას ყვირილით გადასცემდნენ. აქვე შეამჩნევდით თავის თეთრონზე ამხედრებულ ზედამხედველს — იგი ახლა სულ თეთრონზე იჯდა. როცა პატრონი სწრაფ და მოკლე ბრძანებებს იძლეოდა, მუშებს აქებდა ანდა ზარმაცსა და უგერგილოს შეუბრალებლად აძევებდა სამუშაოდან, — არც ეს ხდებოდა იშვიათად, — ცხენი ფრთაშესხმულივით დაჰქროდა აქეთ-იქით.

— არაფერი გეშველება! — შესძახებდა ხოლმე იგი ამ დროს. — შენი გულისთვის ჯებირს არ გავაფუჭებთ!

როგორც კი შორიდან ზემოთ მომავალი თეთრონის

ფრთხვინვა შემოესმოდათ, მუშები საქმეს გაფაციცებით ეცე-მოდნენ:

— აბა, მარჯვედ გაინძერით, თეთრცხენიანი მხედარი მო-დის!

როცა დილით წასახემსებლად მუშები მიწაზე ჯგუფ-ჯგუ-ფად მისხდებოდნენ, ჰაუკე ცხენით სამუშაო უბნებს მოივლი-და და მახვილი თვალით უცბად ატყობდა დაუდევრად ნამუ-შევარს. მერე უკან მობრუნდებოდა და ხალხს განუმარტავდა, თუ როგორ უნდა ემუშავათ, მუშები შეჰყურებდნენ ზედამ-ხედველს და მოთმინებით ღეჭავდნენ ლუკმას. მაგრამ მასთან თავიანთ აზრს არ გამოთქვამდნენ.

ერთხელ, ასეთი შემოვლის დროს, უკვე კარგად მოდღეევ-ბული იყო, ჰაუკემ ერთ ადგილას ნახა, რომ მონდომებით ემუშავათ. ზედამხედველი მოსაუზმე მუშებისაკენ გაემართა. ტაიჭიდან ჩამოხტა და კმაყოფილმა იკითხა, ასე სუფთად ვინ იმუშავაო. პირქუშად გამომზირალმა მუშებმა ზედამხედველს მოკრძალებით შეხედეს, მერე ნაყე-ნაყედ და უგულოდ ორი-ოდ სახელი ახსენეს. მსახური ჰაუკეს ცხენის აღვირს ორივ ხელით ჩასჭიდებოდა და შეშფოთებით შესცქეროდა პირუტყ-ვის მშვენიერ თვალებს. თეთრონი ბატკანივით მშვიდად იდგა და ჩვეულებისამებრ პატრონს თვალს არ აცილებდა.

— რა დაგემართა, მარტენ! როგორ მეხდაცემულივით გაშ-ტერებულხარ? — მიმართა მას ჰაუკემ.

— შეხედეთ, ბატონო, თქვენს ცხენს, ისე გაიტრუნა, თით-ქოს გულში რაღაც ავი განზრახვა აქვსო!

ჰაუკეს გაეცინა და აღვირი გამოართვა. ცხენმა მაშინვე ალერსით გაუსვა თავი მხარზე. ზოგი მუშა შემკრთალი შესცქე-როდა ცხენსა და პატრონს, ზოგი კი თითქოს არაფერი ენაღ-

ელებაო, ჩუმად ილუკმებოდა და დროდადრო ნამცეცებს უყრიდა თოლიებს, რომლებსაც საკენკი შეემჩნიათ და მუშებს ლამის თავზე ეხებოდნენ. ზედამხედველმა ერთხანს ანგარიშმიუცემლად უყურა სამათხოვროდ მოფრენილ თოლიებს, რომლებიც გადაყრილ ნამცეცებს მარჯვედ იჭერდნენ ნისკარტებით. შემდეგ ცხენს მოახტა და იქაურობას ისე გაეცალა, ხალხისთვის არ მიუხედავს.

მუშების მიერ ხმამაღლა წარმოთქმული რამდენიმე სიტყვა ზურგსუკან ჰაუკეს დაცინვად ჩაესმა.

„რას ნიშნავს ეს? — თავის თავს ეკითხებოდა ჰაუკე. — ნუთუ ელკე მართალი იყო, როცა მეუბნებოდა, რომ ყველანი შენი წინააღმდეგი იქნებიანო? მათ შორის არც ეს მოჯამაგირეები და სხვა წვრილფეხობა იქცევიან წესიერად, რომლებიც ახალი ჯებირით სიკეთეს უნდა ეწიონ!“

მან ცხენს დეზები ისე ამოჰკრა, რომ მერანი გახელებით დაეშვა ველზე. ჰაუკემ არაფერი იცოდა იმ თვალბედითი შარავანდედის თაობაზე, რომლითაც ყოფილმა ხელზე მოსამსახურე ბიჭმა შემოსა. მართლაც და, ნეტავი ახლა დაენახათ, როგორ უბრწყინავდა გამხდარ სახეზე ანთებული თვალები, როგორ დაუზოგავად მიაჭენებდა თავის თეთრონს და მოსასხამს ქარში აფრიალებდა!

... ასე გაიარა ზაფხულმა და შემოდგომამ. ნოემბრის ბოლომდე იმუშავეს, შემდეგ კი ყინვამ და თოვამ აიძულა გაჩერებულიყვნენ. რვა ფუტის სიმაღლეზე აყვანილი ჯებირი ვერ დაასრულეს და გადაწყვიტეს შემოფარგლული მიწა ასე დეტოვებინათ. დასავლეთ მხარეს, სადაც შემდგომში რაბი უნდა გაეკეთებინათ, თავისუფალი ადგილი დატოვეს. ზემოთაც, ძველი ჯებირის წინ, სადინარისთვის ხელი არ უხლიათ. ამ-

რიგად ზღვის ტალღებს, ისევე, როგორც ამ ოცდაათი წლის მანძილზე, კიდევ შეეძლო ახალი ჯებირის უკან შეეღწია, მაგრამ დიდ ზარალს ვეღარ გამოიწვევდა. ასე მიატოვა ღვთის იმედად კაცმა თავისი ნამუშევარი, სანამ გაზაფხულის მზე საშუალებას არ მისცემდა შესდგომოდა მის დამთავრებას.

... ამასობაში ზედამხედველის ოჯახში სასიხარულო ამბავი მოხდა: ქორწინების მეცხრე წლისთავზე ელკეს შვილი შეეძინა. ბავშვი წითელი და სახედანაოჭებული იყო და შვიდ გირვანქას იწონიდა, როგორც წესია, როცა ახლადდაბადებული მდედრობითი სქესის არის ხოლმე. ოღონდ რაღაც ყრუდ ჩხაოდა და ბებიაქალს ეს არ მოეწონა. მაგრამ ყველაზე ცუდი ამბავი ის იყო, რომ მესამე დღეს ელკეს მშობიარობის ცხელება დაეწყო და ვეღარც ქმარს სცნობდა და ვეღარც მოხუც ბებიას. ბავშვის დანახვით გამოწვეული უსაზღვრო სიხარული ჰაუკეს მწუხარებად შეეცვალა. ქალაქიდან მოყვანილი ექიმი ავადმყოფს საწოლთან უჯდა, მაჯას უსინჯავდა, წამლებს უწერდა და უმწეოდ იყურებოდა აქეთ-იქით. ჰაუკემ თავი გადააქნია და თავისთვის გადაწყვიტა: „ეს ვერაფერს უშველის, მარტო ღმერთია შემწეო“. მას საკუთარი რწმენა გამოემუშავებინა, მაგრამ რაღაც აჩერებდა, რომ ლოცვა-ვედრება დაეწყო. როცა მოხუცი ექიმი ქალაქში გაბრუნდა, ჰაუკე ფანჯარასთან მიდგა, ზამთრის დღეს გასცქეროდა და ავადმყოფის უაზრო წამოძახილს უსმენდა. ერთბაშად გულხელი დაიკრიფა, თუმცა თვითონაც ვერ გაეცნობიერებინა: ლოცვას აპირებდა, თუ არ უნდოდა საშინელ სასოწარკვეთას დამორჩილებოდა.

— წყალი! წყალი! — წამოიკვნესა ავადმყოფმა და უცბად აყვირდა: — დამიჭირე, დამიჭირე, ჰაუკე! — მერე ხმას დაუწია,

თითქოს ტირისო. — ზღვაში, ზღვაში! ღმერთო მოწყალე, კვლავ ვერასოდეს ვეღარ ვიხილავ!

ჰაუკე ავადმყოფთან მივიდა და მომვლელი ქალი იქაურობას გაარიდა. მერე საწოლის წინ მუხლებზე დაეცა და ცოლი გულზე მიიხუტა:

— ელკე! ელკე! რატომ არა მცნობ, ეს ხომ მე ვარ!

ქალმა სიცხიანი თვალები დააჭყიტა და განწირულად მიიხედ-მოიხედა.

ჰაუკემ ცოლი ისევ ბალიშზე მიასვენა.

— ღმერთო! ნუ წამართმევ მის თავს, — ხელების მტვრევით წამოიძახა მან, — შენ ხომ იცი, რომ უმისოდ ყოფნა არ შემიძლია.—მერე თითქოს გონს მოეგოო, ისე განაგრძო:—კარგად ვიცი, რომ არც შენ შეგიძლია ყოველთვის, როგორც გინდა, ისე მოიქცე, ჰო, არც შენ შეგიძლია, მაგრამ შენ ყოვლად უბრძენესი ხარ და ბრძნულად უნდა მოიქცე... ო, მამაო ზეციერო, ოდნავი ჩქამით მაინც გამეხმიანე, მანიშნე რამე!

უცბად თითქოს სამარისებური მდუმარება გამეფდა. ჰაუკეს სმენას ნელი სუნთქვის ხმა მისწვდა. ლოგინისკენ რომ შებრუნდა, დაინახა, ცოლს მშვიდად ეძინა, მომვლელი ქალი კი შეძრწუნებული შესცქეროდა ჰაუკეს. წამიერად კარის ჭრიალი მოისმა და ჰაუკემ იკითხა:

— ვინ იყო?

— მსახური ანა გრეტე გავიდა გარეთ, ბატონო, სათბურა შემოიტანა.

— რა დაბნეული შემომყურებთ, ფრაუ ლევკე?

— მე? თქვენმა ლოცვამ შემაკრთო. ასეთი ლოცვით სიკდილისგან ვერავის დაიხსნით!

ჰაუკემ მას გამსჭვალავად შეხედა.

— იმ ჩვენი ანა გრეტას მსგავსად თქვენც ჰოლანდიელ მკერავ ანტიესთან ხომ არ დადიხართ საიდუმლო შეკრებაზე?

— დიახ, ბატონო. ჩვენ ორივენი ცოცხალი რწმენის მიმდევრები ვართ.—ჰაუკემ არაფერი უპასუხა. იმ დროს აღზევებაში მყოფი სეპარატისტული მოძრაობა* ფრიზლანდიელებშიც პოხიერ ნიადაგს პოულობდა. მის გავრცელებაში მთავარ როლს თამაშობდნენ გაღატაკებული ხელოსნები და ლოთობის გამო გადაყენებული მასწავლებლები. მსახური გოგოები, მოხუცი თუ ახალგაზრდა ქალები, წელანგარა თუ ძარტოხელა კაცები სიამოვნებით გარბოდნენ ამ საიდუმლო შეკრებაზე, სადაც თითოეულ მათგანს შეეძლო სულიერი მამის როლი ეთამაშნა. ზედამხედველი ფიქრობდა, რწმენის საკითხში ჩარევა არ შეიძლება, რწმენა არავის არაფერს ვნებს და სამიკიტნოში ჯდომას იქ ყოფნა ჯობიაო.

ეს ამბავი მაშინ ამით დასრულდა. ჰაუკეს ამჯერადაც არაფერი უთქვამს, მაგრამ მის შესახებ კი ბევრს ლაპარაკობდნენ. ჰაუკეს ლოცვის სიტყვებმა ყველა სახლი მოიარა: მან ღვთის ყოვლისშემძლეობაში ეჭვი შეიტანაო. ხოლო რაღა იყო ღმერთი, თუკი ყოვლადძლიერი აღარ იქნებოდა? მაშასადამე, ზედამხედველი ღვთისმგმობელი გამოდიოდა. ალბათ, არც ის ხმები იყო ტყუილი, მის ცხენში ავსული ბუდობსო, რომ ამბობდნენ!

ჰაუკეს ამის თაობაზე არაფერი გაუგია. იმ დღეებში ცოლის გარდა არაფერი ადარდებდა, მისთვის ბავშვიც კი აღარ არსებობდა.

მოხუცი ექიმი კვლავ ჩამოვიდა. დადიოდა ყოველდღე, ზოგჯერ დღეში ორჯერაც. ერთხელ მთელი ღამე ავადმყოფთან გაატარა, წამალი გამოუწერა და მოჯამაგირე ივენ იონსმა რე-

ცეპტი აფთიაქში აფრინა. მალე ექიმს სახე გაუნათდა და ზედამხედველს ხალისიანად დაუქნია თავი:

— საქმე მოტრიალდა, ღვთის წყალობით, აღარა უშავს რა!

ერთ დღეს — ვინ იცის, ექიმის ხელოვნებამ გაიმარჯვა, თუ ჰაუკეს ლოცვის შემდეგ ღმერთმა სხვა გამოსავლის მოძებნა შესძლო — ავადმყოფთან მარტოდარჩენილმა ექიმმა გაიღიმა და ელკეს უთხრა:

— ახლა კი დამშვიდებით შემიძლია გითხრათ, რომ დღეს ექიმის დღეობაა. ძალზე ცუდად იყავით, მაგრამ ამჟამად ისევ ჩვენთან, ცოცხლებთან ხართ!

ქალის ჩაბნელებულ თვალებს სინათლის სხივი ჩაუდგა:

— ჰაუკე, ჰაუკე, სად ხარ? — დაიძახა ელკემ და როცა ამ ძახილზე კაცი ოთახში შემოვარდა და ცოლის ლოგინთან ჩაიჩოქა, ელკე მას კისერზე შემოეხვია.

— გადავრჩი, ჩემო ჰაუკე! ისევ შენ გვერდით ვიქნები!

მოხუცმა ექიმმა ჯიბიდან აბრეშუმის ცხვირსახოცი ამოიღო, შუბლსა და ლოყებზე მიისვ-მოისვა, თავი დაიქნია და ოთახიდან გავიდა.

... მესამე დღეს, საღამოთი, ჰოლანდიელ მკერავთან ერთი ღვთისმმოსავი ქადაგებდა. ეს გახლდათ ზედამხედველის მიერ სამუშაოდან გაძევებული ხარაზი. შეკრებილთ იგი ღვთის არსს განუმარტავდა:

— მაგრამ ვის ეპარება ეჭვი ღვთის ძლევამოსილებაში, ვინ ამბობს: „არც შენ შეგიძლია ყოველთვის, როგორც გინდა, ისე მოიქცეო“? ყველამ ვიცით, ეს უბედური ვინ არის. მთელ თემს იგი მძიმე ლოდივით დასწოლია, ღმერთს განდგომია და ღვთის მტერთან ეძებს სასოებას, ცოდვის მოწადინეა და გულსაც ცოდვის ჩადენით იოხებს, რამეთუ ხორციელ

ძეს სჭირდება ვიღაც მეოხე. თქვენ კი განერიდეთ მას, ვინც ასე ლოცულობს, რამეთუ ამგვარი ლოცვა გმობაა ღვთისა.

...ამ ქადაგებამაც მოიარა ყველა ოჯახი. ან კი რაღა არ გავრცელდება ერთ პატარა თემში. ამ ამბავმა ჰაუკეს ყურამდეც მიაღწია, მაგრამ ცოლისთვის არაფერი უთქვამს, არც ერთი სიტყვა. მხოლოდ ხანდახან ჩაიკრავდა ხოლმე გულში და ეტყოდა:

— ჩემი ერთგული იყავ, ელკე! არ მიღალატო!

ქალი გაოცებით შეაცქერდებოდა:

— შენი ერთგული? მაშ ვისი ვიქნები?

მაგრამ დიდმა ხანმა არ განვლო და ქალმა ქმრის სიტყვების მნიშვნელობა გაიგო.

— ჰო, ჰაუკე, ერთმანეთის ერთგულნი უნდა ვიყოთ, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ერთურთი გვესაჭიროება, — ეტყოდა ხოლმე ქალი. შემდეგ ორივენი ისევ სამუშაოს ეძალებოდნენ.

ამას რა უშავდა, მაგრამ გაცხოველებული მუშაობის მიუხედავად, ჰაუკეს ირგვლივ სიცარიელეს დაესადგურა და მის გულში თანდათან ფეხს იკიდებდა გაკერპება და ადამიანთაგან განდგომა. ცოლის მიმართ კი ძველებურად უცვლელი იყო, და დილა-საღამოობით ბავშვის აკვნის წინ ისე ჩაიჩოქებდა, თითქოს ის იყო მისი მარადიული სასოება. მუშებთან უფრო უწყალო გახდა. ზარმაცებსა და მოუხეშავებს, რომლებსაც უწინ უწყინარ საყვედურს აძლევდა და საქმის უკეთ გაკეთებას ასწავლიდა, ახლა უხეშად უყვიროდა. ამასობაში ელკე ნელ-ნელა ჯანმრთელდებოდა.

გაზაფხული რომ მოახლოვდა, ჯებირის მშენებლობა განახლდა. დასავლეთით, იქ სადაც ამჟამად ახალი რაბი უნდა გაეკეთებინათ, ცარიელი ადგილი ნახევარმთვარის ფორმის დამხმარე ჯებირით შემოზღუდეს. რაბის მსგავსად მთავარი ჯებირიც სწრაფად მიიწევდა სიმაღლეში. ზედამხედველს საქმეში შეღავათი მაინც არ უგრძნია, რადგან ზამთარში გარდაცვლილი იევე მანერსის ნაცვლად ახლა ოლე პეტერსი აირჩიეს ნდობით აღჭურვილ პირად. ჰაუკეს არ სურდა, რომ მისი არჩევისთვის ხელი შეეშალა. მაგრამ ახლა გამამხნევებელი სიტყვებისა და მარცხენა მხარზე მეგობრული ხელის მოთათუნების ნაცვლად, რასაც ელკეს მოხუცი ნათლია მიმართავდა ხოლმე, ჰაუკე ხშირად გრძნობდა იევე მანერსის შემცვლელის ჩუმ წინააღმდეგობას. ისინი ხშირად ერთმანეთს უსარგებლოდ ედავებოდნენ, რადგან ოლეს ჯებირის მშენებლობისა არაფერი გაეგებოდა. თანაც თავიდანვე ამ „მწერლუკას“ მიმართ მტრულად იყო განწყობილი.

ზღვასა და მარშის ველმინდვრებს კვლავ კაშკაშა ზეცა დაჰნათოდა. საძოვრებზე კვლავ გამოიშალა დიდრონი ჭრელი საქონელი, რომელთა ბღავილი ირგვლივ გამეფებულ მდუმარებას დროდადრო არღვევდა. შეუსვენებლად ჟივჟივებდნენ ცაში ტოროლები, მაგრამ მათი სიმღერა ადამიანებს მაშინ ახსენდებოდათ, როცა წამით დადუმდებოდნენ. კარგი ამინდი ხელს უწყობდა სამუშაოს და ახლა უკვე მოჩანდა რაბის შეუღებავი ნაგებობა, დამხმარე ჯებირი კი ერთი ღამითაც არ დასჭირვებიათ, როგორც ჩანდა, ახალ ჯებირს ღმერთი თავის წყალობას არ უშურებდა. ელკესაც თვალები უციმციმებდა, როცა თეთრონზე გადამჯდარი ქმარი ჯებირიდან შინ ბრუნდებოდა.

— ო, რა კარგად მოყოჩაღდი, — ეტყოდა ხოლმე ელკე ცხენს და მბზინავ კისერზე ხელს მოუთათუნებდა.

ჰაუკე ცხენიდან ჩამოხტებოდა, ცოლს ბავშვს გამოართმევდა და ხელში აათამაშებდა. ცხენიც ყავისფერ თვალებს მიაპყრობდა ბავშვს. ამ დროს ჰაუკე ცხენს ეტყოდა: „მოდი, შენც გერგოს პატივი!“ პატარა ვინკეს — ასე მონათლეს ბავშვი — უნაგირზე შესვამდა და თეთრონს ბორცვის ირგვლივ შემოატარებდა. ზოგჯერ „პატივი“ ბებერ კოპიტსაც ერგებოდა ხოლმე: ჰაუკე ბავშვს მის ტოტზე შესვამდა და აქეთ-იქით აქანავებდა. დედა კარებში ჩადგებოდა და იცინოდა, ბავშვი კი არ იცინოდა. ჩლუნგი თვალებით, რომელთა შუა პაწაწინა ცხვირი ამოზრდოდა, რაღაც უაზროდ უმზერდა სივრცეს. როცა მამა ბავშვს ჯოხს გაუწოდებდა, იგი არ ცდილობდა მისთვის პაწაწა ხელების ჩავლებას. ჰაუკე ამას ყურადღებას არ აქცევდა, ან კი პატარა ბავშვისა ჯერ რა იცოდა. ხოლო ელკე, როცა თავის შინამსახურის ქალის ხელში ვინკეს ტოლ ნათელთვალება გოგონას დაინახავდა, გულისტკივილით იტყოდა ხოლმე:

— ჩემი გოგონა ეგრე ვერ იზრდება, შტინა, როგორც შენი.

შინამსახური მეორე, კალთაზე გამობმულ ბუთხუზა ბიჭს სიყვარულით შეანჯღრევდა და ელკეს ეტყოდა:

— ჰო, ქალბატონო, ბავშვები სხვადასხვა ბუნებისანი იბადებიან. აი, ეს ორი წლისაც არ იყო, როცა საკუჭნაოდან ვაშლი მომპარა!

ელკე ხუჭუჭთმიან ბიჭს თავზე ხელს გადაუსვამდა და თავის უტყვ ბავშვს გულში ჩაიკრავდა.

... ოქტომბერი რომ მოახლოვდა, დასავლეთით რაბს უკვე ორივე მხრიდან მტკიცედ ამოსდგომოდა მთავარი ჯებირი,

რომელიც მთელ სიგრძეზე, სადინართან ღარჩენილ თავისუფალ ადგილამდე, ზღვისკენ თანდათან ეშვებოდა. ჯებირი წყლის ჩვეულებრივ დონეს თხუთმეტი ფუტით ასცილებოდა. ჩრდილო-დასავლეთიდან მოჩანდა ზღვის თავთხელი და ივერსის კუნძული. მაგრამ აქ ძლიერი ქარი იცოდა, ადამიანს თმას უწეწავდა და ქუდის მოგლეჯით ემუქრებოდა. ამიტომ ვისაც აქ ასვლა უნდოდა, თავსაბურავი მაგრად უნდა დაეხურა.

ნოემბრის ბოლოს, როცა წვიმები დაიწყო და შტორმი ამოვარდა, ძველსა და ახალ ჯებირს შორის არსებული ცარიელი ადგილის ამოვსებაღა გახდა საჭირო, აქედან ზღვა ახლად ათვისებულ მიწაზე იჭრებოდა. მისი ამოვსება ზაფხულის მშრალ ამინდში უფრო იოლი იყო, მაგრამ ახლა, უამინდობის მიუხედავად, იგი მაინც უნდა ამოვსებულიყო, რადგან ამტყდარ ღელვას შეეძლო მთელი ნამუშევარი დაეღუპა. ჰაუკე ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საქმე ბოლომდე მიეყვანა. წვიმა გაშმაგებით ასხამდა, ქარი ღმუოდა. მაგრამ შმაგ თეთრონზე ამხედრებული გამხდარი კაცი ხან აქ გამოჩნდებოდა, ხან იქ ხალხის შავ მასაში, რომელიც ჯებირის ჩრდილოეთ მხარეს შესეოდა. ახლა მხედარი ჯებირის ძირას მიმდგარიყო, სადაც ფორნებით შორიდან მოტანილ თიხას ჰყრიდნენ. წვიმის შხუილსა და ქარის ზუზუნში დროდადრო მოისმოდა ზედამხედველის ყვირილით გაცემული განკარგულება. დღეს ბრძანებებს ყველგან თავად იძლეოდა. ნომრებით იძახებდა ფორნებს და უდროოდ წინ გამოსულებს უკან აყენებდა.

— შეჩერდი! — გაიხმიანებდა მისი ბრძანება და ჯებირის ძირში მუშაობა წყდებოდა. — ნამჯა, ერთი ურემი ნამჯა აქეთ! — შესძახებდა იგი და სველ თიხას ზემოდან ნამჯას აყ-

რიდნენ. დაბლა მუშები მიირბენდნენ, ნამჯას აქეთ-იქით გაანაწილებდნენ და ზემოთ ასძახებდნენ — ეშინოდათ მაღლა მდგომებს ცოცხლად არ დაემარხათ. ისევ მოადგებოდა ფორნები ჯებირს, ჰაუკე უკვე ზემოთ იყო და თეთრონზე ამხედრებული დაბლა იმზირებოდა, სადაც თიხას ყრიდნენ და ზედაპირს ასწორებდნენ.

აი ჰაუკე ისევ ჯებირის თავზე დგას და ზღვის სივრცეს გაჰყურებს. სუსხიანი ქარი უბერავს. იგი ამჩნევს, რომ წყლის დონე თანდათან მაღლა იწევს. ამჩნევს, როგორ ჩამოსდით მუშებს წურწურით წყალი და მძიმე შრომით დაქანცულებს ქარი სუნთქვას უკრავს.

— გაუძელით, ხალხო, გაუძელით! — უყვირის იგი ზემოდან. — ერთი ფუტიც მოვუმატოთ და ღელვა ვერას დააკლებს.

აღმუვლებულ ქარაშოტში მოისმის შრომის ხმაური, მაღლიდან ჩაყრილი თიხის ტყაპუნი, ფორნების ჭრიალი, ნამჯის შრიალი. ამ ხმაურს დროდადრო პატარა ყვითელი ძაღლის წკმუილი ფარავს. გაწუწულ, სიცივისაგან აცახცახებულ პირუტყვს ხან იქით მიაგდებენ, ხან აქეთ. უცბად თხრილიდან ძაღლის ხმამაღალი წკმუტუნი მოისმა. ჰაუკემ დაბლა ჩაიხედა და დაინახა ძირს ჩაგდებული ძაღლი. გაცრფებამ ერთბაშად სახე აულეწა:

— შეჩერდი! — შესძახა მან მეფორნეს, რომელიც სველ თიხას ზემოდან აყრიდა.

— რატომ? — გაეხმიანა ვიღაცის უხეში ხმა.— ამ წუნკალი ძაღლის გულისთვის ხომ არა?

— შეჩერდი-მეთქი! — კვლავ შეუყვირა ჰაუკემ. — ძაღლიაქ მომიყვა! აუგი საქმით ჯებირს არავის შევალანძღვინებ!

ადგილიდან ფეხი არავის მოუცვლია. ორიოდ ბარმა რამ-

დენიმე ბელტი კიდევ მიაგდო აწკმუტუნებულ პირუტყვს. ჰაუკემ თეთრონს დეზები ისე აძგერა, რომ ცხენმა გამწარებით ამოიფრთხიენა და ჯებირზე გაშმაგებით დაეშვა. ყველა უკან მიაწყდა.

— ძაღლი-მეთქი! — შეჰყვირა მხედარმა. — ძაღლი მომაწოდეთ!

მის მხარს ვიღაცის ფაქიზი ხელი შეეხო, როგორც ეს მოხუცმა იევე მანერსმა იცოდა. ჰაუკემ რომ მოიხედა, იევეს მეგობარი შეიცნო.

— გაფრთხილდით, ზედამხედველო, — ჩუმად უთხრა მან.— აქ მეგობრები არ გყავთ. მოეშვით მაგ ძაღლს!

ქარი ღმუოდა, წვიმა გახელებით შხუოდა. მუშებმა ბარები მიწაში დაასვეს, ზოგმა სულაც ხელიდან გააგდო.

— ვერ დაიჭერთ ჩემს თეთრონს, ჰარკე იენს? — ჰაუკე მოხუცისკენ გადაიხარა.

მოხუცს აღვირზე ხელი ჯერ არც კი მოეკიდა, რომ ჰაუკე მყისვე თხრილში ჩახტა და აწკმუვლებული ძაღლი აიყვანა. ასევე ფიცხლად მოახტა ცხენს და ჯებირი თვალისდახამხამებაში აიქროლა. თვალი შეავლო ფორნებთან ატუზულ მუშებს და მკაცრად შესძახა:

— ვინ ჩაიდინა ეს? ვინ ჩააგდო საბრალო სულიერი თხრილში?

ერთ წამს ყველამ იყუჩა, რადგან ზედამხედველის გამხდარი სახე გაცოფებას დაეღრიჯა, თანაც ცრუმორწმუნეობრივი შიში აფრთხობდა ყველას. მერე ერთ ფორანს ხარისქედიანი ახალგაზრდა გამოეყო და წინ წაუდგა:

— მე არ მიქნია, ზედამხედველო, — წარმოთქვა მან, საღეჭ თამბაქოს ერთი ბოლო მოაკბიჩა და ყბებში მშვიდად

მოიქცია, — მაგრამ ვინცა ჰქნა, სწორი იყო. თუ გინდა, რომ შენი ჯებირი მტკიცე იყოს, შიგ ცოცხალი არსება უნდა ჩაატანო!

— ცოცხალი არსება ჩავატანო? რომელ კატეხიზმოში წაიკითხე ეგ ამბავი?

— არც ერთში, ბატონო! — მიუგო ახალგაზრდამ და ურცხვად გაიღიმეა. — ეს ჩვენმა პაპებმაც კარგად იცოდნენ, რომლებიც ღვთისმოსაობაში თქვენ ტოლს არ დაგიდებდნენ. ბავშვი ჯობდა, მაგრამ რაკიღა არ არის, ძაღლიც შეიძლება!

— შეწყვიტე, წარმართო, ყბედობა! — შეუყვირა მას ჰაუკემ. — უკეთესი იყო, შენ თვითონ ჩაგვეტანებინე.

— ოჰო! — მოისმა უცბად რამდენიმე ხმის შეძახილი და ზედამხედველმა დაინახა ირგვლივ მდგომთა გაბრაზებული სახეები და დამუშტული ხელები. იგრძნო, რომ აქ მეგობრები არ ჰყავდა და ჯებირის შემდგომმა ბედმა შეაშინა: რა მოხდებოდა, რომ ამათ ნიჩბებისათვის ხელი შეეშვათ?

ქვემოთ რომ გადაიხედა, ისევ ის მოხუცი, იევე მანერსის მეგობარი დაინახა. იგი ხან ერთ მუშასთან მივიდოდა, ხან მეორესთან. ერთს გაუცინებდა, მეორეს მეგობრულად დასცხებდა მხარზე ხელს. თანდათან ყველამ ისევ ნიჩბებს წაავლეს ხელი. კიდევ ერთი წამიც და მუშაობა ისევ აეწყო. ჰაუკესაც რაღა უნდოდა? სადინარი ამოივსებოდა, ხოლო ძაღლი საიმედოდ ჰყავდა წამოსასხამქვეშ ამოფარებული.

საკითხი უცბად გადაწყვიტა და თეთრონი ერთ ფორანს მიაგდო.

— ნამჯა თიხაზე! — შესძახა და მეფორნეც მექანიკურად დაემორჩილა. ნამჯა თხრილში შრიალით ჩაეშვა. ხალხი ისევ გაცხარებით ამუშავდა.

კიდევ ერთ საათს იმუშავეს ასე. ექვსი საათი გადასულიყო და მაგრად ჩამობნელდა. წვიმა შეწყდა. ჰაუკემ ზედამხედველებს მოუხმო.

— ხვალ დილის ოთხზე ყველანი აქ ვიქნებით, მთვარე ისევ მაღლა იქნება. ღვთის წყალობით დავამთავრებთ. ჰო, კიდევ აი რა უნდა მეკითხა, — წასასვლელად გამზადებული ერთ წამს შეჩერდა. — ვისია ეს ძაღლი? — ჰაუკემ აკანკალებული ძაღლი მოსასხამქვეშიდან გამოიყვანა.

ვერავინ უთხრა, ვისი იყო. ერთმა მუშამ თქვა:

— რამდენიმე დღეა სოფელში დაწანწალებს, ალბათ, არავისია.

— მაშ ჩემი იქნება, — წარმოთქვა ზედამხედველმა. — არ დაგავიწყდეთ, ხვალ ოთხ საათზე! — შეახსენა ჰაუკემ და ცხენი ადგილიდან მოწყვიტა.

სახლს რომ მიუახლოვდა, კარიდან გამომავალ ანა გრეტეს მოჰკრა თვალი. სუფთად ეცვა და ჰაუკემ გაიფიქრა, ალბათ, პროტესტანტთა თავყრილობაზე მიდისო მკერავთან.

— წინსაფარი მომიშვირე! — შესძახა მას ჰაუკემ. ქალი უნებლიეთ მაშინვე წინსაფარს წასწვდა და ზედამხედველმა შიგ თიხით მოსვრილი ლეკვი ჩაუგდო. — პატარა ვინკეს წაუყვანე, ერთად ითამაშებენ. მანამდე კი გაბანე და გაათბე. ღვთის საამებელ საქმეს იზამ, საბრალო არსება მთლად გაითოშა.

ანა გრეტე იძულებული გახდა ბატონს დამორჩილებოდა, ამიტომ იმ საღამოს ვეღარც შეკრებაზე წავიდა.

მეორე დღეს ახალ ჯებირზე უკანასკნელი ბარისპირი მიწა დააყარეს. ქარი ჩადგა. ლამაზად დალივლივებდნენ ხმელეთისა და წყლის თავზე თოლიები და ნისკარტსადგისები. იევერსის

კუნძულიდან ისმოდა გარეული იხვების გამაყრუებელი ვახ-ვახი. ისინი ჯერაც არ გასცილებოდნენ ჩრდილოეთის ზღვის ნაპირებს. თვალუწვდენელმა მარშებმა თანდათან გადაიყარეს დილის რძისფერი ნისლი და შემოდგომის მზემ კაცის ნამუ-შევარს ოქროსფერი სხივები დააფინა.

რამდენიმე კვირის შემდეგ მის დასათვალიერებლად მთა-ვარ ზედამხედველთან ერთად ჰერცოგის კომისრებიც ჩამო-ვიდნენ. ზედამხედველის სახლში ტედე ფოლკერტსის გარ-დაცვალების შემდეგ პირველად გაიშალა დიდი სადღესასწა-ულო სუფრა. მოიწვიეს ყველა ნდობით აღჭურვილი პირი და ახლად ათვისებული მიწების მსხვილი მფლობელები. პურმა-რილის შემდეგ შეკაზმეს სტუმრებისა და მასპინძლის ყველა ეტლი. ფრაუ ელკე მთავარმა ზედამხედველმა თავის ეტლში მიიწვია. ეტლში შებმული წაბლა ულაყი ფლოქვებს ურტყამ-და მიწას. მთავარი ზედამხედველიც ეტლზე შეხტა და აღვირს ჩაავლო ხელი. ეტყობოდა, თვითონ სურდა თავისი ხელქვეი-თის საზრიანი ცოლის გასეირნება. ეტლების მწკრივი მიწაყ-რილზე მხიარული ყიჟინით დაეშვა, გზაზე გავიდა, მინდვრები გადაჭრა და ახლად აგებულ ჯებირზე ავიდა, შემდეგ ჯებირ-ჯებირ შემოუარა ახალ მიწებს. ამასობაში მსუბუქი ნორდვეს-ტი ამოვარდა და ახალ ჯებირს ჩრდილოეთიდან და დასავლეთი-დან ტალღები მიაწყდა. მაგრამ ნელი დაქანების გამო ტალ-ღების დაჯახება ჯებირის კედლებზე ოდნავ თუ იგრძნობოდა. ჰერცოგის კომისრები ქება-დიდებას ასხამდნენ ზედამხედ-ველს და ზოგიერთი ნდობით აღჭურვილი პირის ურწმუნო ლაპარაკს ახლა სულ ბოლო მოეღო.

... ეს დღეც გავიდა. ერთ დღეს, როცა ჰაუკეს ცხენი ნელი ნაბიჯით მიჰყავდა ჯებირზე და სიამაყით აღვსილი მშვიდ ფიქ-

რებს მისცემოდა, სასიხარულო ამბის მომსწრე შეიქნა. ვერ მოეშორებინა იმაზე ფიქრი, თუ რატომ უნდა დაერქმიათ ჯებირისათვის ჰერცოგის ერთ-ერთი ქალიშვილის საპატივცემულოდ „ახალი კაროლინას“ სახელი, მაშინ, როცა ეს ჯებირი უჰაუკეოდ ვერ აშენდებოდა, მისი ოფლისღვრისა და ღამეების თენების გარეშე არ იარსებებდა. ჯებირის ყველა საბუთზე კი ამ პრინცესას სახელი ეწერა, ზოგიერთ მათგანზე წითელი გუთური ასოებიც კი იყო ამოტვიფრული. ჰაუკემ თავი რომ ასწია, დაინახა თავისკენ მომავალი ორი გლეხი, რომლებსაც მხარზე ბარები გადაედოთ. ერთი ოციოდ ნაბიჯით ჩამორჩებოდა მეორეს და ეძახდა:

— მომიცადე ცოტა ხანს!

— სხვა დროს იყოს, იენს! გვიანაა. მე თიხა უნდა მოვთხარო! — გაეპასუხა დაწინაურებული, რომელიც ახლადამომშრალი მიწისკენ ჩამავალ ბილიკზე იდგა.

— სადა?

— აი, აქ, ჰაუკე ჰაიენის ჯებირთან!

გლეხმა ეს ისე ხმამაღლა დაიყვირა, თითქოს მთელი მარშებისათვის სურდა გაეგონებინა და ბილიკზე დაეშვა. ჰაუკეს მოეჩვენა, თითქოს ეს მისი სადიდებელი ძახილი იყო. უნაგირზე წამოიმართა, თეთრონს დეზები ჰკრა და მხარმარცხნივ გაშლილ ვრცელ ველებს არწივისებური მზერა მოავლო. „ჰაუკე ჰაიენის ჯებირი!“ გაიმეორა თავისთვის წყნარად; ისე ეღერდა, თითქოს არასოდეს სხვაგვარად არც უნდა რქმეოდა. დაე რამდენიც უნდათ, იმდენს ეწინააღმდეგონ, მის სახელს მაინც ვერ ამოშლიან. პრინცესას სახელი კი?.. იგი, ალბათ, ძველ ნაწერებთან ერთად დაობდება.

...თეთრონი ამაყად მიგელავდა. მხედრის ყურში ისევ ხმია-

ნებდა: „ჰაუკე ჰაიენის ჯებირი!“, „ჰაუკე ჰაიენის ჯებირი!“ მის გონებაში ეს ჯებირი თითქმის მსოფლიოს მერვე საოცრებად იქცა. მთელ ფრიზლანდიაში არაფერი მისი მსგავსი არ მოიძებნებოდა. და მხედარმა ცხენი აათამაშა. ერთი წამით მოეჩვენა, თითქოს მის ირგვლივ მთელი ფრიზლანდია შეკრებილა, იგი ყველა მათგანზე მთელი თავით მაღალია და ჰაუკემ მათ მბრძანებლური და ამავე დროს თანაგრძნობით გამსჭვალული თვალი მოავლო.

...ჯებირის აშენებიდან სამი წელი გავიდა ნამუშევარი შეურყეველად იდგა. მის მოსავლელად მხოლოდ მცირეოდენი თანხა იხარჯებოდა. ახალ მიწებზე კი თითქმის ყველგან ჰყვაოდა თეთრი სამყურა და თუკი მინდორზე გაივლიდით, ზაფხულის სიო ნაზ სურნელებაში გაგხვევდათ. ახლა უკვე დრო იყო, ქაღალდზე არსებული ნაკვეთები გაენაწილებინათ და მეწილესთვის თავისი მიეცათ სამუდამო სარგებლობაში. ჰაუკემ არ დაიზარა, რომ რამდენიმე წილი კიდევ შეეძინა. ოლე პეტერსი გამწარებული იყო, ახალ მიწებზე მას ნაკვეთი არ ჰქონდა. ჩხუბისა და უსიამოვნების გარეშე, რასაკვირველია, არც ნაკვეთების განაწილება ჩატარებულა, მაგრამ ბოლოს ესეც მოგვარდა.

ამიერიდან წყნარად და განკერძოებით ცხოვრობდა ჰაუკე თავის მახლობლებთან, სანიმუშოდ ასრულებდა ოჯახის მეთაურისა და ზედამხედველის მოვალეობას. ძველი მეგობრები აღარ იყვნენ ცოცხალთა შორის, ახლების შეძენას კი ვერ ახერხებდა. მისი ოჯახის ჭერქვეშ სუფევდა მშვიდობა, რომელსაც წყნარი ბავშვიც არ არღვევდა. გოგონა ცოტას ლაპარაკობდა. არ იძლეოდა დაუსრულებელ კითხვებს, რაც საერ-

თოდ მისი ასაკის საზრიან ბავშვებს ახასიათებთ, ხოლო თუ რამეს იკითხავდა, პასუხის გაცემა უჭირდათ. მის საამო, მაგრამ მოსულელო სახეს თითქმის არასოდეს არ შორდებოდა კმაყოფილების იერი. ჰყავდა ორი ამხანაგი, რომლებთანაც ერთობოდა, და ეს ჰყოფნიდა: თუ მიწაყრილზე გავიდოდა, უკან მუდამ ის ყვითელი ძაღლი გაედევნებოდა, ჰაუკემ რომ გადაარჩინა. სადაც ძაღლი გამოჩნდებოდა, პატარა ვინკეც აუცილებლად იქ იქნებოდა. მეორე ამხანაგი თოლია იყო. ძაღლს „მარგალიტა“ ერქვა, თოლიას „კლაუსი“.

კლაუსი ოთხმოცი წლის დედაბერ ტრინ იანსს მოყვა. მას უკვე აღარ შეეძლო ჯებირთან თავის ქოხში მარტოდმარტო ცხოვრება, ამიტომ ფრაუ ელკემ იფიქრა, პაპაჩემის ყოფილ, ახლა კი დაუძლურებულ მსახურს იმას როგორ დავაყვედრი, ჩვენთან მშვიდ სიკვდილს დაელოდოსო. ამის გამო მან და ჰაუკემ თითქმის ძალისძალად გადმოიყვანეს თავიანთთან და ჩრდილო-დასავლეთით ერთი ოთახი მიუჩინეს ახალ ბეღელში, რომელიც ზედამხედველმა ძველი შენობის გვერდით ამ რამდენიმე წლის წინ ააშენა მეურნეობის გასაფართოებლად. მის გვერდით ოთახებში დაასახლეს რამდენიმე მოსამსახურე გოგო, რომლებსაც შეეძლოთ მოხუცს დახმარებოდნენ, თუკი ღამით რაიმე დასჭირდებოდა. ტრინმა კედლებთან დაალაგა თავისი ნივთები: შაქრის ყუთზე, რომელსაც იგი ზარდახშად ხმაობდა, დაღუპული შვილის ნაქონი ორი ფერწერული სურათი დადო, იქით ამჟამად უკვე კარგა ხნის უხმარი ჯარა მისდგა და მეტისმეტად ქათქათა ფარდიანი საწოლი, მის წინ კი უშნოდ გათლილი ტაბურეტი, რომელზედაც ოდესღაც მოკლული ანგორის კატის თეთრბეწვიანი ტყავი იყო გადაკრული. მაგრამ სულიერი არსებაც მოყვა ტრინს — ეს გახლდათ

თოლია კლაუსი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია მასთან ცხოვრობდა და იკვებებოდა. ზამთრობით, რასაკვირველია, სხვა თოლიებთან ერთად სამხრეთისკენ მიფრინავდა და უკან მაშინღა ბრუნდებოდა, როცა ზღვისპირას ავშანი აყვავდებოდა ხოლმე.

ბეღელი რამდენადმე დაბლა იდგა, მიწაყრილზე, ამიტომ მოხუცი ჯებირის იქით ზღვას ვეღარ ხედავდა თავის ფანჯრიდან.

— შენ აქ პატიმარივით გყავარ, ზედამხედველო, — ბუზღუნით უთხრა ერთხელ ჰაუკეს, როცა მან მოხუცი მოინახულა, და დაგრეხილი თითები ქვემოთ გაშლილ მარშებისკენ გაიშვირა. — აბა იევერსის კუნძული სად არის, წითელი თუ შავი ხარის იქით?

— იევერსის კუნძული რად გინდა? — ჩაეკითხა ჰაუკე.

— როგორ თუ რად! მინდა ვუყურო იმ ადგილს, საიდანაც ჩემი ბიჭი ღმერთმა წაიყვანა.

—თუ ეგ გწადია, მაშინ ზემოთ უნდა ახვიდე და კოპიტის ძირას დაჯდე. იქიდან მთელი ზღვა ჩანს, — შიუგო ჰაუკემ.

— აკი, ავიდოდი, მაგრამ შენსავით ახალგაზრდა მუხლი რომ არა მაქვს.

ასე იხდიდა მადლობას მოხუცი იმ პატივისცემისათვის, რასაც იგი ზედამხედველის ოჯახში იღებდა. ასე იყო დიდხანს, მაგრამ უცბად ყველაფერი შეიცვალა. ერთხელ, დილით მოხუცთან ნახევრად ღია კარიდან შეიხედა პატარა ვინკემ.

— ოჰო, რას გვიბრძანებ? —მიაძახა მას მოხუცმა, რომელიც გულხელდაკრეფილი იჯდა ტაბურეტზე.

ბავშვი მოხუცთან მივიდა და გულგრილი თვალებით დიდხანს უყურა.

— ზედამხედველისა ხარ? — ჰკითხა ტრინ იანსმა და, როგორც კი ბავშვმა თანხმობის ნიშნად თითქოს თავი დაუქნია, ისევ განაგრძო: — მოდი, ჩემს ტაბურეტზე ჩამოჯექ. ეს ტყავი ერთ დროს ანგორული კატა იყო, აი ამხელა, მაგრამ მამაშენმა მოკლა. ცოცხალი რომ იყოს, ზურგზე შეგისვამდა.

ვინკე ხმას არ იღებდა და თეთრ ბეწვს შეჰყურებდა, მერე მუხლებზე ჩაიჩოქა და ბეწვს პაწაწა ხელის სმა დაუწყო, თითქოს ცოცხალი კატა ან ძაღლი ყოფილიყოს.

— საწყალი კატა, — წარმოთქვა ვინკემ და ფერება განაგრძო.

— ჰო, კარგი, ახლა კი გეყოფა ხელის სმა, ჯობია ზედ დაჯდე. იქნებ სწორედ ამიტომ მოკლა იგი მამაშენმა? — ცოტა ხნის შემდეგ უთხრა მოხუცმა ბავშვს, მერე ორივე ხელით აიყვანა და უხეშად დასვა ტაბურეტზე. ბავშვი ისევ ისე იჯდა, როგორც მოხუცმა დასვა და ჩუმად შესცქეროდა მას. ტრინმა თავი გააქნია და წაილუღლუღა:

— შენგან არიან ისინი დასჯილნი, ღმერთო, ჰო, შენგან.

მაგრამ ეტყობოდა ბავშვის სიბრალულმა დასძლია. მოხუცმა გაძვალტყავებული ხელი გოგონას თხელ თმაზე გადაუსვა. პატარა ადამიანის თვალებში სიამოვნების ნაპერწკალმა ციფეთქა.

იმ დღიდან მოკიდებული ვინკე ყოველთვის მიდიოდა მოხუცთან. მალე თვითონვე ისწავლა ანგორისტყავიან ტაბურეტზე აფოფხება. ტრინ იანსი ბავშვს პურისა და ხორცის ნაჭრებს მისცემდა — ორივე გამოულევლად ჰქონდა მოხუცს— და ეტყოდა, აბა იატაკზე დაყარეო. ბავშვი რომ ამას იზამდა, რომელიღაც კუთხიდან ფრთებგაფარჩხული თოლია ჩხავილით გამოვარდებოდა და საჭმელს მოულხენდა. პირველად ვინკეს

დიდი აფართქალებული ფრინველისა შეეშინდა, მერე კი თითქოს თამაშად იქცა: როგორც კი ბავშვი ღია კარში თავს შემოჰყოფდა, ფრინველი მისკენ გაექანებოდა და ხან თავზე დაჯდებოდა, ხან მხარზე, ამასობაში მოხუციც მათთან გაჩნდებოდა და ფრინველს საჭმელს აძლევდა. ტრინ იანსი წინათ არავის აძლევდა ნებას, რომ მისი კლაუსისათვის ხელი მოეკიდა, ახლა კი მოთმინებით იტანდა იმას, რომ ფრინველი ბავშვმა მასზე მეტად მიიჩვია. კლაუსი სულ აღარ გაურბოდა ვინკეს. ბავშვი ფრინველს ყველგან თან დაათრევდა, ზოგჯერ წინსაფარში შეახვევდა ხოლმე. როცა მიწაყრილზე ბავშვთან მოთამაშე ყვითელი ძაღლი კლაუსს დაინახავდა, ეჭვით აღსილი მისკენ ისკუპებდა, მაგრამ გოგონა შეუყვირებდა. „არ შეიძლება, დაეხსენ, მარგალიტო“! თოლიას ძაღლა ასწევდა და განთავისუფლებული ფრინველი ჩხავილით გადაუფრენდა მიწაყრილს. გოგონას ახლა ძაღლი ეგლასუნებოდა და წკმუტუნითა და ალერსით ცდილობდა, გოგონას ხელებში კლაუსის მიერ გათავისუფლებული ადგილი დაეკავებინა.

როგორც კი ჰაუკე ან ელკე ამ უცნაურ ოთხფოთოლას დაინახავდნენ, რომელიც სწორედ ნაკლის წყალობით მათსავე შტოზე იდგა, თვალები ალერსით აევსებოდათ, მაგრამ შებრუნდებოდნენ თუ არა, თვითეული მათგანის სახეზე ამოიკითხავდით გულისტკივილს, რასაც ცოლ-ქმარი ერთმანეთს უმალავდა.

ზაფხულის ერთ დღეს, ვინკე, მოხუც ტრინთან და თავის ორივე მეგობართან ერთად, ბეღლის კარის წინ დიდ ქვაზე იჯდა. ამ დროს ჩამოიარეს მისმა მშობლებმა. ჰაუკეს ცხენი აღვირით მოჰყავდა. ჯებირზე აპირებდა წასვლას და საძოვრიდან თეთრონი თავად ამოიყვანა. მიწაყრილზე ამოსვლისას ელკე

თავის ქმარს მკლავზე დაჰყრდნობოდა. თბილი მზე ანათებდა, თითქმის ცხელოდა, მხოლოდ დროდადრო უბერავდა სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი.

ეტყობოდა, გოგონას ამ ადგილას ჯდომა მოსწყინდა.

— ვინკეც წაიყვანეთ! — დაიძახა მან, თოლიას ფეხი აუქნია და მამის ხელს წაეპოტინა.

— წამო, წავიდეთ! — მიუგო მამამ.

— ქარი რომ არის? ხელიდან გამოგტაცებს! — შეეშინდა ფრაუ ელკეს.

— მოვახერხებ, არ გავატანო. დღეს გვარიანი სითბოა, წყალიც საამოდ ლივლივებს. კარგია აცეკვებული ზღვის ცქერა.

ელკემ შინ შეირბინა, და ბავშვისთვის პატარა ქუდი და შალი გამოიტანა.

— ამინდი შეიცვლება, — თქვა მან, — მალე წადით და მალევე დაბრუნდით!

— ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს, — გაიცინა ჰაუკემ და გოგონა უნაგირზე აიტაცა.

ელკემ ხელი მოიჩრდილა და მიწაყრილზე მდგომმა თვალი გააყოლა ქმარ-შვილს, რომლებსაც ცხენი ჯებირისკენ მიაქანებდა. ტრინ იანსი ისევ ქვაზე იჯდა და რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა.

მაპასთან ბავშვი უძრავად იჯდა. ისე იყო, თითქოს ჭექა-ქუხილის მოლოდინში ჩაგუდულ ჰაერს ძლივს სუნთქავსო. მამა ბავშვისკენ დაიხარა და ჰკითხა:

—როგორ ხარ, ვინკე?

ბავშვმა ერთხანს უმზირა მამას, მერე ჰკითხა:

— მამი, შენ ხომ შეგიძლია ეს, შენ ხომ ყველაფერი შეგიძლია?

— რა შემიძლია, ვინკე?

მაგრამ ვინკე ხმას აღარ იღებდა, თითქოს თვითონაც აღარ იცოდა, რას ეკითხებოდა მამას.

როცა ზღვასთან მივიდნენ, მოქცევას ზენიტისთვის მიეღწია. ტალღებიდან არეკლილი მზის ათინათი მათ თვალებს სჭრიდა, ქარაშოტი მაღლა ისროდა ტალღებს, ერთიმეორის თანმიყოლებით მიილტვოდნენ ნაპირისკენ და ზედ ეხლებოდნენ.

ჰაუკეს ორივე ხელი აღვირისთვის წაევლო. ბავშვი შეშინდა და მამის ხელს ისე ჩააფრინდა, რომ თეთრონი გვერდზე გახტა. ღია ცისფერ თვალებში გოგონას შიში ჩასდგომოდა, მან მამას ახედა და წამოიყვირა:

— წყალი, მამა, წყალი!

ჰაუკემ ნელა მოიცილა ბავშვის ხელები და მშვიდად უთხრა:

— დაწყნარდი, შვილო. მამაშენთან ხარ, წყალი ვერაფერს გავნებს.

გოგონამ შუბლზე ჩამოშლილი თმა გადაიწია და გაბედა ზღვისთვის კვლავ შეეხედა.

— ვერაფერს მავნებს? — გაიმეორა აკანკალებულმა ბავშვმა. — არა, მამა, უთხარი, რომ არაფერი გვავნოს. შენ შეგიძლია ეს, და ზღვაც ვერაფერს გვავნებს.

— არა, მე არ შემიძლია,—სერიოზულად მიუგო მამამ.— აი ეს ჯებირი კი, ახლა რომ ზედ დავდივართ, დაგვიცავს ზღვისაგან. იგი მამაშენმა მოიგონა და ააშენა.

გოგონამ მამას მიაპყრო თვალები, ეტყობოდა, ვერაფერი

გაეგო. მერე უჩვეულოდ პაწაწა თავი მამის წამოსასხამ-ქვეშ შემალა.

— რად იმალები, ვინკე? — ჩურჩულით ჰკითხა მამამ, — მაინც გეშინია?

— ვინკეს არ უნდა წყლის დანახვა. შენ ხომ ყველაფერი შეგიძლია, მამა? — მოისმა კალთას ამოფარებული ვინკეს წვრილი ხმა.

ქარის ხმა შორეულმა ქუხილმა დაფარა.

— ოჰო! — შესძახა ჰაუკემ. — ჰექა-ქუხილი იწყება! — და ცხენი უკან შეაბრუნა. — ახლა კი შინ წავიდეთ, დედასთან.

გოგონამ ღრმად ამოისუნთქა, მაგრამ მამის მკერდს მაშინ-ღა მოსცილდა, როცა მიწაყრილი აიარეს და სახლს მიადგნენ. როცა დედამ შალი შეხსნა და ქუდი მოხადა, ბავშვი ისევ ხმის ამოუღებლად იდგა დედის წინ.

— აბა, რას იტყვი, ვინკე? — შეეკითხა დედა. — ძოგეწონა დიდი წყალი?

ბავშვმა თვალები დაჭყიტა და ჩუმად თქვა:

— ის ლაპარაკობს. ვინკეს მისი ეშინია.

— კი არ ლაპარაკობს, მხოლოდ ხმაურობს და ღმუის.

ბავშვი სადღაც შორს იმზირებოდა.

— ფეხები აქვს? შეუძლია ჯებირზე გადმოვიდეს? — იკითხა მან.

— არა, ვინკე, მამაშენი დარაჯობს, რომ არ გადმოვიდეს. მამაშენი ჯებირის ზედამხედველია.

— ხომ ასეა! — შესძახა ბავშვმა და უაზრო ხიცილით პაწაწინა ხელები ერთმანეთს დასცხო. — მამას ყველაფერი შეუძლია, ყველაფერი! — მერე უცბად დედისკენ იბრუნა პირი

და დაიძახა: —გაუშვი ვინკე ტრინთან, მას წითელი ვაშლები აქვს!

ელკემ ოთახის კარი გააღო და ბავშვი ტრინთან გაუშვა. კარი რომ ისევ მიხურა, ელკემ მწუხარე თვალებით ახედა ქმარს, რომელიც მეუღლეში ჩვეულებრივად სულის სიმხნევესა და მხარდაჭერას ხვდებოდა.

ჰაუკემ ცოლს ხელი მოჰკიდა და მტკიცედ მოუჭირა, თითქოს ამის შემდეგ სიტყვის თქმა საჭირო აღარ იყო. ქალმა კი თავი მაინც ვერ დაიმორჩილა და წყნარად უთხრა:

— არა, ჰაუკე, მათქმევინე. ეს ბავშვი, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ ძლივს გაგიჩინე, თავის სიცოცხლეში ბავშვადვე დარჩება. ო, ღმერთო დიდებულო! სუსტგონებაა. როდისმე მაინც ხომ უნდა მეთქვა ეს შენთვის!

— კარგა ხანია, მეც ვიცი,— მიუგო ჰაუკემ და უფრო მაგრად მოუჭირა ხელი მის ხელს, რომლის გამორთმევასაც იგი ცდილობდა.

— მაშ ჩვენ ისევ მარტონი ვიქნებით, — შენიშნა ქალმა.

ჰაუკემ თავი გაიქნია:—

— ძალიან მიყვარს იგი. მაგრად მომხვევს ხოლმე პაწაწინა ხელებს და გულში მეხუტება. არავითარ საგანძურში არ გავცვლი.

დადარდიანებული ქალი ერთ ადგილს ჩაშტერებოდა.

— მაგრამ რატომ უნდა მომხდარიყო ეს? რა დავაშავე მე, მისმა საბრალო დედამ?

— ჰო, ელკე, მეც ხშირად მიკითხავს ეს მისთვის, ვისაც ეგების ამისი ცოდნა. მაგრამ შენ კარგად იცი, რომ ყოვლად ძლიერი ადამიანებს პასუხს არ აძლევს. ეგებ იმიტომ, რომ სულ ერთია, მაინც ვერას გაუგებენ.

ჰაუკემ ცოლს მეორე ხელიც დაუჭირა და თავისკენ ნაზად მიიზიდა.

—გულს ნუ აიყრი, შვილი ისევე გიყვარდეს, როგორც აქამდე. გულს ნუ შეიცვლი და დამერწმუნე, ისიც გაგიგებს.

ახლა კი მიეკრა ელკე ქმრის მკერდს და ტირილით იჯერა გული. ამის შემდეგ უბედურების გამკლავება მარტოს აღარ მოუხდებოდა. ელკემ უცბად გაიღიმა, ხელზე მაგრად მოუჭირა ხელი და ტრინ იანსთან გაიქცა ბავშვის მოსაყვანად. კალთაში ჩაისვა და იმდენ ხანს კოცნა და ეფერა, სანამ ბავშვმა არ ჩაიტიტინა:

— დედიკო, ჩემო კარგო დედიკო!

ასე მშვიდად და უდრტვინველად ცხოვრობდნენ ადამიანები ზედამხედველის კარმიდამოზე. მათ შორის ბავშვი რომ არ ყოფილიყო, იქაურობას ბევრი რამ დააკლდებოდა..

ეს ზაფხულიც ნელ-ნელა მიიწურა. სამხრეთში მოზამთრე ფრინველები გაფრინდნენ, აღარსად ისმოდა ტოროლას გალობა. მხოლოდ ბეღლებთან, სადაც ხორბალს ლეწავდნენ, გაისმოდა თითო-ოროლა ფრთოსნის წივილი. უკვე ყველაფერი გაყინულიყო.

ერთხელ, ნაშუადღევს მოხუცი ტრიან იანსი ზედამხედველის სახლის სამზარეულოში, ქურის გვერდით, სხვენისკენ ამავალ ხის კიბეზე ჩამომჯდარიყო. ბოლო კვირეების განმავლობაში მოხუცი როგორღაც გამოცოცხლდა. ახლა სიამოვნებით მიდიოდა სამზარეულოში და შეჰყურებდა საქმეში გაბმულ ფრაუ ელკეს. მას შემდეგ, რაც პატარა ვინკემ მას წინსაფარში წაავლო ხელი და აქ მოიყვანა, დედაბერი აღარ წუწუნებდა — ფეხები არ მემორჩილებაო. ამჟამად გოგონას

მის გვერდით ჩაეჩოქა და მშვიდად შეჰყურებდა ქურიდან მაღლა ატყორცნილ ალს. ცალი ხელი მოხუცისთვის დაედო მკლავზე, მეორე თავის ღიაჩალისფერ თმაზე. ტრინ იანსი ამბავს უყვებოდა:

— შენ იცი, რომ წინათ პაპაშენთან მოსამსახურედ ვიდექი. ღორებს ვუვლიდი. ის ყველა თქვენგანზე ჭკვიანი იყო. ახლა, რასაც გეტყვი, ძალიან დიდი ხნის ამბავია. ერთხელ, საღამოთი, როცა მიდამოს მთვარე ანათებდა, მათ რაბი გადაკეტეს. ჰოდა, ის ზღვაში ვეღარ გაბრუნდა. ო, რა წივილ-კივილი ასტეხა! საცურაო ფარფლები ხელებივით წაივლო გაწეწილ მაგარ თმაში. მაშა, ბავშვო, მე თვითონ მესმოდა მისი წივილი და თავად ვხედავდი, როგორ იგლეჯდა თმას. მიჯნებად გავლებული წყლით სავსე არხები მთვარის შუქზე ვერცხლისფრად ბზინავდა. ის ერთი არხიდან მეორეში შეცურდებოდა, ფარფლებს შემართავდა და ხელების მსგავსად ურტყამდა ერთმანეთს. წყლის თქაფანი შორიდან ისე ისმოდა, თითქოს ლოცულობსო. მაგრამ ამ არსებებს ხომ ლოცვა არ შეუძლიათ. მე თავად კარის წინ ვიჯექი კოპზე, რომელიც იქ ეგდო და დაბლა გადაშლილ ველს გავყურებდი. ალი ისევ თხრილებში დაფართქალებდა და თავის ფარფლისებრ ხელებს რომ წამოსწევდა, ვერცხლივითა და ალმასივით ელვარებდნენ. ბოლოს ვეღარსად დავინახე, სამაგიეროდ საიდანღაც გარეული იხვები და თოლიები მოფრინდნენ და ჰაერი ხორხოცითა და ფრთების ტლაშატლუშით აავსეს.

მოხუცი გაჩუმდა. ბავშვი ერთ წინადადებას ჩაეჭიდა.

— რა თქვი, ლოცვა არ შეუძლიაო? ვინ იყო ის?

— ალი იყო, ბავშვო, წყლის ქალი. მათ სიკვდილი არ შეუძლიათ.

— სიკვდილი არ შეუძლიათ! — გაიმეორა ბავშვმა და ჩქარდი ღრმა ამოოხვრამ შურხია, თითქოს ამის რამე გაეგებოდა.

— ტრინ იანს! — მოისმა სამზარეულოს კარიდან დაბალი ხმა და მოხუცი შეკრთა. ეს ჰაუკე ჰაიენი იყო, რომელიც სვეტს მიჰყრდნობოდა. — რას უყვები ბავშვს? რამდენჯერ გითხარი, ეგ ზღაპარი შენთვის შეინახე, ანდა ბატებსა და ქათმებს უამბე-მეთქი?

მოხუცმა ჰაუკეს გაჯავრებული შეავლო თვალი და ბავშვი თავიდან მოიცილა.

— არაფერი ზღაპარი არ არის! — ჩაიბუზღუნა თავისთვის. — ამას პაპაჩემის ძმა მომიყვა.

— პაპის ძმაო, ტრინ? აკი ჩემი თვალით ვნახეო?

— სულ ერთია, — მიუგო მოხუცმა, — მაგრამ თქვენ არაფერი არა გჯერათ. ახლა ჩემი დიდი ბიძაც მატყუარად გინდათ მონათლოთ! — მოხუცი ქურასთან ახლოს მიიწია და ხელები ცეცხლს მიუშვირა.

ზედამხედველმა ფანჯარაში გაიხედა. ნელ-ნელა ეშვებოდა ბინდი.

— წამო, ვინკე! — ჰაუკემ გონებაჩლუნგ ბავშვს ხელი მოჰკიდა. — წამო ჩემთან, ჯებირზე წავიდეთ და იქ რაღაცას გაჩვენებ. ოღონდ ფეხით უნდა წავიდეთ, თეთრონი დასაჭედად არის წაყვანილი.

ჰაუკემ შვილი ოთახში შეიყვანა. ელკემ ბავშვს კისერსა და მხრებზე სქელი შალი შემოახვია. მალე მამა-შვილი ძველ ჯებირზე ჩრდილო-დასავლეთით მიაბიჯებდნენ. იევერსის კუნძული გვერდით მოიტოვეს და იმ ადგილზე გავიდნენ, სადაც თავთხელი თვალუწვდენელ სივრცეზე გადაჭიმულიყო.

ჰაუკეს ბავშვი ხან აყვანილი მიჰყავდა, ხან ხელჩაკიდებუ-

ლ. მისდევდა. თანდათან ბნელდებოდა, შორს ყველაფერი ნისლსა და ბურუსში ჩამალულიყო. იმ ადგილას, სადაც თვალი ზღვის უხილავ დინებას კიდევ სწვდებოდა, ყიხული გაპობილიყო, და როგორც ეს ჰაუკეს ახალგაზრდობაში ახსოვს, ნაპრალებიდან ახლაც ნისლი ამოდიოდა, საშინელი და უცნაური არსებანი დახტოდნენ, ერთმანეთს თავს უკრავდნენ და ერთბაშად შემზარავად იწყლებოდნენ.

შეშინებული ბავშვი მამას ჩაეჭიდა და მისი ხელი სახეზე აიფარა.

— ზღვის ქაჯები! — ჩაიჩურჩულა ბავშვმა. — ზღვის ქაჯები!

ჰაუკემ თავი გააქნია:

— არა, ვინკე, არც ალებია და არც ქაჯები. ასეთი რამ არ არსებობს. ვინ გითხრა ეს?

ბავშვმა უაზროდ ახედა მამას, მაგრამ არაფერი უპასუხა. მამამ ნაზად მოუთათუნა ლოყაზე ხელი.

— აბა, კიდევ შეხედე, ეგენი ხომ საწყალი მშიერი ფრინველები არიან? შეხე, შეხე, აი როგორ გაშალა ერთმა ფრთები! ნაპრალებიდან მათ თევზები ამოჰყავთ.

— თევზები? — შეესიტყვა ვინკე.

— ჰო, თევზები. ისინიც ჩვენსავით ცოცხალი არსებანი არიან. სხვა არაფერი არ არსებობს, ღმერთის მეტი. ის კი ყველგან არის.

პატარა ვინკეს სუნთქვა შეეკრა და თვალები ძირს დახარა, თითქოს სადღაც უფსკრულში იყურებაო. იქნებ, მხოლოდ მამას მოეჩვენა ასე. ჰაუკე დიდხანს დაჰყურებდა გოგონას, მერე დაიხარა და სახეში ჩახედა, მაგრამ სულის ვერავითარი

შოძრაობის კვალს ვერ მიაგნო. ბავშვი ხელში აიყვანა და გაყინული ხელები თავის სქელი ღაზლის ხელჯაგში წააყოფინა.

— აი, ასე, ჩემო ვინკე, გაითბე ფაცები! ჩვენი შვილი ხარ, ერთადერთი. შენც ხომ გიყვარვართ...? — მამას ხმა გუწყდა და მეტი ვერაფერი თქვა.

ბავშვმა ვერ გაიგო მამის გულშიჩამწვდომი ალერსით ნათქვამი სიტყვები, მაგრამ მის უხეშ წვერს მიეკრა.

გულდაშვიდებული გაემართა ჰაუკე შინისაკენ.

ახალწლის შემდეგ ოჯახში ახალი დარდი გაჩნდა. ზედამხედველი ჭაობის ციებამ შეიპყრო. ავადმყოფობამ ისიც სიკვდილის პირას მიიყვანა, მაგრამ ფრაუ ელკეს თავდადებამ გამოაბრუნა, თუმცა მორჩენის შემდეგ ვეღარ იტყოდით, ისევ ის ჰაუკეაო. ფიზიკური - დაუძლურება სულსაც დააჩნდა და ელკე ჭმუნვით ამჩნევდა, რომ მისი ქმარი ახლა ყველაფრით კმაყოფილი იყო. მარტის ბოლო იყო, როცა ჰაუკეს დაუძლეველად მოუნდა თეთრონზე ამხედრება და თავის ჯებირზე გავლა. სამხრობა იყო. მზე აქამდე რომ ცაზე ბრდღვიალებდა, ახლა შავ ღრუბლებს ამოჰფარებოდა.

ზამთარში წყალმა რამდენჯერმე აიწია მაღლა, მაგრამ საიმისო არაფერი წაუხდენია. მხოლოდ იქითა ნაპირზე, ჯებირშემოუვლებელ კუნძულზე დაახრჩო ცხვრის ფარა და სანაპირო ზოლი მოგლიჯა. აქ კი, ახალი ჯებირის აქეთ, არაფერი წამხდარა. ბოლო ღამეს ძლიერი ქარიშხალი მძვინვარებდა. საჭირო იყო ზედამხედველი ჯებირზე თავად წასულიყო და ყველაფერი საკუთარი თვალით ენახა. ჯებირზე სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხიდან ავიდა და ყველაფერი მიათვალიერ-მოათვალიერა. იქაურობა წესრიგში დაუხვდა. მაგრამ ჩრდი-

ლო-აღმოსავლეთ კიდეს რომ მიადგა, იქ, სადაც ახალი ჯებირი ძველს უერთდებოდა, ნახა, რომ ახალს არაფერი დაზიანებოდა, იმ ადგილას კი, სადაც სადინარი ძველ ჯებირს აღწევდა და შემდეგ სიგრძივ გასდევდა, ჰაუკემ დიდ სიგანეზე ჩამოგლეჯილი ბელტის საფარი შეამჩნია, თვით ჯებირში კი წყალს ქვაბული გამოეთხარა. ქვაბული თაგვის სოროებით იყო დახრუული. ჰაუკე ცხენიდან ჩამოხტა და დაზიანებული ადგილი ახლოდან დაათვალიერა. როგორც ჩანდა, თაგვის ხვრელები კარგა დიდ სიღრმეზე იყო შეთხრილი.

ზედამხედველი შეშინდა, ეს ყველაფერი ახალი ჯებირის მშენებლობისას უნდა გაეთვალისწინებინათ. მაგრამ რაკიღა მაშინ გამორჩათ მხედველობიდან, ახლა მაინც უნდა გამოსწორდეს... საქონელი საძოვარზე ჯერაც არ გამოეყვანათ, ბალახი ჯერ არ ამოსულიყო, რაც ამ დროისათვის უჩვეულო იყო. საითაც გაიხედა, ჰაუკეს ყველგან მოტიტვლებული ველი დახვდა. ისევ ცხენს მოახტა და ნაპირზე ხან აღმოსავლეთით გაუყვა, ხან დასავლეთით. ზღვის მიქცევა იყო და კარგად შეამჩნია, როგორ გაეკვალა დინებას თიხიან ფსკერზე ახალი კალაპოტი და ძველ ჯებირს ჩრდილო-დასავლეთიდან მიბჯენოდა. ახალი ჯებირი კი, ნელი დაქანების გამო, ურყევად იდგა.

ზედამხედველს თვალწინ გაუელვა, თუ რამდენი საწვალებელი და თავშისაცემი გასჩენოდა ისევ. საჭირო იყო არა მარტო ძველი ჯებირის გამაგრება, არამედ მისი დაქანების ისე გადაკეთება, ახალს რომ ჰქონდა. მანამდე კი საჭირო იყო ეს ახალი, საშიში სადინარი ახალი ჯებირით ან ზვირთსაჭრელით სხვა მხარეს გადაეყვანათ. ჰაუკე ერთხელ კიდევ გაუყვა ახალ ჯებირს ჩრდილო-დასავლეთ კიდემდე და ისევ უკან შე-

მობრუნდა, თან თვალმოუშორებლად შეჰყურებდა სადინარის ახალ კალაპოტს, რომელიც თიხნარ ფსკერზე საკმაოდ მკაფიოდ მოჩანდა. თეთრონი წინ იწევდა, ფრთხვინავდა და ტორებს მიწას ურტყამდა, მაგრამ მხედარი აღვირს უჭერდა, ნელა უნდოდა ეევლო, რომ კარგად დაეთვალიერებინა იქაურობა, თანაც შინაგანი მოუსვენრობა უნდა აელაგმა, რომელიც თანდათან უძლიერდებოდა.

რა მოხდება, რომ კიდევ ისე აზავთდეს ზღვა, როგორც 1655-ში, როცა უამრავი ხალხი დაიხრჩო და ფასეულობა განადგურდა? ასე ხომ უკვე რამდენჯერმე მოხდა!.. მხედარს ძარღვებში სისხლი გაეყინა... ძველი ჯებირი ვერ გაუძლებს ასეთ დაწოლას. მერე და რა მოჰყვებოდა ამას, რა მოხდებოდა?.. ალბათ, მხოლოდ ერთი, ერთადერთი გზაღა დარჩებოდა, რომ გადაერჩინა ჯებირი, მთელი უძრავ-მოძრავი ქონება და მოსახლეობა... ჰაუკეს გული გაუჩერდა, ჩვეულებრივად მტკიცეს და ამტანს თავბრუ დაესხა. აღარ უთქვამს, რა ყო ის ერთადერთი გზა, მაგრამ მის არსებაში რაღაც ყვიროდა: „მაშინ ღვთის ანაბარად უნდა მიატოვო ახალი მიწები და შენი ჯებირიც გაარღვიო“.

ჰაუკემ უკვე წარმოიდგინა, როგორ გამორბის აზვირთებული ზღვა ნაპირისკენ და ქაფადქცეული აშიშინებული მლაშე წყალი მთლიანად ფარავს მწვანედ აბიბინებულ ველ-მინდორს. ჰაუკემ ცხენს დეზები ამოჰკრა, ცხენმა დაიჭიხვინა და ჯებირზე გაჰქროლა, შემდეგ ქვემოთ დაეშვა და ზედამხედველის სახლისაკენ გაეშურა.

შიშით აღვსილი და ათასგვარი ფიქრით თავგზააბნეული ჰაუკე შინ შევიდა და სავარძელში ჩაეშვა. ოთახში ბავშვი და ელკე შემოვიდნენ, ჰაუკე ისევ წამოდგა, ბავშვი ხელში

ბიტაცა და დაკოცნა, ყვითელ ძაღლს კი მსუბუქად წაუბიძგა და თავიდან მოიშორა.

— ზემოთ უნდა ავიდე, ფუნდუკში! — თქვა ჰაუკემ და კაკვზე ახლახან ჩამოკიდებული ქუდი აიღო.

ქალმა შეურვებით შეხედა ქმარს.

— რა გინდა იქ? უკვე გვიანაა, ჰაუკე!

— ჯებირის ამბავია! — თავისთვის ჩაიდუდუნა ჰაუკემ. — ნდობით აღჭურვილებს უნდა შევხვდე.

ქალი უკან გაჰყვა და ხელზე ხელი მოუჭირა. ჰაუკე ჰაიენი, რომელიც სხვა დროს ყველაფერს თავად წყვეტდა, ახლა ფუნდუკისკენ მიიჩქაროდა, რათა ერთი სიტყვა მაინც გაეგო იმათგან, ვის ლაპარაკსაც წინათ ყურსაც ძლივს ათხოვებდა. სასტუმრო ოთახში ოლე პეტერსი, ორი სხვა ნდობით აღჭურვილი და ერთი მარშის მცხოვრები მაგიდას მისხდომოდნენ და ბანქოს თამაშობდნენ.

— ჯებირიდან მოდიხარ? — ჰკითხა მას ოლე პეტერსმა, სანახევროდ დარიგებული ქაღალდი აკრიფა და ისევ ჩამოარიგა.

— ჰო, ოლე,—მიუგო ჰაუკემ. — იქ ვიყავი. საქმე ცუდად ჰრის.

— ცუდად? ჰო, რამდენიმე ასეული ტორფის აგური და ცოტა ნამჯაც დაგჭირდება. შუადღის შემდეგ მეც ვიყავი იქ.

—არა, ოლე, ასე იოლად ვერ გადავრჩებით, — არ დაეთანხმა ზედამხედველი. — წყალმა ისევ გასჭრა სავალი და ახლა თუ ჩრდილოეთიდან ვეღარ მიუდგება ჯებირს, ჩრდილოდასავლეთიდან მაინც მიაწვება.

— თავი უნდა დაგენებებინა და ისე ედინა, როგორც დიოდა, — მშრალად მიუგო ოლემ.

— ესე იგი, რაკიღა ახლად ათვისებულ მიწებზე შენ ნაკვეთი არა გაქვს, დაე წყალსაც წაუღია იქაურობა? იქ თუ ნაკვეთი არა გაქვს, საკუთარ თავს დააბრალე. ხოლო იმ ადგილზე ძველი ჯებირის დასაცავად თუ ზვირთმჭრელებს გავაკეთებთ, ახალი ჯებირის უკან სამყურას ნათესი მთელ დანახარჯებს უხვად აანაზღაურებს.

— რას ამბობ მაგას, ზედამხედველო? — შესძახეს ნდობით აღფურვილებმა. — ზვირთმჭრელებიო? მერე და რამდენი უნდა? ძალიან კი გიყვართ ყველაფრის გაძნელება.

მაგიდაზე ბანქო ხელუხლებლად ელაგა.

— აი, რა მინდა გითხრა, ზედამხედველო, — დაიწყო ოლე პეტერსმა და ხელებით მაგიდას დაეყრდნო. — ხარჯების მხრივ ძალიან გაუმაძღარია ეგ შენი ახალი მიწები. ხალხი შენი ფართო ჯებირის აშენების ხარჯებმა წელში გასწყვიტა, ჯერაც თავისუფლად არ ამოუსუნთქავთ და ახლა იმ ახალი ჯებირის გამო უკვე ძველიც ინგრევა და ჩვენ მისი თავიდან აშენებას უნდა შევუდგეთ. საბედნიეროდ, არც ეგრე ცუდად არის საქმე. მან ღელვას გაუძლო და შემდეგშიაც გაუძლებს! შეჯექი ხვალ შენს თეთრონზე და ერთხელ კიდევ დაათვალიერე იქაურობა!

ჰაუკე აქ თავის ოჯახიდან მოვიდა, სადაც სიმშვიდე სუფევდა. ახლა კი აქ ოლეს თავშეკავებით ნათქვამ სიტყვებს მიღმა მან იგრძნო—დიახ, იგი არ ტყუვდებოდა—მისი ჯიუტი წინააღმდეგობა, ხოლო თვითონ თითქოს ადრინდელი ძლიერება აკლდა.

— ჰო, ეგრე ვიზამ, ოლე, როგორც მირჩიე, — მიუგო მან, — ოღონდ ვშიშობ, რომ ყველაფერი ისევ ისე დამიხვდება, როგორც დღეს ვნახე.

... ამ დღეს მოუსვენარი ღამე მოჰყვა. ძილგატეხილი ჰაუკე ლოგინში შამფურივით ტრიალებდა.

— რა დაგემართა? — ეკითხებოდა ელკე. ქმრის ჯავრით აღარც მას ეძინებოდა. — თუ რამე გაწუხებს, მითხარი. განა გასაჭირს მუდამ ერთმანეთს არ ვუზიარებდით?

— ისეთი არაფერია, ელკე! — პასუხობდა ჰაუკე. — ჯებირსა და რაბებს პატარა შეკეთება სჭირდება. ხომ იცი, ასეთ რამეებზე მე ღამღამობით ვფიქრობ ხოლმე.

სხვა არაფერი არ უთქვამს, სურდა გადაწყვეტილება ისე მიეღო, რომ მისთვის არაფერი არ ეკითხა. ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ ცოლის ნათელ გონებასა და ძლიერ ნებისყოფას ამჟამად, როცა თვითონ თავის ყალიბში ვერ გრძნობდა თავს, შეიძლება, მისთვის ხელი შეეშალა და ნებაუნებლიეთ მოერიდა.

...მეორე დღეს ჰაუკე ისევ ჯებირის სანახავად წავიდა. იქაურობა თითქოს შეცვლილი დაუხვდა. ზღვის მიქცევა იყო და გაზაფხულის ჩახჩახა მზე თითქმის შეეულად აფეხდა სხივებს ზღვის უწყლოდ დარჩენილ ვრცელ ნაპირს. თეთრი თოლიები აქეთ-იქით დაფარფატებდნენ. ხოლო მათ ზემოთ ლურჯი კამარის ქვეშ თვალშეუდგამ სიმაღლეზე ტოროლები თავიანთ მარადიულ საგალობელს გალობდნენ. ჰაუკე, რომელმაც არ იცოდა, რაოდენ ცბიერია ზოჯერ ბუნების სილამაზე, დამდგარიყო ჯებირის ჩრდილო-დასავლეთ კიდეზე და ეძებდა სადინარის იმ ახალ კალაპოტს, გუშინ რომ ასე გაუხეთქა გული, მაგრამ იმის გამო, რომ მზე ზენიტზე იდგა, ერთ ხანს ვერ მიაკვლია. მერე თვალები ხელით მოიჩრდილა და დაინახა. როგორც ჩანდა, გუშინდელი საღამოს ბინდმა შეაცდინა ჰაუკე, კალაპოტი ახლა ოდნავ თუ ეტყობოდა. თაგვებს უფრო

მეტი ზიანი მიეყენებინათ ჯებირისათვის, ვიდრე ზღვის ღელვას. რასაკვირველია, აუცილებელი იყო ხარვეზის გამოსწორება, მაგრამ ამისათვის, ალბათ, საკმარისი იყო ჯებირის ფერდობის გულმოდგინე მოსწორება და ნამჯის გამოყენება.

— არც ისე ცუდად ყოფილა საქმე, — გამამხნევებლად ჩაილაპარაკა ჰაუკემ,— თავი შენ თვითონ დაიფრთხე გუშინ!

მან მოიხმო ნდობით აღჭურვილი პირები და სამუშაოს დაწყება ერთბაშად გადაწყდა, რაც აქამდე არ მომხდარა. რამდენიმე კვირის შემდეგ ყველაფერს პირწმინდად მორჩნენ და ზედამხედველი სიმხნევით აივსო, რაც ესოდენ ვსაჭიროებოდა მის ჯერაც დასუსტებულ ორგანიზმს.

დღეს დღე ებმოდა, კვირას-კვირა, და რაც უფრო მეტი ხანი გადიოდა, ახალი დალაგებული ბელტი მით მეტად მწვანდებოდა, მაგრამ ჰაუკე თანდათან მეტი შეშფოთებით უყურებდა გვერდს ამ ადგილს, იქით გახედვასაც ერიდებოდა და ცხენს ჯებირის შიგნით მხარეზე ატარებდა. რამდენჯერმე თეთრონი შეაკაზმვინა, რომ ეს ადგილი დაეთვალიერებინა. მაგრამ ცხენი ისევ თავლაში დააბრუნა. ერთი-ორჯერ, თუმცა არაფერი საქმე არ ჰქონდა, ფეხით გაემართა ჯებირისკენ. ცდილობდა ეზოდან სწრაფად და შეუმჩნევლად გასულიყო. ზოგჯერ ეზოდანვე ბრუნდებოდა უკან. არ შეეძლო ამ საბედისწერო ადგილის დათვალიერება. ბოლოს იგი მზად იყო ყველაფერი ნაცარტუტიად ექცია, რადგან ახლა ჯებირის ეს მონაკვეთი მოუშორებელი სინდისის ქენჯნად გადაექცა და ერთ წუთს არ ასვენებდა. მიუხედავად ამისა არ შეეძლო ჯებირისთვის ხელი ეხლო და ვერც ერთ სულიერს, საკუთარ ცოლსაც კი ვერ უმხელდა ამ ამბავს.

ასე მოვიდა სექტემბერი. ღამით ზღვა ერთხანს აღელდა,

მერე კი შტორმმა ჩრდილო-აღმოსავლეთით გადაინაცვლა. დილა მოქუშული გათენდა. ზღვის მიქცევისას ჰაუკე ჯებირზე წავიდა. უწყლოდ დარჩენილი ნაპირი რომ დაათვალიერა, ზედამხედველი შეკრთა:

სადინარის ეს საბედისწერო კალაპოტი ჩრდილო-დასავლეთიდან უფრო გაღრმავებულიყო. ბევრი უყურა დაკვირვებით მაგრამ კალაპოტი ისეთი იყო, როგორც პრველად დაინახა.

დაჯავრიანებული ჰაუკე შინ რომ მიბრუნდა, ცოლმა ხელი მოჰკიდა და ჰკითხა.

— რა დაგემართა, ჰაუკე? რამე უბედურება ხომ არ მოგველის? ძალზე ბედნიერები ვართ და, მგონია, ამჟამად ჩვენი მხარის არც ერთი კაცი შენ აღარა გმტრობს.

— არა, ელკე, არავინაც არ მტრობს, — მიუგო ქმარმა.— მაგრამ საპასუხიმგებლო სამსახური მაქვს ღვთისგან ნაბოძები—ზღვისგან უნდა დავიცვა თემი.

საყვარელი ცოლის კითხვებისაგან თავის დასაღწევად ჰაუკემ ხელი გაითავისუფლა და თავლისა და ბეღლისაკენ გასწია, თითქოს მათი დათვალიერება უნდაო, მაგრამ ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა. ცდილობდა სინდისის ქენჯნა დაეყუჩებინა და საკუთარი თავი დაერწმუნებინა—საშიშროებას ავადმყოფურად ვაზვიადებო...

— ის დრო, რომლის თაობაზეც ახლა გიყვებით, — მცირე დუმილის შემდეგ მითხრა ჩემმა მასპინძელმა, მოხუცმა მასწავლებელმა, — გახლდათ 1756 წელი, რომელსაც ამ მხარის ხალხი არასოდეს დაივიწყებს. ამ წელმა ჰაუკე ჰაიენის სახლიდან ერთი სიცოცხლე შეიწირა. სექტემბრის ბოლოს თავის სენაკში სიკვდილის სარეცელზე იწვა თითქმის ოთხმოცდაათი

წლის ტრინ იანსი. მოხუცმა ითხოვა, ლოგინში წამომსვითო, და ახლა ბალიშებზე მიყრდნობილი ტრინი ტყვიის ჩარჩოში ჩასმული სარკმლიდან ზეცას გაჰყურებდა. ამ წუთას, ალბათ, ჰაერის მშიდრო ფენების თავზე გაიშვიათებული ფენები იყო მოქცეული, რადგან მირაჟის სახით ცაზე გამოჩნდა ვერცხლივით აკიაფებული ზღვის ზოლი, ჯებირი და იეველსის კუნძულის საბრეთი კიდე. ცის ათინათმა თვალისმომჭრელად გაანათა ტრინის სენაკი.

ავადმყოფის ლოგინზე, მის ფერხთით, პატარა ვინკე ჩაცუცქულიყო და იქვე მდგომი მამისთვის ხელი მაგრად ჩაეკიდა. სიკვდილს უკვე დაეფარებინა შავი ფრთა მოხუცის სახეზე და ბავშვი სუნთქვაშეკრული შეჰყურებდა მომაკვდავის ულამაზო, მაგრამ მისთვის ესოდენ მახლობლურ სახეზე მომხდარ საშინელ და გაუგებარ ცვლილებას.

— რას შვრება, მამა, ის? — ჩურჩულით შეეკითხა ვინკე მამას და ფრჩხილებით ხელში ჩაეჭიდა.

— კვდება! — მიუგო ზედამხედველმა.

— კვდება! — დაბნეულად გაიმეორა ვინკემ.

მოხუცმა უცბად ბაგეები შეარხია:

— იენს! იენს! — წამოიძახა გამწარებით და გაძვალტყავებული ხელები ცაზე აკიაფებული ზღვის ანარეკლისაკენ გაიშვირა: — მიშველე! მიშველე! შენ ხომ წყალზე ძლიერი ხარ... ღმერთო, შენ იხსენ დანარჩენები!

უცბად ხელები ჩამოუცვივდა, მოისმა საწოლის ოდნავი ჭრიალი და ტრინმა სული განუტევა.

ბავშვმა ღრმად ამოისვნეშა, ღიაფერის თვალებით მამას ახედა და ჰკითხა:

— ისევ კვდება?

— უკვე მოკვდა, — მიუგო ზედამხედველმა და ბავშვი ხელში აიყვანა. — ჩვენ გაგვცილდა და ღვთის საბრძანებელში გადავიდა.

— ღვთის საბრძანებელში! — გაიმეორა ბავშვმა და ისევ გაჩუმდა, თითქოს ამ სიტყვის მნიშვნელობას ჩაუფიქრდაო.

— კარგია იქ, ღვთის საბრძანებელში?

— ჰო, იქა ჯობია, — მიუგო ჰაუკემ. მის სულში კი მომაკვდავის ბოლო სიტყვები ხმიანობდა ისევ. „ღმერთო, შენ იხსენი დანარჩენები!“ — ხმადაბლა წარმოთქვა მან თავისთვის. — ნეტავი რის თქმა უნდოდა ამით ძველ ჯადოქარს? ნეტავ მართლა თუ წინასწარმეტყველებენ მომაკვდავები?..

... მას შემდეგ, რაც ტრინ იანსი ბექობზე წამოდგმული ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს, ხალხში დაიწყეს მითქმა-მოთქმა უბედურებასა და საშინელ უწმინდურებაზე. რომელიც ზეციდან წამოვიდოდა და ჩრდილო ფრიზლანდიელებს შიშის თავზარს დასცემდა. მართლაც, დიდმარხვის მეოთხე კვირაღღეს ქარბორბალამ სამრეკლოდან ოქროს მამალი ჩამოგლიჯა. ამას გარდა, შუა ზაფხულში, ზეციდან თოვლივით წამოვიდა რაღაც სკორე, რომლის შემდეგაც დიდხანს იდო მინდორში ხელის სისქეზე. ასეთი რამ არასოდეს ენახა ვინმეს. სექტემბრის ბოლოს ზედამხედველის უფროსმა მოჯამაგირემ ქალაქში ხორბალი წაიღო გასაყიდად, მოსამსახურე ანა გრეტემ კი — კარაქი. უკან რომ მობრუნდნენ, ფორნებიდან შიშისაგან ფერმიხდილები გადმოვიდნენ.

— რა მოხდა, რა დაგემართათ? — შესძახეს მათ დანახვაზე სხვა მოსამსახურეებმა, რომლებიც ფორნების რახრახზე გარეთ გამოცვივდნენ.

ანა გრეტეს სამგზავრო წამოსასხამიც არ გაუხდია, კრიჭაშეკრული დიდ სამზარეულოში შევიდა.

— ხმა ამოიღე, — შესძახეს მას მსახურებმა. — რა უბედურება დატრიალდა?

— ღმერთო, შენ გვწყალობდე, იესო ქრისტე!—წარმოთქვა ანა გრეტემ. — თქვენ კარგად იცნობთ მოხუც მარიკენს, აი, იქითა მხარეს რომ ცხოვრობს, აგურის სახლში. მე და ის ყოველთვის აფთიაქის კუთხეში ვყიდდით ხოლმე კარაქს. იმან მითხრა: — ანა გრეტე, იცოდე მთელ ჩრდილოეთ ფრიზლანდიას უბედურება ელის. ივენ იონსმაც დაადასტურა, უბედურება იქნებაო! — მოლაპარაკემ ახლა ხმას დაუწია: — არც ზედამხედველის თეთრი ცხენის საქმეა სასიკეთო!

— ჩუმად, ჩუ! — შეუძახეს სხვა მოსამსახურე გოგოებმა.

— ჰო, ჰო. მე კი რა მენაღვლება, მაგრამ იქითა მხარეს უფრო უარესი ამბავია მოსალოდნელი, ვიდრე ჩვენთან. ციდან იქ მარტო ბუზი და სკორე კი არ ჩამოცვენილა, წვიმასავით სისხლიც წამოსულა. წინა კვირას კი პასტორს პირსაბანი ტაშტი აუღია და შიგ ხუთი მუხუდოსოდენა თავის ქალა გდებულა. ამის სანახავად ყველა მისულა. აგვისტოში მთელ მიდამოს რაღაც საშინელი წითელთავიანი მუხლუხა მატლები მოსდებია და მთელი პური, ფქვილი და მარცვლეული გადაუჭამია, მუსრი გაუვლია ყველაფრისათვის, რაც კი უნახავს. ხალხს ვერაფრით გაუწყვეტია, თურმე ცეცხლითაც კი ვერაფერი დაუკლია.

მთხრობელი ერთბაშად დადუმდა. ვერავინ შეამჩნია, როგორ შემოსულიყო დიასახლისი.

— რას ლაპარაკობთ? — იკითხა ელკემ. — ბატონს ნუ გააგონებთ ეგეთ ლაპარაკს. — მერე, რაკიღა შეატყო, რომ ამ ამბების მოყოლას მისთვისაც აპირებდნენ, ელკემ ყველანი გააჩუმა: — საჭირო არ არის, ისედაც საკმაოდ მოვისმინე.

თქვენ საქმეს მიხედეთ, ის უფრო გიშველით და დაგაწყნარებთ, ვიდრე ეგ ლაქლაქი.

ელკემ ანა გრეტე თავისთან მიიხმო და ბაზარში ნავაჭრი ჩაიბარა.

ამრიგად, ცრუმორწმუნეობრივმა მითქმა-მოთქმამ ამ სახლის უფროსების მხარდაჭერა ვერ ჰპოვა, მაგრამ სხვა ოჯახებში მით უფრო ადვილად იკაფავდა გზას, რაც უფრო იზრდებოდა ღამეები. სულისშემხუთველად დასწოლოდა ეს ამბავი ყველას და მთელ თემში ყველგან ამას ლაპარაკობდნენ — ჩრდილოეთ ფრიზლანდიას საშინელი უბედურება მოელისო.

ეს მოხდა ოქტომბერში, ყოვლადწმიდის დღესასწაულის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე. მთელი დღე სამხრეთ-დასავლეთის ქარბორბალა უბერავდა. საღამოს ცაზე ნახევარმთვარე დაეკიდა, რომელსაც წამდაუწუმ გადაუქროლებდნენ შავლეგა ღრუბლები და დედამიწაზეც ამის მიხედვით ხან მქრქალი სინათლე ეფინებოდა, ხან მრუმე ჩრდილები. ქარბორბალა თანდათან ძალას იკრებდა. ზედამხედველის ოთახში ვახშმი შემდეგ სუფრა ჯერაც არ აელაგებინათ. მოჯამაგირეები ბოსელში გაგზავნეს—საქონელს ყური უგდეთო, ხელზე მოსამსახურე გოგოებს კი ოთახებში და სხვენზე კარ-ფანჯრების შემოწმება დაევალათ, სადმე ქარაშოტმა არ შემოგლიჯოსო.

ჰაუკემ სახელდახელოდ ივახშმა და ახლა ფანჯარასთან მიმდგარიყო. გვერდით მეუღლე ედგა. დიდხანს არ გაევლო, რაც ჯებირიდან მობრუნდა. ფეხით წავიდა და შუადღის შემდეგ იქ იმყოფებოდა. ყველგან, სადაც ჯებირი ცოტა შესუსტებული მოეჩვენა, დაკუთხული ხიმინჯები და მიწითა და თიხით დატენილი ტომრები ჩააყრევინა. ყველგან ხალხი დააყენა

და დაავალა, როგორც კი ტალღები ჯებირს დაემუქრება, მარგილები ჩაასვეთ და ტომრებით ამოტენეთო. ჩრდილო-დასავლეთით, სადაც ძველი და ახალი ჯებირები ერთდებოდა, მან ყველაზე მეტი ხალხი დააყენა და უბრძანა, სანამ თქვენ სიცოცხლეს საფრთხე არ დაემუქრება, უკან არ დაიხიოთო. ყველას თავისი ადგილი მიუჩინა და თხუთმეტიოდე წუთის წინ, თავით ფეხებამდე სველი და თმაგაწეწილი, შინ დაბრუნდა. ახლა იდგა ქარბორბალასაგან აზრიალებული ტყვიის ჩარჩოში ჩასმულ ფანჯარასთან და ანგარიშმიუცემლად გაჰყურებდა საშინელ საღამოს. კედლის საათმა ეს-ესაა რვა დარეკა. დედასთან ატუზული გოგონა შეკრთა და თავი კაბისქვეშ შეუყო.

— კლაუსი! — წამოიძახა ტირილნარევი ხმით, — სად არის ჩემი კლაუსი?

თოლია შარშანდელივით, არც წელს გაფრენილა გამოსაზამთრებლად სამხრეთში. მამამ ვერ გაიგონა ბავშვის შეკითხვა. დედამ გოგონა ხელში აიყვანა.

— შენი კლაუსი ბეღელშია, — თქვა დედამ. — იქ თბილად არის.

— რატომ? კარგია ეს?

— კარგია, მაშ.

ჰაუკე ისევ ფანჯარასთან იდგა.

— არა, ელკე, ასე არ ივარგებს!—დაიძახა მან.—მოუხმე რომელიმე მსახურს. საჭიროა დარაბები ჩარჩოებს მიახრახნოს, თორემ ქარი სულ ჩალეწავს.

დიასახლისის ბრძანებაზე ერთი მსახური გოგო გარეთ გავარდა. ოთახში მდგომთ თვალი მოჰკრეს, როგორ აუფრიალა კაბა ქარმა. როგორც კი დარაბა კაკვიდან ჩამოხსნა, ქარმა

ისეთი ძალით დაუბერა, რომ დარაბა ხელიდან გამოგლიჯა და ფანჯარას მიახეთქა, რამდენიმე შუშა ჩალეწა, ნამსხვრევები ოთახში შეჰყარა, ერთი სანთელი ჩააქრო. ჰაუკე გარეთ გავარდა და დიდი გაჭირვებით ძლივს მიახრახნეს ჩარჩოებზე დარაბები. როცა მოსამსახურე გოგო ოთახში შემობრუნდა, ღია კარში ისეთი გრიგალი შემოვარდა, რომ განჯინაში მინისა და ვერცხლის ჭურჭელი ააზრიალა. ზემოთ, სხვენზე კოჭები ისე ჭრიალებდა და თახთახებდა, თითქოს ეს-ესაა ქარტეხილი სახლს სახურავს ახდისო. ჰაუკე ოთახში აღარ შემობრუნებულა, კალო გადაიარა და თავლაში შევიდა.

— თეთრონი, თეთრონი მომგვარე, იონ, სწრაფად!—შემოესმა ელკეს ქმრის ძახილი. მერე ჰაუკე ისევ ოთახში შებრუნდა, თმა ასწეწოდა, თვალებში ცეცხლი უელავდა.

— ქარი შეიცვალა,—დაიყვირა მან.—ახლა ჩრდილო-დასავლეთიდან უბერავს. დიდი ღელვა ატყდება! ქარს რა უშავს, ასეთი შტორმი ჯერ არავის შესწრებია!

ელკეს მიცვალებულის სახე დაედო.

— ისევ მიდიხარ?

ჰაუკემ ქალს ხელები დაუჭირა და შეშლილივით მოუჭირა.

— უნდა წავიდე, ელკე!

ქალმა ნელა აღმართა მისკენ ჩაღამებული თვალები და ორიოდ წამს ერთმანეთს თვალებში უმზირეს, მაგრამ მათთვის ეს მთელი საუკუნე იყო.

— ჰო, ჰაუკე, ვიცი, რომ უნდა წახვიდე.

კარის წინ თეთრონის ფლოქვების ხმა გაისმა.

ქალი ჰაუკეს კისერზე ჩამოეკიდა და ერთ წამს კაცს ეგო-

ნა, ვეღარ მოვიცილებო. მაგრამ ასე მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა.

— ეს არის ჩ ვ ე ნ ი ბრძოლა!— წარმოთქვა ჰაუკემ.— თქვენ აქ უშიშრად ხართ. ამ სახლამდე ჯერ არც ერთხელ აბობოქრებულ ზღვას არ მოუღწევია. ახლა კი ღმერთს ჩემი თავი შეავედრე.

ჰაუკემ წამოსასხამი შემოიხვია, ელკემ ზრუნვით შემოახვია ყელსახვევი. მერე რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ბაგეები აუცახცახდა.

გარეთ თეთრონმა დაიხვიხვინა. ქარის ღმუილში მისი ხმა საყვირივით გაისმა. ელკე ქმარს გარეთ გაჰყვა. ბებერი კოპიტი ისე ჭრიალებდა, თითქოს ეს-ესაა შუაზე გაიხლიჩებაო.

— შეჯექი, ბატონო! — შესძახა მოჯამაგირემ ჰაუკეს. — თეთრონი ისეა გახალებული, საცაა აღვირს დაწყვეტავს!

ჰაუკე ცოლს გადაეხვია.

— მზე რომ ამოვა, აქ ვიქნები!

ჰაუკე თეთრონს მოახტა. ცხენმა წინა ტორები მაღლა შეჰყარა და თითქოს გახელებულ ბრძოლაში გადაეშვაო, მხედარი მიწაყრილიდან ქვემოთ გაიტაცა და წკვარამ ღამეში აღმუვლებულ გრიგალს ეკვეთა.

— მამა, ჩემო კარგო მამიკო!—მოისმა ბავშვის საწყალობელი ძახილი.

ვინკე გარეთ გამოსულიყო და ცხენზე ამხედრებულ მამას გასდევნებოდა, მაგრამ მიწაზე ფეხი წამოეკრა და წაქცეულიყო.

მოჯამაგირე ივენ იონსმა ატირებული ბავშვი დედას მიჰგვარა. ქალი კოპიტის ძირს მიჰყუდებოდა. ელკეს თავს ზემოთ, ხის ტოტები ჰაერს ხანჯლავდა. ხის ძირას მდგომი ქა-

ლი გაჰყურებდა უკუნეთ ღამეს, რომელმაც ეს-ეს იყო მისი ქმარი შთანთქა. როცა გრიგალის ღმუილი და ზღვის ღრიალი წამით შეწყდებოდა, ელკეს უეცრად შიში მოიცავდა — ასე ეგონა, მაშინ ყოველი ავი და ბოროტი მის ქმარს ეძებდა და როგორც კი ხელთ იგდებდა, მყის ვაჩუმდებოდა. ბავშვი ცახცახებდა, ქარს მისთვის თმა გაეწეწა და აქეთ-იქით უფრიალებდა.

— ფრაუ ელკე, აი თქვენი გოგონა! მაგრად მოხვიეთ ხელები!—დაუყვირა მას იონმა და ბავშვი მიაწოდა.

— ბავშვი? ოჰ, სულ დამავიწყდი, ვინკე! ღმერთო, შენ შემინდე!—შეჰკივლა ქალმა და ბავშვი ისე ჩაიკრა მკერდში, როგორც მხოლოდ დედობრივი სიყვარულით შეიძლება და ბავშვიანად მუხლებზე დაეცა:—ღმერთო დიდებულო და იესო ქრისტეე, შენ დაგვიცავი ქვრივ-ოხრობისა და დაობლებისაგან! შენ ჰფარვიდე ჩემს ჰაუკეს! მხოლოდ ჩვენ ორნი—შენ და მე, ვიცნობთ მის ბუნებას!..

ქარბორბალა ერთი წუთითაც არ ცხრებოდა. ღმუილსა და ღრიალისაგან ყურთასმენა აღარ იდგა, თითქოს ქვეყანას მეორედ მოსვლა შთანთქმას უპირებსო.

— 'შინ შევიდეთ, ფრაუ ელკე,—მიმართა მას იონმა. ქალი წამოაყენა და დედა-შვილი სახლში შეიყვანა.

...ზედამხედველი ჰაუკე ჰაიენი თავის თეთრონს ჯებირისკენ მიაგელვებდა. წინა დღეებში კოკისპირული წვიმები იყო და გზები სულერთიანად გადაერეცხა. ცხენი ფლოქვებს ვეღარ იკიდებდა სველ, კოწიწივით თიხაზე. ცაზე ღრუბლებს გახელებული ჯირითი გაეჩაღებინათ .წინგაშლილი, რაღაც მოუსვენარი ჩრდილებით მოფენილი, ვრცელი მარშები გამოუცნობ უდაბნოდ ქცეულიყო. ჯებირს გადაღმიდან მოის-

მოდა ყრუ ღმუილი, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ყველას და ყველაფერს წალეკვით ემუქრებოდა.

— წინ, ჩემო თეთრონო!—აქეზებდა ჰაუკე ცხენს,—ამჯერად მეტად ცუდი გზა გვაქვს!

უეცრად ცხენის ფლოქვებქვეშიდან ვიღაცის სასიკვდილოდ განწირული კივილი მოისმა. ჰაუკემ ცხენს აღვირი მოსწია და უკან მიიხედა: გვერდით, ზედ მიწის პირად, თეთრი თოლიების გუნდი მოფრინავდა. გუნდი ხან საკუთარი ფრთების ძალას ეყრდნობოდა, ხან კი ქარიშხალს მინებდებოდა და რაღაც დამცინავი გნიასი გაუდიოდა. ისინი თავშესაფარს მიწაზე ეძებდნენ. უცბად ღრუბლებიდან მთვარემ გამოიხედა და ჰაუკემ დაინახა გზაზე მიჭყლეტილი ერთი თოლია. მხედარს მოეჩვენა, რომ ამ თოლიას კისერზე წითელი ბაბთა უფრიალებდა.

— კლაუს!—შესძახა მან.—საბრალო კლაუს!

ნუთუ ეს მისი გოგონას თოლია იყო? ნუთუ კლაუსმა ცხენი და მხედარი იცნო და მოინდომა მათ შეფარებოდა? ჰაუკე ამას ვერ მიმხვდარიყო.

— გასწი!—შესძახა ჰაუკემ თეთრონს და მანაც ტორები ჰაერში შეჰყარა.

ერთბაშად გრიგალი ჩადგა და მიდამო სამარისებურმა მდუმარებამ მოიცვა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წამს გაგრძელდა. ქარაშოტმა შემდეგ უარესი გახელებით დაიღმუვლა, ამასობაში კი მხედრის ყურს ხალხის ხმა და ძაღლის მოუსვენარი ყეფა ჩაესმა. ჰაუკემ თავი სოფლისკენ მიაბრუნა და ღრუბლებიდან გამოსული მთვარის შუქზე დაინახა, სახლების წინ, მიწაყრილზე ხალხი თავამდე დატვირთულ ფორნებთან დაფუსფუსებდა. მის თვალწინ მეყსეულად გაირბი-

ნა რამდენიმე ფორანმა, რომლებსაც გორაკისკენ მიერეკებოდნენ: მოესმა საქონლის ბღავილი.თბილი ბოსლებიდან ხალხი პირუტყვსაც ზემოთ მიერეკებოდა. „მადლობა ღმერთს, პირუტყვსა და საკუთარ თავს მიხედა ხალხმა!“ ჩასძახა ჰაუკეს შინაგანმა ხმამ, მერე კი შიშით შეძრულმა წამოიძახა:

— ჩემი ცოლი, ჩემი შვილი?... არა, არა, ჩვენს მიწაყრილამდე წყალი ვერ მიაღწევს!

ეს ყველაფერი ერთ წამს გაგრძელდა, მის თვალწინ მოჩვენებასავით გაიელვა და თვალს მიეფარა.

ზღვიდან უჩვეულო ძალის გრიგალმა დაჰბერა, ცხენი და მხედარი მას ეკვეთნენ და ვიწრო ბილიკით ჯებირზე აიკრნენ. ჯებირის თავზე მხედარმა ცხენი ძლივს შეაყენა. მაგრამ სადაა ზღვა? სად არის იევერსის კუნძული? სად გაუჩინარდა უბის იქითა ნაპირი?... მხოლოდღა აბობოქრებული წყლის მთები მოჩანდა, რომლებიც ჩაბნელებული ცისკენ ისწრაფოდნენ, ერთმანეთს თავზე ექცეოდნენ და ურთიერთის მიყოლებით ხმელეთს ურტყამდნენ, ქეჩოს გაცოფებით იქაფებდნენ და ისე ღმუოდნენ, თითქოს მათ გვამში მთელი ქვეყნის მტაცებლები დაბუდებულიყვნენ. თეთრონი ფრთხვინავდა და წინა ტორებს მიწას ურტყამდა. მხედარს ახლა ისე ეგონა, აქ დასრულდა ძეხორციელის სუფევა და ამიერიდან ქვეყნად ღამე, სიკვდილი და არარაობა გაბატონებულაო.

მაგრამ მერე მოიფიქრა, ეს ხომ მხოლოდ გრიგალია, ოღონდ ისეთი ძალისა, რომელიც აქამდე არასოდეს ენახა. მეუღლე და შვილი მიწაყრილზე წამომდგარ საიმედოდ ნაგებ სახლში არიან, ხოლო მისი ჯებირი—ო, რა სიამაყით შეუთრთოლდა მას გული—ჰაუკე ჰაიენის ჯებირი კი ახლა დაამტკიცებს, თუ როგორ უნდა შენდებოდეს იგი.

მაგრამ ეს რა არის?...ჰაუკე ძველი და ახალი ჯებირის შეერთების კუთხესთან შედგა. სად არის ის ხალხი, რომელიც აქ დააყენა გუშაგად?.. ჰაუკემ ახლა ჩრდილოეთით გაიხედა, ძველი ჯებირისაკენ. აქაც რამდენიმე კაცს მიუჩინა ადგილი. არც ერთგან კაცის ჭაჭანება აღარ იყო. ცხენი ცოტა წინ წააგდო, მაგრამ ვერც იქ დალანდა ვერავინ. თვალუწვდენელ სივრცეზე გრიგალის ღმუილი და ზღვის ღრიალი სმენას ახშობდა. ცხენი უკანვე შემოაბრუნა და მიტოვებულ კუთხეში დიდხანს აკვირდებოდა ახალი ჯებირის ხაზს და თვალნათლივ შეამჩნია, რომ აქ ზღვა ნელა და ძალადაკარგულად ურტყამდა ჯებირს, თითქოს სხვა ზღვა იყო.

— ეს კი გაუძლებს!—ჩაილუღლუღა მან და გული სიამით აევსო.

მაგრამ როგორც კი თვალი ახალ ჯებირს იქით გააყოლა, სიხარული სახეზე შეეყინა. ეს რა ხდება ჩრდილო-დასავლეთის კიდესთან? შავი, მოფუსფუსე მასა რაღაცას შესეოდა. ეჭვი არ არის, ხალხია, მაგრამ რას აკეთებენ ისინი ჯებირთან? მხედარმა ცხენს დეზი ჰკრა და თეთრონი იქით გაფრინდა. გრიგალი გვერდიდან ისეთი ძალით უბერავდა, რომ ცხენს და მხედარს ჯებირიდან გადაყრით ემუქრებოდა. მაგრამ ასე ადვილად ვერ დასძლევდა. ჰაუკემ მალე გაარჩია, რომ რამდენიმე ათეული კაცი გაცხარებით შრომობდა და ახალ ჯებირში თხრილსა ჭრიდა.

მთელი ძალით მოსწია ცხენს აღვირი და საშინელი ძალით შესძახა:

— შესდექ! რას სჩადიხართ ეშმაკის კერძნო?

ხალხმა ზედამხედველი იცნო და ბარები ხელში შეეყინათ, გაიგონეს მისი შეძახილი და რამდენიმე კიდეც შეეცა-

და რაღაც ეპასუხა, მაგრამ ჰაუკე მხოლოდ მათ აღელვებულ სახეს ხედავდა, რადგან ისინი მარცხნივ იდგნენ, სიტყვებს გრიგალი პირიდან აცლიდა და შორს იტაცებდა, გრიგალი ფეხზე გაჩერების საშუალებასაც არ აძლევდა და ხალხი ჯგუფად შექუჩულიყო. ჰაუკემ გავეშებით მოავლო თვალი ახალნათხარს და წყლის დონეს, რომელიც ახლა ჯებირის პირამდე ამოსულიყო და ცხენსა და მხედარსაც ზემოდან ასხამდა. საკმარისი იყო კიდევ ათიოდე წუთის მუშაობა—ზედამხედველმა ეს კარგად გაზომა—და აქოჩრილი ზღვა თხრილში შევარდებოდა, ჰაუკე ჰაიენის ჯებირით მოღობილ ახალ მიწებს ზღვა წალეკავდა!

ზედამხედველმა ცხენთან ახლოს მდგომ მუშას მოუხმო და ყვირილით ჰკითხა:

— მითხარი, რა მოგიწადინიათ, ამას რადა თხრით?

— ახალ ჯებირს ვჭრით იმიტომ, რომ ძველი გადავარჩინოთ,—ყვირილით გაეპასუხა მუშა.

— რაო?

— ახალ ჯებირს ვჭრით.

— რომ ახალი მიწები წყალმა წალეკოს? ვინ ეშმაკმა ჩაგაგონათ ეგ?

— არა, ბატონო, ეშმაკმა კი არა, ნდობით აღჭურვილი ოლე პეტერსი იყო აქ და იმან გვიბრძანა!

ჰაუკეს სისხლი თავში აუვარდა.

— მე აღარა მცნობთ?—დაიყვირა ისევ ჰაუკემ.—სადაც მე ვარ, იქ ოლე პეტერსის ბრძანებას ძალა არა აქვს. ახლავე მოშორდით აქაურობას და იქ წადით, სადაც მე დაგაყენეთ!

მაგრამ რადგან ხალხი ისევ მერყეობდა, ჰაუკემ ცხენი მათ შუა შეადგო და დაუღრიალა:

— მოშორდით-მეთქი, აქაურობას!

— ფრთხილად იყავით, ზედამხედველო!—შესძახა ერთ-ერთმა მუშამ და აცქმუტებულ ცხენს ბარი აძგერა. მაგრამ ცხენ-მა წინა ტორებით მუშას ბარი გააგდებინა და მეორე კაცი ძირს დააგორა. უცბად მთელ ბრბოს ისეთი გმინვა აღმოხდა, რო-გორიც მხოლოდ სიკვდილის საშიშროებამ შეუძლია აღმოა-ხდენინოს ძეხორციელის ყელს. ერთ წამს ყველანი შედრკნენ, მხედარიც და მისი ცხენიც დამბლადაცემულებივით იდგნენ. ერთმა მუშამ ხელი ჩრდილო-დასავლეთით გაიშვირა, სადაც ძველი და ახლი ჯებირი ერთდებოდა. ისმოდა მხოლოდ გრი-გალის გუგუნი და ზღვის ღრიალი. ჰაუკე უნაგირზე შებრუნ-და. რა მოხდა იქ?

უცბად თვალები ცხრილივით გაუხდა.

— მამაზეციერო! გაგლიჯა! ძველი ჯებირი გაგლიჯა!

— თქვენი ბრალია, ზედამხედველო!—დაიყვირა ვიღაცამ ბრბოდან, — თქვენი ბრალია და ღვთის წინაშეც პასუხი თქვენ აგეთ!

ჰაუკეს სიბრაზისაგან აჭარხლებული სახე ახლა მიცვა-ლებულისას დაემსგავსა. ღრუბლიდან გამოსულ მთვარეს მი-სი გაფერმკრთალება აღარ შეეძლო. ხელები უსიცოცხლოდ ჩამოეყარა. იმასაც ძლივს გრძნობდა, რომ ხელთ აღვირი ეპ-ყრა. ესეც ერთ წამს გაგრძელდა. უცბად უნაგირზე წამოი-წია და მკერდიდან გმინვა აღმოხდა, მერე ცხენი სიტყვის უთქმელად შეაბრუნა და თეთრონიც ჯებირს ფთხვინვით გაუყ-ვა აღმოსავლეთით. მხედარი ქორივით ათვალიერებდა ირგვლივ მიდამოს. გონებას უბურღავდა კითხვა: რატომ უნდა ეგო მას

პასუხი ღვთის წინაშე? ალბათ, იმიტომ რომ ახალი ჯებირის განგრევის უფლება არ მისცა ხალხს! ეს ბრბო აქამდე, ალბათ, აისრულებდა კიდეც საწადელს მას რომ არ შეეჩერებინა. მაგრამ იყო კიდევ ერთი რაღაც და ეს უწყალულებდა გულს: კარგად იცოდა, რომ წარსულ ზაფხულს ოლე პეტერსის ბოროტი ლაპარაკისათვის ყური არ უნდა ეგდო! აი ეს იყო საქმე! მარტო მან იცოდა, რომ ძველი ჯებირი მოფამფალებული იყო. არაფრისათვის ყურადღება არ უნდა მიექცია და თავისი საქმე გაეკეთებინა.

— მამაზეციერო, ვაღიარებ ჩემს დანაშაულს!—ხმამაღლა შეჰყვირა მან უცებ გაშმაგებულ გრიგალს. — ცუდად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას!

მარცხნივ, ზედ ცხენის ფლოქვებთან ზღვა ბობოქრობდა. წინ, უკუნეთ სიბნელეში ჩანთქმულიყო ძველი მიწები და მიწის ბორცვებზე აღმართული, მისთვის ასე მშობლიური სახლები. მთვარე შავ ღრუბლებს დაეფარა. მხოლოდ ერთადერთ ადგილსღა მოჩანდა მკრთალი სინათლე. და ამ სინათლემ სიამე მოჰფინა გულზე ჰაუკეს: შუქი მისი სახლიდან გამოდიოდა, თითქოს ცოლ-შვილი ამ მკრთალი სხივით სალამს უთვლიდა მას. მადლობა უფალს, მაღალ მიწაყრილზე ისინი უშიშრად იყვნენ! სხვები, ალბათ, უკვე ზემოურებს შეეფარნენ. იქიდან ახლა უჩვეულოდ ბევრი შუქი ანათებდა, იმდენი, სხვა დროს რომ არასოდეს შეუმჩნევია. ზეცაშიც კი სანათი ენთო—ეს, ალბათ, ეკლესიის სამრეკლოში იყო.

— ალბათ, უკვე ყველა ზემოთ გაიხიზნა,—თავისთვის ჩაილაპარაკა ჰაუკემ.—რასაკვირველია, ზოგიერთი სახლიდან ნანგრევებიღა დარჩება. მძიმე წლები დაგვატყდა თავს. საჭირო გახდება არხებისა და რაბების შეკეთება. ყველაფერი

უნდა აღვადგინოთ. ყველას მხარში ამოვუდგები, იმათაც კი, რომლებმაც მხოლოდ წყენა და ტკივილი ძომაყენეს. ოღონდ, ღმერთო, შენ შეგვიწყალე და ნუ გაგვწირავ ჩვენ— ადამიანებს.

ჰაუკემ ახლადათვისებული მიწებისკენ გაიხედა, მის ირგვლივ ზღვა ქაფად ქცეულიყო, ნაკვეთები კი მშვიდობიანად გადარჩენილიყო. სიხარულის აღტყინება აღმოხდა მხედარს უნებლიეთ: „ჰაუკე ჰაიენის ჯებირი ამ ქარტეხილსაც გაუძლებს, ას წელიწადსაც ნირშეუცვლელად იდგომება!“

უცბად მის ფეხთაქვეშ თითქოს რაღაცამ დაიქუხა, და ჰაუკე ოცნებიდან გამოერკვა. თეთრონმა წინ ნაბიჯი აღარ გადადგა. რა ამბავია? ცხენი უკან გადმოხტა და მხედარმა იგრძნო, როგორ წავიდა ზღვის სიღრმისკენ მის წინ აღმართული ჯებირის ნაწილი. მხედარმა აზროვნება დაძაბა, თვალები ფართოდ გაახილა და დაინახა, რომ ცხენი წინა ტორებით ძველ ჯებირზე დგას. ანგარიშმიუცემლად ცხენს მთელი ძალით მოსწია აღვირი. ამ დროს მთვარემაც უკანასკნელი ღრუბლის ქულა გადაიცილა და მის ნაზ შუქზე გამოჩნდა საშინელება— აქაფებული წყალი ღმუილით შეიჭრა ნაპრალში ძველი ჯებირის უკან.

აზრდაკარგული თვალებით შეჰყურებდა ჰაუკე ამ სურათს. ეს იყო მეორედ მოსვლა, რომელიც შეუბრალებლად წარღვნიდა ხალხსაც და საქონელსაც. ჰაუკეს კვლავ შუქის სხივი მოხვდა თვალში, ეს ისევ ის იყო, წელან რომ დაინახა— —თავის სახლიდან გამოჭრილი სინათლის სხივი. ჰაუკემ დახედა ნაპრალში ღმუილით შემოვარდნილ აქაფებულ წყალს და სიხარულით შეამჩნია, რომ მხოლოდ ასიოდ მეტ-

რის სიგანე ფართობს მოსდებოდა, იმის იქით კი მკაფიოდ გაარჩია გზა. უცბად გზაზე ფორანი, არა—ორთვალა—დაინახა, რომელიც გამალებით მოეშურებოდა ჯებირისაკენ. შიგ ქალი და ბავშვი ისხდნენ. ჰო, აი ახლა ქარიშხლის გრიალში ძაღლის წკმუტუნი და ყეფაც გაისმა. ღმერთო დიდებულო! ეს ხომ მისი ცოლი და შვილია! აი უკვე მოახლოვდნენ კიდეც, აქაფებული წყლის მასა კი მათკენ მიემართება. მხედარს მკერდიდან განწირული ღმუილი აღმოხდა:

— ელკე! ელკე! უკან დაბრუნდი! უკან!

მაგრამ ზღვა და ქარაშოტი ულმობლები არიან. მათმა გრიალმა გაფანტა ჰაუკეს სიტყვები, შემდეგ ქარბორბალა მხედრის წამოსასხამს ეცა და კინაღამ ძირს დასცა. ორთვალა კი შეუჩერებლად მიისწრაფვის ნიაღვრისკენ. ჰაუკე ხედავს, რომ ელკე მისკენ ხელებს იწვდის, ნუთუ ცოლმა იცნო იგი? ნუთუ ქმრის სიყვარულმა და შიშმა—ქმარს არაფერი დაემართოსო, აიძულა იგი მიეტოვებინა უშიშრად მდგარი სახლი და ახლა უკანასკნელადღა ეძახის მას?... ამ ფიქრებმა დაუხანჯლეს ტვინი ჰაუკეს, მაგრამ ფიქრები უპასუხოდ დარჩა—ქმარი ცოლს კერაფერს აგონებდა, ცოლი კი—ქმარს, სიტყვებს ქარაშოტი იტაცებდა. მათ სმენას მხოლოდ წარღვნის გუგუნი ჩაესმოდა.

— ჩემო შვილო! ელკე, ო, ჩემო ერთგულო ელკე!—გაჰკიოდა ქარიშხალში ჰაუკე.

აი კიდევ ერთი დიდი ნაწილი მოერღვა ჯებირს და გრუხუნით დაეშვა ზღვის უფსკრულისკენ. ჰაუკემ ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ცხენის თავს, მერე ადუღებული მორევიდან ამობრუნებული ორთვალის ბორბლები დაინახა და ყველაფერი უფსკრულმა შთანთქა.

ჯებირზე განმარტოებით ასვეტილი მხედრის გაყინული თვალები ვეღარაფერს ხედავდა.

— დამთავრდა!—ხმადაბლა ჩაილაპარაკა მან თავისთვის და ცხენი უფსკრულისაკენ წაიყვანა, საიდანაც საშინელი შიშინით შემოჭრილი წყალი უკვე მისი მშობლიური სოფლის წალეკვას შესდგომოდა. ისევ მოჩანდა მისი სახლიდან ათრთოლებული სინათლის სხივი, მაგრამ ჰაუკესთვის მას აღარ მოჰქონდა აღარც სითბო, აღარც სიცოცხლე. მხედარი ცხენზე წამოიმართა და ფერდებში დეზები აძგერა. პირუტყვი ყალყზე შედგა და კინაღამ უკან გადმოვარდა, მაგრამ მხედარმა იმარჯვა.

— წინ!—ისე შესძახა ჰაუკემ, როგორც იცოდა ადრე, როცა წინ შორი გზა ედოთ.—ღმერთო ძლიერო, მე მიმიღე შენს უპეში, ოღონდ სხვები გადაარჩინე!

ისევ ჰკრა თეთრონს დეზები. ცხენმა ისეთი დაიჭიხვინა, ქარის ღმუილი და ზღვის ღრიალი დაჰფარა. შემდეგ დაბლა დაქანებულ ზვირთებში ყრუ ხმაური და ხანმოკლე გაბრძოლება...

მაღლიდან მთვარემ გამოანათა, მაგრამ ჯებირზე სიცოცხლის ჩამიჩუმი აღარ იგრძნობოდა, გახელებულ წყალს დაეფარა ძველი ჯებირის უკან მთელი მიწები. ამ წარღვნაში მაინც მოჩანდა ჰაუკე ჰაიენის სახლი და ყურე, მაინც ციმციმებდა იქ ანთებული ალის შუქი, მაღლობზე წამომდგარ სახლებში კი თანდათან ქრებოდა შუქი და შემდეგ აქაფებულ ტალღებს მხოლოდ სამრეკლოზე შემორჩენილი ერთადერთი სანთელიღა აფენდა ათრთოლებულ სინათლის სხივს.

მთხრობელი დადუმდა. მე ხელი მოვკიდე სავსე ჭიქას,

რომელიც კარგა ხანია ჩემს წინ იდგა, მაგრამ პირთან აღარ მიმიტანია—ხელი მაგიდაზე დამრჩა.

— აი, ასეთია ჰაუკე ჰაიენის თავგადასავალი,—კვლავ წამოიწყო ჩემმა მასპინძელმა.—გადმოგეცით, რაც კი ვიცოდი. ჩვენი დღევანდელი ზედამხედველის მეკუჭნავე ქალი ამ ამბავს, ალბათ, სხვაგვარად მოგიყვებოდათ.

იმასაც ამბობენ, რომ იმ წარღვნის შემდეგ იევერსის კუნძულზე მთელმა სოფელმა კვლავ დაინახა ცხენის თეთრი ჩონჩხი, რომელიც იქ წარღვნამდე მოჩანდაო. ერთი კი ცხადია: ჰაუკე ჰაიენი და მისი ცოლ-შვილი ზღვის ზვირთებმა ჩანთქეს. სასაფლაოზე მათ სამარეებს ვერსად წავაწყდი. როგორც ჩანს, გაგლეჯილ ნაპრალში უკან დაბრუნებულმა ზღვის წყალმა გაიტაცა მათი გვამები და ფსკერზე ნაკუწ-ნაკუწად აქცია. ასე დააღწიეს მათ თავი ადამიანთა გაბოროტებას და ღვთის სავანეში ჰპოვეს სიმშვიდე. ჰაუკე ჰაიენის ჯებირი კი ისევ ისე დგას, თუმცა მას შემდეგ ასი წელი გავიდა. როცა ხვალ ქალაქისკენ გზას დაადგებით, ნუ დაგენანებათ ნახევარი საათის დაკარგვა, ცოტა გვერდზე გადაუხვიეთ და ეს ჯებირი თქვენი ცხენის ფლოქვებქვეშ აღმოჩნდება. როგორც დაინახეთ, მადლობა, ოდესღაც იევე მანერსი ჯებირის აღმშენებელს შვილიშვილთაგან რომ აღუთქვამდა, ჰაუკე ჰაიენს არ მიუღია, რადგან ასეა საერთოდ, ბატონო ჩემო: სოკრატეს საწამლავი შესთავაზეს, ხოლო იესო ქრისტე ჯვარს აცვეს! ჩვენს დროში ასეთი ამბების ჩადენა ადვილი აღარ არის, მაგრამ ვინმე მოძალადისა ან ბოროტი და თავკერძა ხუცესის წმინდანად შერაცხვა, ხოლო უნარიანი ყმაწვილის მოჩვენებად ან ღამის მოარულ ავსულად გადაქცევა მხოლოდ იმის გამო, რომ ჩვენზე ერთი თავით მაღლა

იდგა—დღესაც შეგვიძლია.—თქვა რა ეს, ტანმორჩილი მთხრობელი წამოდგა და გარეთ მიაყურადა.

— თითქოს ამინდი შეიცვალა,—მითხრა მე და ფანჯრიდან საბანი გადასწია. მიდამო მთვარეს გაენათებინა.—შეხედეთ,—განაგრძო ისევ მან,—აი, ნდობით აღჭურვილებიც ბრუნდებიან, მაგრამ არა, ცალ-ცალკე იშლებიან და სახლებში მიდიან. შეიძლება იქითა ნაპირზე სადმე ჯებირი გარღვია, წყლის დონემ დაიწია.

მასთან მივედი და გარეთ გავიხედე. აქ ფანჯრები ჯებირის კიდეს იყო აცილებული. მართლაც ისე იყო, როგორც მან თქვა. ჭიქა ავიღე და გამოვცალე.

— მადლობელი გახლავართ ამ საღამოსთვის! მგონი, ახლა მშვიდად შეგვიძლია დავიძინოთ.

— ჰო, შეგვიძლია. ღამე ნებისას გისურვებთ!—მიპასუხა ტანმორჩილმა მასწავლებელმა.

...ქვემოთ რომ ჩავდიოდი, წინკარში ზედამხედველს შევეხეჩე. ფუნდუკში დატოვებული კარტის წასაღებად მობრუნებულიყო.

— ყველაფერმა გაიარა,—თქვა მან.—ალბათ, ჩვენმა მასწავლებელმა ცოტაოდენი სიბრძნე შეგძინათ, უყვარს კაცის განათლება.

— გონებაგახსნილი კაცი ჩანს! — მივუგე მე.

— დიახ, რასაკვირველია, მაგრამ საკუთარ თვალებს უნდობლობას მაინც ნუ გამოუცხადებთ. როგორც ვამბობდი, ყურეს იქითა ნაპირზე ქარიშხალმა ჯებირი გაგლიჯა!

მე მხრები ავიჩეჩე.

— ძილის დროა. ღამე მშვიდობისა, ბატონო ზეღამხედველო!

— ღამე მშვიდობისა! — გაიცინა მან.

...დილას, როცა მზემ ოქროსფერი სხივები გაბარტყნებულ მიდამოს მოჰფინა, მე უკვე ჰაუკე ჰაიენის ჯებირზე მივაჭენებდი ცხენს ქალაქისაკენ.

შენიშვნები

იმენზეე

ნოველა დაიწერა 1849 წელს ჰუზუმში. პირველი რედაქციით (თავებად დაყოფის გარეშე) იგი 1850 წელს გამოქვეყნდა, ბირნაცკის ალმანახ „სახალხო წიგნში". ახალ და უკვე დასრულებულ ვარიანტად დაიბეჭდა ერთი წლის შემდეგ კრებულში — „ზაფხულის ზღაპრები და სიმღერები".

ნოველამ ავტორს პოპულარობა მოუპოვა. თეოდორ ფონტანე შტორმზე დაწერილ სტატიაში („პროისიშე ცაიტუნგ" — „პრუსიული გაზეთი", 1853წ. 17 ივნისი) „იმენზეეს" გერმანული სიტყვაკაზმული მწერლობის შედევრებს აკუთვნებდნენ, ავტორსაც ეს ნოველა თავის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებად მიაჩნდა.

ერთ დღეს (როგორც ირკვევა, 1849 წლის 17 თებერვალს) შტორმი მოხვედრილა საზოგადოებაში, სადაც ერთ ახალგაზრდა ქალს მოელოდნენ. ქალი არ მოსულა და სიტყვა მის თაობაზე ჩამოვარდნილა. იგი თურმე მდიდარ, მაგრამ მოხუც კაცზე გათხოვილა, რომელიც პრაქტიკულად მოაზროვნე საქმოსანი ყოფილა. ქალის გათხოვებაში გადამწყვეტი როლი დედას უთამაშნია.

მეორე დღეს შტორმმა დაწერა ლექსი „დედაჩემს სურდა ასე",

რომელშიც ლირიკულად აისახა ნოველის ძირითადი მოტივი. თარიღის მიხედვით, ლექსი დაწერილა 18 თებერვალს, მაგრამ შემდგომში თვით ავტორსაც კარგად არ ახსოვდა, ეს ლექსი დაწერა აღრე, თუ ნოველა „ივენზეე“.

ნოველის დაწერის ამ ფორმალურ მიზეზზე უფრო მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ თვით ავტორის იმდროინდელი სულიერი განცდები, სახელდობრ, ერთი მხრივ, ბერტა ფონ ბუხნერუსთან დაკავშირებული ვულსაკლაკი მოგონებები (რომელიც შემდგომ რაინპარდისა და ... ბეტის ბაკშეობისდროინდელ ურთიერთობაში აისახა), მეორე მხრივ კი — და ეს უფრო მნიშვნელოვანია — 1848 წელს დორის იენსენთან გადაულახავ გარემოებებით განპირობებული დაშორებით გამოწვეული მტანჯველი ფიქრები.

გვ. 28, „იძულებული გახდა სამი მრთველის ზღაპრისთვის თავი გაენებებინა“ ლაპარაკია ცნობილ ზღაპრულ სიუჟეტებზე, რომლებიც გამოყენებული აქვთ ძმებ გრიმებს ზღაპრებში: „სამი მრთველი“, „უკვდავების წყალი“, „უფლისწული, რომელსაც არაფრისა არ ეშინოდა“.

გვ. 33. ელფები — ძველი სკანდინავური მითოლოგიით ადამიანის სახის მქონე ჰაეროვანი არსებანი, რომლებიც მთვარის შუქზე ერთად იკრებებოდნენ და ფერხულს აბამდნენ

გვ. 57. ტიროლი—ავსტრიის ერთი მხარე, რომლის მთავარი ქალაქია ინსბრუკი.

გვ. 60. წყლის თეთრი შროშანა.—გერტრუდ შტორმი ამის თაობაზე წერდა („Theodor Storm.“ B. I. S. 137). ფეოდორმა თავის მეგობრებთან — მანტელსთან, როზენთან და დელიუსთან ერთად, რომლებსაც რამდენიმე ქალი და გოგონაც ახლდათ, ერთ ზაფხულს ჰაველის კუნძულზე გაისეირნეს. ღამეც ამ კუნძულზე გაატარეს. თბილი და მთვარიანი ღამე იყო და შტორმმა ვერ დაიძინა. ნაპირ ჩაჯდა და ზღვისსიფარეთ მდინარეს ქვემოთ დაუყვა. შორს, ალაპლაპებულ ფართო ფოთლებში, მთვარით განათებული წყლის თეთრი ვარდი შენიშნა. ყვავილი განპარტოებით განაბულიყო და მნახველს თავისკენ იზიდავდა. შტორმმა ცდუნებას ვერ გაუძლო, გაიხადა და წყალში ჩაეშვა, რომ ასე, ცურვით, ძისულიყო წყლის ვარდთან. მაგრამ წყალმცენარეების ფესვებსა და ღეროებში

გაიბლანდა რამდენსაც არ ეცადა, მაინც ვერაფერს გახდა, იძულებული გახდა განზრახვაზე ხელი აეღო და უკან დაბრუნებულიყო.

თოჯინების ოსტატი პოლე

1873 წლის 11 ნოემბერს შტორმი ატყობინებს პაულ ჰაიზეს, ახლა თოჯინების თეატრის შუაგულ ამბებში ვარო, და უკვე 1874 წლის იანვარში ნოველა დასრულებული ჰქონდა.

ნოველა დაწერა ჟურნალ „დოიჩე იუგენდის" („გერმანელი ახალგაზრდობა") რედაქტორის შეკვეთით და დაიბეჭდა 1874 წლის აპრილის ნომერში (ლაიფციგში). აქ აღწერილი თოჯინების სპექტაკლის ერთ-ერთ ლიტერატურულ წყაროდ შტორმმა გამოიყენა გოტფრიდ კელერის რომან „მწვანე ჰაინრიხის" პირველი ვარიანტი. ამ ნოველაზე მუშაობისას შტორმმა მიზნად დაიხახა, რომ მოზარდებისა და მოზრდილთათვის თანაბრად საინტერესო ნაწარმოები შეექმნა, რასაც მიაღწია კიდეც.

წიგნად პირველად გამოიცა „ტყის ყურესთან" ერთად გ. ვესტერმანის მიერ. 1875 წელს. ბრაუნშვეიგში.

გვ. 67. სუბრექტორი — რექტორის მოადგილე, წარმომადგენელი.

გვ. 69. ფრიზეთი, ფრიზლანდია—წინათ ნიდერლანდის ჩრდილოეთი პროვინცია, ისელის ტბის ჩრდილოეთით; მდინარე მაასსა და ვეზერს შორის მოქცეული ჩრდილოეთის ზღვის სანაპირო.

გვ. 68. ფრიზიელი— ფრიზეთის მცხოვრები.

გვ. 74. ბერგამოტი — მსხლის ჯიშია ერთგვარი.

გვ. 74. პფალცგრაფი ზიგფრიდი და წმიდა ენენევიევა— შუა საუკუნეების ცნობილმა ფრანგულმა ლეგენდამ წმიდა ენენევიევაზე გერმანიაში დიდი გავრცელება ჰპოვა. მის ერთგულებაში დაეჭვებულმა ქმარმა პფალცგრაფმა ზიგფრიდმა ენენევიევა ტყეში მიატოვა ვაჟიშვილთან ერთად, რომელიც გრაფის ოჯახში არყოფნის დროს დაიბადა. ენენევიევა ძოწამებრივი სიკეთილით კვდება. უსამართლოდ განკიცხულ ქალს მოკვეანებით ისევ ჩამოაცილეს სამარცხვინო ლაქა და გაამართლეს მერე საუკუნის შუა წლებში. შემდგომში ენენევიევა კათოლიკურმა ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. გერმანული ხალხური წიგნი წმიდა ენენევიევაზე დაამუშავეს თოჯინების თეატრისათვის. ამ პოპულარულ თოჯინების კომედიაზეა ლაპარაკი შტორმის ნოველაშიც, უფრო გვიან კი იგი რამ-

ლენიმე დრამატული ნაწარმოების წყაროდაც იქცა. ამ თემას ნაწარმოებები მიუძღვნეს ფრიდრიხ მიულერმა (1808), ლუდვიგ ტიკმა (1800), ფრიდრიხ ჰებელმა (1843) და სხვებმა.

გვ. 82. „დოქტორ ფაუსტის ჯოჯოხეთში შთასვლა" — 1587 წელს გამოცემული შპისის ხალხური წიგნიდან მოკიდებული, ლეგენდამ დოქტორ ფაუსტზე გერმანიაში ფართო გავრცელება ჰპოვა.

მე-17 საუკუნიდან დოქტორ ფაუსტის თემაზე ხალხური სანახაობის გარდა თოჯინების სპექტაკლებსაც მართავდნენ, რომელშიც თქმულებათა სხვადასხვა ვერსიას იყენებდნენ. სპექტაკლებმა დროის მანძილზე საკმაო ცვლილებები განიცადა. პირველ ხანებში მათში კომიკური ცოტა რამ იყო, მაგრამ მე-18 საუკუნიდან სპექტაკლებში კომიკური ადგილები თანდათან მატულობს. თოჯინების კომედიის შინაარსი წარმოადგენს გერმანელი პოეტ-რომანტიკოსი კარლ ზიმროკის მიერ პოპულარული სახით გადამუშავებულ სახეს (1846), რომელშიც ერთ მთლიანობაში შეირწყო სიუჟეტის რამდენიმე ვარიანტი. შტორმის დროს დოქტორ ფაუსტის სიუჟეტის გადაკეთებას მიმართა ავგუსტ ბონეშკიმ (1850),

გვ. 89. ფამულუს — უმაღლეს სასწავლებელში მასწავლებლის დამხმარე, თანაშემწე სტუდენტი.

გვ. 91. Fauste, Fauste, in aeternum damnatuses Fausti (ლათ) — ფაუსტ, ფაუსტ, შეჩვენებული ხარ სამარადჟამოდ.

გვ. 100. გაისელბრეხტი — თავის დროზე ცნობილი თოჯინების თეატრის აქტიორი, რომელიც 1797 — 1807 წლებში გერმანიის სხვადასხვა ქალაქში, უმეტესად კი მაინის ფრანკფურტში, გამოდიოდა, შემონახულია მისი ხელნაწერი სათოჯინო პიესა „დოქტორი ფაუსტი ანდა დიდი ნეგრომანტი".

გვ. 103. ვაისეს ბავშვების მეგობარი — ვაისე ქრისტიან ფელიქსი (1726 — 1804 წ.წ.) — გერმანელი მწერალი, საყმაწვილო ლიტერატურის ერთ-ერთი მეგობარი. თავისი ჟურნალებით, განსაკუთრებით „ბავშვების მეგობარი", (სცემდა 1776—1782 წლებში) იგი ხელს უწყობდა გერმანული საბავშვო ლიტერატურის განვითარებას.

გვ. 108. საამქრო წესებით გათვალისწინებული მოგზაურობის წლების დამოწმება — გერმანელ ხელოსანს, სანამ იგი საკუთარი სახელოსნოს გახსნის უფლებას მიიღებდა,

მოვალე იყო რამდენიმე წელიწადს გამოცდილ ოსტატთან ემუშავა, ქარგლობის დროს ემოგზაურა, გამოცდილება დაეგროვებინა, ხელობაში გაწაფულიყო და თავის ამქარში საკუთარი ხელით ნაკეთები ნიმუში წარედგინა. ეს ჩვეულება, რომელიც გერმანიაში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში შეიქმნა, იქ მე-19 საუკუნის შუა წლებამდე შემორჩა.

გვ. 124. ჰარცული მესამედი (ჰარცდრიტელი) — ჰარცის ძველი მაღაროებიდან მომდინარე ვერცხლის მონეტა, რომლის ერთ მესამედს სუფთა ვერცხლი შეადგენდა.

გვ. 124. კრემნიცული დუკატი — ავსტრიის ოქროს ფული, რომელსაც მთის ქალაქ კრემნიცში სჭრიდნენ (დღეს ჩეხოსლოვაკიის ქალაქი კრემნიცა).

ზღვის გაღმა ძვეულნიდან

ავტორმა ამ ნოველაზე წელიწადზე მეტ ხანს იმუშავა ჰაილიგენშტატსა და ჰუზუმში (1863—1864 წლებში). ნაწარმოების გამოქვეყნება დაგეგმილი იყო ჟურნალ „ბაზარში“, მაგრამ აქ აღარ დაიბეჭდა. რედაქტორმა ი. როდენბერგმა ავტორს ხელნაწერი უკან დაუბრუნა იმ მოტივით, რომ გმირი ქალი უკანონოდ შობილიაო.

ნოველა პირველად დაბეჭდა 1865 წლის იანვარში ჟურნალ „ვესტერმანს მონატსჰეფტეში“ („ვესტერმანის ყოველთვიური“). 1865 წლის 13 მარტს შტორმი სწერდა ლ. პიჩს: „ნამუშევრით კმაყოფილი ვარ, მაგრამ ფინალი მთლიანად ვერ ამოწურავს ტრაგიკულ კონფლიქტს. უკვე მოვიფიქრე სხვაგვარი დაბოლოება“. მაგრამ შტორმმა ეს განზრახვა ვეღარ აასრულა.

გვ. 142. ქალბატონი ჰოლე — ერთ-ერთი გერმანული ზღაპრის პერსონაჟი.

გვ. 176. ბრიგი — ორანძიანი აფრებიანი ხომალდი, რომელსაც ორივე ანძაზე პირდაპირაფრებიანი აღჭურვილობა აქვს.

გვ. 179. მანგო — აზიის ტროპიკებში მზარდი ხე. აქვს ვაშლის ზომის ნარინჯისფერი ტკბილი, არომატული ნაყოფი.

გვ. 146. პარია — უუფლებო, განკიცხული, დაჩაგრული ადამიანი.

გვ. 146. სენ-კრუა-(სანტ-კრუსი) — ვირგინიის არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძული. 1916 წლამდე დანიას ეკუთვნოდა.

გვ 153. ლენოტრე ანდრე (1613 — 1700) — ფრანგი არქიტექტორი, ვერსალის პარკების ავტორი. მის სახელთან დაკავშირებულია განსაკუთრებული, აბსოლუტიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი პარკის გაშენების სტილი: მწყობრი დაგეგმვა, პირდაპირი ხეივნები, შეკრეჭილი ხეები.

გვ. 160. ზილსფელდი შარლი (1793 — 1864) — ავსტრიელი მწერალი, იგივე კარლ ანტონ პოსტლი. იგი ერთხანს კათოლიკე ბერი იყო პრაღაში. იქიდან ორდენს ჩრდილო ამერიკაში გაექცა. აქედან ებრძოდა იგი მეტერნიხის რეაქციულ რეჟიმს. ცნობილი გახდა მექსიკელ ინდიელთა ცხოვრების რეალისტური აღწერით. მისი მთავარი ნაწარმოებია „კაიუტის წიგნი" (1861). ცნობილია, როგორც ჩრდილო ამერიკის ბუნების სურათების უბადლო აღმწერი.

გვ. 163. ვოლანი — სათამაშო საცობი, რომელსაც ბუმბულები აქვს მიმაგრებული. მას ჩოგანით ისვრიან გაბმული ბადისა ან თოკის მიღმა.

გვ. 165. ბოსკეტი — პატარა ჭალა. დეკორაციულ ჭალებში ხეების მჭიდრო ნარგაობა, რომელიც ხშირად პარკების ნაპირებზე შენდება, მისი შემოფარგვლისა ანდა სამეურნეო ნაგებობებიდან გამოცალკევების მიზნით.

გვ. 166. მერგელი — ერთგვარი მთის თიხიანი ქანი, რომელიც კირქვისა და ნახშირქანგა მაგნიუმს შეიცავს. იყენებენ ცემენტისა და სასუქის წარმოებაში.

გვ. 169. პოლიფემი — ბერძნული თქმულების მიხედვით ცალთვალა გოლიათი (ციკლოპი), რომელიც ოდისევმა დააბრმავა და შემდეგ მოტყუებით დაუსხლტა ხელიდან.

გვ. 169. გალათეა — (ბერძნ.) ზღვის მეორეხარისხოვანი ქალღმერთი.

ტყის ყურე

1874 წლის 10 ივლისს შტორმი წერდა ე. კუს: „ამჟამად ვწერ ერთგვარად საჩოთირო და ძალიან გულისმომწყვლელი სიყვარულის ამბავს — „ტყის ყურეს", რომელსაც ამ ზაფხულს დავასრულებ". მართლაც

ნოველა იმავე წელს დასრულდა და ოქტომბერში დაიბეჭდა ჟურნალ „დოიჩე რუნდშაუში“ („გერმანულ მიმოხილვაში“) ცალკე წიგნად „თოჯინების ოსტატ პოლესთან“ ერთად გამოიცა 1875 წელს ბრაუნშვაიგში.

„ტყის ყურე“ შტორმის ერთ-ერთი პოპულარული ნაწარმოებია, რომელსაც მის შემოქმედებით ევოლუციაში თვალსაჩინო ადგილი უკავია გოტფრიდ კელერმა ამ ნოველას „ძვირფასი და დიდებული“, ეწოდა. ჰაიზეს იგი მიაჩნდა შტორმის ერთ ერთ ვირტუოზულად დაწერილ ნაწარმოებად, ავტორი კი ნამუშევრით კმაყოფილი არ იყო, ამის თაობაზე შტორმი 1874 წლის 27 ნოემბერს წერდა ე. კუსს: „ჩემი შეფასებით ეს ნოველა ასეთია: მისი ნაკლი ის არის, რომ ამოსავალი წერტილი ულაზათო აქვს. ეს კი იმან გამოიწვია, რომ მისი მოტივი უშუალოდ ცხოვრებიდან ავიღე“.

გვ. 197. დორნბურგი — იენის ჩრდილოეთით მდინარე ზაალეს ხეობაში. მდებარე პატარა ქალაქი, რომელიც თავისი ციხე-დარბაზებით არის ცნობილი.

გვ. 200. Scientis bonum et malum (ლათ.) — გაიგებთ, რა არს კეთილი და რა არს ბოროტი (ბიბლია, მოსეს პირველი. წიგნი თავი მესამე).

გვ. 202 in bonis (ლათ)—საარსებო სახსარი.

გვ. 205. სტუდენტთა შეთქმულება — ნაგულისხმევია სტუდენტთა არალეგალური პროგრესული კავშირის (ბერშენშაფტის) 1821 — 1822 წლების შეთქმულება.

ვვ 205. ვარტბურგის შეკრება — 1847 წლის 18 ოქტომბერს ვარტბურგში (აიზენახის მახლობლად) მოხდა ლიბერალურად განწყობილი გერმანელი სტუდენტებისა და პროფესორების საზეიმო შეხვედრა XVI საუკუნის გლეხთა ომის წლისთავის აღსანიშნავად. ამ თავყრილობის შედეგად დაწვეს რეაქციული ხასიათის შრომები. ამას მოყვა სტუდენტთა მოძრაობის (ბურშენშაფტის) აღმავლობა, რომლის მიზანიც გერმანიის გაერთიანება იყო.

გვ. 210. მამზელხენ (გერმან. მოფერებით) — ქალიშვილი

გვ. 212. ოკეანის „იზიდა“ — უპირატესად ბუნებისმცოდნეობის

ისტორიის ხასიათის ენციკლოპედიური ჟურნალი, რომელსაც 1816—1848 წლებში სცემდა გერმანელი ბუნებისმეტყველი, ნატურფილოსოფოსი, პანთეიზტ-იდეალისტი ლორენც ოკენი (1779 — 1851).

გვ. 215. მ ა ლ ე პ ა რ ტ უ ს ი—მელაზე შექმნილ ეპოსში „რაინეკე — მელა“ მელიის გამოქვაბულის სახელწოდება.

გვ. 218. Cornus Suecica — შვედური შინდი, ტყის ნაპირას მზარდი ბუჩქი ან ხე.

გვ. 230. ბ ე რ ს ა ვ ი ა — ძველი აღთქმის მიხედვით, მხედართმთავარ ურიას ცოლი, რომელიც მას მეფე დავითმა წაართვა და ამის გამო ურია მოაკვლევინა. ბერსავია სოლომონ მეფის დედა იყო.

გვ. 248. ბ ა რ თ ლ ო მ ე ს ღ ა მ ე — 24 აგვისტო. ამ დღეს კათოლიკური ეკლესია დღესასწაულობს მოცოქულ ბართლომეს პატივსაცემად. აქ ნაგულისხმევია ხოცვა-ჟლეტა, რომელიც ჰუგენოტებმა მოაწყვეს 1572 წლის 24 აგვისტოს. გადატანით ნახმარია ნადირობის სეზონის დაწყების აღსანიშნავად.

გვ. 232. მ ო ს ა ვ ლ ი ს ბ ა ვ შ ვ ი — ხალხური რწმენით, მინდვრის მოსავალზე გავლენას ახდენს დემონური ძალები და ამიტომ მათ მოსავლის შესაწირავი უნდა მიეძღვნას. აქედან წარმოდგება თქმულება დემონურ საფრთხობელებზე, რომლებიც ბავშვებს სდარაჯობენ. ჰოლშტაინში ხალხი ასეთ დემონებს მიაკუთვნებენ მოსავლის ბავშვს.

ფ ს ი ქ ე ა

ნოველა დაიწერა ჰუზუმში 1875 წლის პირველ თვეებში. ამ წლის 20 მარტს ავტორი ატყობინებს ბ. ჰაიზეს: „ამჟამად ვმუშაობ „ფსიქეაზე“, რომელიც აქამდე კარგად მიდის“. 25 აპრილს დასრულებული ხელნაწერი უკვე გამომცემლობას გადაეგზავნა.

ნოველა პირველად 1875 წლის ოქტომბერში დაიბეჭდა „დეიჩე რუნდშაუს“ („გერმანული მიმოხილვა“) მე-5 ნომერში. წიგნად კი სხვა ნოველებთან ერთად გამოსცა გ. ვესტერმანმა 1876 წელს ბრაუნშვაიგში.

ნოველის დაწერის მოტივია გაზეთში გამოქვეყნებული ცნობა. 1875 წლის 5 მაისს შტორმი სწერს ი. როდენბერგს: რამდენიმე ხნის წინათ გაზეთში წავიკითხე, რომ გიმნაზიის ერთ მოსწავლეს წყალწაღებულის

გადარჩენისათვის მედალი მიუღია, რადგან მას ერთი გოგონა (კარგად ჩაცმული) გადაურჩენია. ნოველა-ც აქედან წარმოდგა. ხომ იცით, აიხენ-დორფი რას ამბობს:

„ქვაც კი მღერას წამოიწყებს,
თუკი მარჯვე სიტყვა სტყორცნე-ო“.

ნოველაზე მუშაობა შტორმისთვის დამქანცველი არ ყოფილა. „ბოლო სცენა ოთხჯერ გადავაკეთე. ვცდილობ, ნოველა რაც შემიძლია კარგად დავწერო, ამიტომ კვლავ და კვლავ ვუბრუნდები და .ეს მუშაობა სიამოვნებას მგვრის“, ატყობინებდა იგი ე. კუს.

ამ ნოველით, როგორც თვითონ აღნიშნავდა, შტორმმა ამოცანად დაისახა გადაეკრა, ერთის მხრივ, მშვენიერი ყმაწვილკაცისადმი ჩასახულ სიყვარულისა და მადლობის, მეორე მხრივ კი სირცხვილის გრძნობას შორის წამოჭრილი უთანხმოება. ამ დროს სიძნელე იმდენად ის კი არ .ყო, თუ როგორ შეენარჩუნებინა ქალიშვილის უბიწო სახე, არამედ უფრო მეტად ის, თუ როგორ გამოეტარებინა შეულახველად ეს უბიწობა ამაღლებულსა და სასაცილოს შორის არსებულ მცირე მანძილზე.

გვ. 268. ფ ს ი ქ ე ა—ბერძნული მითოლოგიით ეროსის შეყვარებული. ბერძნულ ხელოვნებაში ნაზი ქალწული, რომელსაც ჯერ ფრინველის ფრთებით გამოხატავდნენ, შემდეგ კი პეპლისა.

გ ვ. 269. ტ ო მ პ ა კ უ რ ი ს ა ა თ ი — ტომპაკისაგან (სპილენძისა და თუთიის ნაერთი) გაკეთებული საათი;

გ ვ. 269. შ ე ი ძ ლ ე ბ ა კ ა ც ი კ ა თ ო ლ ი კ ე გ ა ხ დ ე — როგორც ცნობილია, მე-16 საუკუნიდან მოკიდებული, რომის კათოლიკური ეკლესიის მიმდევრებთან მკვეთრ წინააღმდეგობაში იყვნენ პროტესტანტები — რეფორმაციის მოშხრეთა მიმდევრები. პროტესტანტის მიერ ნახმარ ამ გამოთქმაში ჩანს, რაოდენ შეურიგებელი ბრძოლა იყო გაჩაღებული მათ შორის საუკუნეთა მანძილზე.

გ ვ. 271. კ ა მ ე რ ე ტ ი ნ ი—კამერატის (გერმ. მრჩეველი) ცოლი.

გ ვ. 271. კ რ ი გ ს რ ე ტ ი ნ ი — კრიგსრატის (გერმან. სამხედრო მრჩეველი) ცოლი.

გ ვ. 277. ბ რ უ ნ ჰ ი ლ დ ე — ფრანკთა დედოფალი (597-613), რომე-

ლიც ულმობელ სისხლისმღვრელ ომს აწარმოებდა თავის მოწინააღმდეგე ფრედეგუნდესთან.

გ.ვ. 277. რ ა ა რ ი ს ჩ ე მ თ ვ ი ს ჰ ე კ უ ბ ა? — შექსპირის „ჰამლეტის" ერთი ადგილის გახსენება, („მერე, რა არის ჰეკუბა მისთვის ან თვითონ ეგ ჰეკუბასათვის, რომ ასე ცხარე ცრემლსა ღვრიდა?" II მოქმედება, მეორე სურათი. ი. მაჩაბლის თარგმანი). „ილიადაში" (VI) ჰექტორი ეუბნება ანდრომახეს, თვით ჩემი დედის—ჰეკუბას მომავალი ტანჯვა უფრო ნაკლებ მაწუხებს, ვიდრე შენიო.

გ ვ. 277. დ ი დ ი კ რ ი ტ ი კ ო ს ი — ნაგულისხმევია კრიტიკოსი, რომელმაც მსგავსი აზრი გამოამჟღავნა იმერმანის „ტრისტან და იზოლდაზე" — დავით ფრიდრიხ შტრაუსი (იხ. მისი „მცირე ჩანაწერები". ლაიფციგი 1862).

გ ვ. 278. ვ ა ლ კ ი რ ი ა (Walküre) — ძველჩრდილოური მითოლოგიის მიხედვით ქალღმერთები (ღმერთ ოდინის შვილები), რომლებიც ომს წარმართავდნენ. ომში დაღუპულ ვაჟკაცების სულებს ვალჰალაში აცილებდნენ (ვალჰალი — ჩრდილოური მითოლოგიის მიხედვით ღმერთ ოდინის სასახლე, სადაც ცხოვრობდნენ ბრძოლაში დაცემულ გმირთა სულები).

გ ვ. 278. ლ ე ვ კ ო თ ე ა — ბერძნული მითოლოგიით ზღვის მეორეხარისხოვანი ქალღმერთი, რომელიც იმათ გადარჩენაზე ზრუნავდა, ვინც ზღვაზე გაჭირვებაში ჩავარდებოდა. მისი დახმარებით გადარჩა ოდისეესი კუნძულ ფეაკენზე („ოდისეა" V).

გ ვ. 279. ტ რ ი ტ ო ნ ი — ზღვის მეორეხარისხოვანი ღმერთი, რომელსაც ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ადამიანის ზედატანი და თევზის ბოლო ჰქონდა. ტრიტონი ნეპტუნის (ზღვის ღმერთის) შვილი იყო.

გ.ვ. 279. ო კ ე ა ნ ი დ ე—ბერძნული მითოლოგიით ოკეანეთა უხუცესი ღმერთის ოკეანოსის ქალიშვილი.

გ ვ. 285. კ ო რ გ ე — ჯებირის საშუალებით ზღვისთვის წართმეული მარშის მიწებით შექმნილი ადგილი, ზონა (მ ა რ შ ი — ზღვისაგან წართმეული მიწა, რომლის ზედაპირი წყებოვანი თიხნარით არის დაფარული).

გ.ვ. 287. პ ა რ თ ე ნ ო ნ ი — ქალღმერთ ათინასადმი მიძღვნილი ტაძარი ქ. ათენის აკროპოლისში.

გ ვ. 288. ფ ა ვ ნ ი—რომაული მითოლოგიით ნაყოფიერების ღმერთი,

გვ. 288. კატონის სიმტკიცით, კატონი—ძველი რომაელი ცენზორი, რომელიც თავის სეხნია ბადიშის მსგავსად განთქმული იყო მკაცრი ზნეობრივი შეხედულებებით.

გვ. 291. აპულეუსი — რომაელი მწერალი (115—180), რომელიც თავის სატირულ რომანში („ოქროს ვირი") ამურისა და ფსიქეის შესახებ ზღაპრულ ეპიზოდებს გადმოგვცემს.

გვ. 291 არგუსი — ბერძნული მითოლოგიით, ოლიათი, რომელსაც ასი თვალი ჰქონდა და ამიტომ ფხიზლად სდარაჯობდა იოს. ზოგი თვალი რომ ახელილი ჰქონოდა, ზოგით — ეძინა. იო — ბერძნული მითოლოგიით, ღმერთთა მამამ. ევრის ზევსის შეყვარებული.

გვ. 298. ფამა — ბმის პერსონიფიკაცია. მის სამყოფელ სახლს აღწერს რომაელი პოეტი ოვიდიუსი (43 წ. ქ. წ. 17 წ. ქ. შ.) თავისი „მეტამორფოზების" მეთორმეტე წიგნში.

ლენა ვისი

ნარკვევი დაიბეჭდა ჟურნალ „დოიჩე იუგენდში" („გერმანელი ახალგაზრდობა") 1873 წელს. მოგვიანებით ავტორმა იგი შეიტანა ავტობიოგრაფიული ციკლის ნარკვევებში (1871-1873), რომელიც ავტორისაეე სიცოცხლეში გამოცემულ თხზულებათა მერვე ტომში დაიბეჭდა (1877 წ.).

გვ. 310. ცენტიფოლია — ვარდის ჯიშია ერთგვარი.

გვ. 312. დიურერი ალბრეხტი (1471-1528)—დიდი გერმანელი ფერმწერი, გრავიორი და მოქანდაკე, გერმანიის აღორძინების ხანის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. მის ნაწარმოებებში აღბეჭდილია ბრძოლა ახალი ჰუმანისტური და მეცნიერული შეხედულებებისა შუასაუკუნეობრივ რელიგიურ მსოფლმხედველობასთან. მისი ხელოვნება გამოირჩევა პროგრესული სოციალური მისწრაფებებით და ამ ხელოვანის დემოკრატიულ სიმპათიებს გამოხატავს.

მწვანე ფოთოლი

ამ ნოველის პირველი მონახაზი 1850 წელს მიეკუთვნება. სამი წლის შემდეგ შლეზვიგ-ჰოლშტაინის გამათავისუფლებელი ომის ზეგავლენით ეს სიუჟეტი ჰეგზამეტრით დაწერილ იდილიად იქცა. მაგრამ ნამუშევ-

რით შტორმი კმაყოფილი არ იყო და ისევ პროზაულ ფორმას დაუბრუნდა. საბოლოოდ დამუშავებული სახით ნოველა დაიბეჭდა თ. ფონტანესა და ფრ. კუგლერის ალმანახ „არგოში“ (1854 წელს, დესაუში)

გვ. 325. თავი ზღაპრულ ჰანსად წარმოიდგინა — ლაპარაკია გავრცელებული ხალხური ზღაპრების სიუჟეტზე (მაგ. ძმები გრიმების ხალხური ზღაპრების კრებულში მოთავსებული ზღაპარი „ჰიწისქვეშა კაცუნა“).

წუნარი მუსიკოსი

შტორმი მეგობრებს ატყობინებდა, ამ ნოველის მთავარი მოქმედი პირის პროტოტიპს ჩემი ვაჟიშვილი კარლი წარმოადგენსო. იგი უნარიანი პიანისტი, მაგრამ მოკრძალებული და მშიშარა იყო და ამის გამო მუსიკოს-შემსრულებლად არ ივარგა.

ნოველა დაიწერა 1874-1875 წლების ზამთარში. პირველად „ვესტერმანს მონატსჰეფტეში“ („ვესტერმანის ყოველთვიური“) გამოქვეყნდა 1875 წლის აგვისტოში.

გვ. 343. ჰაუფი, ვილჰელმი (1802-1827) — გერმანელი მწერალი, გვიანი რომანტიზმის წარმომადგენელი. მას მსოფლიო აღიარება ლიტერატურული ზღაპრების კრებულმა მოუპოვა. რომანი „ლიხტენშტაინი“ (1826 წ.) ამჟამად საინტერესოა ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით. ამ რომანით მან სცადა გერმანულ ნიადაგზე გადმოენერგა ინგლისელ ვალტერ სკოტის თხრობის მანერა.

გვ. 343. სახელგანთქმულ ციხე-დარბაზთან — ლაპარაკია ჰერცოგ ულრიხ ვიურტემბერგელის ციხე-დარბაზზე, სადაც მიმდინარეობს ვ. ჰაუფის „ლიხტენშტაინში“ აღწერილი მოქმედება.

გვ. 344. ულანდი, ლუდვიგი (1787-1862)—გერმანელი პოეტი-რომანტიკოსი და სწავლული. იგი ავტორია მრავალრიცხოვანი ბალადებისა, ლირიკული ლექსებისა და დრამატული ნაწარმოებებისა.

გვ. 344. ჰოლტი, ლუდვიგ ქრისტოფ ჰაინრიხ (1748-1776) — გერმანელი პოეტი. მისმა მელანქოლიითა და ღვთისმოშიშეობით გაჟღენთილმა ლირიკამ გერმანიაში ფართო გავრცელება მოიპოვა. მრავალი ლექსი ნოტებზე გადაიღეს და ცნობილ რომანსებად იქცა.

გ ვ. 345. ლ ე ს ი ნ გ ი, კ ა რ ლ ფ რ ი დ რ ი ხ ი (1808-1880)—გერმანელი მხატვარი. იგი წერდა ისტორიული ხასიათის ტილოებსა და პეიზაჟებს.

გ ვ. 345. „წ ე ლ ი წ ა დ ი ს დ რ ო ნ ი ს“ კ ა რ ტ ი ტ უ რ ა — ლაპარაკია ცნობილი კომპოზიტორის ჰაიდნის ორატორია „წელიწადის დრონის“ წესახებ (1800.).

გ ვ. 346. A v e v e r u m — მოცარტის მრავალხმიანი ნაწარმოები აგებულია ლათინურ საეკლესიო ტექსტზე (1791).

გ ვ. 350. კ ლ ე მ ე ნ ტ ი მ უ ც ი ო (1752-1832) — ცნობილი პიანისტი, პედაგოგი, დირიჟორი და კომპოზიტორი. იგი ავტორია მრავალრიცხოვანი საფორტეპიანო ნაწარმოებებისა.

გ ვ. 350. რ ო ნ დ ო—მუსიკალური ფორმა, რომელშიც ხშირად მეორდება მთავარი თემა, სხვა თემასთან მონაცვლეობით.

გ ვ. 356. ხ ო დ ო ვ ე ც კ ი, დ ა ნ ი ე ლ ი (1726-1801)—პოლონელი ფერმწერი და გრავიორი. მოღვაწეობდა გერმანიაში. ცნობილია, როგორც ლესინგის, გოეთეს, შილერისა და სხვა გერმანელი მწერლების ნაწარმოებებისათვის შექმნილი გრავიორების ავტორი. თავისი ნამუშევრებით იგი განამტკიცებდა ბურჟუაზიული ჰუმანიზმის იდეას.

გ ვ. 356. ბ ი ო რ გ ე რ ი, გ ო ტ ფ რ ი დ ა ვ გ უ ს ტ ი (1747-1794) — დემოკრატიული მიდრეკილების გერმანელი პოეტი. თავის ლირიკულ სიმღერებისა და ბალადებში ფართოდ იყენებდა ხალხურ მოტივებს.

გ ვ. 357. კ ლ ა ვ ი ჩ ე მ ბ ა ლ ო — კლავესინის — კლავიშიანი საკრავის იტალიური სახელწოდება. იგი შეიქმნა მე-16 საუკუნეში და წარმოადგენს ფორტეპიანოს წინამორბედს.

გ ვ. 364. ბ ე რ გ ე რ ი, ლ უ დ ვ ი გ ი (1777-1839) — გერმანელი მუსიკოსი, მასწავლებელი და კომპოზიტორი. ა ნ დ რ ე ა ს ჰ ო ფ ე რ ი ტიროლელების ეროვნული გმირია. იგი ხელმძღვანელობდა 1809 წლის სახალხო აჯანყებას. ბ ო ს ე ი რ ა მისი სამშობლოა სამხრეთ ტიროლში.

გ ვ. 365. ა ნ დ ა ნ ტ ი ნ ო — მუსიკალური პიესა ან მისი ნაწილი, რომელიც რამდენადმე ჩქარი ტემპით სრულდება.

გ ვ. 368. „ო, დ ა ბ ლ ა, დ ა ბ ლ ა, რ ა გ რ ი ლ ი ს ი მ შ ვ ი დ ე ა“:— კომპოზიტორ შუბერტის რომანსიდან („მეწისქვილე და წყარო“) ამოღებული სტრიქონი.

გვ. 372. Staccato (იტალ.) — მუსიკალური ბგერების მოკლედ და მოწყვეტით მესრულება. Portamento (იტალ.) — ერთი ბგერიდან მეორეზე თანდათანობითი, მსუბუქი და ნელი გადასვლა. გამოიყენება ქამანიან ინსტრუმენტებზე დაკვრისა და სიმღერისას.

გვ. 373. „ვანდსბეკელი მაცნე"—ჟურნალი, რომელსაც ფსევდონიმ ასმუსის სახელით სცემდა გერმანელი პოეტი და პუბლიცისტი მათიას კლაუდიუსი (1740-1815). სტროფი ამოღებულია ამ ჟურნალში გამოქვეყნებული ლექსიდან „ავადმყოფობის შემდეგ".

გვ. 378. „ჰებრიდები"—კომპოზიტორ ფელიქს მენდელსონის უვერტიურა ორკესტრისათვის.

გვ. 378. „In quali eccessi, o numi" —„მანკიერების რა უფსკრულში, ო, ღმერთებო!" — წინადადება მოცარტის ოპერეტა „დონ ჟუანის" შესავალი არიიდან.

გვ. 380. კანკანი—ერთგვარი საესტრადო ცეკვა, რომლისთვისაც დამახასიათებელია სხეულის უხამსი მიხრა-მოხრა.

უნივერსიტეტში

„ამ ნოველის დაწერის ფორმალურ მიზეზად იქცა მოგონებები მკერავ გოგონას თაობაზე, რომელიც ჩემი კილში სწავლის დროს მხოლოდ და მხოლოდ სიჯიუტის გამო დამორჩილდა ერთ სტუდენტს, რადგან ეგონა — შეყვარებულმა (რომელიც ახალგაზრდა მოხეტიალე ქარგალი იყო) მიმატოვაო, — ატყობინებდა თ. შტორმი თ. ფონტანეს. — როცა ქარგალი შინ დაბრუნდა, უკვე გვიან იყო. დანარჩენი პერსონაჟები გამოგონებულია და მოგონებებთან კავშირი არ აქვთ. ფონს ქმნის „რუხა საზღვაო ქალაქი", მეორე ნაწილში კი გარეგან გარემოს კილი წარმოადგენს".

ნოველაზე მუშაობას შტორმი 1862 წლის დასაწყისში შეუდგა და იმავე წლის 29 მაისს დაასრულა. ერთ-ერთ წერილში ლ. პიჩისადმი შენიშნავს „ეს ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო ნოველაა მათ შორის, რაც კი აქამდე დამიწერია". 1863 წელს ნოველა ცალკე გამოცემად გამოვიდა. შტორმის ლიტერატურული მეგობრები მას დიდი მოწონებით შეხვდნენ, მაგრამ პრესამ, ავტორის სამწუხაროდ, ამ აშკარად სოცია-

ლურ-კრიტიკული ტენდენციებით გაჟღენთილ ნოველას სრული დუმილით აუარა გვერდი.

გვ. 396 ზილხერი ფრიდრიხი (1789-1860) — გერმანელი კომპოზიტორი, კანტანტებისა და ჰიმნების ავტორი. იგი კრებდა გერმანულ და სხვა ხალხურ სიმღერებს.

გვ. 433. პედელი—უმაღლესი სასწავლებლის უმცროსი მოსამსახურე, რომელიც სტუდენტთა ყოფაქცევას ადევნებდა თვალს.

გვ. 435 პანდექტები ან დიგესტები (ბერძნ. ლათ.) — ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს ბრძანებით 533 წელს გამოქვეყნებული რომაელ სამართლისმცოდნეთა თხზულებების სისტემატიზებული და თემებად დალაგებული კრებული. პანდექტებში მრავალი ბუნდოვანი ადგილია, რომლებიც იურისტთა შორის დავასა და აზრთა სხვაობას იწვევს.

თეთრცხენიანი მხედარი

ამ მოთხრობის ფოლკლორულ წყაროებზე შტორმმა კარგა ხნით ადრე მიგვითითა „ლენა ვისში“, სანამ ნაწარმოებზე მუშაობას დაიწყებდა. ჯებირების გამბედავ მშენებელზე ხალხური თქმულება მწერლისათვის ბავშვობიდანვე ცნობილი იყო არა მარტო ზეპირი გამოცემებით, არამედ ლეგენდის სახითაც, რომელიც ლიტერატურულ ალმანახებში სხვადასხვა ვარიანტებად იბეჭდებოდა. შტორმის ბიოგრაფები ასახელებენ რამდენიმე გამოცემას, რომელშიც შეტანილი იყო თეთრცხენიანი მხედრის ლეგენდა.

შტორმმა ამ ნაწარმოებზე რამდენიმე წელიწადს იმუშავა, რაც, ერთი მხრივ, მისი ხანდაზმულობითა და ფიზიკური დაუძლურებით იყო გამოწვეული, მეორე მხრივ კი იმითაც, რომ საჭირო იყო დიდი წინასწარი სამუშაოს შესრულება.

1885 წლის 20 თებერვალს შტორმი სწერდა თავის ქალიშვილ ლიზბეტს: „ამჟამად მთელი ჩემი არსება გაჟღენთილია ჯებირების თაობაზე არსებული დიდებული გადმოცემებით, რაც ჯერ კიდევ ბავშვობისას წამიკითხავს. მაგრამ ძალზე ვრცელი წინასწარი სამუშაოს შესრულებაა საჭირო“.

ამიტომაც იყო, რომ ჯებირების მშენებლობის ტექნიკური საკითხების დაწვრილებით გასაცნობად პოხუცი მწერალი საგანგებოდ გაეგზავნა ჰაიდეში თავის მეგობარ ეკერმანთან, რომელიც ამ დარგის აღიარებული სპეციალისტი იყო.

ვასალის შეგროვებას რომ მორჩა, შტორმი 1836 წლის იელისში შეუდგა მოთხრობის წერას. ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო მუშაობა შეწყვიტა და მხოლოდ 1887 წლის გაზაფხულზელა განაგრძო. ნაწარმოები დაასრულა 1888 წლის 9 თებერვალს და გამოაქვეყნა „დოიჩე რუნდშაუს“ („გერმანული მიმოხილვა“) აპრილისა და მაისის ნომრებში. იმავე წელს მოთხრობა ცალკე წიგნადაც გამოიცა წარწერით: „ეუძღვნი ჩემს ვაჟიშვილს ერნსტ შტორმს, ჰუხუმის სახელმწიფო პროკურორსა და ნოტარიუსს“.

შტორმი ფიქრობდა, რომ არ შეიძლებოდა ნამუშევრით მთლად კმაყოფილი ყოფილიყო, მაგრამ გადამუშავება ვეღარ შეძლო. საკუთარი ნამუშევრით უკმაყოფილების გრძნობა, რაც საერთოდ შტორმისათვის დამახასიათებელია, მწერლის მაღალი პასუხისმგებლობისა და საკუთარი ნაღვაწის მიმართ კრიტიკული მიდგომის მაჩვენებელია.

მაგრამ მკითხველმა მოთხრობა აღფრთოვანებით მიიღო, რამაც ავტორს უკანასკნელად განაცდევინა დიდი სიხარული.

გვ. 467. პ ო პ ე ს „ პ ა მ ბ უ რ გ უ ლ ი ქ რ ი ს ტ ო მ ა თ ი ა“—წიგნის ჰამბურგელმა გამომცემელმა პოპემ 1838 წელს გამოსცა ქრესტომატია ახალგაზრდობისათვის, სადაც მოთავსებული იყო თეთრცხენიანი მხედრის ლეგენდაც.

გვ. 470. ე ე რ ფ ტ ი — ზღვისგან გაჯაჭვილებულ ძიწებზე წყალდიდობისაგან თავდასაღწევად ჯებირებს გარდა მიმართავდნენ ძიწის ერთ ადგილზე დაზვინვას, რომელზეც შემდეგ სახლებსა და მთელ სოფლებს აშენებდნენ.

გვ. 474. მ ო მ ზ ე ნ ი ჰ ა ნ ს ი — ფრიზიელი თვითნასწავლი მექანიკოსი (გარდაიცვალა 1811 წელს).

გვ. 469. ჰ ა რ დ ე, ჰ ა რ დ ე ნ ი—ადმინისტრაციული რაიონი, რომელიც რამდენიმე სოფელს ან ხუტორს აერთიანებს.

გვ. 474. რ ა ფ ს ი — ყვითელყვავილოვანი ბალახოვანი მცენარე. მოჰ-

ყავთ ზეთით მდიდარი თესლისათვის. ამჟამად იყენებენ პირუტყვის საკვებადაც.

გვ. 475. ევკლიდე—ბერძენი მათემატიკოსი, რომელმაც ჩვენს ერამდე 300 წლით ადრე შეადგინა მათემატიკის სახელმძღვანელო, რომელიც მკაფიო და ადვილად ასათვისებელი აგებულებით გამოირჩევა.

გვ. 476. წმიდა მარტინის დღესასწაული 11 ნოემბერსაა.

გვ. 478. ლუიბეკელი ვუნდერკინდი—უჩვეულო ნიჭის ბავშვი მე-18 საუკუნეში ქ. ლიუბეკში. იგი ოთხი წლისა გარდაიცვალა.

გვ. 479. ყოვლადწმიდის დღესასწაული — ყოვლადწმინდის სახელობის კათოლიკეთა დღესასწაული, რომელიც პირველ ნოემბერსაა.

გვ. 485. კრევეტი — პატარა, წვრილი ზღვის კიბო (არის მტკნარ წყალშიც) ათფეხიანთა ოჯახიდან. აქვს გრძელი „კუდი". ბევრი მას საჭმელად ხმარობს.

გვ. 488. ქრისტიან IV—დანიის მეფე (1588-1648).

გვ. 490. ფენი — მარშებზე თხრილებით შემოფარგლული მიწის ნაკვეთი.

გვ. 503. დემატი — მიწის ფართობის საზომი.

გვ. 526. ზიუდვესტერი—წყალგაუმტარი ფართო კაპიშონი, რომელსაც მეზღვაურები ხმარობენ.

გვ. 533. ალკოვი—ნიში ოთახში, სადაც საწოლია გამართული.

გვ. 547. ლოტი — ზღვის სიღრმის საზომი მოწყობილობა.

გვ. 577. სეპარატისტული მოძრაობა — იგულისხმება გაბატონებული რელიგიისაგან განდგომის მომხრე სექტის საიდუმლო შეკრებები.

სარჩევი

ო. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი—თეოდორ შტორმი, 5
იმენზეე , , , , , , 25
თოკინების ოსტატი პოლე 67
ზღვის გალმა ქვეყნიდან 138
ტყის ყურე , , 195
ფსიქეა , , , 263
ლენა ვისი , , , 308
მწვანე ფოთოლი , 322
წყნარი მუსიკოსი , 342
უნივერსიტეტში , , 385
თეთრცხენიანი მხედარი 467
შენიშვნები , 630

ТЕОДОР ШТОРМ

ЗЕЛЕНЫЙ ЛИСТ

(На грузинском языке)
Издательство «Мерани»
Руставели, 42. Тбилиси, 1971

რედაქტორი ი. ლექავა
მხატვარი დ. დივნოგორცევა
მხატვ. რედაქტორი ო. ჯიშკარიანი
ტექრედაქტორი რ. იმნაიშვილი
კორექტორი ლ. არაბიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/XII-71 წ.
ქაღალდის ზომა 70×108¹/₃₂.
ნაბეჭდი თაბახი 28,4
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 23,91
ტირაჟი 40.000 შეკვ. № 5467
ფასი 1 მან. 37 კაპ.

გამომცემლობა „მერანი".
რუსთაველის 42. თბილისი 1971

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის
მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 5,
ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 11.
Типография № 5 Главполиграфпрома
Государственного комитета Совета
Министров Грузинской ССР по печати,
г. Кутаиси, пр. И. Чавчавадзе, 11.